

780/3  
1998



# საქართველო



1

---

1998

# საშუალო

1998/1

იანვარი  
თებერვალი  
(106)  
ეროვნული  
ბიბლიოთეკა



## შინაარსი

### პროზა, პოეზია

ანონიმი ავტორი. ნაციონალიზმის რელიგიური შინაარსის შესახებ. თარგმნა  
ზიძინა გიორგობიანი 3

მარიუ ბანედიტი. გზადლოვთ ცაცხლისათვის. რომანი. ესპანურიდან თარგმნა  
ელზა ახვლედიანი 12

ესაიას ტიზნერი. ფრიტიოფის საბა. თარგმნა ელდარ კერძევაძემ 175

მოდერლო დე ლაკლო. სახიფათო კავშირები. რომანი. დასაწყისი ფრანგულიდან  
თარგმნა მარინე კილაშვილმა 190

მინაილ ლერმონტოვი. ლექსები. თარგმნა ხტეფანე მხარგრძელმა 257

### კუბლიცისტთა

ფრანსუაზ საბანი. პასუხები. ფრანგულიდან თარგმნა დალი იაშვილმა 261



**საქართველოს მწერალთა კავშირი**  
**მსოფლიო ლიტერატურის ორთვიური ჟურნალი**

1998, № 1

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

მთავარი რედაქტორი  
**შოთა ნიშნიანიძე**

ნანა დარჩია-ბოლქვაძე  
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)

ხარედაქციო კოლეგია:  
ჯემალ აჯიაშვილი  
მზია ბაძრაძე  
ბაჩანა ბრეგვაძე  
გურამ გობიაშვილი  
ნოდარ გურუშიძე  
მამალი თოდუა  
ნოდარ ქაპაბაძე  
რენე კალანდია  
გიორგი ნიშნიანიძე  
დალი ფანჯიკიძე  
გივი ძნელაძე  
დავით შერედიანი.

ტექნიკური რედაქტორი  
ნანა ბართაია

---

ჩვენი მისამართი: თბილისი, 380026, ლესელიძის ქ. № 4. ტელეფონები: მთავარი რედაქტორი — 93-47-31. მთ. რედაქტორის მოადგილე 99-60-22. განყოფილებათა გამგეები — 72-26-30.

---

გად. წარმ. 18. 02. 98 წ., ხელმოწ. დასაბეჭდად 26. 02. 98 წ., ქაღალდის ზომა 70X108<sup>1</sup>/<sub>16</sub>.  
სააღრ. თ. 25,51, ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 20 ფ. საღებავის გატ. 28,7.  
ტირ. 300. შეკვ. № 180.

**ფასი 2 ლარი**

---

გამომცემლობა „სამშობლოს“ სტამბა.  
თბილისი, მ. კოსტავას 14.





თარგმნა ბიძინა ბიოგოზიანმა

ნაციონალიზმის რელიგიური შინაარსისათვის

აქვს თუ არა ნაციონალიზმს რელიგიური შინაარსი? შეიძლება თუ არა მისი გამართლება და ჩვენს ცნობიერებაში დამკვიდრება სარწმუნოებრივი თვალსაზრისით?

ასეთი კითხვები, თავიანთი აქტუალობის გამო, განსაკუთრებულ სიმძაფრეს იძენენ ჩვენს დროში. პასუხიც მათზე სხვადასხვაგვარია. ჩვენ ვიცით, რომ რუსი ერის ბევრი წარმომადგენელი ეროვნული ტკივილის გამო მოვიდა ეკლესიაში. ასეთი ადამიანებისათვის ნაციონალიზმი განუყრელადაა დაკავშირებული რელიგიასთან. ისინი მხოლოდ რწმენის სიმტკიცესა და ღრმა რელიგიურობაში ხედავენ ნაციონალიზმის საფუძვლებს. მათთვის ერისკაცობა, საზოგადო მოღვაწეობა ერის საკუთილდღეოდ იგივეა, რაც რელიგიური მოღვაწეობა. თუმცა, მეორეს მხრივ, არიან იმგვარი ადამიანებიც, რომლებიც ღმერთის რწმენით მოსულან ეკლესიაში, მაგრამ საერთოდ უარყოფენ ნაციონალიზმს, როგორც ამქვეყნიურ მოვლენას და შიშით უყურებენ ყველა მცდელობას, მიმართულს ნაციონალიზმის დასაკავშირებლად სარწმუნოებრივ, მარადიულ ღირებულებებთან. ამ მოვლენას საფუძვლად უდევს სარწმუნოებრივი დაეჭვება შემოქმედი ღმერთისა და საეკლესიო სწავლების ჭეშმარიტებაში. ასეთი დაეჭვების შედეგად ადამიანებში იბუდებს გარკვეული ინდიფერენტობა ქვეყნიურ ქმნილებათა და ღირებულებათა მიმართ, რაც სულიერ ასპექტში იწვევს შინაგან მღუმარებას ყოველივე ქვეყნიურისადმი. მიწიური ფენომენისადმი.

უშეტეს შემთხვევაში ამგვარი მიმართება ნაციონალიზმისადმი მორწმუნე ადამიანთა იმ ნაწილს ახასიათებს, რომლებიც რელიგიურ კრიზისს განიცდიან. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სასულიერო პირთათვის, დიდი ხნის მანძილზე რომ ემსახურებიან ღმერთს, მსგავსი დაბრკოლება არ არსებობს. მათში ნაციონალიზმის ცნებას თავისი განსაკუთრებული ადგილი უკავია. ისინი ამბობენ: ნაციონალური გრძნობები ხელს არ უშლის შინაგან რელიგიურ ცხოვრებას და ამდენად ნაციონალიზმი არ არის უარყოფითი მოვლენა.

\* ავტორი ნაციონალიზმში გულისხმობს პატრიოტიზმს, ამა თუ იმ ერის განსაკუთრებული თვისებებისადმი და თავისებურებებისადმი გულწრფელ დამოკიდებულებას. ასე რომ, ამგვარ კონტექსტში გამოყენებული ეს სიტყვა არაფერს საერთოს არ ამჟღავნებს რასობრივი უპირატესობის ანტიადამიანურ და ანტიქრისტიანულ თეორიასთან (მთარგმნელის შენიშვნა).

23267





ჩვენ ვიცით, რომ ადამიანთა მოქცევა ჭეშმარიტ სარწმუნოებაზე, ანდა მათი განშორება ღმერთისაგან ყველა დროსა და ეპოქაში ხდებოდა. ეს ყოველთვის მათი თავისუფალი ნებელობის შედეგი იყო, ერთგვარი შინაგანი წაქეზებისა ცი. მაგრამ არსებობს ისეთი ისტორიული გარემოებანი, როდესაც რწმენის აღიარება თუ ვკლესიისაგან განშორება უკვე თითქოს აღარ არის პიროვნული ინდივიდუალური პრეროგატივა. ასეთ გარემოებებში სარწმუნოება სრულიად განსაკუთრებულ ადგილს იკავებს ადამიანთა ცხოვრებაში. ასე იყო, მაგალითად XIX საუკუნის 60-იან წლებში, როდესაც ათეიზმის სენი საშინელი ძალითა და მასშტაბებით მოედო მთელს მსოფლიოს, და ასევეა ახლაც, ოღონდ პირიქით: ადამიანები დაუბრუნდნენ რწმენას, ეკლესიას, რელიგიურ ცხოვრებას. ორივე შემთხვევაში ნაციონალიზმი ეჭვქვეშ მოექცა როგორც ჭეშმარიტი ღირებულება. ამ ორ შემთხვევაში დაეჭვების მიზეზი სხვადასხვაგვარია, მაგრამ ვფიქრობთ, ნაციონალიზმის რელიგიური შინაარსის უარყოფა სხვადასხვაგვარად მოაზროვნე ადამიანთა მიერ აღმოცენებულია ეპოქალური ძვრების შედეგად. 1917 წლის ბოლშევიკურ რევოლუციამდე მრავალი ადამიანის გონებაში ქვეყნიურმა ყოფამ დაჩრდილა რელიგია. გავიდა დრო და იმ ადამიანთა თვალწინ, რომელთა გონება დახშული იყო მატერიალიზმით, დაინგრა ყველაფერი, რაც კი მათთვის ღირებულს წარმოადგენდა. იმათთვის, ვინც, მომხდართ შეძრწუნებულმა, აღიარა შემოქმედის ერთადერთობა და მარადიულობა, სულ სხვა სამყარო გადაიშალა — განსხვავებული, თავისუფალი ყოფითი წვრილმანებისაგან და ყოველდღიური ამაოებისაგან. და სწორედ ეს ადამიანები, მცირე ხნის წინ რომ მთლიანად უარყოფდნენ ყოველივე სულიერს, დღეს განსაკუთრებული გულცივობით უარყოფენ ამქვეყნიურ ცხოვრებას როგორც ჭეშმარიტების არააბსოლუტურ გამოვლინებას. მათ მიერ განსაკუთრებით არის შერისხული ნაციონალიზმი, ნაციონალური ტკივილი როგორც ქვეყნიური ცხოვრების ერთ-ერთი მკვეთრად გამოხატული ფენომენი. ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ ნაციონალიზმი სიყვარულის თავისებური გამოვლინებაა საკუთარი ერისა და ქვეყნისადმი, მათდამი, ვინც ქმნიდა ერის სულიერ და მატერიალურ კულტურას შორეულ თუ ახლო წარსულში. ეს სიყვარული არ არის პასიური; იგი ქმედითია, მძაფრი და ჭეშმარიტი. ამიტომ ყოველი ინდივიდისაგანაც შემოქმედებით მიდგომას მოითხოვს, ხშირად მსხვერპლის გაღებასაც კი. ნაციონალიზმის ცნება თავის თავში შეიცავს უსიტყვოდ აღიარებულ ბევრ ჭეშმარიტებას. ამის გამო ამ ცნებას ჩვენ ვამკვიდრებთ როგორც ადამიანის შემოქმედების ერთ-ერთ ყველაზე გამოკვეთილ და რეალურად არსებულ ფაქტს, რამეთუ ამქვეყნიური ყოფის — როგორც ცოდვით დაცემის შედეგის — დაგმობა არ ნიშნავს იმ ღირებულებათა უარყოფას, რომელნიც ამა თუ იმ ცალკეულ ერს შეუქმნია თავისი არსებობის მანძილზე. უარის თქმა ამ ღირებულებებზე და მათს მემკვიდრეობაზე აუფასურებს ერისა და მისი შემოქმედებითი ძალის მნიშვნელობას, რელიგიური მოსაზრებით უკუსაგდებ, სულიერი ცხოვრებისათვის სრულიად უსარგებლო რაიმედ აქცევს მას. ასეთი უარყოფლები თითქოსდა რელიგიური სიწმიდისათვის იბრძვიან და, ყოველივე ქვეყნიურისადმი ზურგშექცეულნი, ყველაფერს გმობენ, რაც კი, მათი აზრით, მიუღებელია მარადიული ცხოვრებისათვის. ამიტომ ნაციონალიზმის, როგორც რელიგიური შინაარსის მქონე ცნების, უარყოფის გასაბათილებლად საჭირო იქნება ღრმა, შორსმიმავალი მსჯელობა. ამ პრობლემის ნათელსაყოფად აუცილებელია განვიხილოთ ქრისტიანობის ერთ-ერთი ძირითადი საკითხი: მარადიულისა და ადამიანური საწყისების ურთიერთდამოკიდებულება. ნაციონალიზმის — როგორც რელიგიური შინაარსის მქონე ცნების უარყოფა საბოლოოდ ამქვეყნიური ღირებულებების (ქრისტიანობის ქადაგება,



ეკლესიათა მშენებლობა და ა. შ.) უარყოფამდე მიგვიყვანს! ამიტომ ნაციონალიზმის ცნებაში რელიგიური არსის წარმოჩენა ერთგვარი გამართლება იქნება ქვეყნიური ღირებულებებისა, მთელი კაცობრიობისა დღიდან მისი გაჩენისა. ნუ გავაფერკმრთალებთ იმ ღრმა განსხვავებას აბსოლუტურ ჭეშმარიტებასა და წარმავალ, დაკნინებულ ქვეყნიურ სინამდვილეს შორის, რომელიც სამყაროში არსებობს. ქრისტიანობა მუდმივად გამოყოფს ერთმანეთისაგან ცასა და ქვეყანას, მარადიულობასა და დროს, სულსა და სხეულს. არსებობს ერთიანი აბსოლუტური ყოფიერება შემოქმედ ღმერთში — ერთადერთი და ჭეშმარიტი რეალობა. ზოლო საღმრთო საწყისის წინაშე ყოველივე ადამიანური განიცდება როგორც წარმავალი და ამით რამ: „ამალება ამითა, — თქვა ეკლესიასტემ. — ამითა ამითა, ყოველივე ამით... და არა რაი არს ყოველივე მზესა ქვეშე, რომლისათვის იტყვის, ვითარმედ — ესე ახალი არს. მიერთგან ქმნილ არს საუკუნეთა მათ ყოფილთა უწინარეს ჩვენსა... მე, ეკლესიასტე, ვიყავ მეფე ისრაელსა ზედა, იერუსალემს, და მივეც გული ჩემი გამოძიებად და განზრახვად სიბრძნესა ყოვლისავეთვის, რომელ ქმნილ არიან მზესა ქვეშე, რამეთუ მიმოტაცება შრომისა მოსტა ღმერთმან ძეთა კაცთასა, რაითა მიმოიტაცებოდინ მას შინა. ვიხილენ ყოვლითურთ, რომელნი ქმნილ არიან მზესა ქვეშე, და აჰა ესერა, ყოველივე ამით და გამორჩევა სულისა“ (ეკლესიასტე 1, 2, 10-14). ძველი აღთქმის ეს წიგნი განეკუთვნება დიდი განდგომილების პერიოდს, როდესაც ადამიანი ისე განეშორა შემოქმედ ღმერთს, როგორც არასდროს.

„ღრმით—ამო დაღად ვყავ შენდამი, უფალო; უფალო, შეისმინე ლოცვისა ჩემისა“ (ფსალმ. 129, 1-2). ეს ის სიღრმეა, ის უფსკრულია ცოდვისა, საიდანაც ადამიანის ლოცვა-ვედრება და დაღადი ძნელად თუ აღვალს შემოქმედამდე. შეცნობა ამ სიშორისა, რომელიც ადამიანს ცოდვით დაცემის გამო ეუფლება, ძველი აღთქმისდროინდელ მორწმუნეებში იწვევდა გოდებას ყოველივე ამა ქვეყნიურისადმი.

მაგრამ მას შემდეგ, რაც ქვეყანას უფალი ღმერთი მოევლინა და ადამიანად იშვა მაცხოვარი ჩვენი იესო ქრისტე, სამყაროში აღმოიკვს ის უფსკრული, რაც ცოდვით დაცემულ ადამიანს აშორებდა შემოქმედი ღმერთისაგან. მიუხედავად ქვეყნიურისა და ზეციურის ასეთი გაერთიანებისა, ყოველივე საღმრთო და ყოველივე ადამიანური, მათი არსით, მაინც ერთმანეთისაგან განსხვავებულნი დარჩნენ. ახალი აღთქმის წიგნებშიც, მიუხედავად იმისა, რომ ისინი დაწერილია უფსკრულის ამოვსებისა და ადამიანთა ცოდვის სიკვდილით დათრგუნვის შემდეგ, გამსჭვალულია აბსოლუტური საწყისის — ღვთაებრივია და ყოველივე ადამიანურის — ამქვეყნიურის ურთიერთშეპირაპირებით. ქვეყნიური ყოველთვის უკანა პლანზეა, დამცრობილია, რათა ადამიანმა უკეთ შეიგრძნოს, უმჯობესად შეიმეცნოს ღვთაებრივის სიდიადე და მარადიულობა. ეკლესიასტეს შემდგომ 2500 წელიწადმა განვლო და წმიდა ტიხონ ვორონეჟელი ქმნის თავის შრომას — „წყალნი წარმავალნი“. XVIII საუკუნის ეს დიდი ქრისტიანი მოღვაწეც ისევე განიცდის ამითა ამითას, როგორც ძველი ისრაელის მეფე. იგი შეგვახსენებს, რომ არასდროს არ უნდა მივცეთ ჩვენს თავს უფლება დავივიწყოთ ანდა დავამცროთ აბსოლუტური ჭეშმარიტება, ყოველივე ზეციური და ღვთაებრივი. ჩვენ ხომ კარგად ვუწყით ის, რომ ყოველივე ქვეყნიური მასთან შედარებით წარმავალი და არარაა. ამ ჭეშმარიტების მუდმივი ხსოვნა დაგვიცავს ნაირგვარი კერპთთაყვანისმცემლობისაგან. ამასთან მარადის გაცნობიერებული უნდა გვქონდეს ჩვენი კავშირი შემოქმედ ღმერთთან, განუყოფელ ერთარსთან, რომელიც მარადის არსებობს და ყველგან სუფევს. ეს ყოველივე იმისთვისაა აუცილებელი, რომ არ



დავიბნეთ და სწორი პასუხი გვქონდეს ჩვენს წინაშე წამოჭრილ საჭირობოროტო კითხვებზე: საჭიროა კი ყველაფერი ის, რასაც ჩვენ ვაკეთებთ? აქვს კი აზრი ჩვენს შემოქმედებას თუ ფიქრს, საერთოდ, ისეთ ცხოვრებას, როგორც ჩვენ ვპყვიებთ წუთისოფელში?

როგორც წესი, ყველა მართლმადიდებელი ქრისტიანი მორწმუნე ლოცულობს და მონაწილეობს ეკლესიის ცხოვრებაში, ამასთან ყველაზე უფრო ადამიანს თავისი საკუთარი, ყველასაგან განსხვავებული ცხოვრების წესი, საც თავისი სიცოცხლისა და შემოქმედებითი ძალისხმევის დიდ ნაწილს უთმობს, აქაც წამოიჭრება კითხვა: ადამიანის ნამდვილი ცხოვრება მხოლოდ ის პერიოდი ხომ არ არის, რომელსაც იგი ლოცვა-ვედრებასა და საღმრთო საიდუმლოთა აღსრულებაში ატარებს? და ხომ არ არის მისი ცხოვრების მთელი დანარჩენი დრო ფუჭად გატარებული და ამაო? სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თუ არის აღბუჭდილი ჩვენი ყოველდღიური ყოფა და შემოქმედება ღვთაებრივი ნიშნით?

ყველა ამ კითხვას, ჩვენს წინაშე რომ წამოიჭრება და უმთავრესად ღვთაებრივისა და ადამიანური შემოქმედების ურთიერთმიმართებას შეეხება, შეიძლება სამგვარი პასუხი გაეცეს.

1. პირველი, არასწორი პასუხი ასეთია: შემოქმედსა და ქმნილ სამყაროს, ღმერთსა და ადამიანს შორის არსებობს ამოუვსები უფსკრული. აქედან გამომდინარე, შეუძლებელია, რომ აბსოლუტური და ჭეშმარიტი მატერიაში სუფევდეს. ასე რომ იყოს, ვეღარ ვიტყვით, შემოქმედი ღმერთი მარადიული და უცვლელიაო, რადგან ამგვარი განსაზღვრება მარადიულის დამცრობას, დამდაბლებას მოასწავებდა. იმ შემთხვევაშიც, თუკი ვიტყვი, ღმერთსა და ადამიანს შორის გადაულახავი ზღვარი ძევსო, სამყარო განიყოფა ორ არათანაბარ ნაწილად, რომლებიც არ გადაკვეთენ ურთიერთს და ერთმანეთთან არანაირი შეხება არა აქვთ. ასეთ შემთხვევაში მატერიალურს არანაირი მნიშვნელობა არა აქვს მარადიულისათვის; რა ცვლილებანიც არ უნდა მოხდეს ადამიანთა ცხოვრებასა და მსოფლმხედველობაში, ამას არავითარი მნიშვნელობა არ ექნება ღვთიურისა და მარადიულისათვის. თუ ასეთ მსჯელობას გავყვებით, მაშინ მართებულად უნდა ვადიაროთ ბუდისტური ცრუ-შეხედულება, რომელიც მატერიალურ სამყაროს წარმოგვიდგენს როგორც ღვთაებრივ ჭეშმარიტებაზე გადაფარებულ საფარს.

ასეთი მსოფლმხედველობა ძალზე ფსიქოლოგიურია. თუკი ღრმად ჩაუკვირდებით ჩვენს განცდებს და შეგრძნებებს, აღმოვაჩენთ, რომ ხშირ შემთხვევაში ჩვენ ქვეცნობიერად ვეთანხმებით ამ ბუდისტურ შეხედულებას. იმ ადამიანისათვის, ვისაც არა აქვს ცოცხალი რწმენა ღმერთისადმი, შემოქმედის შეცნობაზე უფრო ადვილ საქმეს ის შეადგენს, რომ ამოგლიჯოს თავისი ყოფიდან ყოველივე ღირებული და თავისივე წარმოსახვით შექმნილ სამყაროში გადაიტანოს. ადამიანი უფრო იოლად აღიქვამს შემოქმედი ღმერთის არსებობას ტრანსცენდენტურ სამყაროში, ვიდრე თავის ირგვლივ. თუკი ცოცხლად არა გვწამს დაუსაბამო და ერთადერთი შემოქმედი ღმერთი, მაშინ ძნელია ვირწმუნოთ, რომ იგი სუფევს ყველგან და ყველაფერში, რაც ჩვენს გარშემოა. მისი სუფევა მარადიულია — ღმერთი იყო ჩვენამდისაც, არის დროის მოცემულ მონაკვეთშიც და იქნება მაშინაც, როცა ჩვენ აღარ ვიქვით ამქვეყნად. დაუსრულებელი სიშორე ღვთაებრივისაგან, რომელსაც ჩვენი გონება სწვდება და აღიარებს, საშუალებას არ გვაძლევს მარადის შევიგრძნობდეთ ჭეშმარიტებას, მაგალითად, ჩვეულებრივ მოღრუბლულ და ცრიატ დღეს ჩვენთვის სასურველ რომელიმე ადგილას თუ დროს. იმის გამო, რომ ვადიარებთ ღვთაებრივის განუზომელ სიშორეს, ჩვენ ვიგონებთ იმ საკვირველებებს, რომლებიც წარსულში აღსრულებულა, მაგრამ არ გვსურს



ვირწმუნოთ ის საკვირველებანი, ჩვენს გარემომცველ სამყაროს რომ განმსჭვალავს მთელი თავისი სიდიადით აი, ახლა, ამ წუთას. სწორედ ესაა მიზეზი რეალური ცხოვრებიდან ჩვენი მოწყვეტისა (აქვე უნდა ითქვას, რომ ხშირად ჩვენ რეალურ სამყაროს ვწყდებით, რათა მასვე თავვანი ვცეთ ვითარცა ჩვენგან განწყვებულ რაიმეს).

ღვთაებრივისა და ადამიანურის ურთიერთმიმართების ამგვარე განსახვრება, რომელსაც ჩვენ პირობითად პირველი ვუწოდეთ, თამამად შეგვიძლია განვიხილოთ თავისი ნამდვილი არსით მონოფიზიტურ შეხედულებად. ერთი შეხედვით, მონოფიზიტობა, რომელიც მაცხოვრის მხოლოდ ღვთაებრივ ბუნებას აღიარებს, უფრო მოწადინებულია სარწმუნოების სიწმიდისათვის, ვიდრე მართლმადიდებლობა, რომელიც მაცხოვრის ორბუნებოვნებას აღიარებს — ღვთაებრივსა და ადამიანურს; სინამდვილეში მონოფიზიტური შეხედულება ღვთაებრივი სიდიადის დამცრობა და დამდაბლებაა.

II. მეორე, ასევე მცდარი პასუხი ზემოთ მოცემულ კითხვაზე აერთიანებს ღვთაებრივსა და ადამიანურს, შლის ყოველგვარ ზღვარს მათ შორის; ამგვარი მსოფლმხედველობა უფრო პანთეიზმისაკენ იხრება, რომელიც მძაფრად შეიგრძნობს ნივთიერ საგნებში გამოვლენილი სამყაროს მისტიურ სიღრმეს. ალბათ, ამიტომაცაა, რომ პანთეიზმი აიგივებს ნივთიერ სამყაროს მაცხოვრის განსხეულებასთან და, აქედან გამომდინარე, აღმერთებს და ეთაყვანება მას როგორც ღვთაებას. უნდა აღინიშნოს, რომ არ შეიძლება დავივიწყოთ ქმნილი სამყაროს ცოდვით დაცემა, თორემ, თუკი დავუშვებთ ხილული სამყაროს გაღმერთებას, საშინელ მწვალებლობამდე მივალთ და ცოდვით დაცემულად ვაღიარებთ თვით ღვთაებრივ ჭეშმარიტებას.

III. არსებობს მესამე პასუხიც, სწორი და ჭეშმარიტი, პასუხი მართლმადიდებელი ქრისტიანობისა, რომლის მრწამსიც ერთმანეთისაგან განასხვავებს ღვთაებრივსა და ღვთივქმნილს. ჭეშმარიტების არსი ერთიანი, მარადშუქმფენი წმიდა სამებაა, რომელიც მიუწვდომელია არა მხოლოდ რიგითი ადამიანისათვის, არამედ სულიერად დიდად განვითარებულ მჭვრეტელთათვისაც კი. არანაირ ადამიანურ ენას არ ძალუძს სრულად გადმოსცეს ის უზენაესი ჭეშმარიტება, რომელიც ღმერთების არსს განგვიცხადებს; მაგრამ ჩვენს მიერ აღქმული მთელი ეს ხილული სამყარო ღმერთის მიერაა შექმნილი; ყოველივე ეს არსებობს იმდენად, რამდენადაც თავის შემოქმედში თანაარსებობს. უსულო საგნებს ღმერთთან აკავშირებთ მათი არსებობა ბუნებაში, პირუტყვ ცხოველებს — მათი არსებობა და გრძნობები, ხოლო ადამიანს — არსებობა, გრძნობები და გონება. რამდენადაც მთელი სამყარო ღმერთის მიერაა შექმნილი, იგი ნათელია და მისი რაიმე მოსაზრებით დაკნინება და ძაგება — შემოქმედის ძაგება და გმობაა. მატერიალური სამყარო, ყოველივე ადამიანური — ცოდვილია. ცოდვა წახდენაა, გარდაქცეულებაა; იგი ის არაარსისმიერია, რომელსაც დროებით მოუცავს არსისმიერი, ჭეშმარიტი და დაუჭკნობელი. მაგრამ ჩვენ გვაქვს მოცემული აღთქმა დაცემული კაცობრიობის მხსნელისა: „სოფელსა ამას ჭირი გაქუს, არამედ ნუ გეშინინ, რამეთუ მე მიძლევებს სოფელსა“ (იოანე 16.33). კაცობრიობის ცოდვები ძლეული და სრულიად გამოსყიდულია მაცხოვრის მიერ, ხოლო თუ დროთა განმავლობაში კაცობრიობა კვლავ და კვლავ ეფლობა ცოდვათა ჭაობში, მას ძალუძს თვითვე განიწმიდოს და განიკურნოს ღმერთის მიერ დადგენილი გზით. უნდა გვახსოვდეს ისიც, რომ პურის ყანაში მკის მოწვევამდე ერთად იზრდება ხორბალიცა და სარეველაც. დასკვნის სახით ვიტყვით, რომ ყოველივე არსებული, ვითარცა ღმერთის მიერ შექმნილი, დამოკიდებულია თავის შემოქმედზე და



მუდმივ კავშირშია მასთან. და ყოველივეს, რაც კი არსებობს ამქვეყნად, წარმოვ-  
 ლობისა და ცოდვის მსახურალი ხელი შეხებია. მაგრამ ეს არ უნდა გვაძლევდეს  
 ნებას ეჭვი შევიტანოთ შემოქმედის მარადიულობასა და სიწმიდეში. ქმნილება  
 თავის შემოქმედთან დაკავშირებულია არა თავისი ბუნებით, არამედ არსისმიერად  
 და საკუთარი არსებობით ამქვეყნად. რა ძლიერიც არ უნდა იყოს წამსდენელი  
 შეცოდება, თვით არსებობა და ცხოვრება უკვე თავისთავად გამარჯვების მომას-  
 წავებელია ცოდვასა და სიკვდილზე. კავშირის გაწვევტა შემოქმედისა და ქმნი-  
 ლებას შორის ხომ სატანის მუდმივი „ზრუნვის“ შედეგი იქნებოდა, რომელსაც  
 სურს ყოველივე ქმნილი თავის ბნელ უფსკრულში ჩაძიროს. „თქვენ მამისა ეშ-  
 მაკისანი ხართ და გულის-თქუმათა მამისა თქვენისათა გნებავს ყოფად; რამეთუ  
 იგი კაცის-მკვლელი იყო დასაბამითგან და ჭეშმარიტებასა არა დაადგრა, რამე-  
 თუ ჭეშმარიტებაი არა არს მის თანა; ოდეს იტყვიან ტყუილსა, თვისისაგან გუ-  
 ლისა იტყვინ, რამეთუ მტყუვარ არს და რამეთუ მამაიცა მისი მტყუვარ არს“, —  
 ამბობს თვით უფალი (იოანე 8,44). სუბსტანციის ორი პოლუსი, მაცხოვრის ორი  
 ბუნება — ღვთაებრივი და ადამიანური, ერთმანეთისაგან განუყრელად განცალკე-  
 ვებულნი, შეურყვნელად შეერთდა იესო ქრისტეს ჰიპოსტასში და ამით აღსრულ-  
 და უდიდესი საღმრთო საიდუმლო, რომელმაც კაცობრიობა იხსნა წარმწყმედელი  
 დაცემისაგან. მაცხოვრის უბიწოდ შობა და მისი ადამიანური ბუნება ჭეშმარიტი  
 არსია ცოდვათაგან თავისუფალი ადამიანური საწყისისა და ეს არსი იმგვარ კა-  
 ვშირშია ღმერთთან, როგორც ადამს ჰქონდა ცოდვით დაცემამდე. ღვთაებრივი-  
 სა და ადამიანურის, ანუ შემოქმედისა და ქმნილების შერწყმა ვლინდება მთელს  
 ქმნილ სამყაროში, მაგრამ ეს გაერთიანება ღვთის მადლია, ქმნილებისადმი მო-  
 ნიჭებული წყალობაა და არ ნიშნავს ჰიპოსტისურ ერთობას, ჩვენ ვამბობთ — შე-  
 ურყვნელად შერწყმულიო, რადგან ღვთაებრივი, მარადიული ყოველთვის ასეთად  
 რჩება, ღვთაებრივად და მარადიულად და იგი არსისმიერად განსხვავდება ადა-  
 მიანურისაგან; ეს ორი ბუნება იესო ქრისტესი მარად განუყოფელი, უცვალებელი  
 და განუყრელია, რადგან ღვთაებრივისაგან გამოყოფა ყოველივე ადამიანურის  
 დაცემასა და განადგურებას გამოიწვევს. ამიტომ ნებისმიერი მოვლენის განხი-  
 ლვისას უნდა გამოვარჩიოთ ღვთაებრივი საწყისი, რომელიც არსისმიერად წარ-  
 მართავს მოვლენას და მისი საფუძველთა საფუძველია. ყოველივე ქვეყნიურში  
 არსებობს ღვთაებრივი ნაპერწკალი, რომელიც დამცნობილ-დათრგუნულია ცო-  
 დვით დაცემის გამო. ყოველივე შემოთქმული გამოხატავს იმ თრგვარ მიმართებას  
 სამყაროსადმი, რასაც ქრისტიანობა შეიცავს; ისინი ხშირად აღიქმებიან რო-  
 გორც ურთიერთსაწინააღმდეგონი და ურთიერთშეუთავსებელნი. ეს მიმართებე-  
 ბია, ერთის მხრივ ხოტბის შესხმა გარემომცველი სამყაროსადმი მისი ღმრთივ-  
 ქმნილობის გამო, და მეორეს მხრივ — ზურგის შექცევა, დაგმობა ყოველგვარი  
 მატერიისა და ჭერეტა ჭეშმარიტების საწყისისა.

მთელი ქმნილება, სულიერი თუ უსულო, რაც ჩვენ გარშემო არსებობს,  
 ღმერთის მიერაა შექმნილი. ჩვენი გარემომცველი სამყარო წარმოგვიდგება რო-  
 გორც ტალახით დაფარული ძვირფასი ქვა, რომელიც კი არ უნდა გადავავდოთ  
 გარეგანი სიბინძურის გამო, არამედ გავწმიდოთ და თავდაპირველი სახე დაუ-  
 ბრუნოთ, რათა უწინდებურად ბრწყინავდეს და მშვენიერი იყოს. მართლმადი-  
 დებლობა გვაძლევს ცოდნას ამქვეყნიური ცხოვრების დასრულებისას სხეულის გა-  
 რდასახვის შესახებ, რაც უფლებას გვაძლევს ვიმსჯელოთ დღევანდელი სახით  
 წარმოდგენილ ფიზიკურ სამყაროზე როგორც ღმერთის მიერ შექმნილზე, რომე-  
 ლშიც ჭეშმარიტების ნაპერწკალი ჰკრთის. სწორედ ეს, ჯერჯერობით მიჩქმა-  
 ლული ღვთაებრივი საწყისია ნებისმიერი ფიზიკური სხეულის ჭეშმარიტი არსი



და არა მისი გარეგანი სიბინძურე. ქრისტიანობაც სწორედ ამიტომ განადიდებს ყოველგვარ სხეულში შემოქმედებით საწყისს და იმასაც კი მიიღებს, რაც წარმართულია, მაგრამ განეკუთვნება მარადიულსა და ჭეშმარიტს. „ჩვენ არ ვთვლით წყალობად იმას, რასაც ამქვეყნიური სრულყოფისაკენ მივყავართ, გარდა სხვა ცხოვრებისათვის განვემზადებით. ამიტომ მარადის უნდა ვიღვაწოთ იმის მოხაპოვებლად, რაც ხელს შეგვიწყობს ამ მიზნის მიღწევაში, ხოლო, რაც უსარგებლოა ჩვენი სულისთვის, უნდა განვაგდოთ ვითარცა ყოველად უხმარი და ჩუმი ტვირთი“, — ამბობს მსოფლიო ეკლესიის მოძღვარი წმიდა ბასილი დიდი.

ზემოთ მოცემულ კითხვებზე: არის თუ არა ცხოვრების ჭეშმარიტი არსი გამოხატული მხოლოდ იმ დროს, როცა ჩვენ ვლოცულობთ, საღმრთო საიდუმლოებებში და ღვთისმსახურებაში ემონაწილეობთ? ყველა ჩვენი დანარჩენი მოქმედება ხომ არ არის ჩაძირვა მატერიის უფსკრულში? ამქვეყნიური საქმიანობით ჩვენ ვუახლოვდებით შემოქმედს, თუ პირიქით — განვეშორებით მას? — ამ კითხვებზე ქრისტიანობა ასე პასუხობს:

ამქვეყნიური საქმიანობა თუ შემოქმედება შეიძლება მარადიულში იყოს განფენილი, თუკი იგი მიმართული იქნება მატერიალურში არსებული ღვთაებრივის წარმოსახენად და არა მისი დამახინჯებული, შერყენილი სახის განსადიდებლად. ამქვეყნიური შემოქმედება, მისი მიმართულების კვალობაზე, შეიძლება ან მხსნელი იყოს, ანდა დაძლუპველი. ამიტომ გარემომცველი სინამდვილის გამართლება რელიგიური თვალსაზრისით შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ვაღიარებთ, რომ მასში არის ღვთაებრივი საწყისი, რომელიც მარადიულ კავშირშია შემოქმედთან.

ჩვენი აზრით, ქრისტიანულ სწავლებაზე დაყრდნობით, ფუნდამენტური საკითხების გადაწყვეტის შემდეგ საშუალება გვეძლევა ყველა კონკრეტულ მოვლენაზე ვიმსჯელოთ, მათ შორის — ნაციონალიზმზეც. აქედან გამომდინარე, ჩვენი მსჯელობა ნაციონალიზმზე იქნება სწორედ იმ დადებითი (ანუ ღვთაებრივი) საწყისის ძიება, რასაც თავის არსში შეიცავს ეს მოვლენა.

ნაციონალიზმი — არის ყოველი ერის ინდივიდუალურობა და ყოველი პიროვნების შემოქმედებითი მიმართება ამ ინდივიდუალობისადმი.

ქრისტიანობა ძირფესვიანად შეისწავლის ადამიანს და წარმოაჩენს მის ინდივიდუალობას, სხვათაგან განსხვავებულობას, სწორედ ეს განსხვავებაა იმ მრავალფეროვნების შინაარსი, რითაც ჩვენ გარემომცველი სამყარო წარმოგვიდგება. პიროვნების ინდივიდუალურობა განსაკუთრებული მადლია, რომელიც ადამიანს ღმერთისაგან მოენიჭა, ადამიანი მხოლოდ მაშინ აღვას სწორ გზას, როდესაც ღმერთის სიყვარულსა და სამსახურში ავითარებს თავის ინდივიდუალურ შესაძლებლობებსა და ნიჭს, თუკი ადამიანი თავის არსებაში ჰკეტავს და მარხავს ღმერთისაგან მომადლებულ ნიჭს, იგი ამით არღვევს საკუთარ არსს და ღმერთის ნების საწინააღმდეგოდ მოქმედებს. „ვინც თავიდანვე კეთილად მიიღებს ღვთაებრივ მადლს და გულმოდგინედ გაითავისებს მას ღმერთის განსადიდებლად, იგი სხვა მადლის მიღების ღირსიც შეიქნება, ხოლო ვინც წინა-აღუდგება უფლის ნებას, მას ისიც წაერთმევა, რაც აქვს, და საღმრთო სასჯელიც ეწევა“, — ამბობს წმიდა ბასილი დიდი, და მისი ეს სიტყვები ეყრდნობა ცნობილ სახარებისეულ იგავს ქანქართა (ჭალანტოა) შესახებ: „იღვიძებდეთ უკუე, რამეთუ არა იცით დღე იგი, არცა ჟამი, რომელსა შინა ძე კაცისაი მოვიდეს. ვითარცა იგი რაჟამს წარვალს კაცი და მოუწყეს მონათა თვისთა და მისცის მათ მონაგები თვისი. და რომელსამე მისცა ხუთი ქანქარი და რომელსამე ორი ქანქარი და რომელსამე — ერთი, — კაცად-კაცადსა მსგავსად ძაღისა თვისისა, და მეყსეულად წარვიდა.



ხოლო წარვიდა, რომელმან — იგი ხუთი ქანქარი მიიღო, აქმნია მას ზედა და შესძინა სხვაიდა ხუთი ტალანტი. ეგრეთვე რომელმან — იგი ორი მიიღო, შესძინა სხვაი ორი. ხოლო რომელმან — იგი ერთი მიიღო, წარვიდა და მოთხარა და დაჰფლა ქვეყანასა ვეცხლი იგი უფლისა თვისისაი“ (მათე 25, 13-18). ამ უკანასკნელმა თავისი უფლისაგან სასჯელი მიიღო: „მოუღეთ მაგას ქანქარი ეგე და მიეცით მას, რომელსა აქვს ათი ქანქარი, რამეთუ ყოველსა აქუნდეს, მიეცეს და მიემატოს; და რომელსა არა აქუნდეს და რომელსა აქუნდეს, მო-ვე-ელოს მისგან. და უხმარი ეგე მონაი განხადეთ ბნელსა მას გარესკნელსა. მუნ იყოს ტირილი და ღრჭენაი კბილთაი“ (იქვე, მუხლები 28-30).

ღვთისაგან მომადლებული ნიჭისა და ინდივიდუალობის განვითარებას არამხოლოდ ამართლებს ქრისტიანობა, არამედ სასჯელსაც უწესებს ადამიანს ამის საწინააღმდეგო ქმედებისათვის.

ინდივიდუალობის ქრისტიანულ გაგებას არაფერი აქვს საერთო „ინდივიდუალიზმის“ იხეთ გაგებასთან, რომელიც საკუთარ თავში ჩაკეტვასა და გარესამყაროსაგან მოწვევტას გულისხმობს. ქრისტიანობა უარყოფს ნომინალურ ერთფეროვან „კაცობრიობას“, რომელშიც წაშლილია ყოველგვარი ინდივიდუალობა. იგი აღიარებს არაერთგვაროვან ინდივიდთა ერთობას ქრისტეს ერთიან სხეულში; „და თქვენცა, ვითარცა ღოდნი ცხოველნი, აღეშენებოდეთ სახლად სულიერად“... (I პეტრე 2,5).

ყოველივე ეს, რაც ინდივიდის შესახებ ითქვა, შეიძლება მივაკუთვნოთ ცალკეული ერის ინდივიდუალობას. ჭეშმარიტი ნაციონალიზმი არ ეწინააღმდეგება კოსმოპოლიტიურ ცნობიერებას, ამიტომ ინტერნაციონალიზმი, რომელიც ეროვნული თვითყოფადობის წაშლას ქადაგებს და ესწრაფვის, თავისთავადაა კოსმოპოლიტიზმის უარყოფელი, რომლისკენაც ჭეშმარიტ ნაციონალიზმს მიუყავართ. „უკუეთუ ვინმე თქვას, ვითარმედ: მიყვარს ღმერთი, და ძმაი თვისი, სძულდეს, მტყუვარ არს, რამეთუ რომელსა არა უყვარდეს ძმაი თვისი. რომელი იხილა, ღმერთი, რომელი არა უხილავს, ვითარ ძალ-უც შევეარებად?“ (I იოანე 4, 20). ამიტომ ქრისტიანობა უარყოფს შორეულით მოხიბლვა-გატაცებას იმ დროს, როდესაც ადამიანი არ განიცდის მოყვასის — ახლომოყვის სიყვარულს. ქრისტიანობა გვასწავლის სიყვარულს მშობლიურისა, რომელიც დროთა განმავლობაში ღრმავდება და ძლიერდება. ქრისტესმიერი სიყვარულის განვრცობა შესაძლებელია მთელს მსოფლიოზე. ეს უმაღლესი და სრულყოფილი გრძნობაა, რომელიც მიიღწევა ნაბიჯ-ნაბიჯ, როცა ყოველი გადადგმული ნაბიჯი არ უნდა ნიშნავდეს წინა ნაბიჯის უარყოფას ან დაუიწყებას. საკუთარი მშობლების, ოჯახისა და ახლობლების სიყვარულის მსგავსად, ნაციონალიზმი გარკვეული ეტაპია კოსმოპოლიტიზმისაკენ ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით.

ნაციონალიზმი ყველა ნორმალური ადამიანისთვისაა დამახასიათებელი, იგი ბუნებრივად არსებობს როგორც სიყვარული მშობლებისა და ახლობლებისადმი. ქრისტიანობა კი არ გმობს და უარყოფს, არამედ აღიარებს და ამკვიდრებს სიყვარულს საკუთარი ერისადმი, როგორც ბუნებრივ გრძნობას: „აწ სჯულსა ნუ განვაქარებთა სარწმუნოებითა მით? ნუ იყოფინ! არამედ სჯულსა დავამტკიცებთ“ (რომ. 3,31). თვით მაცხოვარი გვასწავლის: „ნუ ჰგონებთ, ვითარმედ მოვედ დახსნად სჯულისა, გინა წინასწარმეტყველთა; არა მოვედ დახსნად, არამედ აღსრულებად“ (მათე 5,17).

არსებობს ღმერთისაგან მოცემული სჯული, რომელიც წინასწარმეტყველთა მიერ იქნა ჩაწერილი, და არსებობს ბუნებითი სჯული, რომელიც შემოქმედი ღმერთის მიერ ადამიანის გულსა და სინდისშია შთადებული და რომლის შესა-



ხედავ პავლე მოციქული გვეუბნება: „...უხილავი იგი მისი დაბადებითგან სოფლისათო ქმნულთა მათ შინა საცნაურად იხილვების და სამარადისოი იგი ძალი მისი და ღმრთეებაი“... (რომ, 1,20). ეს ბუნებრივი კანონია. სინდისი, გარჩევა ცოდვა-მადლისა, ქმნილი სამყაროს სიმშვენიერის ჭვრეტა და მისით ტკბობა, საკუთარი ოჯახის, ახლობლებისა და ერის სიყვარული. სწორედ ამ რჯულის აღსასრულებლად მოვიდა ქვეყნად მაცხოვარი, ე. ი. რჯულის განსაქმნებლად ღმერთთან ადამიანის შესაერთებლად, და არა – რჯულის გასაუქმებლად.

საკუთარი ერის ან მოყვასის გმობა სჯულისაგან განდგომაა, და აქედან გამომდინარე ქრისტიანობა გმობს ასეთ მოვლენას.

ნაციონალიზმი დიდი მადლია, რომელიც მოელს ერს მოენიჭება. ქვეყნად არსებობენ ისეთი ერები, რომლებსაც განსაკუთრებული დანიშნულება აქვთ ადამიანთა მოღვმის წინაშე. მაგალითად, ასეთი ერი იყო ებრაელობა, რომლის დანიშნულებასაც წარმოადგენდა ღმერთის ჭეშმარიტი რწმენის შენახვა და ამქვეყნად მაცხოვრის სორციელად შობა. ებრაელი ერისთვის ეროვნული თვითყოფადობის შენარჩუნება მთლიანად ემთხვეოდა შემოქმედის მიერ სამყაროსათვის წინასწარგანჩინებულ ისტორიას, რაც წინასწარმეტყველთა მეშვეობით გადაეცემოდა თაობებს. ებრაელი ერი ღვთის რჩეული ერი იყო მანამდე, სანამ იგი საოუთად ინახავდა ღმერთის მიერ ბოძებულ უდიდეს ჯილდოს, რომელიც მის ეროვნულ თვითყოფადობასთან იყო იდენტიფიცირებული. მაგრამ როგორც კი ებრაელობამ უღალატა ღმერთის მიერ დადგენილ საკუთარ ნაციონალურ სახეს, იგი განემორა უფალს. ყველა ერი საღმრთო ჭეშმარიტების სავანეა, და ამ ჭეშმარიტებას იგი განსაკუთრებული მოწიწებით ატარებს მთელი თავისი არსებობის მანძილზე. ყოველი ცალკეული ერი საკუთარ ინდივიდუალობას დიდი სისათუთით ინახავს და იცავს.

შემოქმედი საუკეთესო დასაბუთებაა ნაციონალიზმის გასამართლებლად რელიგიური თვალსაზრისით. ყველა ერიც, რაოდენ მცირერიცხოვანიც არ უნდა იყოს, სამყაროდან უკვალოდ არ ჰქრება. ღვთაებრივი, რომელიც ქმნილებაში ვლინდება და საცნაური ხდება, კი არ ახშობს მის ინდივიდუალობას, არამედ მისი ინდივიდუალობის მეშვეობით ყოველივე ქვეყნიურსა და ნივთიერს ღვთაებრივად გარდააქმნევენებს. ეს განსაკუთრებით მეტაფიზიკური მართლმადიდებლობის აღმსარებელი ერების ისტორიაში. მართლმადიდებელი ქრისტიანობა ერთადერთია, რომელიც მოიცავს ჭეშმარიტებას ყოველ მომენტში სხვადასხვა გამოვლინებებით სხვადასხვა ერში.

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ნაციონალიზმი ერთ-ერთი ეტაპია ყოველი ადამიანისათვის მთელი კაცობრიობისადმი სიყვარულით აღვსების გზაზე. იგი ბუნებრივად ძევს ადამიანში და ამიტომ ქრისტიანობაც მას საღმრთო ნიჭად აღიარებს. ამასია ნაციონალიზმის რელიგიური გამართლება, მიუხედავად იმისა, რომ ეს მოვლენა დროდადრო დამახინჯებულიცაა ხოლმე და გაუკულმართებელიც უკეთურ ადამიანთაგან.

კრებული „Путь“ – პარიზის ფილოსოფიურ-რელიგიური აკადემიის კრებული.





## გადაღობთ სეხსლისათვის

რომანი

ესპანურიდან თარგმნა ედუარდო ახვლედიანმა



ურუგვაელი მწერლის მარიო ბენედეტის (1920) წინამდებარე რომანმა ბარსელონის ერთ-ერთი უდიდესი გამომცემლობის მიერ გამოცხადებულ ლიტერატურულ კონკურსზე პირველი პრემია დაიმსახურა, ხოლო თავად ავტორს, შეიძლება ითქვას, საბოლოოდ დაუმკვიდრა თანამედროვე რეალიზმის „დიდი“ რომანის ერთ-ერთი ბრწყინვალე წარმომადგენლისა და ყველაზე საკითხავი მწერლის სახელი არა მარტო ურუგვაიში, არამედ მთელს ესპანურენოვან სამყაროში.

რომანში საზოგადოებრივი კრიზისისა და რღვევის ფონზე უდიდესი ოსტატობითაა გადმოცემული ერთ-ერთი ცნობილი ოჯახის ამბავი. აქ ერთმანეთის შიშართ მტრულად განწყობილი სამი თაობაა წარმოდგენილი: მამა, შვილი და შვილიშვილი. მამა — „ბებერი“ ეღმუნდო ბუდინიო ძლიერთა ამა ქვეყნისას განეკუთვნება. იგი არის ერთ-ერთი გახეთქისა და ფაბრიკის მფლობელი, შანტაგებისა და ათასგვარი მაქინაციების ოსტატი. შვილი — რამონ ბუდანიო ძლიერი მამის მიერ დათრგუნული და გასრესილი უძლური და ემოციური კაცი. და ბოლოს, შვილიშვილი გუსტავო ბუდინიო თავისი პოლიტიკური მრწამსით მემარცხენე ყმაწვილი გახლავთ.

რომანის მთავარი გმირია შვილი რამონ ბუდინიო, როგორც ზემოთ ითქვა, უძლური და ემოციური კაცი. საერთოდ, უძლურების თემას რომანში ლამის სიმბოლური მნიშვნელობა აქვს. მთავარ სოციალურ-ზნეობრივ პრობლემების ფონზე გამოკვეთილად არის ნაჩვენები „ბებრის“ ფიზიკური უძლურება (თუმცა ავტორმა ეს მას ხელს არ უშლის) და შვილის სულიერი უძლურება: იგი ხედავს ირგვლივ გამეფებულ სიბინძურებას, მაგრამ ძალა არ შესწევს მასთან ბრძოლისა. იგი არ არის გმირი, არ ძალუძს რაღაც დიდი მოიმოქმედოს, თუმცა ამბოხებულ სულში ავადმყოფური ცეცხლი უკვე იწყებს გაღვივებას და მისი მხურვალე ალი სადაცაა ბუდინიოების მთელ ოჯახს მოედება.

ქართველ მკითხველს შესაძლებლობა ჰქონდა ჟურნალ „საუნჯის“ ფურცლებზე გასცნობოდა მარიო ბენედეტის ერთ-ერთ გაბმავრებულ რომანს — „სულის მოთქმა“ (№ 5-6, 1992 წ.).

რაც შეეხება წინამდებარე რომანის სათაურებს: — ქართული ენისთვის თითქოს მიუღებელია ამ ფორმით ნაღლობის თქმა სიგარეტის მოკიდებას. მაგრამ რაკი ეს სიტყვები მწერალს ერთ-ერთი დიალოგიდან აქვს გამოტანილი რომანის სათაურად და ამასთან, სიტყვა „ცეცხლის“ შინაარსობრივი დატვირთვა ვააჩნია, ჩვენც პირდაპირ ვთარგმნეთ იგი (მთარგმნ.).

აი, ასე, ბნელში, ნისლსა და სიკვდილში.

ლიბერ ფალკო<sup>1</sup>

მე ვარ კაცი მიწიერი

და ყოველივე მიწიერი თავისკენ მიხმობს.

უმბერტო მევკეტი<sup>2</sup>

ოცნებებს ჩვენსას სიზმრებში ესხმოდა

ფროები.

ხუან კუნია<sup>3</sup>

ბროდვეიზე, ასმეცამეტე ქუჩაზე, მართალია, ცოტა გადაუცხოებულ, მაგრამ მაინც ესპანურად ლაპარაკობენ და, შეიძლება ითქვას, მარტო ლაპარაკობენ კი არა, — ფიქრობენ, ღაღიან და ჭამენ კიდევ ესპანურად. სულ რაღაც ორიოდე კვარტალს იქით თუ ინგლისური აბრები იწონებენ თავს, აქ უკვე ესპანური წარწერები ბატონობენ. თუ ორმოცდამეორე ქუჩაზე იმ ფილმებს უჩვენებენ, რომ-

1. 2. 3. ურუგვაელი პოეტები.



ლებშიც ჩრდილოამერიკელი კინომსახიობები მარლონ ბრანდო, კიმ ნოვაკი და პოლ ნიუმენი მონაწილეობენ, სამაგიეროდ ამ ქუჩის კინოთეატრები სამხრეთ-ამერიკელი და ესპანელი კინომსახიობების პედრო არმენდარიზის, მარია ფელიქსის, კანტინფლანსისა და კარმენ სევილიას უზარმაზარი სურათებითაა ატარებული.

ათას ცხრაას ორმოცდაცხრამეტი წლის აპრილის პარასკევი სულაძის ქალაქი და ცა უკვე აღარ ჩანს, მაგრამ დაბლა ჰაერი არც ისე დახუთულებულია. მანკეტენის ამ უგრძესი ქუჩის ეს მონაკვეთი ნეონის რეკლამების სიმრავლით არ გამოირჩევა, მაგრამ ამ მცირე შუქზეც კარგად ჩანს ნაირფერად ფრთებაჭრელებული მოფარფატე ფარვანები. ბროდვეის ესპანური ჰარლემი სიმდიდრითა და ფერადოვნებით ბევრად ჩამორჩება მედისონ ავენიუსისას და ალბათ ამიტომაც არ ეტანებიან აქაურობას აიდაპოელი და ვაიომინგელი ტურისტებიც. აქ მხოლოდ პუერტორიკოელებს თუ გადაუღებენ სურათებს თავიანთი „კოდახრომებით“, თორემ სხვაფრივ დიდი არაფერი მისაზიდი ადგილია მათთვის.

ის დროა, როცა ოჯახურ კერებში ბრუნდება ხალხი, თუ შეიძლება ოჯახური კერა ეწოდოს ამ დარიბულ მრავალბინიან შენობებს. ღია ფანჯრებში დამსკდარ-დანესტიანებული კედლები, არეულ-დარეული საწოლები, აღნავლებული, წვინტლიანი, ფეხშიშველი ბავშვები ჩანან. აქა-იქ ქონითა და ნაყინით დალაქავებული ტელევიზორების ეკრანებიც ციმციმებენ.

ღარიბი უბანია, ხალხიც ღარიბია. მინგრეულ-მონგრეულ შენობებს არ შეეხედება. კოკა-კოლას მაქებარი მოძლიმარი სახის გვერდით ვილაცას ცარცით წაუწერია: გაუმარჯოს ალბისუ კამპოსს.<sup>1</sup> უსინათლო კაცი აუჩქარებლად მი-აბიჯებს და მის თუნუქის კოლოფში ხანგამოშვებით ცვივა მონეტები. დიდი ნეონის აბრა — „რესტორანი ტეკ...ლა“<sup>2</sup> (ასო ი ჩამქრაღია) უცხო სხეულივით ჩანს აქაური სილატაკის ფონზე. მართალია, არც ისე ძვირფასი რესტორანია, მაგრამ გარეთ, კარზე გამოკიდულ შავ ჩარჩოში ჩასმულ პრეისკურანტს თუ გადაავლებს კაცი თვალს, მაშინვე მისვდება, რომ ესპანური ჰარლემის ვერცერთი მობინადრე ვერ შესძლებს იყოს ამ რესტორნის არა თუ ხშირი, არამედ იშვიათი სტუმარიც კი. თანაც, არც მთლად პუერტორიკოული რესტორანია — ცოტა მოლათინურამერიკული და ცოტა მორალაცო. ჯერ ადრეა, მაგრამ მაგიდები მაინც გაუწყვიათ: თეფშები, დანა-ჩანგალი, ხელსახოცები დაულაგებიათ. ჯერ-ჯერობით მხოლოდ ერთ მაგიდას მისხდომია ვილაც ქალ-ვაჟი და ერთმანეთზე თავმიდებული ჩასჩერებიან მენიუს.

ბროდვეიზე გამავალ დარბაზში ხუთი ოფიციანტი უკვე მზადაა ოცდაათ მაგიდას მოემსახუროს. სიღრმეში ორფრთიანი კარია, რომელიც საგანგებო შესვედრებისთვის განკუთვნილ საბანკეტო დარბაზში გადის. აქ უკვე თხუთმეტ კაცზე გაუწყვიათ სუფრა. მეორე, ერთფრთიან კარს მიღმა სამზარეულოსკენ მიმავალი ვიწრო დერეფანია. დერეფანში კედლის თაროზე ტელეფონი და ბან-დერილიებით დანხვლეტილი ხარის ქანდაკება დგას.

1. პედრო ალბისუ კამპოსი (1891-1965) პუერტორიკოელი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მოღვაწე.

2. ტეკილა — ვულკანი მექსიკაში.



ტელეფონი რეკავს, სამზარეულოდან ხოსე გამოდის. იგი ესპანელია, კარგა ხანია ნიუ-იორკში ცხოვრობს და ისე შეეწყო აქაურობას, რომ ესპანურად ლაპარაკისას უკვე ინგლისურ სიტყვებს ურთავს.

— ალო. დიახ, რესტორანი „ტეკილაა“, Speaking. Ah you speak' ესპანურად? დიახ, სენიორა. არა, სენიორა. დიახ, სენიორა. ვველაფერი/ეროვნული გვაქვს, of course<sup>2</sup>. არა, სენიორა. პირველი ხარისხისაა, რამდენი გრინგოს მოპატივება გსურთ? დიახ, სენიორა. არა, სენიორა. დიახ, ტენიორა, ტენიორა, ტენიორა<sup>3</sup> იქნება. Typical, you know<sup>4</sup>. გაიტებზეც<sup>5</sup> ვიზრუნებთ, ნიკარაგუელ გაიტებზეც<sup>6</sup> დიახ, დიახ, რა თქმა უნდა, აბა, უამისოდ როგორ იქნება! თქვენ არ შეწუხდეთ სენიორა, ეგ საქმე ჩვენ მოგვანდეთ. რომელ დღეს გნებავთ? Next Friday?<sup>6</sup> ო'კეი, სენიორა. ახლავე ჩავიწერ. რა ბრძანეთ? აჰ, დიახ, საკომისიო You mean' თქვენი საკომისიო? მოგვიანებით დარეკეთ. ამ საკითხზე პირადად მენეჯერს უნდა დაელაპარაკოთ, იკითხეთ მისტერ პეტერი, პეტერ გონსალესი. ამ საქმეს ის განაგებს. დიახ, გასაქებია Bye-bye<sup>6</sup>.

ხოსე დარბაზში შედის, ხუთივე ოფიციაანტს გამჭოლად, გამომცდელად გადახედავს, აქაოდა, მზად თუ არიანო. შემდეგ ხელსახოცების დაკეცვას იწყებს. ძლივს ასწრებს რამდენიმე ხელსახოცის ჩამორიგებას, რომ კვლავ რეკავს ტელეფონი:

— ალო. რესტორანი „ტეკილაა“. Speaking-ო, ბ-ნო ელჩო, როგორ ბრძანდებით? თავი რატომ მოგვანატრეთ? თქვენი მეუღლე როგორ არის? გულთ მიხარის, ბ-ნო ელჩო. დიახ, ბ-ნო ელჩო. ახლავე ჩავიწერ, ბ-ნო ელჩო. აბა, მითხარით, ბ-ნო ელჩო. პარასკევს? დიდად ვწუხვარ, ბ-ნო ელჩო. ამ დღეს დარბაზი დაკავებულია. დიახ, შეკვეთილიცაა და შეპირებულიცა ვართ. ვინ შეუკვეთა? ზუსტად არ ვიცი, ბ-ნო ელჩო. მგონი, მაიამელი კუბელები უნდა იყვნენ. თანაც ძალადი ჩანგისა. რა თქმა უნდა, ბ-ნო ელჩო. სწორედ მაგის თქმა მინდოდა, რომ მნიშვნელოვანი, საგანგებო შეხვედრაა. თქვენ კი, უბრალოდ, დროს გასატარებლად გინდათ შეიკრიბოთ. მართალს ბრძანებთ, ბ-ნო ელჩო: ვველგან და ყოველთვის ჯერ საქმე და მერე დროსტარება. ვიცოდი, გაგებით მოეკიდებოდით... ო, დიახ, არავის ვეტყვი, თუკი თქვენ ასე გსურთ. გრინგოები? ზუსტად ვერ ვეტყვით, ბ-ნო ელჩო, გრინგოები მოვლენ თუ არა, მაგრამ ვილაცა ალბათ მაინც მოვა მათი წარმომადგენელი. არა, ბ-ნო ელჩო, ამას ვერ ვეტყვით. პროფესიული საიდუმლოებაა. განა თქვენ კი მომიწონებდით, ვველასათვის რომ შეთქვა, ათას ცხრაას ორმოცდაჩვიდმეტი წლის ივნისში ბ-ნი ელჩო აქ სამჯერ მაინც ბრძანდებოდა ერთ ვილაც ლამაზმანთან ერთად და თანაც

1. გისმენო... აჰ, თქვენ ლაპარაკობთ... (ინგ.).
2. რა თქმა უნდა (ინგლ.).
3. დაირისმაგვარი საკრავი.
4. ტიპიურია, იცით (ინგლ.).
5. სტვირისმაგვარი საკრავი.
6. შემდეგ პარასკევს? (ინგლ.).
7. თქვენ მხედველობაში გაქვთ... (ინგლ.).
8. დროებით, ჯერჯერობით, ნახვამდის... (ინგლ.).



ეს ლამაზმანი ბარბუდოსების<sup>1</sup> თანამოაზრე აღმოჩნდა-მეთქი? არა, ბ-ნო ელჩო, ეგ როგორ იფიქრეთ, მშვიდად ბრძანდებოდეთ. ეს ისე ვთქვი, მაგალითისთვის, თორემ განა თქვენ არ იცით, რომ ენაზე კბილის დაჭერა შემძლია? გზადლობთ, ბ-ნო ელჩო, დიდად გზადლობთ. ვიცოდი, გაგვიკებდით, მაშინ შემდეგი შაბათისთვის ჩავწერო. ო' კეი, ბ-ნო ელჩო, ყოველივე კარგს გისურვებთ. დიდი მოკითხვა გადაეცით თქვენს მეუღლეს.

იგი დარბაზში შესვლას ვერ ასწრებს, რომ ტელეფონი ისევ წვრილდება ხოლმე სულაც არა ჰგავს ბედსდამორჩილებულ, უკმაყოფილო გატანჯულ კაცს. პირიქით მან იცის, რა დიდად საპასუხისმგებლო მოვალეობა აკისრია ამ რესტორანში და ამიტომაც მიიბღინებდა ახლა კვლავ ტელეფონისკენ.

— ალო, რესტორანი „ტეკილაა“. Speaking... ოჰ, პეტერ, პედრო, შენა ხარ? სადა ხარ, კაცო, აქამდე? არა, არაფერი მომხდარა, მაგრამ ცოტა ადრე რომ დაგერეკა, სჯობდა. ვინა? ურუგვაელებიო? არა, ჯერ არ მოსულან. მოვლენ აბა, რას იზამენ. არგენტინელებით მხარჯველები არიან თუ პარაგვაელებით წუწურაქები? არც ისე წუწურაქები? უბრალოდ, მინდა ზუსტად ვიცოდე... განა ცუდია, ზუსტად იცოდე, ვინ რა არის? დამშვიდდი, რა თქმა უნდა, დარეკვს. დარეკა აი იმან, ბებერმა კაჭკაჭმა. ასე თქვა, თხუთმეტამდე გრინგოს მოვიყვანო. ყველანი დულუტელი<sup>2</sup> როტარისტები<sup>3</sup> არიან. კი, შევპირდი. თვითონ დაგირეკავს. საკომისიოს მოთხოვს. ჩემი მოკრძალებული რჩევაა, მივცეთ. ყოველთვის ბევრი სტუმარი მოჰყავს ამ ანდალუზიელ ქალს. ო, რა მახინჯი და ეშმაკია. ჰო, გრინგოებს ჩვენი ფოლკლორი მოსდომებიან თურმე. მერე ელჩმაც დარეკა. როგორ თუ რომელმა? დიპუტამ, მარიხუანას რომ აპლაკუნებს, იმან. არ მითხრა ახლა, ტელეფონში ჩამიკაკლავო top secrets<sup>4</sup>. საბანკეტო დარბაზი ითხოვა პარასკევისთვის, მაგრამ რაკილა ბებერ კაჭკაჭს შევპირდი, თანაც ვიცოდი საქმის გართულება არ ვიყვარს, ასე ვუთხარი, მაიამელ კუბელებს აქვთ-მეთქი შეკვეთილი. ხომ კარგად მითქვამს? არა მგონია, იმ დიპუტამ სახელმწიფო დეპარტამენტთან მოინდომოს საქმის დაჭერა. ხომ კარგად მითქვამს? ო' კეი. შაბათისთვის ჩავწერე, რა თქვი? ამ დღეს გვატემალელები მოვლენო? რომლები, არბენსისტები<sup>5</sup> თუ იდიგორასისტები<sup>6</sup>? ჯანდაბას მაგათი თავი! რატომ არ გამაფრთხილე? ჰო, კარგი, კარგი. რაღაცას მოვახერხებ, ხვალ დაველაპარაკები ელჩს და კვირისთვის ჩავწერ. სხვა არაფერია ახალი. Bye-bYe.

1. ასე ეძახდნენ ფიდელ კასტროს მეამბოხე ჯარისკაცებს (ესპ. barbudos-წვეროსნები).
2. ქალაქი მინესოტის შტატში (აშშ).
3. როტარისტები იმ საზოგადოების წევრები არიან, რომელიც 1905 წ. ჩიკაგოში დააარსეს საქმიანმა ადამიანებმა „მოყვასთა ხასიკეთოდ“. კათოლიკური ეკლესია კრძალავდა ამ საზოგადოებაში გაერთიანებას მასონობასთან მისი სიანხლოვის გამო.
4. მნიშვნელოვანი ხაიდუმლოებები (ინგლ.).
5. არბენსისტები — გვატემალის პროგრესული სახელმწიფო მოღვაწის ხაკობო არბენს კუსმანის (1931-1971) მომხრეები.
6. იდიგორასისტები — გვატემალის რეაქციონერი პრეზიდენტის (1956-1963) მიგულ იდიგორას ფუნტესის მომხრეები.



ოთხი მაგიდა უკვე შეივსო. ერთი ავლავუდა ოფიციალტი უსაქმოდ დგას და ეს იძულებით უსაქმურობა რომ რაღაცით შეავსოს, ნეკა თითო ცხვირს მოკრძალებულად იჩიჩქნის. დანარჩენი ოთხი კი დარბაზსა და სამზარეულოს შორის მიდი-მოდის დინჯად, აუჩქარებლად ვტყობა, ძალას იზოგავენ: ხალხი სომ სადაცაა მოაწყდება რესტორანს, ამასობაში კიდევ ერთ მაგიდას მიუსხდნენ სამნი — აპრილის საღამოსთვის ერთობ თბილად ჩაცმული კაცები. მეხუთე ოფიციალტი მარცხენა ნახევარში ნეკა თიოს იღებს და ღიმილით მიემართება მათკენ.

თხუთმეტოდე წუთში სმაურით, სიცილითა და შემახილებით დარბაზში შედის რვა, ათი, თხუთმეტი კაცი.

— ბატონებო, თქვენ ურუგვაელები ხართ? — ბუზღუნებს ხოსე.

— დიახ, დიახ! — ლამის შვიდი კაცი პასუხობს ერთად.

სამოციოდე წლის მსუქანი, ჭემოვნებით ჩაცმული მამაკაცი წინ დგამს ნაბიჯს.

— მე ხუაკინ ბალიესტეროსი ვარ. გასულ კვირას შეგიკვეთეთ მაგიდა ცალკე დარბაზში.

— დიახ, დიახ. აქეთ მობრძანდით, — ხოსე და ცხვირის მჩიჩქნავი ოფიციალტი ორფრთიან კარს აღებენ და მანამდე უჭირავთ გაღებულო, ვიდრე ბალიესტეროსი და მისი თანამეინახეები არ შელაგდებიან დარბაზში. სულ რვა კაცია და შვიდი ქალი. ბალიესტეროსი ხელმძღვანელობს სტუმრების განაწილებას მაგიდასთან:

— კაცი, ქალი, კაცი, ქალი... ასეთ დროს და ასეთ ადგილას ასეთი წესი მისაღებიცაა და სასიამოვნოც.

ქალები კისკისებენ.

— ბალიესტეროს, ეგ წესი ძალიან კარგია, მაგრამ თუ თითოეულის სახელსა და გვარს გამოაცხადებთ და ისე მიგვიჩინთ ადგილებს, აჯობებს. ეს ერთგვარი გაცნობც იქნება ერთმანეთისა, — ამბობს ერთი მამაკაცი.

— ასეც მოვიქცევი, ოკამპო. მეგობრებო, ჩემი იღვა იყო, აქ შემეკრიბეთ ის თხუთმეტი ურუგვაელი, სხვადასხვა მიზეზთა გამო ნიუ-იორკში რომ ჩამობრძანდით. შემეკრიბეთ და გამეცნეთ ერთმანეთისთვის. თუმცა ზოგიერთებმა მოასწრეს უკვე ერთმანეთის გაცნობა, მე მაინც მივევები ოკამპოს რჩევას და გვარსა და სახელს გამოვაცხადებ. ჩემ მარჯვნივ მირტა ვენტურაა, მირტას გვერდით პასკალ ბერუტი, ბერუტის გვერდით ხელიკა ბუსტოსი, ბუსტოსის გვერდით აგუსტინ ფერნანდესი, ფერნანდესის გვერდით რუთ ამესუა, ამესუას გვერდით რამონ ბუდინიო, ბუდინიოს გვერდით მარსელა ტორეს დე სოლისი, მარსელას გვერდით კლაუდიო ოკამპო, ოკამპოს გვერდით ანხელიკა ფრანკო, ფრანკოს გვერდით ხოსე რეინახი, რეინახის გვერდით ვაბრიელა დუპეტტი, დუპეტტის გვერდით სებასტიან ავილარი, ავილარის გვერდით სოფია მელოგნო, მელოგნოს გვერდით ალესანდრო ლარალდე, ალესანდროს გვერდით კი მე — თქვენი მონა-მორჩილი ხუაკინ ბალიესტეროსი.

— თქვენ ედმუნდო ბუდინიოს ნათესავი ხართ? — ეკითხება რამონ ბუდინიოს მის მარცხნივ მჯდომი რუთ ამესუა.

— მისი შვილი ვარ.

— თქვენ გაზეთის მფლობელის ედმუნდო ბუდინიოს შვილი ხართ? — ამჯერად რამონ ბუდინიოს მარჯვნივ მჯდომი მარსელა ტორეს დე სოლისი ვერ ფარავს განცვიფრებას.



— დიახ, გახეთისა და ფაბრიკის მფლობელის.

— ო, ე. ი. თქვენ დიდი ვინმე ყოფილხართ, — რუთის ზურგს უკან იქაჩება ფერნანდესი.

— შე ალბათ — არა, უფრო — მამაჩემი. მე მხოლოდ ტურიზმის სააგენტოს მფლობელი ვარ.

კერძების შერჩევაზე თავი არავის შეუწუხებია, ესეც ბალიესტეროსმა ითხოვა: ხორციანი პამიდორი, „თევზი გენურად“, „ბრინჯი კუბურად“, და ხილის ნაყინი შეუკვეთა.

— ვეცადე მსუბუქი კერძები შემერჩია, — ამბობს ბალიესტეროსი ცივი საუზმეულის შემოტანისას, — ყველას კარგად მოგვეხსენება ურუგვალების ღვიძლის ამბავი.

— კიდევ კარგი, ღვიძლი ახსენეთ, თორემ ჩემი აბები დამავიწყდებოდა, — ამბობს ხოსე რეინახი.

— იყიდეთ რამე? — სოფია მულოგნოს ლამის ათი წლით აახალგაზრდავებს ღიმილი.

— მე მხოლოდ ელექტროსაქონელი შევიძინე. — ამბობს ბერუტი.

— სად შეიძინეთ, „ჩიფორაში“?

— რა თქმა უნდა.

ხელიკა ბუსტოსი ბერუტისკენ იხრება და დარცხვენილი ხმადაბლა ეკითხება, „ჩიფორა“ რა არისო.

— როგორ, „ჩიფორა“ არ იცით რა არის? სავაჭრო ცენტრია მეხუთე ავენიუზე. ლათინოამერიკელებს იქ საკმაოდ ფასდაკლებით აძლევენ საქონელს.

— თუ შეიძლება მისამართი ჩამაწერინეთ.

— კი, ბატონო. მეხუთე ავენიუ, 286.

— ხომ არ გკონიათ, იქ მარტო ელექტროსაქონლით ვაჭრობენ? — ამჯერად ბალიესტეროსი უჩურჩულებს ყურში ლარალდეს. — იქ ერთი კუბელი ბიჭი მუშაობს და იმ ბიჭს ჭკუისშემშლელი გოგოები ჰყავს.

— მართლა? ახლავე ჩავიწერ მისამართს.

— ჩაიწერეთ: მეხუთე ავენიუ, 286.

ის კუბელი როგორ მოვძებნო?

— იმ კუბელი ბიჭის სახელი არ ვიცი, არც გინდათ. შეხვალთ თუ არა, მაშინვე დაინახავთ. მარჯვნივ ტელევიზორებისა და რადიოების სტენდია, მარცხნივ ქალის წინდების სტელაჟი. ის ბიჭი სტენდის უკანაა; შავი, გამხდარი, გველისთვალება ბიჭია.

— პირდაპირ აღტაცებული ვარ! — მირტა ვენტურა ბერუტის მაჯის საათზე — „ლონჯინს“-ზე დებს ხელს. — სულ რაღაც ერთი კვირაა აქა ვარ და ჩემს აღტაცებას საზღვარი არ აქვს უკვე. ო, რა დიდებულია „რადიო-სიტი“! ორკესტრი ხან გამოჩნდება, ხან იმალება. ორგანზე დამკვრელს ხომ ნუ იტყვიო!.. ხალიჩებს არ იკითხავთ? სიარულისას ლამის შიგ ეფლობი.

— „რადიო-სიტიო“? ეს 'ის უზარმაზარი დარბაზი ხომ არ არის, სადაც ანსამბლი „როკეტსი“ ცეკვავს? — კითხულობს აგილარი მაგიდის მეორე მხრიდან.

— სწორედ ის არის, — ქახუხობს ბერუტი. — უმაღლესი კლასია, ხომ მართალია?

საქართველოს  
კარგადმშენების  
მართვის  
გეგმვის



— ამ დღეებში დავესწარი მათ კონცერტს და უნდა გითხრათ, მართლაც უმაღლესი კლასია. ურუგვაელებს რომ არაფერი გაგვაჩნია და მონტევიდეოს რომ დიდი არაფერია, ეს ვიცით, მაგრამ ამისხენით, ბერუტი, ბუენოს აირესში, სადაც ლამის ყველას კუდი ყავარზე აქვს გადებული, აი, სწორედ იმ ბუენოს აირესში თუ აქვთ ისეთი რამ, ანსამბლ „როკეტს“ რომ შეედრება?

— თქვენ რა გაქვთ მხედველობაში, ფეხები თუ წახრები?

— ერთიცა და მეორეც. გაიხსენეთ მონტევიდეოს მფუნსკოლდე „მაიპო“ და ნახავთ თუ მაშინვე ტირილი არ მოგინდებათ.

— გააჩნია, როდის იყავით „მაიპოში“. მე, მაგალითად, მახსოვს, ორმოცდათხუთმეტში იქ ორი გადასარევი შავგვრემანი გოგო ცეკვავდა.

— გადასარევიო? რით? სიფაშფაშით?

— მაგითაც და სხვა რაღაცითაც.

— ჰო, ეგ გემოვნების საკითხია. მე, მაგალითად, მსუქანი გოგოები არ მომწონან, უფრო თანამედროვე სტილის გოგონებზე მიმდის გული, აი, ისეთებზე „როკეტის“ მოცეკვაელები რომ არიან.

— კი, ნამდვილად გემოვნების საკითხია, მეც მომწონან თანამედროვე, სტილის გოგონები, მაგრამ მაინც კარგია ხელში რომ მოგყვება რაღაცა.

გაბრიელა დუპეტითი გუჰანით ხვდება, ეს სიტყვები მის გასაკონად რომ ითქვა და იღუძალი კმაყოფილებით სავსე ამბობს:

— მე მგონი, ასეთ რამეებზე მხოლოდ მამაკაცთა წრეში ლაპარაკობენ. ასე არ არის?

— მართალს ბრძანებთ, — ამბობს ბერუტი და ცოტა უხერხული სიჩუმეც დგება.

მაგრამ სიჩუმეს მალე არღვევს დანა-ჩანგლის წკარუნი და ოკამპოს ყელში გადახული ღვინის ხმაურიანი ბუებუვი. გაკვირვებული და გამხიარებული სტუმრების ყურადღებას მთელი ათი წამი იპყრობს მისი აღმა-დაღმა მოძრავი ადამის ვაშლი.

— შესანიშნავი ღვინოა, — ოკამპო მხოლოდ ახლაღა ამჩნევს, ყველა რომ მას შესცქერის.

მაგიდის მარცხენა ფრთაზე იცინიან და რეინახიც თავს მოვალედ მიიჩნევს საუბარში ჩაერიოს:

— ერთი რამ მართლაც საოცარი აქვს ამ ქვეყანას: იმითაც კი მდიდარია, რაც არა აქვს. თუ კალიფორნიული ღვინო არ მოგწონს, და მართლაც არ არის მოსაწონი, არჩევანი შენზეა: შეგიძლია ნებისმიერი ქვეყნის ნებისმიერ ღვინოს გაუსინჯო აქ გემო. სწორედ გუშინ ვიყიდე ერთი ბოთლი „ტოკაი“. ეს კი, როგორც მოგეხსენებათ, კომუნისტური ღვინოა. საიდან სადაო, არა? ხომ წარმოგიდგენიათ, რას ნიშნავს, როცა შეერთებულ შტატებში ნებადართულია გაიყიდოს კომუნისტური ღვინოები?

— იქნებ შენობით გველაპარაკა, — ეუბნება ფერნანდესი თავის გვერდით მჯდომ რუთ ამესუას.

— როგორც ვინდათ, — ქალი უაზროდ აცქერდება თავის საათს, რომელიც თერთმეტის ოც წუთს აჩვენებს. ასევე უაზროდ შეეძლო მას, ვთქვათ, ეკბინა ტუჩზე, ან მოეფხანა ცხვირი.

— ჩემი აზრით, თუ თავიდანვე არ დაიწყე შენობით ლაპარაკი, მერე გაგი-



ბნელდება, — ფერნანდესი ჩანგალს დებს, რომელზეც ბარდის მარცვალია წა-  
მოგებული და ქალიშვილს ფრთხილად ეხება იდაყვამდე მოშიშვლებულ ხელზე.

— აბა, აბა, ეგეთები არ იყოს, — ეუბნება ქალიშვილი საყვედურითაც და  
გამომწვევადაც.

ფერნანდესი ბოდიშობს, მერე უხალისოდ იღებს თავის ჩანგალს, მაგრამ  
ბარდის მარცვალი უსხლტება და ასეთივე მარცვლებით დატენილ კაშკაშებში  
უვარდება.

— მაშასადამე, თქვენ გათხოვილი ხართ, ხომ? — ეკითხება ბუდინიო ქ-ნ  
სოლისს.

— სახეზე არ მეტყობა?

— განა გათხოვილ ქალებს განსაკუთრებული სახეები აქვთ? არ ვიცოდი.  
მე მხოლოდ ის ვიცი, რომ თქვენ ძალზე ახალგაზრდა ხართ.

— არც ისე ახალგაზრდა, ბუდინიო. ოცდასამი წლისა ვარ.

— აუ, რა ბებერი ყოფილხართ!

— თქვენ იცინით, მე კი ზოგჯერ მართლა ბებერი მგონია თავი.

— კარვად მესმის თქვენი, მეც ზოგჯერ ახალგაზრდა მგონია თავი.

— კარგით ერთი, ბუდინიო, ყმაწვილის სახე გაქვთ.

ბუდინიოს მარცხნივ რუთის ნერვიული ხმა ისმის:

— რატომ შენობით არ ლაპარაკობთ ჩვენსავით?

რამონი და მარსელა შეთქმულებით შესცქერიან ერთმანეთს.

— ჯერ არ გვიმსჯელია ამ შესაძლებლობაზე, — ამბობს ბუდინიო, — მა-  
გრამ ალბათ ძალე ვიმსჯელებთ.

— მართლა? — წამწამებს აფახულებს მარსელა.

— რა თქმა უნდა, თუ ეს ოცი წლის განსხვავება არ შეგიშლით ხელს.

— შეგიშლით?

— მინდოდა შეთქვა: შეგიშლის.

— არა, არა. გარწმუნებ, არ შემიშლის.

— თქვენ გეკითხებით, — მაგიდის მეორე მხარეს ამბობს სოფია მელოგნო —  
რატომ ვართ ასეთი შარიანები, რატომ ვაკრიტიკებთ შეერთებულ შტატებს?  
ეს ხომ მართლაც არაჩვეულებრივი ქვეყანაა. ხალხიც დიდიდან საღამომდე  
შრომობს. მონტევიდეოელებს კი არ ჰგვანან: ერთ გაფიცვას რომ ამთავრებენ,  
მეორეს იწყებენ. უნდა ვადიაროთ, საუბედუროდ, ჩვენი მუშები ხროვაა და მე-  
ტი არაფერი. აქ კი მუშა შეძლებული კაცია. მან იცის, რომ მუშის ხელფასი  
დამოკიდებულია იმ კაპიტალზე, რომელიც სამუშაოს აძლევს და ამიტომაც  
უფრთხილდება მას. არ მითხრათ ახლა, ურუგვაიშიც დიდიდან საღამომდე მუ-  
შაობენო.

— მე მგონი, მხოლოდ თქვენ მუშაობთ, სენიორიტა, — საუბარში ერთვება  
ლარალდე. — ყოველ შემთხვევაში, მაშინ მაინც, როცა ცდილობთ საკუთარი  
აზრები გაავრცელოთ.

— უადგილოდ ხუმრობთ, ლარალდე. ძალიან კარვად მოგეხსენებათ, უშ-  
რომლადაც რომ არა მიჭირს რა.

— მე კი მეგონა...

— ეგლა გვაკლია, ღირსეული ოჯახის ქალიშვილები სადმე კანტორებში  
ვმუშაობდეთ. ეს ხომ იმას ნიშნავს, დაემშვიდობო ქალურობას.

— გაახნია ვინ როგორ უყურებს ამ საქმეს, სენიორიტა. ზოგ ქალს ურჩე-  
ვნია ქალურობას დაემშვიდობოს, ვიდრე შიმშილით მოკვდეს.



— თქვენ კომუნისტი ხართ, ლარალდე?

ბერუტი მირტა ვენტურას ეარშიეება, ფერნანდესი — რუთს, სელიკა თავის მარჯვნივ და მარცხნივ მსხდომების ზურგს შესცქერის და თავს ეუღლად გრძნობს. მერე უცებ გადაწყვეტს დაელაპარაკოს ავილარს, რომელიც სწორედ ამ დროს მისკენ იხედება.

— ნიუ-იორკში რას აკეთებთ?

— ნიუ-იორკში მხოლოდ გავლითა ვარ. ისე, ვაშინგტონში ვცხოვრობ.

— მაშინ რას აკეთებთ ვაშინგტონში?

— ციფრებს.

— ვერ გავიგე. მოანგარიშე ხართ, ინჟინერი თუ კანტორის მოხელე?

— არქიტექტორი.

— ოჰო!

— ამერიკულ სახელმწიფოთა ორგანიზაციაში ვმუშაობ.

— მოგწონთ თქვენი სამუშაო?

— დიახ, ძალიან.

— მაინც რას აკეთებთ?

— ქალაქებს ვაპროექტებთ, უმეტესად სუსტად განვითარებული ქვეყნებისას.

— აჰა, გასაგებია, ე. ი. უნდა გააშენოთ ანტისეპტიკური, სიმეტრიული, სუფთა ქალაქები, რომლებიც ერთმანეთს ემგვანებიან და არავითარი განსხვავებული ნიშან-თვისება მათ არ ექნებათ.

— განა ეს არა სჯობს ჯურღმულებს, ქოხმახებსა და სოკოებივით მომრავლებულ დასახლებებს?

— კი, ნამდვილად სჯობს, მაგრამ რატომ უნდა იყოს ყველა ერთნაირი?

— იაფი ჯდება და იმიტომ, ახლა ვაპროექტებთ პარაგვაის რამდენიმე ქალაქს. გაისად ალბათ ასუნსიონში მომიწევს შვიდი-რვა თვით გამგზავრება.

— მე არ წავიდოდი ასუნსიონში.

— რატომ? სტრენსერის გამო?

— დიახ.

— მეც ასე ვფიქრობდი იქ, მონტევიდეოში, მაგრამ ახლა ვაღიარებ, ბავშვობაა ასე მსჯელობა. ასეთი აზრებით ვერაფერს მივალწევთ ჭკვიანურს. სტუდენტობისას აქტიურად ვთანამშრომლობდი ურუგვაის სტუდენტთა ფედერაციაში, მერე კი მომბეზრდა პრინციპულობა და მათხოვრობა. თქვენ ალბათ ფიქრობთ, ვინ არის ეს ცინიკოსიო, მაგრამ რას ვიზამთ, მე აქ კარგ ხელფასს მაძლევენ. მონტევიდეოში, რა თქმა უნდა, არც მეგობრები დამრჩენია.

— და თქვენ კმაყოფილი ხართ? საკუთარი თავის კმაყოფილი ხართ?

— დიახ, კმაყოფილი ვარ. ღვება ადამიანის ცხოვრებაში ისეთი წუთი, როცა უნდა გადაწყვიტო: ხნ ღარჩე შენი პრინციპების ერთგული, ან ფული აკეთო.

— და თქვენც გადაწყვიტეთ...

— დიახ, მაგრამ სულაც არ მინდა დაემსგავსო ზოგ ჩემს კოლეგას: სინდისი რომ დაიწყნარონ და საყვედურებიც აიცილონ, თავს ირწმუნებენ, კარგად მოვიქცითო. დამიჯერეთ, სულაც არ არის ასე. ეს ორგანიზაციაც არ არის მთლად საუკეთესო დაწესებულება, მაგრამ სამაგიეროდ დოლარებს მაძლევენ.

— ჩვენ არაფერს ან თითქმის არაფერს არ ვაწარმოებთ, — ეუბნება რეინახი გაბრიელა დუპეტიტს. — როგორ უნდა ჩადონ ფული ჩრდილოამერიკელმა კაპიტალისტებმა ჩვენს ქვეყანაში, როცა ჩვენ არაფერს ვაწარმოებთ? კაპიტალი რომ მოვიზიდოთ, საჭიროა ეკონომიკური აღმავლობა, აი ისეთი, გფრ-ში რომაა. აი



იქ მუშაობენ თუ მუშაობენ! სასაცილოდ არა მყოფნის კაფეებში თავშეყრილი ინტელექტუალების მოთხოვნები, მეტი დამოუკიდებლობა გვინდაო საერთაშორისო პოლიტიკაშიო. პირადად ჩემთვის მთავარია კომერცია და როგორც კომერსანტი, გარწმუნებთ, სულაც არ ვითაკილებდი, ურუგვაი რომ ნაკლებ დამოუკიდებელი იყოს, ვიდრე ახლაა. რაც გინდა ის უწოდეთ ამ დამოკიდებულებას: მიერთებული შტატი, დოლარის ზონა თუ, — უფრო გულახდილი რომ ვიყო, — კვლავსავე კომერციაში სამშობლოს გაგებას ისეთი მნიშვნელობა არა აქვს, როგორც ეს ქვეყანაში, ზოგჯერ კოლონიაში უფრო კარგად ვითარდება კომერცია, ვიდრე ვითომ დამოუკიდებელ სახელმწიფოში.

— ყველაფერი შედარებითია, რეინახ. ასე მგონია, შეერთებული შტატების კოლონია რომ ვიყოთ, ან უფრო უარესი, ინგლისისა, სულაც არ იქნებოდა ურიგო, მაგრამ აბა ერთი წამით წარმოიდგინეთ, რომ რუსეთის კოლონია ვართ... პირდაპირ მბურძგლავს ამის გაფიქრებაზეც კი.

— მაგაზე არასოდეს მიფიქრია, უნდა გითხრათ, ჩემთვის არსებობს მხოლოდ ერთი სამშობლო. კერძო მეწარმეობის იდეა. სადაც ეს იდეა არ ხორციელდება, იმ ქვეყანას მე ვშლი გეოგრაფიული რუკიდან, ყოველ შემთხვევაში, ჩემი რუკიდან.

— იცით, როგორ მივხვდი რომ ოკამპო ურუგვაელია? — მიმართავს მღუპარედ მჯდომ ლარალდეს კარგად დანაყრებული ბალიესტეროსი, — კარნევი პოლის უკან პატარა კაფეში შევედი. ერთ მაგიდასთან სამნი იხდნენ და ესპანურად ლაპარაკობდნენ. უცებ ერთი ამბობს: „გადავწყვიტე გამეთამაშებინა ეს ცხეი“. დაუკვირდით: მან „ცხენი“ კი არა, „ცხეი“ თქვა. მივედი მათთან და ვკითხე, ბუენოსაირესელები ხართ თუ მონტევიდეოელები-მეთქი. ის მუებნება: პასომოლინოელებიო.<sup>1</sup> გამეხარდა, მეც ხომ პასომოლინოელი ვარ. წარმოგიდგენიათ?

ბუდინიო მარსელას ღვინით უვსებს ჭიქას, მერე თავისთვისაც იხხამს.

— ბაუერზე იყავით?

— არა. რა არის ბაუერი?

— ლოთების ქუჩაა. იქ ფრთხილად უნდა იარო, თორემ შეიძლება მიწაზე მწოლარე რომელიმე უბედურს დააბიჯო ფეხი. საშინელი ქუჩაა, დამორგუნველად მოქმედებს ადამიანზე.

— ასეთივე საშინელია მთელი რაიონიც.

— მე ალბათ ვერასოდეს მივხვდები, რა სურთ პუერტორიკოელებს. ჯერ ერთი, უღამაზოდ ჟღერს ეს „მიერთებული სახელმწიფო“. რომელ სახელმწიფოზეა ლაპარაკი, როცა ეროვნული ღირსება დოლარებზეა გაყიდული, თანაც იაფად. გეგონება, კოლექტიური ყიდვა-გაყიდვააო. მეორეც: რა სარგებელს აძლევს მათ ეს მისატყუებელი — შეერთებულ შტატებში შესვლის უფლება? მხოლოდ იმას, რომ მთელი ოჯახი ერთ ოთახშია შეყუყული და ვირივით შრომის საფასურადაც წრდილოამერიკელზე ნაკლებს იღებს. ნამდვილად არაფერი მესმის.

— მე კი იცი რა აზრის ვარ შეერთებულ შტატებზე? ვიცი, რომ აქ ცუდად ეპყრობიან ლათინოამერიკელებს; ვიცი, რაც ხდება, მექსიკაში, ნიკარაგუაში, პანამაში, გვატემალაში. ჩემი ძმა მიაშობდა ამ ქვეყნებზე. ვბრაზობდი კიდეც, მაგრამ ჩამოვედი აქ და ჩემს ალტაცებას არ აქვს საზღვარი. მე ხომ ევროპაშიც

1. მონტევიდეოს ერთ-ერთი რაიონი, ადრე ქალაქისპირა სოფელი.



ყოფილვარ, მაგრამ ნიუ-იორკი ის ქალაქი აღმოჩნდა, სადაც თავს კარგად ვგრძნობ.

— როგორ გაძლევს ქმარი ამდენი ხეტიალის უფლებას? არ იცის, რომ ეს კარგად არ დამთავრდება? ყოველ შემთხვევაში, მისთვის?

— სულაც არ მჭირდება მისი ნებართვები. ჩვენ ვიყრებით.

— პოო?

— მხოლოდ ექვსი თვე ვიყავი გათხოვილი.

— მოგწონთ დოლარები? — ეკითხება ანხელიკა ფრანკო კლაუდიო ოკამპოს.

— დოლარები ვის არ მოსწონს?

— მე პირდაპირ აღტაცებული ვარ. თანაც ფანტასტიკად მეჩვენება, ყველა რომ ერთი ზომისაა. ერთდოლარიანიც ზუსტად იმოდენაა, რამოდენაც ასდოლარიანი. ასეთი ლამაზი ფულის პატრონები რატომ არ უნდა იყონ მსოფლიოს მპყრობელები? ვის შეუძლია წინ აღუდგას მათ? აი, თქვენ, ოკამპო, თქვენი ყიდვ რომ მოინდომონ, გაუძლებთ ცდუნებას? მე — არა. დამანახეთ დოლარი და მთელი ჩემი წინააღმდეგობა მაშინვე სადღაც გაქრება. რატომაა ასე?

— აბა, რა გითხრათ. აქ ალბათ ორიდან ერთია: ან მეტიმეტად პატივმოყვარე ხართ, ან...

— თქვით, თქვით...

— ან არაფერი გწამთ.

— გულანდილად გეტყვით, პატივმოყვარე არ ვარ.

აგუსტინ ფერნანდესი დიდ წარმატებას აღწევს: ვიდრე ბრინჯი გრილდება, მისი ხელი რუთის მარცხენა მუხლზე განისვენებს.

— ჩვენში ტანგოს ფილოსოფიაა გაფურჩქნული: — ვითომც არაფერიო, ისე აუღელვებლად განაგრძობს საუბარს ხელის პატრონი. — კიდევ... ფული, მეგობარი ქალი, მატე, ჯეხბურთი, არაყი, მონტევიდოს ძველი სამხრეთი რაიონი, ნაირ-ნაირი სენტიმენტალური აბდაუბდა. მაგრამ ამეებით ვერაფერს გახდები, ადვილიდან ვერ დაიძვრები. ჩვენ რბილსხეულიანები ვართ, გესმის? ჩვენს გვარდიელებსაც „ჩვრებს“ ეძახიან, ჩვენც, ყველანი, ჩვრები ვართ. არადა, აქაურებევით მაგრები უნდა ვიყოთ. მორჩა და გათავდა. რაც კარგია, კარგია. რაც ცუდია, ცუდია.

ხელი მაღლა მიიწევს, ქვედა საცვალს წვდება.

— აგუსტინ, დაგვიანხავენ, — ჩურჩულებს ლამის სასოწარკვეთილი რუთი.

— სოციოლოგიური თვალსაზრისით, — კვლავ აუღელვებლად განაგრძობს ფერნანდესი. — ურუგვაული ცხოვრება არ მომწონს, არც ეკონომიური თვალსაზრისით და არც უბრალო ადამიანური თვალსაზრისითაც. წარმოვიდგენიათ, იქ ჩრდილოეთში ყველას თვალწინ გვაქვს ასეთი მაგალითი და თავს ნებას ვაძლევთ, უარყოთ იგი. ვერ აგიწერთ, როგორ მაცოფებს ეს ყოველივე, როცა კი ნიუ-იორკში ჩამოვდივარ.

ხუთი თითი თავ-თავისთვის, ცალცალკე მოძრაობს, მერე უცებ თითქოს გამოკვლევა დაშაკმაყოფილებლად ჩათვალესო, ერთდებიან და რუთის თეძოს ჩააფრინდებიან.

— ვაი! — თავისდა უნებურად დახცდება რუთს.

— სულაც არ ვაპირებ ურუგვაიში დაბრუნებას, — ამბობს მაგიდის თავში ბალიესტეროსი, თან ცხელ სუნთქვას იფრქვევს ლარალდეს, — ხანდახან შეიძლება მოვინახულო დედა, დისშვილები, მაგრამ დარჩენით კი ნამდვილად არ დავრჩები იქ.



— მე ალბათ ვერ შევძლებ ასე მოვწყდე მშობლიურ მიწას.

— შეძლებთ. ყველა შეძლებს. იცით, ყველაზე მეტად რა შეულის ნოსტალგიას? კომფორტი. მე აქ კარგად მოვეწყვე, კომფორტით ვცხოვრობ და ხულაც არ მახსოვს პასომოლინა. თუნდაც რად ღირს ის წაში, დააჭერ ღილაკს თითს და ლამის მთელი მსოფლიო გელაპარაკება. დამეთანხმებით, აქ ცხოვრება შესანიშნავადაა შექანიზებული. ერთხელ ერთმა კაცმა, — მგონი, მექსიკელი ვყოფიყვნით, — თი რამე მითხრა, უნდოდა ჭამის მადა დამკარგვოდა, ჰო, ასე მითხრა: დიას, შექანიშნავადაა შექანიზებული, მაგრამ გიფიქრიათ კი ოდესმე, რამდენი ათასი ადამიანი შიმშილობს ამერიკის სხვა ქვეყნებში მხოლოდ იმისთვის, რომ ჩრდილო-ამერიკელმა შეძლოს ღილაკზე თითის დაჭერათ? გარწმუნებთ, ძალიან უნდოდა, მაგრამ ვერ დამიკარგა ჭამის მადა. მე ვუთხარი, იცი, რა ვუთხარი? ხა-ხა! ეგ რა ჩემი საქმეა-მეთქი.

— იმიტომ მომწონს მონტევიდეოდან შორს ყოფნა, — ყურში ეჩურჩულება ანხელიკა ფრანკო ოკამპოს, — რომ სულიერად ვთავისუფლდები. რატომღაც მგონია, რომ თქვენ, — თქვენ კი მე ძალიან მომწონხართ, — ახლა ისეთ რამეს შემოთავაზებთ, რაც მონტევიდეოში ალბათ საშინელი მომეჩვენებოდა. დარწმუნებული ვარ, რაღაც თავხედურს მეტყვით, მაგრამ მე არ გავბრაზდები, მთავარი ყოფილა მანძილი. ურუგვაიში რომ გენახეთ, ვერც მიცნობდით. საოცარია, მაგრამ იქ მორცხვი, შებოჭილი და ჩაკეტილი ვარ, აქ კი ყოველივე ამისთანებისგან ვთავისუფლდები. გულახდილად, მითხარით, ოკამპო, მორცხვი ვარ?

— მორცხვი კი არა, ზედმეტად თამამი ხართ, მე ვიტყვოდი, აგრესიულიც კი.

— ო, რა სასიამოვნოა ამის მოსმენა. ვერ წარმოიდგენთ, რა ლაღად, თავისუფლად, მტკიცედ ვგრძნობ თავს. იქ კი ყველაფერი სხვაგვარადაა. იქ ყველაფერი მთრგუნავს და მბოჭავს: ცათამბჯენი საღვოს სასახლეც, ავტობუსში რომელიმე მამაკაცის უნებური შეხებაც კი...

— აქ არა ხართ შებოჭილი?

— შეგიძლიათ შეამოწმოთ, ოკამპო.

— ჰოდა, მაშინ... — გულს უხსნის მარსელა რამონ ბუდინიოს. — ამეესო მოთმინების ფიალა. საშინელება იყო ჩემთვის იმის წარმოდგენა, რომ ქმარს თურმე მხოლოდ სექსუალურ სურვილს ვუღვიძებდი და მეტი არაფერი. ქალს კი სურს მუდამ სანუკვარი და საყვარელი იყოს არა მხოლოდ ამიტომ.

— ვფიქრობ, შენი შეყვარება სხვა რამისთვისაც არ უნდა იყოს ძნელი, რა თქმა უნდა, იმ პირველთან ერთად.

— დამცინი ხომ? შენ რა, პატარა გოგო გგონივარ?

— ვერ მოგატყუებ: დიდს არა ჰგავხარ.

— და მაინც დამიჯერე, საშინელებაა გათხოვდე და მერე უცებ მარტო დარჩე. ქალიშვილობაშიც მარტოსული ვიყავი, მაგრამ ის სხვანაირი მარტოობა იყო, იმედია მარტოობა.

— დალახვროს ეშმაკმა, ეს რა სიტყვები მესმის? შენ გინდა დამარწმუნო, რომ ოცდასამი წლისას ასე გადაგეწურა ყოველგვარი იმედი?

— არა, მაგრამ, მე ახლა უკვე მარტოხელა ქალი მქვია. და ასე მგონია, მომავალშიც არ გამიმართლებს.

— ცხოვრებაში ყველაფერი ემყარება ამ ალტერნატივას: ან გამიმართლებს ან არ გამიმართლებს.

— შენა? შენ ბედნიერი ხარ? ცოლქმრულმა ცხოვრებამ გავიმართლა?



— იცი, რას გეტყვი? ჩემი პირადი ცხოვრება არც ისე საინტერესო თემაა სასაუბროდ.

— შვილები გყავს?

— ერთი ვაჟიშვილი მყავს, თხუთმეტი წლისაა, გუსტავო პქერია.

— ალბათ კარგია, შვილი რომ გყავს. მე რომ შვილი მყოლოდა, დარწმუნებული ვარ, ჩვენი ოჯახი არ დაინგრეოდა.

— მიაშბე კიდევ რამე საკუთარ თავზე.

— შენ მიაშბე, ვინა ხარ. რომანისტი? ჟურნალისტი? დეტექტივი? მე მაღაპრაკებ, თვითონ კი არაფერს ამბობ.

— ხომ გითხარი, საინტერესო არაფერი მაქვს-მეთქი მოხაყოლი. ერთი ბებერი, ცოლიანი კაცი ვარ, მყავს ვაჟიშვილი... სულ ეს არის, მოსაწყენი ამბავია, აი შენნაირი ლამაზი, ქმარგანაშევი ემაწვილი ქალის ამბავი კი საინტერესო მოსასმენია.

მარსელა პურს ნელა ღეჭავს და სახეზე გაურკვეველი ღიმილი ეხატება:

— შენ რა, მიტევ?

ბუდინიოს ხარხარზე რუთ ამესუა, კლაუდიო ოკამპო და ხოსე რეინახი მოიხედავენ, მაგრამ როცა სამივე წყვილი თვალი კვლავ უბრუნდება პირვანდელ მდგომარეობას, ბუდინიო მარსელას მხიარულად შეხედავს. ხელის მიკარებას არც აპირებს.

— არც მიფიქრია, თუმცა მშვენიერი აზრია.

ახლა მარსელა კისკისებს:

— მშიშარა.

ამჯერად მხოლოდ ოკამპო მოიხედავს მათკენ:

— რაო? მხიარულობთ ახალგაზრდები?

მირტა ვენტურა ჟაკეტს იძრობს, კეკლუცობს თავისი მომხიბლავი ხალებიანი მხრებით. ბერუტი ცალ თვალს აპარებს ქალისკენ, მაგრამ ეუხერხულება, არავინ დამინახოსო და ამიტომაც ბოლომდე შეუფასებელი რჩება ამ ეგზოტიკური ზურვის მთელი სილამაზე. უხერხულობა რომ გაფანტოს, ბერუტი ამბობს:

— ჩვენი შეცდომები შორიდან, ჯერ კიდევ სკოლის მერხიდან მოდის. სად იყო რელიგიურობა, მხოლოდ საერო განათლება არსებობდა, აქაოდა, მთელი ეს აბდაუბდა იმიტომაცაა საჭიროო, რომ ბავშვმა უკეთ წარმოაჩინოს საკუთარი თავით. ო, რა მტანჯეს სკოლაში, როცა გამახსენდება!.. ახლა მასწავლებელმა ქალმა დაწყებითი სკოლის რომელიმე უდღეურ ბავშვს ყური რომ აუწიოს, მაშინვე აგებინებენ პასუხს.

— მე დომინიკანელ მონაზვნებთან ვსწავლობდი.

— ჰოდა, გეტყობა კიდევ. შენ უკვე პიროვნება ხარ, გამორჩეული ქალიშვილი.

— მადლობთ, ბერუტი.

— ქათინაურს არ გეუბნები, მე, უბრალოდ, ვადასტურებ საკუთარ თეზისს. იცი, რა მომწონს ამ ქვეყანაში? აქ ყველგან ღმერთია. სწავლებაში, კონსტიტუციაში, შეიარაღებულ ძალებში. შეერთებული შტატები სულით ხორცამდე რელიგიური ქვეყანაა. ჩვენ კი, პირიქით, სულით ხორცამდე ერეტიკოსები ვართ. ამიტომაც ვართ დაცალცალკეებულები. ღმერთი აერთიანებს, საერო — თიშავს.

მირტას პატარა კოპწია ფეხი ვითომდა უნებურად ხვდება ბერუტის ორმოცდარი ზომის ფეხსაცმელს. ბერუტი ფეხს არ უცვლის ადგილს, მაგიდის ფეხი



და ჩემი ფეხი ქალს ალბათ ერთმანეთში აერიას, და უფრო მეტის მგზნებარე-ბით განავრძობს:

— მე არ მოვიტხოვ, ვინდა თუ არა, კაცი უცოდველი იყოს. Errare huma-num est.<sup>1</sup> შეცდომა და ცოდვა თავიდანვე ჩადებულია ადამიანის ბუნებაში.

— პირველ ცოდვაზე ამბობ?

— სწორედ მაგაზე. კარგია, რომ გამიგე. მაგრამ ჩემის აზრით, დიდი განსხ-ვაეუბაა, როცა სცოდავ ლამის სინარულით და დანაშაულის გრძნობის გარეშე, როგორც ამას ათეისტები აკუთვებს, და როცა სცოდავ სინდისის ქენჯნითა და იმის ღრმა შეგნებით, რომ ღმერთის წინაშე სცოდავ, — როგორც ეს ჩვენ შეგვიძლია ვაკვაკეთოთ.

— ჩემი აზრით, დანაშაულის გრძნობა განსაკუთრებულ მშვენიერებას ჰმა-ტებს ცოდვას.

ბერუტი ორიოდ სანტიმეტრით უკან გასწევს თავის ორმოცდაორი ზომის ფესსაცმელს და მირტას ფეხიც მაშინვე ანახლებს საკონტაქტო ძიებას. ბერუ-ტის ახლა უკვე ყოველგვარი ეჭვი უქრება, თავს გადაიქნევს, ოღნავ აჩეჩილ თმა-ზე ხელს გადაისვამს და თავის მოსაზრებას ასე ამთავრებს:

— სწორედ რომ განსაკუთრებულ მშვენიერებას ჰმატებს. ალბათ რა მოსა-წყენია ათეისტებისთვის ცოდვა. ჩაიდენ ცოდვას და განმკითხავი არავინაა.

— საშინელებაა, გაფიქრებაზეც კი გული შეკუმშება.

— ამიტომაც იქმნებოდა ხელოვნების დიდი ნაწარმოებები ცოდვის თემაზე.

— ე. ი. არსებითად ეს იმას ნიშნავს, რომ ისინი ღმერთის თემაზე იქმნე-ბოდნენ.

— რა თქმა უნდა, ცოდვა ღმერთის გარეშე არ არსებობს. ნაწარმოებებიც ცოდვის თემაზე იმიტომ იქმნებოდნენ, რომ ცოდვა აკრძალულია და იმსახურებს სასჯელს. სწორედ აქ არის მისი ესთეტიკობა: კონფლიქტი აკრძალვასა და და-ნაშაულს შორის. უფრო სწორად, ხელოვნება ეს არის ნაპერწკალი, რომელიც წარმოიქმნება აკრძალვისა და სასჯელის შეხებისას.

— კარგადაა ნათქვამი.

— მართლა? არადა, ეს აზრი სწორედ ახლა მომივიდა თავში. აი, ამ წუთას.

— შენ შესანიშნავი კაცი ხარ, — მირტას ნეილონის წინდაში გამოკვალთულ კოჭს თბილად ელამუნება ხელოვნური ქსოვილისგან შეკერილი შარვლის ტოტის ქვეშ მიმალული მეორე კოჭი.

ღარაღდე მხრებს იჩენს, სულაც არ აინტერესებს სოფია მელონოს გადა-პრანჭული მსჯელობა, არც ფიზიკურად იზიდავს იგი მაინცდამაინც. მაგრამ სოფ-იას, ეტყობა, განუსრახავს ჭკუა ასწავლოს ღარაღდეს.

— ნუ მაიძულებთ, ეჭვი შევიტანო თქვენს გონიერებაში, ღარაღდე. მითხა-რით, ხად, რომელ ქვეყანაშია ამაზე მეტი თავისუფლება? ჰო, ჰო, დამისახელოთ იუნდაც ერთი ქვეყანა, მეტს არა გთხოვთ.

— ხად და, ამაზონის ჯუნგლებში. ოღონდ რაც ყველაზე საგულისხმოა, იქ არ არსებობს წარმომადგენლობითი დემოკრატია.

— რა ხართ ეურნალისტები, მართო ეს გეხერხებათ, როგორმე თავგზა აუბ-ნიოთ ხალხს.

— სულაც არ არის მასე, სენიორიტა, ჩვენ სხვა რამეც გვეხერხება.

— როდის მოეშვებით ამ სენიორიტას ძახილს?

1. ადამიანისთვის უცხო არ არის შეცდომები (ლათ.).



— შაკატიეთ, მეგონა, გაუთხოვარი იყავით.

— რა თქმა უნდა, გაუთხოვარი ვარ, სულელლო... სოფია მქვია. შინაურები კი გოგონის მეძახიან.

— აჰ.

— რას იტყვით ამ ყველაფერზე, რასაც ხედავთ?

— ყველაფერს ვერ ვხედავ, რა თქმა უნდა.

— კი მაგრამ, რატომ?

— რატომ და, იმიტომ, რომ ეს შეუძლებელია, გოგონი. გაზეთის ენით რომ ვთქვათ, საჭიროა ერთმანეთს შევუდართოთ ეს შეერთებული შტატები, ჩვენ რომ ვხედავთ ახლა, და ის შეერთებული შტატები, მონტევიდეოში რომ გვაქვს ნანახი პოლივუდის ფილმებში. ვის სჭირდება ლიტლ-როკზე<sup>1</sup> დაწერილი ამბები, როცა ბივერლი-ჰილზე<sup>2</sup> შეგიძლია წერო. მე რომ ახლა მოგიყვებო, ხანფრანცისკოში ერთი პოეტი — ბიტნიკი მესამე სართულიდან მხოლოდ იმიტომ გადმოხტა, რომ ვერ აიტანა ამერიკული ცხოვრების წესი და არ მოკვდა, ამერიკულ ცხოვრების წესს არაფერი დაშავებია, პოეტს კი ფეხები მოტყდა-მეთქი — ეს რომ მოგიყვებო, სამსახურში უკმაყოფილო დამრჩება ხალხი, რედაქციის მდივანი კი დეპეშით კარგად შემჯორავს და მირჩევს, ნადირს თავს ნუ შევაჭმევინებთო. ასე რომ, მათ მოსაწონად მიჯობს რამე დავწერო, ვთქვათ, ელექტრონული ტვინის ღირსებებზე. ეს ტვინი ხომ პირდაპირ საოცნებოა ჩვენი ფინანსთა მინისტრების, ფეხბურთის მწვრთნელებისა და კონტრაბანდისტების მოთავეთათვის. ზუსტი გათვლა-გაანგარიშება, არავითარი იმპროვიზაცია, ადამიანის მინიმუმამდე დახული მონაწილეობა და... საქმე გაკეთებულია. თქვენ არ მოგწონთ ელექტრონული ტვინი? ბევრ სუსტად განვითარებულ ქვეყანაში, — სხვათა შორის ურუგვაიშიც — ჯერ კიდევ იყენებენ მის უმაქნისსა და პრიმიტიულ შემცვლელს — პოროსკოპს, მაგრამ გარწმუნებთ, ელექტრონული ტვინი უფრო ხანდოა. სწორედ ამ თემაზე მსურს დავწერო სტატია უახლოეს ხანში, ასე რომ, ამ ახალი ამბის მოწოდებისთვის მაღარიჩი მეკუთვნის თქვენგან.

— მგონი, დათვერით, ლარაღდე. იქნებ გვითხრათ, რომელ გაზეთში მოღვაწეობთ?

— „ლა რასონში“<sup>3</sup>, მაგრამ ამაოდ დაიწყებთ იქ ჩემი ინიციალების — A. L.— ძებნას. ჩემი სტატიები უმეტესად ხელმოუწერელია, ხანდახან ალადინოს ფხედონიშით ვაქვეყნებ.

— სენიორ ალადინო, თქვენი ზოდიაქოს ნიშანი რომელია?

— ქალწული.

— ქალწული?... იმპულსური, მგრძობიარე, გულჩახურული, საქმიანი, ლოდიკური ტვინის პატრონი, პრაქტიკული, ერთგული, სწრაფად იღლება...

— რაცა თქვით, თაღლითობაა და მეტი არაფერი, მაგრამ უნდა გითხრათ, დიდი ერუდიტი ყოფილხართ. სწრაფად იღლებით, ეს ნამდვილად ასეა. ყოველ

1. ლიტლ-როკი — არკანზასის ადმინისტრაციული ცენტრი, აქ 1957 წ. სექტემბერში რასისტებმა მოაწყვეს შავკანიან და თეთრკანიან ბავშვების ერთად სწავლების საწინააღმდეგო მანიფესტაცია.

2. ბივერლი-ჰილზი — ერთ-ერთი რაიონი ლოს ანჯელესში, დამოუკიდებელი ადმინისტრაციული ერთეული. პოლივუდის კინოს ცნობილ მოღვაწეთა რუხიდეცია.

3. „სიმართლე“ (ესპ.).



შემთხვევაში, ელექტრონულ ტვინს მაინც გადავამოწმებინებ ამ თქვენს ხასია-  
მოვნო დახასიათებას. — ლარალდე ბოთლს დაწვდება. — ახლა კი დალიეთ ცოტა,  
ჩაროხი ხომ უნდა დავასველოთ, გოგონი.

რეკავს ტელეფონი ყრუდ და თითქოს შორს. მაგიდის ერთ ბოლოში ავილა-  
რის ხუმრობაზე ბალიესტეროსს დიპი რიტმულად უთახთახებს, მაგიდის შუაში  
კაბრიელა დუპეტითი ხმაძალდა აცხადებს: „გეფიცებით, აქ მცხვენია, ვერ ვამ-  
ხელ, ურუგვაელი რომ ვარ!“ მეორე ბოლოში ოკაშპოსა და ანხელიკა ფრანკოს  
ეტყობათ ურთიერთშეხების კიდევ ერთი წერტილი იპოვეს და ხმაშეწყობილად  
ძღერიათ: „გულო, ნუ მოტყუვდები“. ასე რომ, ვიდრე ხოსე არ შემოდის დარბაზ-  
ში და არ ითხოვს, ცოტა ხნით გაჩუმდითო, ყველა, ვისაც როგორ შეუძლია ისე  
ერთობა.

— სენიორ ბალიესტეროს, ტელეფონთან გთხოვენ, თანაც very urgent!

ბალიესტეროსი ისე სწრაფად წვევტს თახთახს, რომ მოძალებულ ბოყნს  
ვერ უმკლავდება, მაგრამ მაინც ახერხებს, ოსტატურად შენიღბოს ვითომდა უცა-  
ბედად ამტყდარი ხველებით.

— ღმერთო ჩემო, very urgent-ო? — ბალიესტეროსი ღვება, ბორძიკით ეჭი-  
ღება ლარალდეს სკამის საზურგეს, მერე მიდის პატარა, მოკლე-მოკლე, არცთუ  
ვამართული ნაბიჯებით.

გაბრიელა ჩუმდება, ტანგოც წყდება სიტყვებზე: „ნუ ფიქრობ, ეს არც შუ-  
რია, არცა რისხვა“. მაგიდის ქვეშ ყველა ხელი და ფეხი უბრუნდება ხაწყის  
მდგომარეობას. მარხელა პირველად ესება რამონის ხელს, მაგრამ ახლა უკვე მა-  
გიდაზე, და შემფოთებული ჩურჩულებს:

— არ ვიცი, რატომ, მაგრამ გული მიგრძნობს, მთლად კარგად არ უნდა იყოს  
ჩვენი ხაქმე, ყველასი.

რეინახი თვალს არ აშორებს კედელზე დაკიდულ ეიზენჰაუერის სურათს,  
თან იღვჭება და დროდადრო იხმის მისი პირის წკლაპუნი. სოფია მელოგნო  
ხელებს იმტვრევს. სელიკა ბუსტოსი ცხვირს იხოცავს. ავილარი სამშობლოდან  
ჩამოტანილ „რესპუბლიკანას“ ექაჩება, სანთებულათი კი „ჩესტერფილდს“ უკი-  
ღებს ოღნავ ხელაკანკალებულ ფერნანდესს. მირტა ვენტურა ბერუტის გულმოდ-  
გინე დახმარებით კვლავ იცვამს ჟაკეტს. რუთ ამესუას აცემინებს, მაგრამ „სი-  
ცოცხლეო“, არავინ ეუბნება, რამონი ღრმად ოხრავს და რაკი მის მარჯვენა ხელს  
მარხელა დაპატრონებია, მარცხენათი იღებს ჭიქას და ბოლომდე ცლის.

ბალიესტეროსის შემოსვლა მკვეთრად განსხვავდება მისი გახვლისაგან:  
სწრაფად და სრულად გამოფხიზლებულიყო. ნამდვილად რაღაც მოხდა. უკიდუ-  
რესად დაბნეული ჩანს, ცოტაც და, ატირდება.

— რაღაც საშინელება, რაღაც საშინელება მოხდა, — ძალიან ჩუმად ამბობს  
ის, მაგრამ ყველას ესმის.

— სად? — კითხულობს რამდენიმე ხმა ერთად.

— იქ.

— ურუგვაიში? — დაზუსტება სურს ლარალდეს.

— ჰო.

— თქვით, რა მოხდა?

— კატასტროფა. საშინელი წყალდიდობა. წყალქვეშა მიწისძვრა. ზუსტად  
ჯერ არ იციან. კიდევ დამირეკავენ, ყველაფერი განადგურებულია, მთელი ურ-



უკვია ნანგრევებად არის ქცეული, ქუჩები წყალს მიაქვს თურმე. ხიდები დაუნგრევია. ჯერჯერობით ცნობილი არ არის, მსხვერპლი რამდენია. ყველაფერი განადგურებულია, საშინელება ტრიალებს თურმე, ქვეყანა მიწასთანაა გასწორებული, სოფლები და ქალაქები აღგვილია პირისაგან მიწისა.

რუთ ამეხუა კივილით გადაესვენება სკამის საზურგეს. ფერხანდესი და ბუდინიო ხელს სტაცებენ. სოფია მელოგნო ხმამაღლა შეთქვამს ბელლიკა ბუსტოსი კედელს მიშტერებია და მისი ცრემლი დაპაღუპით აცვიტს. შეპრე ულუფა ნაყინს. სახეზე ხელებაფარებული გაბრიელა ტუჩებს იკვნეტს. ლარალდე გაღიზიანებული კითხულობს:

— კი მაგრამ, როგორ გაიგეთ?

— ჩემმა მეზობელმა, ერთმა მექსიკელმა კაცმა მოისმინა თურმე ტელევიზორში, იცოდა, რომ აქ ვიყავი და დამირეკა.

ანხელიკა ფრანკოს სუნამოიანი შუშა მიაქვს რუთის ცხვირთან. რუთი გრძნობაზე მოდის, თვალებს ახელს, მაგრამ კვლავ ხუჭავს და ტირის. მირტა ვენტურა ლოცულობს.

— იესო ქრისტეს, ერთადერთ ძეს უფლისას ჩვენსას...

ბერუტი უკმაყოფილოდ გადახედავს მას;

— მსხვერპლი არის?

— გული ნუ გამიწყალეთ შეკითხვებით, ისედაც გაწყალებული მაქვს. გითხარით, ზუსტად ჯერ არ იციან-მეთქი. ერთადერთი რაც იციან, ის არის, რომ ქვეყანა მიწასთანაა გასწორებული. მორჩა, გათავდა ყველაფერი.

ხოხე კუთხეში დგას და ოდნავ შეცბუნებული ადევნებს თვალს დარბაზში მყოფთ. მერე სამზარეულოში შედის და, სწორედ რომ დროზე შედის, ცხვირის მჩიჩნავი ოფიციანტი დარბაზში აპირებდა შესვლას.

— Wait a minute!<sup>1</sup> ჯერ არ მიუტანო ანგარიში.

მარსელა ჩუმად სლუკუნებს, მაგრამ გრძნობას არ კარგავს.

— ვერ დავიჯერებ, — ამბობს ბუდინიო.

— ვიცოდი, გითხარი კიდევ, ბალიესტეროსი რომ გავიდა. ვიცოდი, რაღაც ისეთი რომ მოხდებოდა ჩვენთვის, ყველასათვის.

— რა საშინელებაა!

— სესარიც იქ არის.

— შენი ქმარი?

— ჰო.

— მის გამო დედავ?

— ნამდვილად ღმერთმა დაგვსაჯა, — წრიპინებს გაბრიელა. — რამ მათქმევინა, მრცხვენია, ურუგვაელი რომ ვარ-მეთქი? ღმერთმა დაგვსაჯა და მე პირადად ღირხი ვარ ამ სახჯელისა, მაგრამ საწყალმა დედაჩემმა რა დააშაეა? საბრალო ჩემი დედაბერი... ჩემი ძმაც იქ არის...

— წარმოგიდგენიათ? — ეუბნება აგილარი ხელიკა ბუსტოსს, — სულ ახლახან ცინიკოსად წარმოგიდგინეთ თავი, ახლა კი ყელში მიჭერს რაღაც.

— ყველაფერი განადგურებულია, — ბუტბუტებს რეინახი. — ჩემი მაღაზიაც აღარ არის ჩემი მაღაზია. შეუძლებელია. ყოფილხართ ჩემს მაღაზიაში, 18 ივლისის პროსპექტისა და გაბოტოს ქუჩის გადაკვეთაზე? ლამაზი იყო, ხომ? შარშან გამოვუცვალე ნეონის აბრა. მბრუნავი კარი ჰქონდა, ორი სატვირთო მანქა-

1. წუთით შეიცადე (ინგლ.).



ნაც... რა საშინელებაა, მე კი აქ რაღას არ ვბეჭუტურობდი. ხომ გესმოდათ? აი, თქვენ, გაბრიელა, ნამდვილად გესმოდათ. ურუგვაელები არაფერს არ ვაწარმოებთ-მეთქი. არ არის ეს მართალი. ურუგვაი კარგი ქვეყანაა, გაბრიელა, რამდენიც გინდა იმუშავე, არაფრის გეშინია. მამაჩემი ებრაელია, მეც, რა თქმა უნდა, ებრაელი ვარ, მონტევეიდეოში დაბადებული ებრაელი. ბიძაჩემი გერმანიიდან გამოიქცა, რადგან იქ საშინელება ტრიალებდა. არა, მიწისძვრა არა, მაგრამ მაინც საშინელება... მთელი ოჯახი ცარიელ-ტარიელი დატოვეს. ურუგვაი უკეთესი ხელს არავინ გვახლებს. ურუგვაი კარგი ქვეყანაა, შეგიძლია იმუშაო. ნუთუ მიწასთანაა გასწორებული? კერძო მეწარმეობა ჩემი სამშობლოა-მეთქი, სულ ახლახან გარწმუნებდი, მაგრამ მართალს არ ვამბობდი. ურუგვაი კარგი ქვეყანაა, ჩემი სამშობლოა, ჩემი ქვეყანაა, ჰოდა, როგორ დავიჯერო, ახლა მიწასთანაა გასწორებული ეს კარგი ქვეყანა?

— მიწაზეც, ცაზეც... — ლოცულობს მირტა ვენტურა. — პური ჩვენი არსობისა მოგვეც ჩვენ, ღმერთო...

— გაჩუმდი, — თვალებს უბრიალებს ბერუტი.

— რაო? — ლამის გაგიჟდეს მირტა. — როგორ? შენ არ ამბობდი, ღმერთი დავივიწყეთო?

— ხისულელეა. რომელ ღმერთზეა ლაპარაკი? ხად არის ღმერთი? და თუ არის, რას ერჩოდა, იქაურობას რომ ანადგურებდა? როგორ შეგიძლია, ილოცო ასე მშვიდად? შენ რა, იქ არავინა გყავს? არავინ იმ შენი მონაზვნების გარდა?

— მყავს, — ქვითინებს მირტა. — მამა მყავს, ჩემი საწყალი მამიკო.

— ჰოდა, ვნახავ როგორ დაგიბრუნებს ის შენი ღმერთი მამიკოს.

— ღმერთო ჩემო, რა გულბოროტი კაცი ყოფილხართ!

— მე ორი შვილი მყავს, გესმის, ორი შვილი, ქალ-ვაჟი. თუ ღმერთმა ისინი დამიხოცა, ვფიცავ, ყველაფერს მივაფურთხებ.

— გაბრიელამ მართალი თქვა, — სლუკუნებს სოფია. — ეს სასჯელია... მე დავისაჯე იმისათვის, რომ არასოდეს ვმუშაობდი.

— ნუ სულელობთ, — ამბობს ლარალდე.

— დავისაჯე იმისათვისაც, რომ მძაგდნენ ღარიბები, ბრბოს ექდახდი.

— აბა, რას მიედ-მოედებით?! — მოთმინებადაკარგული ლარალდე მხრებში ანჯღრევს ქალს. — ღმერთს რომ პირადად თქვენი დასჯა ნდომებოდა, აქ კი არ დაგვამდათ გაშლილ სუფრასთან, პირდაპირ შუა წყალდიდობაში გიკრავდათ თავს.

— ნუთუ არ გესმით, რომ ეს უარესია? ნუთუ არ გესმით, რომ როცა საკუთარი თვალით ვერ ხედავ ამ უბედურებას, როცა ვერაფრით ვხმარება ამ უბედურებაში ჩავარდნილთ, სწორედ ეს არის ყველაზე საშინელი? რომ არ ვადიარო, არ შემიძლია. ყველაფერი, რასაც სულ ცოტა ხნის წინ ვამბობდი, იყო პოზა, იყო სიტყუე. მე მიყვარს ჩემი ქვეყანა. ის პატარაა, ბევრი არაფერია, მაგრამ მე მაინც მიყვარს იგი. მე ვერ ვიცხოვრებდი აქ, ამ მექანიზებულ საძაგელ, ლამის ბრიყვულად გულუბრყვილო ადამიანების გვერდით.

ანხელიკა ფრანკო ჩანთიდან იღებს დოლარებს, ერთმანეთზე აწყობს და ანაკუწებს.

— არ მჭირდება, არ მჭირდება მე ესენი.

ოკამპო ცდილობს შეაჩეროს:

— გვეოფა ახლა ისტერიკები. მერე ინანებ. ვის გაუგონია ასდოლარიანების დახევა. გაგიჟდი? ნუთუ გგონია, რომ ამით რაიმეს შეცვლი?



— დიახ, დიახ, ეს სასჯელია. ღმერთმა დამსაჯა იმიხათვის, რომ სისულელეებს გეუბნებოდი, იმიხათვის, რომ საკუთარ თავს გთავაზობდი. მიმიფურთხებია ამ დოლარებისათვის, გაიგე?!

— ჰო, კარგი, გეყოფა, დამშვიდდი. ერთი წუთითაც არ დაძვივრებია შენი სიტყვები.

— იხიც ვიცრუე, იქ მოკრძალებული ვარ-მეთქი. არსადაც არა ვარ მოკრძალებული.

— ვიცი.

— აქაც და იქაც ისეთი ვარ, როგორსაც მხედავ. კახპა ვარ, დიახ, ერთი ჩვეულებრივი კახპა დიაცი. მორჩა და გათავდა.

ბალიესტეროსი ზის ხელეზნამოყრილი და თვალებში ცრემლი უკიაფებს. სახე მათხოვარივით დაღრეჯია, დიდი, უფორმო სხეული დამბლადაცემულს უგავს.

— იცით რა, ლარალდე, კაცმა არასოდეს არ უნდა დაიტრაბახოს, ჩემს გადაფურთხებულს არ ავლოკავო. სულ რაღაც ერთი-ორი წუთის წინ ვარწმუნებდით, უკან აღარასოდეს დავბრუნდები-მეთქი, ახლა კი მინდა იქ ვიყო, ათი წლის სიცოცხლეს გავიღებდი, ოღონდ იქ ვიყო ახლა. ძნელია ასეთი რამ აღიარო, მაგრამ, ეტყობა, ადამიანი რაღაცამ უნდა შეძრას სულით ხორცამდე, რომ ბოლოს და ბოლოს მიხვდეს, სად არის მისი ადგილი. ღმერთო ჩემო, თვალწინ მიდგას ჩემი პასო მოლინო, ვინ იცის, რასა ჰგავს ახლა იქაურობა, რა ნანგრევებადაა ქცეული. მე, ბებერი ბრიყვი ბავშვივით ვტირი. ყოფილხართ პასო მოლინოში? გახსოვთ დიდი შლაგბაუმი? პატარა აღარ ვიყავი, მაგრამ საღამოობით სულ იქით გავრბოდი, მიყვარდა ჩაქროლილი მატარებლების ცქერა. ზოგჯერ სამი მატარებელი ჩაიქროლებდა ზედიზედ. და უნდა გენახათ მაშინ, რამსიგროძეზე გაიჭიმებოდა ხოლმე მანქანებცხა და ავტობუსების რიგი, ალბათ სისულელედ მოგეჩვენებოდა, მაგრამ ბოლოს და ბოლოს შლაგბაუმი რომ აიწეოდა და მთელი ეს კოლონა ადგილიდან დაიძვრებოდა, ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა.

— სესარი ალბათ ხალტოში იყო, — მშვიდად ამბობს მარსელა.

— იქ რას აკეთებს?

— იქ ჩემს მამამთილს მამული აქვს, მაგრამ ყველაფერს სესარი განაგებს და ყველაზე მეტსაც ის მუშაობს.

— როგორი ქმარი გყავს?

— გარეგნულად?

— ჰო.

— მაღალია, გამხდარი. ფართო მხრები, შავი თმა, მწვანე თვალები და თხელი ცხვირი აქვს, — მარსელა ცხვირსახოციოთ ისრესს საფეთქლებს.

— წინასწარ ნუ იკლავ თავს, — ამშვიდებს რამონი.

მარსელა დამნაშავესავით ილიძება და გაურკვეველად შლის ხელებს.

— შენ მე მამშვიდებ, მამხნევებ და მე სულელს ერთხელაც არ გამივლია თავში, გკითხო, შენიანც თუა იქ ვინმე.

— ყველას გვყავს იქ ვინმე ჩვენნიანი.

— შენი შვილი, შენი მამა, შენი ცოლი...

— ჰო, ჩემი შვილი, ჩემი ცოლი, ყველა.

— რა საშინელებაა! — ბოლოს და ბოლოს მარსელაც კარგავს სიმშვიდეს და აღელვებული, ფართოდ თვალებგახელილი იწყებს ხმამაღლა მოთქმას. მოთქვამს



გულმხურვალედ, შეულამაზებლად, თითქოს მხოლოდ ახლა მიხვდა, მხოლოდ ახლა აღმოაჩინა ის, რაზეც მოთქვამს.

— მე მიყვარს ის, უმისოდ ცხოვრება არ შემიძლია, არ შემიძლია.

ბუდინიო სიგარეტს უკიდებს და მარსელას აწვდის. მერე მეორეს უკიდებს თავისთვის.

— გუსტავო, დოლი, — ფიქრობს ხმადაღწეულად.

ტელეფონის ხმაზე ყველანი ისე ჩუმდებიან და ერთ ადგილას ისე იყინებიან, ბავშვებმა რომ იციან „სდექობანას“ თამაშისას. ხოსე კვლავ შემოდის და ბალიესტეროსს უსიტყვოდ შეჰყურებს. ბალიესტეროსი დგება, აღარ ბორძიკობს, ლამის გარბის კარისაკენ, სხვებიც უკან მიჰყვებიან და კართან ქუჩდებიან.

— რაო, რა ამბავიათ კიდევ?! — ჩასძახა ყურმილში ბალიესტეროსი.

ყველანი მას მისჩერებიან. მოღებული კარის ჭრილი თვალებს, თვალებს და მხოლოდ თვალებს ამოუვსია. უცებ ჩასუქებული ბალიესტეროსი უღონოდ მოადუნს ზღართანს იატაკზე. ხოსე მიირბენს მასთან, ბუდინიო ჰაერში დაკიდულ ყურმილს ეცემა:

— მე ბალიესტეროსის მეგობარი ვარ... ცუდად გახდა. რა მოხდა?

ბუდინიო წამით ჩუმდება, მერე ერთს ისე ამოიოხრებს, თითქოს სულიც თან ამოატანაო.

— მადლობთ, — ამბობს ის, — ვერ წარმოიდგენთ, რა მადლობელი ვარ. დიახ, ბალიესტეროსი უკეთაა. თვითონ დაგირეკავთ მოგვიანებით.

ბალიესტეროსი თვალებს ახელს და ენის ბორძიკით სთხოვს ბუდინიოს, ყველაფერი გვითხარო, არაფერი დაგვიმალოო.

— გაუზვიადებიათ ცოტა, — სულს ითქვამს ბუდინიო, — ბალიესტეროსის მეზობელს მეორე გადაცემისთვის შოუსმენია და არც ისე საშინლად ყოფილა საქმე. დიახ, მოხდა წყალდიდობა და რამდენიმე დასახლებული ადგილიც დაუტბორავს, მაგრამ არავითარი წყალქვეშა ბიძგები არ მომხდარა. მსხვერპლიც არ არის, უბრალოდ, წყალი აღიდებულა, თუმცა ადრინდელზე უფრო ძლიერად.

სამარისებური სიჩუმე დგება და ამ სიჩუმეს უცებ რეინახის ხორხიდან დაცლენილი სიხარულის ხავილი და სიტყვა „მალაზია“ არღვევს. ოკამპო იატაკიდან იღებს დახეულ დოლარებს და ანხელიკა ფრანკოს აწვდის:

— დააწებე და რომელიმე ბანკში მიიტანე, გამოგიცვლიან.

— მადლობთ, — შეცბუნებულ ანხელიკა ფრანკოს თმის კულულები მისწებებია კრემითა და ოფლით გაზეპილ სახეზე.

კუთხეში აგუსტინი და რუთი კოცნიან ერთმანეთს. ბერუტი მირტა ვენტურასკენ მიემართება, მაგრამ ქალი ცივად ცრის კბილებში:

— არ მომეკარო, გესმის?!

სელიკა ბუსტოსი კედელზე მიყრდნობილ აგილარს უახლოვდება:

— ხომ ხედავთ, ისეთი არაფერი მომხდარა, ყველა და ყველაფერი თავის ადგილს უბრუნდება: წყალი — მდინარეს, თქვენ კიდევ თქვენს სამსახურს და ასე იქნება სულ სიკვდილამდე.

სოფია მელოვნო პატარა სარკეში იყურება:

— რასა ვგავარ, თითქოს მე გადამეტანოს მიწისძვრა.

— ჰო, — ამბობს მის გვერდით მჯდომი ლარალდე.

— ამ საღამოს ცოტა ზედმეტები ვთქვით, არა?

ხოსე სწრაფი ნაბიჯებით მიემართება სამზარეულოსკენ:

— აბა, ჩქარა, წაუღე ანგარიში, — ეუბნება ცხვირის მჩიჩნავ ოფიციაანტს,



რომლის დანახვაზეც ბალიესტეროსს ღამის გული უსკდება, კიდევ ხომ არ მოხდა რამე უბედურებაო, მაგრამ ძალე ხვდება ყველაფერს:

— აჰა, ანგარიშია?

ბერუტი და რეინახი ბალიესტეროსს ეხმარებიან დანახარჯის განაწილებაში.

— რვა კაცზე უნდა განაწილდეს, ქალებს არ გადავახდევინებთ, — ამბობს ბერუტი.

ბალიესტეროსი და რეინახი უსიტყვოდ ეთანხმებიან ეროვნული  
მუშაობისთვის

ბუდინიო მარსელას შალს აწვდის:

— როგორა ხარ? გიშველა შიშმა?

— ჰო, — ამბობს მარსელა. — შენ?

— მგონი, მეც, — ცოტაოდენი ყოყმანის შერე ამბობს ბუდინიო.

მარსელამ მის კილოში რაღაც ისეთი დაიჭირა, რომ შესწოთებულმა შეხედა კაცს:

— გუსტავოსა და დოლის ახსენებდი. დოლი შენს ცოლს ჰქვია?

— არა, — თითქოს დანაშაულზე წაასწრესო, ისე იღიმება ბუდინიო.

ხოხე გასამრჯელოს იღებს და ბუზღუნებს:

— ათი პროცენტიც კი არ გამოვა.

ყველანი ნელა გადიან. ბროდვეიზე გამაყალი დარბაზი ხალხს აევსო უკვე. ვაბრიელა დუპეტიტმა თვალი მოაწვლო სახსე დარბაზს და იქ მსხდომთა გასაოცრად ხმამაღლა თქვა:

— აი ხომ ხედავთ. არაფრის შნო არა გვაქვს. ათასში ერთხელ ავტეხთ განგაშს, შევყრივთ ქვეყანას და აღმოჩნდება, ამაოდ გავისარჯეთ. პირველი ხარისხის კატასტროფის შნოც კი არა გვაქვს!..

2

გაღებული ფანჯრის მიღმა უქარო მღუმარებაა. ქვემოთ ჭადრებია. ზოგი ფოთოლი უძრავად დაკიდულა, ზოგი ოდნავ თრთის, თითქოს ვიღაც უღიტიტინებსო. ოფლი ღვარად მდის. ჰაერში დამთრგუნველი დაძაბულობა ჰკიდია, მაგრამ გიცი, არაფერი განსაკუთრებული არ მოხდება. იქნებ დროა სიმართლე ვუთხრა თავს? სწორედ ახლაა ამის დრო. დარწმუნებული ვარ, იმ დღეებში, როცა ვერთობოდი და ვმხიარულობდი, თავს ვიტყუებდი, არ მინდოდა ჩავღრმავებოდი საკუთარ სულს. ცხოვრებას ვარდისფერი სათვალისგან ვუმზერდი, ღამღამობით კი ხმამაღალი ტირილი რომ არ დამცდენოდა, ბალიშში თავჩარგული ვტიროდი უხმოდ. მგონი, ვაჭარბებ, თუმცა არც გამემტყუნება: როცა კაცს ნაღველი და სასოწარკვეთი ლება ახრჩობს, ფიქრებიც დაულაგებელი აქვს. სჯობს „სასოწარკვეთილება“ ვთქვა, რა თქმა უნდა, ჩემთვისაა ეს სასოწარკვეთილება, სხვებს კი რაც უნდათ ის დაარქვან: იპოზონდრია, ნევრასთენია თუ აჩემება. როგორც იქნა, საკუთარ თავთან დავდე პაქტი და ამიტომაც ვუწოდებ ჩემს ყოფას სასოწარკვეთილება. დიახ, სწორედ რომ დროა, რადგან ამ წუთებში არც სიხარულსა ვგრძნობ და არც სასოწარკვეთას. ასე ვთქვათ, მშვიდად ვარ. არა, ახლაც ვცრუობ, უბრალოდ კი არა, მეტი სმეტად მშვიდად ვარ. ჰო, აი, ასე სჯობს.

წვიმის პირველი წვეთები დაეცა რაფას. კარგია. აბა, ერთი სახე დაუხვედრო! ამ ფანჯარაში, მეათე სართულზე, წვეთებს მე უფრო ადრე ვიჭერ, ვიდრე ის გამვლულები „თავისუფლების პროსპექტზე“. ამ ერთხელ მაინც ზომ ვჯობნი ვიღაცას. იქნებ დროა, დავხუჭო თვალები და ვთქვა: „როგორც ყველას, ბუდინიო-



ების ოჯახსაც გვაქვს ჩვენი ისტორია“. რესტორან „ტეკილაში“ ურუგვაელების თავშეყრის შემდეგ რაღაცამ მიბიძგა ახალი თვალთ გადამხედა ყველაფრისათვის. ჰოდა, მეცა ვცდი; ცდა ბედის მენახვერეაო, ხომ ამბობენ? აბა, დაეხუჭო თვალები. როგორც ყველას, ბუდინიოების ოჯახსაც გვაქვს ჩვენი ისტორია. ჰო, მერე?.. ჩემს ვაჟს ზოგჯერ ჰგონია, დიდი ვინმეა ან მომავალში გახდება ასეთი. რა თქმა უნდა, ის ცდება, მაგრამ ჩვიდმეტი წლის ყმაწვილს ეპატიება რესტორანში. ჩვენს ოჯახში არ ყოფილა, არ არის და არც იქნება ბებერზე უფროსი დიდი ვინმე. ვინ მიედრება მის მგზნებარე, პრინციპულ გამოსვლებს, მის მჭევრმეტყველებას, გარეგნულად ხომ კეთილშობილების განსახიერებაა! ყველანი გადაგვყლაბა მან. მე არასოდეს ვყოფილვარ რამონ ბუდინიო, ყოველთვის ვიყავი ედმუნდო ბუდინიოს შვილი, ჩემი შვილი არასოდეს იქნება გუსტავო ბუდინიო. ის ყოველთვის იქნება ედმუნდო ბუდინიოს შვილიშვილი. ბაბუაჩემიც კი ბოლო წლებში ედმუნდო ბუდინიოს მამა იყო. ტყუილად როდი ველაპარაკებთ მას თქვენობით, თანაც ყველანი — შვილები, შვილიშვილები, რძლები. ძველი ადათ-წესი არ მოშალა, ასე უფრო საგრძნობია დისტანცია, უსათუოდ—დისტანცია. ე. ი. ზემოდან ქვემოთასი არად მიჩნევა, ქვემოდან ზემოთასი გაღმერთება და აღფრთოვანება. მახსოვს, ერთხელ გუსტავოსთან რუბენი და მარიანო მოვიდნენ სამეცადინოდ, მაგრამ ჩემი ვაჟი შინ არ დახვდათ. სამაგიეროდ ბებერი გამოვიდა ამ დროს შემთხვევით, მიესალმა მათ და გასვლა უნდოდა, მაგრამ რუბენმა, აღარ მახსოვს, რაღაც ჰკითხა, და ისიც შეჩერდა. შეჩერდა და მთელი ათი წუთი ილაპარაკა. ო, რა აღფრთოვანება, პატივისცემა, თითქმის ერთგულება ეხატათ თვალებში მის მსმენელებს! ეს გასაკვირია. ბებერისათვის სულერთია მისი მოსაუბრე სად დგას, მაღლა თუ დაბლა, მას ყველასათვის ერთი სტილი აქვს — ბრჭყვიალება, დამაჯერებლობა, ყოვლის დამორჩილება. გუსტავოს ძალიან მოსწონს ბაბუამისი. მას, რა თქმა უნდა, ცოტა ეუხერხულება როცა ბაბუამისი ცეცხლოვანი მგზნებარებითა და მაღალფარდოვანი სიტყვაკაზმულობით იცავს იმას, რასაც გუსტავო ისტორიულად განწირულად მიიჩნევს, მაგრამ მოწონებით კი ნამდვილად მოსწონს, რომ იტყვიან, აღფრთოვანებულია. ნეტავ თუ მინდა, ჩემს შვილს მეც ასე მოვწონდე? არ მინდა. უფრო სწორად, არ ვიცი.

ნეტავ რას აკეთებს ეს მტრედი ამ წვიმაში? ნუთუ ასე დიდი დრო გავიდა მას შემდეგ? მე მგონი, ოცდათხუთმეტი, ოცდათექვსმეტი წელიწადი მაინცაა გასული. არა, ზუსტად ოცდაჩვიდმეტი. მანამდე კი იყო მხოლოდ წამიერი გაელვებები ალბომში ჩაკრული სურათებივით. თავიდან ბოლომდე არც ერთი ეპიზოდი არ მახსოვს სრულად, მაშინ ის არ იყო „ბებერი“, მაშინ ის „მამა“ იყო. ექვსი წლისა სულ მასზე ვლაპარაკობდი, სულ მასზე ვფიქრობდი. სადღაა ახლა სათამაშოებით სავსე მაღაზიები? მაშინ სათამაშოები ლამის ცამდე იყო აღმართული. სამთვლიანი ველოსიპედები, ნაირ-ნაირი ბურთები, საგორავები, სათამაშო როიალები, მანქანები. ტყვიის ჯარისკაცები. რომელიც გინდა ამოირჩიე, მითხრა მამამ. მე ვიდექი და ჩემს ლაკის ფეხსაცმელებს დავყურებდი. მერე ნელა ავწიე თავი, ნელა-მეთქი იმიტომ ვამბობ, რომ მინდოდა ცოტა მეტჩანს ეზეიმათ ჩემს თვალებს სათამაშოების ცქერით. დახლთან იდგა, უფრო სწორად, დგას კაცი და შეუკავებელი სიცილით ამბობს ჩემზე: სადაცაა შარვალში ჩაისვრის. მიდი, აირჩიე, — არ მეშვება მამა. ყველაფერი მინდოდა: საგორავიც, ბურთიც და ჯარისკაცებიც, მაგრამ მეუბნებიან, ამოირჩიეო. მამა შემპირდა, თუ ექიმს ნემსს გააკეთებინებ და არ იტირებ, ოდონეს მაღაზიაში წავიყვან და ყველაფერს გიყიდი, რასაც ხელს დაადებო. საოცარია, იმ კაცის სახელი გამახსენდა! მე, რა თქმა



უნდა, ნემსის გაკეთების დროს არ მიტირია და მამამაც აასრულა თავისი დანაპირები. ყველაზე მეტად ლამაზ კოლოფში ჩაწყობილი იაფფასიანი სათამაშო ჯარისკაცები მომეწონა. დაიბენი ხომ, ბიჭიკო? — მომმართავს ოღონე. საზიზღარი სახე აქვს ამ კაცს. ველოსიპედიც მინდა. განა არ ვიცი, რომ ველოსიპედი საუკეთესო და სასურველი სათამაშოა? ჩვენი ქუჩის ბიჭები შურით დასკდებიან!.. აბა, როგორ არის საქმე? — კვლავ მეკითხება მამა და ახლა უკვე საათს დასცქერის. ჯარისკაცუნები მინდა. სწორედ ასე ვთქვი, ბავშვურად. წლებს მერე მივხვდი, ოღონეც და მამაჩემიც ვაცრუებულეები დარჩნენ ერთმანეთისაგან განსხვავებული, მაგრამ გასაგები მიზეზების გამო. კარგად დაფიქრდი, შვილო, — მეუბნება ოღონე. — ნახე, საგორავს რა კარგი რეზინის ბორბლები აქვს, მუხრუჭიც, ზარიც. მართლაც კარგი რამაა საგორავი, შედექი ზედ და იქროლე რამდენიც გინდა. ტყვიის ჯარისკაცები უფრო მომწონს. გაანებეთ თავი, — ამბობს მამა, — რაც უნდოდა ის ამოირჩია. მე თავისუფლად ამოვისუნთქე. ოღონე ძალიან საეჭვოდ აქებდა საგორავს, მე კი საეჭვო არაფერი მინდა. მე ჯარისკაცები უფრო მომწონს, ვიდრე ეს ზღაპრული სათამაშოები. ჯარისკაცები მინდა, ვჯიუტობ მე და ოღონესაც ყველა იმედს ვუწურავ. მამა იღიმება, თავისი ცისფერი, თბილი თვალებით შემომცქერის, მერე პირიდან მუნდშტუკს იღებს და მეუბნება: იცი ახლა რას ვიზამთ? ავდგებით და, ათ კოლოფ ჯარისკაცუნებს ვიყიდით ერთბაშად. მამას მაგრად ვეხვევი ფეხზე, მაგრამ უცებ შიში მიპყრობს, საგულდაგულოდ დაუთოებულ შარვალი არ დაკუჭო-მეთქი. და ხელს ვუშვებ. სხვადასხვანაირებია? — ჯერ კიდევ არ მჯერა, მიყიდიან თუ არა. კი, სხვადასხვანაირებია, — მარწმუნებს მამა. ოღონეს რევმატიზმი აწუხებს, მაგრამ კიბეზე მაინც მაიმუნივით აღის და მალე ბრუნდება მლიქვნელურად გაღიმებული ცხრა კოლოფით ხელში. მხოლოდ ცხრანაირი ჯარისკაცები გვქონია, — გვიხსნის ის. ვიდრე უფროსები თავისით გადაწყვეტდნენ, მე სხაპასხუპით ვამბობ: აი, ეს ორი კოლოფი მინდა, ცისფერი მხედრები. ოღონე ხარხარებს, მამა ხარხარებს. მე ვწითლდები, მაგრამ თავის მართლებას არც ვაპირებ, ისევ ჩემს ლაკის ფეხსაცმელებს დავცქერი. ქუჩაში ყველა მე მიყურებს. ოღონემ, მართალია, შემოგვთავაზა, სათამაშოებს შიკრიკის ხელით გამოვიგზავნითო, მაგრამ მე ვიუარე: რა ვიცი, როდის მოიტანენ. მივდივარ ქუჩაში და მიმაქვს ორი დიდი კოლოფი, სათითაოდ ამოიღლიავებული ორივე ხელში. ჭიანჭველას ჰგავხარ, — მეუბნება მამა, — ერთი მაინც მომეცი, წამოვიღებ. მაგრამ მე უარზე ვარ. მართალია, ხელები ძალიან მტკივა, განსაკუთრებით მარცხენა, მაგრამ რა სჯობს როცა საკუთარ ავლადიდებას თვითონვე ზიდავ. რატომ ვგავარ ჭიანჭველას? — მხოლოდ დროის მოსაგებად ვეკითხები მამას. ალბათ ასე შევეკითხე: „ლატომ ვგავალ წიანწველას?“ უნდა ვალიარო, ენამონღექით ლაპარაკი იმხანად მთლად პატიოსნური საქციელი არ იყო ჩემი მზრიდან, ჩანს ვატყობდი, ჩემი გამოთქმებით ადამიანებს რომ სიმპათიით განვაწყობდი, თანაც ასე უფრო მეხერხებოდა; „რ“-ს გამოთქმა მიჭირდა, ქვედა ყბა მეძაგრებოდა, ენა მებორკებოდა და კაცმა არ იცის, რას ვამბობდი ხოლმე. მამა იღიმება, თითქოს ათვინიერებს ჩემი გამოთქმები: იმიტომ რომ ამოდენა ტვირთი მოგაქვს, — მეუბნება ის. ასე გავიარეთ ერთი კვარტალი. კარგი ახლა, მომეცი, ხომ არ შეგიჭამ, — და მართმევს ერთ კოლოფს. გვერდიდან შევცქერი მამას, შევცქერი მის გეტრებს, შარვალს, მოოქროვილბალთიან ქამარს, ქინძისთავიან ლურჯ ჰალსტუხს, გახამებულ საყელოს, შავი აბრეშუმის ლენტთან შლაპას... რა კარგია მამის გვერდით რომ მიაბიჯებ სიტყვებით ვერ გამოვთქვამდი, სიხარულით კი ნამდვილად მიხაროდა, ნამდვილად იმედინად ვიყავი მის ფრთებქვეშ. რა კარგია, ასეთი წარმო-



სადეგი, დახვეწილი, მუდამ პირგაპარსული, საკუთარ თავში დარწმუნებული, ძლიერი კაცის შვილი რომ ხარ, კაცისა, ვინც აუღელვებლად, დაჯერებულად აკეთებს ყველაფერს.

წვიმამ გადაიღო, მაგრამ გაგრილებით ვერ გააგრილა ჰაერი, თუ მთინდობა, ბებერი თავის შვილიშვილს თითოს მოაკაკვებს ყველაფერში. ამისათვის ის ყველა ხერხსა და საშუალებას გამოიყენებს. გუშინ საღამოს უთხრა, შენც კოლეჯში კური პოზიცია დამისაბუთეო, მაგრამ არც აცალა ბიჭს ლაპარაკი მხოლოდ და მისდგა, ხან დასცინოდა, ხან ირონიით მიმართავდა, ხანაც ხუმრობდა კალამბურებით, ერთი-ორი გონივრული მოსაზრებაც გამოთქვა. ბოლოს დაჯაბნა, ყმაწვილიც გაჩუმდა და დაიბოღმა. უცბად სინაზით ავივსე გუსტავოს მიმართ. ეს არ ყოფილა ჩვეულებრივი სინაზე, ჩვეულებრივი მამაშვილური სიყვარული. ეს იყო რაღაც ახალი — საქმიანი, მეგობრული თანადგომის გრძნობა. ბებერი ყოველთვის როდია დარწმუნებული თავის მოსაზრებაში, მაგრამ ლაპარაკით კი, მტკიცედ და დარწმუნებით ლაპარაკობს. გუსტავო დარწმუნებულია და იცის რაზე უნდა ილაპარაკოს, მაგრამ არ იცის, როგორ ილაპარაკოს, რომ სხვაც დაარწმუნოს. ბებერი ძველი ჯარისკაცია, კამათის ოსტატი, ყველანაირი ფანდი და ეშმაკობა გამოსდის ხელიდან. გუსტავოს კი ასეთი რამეებისა არაფერი გაეგება. არადა, ყოველთვის ძალიან მინდოდა, მას ეჯობნა ბაბუამისისათვის. გუსტავო, მართალია, გამოუცდელია, მაგრამ რაც სწამს, ნამდვილად სწამს. მან იმ სამყაროში შედგა ფეხი, რომელმაც აღიარა საკუთარი შერცხვენა და ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ თუნდაც საკუთარი სიცოცხლის ფასად იპოვოს ის რაღაც, რაც მას გადაარჩენს და უშველის. ის სამყარო, კი, სადაც მე ვიზრდებოდი, სულ სხვანაირი იყო. ყველანი კარგად ვხედავდით სისტემის უსამართლობასა და ვაღიარებდით კიდევ, რაოდენ შეურაცხმყოფელი იყო იგი კაცთა მოდგმისთვის, მაგრამ ეს განსაზღვრულად მხოლოდ ჩემი პროტესტი. ქვეყნის ცხოვრებაში რომ რაღაც სასიკეთო გარდაქმნები მოხდებოდა, ამის რწმენა გვქონდა, მაგრამ ეს რწმენა არ გასცილებია თეორიასა და რიტორიკას, მას აკლდა სიღრმე, დამაჯერებლობა და სიმტკიცე. ითქოს ვიცოდით რა იყო კარგი და სასარგებლო, მაგრამ ბუნებით პესიმისტებსა და ფატალისტებს არ გვჯეროდა, რომ შეიძლებოდა ამ კარგსა და სასარგებლოს გაემარჯვა. ოთხშაბათს მარიანომ გაიხსენა ერთი არკანზასელი სენატორის საკმაოდ მწარე-მწარე სიტყვები, სულაც არ მეშინია მათი, — თქვა მარიანომ. — ეს წყალში ჩავარდნილი კაცის უკანასკნელი გაფართხალებააო. აი, სად არის განსხვავება. ჩვენ, ჩემი თაობის ხალხს კი გვეგონა, ისინი დაუმარცხებელნი იყვნენ.

ბებრის კაბინეტი დამთრგუნავად მოქმედებს ჩემზე. თანაც უკვე თორმეტის ოცი წუთია, ის კი არა ჩანს, სჯობს წავიდე.

ნეტავ ვინ აკაკუნებს? იციან, ოფისში მარტო ვარ და მაინც აკაკუნებენ. მლიქვნელები. ვითომ დიდი მორიდებულები მყვანან.

ნეტავ რად ვღელავ? განა ჩემთვის სულერთი არ არის, რას ლაპარაკობს ახლა ეს დიდებული მდივანი ქალი, ჩათქვირებული მდივანი ქალი, რომელსაც ვერცხლის ფუნტი სტერლინგი ჰკიდია ძუძუებს შორის და რომელსაც ჩემი გემოვნებისთვის მეტიმეტად მსხვილი ტუჩები აქვს — მაცდუნებელი მდივანი ქალი, ცხვრისთვალება მდივანი ქალი, ცოტა მოშტერო მდივანი ქალი... უმაგისოდაც ვიცი, რომ უნდა გადავხედო „ხალისიანი მოგზაურობის“ გეგმასა და იმ ორნოცდაოთხი ტურისტის სიას, არგენტინის საკურორტო ქალაქ მარ დელ პლატაში რომ ამჯობინებენ ზაფხულის გატარებას, რადგან პუნტა დელ ესტე უფრო



ძვირია. ოფისშიც ხომ იმიტომ მოვედი, რომ გეგმას გადავხედო. მხოლოდ ამისთვის, მეტი არაფრისთვის. მდივან ქალს ჩემს მაგიდაზე დახრა უწევს და მე ვხედავ რაც იმალება ფუნტ სტერლინგთან ერთად. რა სიგიჟეა, ერთხელ ყური მოვკარი ანსუელას რომ უთხრა, სამოცდაათ კილოს ვიწონიო, აქედან ორმოცდაათი კილო ნამდვილად წინა მხარეს აქვს. ნაღდად დიდი დედაა, მეტუბური ქალია — და ა. შ. აი, ცოტა შტერი რომ არ იყოს... სჯობს დამეტოვოს ქალაქები, თვითონ გადავხედავ. ნამდვილად გამიჭირდება, აუღელვებლად ვიმუშაო ამ ქალის გვერდით, ძიძად რომ არის დაბადებული. ნახვამდის. უკნიდან არც ისე გჭრის თვალს. თემოდაბალია, მარსელაზე და სუსანაზე თემოდაბალი. დღეს მეორედ ვახსენებ მარსელას. ახლაც არ ვიცი, შეურიგდა თუ არა იგი თავის სესარს.

გარდა იმისა, რომ სუსანა უფრო თემოდაბალია, — ჭკვიანიცაა, ძალიან ჭკვიანი. ახლა ყველაფერი დამთავრებულია... ორ კვირაში ქორწინების თვრამეტი წელი გვისრულდება. რასთან ქორწინების? ფაფასთან, საპონთან, რაღაც-რაღაცებთან. სუსანა მაღიზიანებს, არც მიზიდავს, ვერ გამირკვევია, რატომ. არადა, კარგად ვიცნობ. თვალდახუჭულს შემიძლია მის სხეულზე ვიპოვო ნებისმიერი წერტილი. ლამის ზეპირად ვიცი, სად აქვს დიდი ხალი, პატარა ხალი, რამოდენაზე აქვს ჩამუქებული ხაოიანი წრე ძუძუს კერტების გარშემო, რამოდენაზე წამოზრდილია თმა იღლიაში, სათითაოდ ვიცი სახსრები, აპენდიციტის ნაწიბურები, ვიცი ის ადგილები, სადაც სხეულს ჯერ კიდევ შერჩენია ახალგაზრდული მოქნილობა, ის ადგილებიც ვიცი, ჭკნობა რომ შეპარვია და ადვილად ემორჩილებიან ჩემს თითებს. მის წვეტოვან ხერხემალს ათას ხერხემალში გამოვარჩევ, მრგვალ თემოებში მთელი ცხოვრებისეული ძალა აქვს მოქცეული, ვიცი მისი თბილი საზარდული, ლამაზი მუხლები და ჩემს რიტმს მიჩვეული წელი. სულ ბოლოს ხუთშაბათს იყო... მაგრამ კიდევ ბევრი იქნება ასეთი ხუთშაბათი და სამშაბათიც და შაბათიც. რუტინა გარდაუვალია. ჩვეულებრივ ასე იწყება: პირველად — უნებური შეხება ძილში. მერე — ჯიუტი და ამგზნები შეხება, რომელსაც პასუხად მოსდევს ჯერ ფრჟოლაშერეული, ათრთოლებული, ხოლო შემდეგ — დაღლილი კვნესა. ისე, ათრთოლება შეიძლება სხვა რაღაცითაც იყოს გამოწვეული, ვთქვათ, ამ უნებურ შეხებაზე უფრო ამაღელვებელი, ტკბილი სიზმრით ან წამიერი სასიამოვნო მოგონებით. რაც შეეხება, დაღლილ კვნესას, ეს უკვე არსებული რეალობის დასტურია. ნათლად რომ ვთქვა, ამ შემთხვევაში სუსანასთვის რეალობა მე ვარ. მაგალითად, ხუთშაბათს სუსანამ ძილში მხარი იცვალა და ჩემს მკლავებში აღმოჩნდა. ძილბურანში რაღაც წამოილულლულა, „ონ“ გაკარჩევ. შესაძლებელია მე მომმართავდა „რამონ“-ო, მაგრამ ხომ შეიძლება არსებობდეს ვინმე „ლეონი“ ან, ვთქვათ, „გასტონი“? ეგლა მაკლია, ვიეჭვიანო! ასეთს არავის ვიცნობ, კი მაგრამ, ხომ შეიძლება სუსანა იცნობდეს? არა, დარწმუნებული ვარ, მან „რამონი“ თქვა. მაგრამ მთავარი ეს როდია. მთავარია ახ, რომ რუტინაა დამამცირებელი და დამთრგუნველი: საშუალებას არ გაძლევს, თვითონ დაგებადოს სურვილი შეხებისა და გრძნობის გაღვივებისა. განა შემთხვევითი, უნებური ურთიერთობა და უცაბედი გაფრჟოლებაა მთავარი? ორივე არსება უნდა იძირებოდეს ურთიერთში, განუმეორებელ ექსტაზში, თუნდაც ბრძოლაში, ცეცხლსა და მგზნებარებაში, ტკბილ კვნესაში და კატასტროფაში — ერთი სიტყვით, ყველაფერში, რასაც ჩვენ ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე ჩვენთვის ხელსაყრელი სრულიად გასაგები მიზეზის გამო დავარქვით სიყვარული. ღმერთი — სიყვარულია, თქვა იოანე მოციქულმა და ამას წყალი არ გაუვა, რამეთუ ლაპარაკია რაღაც უსასრულო სიმბოლოზე, მაგრამ რა საერთო



აქვს იმ ღმერთს ამ შიგნეულ, უწმინდურ, სისხლიან, უგონო, მძვინვარე, ჭუჭყიან და თუნდაც ამაღლებულ სიყვარულთან? მართალია, ღმერთი — სიყვარულია, მაგრამ სიყვარული არ არის ღმერთი. სუსანას ვკოცნი, დიახ, ვკოცნი, ნამდვილად ვკოცნი, ასევე შემოდღია ვუკბინო — ზოგჯერ ვკბენ კიდეც — შუკჭამო, დავლექო და გადაუყლაპო კიდეც. მაგრამ ეს არის, მე ვიტყვოდი, სასოწარკვეთილი მოთხოვნილება, შენი კბილებით — თუნდაც ხელოვნურად დაამღებ დაასო ქალს ან კაცს, ეს არის სამკვდრო-სასიცოცხლო ან მხოლოდ სამკვდროდ ნაბიჯი, რამეთუ ამ დროს საგრძნობია სწრაფვა სიკვდილის დათრგუნვისაკენ, ერთი სიტყვით, სწრაფვა იმისკენ, რომ არსებობა განაგრძო შენი სიკვდილის შემდეგაც. ამ მიზნისთვის ერთნაირად გამოიყენება ბავშვიც და დამდაც. გამოდის, ბავშვიც დამდა ყოფილა. არა უშავს განსაზღვრაა. შეიძლება აკადემიას შევთავაზო ეს გამოთქმა: ბავშვი — სიყვარულის დამდა.

ამრიგად, წინ მიღევს „ხალისიანი მოგზაურობის“ გეგმა. მოგზაურობასთან ახლავს მუსიკა, რომლის თითქმის ოცდაათი პროცენტი გარდელისაა, დანარჩენი კი შეგვიძლია თვითონ შეუკვეთოთ სურვილისამებრ, ოღონდ პოპულარული უნდა იყოს. არ აღელდეთ, ყმაწვილებო, არავითარი ბახი ან პროკოფიევი ან ბარტოკი აქ არ იქნება! გარდა მუსიკისა „ხალისიანი მოგზაურობაში“ ასეთი გიდი გეყოლებათ, ზეპირად რომ იცის ლამის ორას ოთხმოცდაცამეტი ანექლოტი, აქედან ოცდახუთი საკმაოდ უწმაწურია და მხოლოდ მამაკაცთა ყურისთვისაა განკუთვნილი. „ხალისიანი მოგზაურობა“ მომავალში გპირდებით ნამდვილ „უხალისობას“ ყოველთვიური გადასახადების სახით, რაც საწინდარი იქნება იმისა, რომ რამდენიმე თვე იშიმშილოთ. „ხალისიანი მოგზაურობა“ თქვენ, როგორც პიროვნებას, განადგურებთ: თქვენდა შეუმჩნეველად ერთვებით ძვირად ღირებულ იმ ერთ „დიდ მთლიანობაში“, რომელსაც კოლექტიური ექსკურსია ჰქვია. „ხალისიანი მოგზაურობის“ ოფისი — მოკლედ: ხმო — ფიქრობს თქვენზე, იტანჯება და იღვწის თქვენთვის, ტკბება თქვენს მაგიერ და ჯიბეს ისტელებს თქვენს ხარჯზე. „თუ გსურს მსოფლიო კომფორტით მოიარო, „ხმ“-ის ოფისში შეიარე!“ მეტიხმეტი მოსვლია ამ პოეტს! ძალიან კარგი. შემოვიდეს ერთი ის დიდებული, ჩათქვირებული, ცოტა მოშტერო და ა. შ. მდივანი ქალი!

— სენიორიტა, ხელი უკვე მოვაწერე... ჩემი აზრით, სჯობს ლექსი მოვათავსოთ სარეკლამო ტექსტის თავშიც და ბოლოშიც.

რა კარგია რამბლაზე! გავლა დღის ამ მონაკვეთში, როცა მანქანებით არ არის გადატვირთული. პირდაპირ ისვენებს კაცი ან იქნებ სულაც თავში ჩავიბეჭდე, ხალისიანი მოგზაურობა მეც არ მაწყენს-მეთქი. გასულ კვირას აი, აქ, რამბლაზე, სწორედ ამ ადგილას მოკლული კაცი ეგდო. ახლაც ჟრუანტელი მივლის მის გახსენებაზე. რა საშინელი სახე ჰქონდა და მაინც ამ გახსენებას რაღაც სიამოვნებისმაგვარიც ახლავს თან... ფუჰ, ენა რა საშინლად ჰქონდა! ნეტავ ან რატომ არ მინდა ან რატომ მინდა ამ ამბის გახსენება? პირველი მიცვალებული, რომელიც მე ვნახე, არც ისე საშინელი იყო. აბა, ერთი გავიხსენო ის მიცვალებული! მახსოვს, სამჯერ მაინც შევირბინე ოთახში და სამჯერვე დამტუქსეს, წყნარად იყავიო. ვიცოდი, სამართლიანად მტუქსავდნენ, მაგრამ მავიწყებოდა. ოთახში იწვა, უფრო სწორად, წევს ჩემი ბიძაშვილი, სახე მთლად თეთრი აქვს ზეწარივით, ხელები გამხდარი და უძრავი. ვერაფერს

1. ხანაპირო პროსპექტი მონტევიდეოში მდ. ლა პლატას გასწვრივ.



ვშველით, — ამბობს ძია ესტებანი და ცხვირსახოცი თვალებთან მიაქვს. ქალუ-  
ბი ბადში გადიან, რათა იქ მოიოხონ გული ტირილით. ერთი თვის წინ ვიქტო-  
რი ნემსიწვერას ბუჩქთან დაეცა და ყველას კარგად ახსოვს, რა უფერული და  
მკრთალი იყო მისი სისხლი ამ მართლაცდა წითლად აბღღინებულ სამკურ-  
ნალო მცენარესთან შედარებით. დეიდებმა წივილ-კივილით წამოაყვეს ბიჭი,  
ყარით საწოლზე დააწვინეს და სწორედ მას შემდეგ დაიწყო მასთან სიარუ-  
ლი თეთრხალათიანმა ექიმებმა. ნათესავებიც მოდიოდნენ ვიქტორის სანახა-  
ვად. მე კი მოლოდინად ვიყავი ქცეული. ცხენობანას ვეღარ ვთამაშობდი, ამ-  
ხანაგი არა მყავდა. დამალობანას ხომ სულ ვერ ვთამაშობდი, ვის დავმალო-  
დი? საოცარია, მაგრამ მას შემდეგ, რაც ვიქტორი გახდა ავად, მარტოკას თა-  
მაში აღარ მიზიდავდა. ჯარისკაცებიც კი მივივიწყე. უფრო კენჭებით, ბუშტე-  
ბითა და საბზრიანოთი ვერთობოდი. მაგრამ საბზრიანოს ყოველთვის ვერ ვა-  
ბზრიანობდი კარგად და მბეზრდებოდა. სამაგიეროდ მარტოობის გამო კუჭე-  
ბით თამაშში შევიტანე რამდენიმე ახალი ვარიანტი. ხანდახან უმიზნოდ დავრ-  
ბოდი, ხან ვითომ ორთქლმავალი ვიყავი, ხან ცხენივით ვჭიხვინებდი, ხან მერ-  
ბევის საყვირს უბამავდი, ხან ჩვენი ფოსტალიონივით შევძახებდი ხოლმე. მარ-  
ტო მაშინ არის საინტერესო თამაში, როცა თითონ გინდა მარ-  
ტო ითამაშო, უამხანაგოდ, და არა მაშინ, როცა გარემოებათა  
გამო ხარ იძულებული მარტომ ითამაშო. მაგრამ არც უფროსებთან  
ყოფნა მიზიდავდა. ვიქტორის ავადყოფობას ყველა ძალიან განიცდიდა, ჩემ-  
თვის არავის ეცალა. ჯანმრთელი ბიჭი ვიყავი, წვნიანსაც კარგად ვხვრუპდი  
და ჩურასკოსაც<sup>1</sup> მაღიანად მივირომევიდი, ნორმალური, ჯანმრთელი ბიჭი ვი-  
ყავი, არც გადასხმები მჭირდებოდა და არც წამლები. ერთი-ორჯერ ვინატრე,  
ნეტავ მეც დამემართოს სისხლდენა-მეთქი, მაგრამ მაშინვე გადავიფიქრე, ბა-  
დში სირბილი უკეთესია-მეთქი. ერთხელ კიდევ შევირბინე ოთახში, ამჯერად არ  
დამვიწყნია, წყნარად რომ უნდა ვყოფილიყავი. შეუდევარ ჩუმად, ფეხაკრეფით.  
ყველანი წასულან გარდა ოღვა დეიდასი. თეთრად გათენებული დამეების შორე  
საცოდავს სავარძელში ჩასძინებოდა მომაკვდავი შვილის საწოლთან. თავი  
უკან გადაეწია, ხელები მწუხარებისა და დაღლილობისაგან დაჰლარვოდა. და-  
უვარცხნელი, ჭალარაშეპარული თმა ცხვირზე ჩამოშლოდა და დროდადრო ირ-  
ხეოდა სლუკუნნარევ სუნთქვაზე. მხოლოდ ახლა ვამჩნევ, დეიდა დაბერებულა, სა-  
ხე ნაოჭებით დასერვია. საწოლზე უძრავად წევს თვალებდახუჭული ვიქტორი.  
მეც უძრავად ვდგავარ ერთ ადგილზე, მაგრამ სამაგიეროდ ჩემი ფართოდ გა-  
ხელილი თვალები დარბიან თაროზე, კამოდზე, „ღამის“ მაგიდაზე. ვიცი, აგერ  
იქ, მაგალითად, საველე ღურბინდი დევს. ძია ესტებანმა მათხოვა ერთხელ, გა-  
იხედეო. მეც გავიხედე და სულ ახლოს დავინახე შორს მდგარი მამის უზარმა-  
ზარი სახე, რომელიც უბინოკლოდ ძალიან პატარა მოჩანდა. აგერ იმ წიგნში  
მსოფლიო ხალხთა ეროვნული ტანსაცმელებია დახატული. ის წიგნი ესპანურ-  
ამერიკული ლექსიკონია. ამ ლექსიკონში დროშებიც არის ჩართული. აგერ წი-  
თელი კონსტრუქტორი და დაუმთავრებელი ამწე. აგერ ჩემი დაფა და ცარცი.  
ეს ყველაფერი ვიქტორმა მოითხოვა მაშინ, როცა ჯერ კიდევ შეეძლო  
წამოჯდომა, ლაპარაკი და აჩემება. ვდგავარ გახევებული და ველოდები რადი-  
ცას, თითონაც არ ვიცი, რას. ბალიშზე ოდნავ შეთრთოლდა ვიქტორის დაღუ-  
ული სახე, მართალია, ოდნავ, მაგრამ მაინც შეთრთოლდა. ვიქტორი თვალებს

1. შემწვარი ხორცი.



ახელს, სადღაც მალლა იხედება, ტუჩებს აცმაცუნებს, რაღაცას ამბობს, მაგრამ უხმოდ. თითქოს იატაკზე მიმალურსმნესო, ნაბიჯს ვერ ვდგამ, ახლოს მისვლას ვერ ვბედავ, არც მინდა, მივიდე. ვიცი, ნამდვილად ვიცი, რაღაც მნიშვნელოვანი მოხდება და ეს ვიცოდი მანამ, სანამ ვიქტორი თავის უახრო-თვალეებს კედელს მიაყინავდა. ოღვა დეიდა ხვრინავს, ოხრავს, აი შერი-ნა კიდეც სავარძელში, მაგრამ არ გაუღვიძია. მინდა მოვშორდე <sup>ქუჩაურთა</sup> ბას, ოღვა დეიდა რომ გაიღვიძებს, საშინელების მოწმე გავხდებოდი <sup>დროფორე</sup> იქნა, ნაბიჯი გადავდგი და დავწვდი ბინოკლს. ჩემდა უნებურად გავიხედე შიგ და ვიქტორის თავი ისე მიღუული და შორს დავინახე, თითქოს იგი სხვა სამყაროში გადასულიყო უკვე. არ გამკვირვებია. ბინოკლი დავდე და სუნთქვაშეკრული ისე უხმაუროდ გავვარდი გარეთ, როგორც შემოვედი. მთვარეულივივით მივაბიჯებ ბაღში აღელვებული და დაბნეული. ბაღში მამაა. ჩემს დანახვაზე ყველაფერს ხვდება, რაც მოხდა და რაც ვნახე. თავზე ხელს მისვამს, მერე მხარზე მადებს. წუთის მერე ნიკაპში მავლებს ხელს, თავს მიწევს, ხომ არ ტირისო. თვალები გაოცებული მქონდა, მაგრამ უცრემლო.

უცნაურია, მაგრამ ახლა ვტირი, ოღონდ ჩუმად ვტირი. მინას დაუშვებ, იქნებ ქარმა შემიშროს ცრემლი. რა საჭიროა, სუსანამ შემამჩნიოს. ნუთუ ორმოცი წლის მამაკაცისთვის უფრო აღვილია ტირილი, ვიდრე რვა წლის ბიჭისთვის? არ ვიცი... ვინ არის ეს მხეცი, მარჯვენა მხრიდან რომ გამისწრო? ალბათ ქალი უზის საჭეს.

ყოველთვის მომწონდა აი ასე ყოფნა, როგორც ახლა ვარ. კლდეზე გაწოლილი გავცქერი ზღვას. რატომ მაქვს ასეთი ბანჯგელიანი ფეხები? ო, ეს კი ნამდვილად კარგი გოგოა, ოღონდ მეტისმეტად თეთრია. ვერ ვიტყვი, ეს ტიპი ნაზად ეხვევა-მეთქი, არა, სჯობს ცას ვუცქირო. ერთი თოლიაც არ ჩანს... ლოგინი ცივია. ზემოთ მიუწვდომელი და დალაქავებული ჭერია. გრძელ ელექტრომაკთულზე უძრავად ჰკიდია ნათურა, მავთულზე ხუთი ბუზია. შვიდი წლისაა, ჩე<sup>1</sup>, — თქვა დეიდა ოღვამ. კოლეჯში აგზავნით? ალბათ კერძოში, ხომ? მამამ უპასუხა, ვნახოთო. თუ კერძოში გავზავნით, რა თქმა უნდა, არავითარი პრობლემა არ გექნებათ, იქ კარგად ასწავლიან, დაკარგულ დროსაც აინაზღაურებს ბავშვი. ქალაქის საზოგადოებრივ სკოლებს კი კარგა მუტრუკები ამთავრებენ, მაგრამ ცოდნით კი არაფერი იციანო, — თქვა დეიდა ოღვამ. შენ ქალაქის სკოლაში დადიოდი? — ჰკითხა მამამ მშვიდად. დედას გაეცინა, მამას არა, ოღვაც, რა თქმა უნდა, იცინოდა. ალბათ კერძო სკოლაში შევიყვანთ, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ შენ გინდა, იმიტომ რომ ენა კარგად შეისწავლოს, — თქვა მამამ. აჰ, ალბათ ინგლისურ კოლეჯში? — იკითხა დეიდა ოღვამ. არა, გერმანულში. ახლავე? ახლავე. ეს ენა ძალიან მომწონს და მინდა პატარაობიდანვე შეისწავლოს. მაშასადამე, ყველაფერი დამთავრდა, — გავიფიქრე მე საწოლში. ლოგინი ცივი იყო, თუმცა დედამ თბილი საბანი დამახურა. შვიდი წელი შემისრულდა. ჩემი აზრით, დამთავრდა ყველაფერი, ასე მგონია. ეს ცვლილება კარგს არაფერს მომიტანს. კოლეჯი კოლეჯია, სულერთია რომელი იქნება. ნეტავ რას ნიშნავს

1. ჩე (ესპ. che) — შორისდებული სხვადასხვა ვითარებასა და კონტექსტში სხვადასხვა მნიშვნელობისა. დაახლ. ქართ. „ისა“, „ხომ გესმის“, „წარმოვიდგენია“ და ა. შ.



„სახოგადობრივი სკოლა“? რით განსხვავდება „კერძოსაგან“? კოლეჯი — ეს არის შრომა, უცხო ბავშვები, მასწავლებლები, შენობა, ბრძანებები, რომლებიც უნდა შეასრულო. როგორც ჩანს, მე უკვე იმ საფეხურს მძვალწიე, როცა რაღაც ვაღივლებები უნდა დაძევისროს. ზოგჯერ ვიქტორი მონის, ერთად ვთამაშობთ ცხენობანას, დამალობანას, მაგრამ მე მარტოობა, ჩემეულ სამყაროში ფუთფუთი და ათასნაირი ამბების შეთხზვა უფრო მიზიდავს. რა ომებს, რა გმირობებს არ წარმოვიდგენ ხოლმე. ავანტურული მიდრეკილებები აქვს, — ამბობს დედა. უფრო, კრიტიკული, — ამბობს მამა. საკუთარ ნაწარმოებთა გმირი, რა თქმა უნდა, თვითონვე ვარ... ბორცვი, თვითმფრინავი, შუქურა... ვცდილობ ყოველთვის მაღლობზე ვიდგე, რათა უკეთ ვხედავდე მიდამოს. ძალიან მომწონს კალის ჯარისკაცუნები, როგორც მინდა, ისე ვექცევი მათ. მინდა ჩავასაფრებ. მინდა რაზმებად დავყოფ, მინდა მივყანტ-მოვყანტავ, მინდა ვუმასპინძლებ, მინდა დავხოცავ, რატომ არ უნდა ვაეკეთო ის, რისი გაკეთებაც შემიძლია, მაგალითად, ამ წუთში მე ხომ, ასობით უძრავ, ხელებჩამოშვებულ და ერთ პოზაში გაყინულ არსებების მძვრობელი ვარ!

აგერ თოლიაც გამოჩნდა. დასაძინებლად რომ ეწვებოდი, რატომღაც შიში მიპყრობდა ყოველთვის, რატომღაც საფრთხეს ველოდი და თანაც მაინცდამაინც ზემოდან. ჩვენს ჭუჭყიან, ერთიანად დალაქავებულ ჭერს რომ შევცქეროდი, ხშირად გამივლია გუნებაში, ჩამოინგრევა-მეთქი. ერთ დღეს მართლა ჩამოინგრა და ჩვენი შინამოსამსახურე ბეწვზე გადაურჩა სიკვდილს. საშინელება იყო... განათებულ ნათურასა და ელექტროსადენზე მიციებულ ხუთ ბუზს რომ შევცქეროდი, თან ზღაპარს ვთხზავდი ამ ბუზებზე, უფრო სწორად ვთხზავ. ვიდრე დასაძინებლად დაწვება, მამა შემოდის ჩემს ოთახში და როცა გასვლისას შუქს აქრობს, ბუზები სიბნელით ივსებიან, სიბნელით იტიკნებიან, უზარმაზარ შავ ურჩხულებს ემსგავსებიან, მძინარეს თავს დამტრიალებენ და თავიანთ უზარმაზარ ბანჯგვლიან ტორებს ხან სად წამკრავენ, ხან სად. ვიცი ეს ყველაფერი გამოგონილია, მაგრამ ძალიან მსიამოვნებს როცა კომმარს ვთხზავ საკუთარი თავისთვის. ჩემი გაბმული ყვირილი შუაზე ხლეჩს ხოლმე ჩასქელებულ-ჩამუქებულ დამეს და ეს ყვირილი ისეთი უშუალო, ისეთი ნამდვილი და ირაციონალურია, თავადვე მიკვირს, თითქოს მე არ ვყოფილიყავი საკუთარივე შიშის შეგნებული შემოქმედი. ასეთ დროს ოთახში კვლავ შემოდის მამა, რომელსაც ზოლიანი პიჟამო აცვია, შუქს ანთებს და, რა თქმა უნდა, საფრთხეც ქრება. მე დროებით ვმშვიდდები, ჩემი ზღაპრის მიხედვით შუქის ანთებისას საშინელი ურჩხულები ჭერზე დაკიდებულ ელექტროზონარს უბრუნდებიან კვლავ ბუზებად... საერთოდ, სიბნელე მუხმარება ნაირ-ნაირი ამბები შევთხზა დამლაშობით. ოთახის კუთხეში ტანსაცმლის საკიდი დგას. საკიდზე ყოველთვის ჰკიდია ვიღაცის პალტო, ქურთუკი ან მოსასხამი. დღისით ან ნათურის შუქზე რა უწყინარია ეს საკიდი! სამაგიეროდ სიბნელეშია საშინელი, ხან რასა ჰგავს, ხან რას. ერთ დამეს, მაგალითად, მარტორქას ჰგავდა. მეორე დამეს პალტო — ბეჭემოთისთავიან ჟირაფს, ხოლო ჩემი დაბადების დღეს ქურთუკი და კაშნე დიდ ხარსა ჰგავდა და ამ ხარს დეიდა ოლგას თავი ჰქონდა. არასოდეს მომიყოლია ვინმესთვის ჩემი დამეული კომმარების თაობაზე. ეს ჩემი და ჩემი ურჩხულების საიდუმლოება იყო მხოლოდ. ნეტავ კოლეჯშიც იქნება ასეთი სიბნელე? ოთახში მამა შემოდის, მე თავს ვიმძინარებ. მამა მკოცნის, მე კი ვითომ ძილში რაღაცას ვბუტბუტებ, მესმის გამომრთველის ტკაცუნა და მეც თვალგაუხეღელად ვგრძნობ, რომ ჩამობნელდა. მამა ოთახიდან გადის, მარჯვენა ხე-



ღში მაგრად მაქვს ჩაბღუჯული რამდენიმე ჯარისკაცუნა. უფროსები ნებას არ მრთავენ, საწოლში ვიქონიო ისინი: გააკაწრავს ან ზეწარს დახვესო. მე კი მაინც ჩაბღუჯული მაქვს, მაგრამ ახლა დიდა მპყრობელი, უძლეველი მხედართმთავარი ან ჯარის წინამძღოლი კი არა, ერთი პატარა უიარაღო და უსუსური ბიჭი ვარ, რომელიც თვალს არ ახელს მხოლოდ იმიტომ, რომ სურს ილუზია გაიხანგრძლივოს: აქაოდა, ბუზებს შევულოცე და მავთულზე უძრავად მინებე რით. საკმარისია თვალი ოდნავ გავახილო, რომ ბანჯგვლიანი ტორტის მამისებე შემეხება შუბლზე და მაშინ ჩემი ყვირილი აღწევს იმ კედელში, რომლის მიღმაც შუქი, მამა და სიმშვიდეა.

ეტყობა, იმ გოგოსაც დათბა, თუმცა, თვალეში სინაზე უდგასო, ვერ იტყობდი. ისე, კაცმა რომ თქვას, ამას კიდევ დამტკიცება სჭირდება, არის თუ არა სინაზე მთავარი. ნეტავ გუსტავოს თუ სტუმრობენ ურჩხულები? ნეტავ რა სახე და ფორმა აქვს მის შიშს? ერთი-ორჯერ ვნახე შეშინებული, მაგრამ ეს შიში გარედან იყო მოსული. მახსოვს, როგორ შეეშინდა, პუნტა გორდას სახლზე ქარიშხალმა რომ გადაიარა. მახსოვს, ერთხელ როგორ დააფეთა მაგარინიოსების ბულდოგმა. გუსტავო მაშინ რვა წლისა იყო, ქუჩაში თამაშისას მეზობლის ძაღლი ლამის გადმოუხტა ღობეზე. ნეტავ შინაგანი შიში თუ აქვს რაიმესი? აი ისეთი, თვალეებს რომ დახუჭავ და უცბად წარმოიდგენ, ვითომ მოკვდი, ან ღრმა, უძირო ჭაში ჩაგაგდეს? ახლა უკვე გვიანაა, ჩემი ხნის კაცს აღარ ძაღუს შვილის სულში შეაღწიოს. ის უკვე ჩაკეტილია ჩემთვის. მაშ, ვისთვისაა ღია? როცა ველაპარაკები, ასე მგონია, თითქოს ვილაცხას შესცქერის ჩემს ზურგს უკან და არა მარტო შესცქერის, არამედ თითქოს ერთდროულად ეძებს იქ წინააღმდეგობასაც და მხარდაჭერასაც, ღავასაც და დახმარებასაც. და ეს ვილაც ყოველთვის არის ბებერი. რა ვიცი, იქნებ ყოველთვის არც არის ბებერი. იქნებ გუსტავო დედასთანაც არის დაახლოებული სულიერად? არა მგონია. სუსანასათვის ამას დიდი მნიშვნელობა არა აქვს.

წყალი ფეხებს მისველებს. ცივია. რამდენი თოლიაა, ათი, ასი... რა თოლიები ამიტყდა.

## 3

ათი წელიწადი იქნება, კარნავალზე არ ვყოფილვარ. ბიჭობაში დავდიოდი, ხარბადაც ვადევნებდი თვალს წარმოდგენებს და ძალიანაც მომწონდა. ახლა აღარ მიზიდავენ კარნავალები, მაგრამ ამ იანკებს ხომ უნდა ვაჩვენოთ!

- ხომ მშვენიერია?
- შესანიშნავია, ახალორღეანულს სჯობს.
- ო, არა, მე იქ ვყოფილვარ.
- მართლა? როდის?
- ორმოცდაცხრამეტში.<sup>1</sup>

სახეჭორფლიანი ქალია. როგორ შეიძლება ასეთი ჭორფლიანი იყოს აღამიანი? კაცს არა აქვს ჭორფლი, სამაგიეროდ „კოდაკი“ აქვს და უაზროდ აჩხა-

1. ესპ. ტექსტში დიალოგი მიმდინარეობს ინგლ. ენაზე.



კუნებს. აგერ „ჯუჯა-თავკომბალები“ გამოჩნდნენ. ო, რა დიდებული ფოლკლორული სპექტაკლია!

— ამ თავებს შეხედეთ.

— რა კარგია!

— რა სასაცილოა!

— სასაცილო ხალხი ვართ, ხომ?

— ო, დიახ.

— სამწუხაროდ, ეს ასე არ არის.

— მაპატიეთ.

— ჩვენ სევდიანი ხალხი ვართ.

— თქვენი ტანგოსავით?

— დიახ, ჩვენი ტანგოსავით.

— ო, მე ძალიან მიყვარს ტანგო.

— მაგალითად, „ჩოკლო“?

— უკაცრავად, ვერ გავიგე.

— „ცეცხლოვანი კოცნას“ ნიშნავს.

— ო, დიახ, „ცეცხლოვანი კოცნა“ მომწონს. შენ ხომ გახსოვს, ტომ?

— რა?

— რაღა, ყოველთვის „ცეცხლოვანი კოცნას“ რომ ვცეკვავდით „ჰავანა პილტონში“.

— ჰავანაში ყოფილხართ, მისტერ რენსომ?

— კ. ე.-მდე სეზონი არ გაგვიცდენია.

— კ. ე.-მდე?

— დიახ, კასტროს ერამდე.<sup>1</sup>

ნეტავ ეს ლამაზი ლუციფერი თუ მოეწონებათ, ფორანზე რომ დგას და ერთ ფაშფაშა დიაცს თემოზე ჩქმეტს? იცინიან, რა თქმა უნდა.

— ერთი ამ წითელკანიანს შეხედეთ.

რა მოხდება რომ წავიხუმრო.

— ჰოდა, მისტერ რენსომ, ეს ჩვენი „კეთილშობილების ალისფერი ნიშანია“.<sup>2</sup>

— მაპატიეთ, ვერ გავიგე.

— ჩვენი „კეთილშობილების ალისფერი ნიშანია“-მეთქი.

— რაღაც ვერ გავიგე.

— ალბათ გაგიგონიათ ასეთი წიგნი.

— ა, წიგნი? გაუჩოთა ცხოვრებაზე?

— რა თქმა უნდა, მისტერ რენსომ. გაუჩოთა ცხოვრებაზე.

— ო, შესანიშნავია.<sup>3</sup>

კაპუროსა და უსარესის ქუჩებზე სახელდახელო სცენა მოუწყვიათ. ქვემოთ, ხალხში ვდგავარ მე, თერთმეტი წლის ბიჭი, მარტო უამხანაგოდ და შევცქერი სცენას. დედამ ათი პესო მომცა, ათი პესო ათას ცხრაას ოცდარვა

1, 2, 3, დიალოგი მიმდინარეობს ინგლ. ენაზე.

2. კეთილშობილების ალისფერი ნიშანია — ამერიკელი მწერლის სტივენ კრეინის (1871-1900) რომანი სამოქალაქო ომზე აშშ-ში.



წელს მთელი სიმდიდრე იყო. შემეძლო მეყიდა კამფეტები, სერპანტინი, რაც გინდა სულს და გულს! ოქსფორდელი მსახიობები გამოდიოდნენ. უამრავი ხალხი იყო. მე კუთხეში ვიდექი, რაღაც ყუთზე მიჭყეყილი. ოქსფორდელები ვიღაც ნიღბოსანმა შეცვალა და ხალხიც შეთხელდა. მერე კიდევ ერთი დასი მოვიდა, პატარა ბიჭი ჰყავდათ მოცეკვავე. ამ ბიჭმა ლამის ყველა ცეკვა შეასრულა; ხოტა, ტარანტელა, მილონგა, მალამბო, რაველის ბოლერო. რაღაც დაამოქმედებინათაურა, კედელთან დადგა ჩემ პირდაპირ. ბიჭს დიდი თვალები და გამხდარი ხეობები ჰქონდა. მოგეწონა? — მკითხა. კი. გინდა წავიდეთ, ცოტა გავიაროთ, — უთხარი მე. არ შემეძლია, — მითხრა მან. მე ათი პესო მაქვს. ფულის დანახვაზე თვალები ლამის გადმოუცვივდა. კარგი, ვთხოვ, იქნებ გამომიშვან, — თქვა მან. მერე ვიღაც შაოსან კაცს რაღაც უთხრა, მალე დაბრუნდა და, წავიდეთო, მომმართა. ჩვენც წავედით. გინდა პარკში წავიდეთ? შორს არის? არა, სულ ახლოს. სწრაფად მივდიოდით, თითქმის უსიტყვოდ. რაღაც აუხსნელი შეგრძნება მქონდა. უფრო სწორად, მე ეს ბიჭი ათ პესოდ ვიყიდე, თუმცა ცოტახნით, მაგრამ მაინც მყავს ამხანაგი. პარკში ბნელა. ხალვათობაა. დიდი ხანია ცეკვავენ? შარშანდელი კარნავალიდან მოყოლებული. ვმღერი კიდევ. რას მღერი? „პატარავ, როდის შემიყვარებ?“ დელაჩემიც მღერის „პალმების ხეივნის ბოლოში“. ეგ არ ვიცი. „ვერ გამოგია, რად დამატყვევეს შენმა თვალებმა“. ეს ვიცი. „ჩემი ხერესული ბელაური“. ესეც ვიცი. ვტყუი. არაფერიც არ ვიცი. მაშასადამე, ბევრი სიმღერა გცოდნია. ოცამდე. ძალიან კარგი. მე ჭიდაობაც ვიცი. შენ იცი? მე არც ისე. გინდა გასწავლო? მიდი. ჩემზე დაბალია, მაგრამ ძლიერი. რაც მთავარია, უფრო სხარტი. უცებ ვხვდები, ცდილობს, ხელი ჩამიყოს ჯიბეში, ახერხებს კიდევ, ვგრძნობ, ფულს იღებს. არაფერს არ ვუბნები. მოგეწონა? — ხელს მიშეებს ბიჭი. კი, კარგად ჭიდაობ. ვინ გასწავლა? ჩემმა ბებერმა. შენი ბებერი ვინ არის, რას წარმოადგენს? მტვირთავია. ამიტომაც ხარ ასე ძლიერი. პორტში მუშაობს. კარგი, მე წავედი. უკვე? ჰო, ახლა სხვაგან უნდა გამოვიდეთ. მაშინ ჩაო. ჩაო. ბიჭი გარბის, მე კიბეზე ვჯდები დონეგამოცლილი. გარშემო ხეებია. სახეზე რაღაც მელამუნება. ობობაა თუ ლამის პეპელა? ათი წლის მოცეკვავე ბიჭი უკან ბრუნდება. აილე. რატომ? ჭიდაობის დროს ჯიბიდან ამოგატალე, მაგრამ რატომღაც არ მინდა. სხვა დროს სულ მინდოდა ხოლმე, ახლა არ მინდა. ფულს ვართმევ, რა გქვია? ანხელი. შენ? რამონი. ბიძაჩემსაც რამონი ჰქვია. ანხელ, აილე ეს ათი პესო. არა, ძალიან ბევრია. გჩუქნი. არ მინდა. თუ არ აიღებ, იცოდე, კიბეზე დავტოვებ. შენ რა, ბევრი ფული გაქვს? მე — არა, მაშაქემს — კი. შენი ბებერი რას წარმოადგენს? ფაბრიკა აქვს, გაზეთიც. იუმორისტული? ჰო, იუმორისტული. რა კარგია, აილე ეს ათი პესო. კარგი, რაკი შენს ბებერს ბევრი ფული აქვს, მოიტა. აჰა, ჩაო. ჩაო. უფულოდ დავრჩი, მაგრამ სამაგიეროდ მთელი ნახევარი საათი მყავდა მეგობარი, რომელსაც სურდა ფული დაებრუნებინა ჩემთვის.

— ო, ტომ, დავიღალე.

— ოტელში გსურთ დაბრუნდეთ, მისის რენსომ?

— დიახ, დიახ.

— ცოტახანს კიდევ მოითმინე, მერი, თუ შეიძლება, ერთი-ორი სურათი გადავიღო ბარემ.

— ტომ, ძალიან დავიღალე, ვთხოვ.

— მისტერ რენსომ, თქვენ დარჩენა გსურთ კარნავალზე?



- დიახ, დავრჩებოდი. ძალიან მომწონს ეს კარნავალი.
- მაშინ ნუ შეწუხდებით, მისტერ რენსომ. ნება მომეცით, მე მოვემსახურო მისის რენსომს.
- ო, ოტელამდე მიაცილებთ?
- სიამოვნებით.
- დიდად დამავალდებთ, მისტერ ბოუდინოუ. შენ კარგად იქნებ ესპანურში გაივარჯიშო ენა ჩვენს მეგობართან.
- რა თქმა უნდა, ტომ.
- ჰოდა, ძალიან კარგი.
- დროებით, ტომ.
- დროებით, ძვირფასო.
- ღამე მშვიდობისა, მისტერ რენსომ.
- ღამე მშვიდობისა. დიდად მადლობელი ვარ თქვენი<sup>1</sup>. დაახლოებით ვხვდები, რაც უნდა ამ ქალბატონს.
- ოტელი შორსაა?
- არა, რამდენიმე კვარტლის შემდეგ.
- მაშინ ფეხით გავიაროთ.
- სად იხწავლეთ ასე კარგად ესპანური ენა, სენიორა რენსომ?
- დედამი არგენტინელია. ბავშვობაში ესპანურად გველაპარაკებოდა.
- ჰო, მაშინ გასაგებია ყველაფერი.
- მამა ირლანდიელია, მაგრამ ესპანურად ისიც ლაპარაკობს. მე ჩრდილო კაროლინელი ვარ, ჩემი ერთ-ერთი ძმა კი ტეგუსიგალაში დაიბადა.
- აუჰ, ნამდვილი აჯაფსანდალია!
- მართლა? ისე, რომ იცოდეთ, არ დავუღიღავარ.
- გინდათ დაბრუნდეთ კარნავალზე?
- არა, არ მინდა,
- ოტელში?
- არც ოტელში.
- მაშინ მიმსახურეთ, სენიორა.
- იქნებ თქვენს ოფისში წავსულიყავით.
- სააგენტოში? ასე გვიან? უკვე თორმეტი საათია.
- გასაღები ალბათ თანა გაქვთ.
- თქვენი ქმარი რომ დაბრუნდეს უცებ, არ გაუკვირდება, ოტელში რომ არ დახვდებით?
- ჩემი ქმარი ორ საათზე მეტ ხანს მოუნდება სურათების გადაღებას. თანაც, რომც არ დავხვდე, არაფერს იტყვის.
- თუ ასეა...
- იცით რა, სენიორ ბუდინო, ჩემმა ქმარმა თავი მომაბეზრა.
- იქნებ დასვენება გსურთ, სენიორა რენსომ?
- მერი დამიძახეთ, რამონ.
- საიდან იცით ჩემი სახელი?
- თქვენი სააგენტოს ბლანკზეა დაბეჭდილი.

1. დიალოგი მიდის ინგლ. ენაზე.



- თქვენ დღეს გადაიღალეთ, მერი. ჩვენი უფერული კარნაულები ბევრს დღის.
- არა, არ დავდლილვარ, უბრალოდ, ქმარმა მომაბეზრა თავი. მეტი არაფერი.
- მხოლოდ ამ საღამოს თუ საერთოდ?
- თითქმის საერთოდ, მაგრამ განსაკუთრებით კი ამ საღამოს.
- მაშინ რატომ არ გაეყრებით?
- სიზარმაცის გამო.
- არა უშავს მიზეზია.
- მართლა? გამაცინეთ, რამონ. არადა, არც ისე ხშირად მეცინება.
- გიხდებათ სიცილი.
- კიდევ შორსაა თქვენი ოფისი?
- მოვედით, სენიორა.
- ნუ გერიდებათ, მერი დამიძახეთ.
- არ მერიდება, მერი, გარწმუნებ.
- აი ეს მომწონს, შენობით რომ ძელაპარაკები უკვე.
- ჩემი გასაღები სადაა?
- არ მითხრა ახლა, დამეკარგაო.
- არა, აგერაა.
- რა ღამაში ოფისია, სუფთა, ფართო.
- ჩვეულებრივი ოფისია.
- შეიძლება ფეხზე გავიხადო?
- შეგიძლია ყველაფერი გაიხადო, თუ გინდა.
- რაც არ შეიძლება, ისიც?
- უპირველესად ეგა.
- მითხარი, რამონ, გრინგოები რატომ არ არიან ასეთები?
- მაინც როგორები, როგორც ვინ, მაგალითად?
- როგორც შენ, მაგალითად, მოუხერხებელი.
- სულაც არ ვარ მოუხერხებელი, ვფიცავ ყველა მოციქულს ერთად.
- ღმერთს ნუ სცოდავ, იქნებ ჩემი ჭორფლი გიშლის ხელს.
- პირიქით, მომწონს. აი, ეგ სამაგელი ყელსაბამი, ეგ პერუული ვერცხლის კულონი და ეგ ფლარუნა სამაჯურები კი მართლა არ მომწონს.
- ვიხსნი.
- ესეც მოიხსენი.
- ამასაც ვიხსნი, რამონ.
- ესეც, ესეც, ესეც...
- არა, ეს არა.
- კი, ესეც.
- რამონ.
- მერი.
- მირჩევნია მარია დამიძახო. რამდენი ხანია არავინ მევარებია ესპანურად. რამდენი ხანია არავინ მომსიყვარულებია, ღამლაპარაკებია ესპანურად.
- ჩემი სიყვარულო.
- აი ეგრე, რამონ.
- სამაგელო ჩონჩხო.
- ეგრე, რამონ.





- კახპავ...
- ეგრე, რამონ, თქვი კიდევ რამე.
- მთელი მარაგი ამოვწურე, მარია, მაგრამ შემიძლია თავიდან დავიწყო: ჩემო საყვარელო, საძაგელო ჩონჩხო, კახპავ...

შეჩვენებული კაცი ვიყო, თუ ეს ძვალტყავა შტერი ქალი მომწონდეს; თუ ავევი, აქედანვე ვიცი, რაც მოხდება. შარშან უკვე ვიწვნიე ასეთი რამ: ქმრის საყვედურები, უსიამოვნება, აურზაური და შედეგად — დიდი ხარკი<sup>1</sup> არა, მაღლობთ, მეტი აღარ განმეორდება...

- ჩაიცვი, მარია.
- უკვე?
- უკვე.
- წელს ჩამოხვალ შეერთებულ შტატებში?
- არა მგონია.
- გაისად?
- არა მგონია.

როგორც იქნა, რა ბედნიერებაა, ხვალ დილით მიემგზავრებიან! წავალ, მართო გავივლი, ჰაერს გადავყლაპავ... კიდევ კარგი, რომ მერი ესპანურად ლაპარაკობდა. იქნებ ფიქრობს, რომ მე ვალდებული ვარ ყველა ჩემს კლიენტ ქალს მივუწვევ? ან იქნებ ფიქრობს, რომ თვითონ არის ვალდებული ტურისტული ბიუროს ყველა აგენტ მაძაკაცს მიუწვევს? მამა ირლანდიელი ჰყოლია, დედა — არგენტინელი. შეიძლება ასეც არის. ჩრდილოამერიკელ კაცებს სამხრეთ ამერიკა ალბათ მარიხუანათი სავსე ქვაბად წარმოუდგენიათ, ქალებს კი — ერთ დიდ ფალოსად. მათ გვერდით თავი აჯილღა გგონია კაცს... რა ბედნიერებაა, მანქანით წელა რომ მისრიალებ რამბლაზე, თანაც მართო... აჯილღა. და მაინც ჩემი ქალია მერი, მერამდენე? მოიცა, გამოვითვალო. ქორწინებამდე: როსარიო, მარია, აურელია, ხულია, ალისია, კლარა, უნგრელი და მორჩა, მეტი არავინ. შვიდი ქალი. ჰო, კიდევ, რა თქმა უნდა, სუსანა. ქორწინების შემდეგ: მარუხა, რიტა, კლაუდია — სანჩესის ცოლი, გლეღისი და ახლა ეს მისის რენსომი... ხუთი, ე. ი. შვიდს მიუმატე სუსანა, მიუმატე ხუთი გამოდის ცამეტი... ზომიერია. ვინმე რომ არ გამომჩინა? მე მგონი, არავინ... ჰო, კიდევ ორი უშედეგო შემთხვევა მქონდა და შეერთებულ შტატებში, უშედეგო იმიტომ კი არა, რომ სურვილი არ მქონდა... როგორ შეიძლება არ გინდოდეს და თავი შეიკავო, როცა ათი კვირით წასული ხარ სახლიდან. წასვლამდე რჩევა უნდა მეკითხა ვინმესთვის, კონსულტაციები მიმეღო. ხომ არსებობს ცნობილი სამოგზაურო სააგენტო „რამონ ბუდინო და კომპანია?“ ასევე უნდა არსებობდეს საკონსულტაციო ორგანიზაცია ტურისტული სექსის საქმეშიც. აბა, მე რა ვიცოდი, თუ ფრაზა — „Would you like to see my etchings?“<sup>1</sup> მისანიშნებელი, მთავარი ფრაზა ყოფილა მათთვის? ამას ჰქვია ეაფემიზმი. ჰო, პროფესორის ცოლი იყო. რიჩმონდში, ვირჯინიის შტატში ყოფნისას მოხდა ეს ამბავი. პროფესორის ცოლს ტანგოს ვასწავლიდი, საწყალი პროფესორი კი იჯდა და თანაგრძნობით შემოგვეცქეროდა. ერთი ფირფიტა მქონდათ — „ჰაეროვანი მიხაკი“, თუმცა რატომღაც „ბაღში გავედი“ ეწერა ზედ ინგლისურად. ჰოდა, სულ ამ ერთ ფირფიტას ვატრიალებდით, დამთავრდებოდა, ისევ დავატრიალებდით... რამდენს მეტს დავატრიალებდით ფირფიტას, იმდენს მეტს მეკვროდა ქალი, პროფესორი იჯდა და გალიმებული შე-

1. „ხომ არ ნახავდით ჩემს ვრავიურებს?“ (ინგლ.).



მოგვცქეროდა. სახეზე კმაყოფილება და მადლიერება ეხატა. ვგრძნობდი ამ ქალის თითქმის მთელ სხეულს, ყოველ გოჯს მისი სხეულისას — თითებს, თმას, გულსაბნევს, მუწუკებს, ღილს, ხალს, თმის სარჭს, ჭიპს. ერთხელ ბუენოს-აირესელ წყვილთა ცეკვა უნახავს თურმე და მას შემდეგ ერთი სული ჰქონდა როდის ისწავლიდა ტანგოს თუნდაც ერთ-ორ პას, მოკლე-მოკლე ნაბიჯებსა და რვიანებს. ჩემთან ცეკვისას, რა თქმა უნდა, ისიც გრძნობდა ჩემს საფეხებს, ანუ ტოკალამს, მკერდის ფიცარს, პასპორტს, სავარცხელს, ქამრის ბალთას, ქაქიქს და ა. შ. ყველაზე მეტად — ამ ასე შემდეგს. პროფესორი კი შემოგვცქეროდა. არასოდეს დამავიწყდება მისი თვალები და ღიმილი. მახსოვს, მაშინ გუნებაში გავივლე: ეს ის კაცია, ვისაც აი ასე გაღიმებულს შეუძლია ადამიანი მოკლას-ნეთქი. როგორი საქმეა, „ჰაეროვანი მიხაკი“ ოცდაათჯერ! მთელი თაიგულია. უკვე მეტი აღარ შემეძლო სხვადასხვა მიზეზის გამო. ერთი მიზეზი ის იყო, რომ არ მეხერხება ავხორცული ფსევდოთანხვდომა გამოვამყლავნო იმ მოწმეთა თანდასწრებით, რომლებსაც სისხლის მაგიერ ღიმონათი უდით ძარღვებში. ცოლ-ქმარმა უიკენდზე მიმიპატიჟა, მაგრამ რას წავიდოდი. ამდენი ჰაეროვანი მიხაკის საკომპენსაციოდ ქალს ორქიდეები გავუგზავნე. კარგად დავიძვრინე თაკი... პო, მეორე უიღბლო შემთხვევა ნატიფი ხელოვნების ფაკულტეტის ერთ ნიუ-იორკელ ვლალთმიან სტუდენტ გოგოსთან მომივიდა. გოგო რესტორანში რაღაცის იმედებს მაძლევდა, მაგრამ ოტელში არ გამოძევა. მე, რა თქმა უნდა, არაფერი მითქვამს მისთვის ჩემს „გრავიურებზე“, მაგრამ მან მთხოვა ტანგო მასწავლეთო და თავისთან მიმიპატიჟა პარასკევ საღამოს. მე „პო“ ვუთხარი. ვიყიდეთ ხილი, კოკა-კოლა, ჯინი „დენიმ ბლიუ“, საბულიონე ფხვნილი, პიცა, შავი პური, ქოქოსის ტორტი, ღვინო და მოშაქრული წაბლი. ერთი სიტყვით, ყველაფერი, რაც საჭირო იყო დიდი ტრაპეზისთვის. მთელი ეს ხანოვავე ცხრა დოლარი და ოთხმოცდაათი ცენტი დამიჯდა, მაგრამ, ჩემდა საუბედუროდ, ამ გოგოს ოთახი ძალიან პატარა, ბნელი და ჭუჭყიანი აღმოჩნდა, თანაც ერთი კუთხე ფარდით იყო გადატიხრული. უცებ გადაიწია ეს ფარდა და გამოჩნდა მეორე სტუდენტი გოგო ღამის პერანგში — ჩემი ნაცნობი გოგოს თანაამხანაგი ოთახსა და ნატიფ ხელოვნებაში. ღამისპერანგიანი გოგო იუგოსლავი ყოფილა, საცოდავს ციება და ბრონქიტი შეჰყვრია და ძირმაგარებიც გასჩენია... რა თქმა უნდა, უკმაყოფილო ვიყავი, მაგრამ მეორე ჭიქა ღვინის მერე გავტყდი და დავთანხმდი საცეკვაოდ, თუმცა დიდი ხვეწნით დამიყაბულეს. ხან ერთთან ვცეკვავდი, ხან მეორესთან, თანაც ამათაც ერთი ფირფიტა ჰქონდათ. ამჯერად ეს იყო ტანგო ინგლისური სახელწოდებით „მე ვიცნობ ცხოვრებას“, ჩვენებურად კი მას ერქვა „ნახვამდის, ბიჭებო“. ფირფიტა ტრიალებდა ორმოცდახუთი ბრუნვით წუთში, მუსიკას თან ახლდა დოლის რეპრიზები, ვიოლინოების პიციკატო და დროულად ჩართული „ოლე“. ო, ეს იუგოსლავი ღამისპერანგიანი გოგო მახინჯია, როგორც სასიკვდილო ცოდვა. ოფლისა და რაღაც მაღამოების სუნი ასდიოდა. ყურს იმზომამდე მწვავდა მისი ცხელი ბალკანური სუნთქვა, რომ ამ შემთხვევის მერე რამდენიმე დღე მეც გავატარე საწოლში საკუთარი ძირმაგარებითა და ბრონქიტით შეწუხებულმა.

ახლა ერთი საფიქრალი მაქვს — რა მოვიგონო ისეთი, რომ სუსანა, თუ არ ძინავს, დავაჯერო, სამსახურში ვიყავი-მეთქი. ნამდვილად მეტყვის, რა სამსახური გაქვს ასეთი ღამის სამ საათამდეო? ო, რა მომხვდება! არადა, უსამართლოდ მომხვდება. მე ხომ მართლა სამსახურებრივ მოვალეობას ვასრულებდი. იქნებ ვიცნო, პუნტა დელ ესტეში წავედით და იქიდან გვიან დავბრუნდით-



მეთქი, არა, არ ივარგებს. სუსანა ხვალვე დაურეკავს იმ ჩემს გათქვირულ დიდებულ მდივან ქალს და ყოველნაირად ეცდება სიმართლე დაადგინოს. სუსანა ასეთ შემთხვევაში მელასავით შემპარავი ქალია, ის ჩემი მდივანი კი შტერია. ერთ რამედ ღირს მათი სატელეფონო ლაპარაკის მოსმენა.

— ოჰ, გაიღვიძე? როგორა ხარ, ძვირფასო? დაიძინე, დაიძინე. არა, არც ისე გვიანია, ხუთი წუთია ოთხის. დაიძინე. ჩრდილოამერიკელებს დროა. მოწყენილობა იყო. დილით ვიამბობ, წავალ ტანს გადავიბან, დაიძინე.

ცხვირსახოცი კი გადავაგდე მანქანიდან, მაგრამ ამ პერანგს რა ვუყო, პი-მადა რომ ამჩნევია? სახლში სპირტიანიც კი არაფერი ვვაქვს.

4

ჩაი უფერულია, კარაქი მაცივრიდან გამოუღიათ და საძაგლად დარბილებულა. კაციშვილი არ ფიქრობს იმაზე, რა მნიშვნელობა აქვს ჩემთვის საუზმეს. საბრალო სუსანა. გუსტავოს ჯერ კიდევ ღრმად სძინავს, სუსანას მხოლოდ მე ერთი ვყავარ. უფრო სწორად, მე მყავს ის, რადგან სუსანას თავის მოვალეობად მიაჩნია, დილით ადრე ადგეს და სამსახურში ჩემს წასვლამდე მესაუბროს.

საბრალო სუსანა. ნამძინარევი სახე აქვს, უკოსმეტიკო მეუბნება: „შაკარი დაგიმატო“? ასევე მეტყვოდა: „გილოცავ ახალ წელს“. ამ წუთებში მე სუსანა მებრალება, არადა, სულაც არ არის შესაბრალისი. ჯიუტია. უნდა თავი წვალებულად მომაჩვენოს და ამიტომ დგება დილით ჩემთან ერთად. „წმინდა სებასტიანას“ რომ ვეძახი, ცოფდება. რა იქნება ახლაც რომ დაუუძახო?

— წმინდა სებასტიანა.

მართლა ცოფდება, ნეტაე რატომ არ ინახავს კარაქს მაცივარში? მირჩევნია ცარიელი პური ვჭამო, ვიდრე ის სისაძაგლე წავუსვა. დღეს პურს ზიარების კვერის გემო აქვს. სულ ბოლოს ათას ცხრაას ოცდაცხრა წელს ვეზიარე პუნტა კარეტას ეკლესიაში. ბებიამეც სახლს უკან მშვენიერი ეზო პქონდა. იქიდან კარგად ჩანდა ეკლესიის ეზო და „კეთილ საქმეთა“ — გამოსასწორებელი დაწესებულების — ნახშირის საწყობის ეზოც. ჩვენი ეზოდან ვხედავდი ხოლმე, მღვდლები ანაფორის კალთებს ნიფხავივით შეიკეცავ-შემოიკეცავდნენ და ისე თამაშობდნენ ფეხბურთს. მღვდლები ფეხბურთს თამაშობდნენ, საწყობში მომუშავე ქურდები კი ციხიდან იპარებოდნენ. არჩევანი შენზე იყო: ძალაუფლება თუ ზეციური ნეტარება, ხორცი თუ სული, ღმერთი თუ ეშმაკი. „კოლორადო“ თუ „ბლანკო“. მღვდელს ვუთხარი, როცა გაუიზრდები, უსათუოდ „კოლორადო“ ვიქნები-მეთქი. მანაც არ დაახანა და ერთი ოცდახუთჯერ მაინც წამაკითხა „ავე მარია“. ერთხელ მითხრეს, კვერის ჭამისას შეგიძლია სამი რამ სთხოვო ღმერთსო. მეც ავდექი და ვთხოვე: მინდა მამაჩემი კარგად იყოს, დედაჩემი კარგად იყოს და კიდევ ხუთი ნომერი ბურთი მინდა-მეთქი. ბურთის ბოლო ადგილზე მოხსენიება და ორი სხვა კეთილშობილი სურვილის წინ წამოწევა, მსხვერპლის გაღებას უდრიდა ჩემი მხრიდან, მაგრამ იესოს ერთხელაც არ უყვია ჩემთვის ბურთი. რაც შეეხება კარგად ყოფნას, ეს კი ნამდვილად შემისრულა, თუმცა დროებით. ეს იყო ერთადერთი ბედნიერი ხანა ჩემთვის რელიგიურ საკითხებში. ღმერთი ჯერ კიდევ არ იყო ჩემთვის ისეთი ბუნდოვანი და დანაწევრებული, როგორიც შემდეგ გახდა. მაშინ ის იყო ღმერთი — პიროვნება, წვერიანი, მასთან ლაპარაკი შეიძლებოდა. ეკლესიაც თითქოს ტკივილებს მიყუჩებდა. ცოდვა



არ ჩამიდენია, — ვუთხარი მღვდელს აღსარებისას. შეილო ჩემო, განიგდე სიამაყე ეგე. განა ერთხელ მაინც არ შეგივლია ცოდვილიანი თვალი კოლეჯელი გოგონებისთვის? იმ წუთიდან გადაწვევითე განმეგდო სიამაყე. აქამდე გოგონებს ყურადღებას არც კი ვაქცევდი, იმ დღიდან კი ყოველნაირად ვცდილობდი ცოდვილიანი თვალით შემეხედა მათთვის. დღეს ცოდვა ჩავიდინე, — ვუთხარი მღვდელს კვირის აღსარებაზე. მღვდელი ასაკოვანი იყო უკვე, უნდობლად შემომხედა, მაინც რა ცოდვა ჩავიდინეო? კოლეჯის გოგონებს ცოდვილიანი თვალებს შევხედე-მეთქი. უსაზღვროდ კმაყოფილი ვიყავი, საკუთარ სიამაყეს რომ ვაჯობე. შეილო ჩემო, განიგდე სიამაყე ეგე, — მითხრა მღვდელმა. — არასოდეს იამაყო ამით, რომ ცოდვილიანი ხარ. ერთი ოცდაათჯერ მაინც ჩამარაკრაკებია „მამაო ჩვენო“... შინმისუ ღმა სასწრაფოდ მოვიძიე ლექსიკონი და ვიპოვე სიტყვა „ცოდვილიანი“. ცოტა ზემოთ განმარტებული იყო სიტყვა „ცოდვა“. ქმედება, სიტყვა, სურვილი, ფიქრი ან ზრახვა მიმართული ღვთის ნებისა და მისი მცნებების წინააღმდეგ. დიახ, რა თქმა უნდა, გოგონებს ზრახვით შევეცქეროდი... უკან მიბაქვს ჩემი სიტყვები. „წმინდა სებასტიანა“, მე კი მიმაქვს, მაგრამ სუსანას რომ არ მიაქვს ეს ამძალებული კარაქი? ო, რა მშვენიერი ღიმილია! საუზმობა დამთავრებულია, ჩემი მუცელი კი აღშფოთებული ყმუის.

— შემოდი, დაჯექი.

ვერა და ვერ ვეგუები მის არეულ-დარეულ კაბინეტს. ნეტავ რატომ ხმარობს ბებერი მხოლოდ უბრალო ფანქარს?

როდიდან ამიცრუვდა გული? როდის შეწყვიტა მან „მამობა“ და როდის გახდა „ბებერი“? „აი, ახლა დავამთავრებ რედაქციის საქმეს და მერე შენთან ვიქნები“. ტყუილია, არასოდეს არ იქნება ის ჩემთან. არასოდეს არ ვიქნები მე მასთან. იქნებ არ მიყვარს? შეიძლება ასეც არის, არ უარყოფ. საწერი მაგიდიდან და კარტოთეკიდან ნესტის, ძველი ქაღალდებისა და სიგარეტის ნამწვავების სუნი მოდის. ის არის გაზეთი, პო მაგრამ, გაზეთის რომელი ნაწილი? ტვინი, კუჭი, ღვიძლი, გული, სწორი ნაწლავი თუ საშარდე ბუშტი? ის ჩემ წინაა, უპიჯაკოდაც ელევანტურია, ჭალარა უხდება. ქაღალდების გროვაც უხდება. ის კი არადა, მეც ვუხდება მას... ო, რას ამბობთ, დოქტორი თავიანი კაცია, მისი შეილები კი... პო, ვიცი, ვიცი. მისი შეილები თუ „რაღაცას“ მაინც წარმოადგენენ, იმას უნდა უმაღლოდნენ, რომ ბუდინოები არიან. მიუხედავად თავისი ნაკლისა, — არის კი ვინმე უნაკლო ამქვეყნად? — პო, მიუხედავად თავისი ნაკლისა, დოქტორი მაინც მაგარი კაცია. ნაკლიო? რა ნაკლი აქვს დოქტორს? არსებითი არაფერი: ბევრ სიგარეტს ეწევა, ქალებს ათამამებს, ბრძანებლობის მოყვარულია, დემავოგია, მკაცრია გაფიცულთა მიმართ, პატივმოყვარე და მფლანგველი კაცია. მეტი რა გინდათ? ეს ნაკლი არ არის, ეს ღირსებაა კაცისათვის. სოლო მართლაც გამორჩეული ღირსება, რასაც მართლა ვერ წაართმევ — ეს არის მისი დაუღლელობა და მომხიბვლელობა. ბებერმა ყოველთვის იცის, რომ მისი სიტყვა კანონია. როცა საჭიროა, ფილანთროპია, იცის კარგი ღვინის გქნო, უყვარს მოგზაურობა, ანეკდოტები, ხმამაღალი სიცილი, შეუძლია თავისი ხალისიანობა სხვასაც გადასდოს, თვალებში ცეცხლი უნთია. ასე გგონია, მან მეტი იცის, ვიდრე ლაპარაკობს, მაგრამ სინამდვილეში არც არაფერი იცის. უზარმაზარი ნიჭი აქვს, გულითადობა გამოამყლავნოს მაშინაც კი, როცა ამ გულითადობის მიღმა სიძულვილი იმალება. აცვია უზადოდ, ინგლისური ქიშპირის კოსტიუმები უყვარს, სოლიდური თანხა აქვს ბანკში, დიდი ხელფასიც.



ჯანმრთელია, რკინასავით მაგარი, მორალურ ფასეულობათა პათეტიკური დამ-  
ცველია და und so weiter!... აგერ ეს უბადრუკი მლიქვნელიც მოვიდა.

— გამარჯობათ, ხავიერ, ოჯახში როგორა ხართ?

ვიცი, წინასწარ ვიცი, მოჰყვება ახლა თავის ცოლის ავადმყოფობაზე წუ-  
წუნს.

— არც ისე კარგადა ვართ, დონ რამონსიტო. ჩემს ცოლს ძალიან აწუხებს  
ფეხები. ექიმი ამბობს, ცილების ბრალიაო, მაგრამ ანაღვლებში ცილები არ ჩანს  
და ვეღარ გავიგე, მაშინ რაღა შუაშია ცილები. ფეხები ხომ სტკივა და სტკივა,  
შეუშუბდა კიდეც. აი, ასეთი უხდება ხოლმე ფეხები... ექიმი ამბობს, აუცილებ-  
ელია წონაში დაიკლოსო, მას კი ტკბილეულობა უყვარს. ყოველთვის მსუნაგი  
იყო. მეც მსუნაგი ვარ, მაგრამ არ ვსუქდები.

— ჩვენი ხავიერი დღითი დღე იხრება წელში.

ბებერი მართალს ამბობს. მლიქვნელობისაგან იხრება წელში.. ბებერზე ათი  
წლით უმცროსია და თხუთმეტი წლით უფროსს კი ჰგავს.

— რაო, ხავიერ, ვინ არიან?

— ის ახალგაზრდები მოვიდნენ, დოქტორო.

— რომელი ახალგაზრდები?

რა თქმა უნდა, ხავიერს არ სურს ჩემი თანდასწრებით თქვას.

— თქვით, ხავიერ, ბოლოს და ბოლოს რამონი ჩემი შვილია. იქნებ არ ენ-  
დობით მას?

— რას ამბობთ, დოქტორო?

ბოლოს და ბოლოსო... შეურაცხყოფა რომ არ მომაყენოს, არ შეუძლია, ბო-  
ლოს და ბოლოსო.

— რაო, რა გვინდაო?

— ვფიქრობ, სან ხოსეში გამოსვლების თაობაზე სურთ მოგელაპარაკონ,  
დოქტორო.

— კარგი, შემოვიდნენ.

ბოლოს და ბოლოსო... რა სახეები აქვთ, ღმერთო ჩემო. ტყუილად კი არ  
ამბობს გუსტავო, ფაშისტური ბანდებიაო. კი მაგრამ, გუსტავომ სად ნახა ისი-  
ნი?... სან ხოსეში გამოსვლების თაობაზე მოსალაპარაკებლად მოვიდნენო... სირ-  
ცხვილო! თავი ალბათ განგსტერები ჰგონიათ ან იმ სტერილური, პოლივუდური  
ფილმების გმირები, რომლებშიც ყოველთვის კეთილი ადამიანები, ე. ი. ჩრდი-  
ლოამერიკელები და ნეონაციისტები იმარჯვებენ, დამარცხებით კი ყოველთვის ბო-  
როტები, ე. ი. კომუნისტები მარცხდებიან. კომუნისტთა საზიზღარ როლებს ყო-  
ველთვის ბანდიტური ფიზიონომიის ირლანდიური წარმოშობის მსახიობები ას-  
რულებენ და სხვათა შორის ასეთივე ფიზიონომიის მსახიობები ამ თხუთმეტი-  
ოდე წლის წინათ უძველესი რასის გერმანულ „შპიკთა“ როლებშიც გვევლინე-  
ბოდნენ. ერთი სიტყვით. ჩრდილოამერიკელი კანომსახიობები გვარად ო'ბრაი-  
ნები, რომლებიც ჩხავანა ჰიტლერულ ოფიცრებს ანსახიერებდნენ, გაჭრილი ვაშ-  
ლივით ჰგავდნენ იმ ო'კონორებს, ახლა რომ სისხლისმსმელ, უღმობელ წითე-  
ლი ჯალათების როლებში ვნახულობთ. ფაშისტური ბანდები — დიდი პატივია, ეს  
სახელი მათთვის, საამაყოც კი, მოსწონთ, ასე რომ ეძახიან. მაგრამ ესენი ფა-  
შისტური ბანდაც კი არ არიან... რა შეშინებული შესცქერის ეს ცხვირპაჭუა, ლი-  
პიანი კაცი ბებერს, რომელიც ვითომც არაფერიო, ისე არიგებს რევოლვერებს.



— დატენილი არ არის.

მაგრამ ღიპიანი კაცი მაინც ფეთავს, სამაგიეროდ ის ორნი, — ძმები, — სი-  
ამოვნებას ვერ მალავენ იარაღის დანახვაზე. გამხდრები არიან, გრძელსახიანე-  
ბი, თმაგადაგლესილები, უშრომელი, უცხოურ საპონს მიუჩვეველი ხელები აქეთ.  
ვინ რომელი კლასის წარმომადგენელია აშკარად ემჩნევა მოვლილ ფრჩხილებსა  
და სარკის წინ მთელი ათი წუთი ოსტატურად გაკვანძულ ჰალსტუხსწნუნსკ-  
ლოდ დაუთავებულ პერანგზე, თხელი ქიშმირის შარვალ-კოსტუმზე, ჭვინტწაწ-  
ეტებულ ფეხსაცმელზე. იმაზეც ემჩნევათ, რომ ღიპიან კაცს ჯერ კიდევ არ და-  
კიწყებია სიტყვა „ადამიანები“, ის ორი გამხდარი ბიჭი კი — „არამზადებიო“ —  
ასე იხსენიებენ. ასეა თუ ისე, ბებერს ერთნაირად ეზიზღება სამივე, მაგრამ  
გამოყენებით კი უსათუოდ გამოიყენებს მათ და თანაც როგორ?

— ჩემს შვილს რამონს არ იცნობთ?

— ეგ პატივი ჯერ არა გვქონია.

— დიდად სასიამოვნოა.

— დიდად სასიამოვნოა.

— დიდად სასიამოვნოა.

ვერ შეიმშრალებს თავის ოფლიან ხელს ეს საზიზღარი კაცი? ღიპიანი  
შფოთავს. ცხვირს აქსუტუნებს. ჯიბეში ცხვირსახოცს ეძებს, მაგრამ ამაოდ.  
ვერთობი: ნეტავ წვინტლი თუ ჩამოუვა? მარცხენა ნესტოში უკვე უბრწყინავს.  
რუთუ ქიშმირის უცხოური პიჯაკის სახელოთი მოიწმინდავს? დაძაბული პაუზა...  
აგერ მარჯვენა ნესტოშიც დაეკიდა წვეთი. კი, სახელოთი შეიწმინდა. ეს რომ  
დედამისს დაენახა... არც მეტი, არც ნაკლები, დედამისი ტყის კლუბის საქველ-  
მოქმედო კომიტეტის ვიცე-თავმჯდომარე მაინცაა ალბათ.

— აბა, ყმაწვილებო, რას აპირებთ?

არ მინდა ვუსმინო. სოციალისტების გამოსვლა, ჰაერში სროლა, პროვოკა-  
ციები და რუპრესიები გამართლებულია. ორ მასწავლებელს მეტისმეტად ვად-  
მოსდის ტვინი. ციხეში ჩასვით. არ მინდა ვუსმინო. ნეტავ როდის აქეთ აღარ  
მიყვარს? როდის აქეთ ამიცრუვდა გული? კარს მიღმა დედა და მამაა. მესამე  
კლასში ვიყავი მაშინ. ჩემს მეგობარ კოსტასთან წავედი სამეცადინოდ, მაგრამ  
შინ კალმისტარი დამრჩა და უკან დავბრუნდი. სპორტული ფეხსაცმელი მეცვა,  
თანაც მეგონა, ჩემს მშობლებს ეძინათ და ამიტომ ვცდილობდი ჩუმად მევლო.  
მაგრამ მათ არ ეძინათ. იწექი, თქვა მამამ. წესით, მე უნდა წავსულიყავი და  
სწორადაც მოვიქცეოდი, მაგრამ თითქოს ეილაცამ დამბორკაო, ნაბიჯი ვერ გა-  
დავადგი, იწექი, დედა ტიროდა, უფრო სწორად, დედა ტირის: შენ ასეთი ხარ  
ყველა ქალთან, ჩემსა და მათ შორის არავითარი განსხვავება არ არის, მეტი  
აღარ შემიძლია, ედმუნდო. იწექი-მეთქი. სრულებით არ ფიქრობ შვილებზე,  
კახპებთან ატარებ დროს. დედა ხლუკუნებს. იწექი-მეთქი. არ შემიძლია, ედმუნ-  
დო, მე ასე არ შემიძლია. მესმის, სილას ულაწუნებს სახეში. დედა შეჰკივლებს.  
მეღერი, დამამცირებელი სილა. დედა, ძვირფასი დედა. მერე სიჩუმეა. მე დამ-  
ბლადაცემულივით ვდგავარ. უნდა შევეარდნილიყავი, სკამი უნდა მეთხლიშა მის-  
ივის თაეში. ახლა კი ვიცი, ასე უნდა მოვქცეულიყავი, მაგრამ მაშინ?.. მაშინ  
დარეტყანებული ვიყავი, თანაც როგორ უნდა შემეხედა შიშველი დედისათვის?..  
ამას ვერ ავიტანდი. აი, სწორედ მაშინ გადაიქცა „მამა“ „ბებრად“. მერე რაღაც  
გაურკვეველი ხმაური მომესმა, რასაც ბებრის ხველებამერეული ხრინწიანი  
ხუნება და დედაჩემის ნაწყვეტ-ნაწყვეტი, საცოდავი, მორჩილი კვნესა მოჰყვა...  
ფინალისთვის აღარ მომიცდია, უკალმისტროდ გავვარდი სახლიდან, თავქუდმოგ-



ლექსი მისივე რამბლამდე, მერე ფერდობზე ჩავჯექი და ავტირდი. საღამომდე ვტიროდი...

— ახლა კი დამტოვეთ, ყმაწვილებო, საქმეები მაქვს.

— კარგად ბრძანდებოდეთ, დოქტორო. სასიამოვნო იყო თქვენი გაცნობა, სენიორ.

არ ვუსმენ. ჩანთით მიაქვთ იარაღი. ნახვამდის.

— აბა ახლა მითხარი, რით დავიმსახურე შვილს <sup>ქრისტეწილი</sup> სტუმრობის პატივი? დამცინის როგორც ყოველთვის.

— რაღაც ფერმკრთალი მეჩვენები, რამონ.

— მე არა მიშავს რა. აი, თქვენ კი გაზეთი სწორი გზით არ მიგყავთ, ჩემი აზრით.

— ამის სათქმელად მოხვედი?

— ვიცი, არ დამეთანხმებით, მაგრამ მაინც გეტყვით: ადამიანები ბოლოს და ბოლოს მიხვდებიან, რომ თქვენ მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრობთ, სხვები კი თუნდაც მეწყერს წაუღია.

— ყური მიგდე, რამონ. ყოველთვის სულელად მიმაჩნდი, მაგრამ, მართალი გითხრა, ამდენს თუ გაბედავდი, არ მეგონა.

— ბებერო, ძალიან გთხოვთ, ნუ შეურაცხყოფთ.

— ნუთუ ველარ შეიგნე, რომ მე არაფერი მესაქმება სხვებთან, ნუთუ ვერ ხვდები, რომ ეს ქვეყანა ჩემთვის არაფერს ნიშნავს.

— ნუ ყვირით.

— თუ მინდა, ვიყვირებ. ვერა ხედავ, რა წვრილმანებში, რა არარაობაში არიან ჩაფლულები ირგვლივ ჯუჯები? შენი აზრით, საიდანა მაქვს ამდენი ფული: შენ ტურიზმის სააგენტო გაგიხსენი, შენს ქარიხვეტია ძმას კი, უბადრუკი ცოდნა მაინც რომ მიიღოს, ეკონომიკის ფაკულტეტზე ვასწავლი?

— თუ მთელი ცხოვრება ცხვირში ამომადენთ სააგენტოს გასახსნელად ჩადებულ ამ თქვენს ფულს, მაშინ...

— რა მაშინ?

— არაფერი.

— ფული იმიტომა მაქვს, რომ ვაზროვნებ ფართოდ, ვმოქმედებ ფართოდ და ვცდილობ, ამ გულისამრევ ქვეყანაში საპატივცემულო, ღირსეული კაცის სახელი დავიმკვიდრო. სწორედ ასეთი ადამიანები უყვარს ქვეყანას და ა. შ. და ა. შ. თქვენ კი... თქვენ უნდა გერქვათ ჩემი შვილები? უგო — ქარიხვეტია, შენ — დიდგულა. აუ, რა ორი განძის მფლობელი ვარ! იქნებ კეთილ ინებო და მითხრა, მაინც რას აპირებთ?

რას ვაპირებთ? საქმიანი შეკითხვაა. შესაძლოა, ბებერი მართალია, მაგრამ მაინც მძულს იგი, ყოველ შემთხვევაში, მართალია, როცა ლაპარაკობს იმაზე, რასაც თავის ირგვლივ ხედავს, ხედვით კი იგი ხედავს თავის ქნევის დიდოსტატს ხავიერს, ჭორიკანა და დამსმენ ხავიერს, იმ ხავიერს, არამზადები რომ მცყავს მასთან, პატრონის ხუმრობაზე რომ წარამარა იცინის, ასევე წარამარა რომ წარმოთქვამს: „ო!“ რომელმაც იცის, როდის აღშფოთდეს, როდის დაიმციროს თავი, როდის გაქრეს როგორც პიროვნება, როდის გადაიქცეს ჭურად, ქონდრისკაცად, ნაკვალევად, შტამპად, ნამსხვრევად, ნამცვრევად, ნაგვად. ბებერი მართალია, იგი იმას ხედავს, რასაც ხედავს, რადგან არ სურს გარშემო სხვა რამ დაინახოს, არ სურს დაინახოს, რომ ქვეყანა უფრო მეტია, უფრო მეტს ნიშნავს,



ვიდრე საგაზეთო ქალაქის ყოველი მილიმეტრის ეკონომიურად გამოყენება, ვიდრე საუზმე და საქმიანი შეხვედრები ძვირადღირებულ რესტორან „ელ ავი-დამი“ ოლქის დეპუტატებთან ერთად, ვიდრე ერთი დოლარის შეფარდება თერ-ომექტ პესოსთან, ვიდრე ფოტოაპარატების ჩხაკუნი, ვიდრე პრეისკურანტი მტრეიკებეხერებისათვის, ვიდრე კონტრაბანდისტთა ფარფაში, ვიდრე რეაქციონერ მამა-დემოკრატთა საზოგადოებები, ვიდრე გამორჩეული პიროვნების კულ-ტი, ვიდრე უწმინდესი ხმის უფლება, ვიდრე... — მაგრამ ქვეყანა მართლაც არის დია. ქვეყანა არის უსაწოლებო საავადმყოფოები, დანგრეული სკოლები, შვიდ-შვიდი წლის ქურდბაცაცები, დამშეული სახეები, ქონმახები, რეკონკისტას ქუ-ჩელი პედერასტები, ჩაქცეული სახურავები, მორფი ოქროს ფასად. ქვეყანაა — კეთილი, გულუხვი ადამიანები, რომლებსაც უყვართ თავიანთი მიწა, ქვეყანაა ის ჭაბუკები, რომლებიც მზად არიან ჩვენი სიბინძურე აღგავონ, ქვეყანაა ის მღვდლები, რომლებსაც, საბედნიეროდ, ქრისტესი უფრო სწამთ, ვიდრე „საი-დუმლო წიგნისა“.<sup>1</sup> ქვეყანაა ის ხალხი, რომელსაც ვერ კიდევ სჯერა სიტყვისა, ის ადამიანები, რომლებიც დამლამობით უსიცოცხლო ღოდებივით ყრიან საწო-ლებში და ყოველდღე კვებიან უნეკროლოგო სიკვდილით. აი, ეს არის ნამდვი-ვილი ქვეყანა. ის მეორე ქვეყანა კი, ბებრისათვის რომ ერთი ბეწოა, ის ქვე-ყანა მოჩვენებაა მხოლოდ.

— ო, ბუდინიო, რამდენი ხანია არ მინახიხარ!

მისი ხელი მძიმედ მადევს მხარზე. ვერაფრით ვერ ვიგონებ ამ კაცის სა-ხელს. მხოლოდ ის ვიცი, რომ კოლეჯში ოსისთან მეგობრობდა.

— ოსის თუ ხვდები?

— მოდი და ნუ გაგიკვირდება, ჩე, სწორედ გუშინწინ ვლაპარაკობდით შენზე.

— მართლა?

რა ქვია? რა ქვია?

— მოდი და ნუ გაგიკვირდება, ჩე. ის ამბავი გავიხსენეთ, შენ რომ სილა შემოგკრა იმ მხეცმა ჰერ ჰაუპტმანმა.

ახალი არაფერი მომხდარა, უფრო სწორად, არაფერი ხდება: ეს მძაფრი და მოუშორებელი ტკივილი, რომელიც ყურსხემოთ იწყება და ჯოჯოხეთური ბიძ-გებით მოიწევს ქუთუთოსაკენ, ბევრჯერ გამხსენებია და ბევრჯერაც გადამისვრია უსარგებლო ტვირთივით სხვა რეალობაში, რა თქმა უნდა, არც ეს იმედგადაწუ-რული თავშეკავება ნიშნავს რამეს. ახალი ის იყო, უფრო სწორად, ის არის, რომ ეს რაღაც ახალი ტკივილიდან კი იწყება, მაგრამ იქ აღარ რჩება, დანაწევ-რებული და დანამცეცებული უერთდება ახლა უკვე სხვა შეგრძნებებს — ამწუ-თიერს, გუშინდელს, შარშანდელს. არც მაშინ და არც არასდროს არ ვიცოდი სა-კუთარი თავის შეცოდება. ეს სიამაყე კარგა ხნის წინ, ლამის ჩემი ბავშვობის-გროინდელ შუალედებში გამიჩნდა, ეს შუალედები კი ხანდახან მხოლოდ რამდენ-ნიმე დღე გრძელდებოდა. მას შემდეგ, რაც დედამ გამტყიპა და, საერთოდ, თავ-შეკავებით გამორჩეული მამა სიბრაზისაგან აჭარხლებული ვიხილე — იქნებ სულაც სიბრაზისაგან კი არა, უფრო სირცხვილისაგან იყო აჭარხლებული საკუ-თარი სიბრაზის გამო — აი, სწორედ მას შემდეგ ვერ ვახერხებ გადავლახო დის-ტანციის გრძნობა, რომელიც მაშინ მიჩნდება, როცა მსჯიან. ამასთან ერთად მიჩნდება აუხსნელი, ჩემი სიბრაღული დასჯილის მიმართ. სწორედ ამის გამოა,

1. აპოკრიფული თხზულება იეზუიტთა ორდენის მიზნებსა და მეთოდებზე.



რომ სილას შედეგი არ მოაქვს, ჭკუაზე არ მოვყავარ, სამაგიეროდ რაღაცნაირი თანაგრძნობით შევცქერი საწყალ ჰერ ჰაუპტმანს, რომელიც დგას ახლა ყველასათვის საძულველი და ოფლად იღვრება. მე მესმის, რა გარიყულად, რა ეულად გრძნობს თავს ეს მსუქანი გერმანელი კაცი პატარა ბიჭების რიგით ანთებული თვალების პირისპირ, იმ ბიჭებისა, რომლებიც სოლიდარობას უცხადებენ ამხანაგს, კბილებს აკრაჭუნებენ და ესპანურად იგინებიან. მე ვეჭვდებ, როგორ ცდილობს მსუქანი გერმანელი, დაგვარწმუნოს, რომ ის ჩვენს მოსწავლეებზეა, მაგრამ არაფერი გამოსდის: ბიჭების საოცარი ღუმლით გარემოსილი დგას და ყვეყნივით ელის რაღაცას. ბოლოს და ბოლოს ვხვდები, რომ ჩემს ატირებას კლის, მაგრამ მე არ ვტირი, ალბათ იმიტომ არ ვტირი, რომ ძალიან მინდა ვიტირო... ჩემ მარჯვნივ კარლოსი ზის. მესმის მისი ასთმური სტვენაშერეული ხუნთქვა: ისედაც ავადმყოფ ბიჭს მასწავლებლის ასეთი სიმკაცრე უარესად ხდის. მე და კარლოსი ყოველგვარი წინასწარი შეთანხმების გარეშე მოკავშირეები ვხდებით. ალბათ უფრო იმიტომ, რომ არც ისე ტანმაღლები ვართ და ლათინურ რასას ვეკუთვნით, დანარჩენი მოსწავლეები კი ტანმაღალი გერმანელები არიან. მეც და კარლოსსაც ხშირად გვებადება ჩუმი, გამოუთქმელი სურვილი, ცოტა ხნით მაინც გავეთიშოთ სინამდვილეს, ცოტა ხნით მაინც გავეცალოთ მტანჯველ დაძაბულობასა და ამ უფერულ, უმოძრაო თვალებს. როცა დილით ადრე მდუმარედ შევდივართ ნაცრისფერ შენობაში სორიანოს ქუჩაზე, როცა ლამის შეათასედ ვკითხულობთ ბრინჯაოს დაფაზე გერმანულ ენაზე ამოტვიფრულ წარწერას—„გერმანული სკოლა“, ჩვენ უკვე ვიცით, რა გველის იქ, შენობაში: უმკაცრესი წესრიგი და შეურაცხყოფა თითქმის არაფრისთვის. ჰოდა, აი ახლა ჩემს ფურთასმენას სწვდება ასთმური სტვენით შენიღბული ჩურჩული: „რამონ, რამონ“. კარლოსი დამფრთხალია, ეშინია. კარლოსს იმიტომ ეშინია, რომ არ იცის, საკუთარი ტკივილი და წყენა რომ ჩაიფუროს, პირიქით უნდა შეიცოდოს სხვა, პირიქით უნდა უთანაგრძნოს მარტოდ დარჩენილ, მოსწავლეებისაგან გარიყულ ჰერ ჰაუპტმანს, მაგრამ კარლოსისათვის არსებობს მხოლოდ შიში და სხვა არაფერი. მას ეშინია მოსალოდნელი სასჯელის — ვაითუ დაგვსაჯონ ან მე ან ის, მას ეშინია მასწავლებლის გამოცარიელებული თვალებისა და როზგების მოყვარული დირექტორის დანახვისაც კი. ამბობენ, დირექტორის როზგები ბევრს არ მოხვედრია, მაგრამ რომ მოხვედრია, ამის მოწმეები და მნახველები ნამდვილად არიან. კარლოსს ეშინია ბიჭებთან სპორტული შეჭიდებისა, ეშინია ჯერ კიდევ მიუჩვეველი უცხო სიტყვების შეცდომით წარმოთქმისა გაკვეთილებზე, ეშინია ბრძანებებისა, სილაქებისა, ზიზღისა და აკრძალვებისა. და მაინც ეს მშიშარა, გულსუსტი ბიჭი პოულობს ძალას, გამამხნევოს თავისი შეკითხვით: „ძალიან გტკივა?!“ სილა რატომ გამაწნეს, არ ვიცი. ვიცი, რომ ჰერ ჰაუპტმანი გერმანულად გვკარნახობდა ტექსტს, ჩვენ კი ამ ტექსტს რვეულში ვწერდით კუთხოვანი, გოთური შრიფტით. „მთაზე აღმართული პატარა სამლოცველო მდუმარებაში ჩაყურსულ ხეობას დასცქეროდა, იქ ქვემოთ მდინარე მიიკლაკნებოდა და ყურს სწვდებოდა მწყემსის სიმღერა“. ჰერ ჰაუპტმანის მჭახე ხმის მიღმა ულანდოველი მწყემსის სიმღერა მომესმა და გუნებაშიც მაშინვე დავასკენი: როგორ შეიძლება ასეთმა მჭახე ხმამ ის სამლოცველო აღწეროს, მდუმარებაში ჩაყურსულ ხეობას რომ გადასცქერის-მეთქი. „გუგუნებს ნაღვლიანი ზარი, გალობს სულთათანას გუნდი, მწყემსმა სიმღერა შეწყვიტა და გალობას მიუგლო ყური“. და მე, ვისაც აქამდე სიკვდილზე არასოდეს მიფიქრია, — რადგან ამის არც დრო მქონდა და არც სურვილი, — უცებ ისე ამაღელვა ამ ზარის გუგუნმა და







შუალო დონეს რომ ვერ გასცდება მომავალში. ოქროსფერი ნაწნაეები როგორც ორი თოკი, მტრულად და შეუბრალებლად დაჰკიდვია ზურგზე. გუდრუნმა, რა თქმა უნდა, ყველაფერი დაინახა. ის მაღლა სწევს იისფერი მეტწილად დათხვრილ თითს და მთლად ატაცებული ყვირის: ვერნერ! ჰანს! შეხედეთ ერთი რამონს, როგორ გასივდა და გამწვანდა. ნამდვილ გომბეშოს დაემსგავსა! მე, რა თქმა უნდა, შემეძლო მეპასუხა, შემეძლო, მაგრამ ვერ ვუპასუხე! მასწავარკვეთილი, მხოლოდ იმას ვგრძნობ, რომ ყური ახლა მართლა მტკივდა, რომ ახლანდელ და მაშინდელ ტკივილში არაფერია მნიშვნელოვანი, უბრალოდ, ძალიან მტკივდა და მეტი არაფერი, რომ კარლოსი ერთი და იგივეს შეკითხება და ცხვირის გარდ-გარდმო ცხელი ტრემლი დამდის.

ჰო, ღმერთო, მომაგონე ამ ყმაწვილის სახელი! მგონი, „ლი“ ურევია... კოლიასო — არა. კალიორდა — არც ეს. მომაგონდა: კალიერისა.

— ის სილაქი გაიხსენეთ? აი, ის იყო რაც იყო. ახლაც მტკივდა ხოლმე, ნამდვილი ნოკაუტი იყო.

— აბა, წავედი, ბუდინიო. ალბათ კიდევ შევხვდებით ერთმანეთს როდისმე.

— რა თქმა უნდა, როდისმე შევხვდებით.

— აბა, კარგად იყავი, ბებერო.

— ჩაო, კალიერისა.

— რატომ კალიერისა? მე კალიორდა ვარ.

— დალახვროს ეშმაკმა, მაპატიე. იმდენიხანი გავიდა, რომ დამავიწყდა. ყოველ შემთხვევაში „ლი“ რომ არის სახელში, ხომ გამახსენდა.

რაც მართალი მართალია, ეგოისტი ვარ. დეიდა ოლგა იმიტომ არ მომიხანულებია, მისი ჯანმრთელობის ამბავი გამეგო. საოცარია, ვიქტორი რომ მოკვდა, დეიდა ოლგა ხნიერი მეჩვენებოდა, არადა, მაშინ ოცდაათს თუ იყო ცოტა გადაცილებული. ხნიერი მეჩვენებოდა ალბათ იმიტომ, რომ თმა შეჭალარავებული ჰქონდა და თვალგებზეც თოფრაკები ეკიდა.

— თავს ნუ იტანჯავთ, დეიდა. წამოდით, ცოტა გავიაროთ. დღეს ისე არ ცხელა, რამბლაზე გავლა გესიამოვნებათ.

მე ეგოისტი ვარ. მხოლოდ იმიტომ მოვედი, დედაჩემზე რაღაც-რაღაცები გამეგო. მაგრამ ვიდრე რამეს ვკითხავდე, ჯერ თავის რევემატიზმზე უნდა წამოვუწყო საუბარი.

— აჰ, ჩემო ბიჭო, კორტიზონი რომ არა, რა მეშველებოდა. ხანგამოშვებით ვსვამ ხოლმე. ხომ გახსოვს, ამ ხელს ვერ ვშლიდი? აი, ახლა ნახე, ვშლი, დაუჯერებელია, პირდაპირ. ჰო, ამას წინათ ჩელიტა მოვიდა და თეატრში წამიყვანა, რა თქმა უნდა, დღის წარმოდგენაზე. მე ხომ საღამოს ადრე ვიძინებ... ჰოდა, ერთი მსახიობი ქალი — გვარი დამავიწყდა მისი — ისე კარგად თამაშობდა შემლილის როლს, რომ თავი ვერ შევიკავე და ტაში დავცხე. ალბათ სამ წუთს მაინც ვუკრავდი ტაშს. ხომ გესმის, ჩემო ბიჭო. რისი თქმაც მსურს? მე ტაშს ვუკრავდი. მე, ვისაც ათი წელი ხელი არ გამიშლია; დიდი გამოგონებაა ეს კორტიზონი! ნეტავ კიბოს წამალს თუ გამოიგონებენ? ასე მგონია, კიბო მომკლავს დედაშენივით. ნათელში ამყოფოს ღმერთმა მისი სული.

— ჰო, მართლა, დეიდა, დედაჩემი, თქვენი აზრით, ბედნიერი იყო?

ვიცი, მართალს არ მეტყვის. მისთვის ყოველთვის თორმეტი წლის ბიჭი ვიყავი.



— ჩემო ბიჭო, როგორ მოგივიდა აზრად ასეთი შეკითხვა? დედაშენი, მართალია, ბოლო თვეს ძალიან იტანჯებოდა, მაგრამ მთელი თავისი ცხოვრება ბედნიერად გაატარა. განა შეიძლებოდა უბედური ყოფილიყო ისეთი ადამიანის გვერდით, როგორც მამაშენია?

ახლა არ მოჰყვეს თვალების ხამხამს, თორემ შემზიზღდება.

— დეიდა, თქვენი აზრით, მამაჩემი კარგი კაცია?

— ო, რამონსიტო, რა მოგდის დღეს? რა უცნაურ შეკითხვებს მამაშენს დასწრებას?

თქმა უნდა, კარგი კაცია. ახლა, როცა უკვე დავბერდი და რევმატიზმმაც შემომიტია, როცა საბრალო ესტებანმაც სამუდამოდ მიმატოვა და ჩემი პატარა ბიჭის ვიქტორის სახეც ლამის დამავიწყდეს...

— კარგით, გეყოფათ, დეიდა, ნუ ტირით. რაც იყო, იყო.

— მართალი ხარ. ცხვირსახოცი მათხოვე შენი. ახლა როცა უკვე ბებერი ვარ, შემოდგომა გულახდილად გითხრა ყველაფერი: იმ დღიდან, რა დღესაც მამაშენი შემოვიდა ჩვენს ოჯახში, ყველამ ჭკუა დაგკარგეთ. პირველად სესილიას გულსთვის მოდიოდა. ნეტავ განახა, როგორ დაბერდა საბრალო სესილია. ჩემზე ერთი წლით უფროსია მხოლოდ და გვეგონება, ათი წლით მაინც იქნება უფროსი. უხელჯობოდ ვერ დადის, ცალი ქუთუთოც წარამარა უტოკავს. ჰო, პირველად სესილიასთვის მოდიოდა — დებში სესილია უფროსი იყო და თანაც კარგი აღნაგობის. მაშინ კაცებს ხორციანი ქალები მოსწონდათ. მამაშენი ეუბნებოდა, სად არის რუბენსი, თორემ ხომ დაგხატავდათო. ერთხელ, მახსენდება, მარტინ სალასის შვილი მოიყვანა დედამისმა ჩვენთან სტუმრად, ცხრა წლის ყვეყნი ბიჭი იყო მაშინ. ყვეყნი უძახე შენ, გვატემალაში ჩვენი საელჩოს მდივანია ახლა. საახალწლოდ ბარათიც კი გამომიგზავნა ჩიჩიკასტენანგოდან. რა სასაცილო სახელია, არა? ჩინი კასტელარს მაგონებს, შვიდთვიანი რამდენიმე ტყუპი რომ დაბადა. გახსოვს? თუმცა შენ საიდან გემახსოვრება, პატარა იყავი. „იმპერიალიშიც“ კი დაბეჭდეს ეს ამბავი. ასეთი შემთხვევა ერთხელ მოხდა კალაბრიამში. ჰო, იმას ვამბობდი, მოვიდა ჩვენთან მარტინ სალასის შვილი და გვეუბნება: რუბენსი ხომ შიშველ ქალებს ხატავდაო. დედამისმა მუშტი კრა, უფრო აწორად, ისეთი შემოართყა სახეში, რომ ბიჭს ყვრიმალე ბურთივით გაებერა. ჰო, მამაშენი პირველად სესილიასთან მოდიოდა, მერე კი — შენ ალბათ არც დაიჯერებ — მე დამიწყო არშივი.

— რატომ არ დაგიჯერებ, დეიდა, მჯერა.

— აჰ, რამონ, რა კარგი ბიჭი ხარ. მეც დავიჯერე სულელმა. სინამდვილეში მამაშენს სურდა დედაშენი გაეღიზიანებინა, დაეჭვებინა. დედაშენი მას ზედაც არ უყურებდა, უფრო სწორად, ვითომ არ უყურებდა. ეშმაკი ქალი იყო, კეთილი და საყვარელი, მაგრამ ეშმაკი. ვითომ ვერაფერს ამჩნევდა, ვითომ ზედ არ უყურებდა, არადა, ყველაფერი გათვლილი ჰქონდა. თუ რამეს გულში ჩაიდებდა, აიღებ აისრულებდა. საბრალო ჩემი ესტებანი სიცილით იტყოდა ხოლმე: ინესს თუ დასჭირდა ესო, მკვდარსაც წამოაყენებსო. ესტებანი გარეგნულად ჰგავდა სერიოზულ კაცს, სინამდვილეში დიდი ოხუნჯი ვინმე იყო, მაგრამ ჩვენი საყვარელი ბიჭი, ჩვენი ვიქტორიტო რომ დაგკარგეთ, მას მერე გულჩახვეული გახდა.

— ნუ ტირით, დეიდა, რაც იყო, იყო.

— მართალი ხარ, რამონსიტო. დამიტოვებ ცხვირსახოცს? გაგირეცხავ, დაგიუთოვებ და ისე დაგიბრუნებ. ერთი სიტყვით, ინესი და მამაშენი ვითომ ერთმანეთს არაფრად არ აგდებდნენ, მაგრამ ერთხელაც აევსოთ მოთმინების ფიალა



და მაგრად წაიხზუნენ. შენ წარმოიდგინე, ამის შემდეგ შეყვარებულები გახდნენ. კიდევ კარგი, რომ მე და სესილია შურიანები არ ვიყავით — თუმცა ცოტა კი გვშურდა. პირველი ორი დღე ორი მაგდალელივით მოვთქვამდით, მაგრამ მერე ბედს შევურიგდით, თავი იმით დავიმშვიდეთ, ჩვენი ოჯახის წევრი ხომ მაინც გახდა-თქო. რომ იცოდე, რა კარგი სიძეობა გასწია.

— რაში გამოიხატებოდა ეს კარგობა?

— ჩემი ვიქტორიტო, ჩემი პატარა ბიჭი რომ გამოგვეცალა ხელიდან... არა, არ ვტირი.

— ცხვირი მოიხოცეთ, დეიდა.

— მადლობთ, ჩემო ბიჭო. ვიქტორიტო რომ გამოგვეცალა ხელიდან, მამაშენი მოვიდა და ესტებანს უთხრა: არ მოგერიდოს, თუ რამეში დაგჭირდეს, აგერ ვარო, მერე ესტებანმაც რომ სამუდამოდ მიმატოვა, ღმერთმა გაანათლოს მისი სული, მამაშენი მოვიდა, მომისამძიმრა, გულში ჩამიკრა — ო, რა გულში ჩაკერა იცოდა, მაშინვე იგრძნობდი, რომ მფარველი გყავდა, მის ძლიერ ფრთებს იყავი შეფარებული და აღარაფერი დაგიშავდებოდა — ჰო, გულში ჩამიკრა და მოთხრა, არ მოგერიდოს, თუ რამეში დაგჭირდეს, აგერ ვარო. ღმერთმა შესანიშნავი მამა გიბოძათ. მე მგონია, არც შენ და არც უგომ დღემდე არ იცით ეს. დედაშენი, ჩემი და ძალიან მიყვარდა. მე და ინესს კარგი დობა გვქონდა, ერთნაირი აღნაგობისანი ვიყავით და ქალიშვილობაში ერთმანეთის საცვალსაც კი ვიცვამდით, ერთმანეთს არაფერს უშაღავდით. ერთი სიტყვით, თუ ოდესმე არსებობდა ორი განუყრელი და, ეს მე და ინესი ვიყავით. სესილია სხვა იყო, აქაოდა, ფორტუპიანოზე დაკერას ვსწავლობო, თავი დიდად მოჰქონდა და ქედმაღლურად გვექცეოდა. იცი შენ, ძალიან მიყვარდა დედაშენი, არაჩვეულებრივი ქალი იყო და მაინც მამაშენი ათი თავით სჯობდა დედაშენს, ჭკუით სჯობდა, თუმცა არც ინესი იყო უჭკუო, ხასიათის სიმტკიცით სჯობდა, თუმცა არც დედაშენი იყო ღობიო, თავშეკავებით სჯობდა, ერთი სიტყვით, ყველაფრით სჯობდა. ასეც უნდა იყოს, ქმარი ყოველთვის უნდა სჯობდეს ცოლს: ქალმა უნდა იგრძნოს, რომ პატრონი ჰყავს, ე. ი. უნდა იგრძნოს ქალობა. აბა, მე მეთქმოდა ქალი? იქნებ ცუდია, ამას რომ ვამბობ, მაგრამ ჩემი ხარ და გულახდილად ველაპარაკები. ჩემი ესტებანი, კი ბატონო, ჩემი, მოკრძალებული და კეთილი კაცი იყო, მაგრამ ზუსტად ვერც ვიტყვი ჭკვიანი იყო თუ სულელი. საბრალოს ჭკვიანი თვალეები ჰქონდა, სულელივით კი იქცეოდა. მე ველაპარაკებოდი, ველაპარაკებოდი, ველაპარაკებოდი, ის კი მხოლოდ შემომცქეროდა. აი, როგორც შენ ახლა. იქნებ ბევრს ვლაპარაკობ? ბევრს ვლაპარაკობ?

— როგორ გითხრათ, დეიდა, ბევრს ვლაპარაკობთ, მაგრამ საინტერესოდ.

— მადლობთ, ჩემო ბიჭო. გადასარევი ვიღაცა ხარ. ჰო, გულახდილად რომ გითხრა, დღემდე არ ვიცი, ესტებანი რას ფიქრობდა ჩემზე.

— მაშასადამე, დედაჩემი, თქვენი აზრით, ბედნიერი იყო?

— ღმერთო ჩემო, რა ბუზმა გიკბინა, რამონ? ბედნიერი კი არა, ძალიან ბედნიერი. თანაც თუ როდესმე არ იყო ბედნიერი — ასეთი რამ ყველგან ხდება — შემძლია დავიფიცო, რომ თვითონ იყო დამნაშავე, რადგან მამაშენი იყო და არის გადასარევი კაცი. ასეთებს ახლა სადღა ნახავ!

— ძალიან დიდი მადლობა, დეიდა.

— ო, რამონსიტო, არ გეწყინოს, ჩემო ბიჭო. შენ ხომ იცი, დისშვილებში გამორჩეულად მიყვარხარ, მარტო იმიტომ კი არა, რომ ჩემი ერთადერთი, უსაყვარლესი შვილის დეიდაშვილი იყავი და ამხანაგიც, მარტო იმიტომ კი არა, რომ



შენ იყავი ერთადერთი, ვინც ჩემი შვილის ციური თვალების სამუდამო დახუჭვას შეესწრო, არამედ იმიტომაც, რომ მე უბედურს სულელივით ჩამეძინა მაშინ და შენ...

– ცხვირსახოცი სახელოში გაქვთ, დეიდა.

– მადლობთ, ჩემო ბიჭო. ჰო, კიდეც იმიტომ, რომ უვო დღითი დღე უკან-უკან მიდის. ოცდაათ წელს გადააბიჯა, შვიდი წელიწადია დაოჯახებული და ღალატურად მუშაობს და არავითარი იმედი არ ჩანს, გამოსწორდეს. ტომ მიყვარხარ გამორჩეულად, რომ სესილიას ქალიშვილები შემთხვევას არ ტოვებენ, არ გამამასხარონ და რა თქმა უნდა, ამის გამო მირჩევნია შორს ვიყო მათგან. დიახ, შენ ყველაზე მეტად მიყვარხარ.

– მადლობთ, დეიდა.

– მაგრამ ასევე გულახდილად გეტყვი, მამაშენი — სხვა საქმეა. მამაშენი არის კაცი, ამ სიტყვის დიდი ვაგებით. გესმის? მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ შენ უარესი ხარ მასზე ან უკეთესი. ეს, უბრალოდ, ნიშნავს იმას, რომ შენ ხარ პატარა კაცი, ამ სიტყვის პატარა ვაგებით. მამაშენისნაირი საიმედო, წარმოსადგევი, კეთილი, ძლიერი, სიცოცხლისმოყვარული კაცი ახლა ძალიან ცოტაა ჩვენში... ისე მსიამოვნებს შენთან საუბარი, ისეთი მადლობელი ვარ, არ მივიწყებ. რომ მინახულე და რამბლაზე გასეირნება შემომთავაზე. ვითომც გაგვესეირნოს. მინ ჯდომა მირჩევნია. უნდა ჩაიცვა, დაივარცხნო და რა ვიცი, კიდეც რა. რევმატიზმი მიჭირებს საქმეს, თუმცა კორტიზონი ცოტას მშველის... ჰო, მართლა, ცოლი როგორ გყავს?

– არა უშავს, კარგადაა. მოკითხვა არ შემოუთვლია თქვენთვის იმიტომ, რომ დღით საუზმობისას მეც არ ვიცოდი, თუ შემოგივლიდით და გინახულებდით.

– საყვარელი ქალია შენი ცოლი. გუსტავო როგორაა?

– გუშინდელს აქეთ არ მინახავს. ისტორიაში მეცადინეობს. ლიტერატურაში სამიანი მიიღო...

– ვიცი, სუსანამ დამირეკა.

– აბა, დეიდა, წავედი ახლა მე. მიხარია ასე ლამაზს რომ გხედავთ.

– შესანიშნავი ბიჭი ხარ, რამონ.

ტყუილად დავაყენე მანქანა სახელოსნოში. ერთ კვირას კიდეც გამიძლებდა. ავტობუსში დაიხუთება კაცი, ისე ცხელა, თანაც თუ ფეხზე დგახარ, ხომ მთლად ვაწამლები. შინ წავიდე? „სახალისო მოგზაურობის“ გეგმას უჩემოდაც კარგად დააბრუნებენ.

– თავისუფალი ხართ? პუნტა გორდაში მიმიყვანეთ ანადორის, პროპიოსისა და რამბლას გავლით.

ო, რა დავიდალე! რა თქმა უნდა, იმიტომ დავიდალე, რომ ვერაფრის გაკეთება ვერ მოვასწარი. არაფერიც არ იცის დეიდა ოლგამ. მტკივა, — თქვა დედაჩემმა სიკვდილამდე ოთხი საათით ადრე, დასუსტებულმა და გამოფიტულმა. ეს იყო ერთადერთი შემთხვევა, როცა მე ნამდვილად ახლოს ვიყავი დედაჩემთან. დიდხანს, წლების მანძილზე გამომყვა სატანჯველად მისი ხმა და სიტყვები: არ შემაძლია, ედმუნდო, ასე არ შემიძლია. დედაჩემი არ იმჩნევდა, თორემ ალბათ სულ თვალწინ ედგა, შიშვლები როგორ ებრძოდნენ ერთმანეთს, როგორ სცემა ბებერმა. მთელი კვირა არ მოუშორებია სათვალე... დედამ გამომიწოდა, უფრო სწორად, მიწვდის თავის გაძვალტყავებულ, უღონო ხელს და სწორედ მაშინ მიჩატიოვა. მიმატოვა დედამ — ვინც საფენებში მახვევდა; დედამ — ვინც სამ



წყვილ წინდას მაცმევდა, რადგან წვრილზე წვრილი ფეხება მქონდა და მას ცხვენოდა, მე რომ მცხვენოდა; დედამ — ვინც ყოველ შაბათს მიმზადებდა ერ- ბოკვერცხს და მერე სიამაყით ლაპარაკობდა თავისი ვაჟის მგლის მადაზე; დე- დამ — ვინც უსიტყვოდ მითანაგრძნობდა, როცა ბებერი შტერს ან უფრო უარესს შეძახდა... დედის მეტყველი თვალები შემომცქერიან ჩაყურსულ სიღრმიდან და არაფერს მეკითხებიან, იმიტომ, რომ ისედაც ყველაფერი იციან ვიცი, დედას ვუყვარვარ, შესაძლოა უგოზე მეტად ვუყვარვარ, მაგრამ... შენც იცი, საშინელ სნებაჩაბუდებულს როგორ მოვთხოვო სიყვარული? ჯოჯოხეთური ტკივილი მარ- წუხებივით უგლეჯს შიგნეულს და ამ დროს შემიძლია კი მოვთხოვო, ვახსოვდე და ვუყვარდე? დიახ, დედაც სადღაც ჩემი მხრების მიღმა იცქირება. იქ ბებერია. მაგრამ დედა გუსტავოსავით როდი იცქირება. როცა ბებერი სადმე მიდის, დედის თვალებში სხივი დგება — სუსტი და საცოდავი ცეცხლი თვალთა სიღრმეში. მე უძლური ვარ, რაიმეთი ვუშველო დედას. ის კი ამბობს: მტკივა. გამოდის, ჩემი სიყვარული არაფრის მაქნისია. ისე, ღმერთი თუა ნეტავ რაიმეს მაქნისი? კვირა-ობით, თვეობით ვერ ვხედავდი დედას, სადღაც-სადღაც ვეხეტებოდი უმიზნოდ. ეს კი მელოდა და მელოდა ხან ვახშამზე, ხან საუზმეზე. რამდენჯერ მომლომებია გულში ჩამეკრა, მოვხვევოდი, მაგრამ თავი შემიკავებია: ახლა სინანული გვიანაა უკვე. აზრი აღარ აქვს მოგონებების ქექვას, აზრი აღარ აქვს, დასასჯელად კუ- თხეში დააყენო საკუთარი თავი. რატომ ვგრძნობ თავს ასე დაბუჩავებულად, ასე დამცირებულად? რატომ დავუძლურდი? დედა, საბრალო დედა, ნუთუ თვითონ ჩაიბეჭდა თავში, ასე უცებ წასულიყო ამ ქვეყნიდან? მე? მე? რა მომდის? დედა, სიტყვებს ვერ ვპოულობ, თავს ვერ ვიმართლებ, რა მაქვს სათქმელი. სამაგიეროდ დედამ თქვა: მტკივა. მისი ტკივილი გულს მიპობს და საშინელ უძლურებას მაგ- რძნობინებს. ალბათ ეს კიდევ ერთი დამარცხებაა ამდენ დამარცხებათა შორის, მაგრამ ამ შემთხვევაში ჩემი დამარცხებაა, რადგან დედა უიმედოდ ხუჭავს თვა- ლებს და ტუჩები ემანჭება დაუმორჩილებელ ტანჯვასთან უკანასკნელად შეჭი- დებულს, მე ვგრძნობ, ჩემშიც როგორ ემანჭება რაღაც, როგორ მეხატება სა- ხეზე „არარსებობისადმი“ დაუმორჩილებლობა და პროტესტი, რადგან ღმერთი, ბედისწერა და დიალექტიკური მატერიალიზმი — ეს არის აბრამის, შპენგლერისა და მარქსის მიერ გადმოსროლილი ლოზუნგები არა ჩვენი ფორმაციის, ტრანს- ფორმაციის ან რეფორმაციის მიზნით, არამედ იმისათვის, რომ დაგვაიწყოს ერ- ცადერთი გონივრული და უცვილობელი რამ: თვითმკვლელობა ან გაგიჟება. ეს აზრი ახლა მომივიდა თავში და წყვილიაღაც ჩამიდგა სულში, მაგრამ კარგად ვიცი — და ეს პირველად როდია — ცოტა ხანში მეც დავივიწყებ ყველაფერს და და- ეიჯერებ, რომ სიცოცხლე კარგია და კაცმა უნდა მოიკრიბო კეთილგონიერება. ასეთი მირაჟი მრავლად ყოფილა. დედა ამბობს: მტკივა. ნეტავ რატომ იმეორებს ამ სიტყვას ასე ხშირად? მე რომ აი ახლა აქ არ ვიყო ხალიჩაზე დაჩოქილი და მის ხელს ლოყით არ ვეფერებოდე, ნეტავ თუ იტყოდა, მტკივაო? ნეტავ ბებერს თუ ეტყოდა, ან დედა ოლგას, ან უგოს? იქნებ ეს იყო მისი სიყვარულის ბოლო გამოვლინება, სულთმობრძავის ბოლო გაბრძოლება, წამლიდან წამლამდე განა- იებული გონების გამოძახილი და იმედი, რომ მე მისი შესმოდა? დედაჩემს აღა- რაფერი ეშველება, არც მე. სიკვდილი ხომ მეორე პლანეტაა, რომელიც ერთმა- ნეთთან გვაკავშირებს, ისევე როგორც სიცოცხლე იყო პირველი პლანეტა. სრუ- ლი სიძარტლე არ იქნებოდა იმისი თქმა, რომ მხოლოდ მას სტკიოდა. მისი ტკი- ვილის გამოძახება ჩემშიცაა. ასე ხდება, როცა, ვთქვათ, კუჭი მტკივა და ეს ტკივილი გულზეც მოქმედებს. ასეთი გრძნობა მხოლოდ დედაჩემის მიმართ მაქვს



გამძაფრებული და არც მაშინ გამიქრებოდა ალბათ, დედას რომ ახლა გულგრილად და უსიყვარულოდაც შემოეხედა. სულაც არ არის შემთხვევითი, რომ მამასა და შვილს აერთიანებთ არა ჭიპლარი, არა პლაცენტა, არამედ ერთი მიკროსკოპული, მოუხელთებელი და მოფუთფუთე სპერმატოზოიდი, რომელმაც ჩვენს შემთხვევაში შემქმნა მე. არადა, ასევე შეეძლო ამ სპერმატოზოიდს სადღაც გადაეხვია, ან სულაც გამქრალიყო უკვალოდ. ბებერს რომც არ ეძახა ჩემთვის შტერი ან უფრო უარესი რამ, დაცინვითაც რომ არ მოვეხსენებოე არარაობა-ხავეჭირთან, „ბოლოს და ბოლოს ჩემი შვილიაო“, — სულერთია, მაინც არავითარი პლაცენტა არ იქნებოდა აქ არც ცოცხლისთვის და არც მკვდრისთვის. უკეთეს შემთხვევაში — ასეთი რამ კი ალბათ არც მოხდება — შეიძლებოდა აღმოცენებულიყო სულიერი კავშირი ან იმდაგვარი მეგობრობა, როგორც, ვთქვათ, მე მაქვს ჩემს საუკეთესო მეგობრებთან — ისე, ვინ არის საუკეთესო? — შეიძლებოდა აღმოცენებულიყო სამუდამო გარანტია იმისა, რომ, „გასცემ და იღებ კიდევ“, აღმოცენებულიყო უსიტყვო სოლიდარობა სამარცხვინო, საშინელი შეგრძნების წინააღმდეგ ბრძოლაში. შეგრძნებისა, რომ ცხოვრობ; აღმოცენებულიყო ძალდაუტანებელი თანასწორობისმაგვარი რაღაც. არ იქნებოდა ეს ურიგო. ასეთი ფიქრები ზიტრიალებს თავში და სულაც არ განვიცდი თვითგმაცოფილებას — მე ხომ როგორც მამამაც ვერ მივაღწიე ამას! მე და გუსტავო მტრულად არ ვართ ერთმანეთისადმი განწყობილი, არც არასოდეს გვიწყენინებია ერთმანეთისთვის, მაგრამ საოცარი გაუცხოება ჩამდგარა ჩვენს შორის, თითქოს სხვადასხვა სართულზე ვცხოვრობთ, თითქოს ვიღაცის უხილაკმა ხელმა ჩემი აზრები ვიოლინოს გასაღებში მოაქცია, გუსტავოსი კი ბანისაში. უცბად დედაჩემის ხელი ფრჩხილებით ჩამესო, არა, მესობა ლოყაში და მაშინვე ისე ცურდება, თითქოს ნაკაწრის გაქრობა ან სისხლის მოწმენდა სურსო. მაგრამ ეს „თითქოსაა“. სინამდვილეში კი მისი უნებლიე მოძრაობა სიკვდილს ნიშნავს. და მე ორჯერ ვყვირი. ერთი — გაკვირებისა და საკუთარი ტკივილის ყვირილია, მეორე — თავზარდამცემი სინამდვილის შეგრძნების, უადგილო „მაპატიეს“ და ბავშვური შიშის ყვირილია. ხუთი ნოემბერი. ნეტავ საერთოდ თუ გავიხსენებდი ამ დღეს, ასე გამოწვლილვით, ასე მისხალ-მისხალ — კაცი რომ გამადიდებელი შუშით დასცქერის თავის კანზე ფორებს, ზუსტად ისე — დედაჩემს თავის უკანასკნელი მოძრაობით სახე რომ არ დაეკაწრა ჩემთვის? ვინ დამარწმუნებს, რომ ეს მოძრაობა არ იყო მოსასწრები, განწირული, საბოლოო მინიშნება სიყვარულისა?

„ჩა-ჩა-ჩა, რა კარგია ჩა-ჩა-ჩა“.

— თუ შეიძლება, გამორთეთ რადიო. რივერასთან მარცხნივ მოუხვიეთ. რამბლა მანქანებითაა გადაჭედილი და სჯობს გვერდი ავუაროთ.

— მამა, ძია უგო გელოდება.

— შენ სად მიდიხარ?

— მარიანოსთან. დედას უთხარი, გვიან მოვა-თქო. ჩაო.

ნეტავ რა უნდა უგოს? არასოდეს მილაპარაკია მასთან გულახდილად და დაუდაბავად. ნეტავ როგორია ძმების სანიმუშო საუბარი?! სამწუხაროა, რომ ასეთი საუბრისთვის ჯერ კიდევ არ შეუქმნიათ კოდექსი.

— გამარჯობა, უგო.

— გაგიმარჯოს.

— რა მოხდა?

— ვინდა კარგი რაღაც მოგასმენინო? მაგნიტოფონი ხომ გაქვს?



- კი, მაქვს.
- მაშინ ჩადე ეს კასეტა.
- ჯაზია? ასტორ პიაცოლაა?
- არა, ბებერია.
- რა?

— გუშინ რიერამ მომცა ეს კასეტა, ეგონა, ბებრის ლაპარაკი იყო ჩაწერილი საწარმოთა მანქანებლებზე, მაგრამ აღმოჩნდა, რომ კასეტაზე შეცდომით ყოფილა წარწერა გაკეთებული. საშინელი შეცდომა მოხდა. ორნი ლაპარაკობენ, ბებერა და ვიღაც ვილიალბა. როგორც ჩანს, დასასრულია მათი საუბრისა.

- გაზეთის რედაქციაში საუბრობენ?
- არა, ფაბრიკაში.
- აბა მომეცი.
- კარი დაკეტე. არ მინდა სუსანამ გაიგონოს.
- კარგი. მოვუსმინოთ.

— მაგრამ თქვენ შეგეძლოთ დადებითად გადაგეწყვიტათ ეს საკითხი.

— არ მსურს ამ თემაზე საუბარი. ჩემთვის ცხადზე უცხადესია, გაფიცვა ჩაფიქრებულ იქნა იმ კრებაზე, რომელიც მოაწყო ადმინისტრაციული განყოფილების სამმა თანამშრომელმა.

— ერთ-ერთი მე ვიყავი, თუ გსურთ ამის დაზუსტება.

— ასეც ვფიქრობდი, მაგრამ მე ეს არ მაინტერესებს. თქვენ ახლა თითქმის პატრონი ხართ ფაბრიკისა, ასე რომ, გაფიცვებს ბოლო მოეღო.

— ჰო?

— რაც შეეხება იმ ორ კაცს, ცოტ-ცოტა რაღაცები მეც ვიცი. მიღებული მაქვს რამდენიმე ინფორმაცია და ანონიმური წერილიც, რომლებშიც ათი-თორმეტი პიროვნებაა დასახელებული. ერთი სიტყვით, დამსმენები მუშაობენ. რა თქმა უნდა, ამ პიროვნებებს თვალ-ყურს ვადევნებთ, მაგრამ მე არ მსურს ჩავი-ღინო ახალი უსამართლობა.

— მაინც რას ითხოვთ კონკრეტულად?

— კონკრეტულად... ვფიქრობ, ჩემი თხოვნა არც ისე შეუსრულებელია, მინდა თვითონ დამისახელოთ ის ორი კაცი. მე თქვენი მჯერა, ვიცი, არ მომატყუებთ.

— დავისახელოთ, რათა დასაჯოთ?

— რა თქმა უნდა, არ მინდა ათ-თორმეტ კაცს მივაყენო უსიამოვნება, შეიძლება უსამართლოდაც.

— კი მაგრამ, ვინა გგონივართ?!

— ცოტა ჩუმად.

— არავითარი ჩუმად. ვინა გგონივართ-მეთქი?

— ცოტა ჩუმად.

— თქვენა გგონიათ, ერთი-ორი პესოსთვის...

— ვთქვით, თვეში ორმოცდაათი რომ დავიმატოთ...

— თუნდაც ამდენი დამატებული პესოსთვის ან კიდევ რა ვიცი, რისთვის, გგონიათ ორ მეგობარს, ორ შესანიშნავ ახალგაზრდას გაეწირავ? მათ ხომ მხოლოდ ის ედებათ ბრალად, რომ თქვენ, ორი თვის ბინძური შემოსავალი გაზარა-ღეს? ვიცი, ბევრი ფული გაქვთ, გირჩევთ, სხვა საქმეში ჩადოთ ეგ ფული.

— ეტყობა...

— რა ეტყობა?



– ეტყობა, სოლიდარობისნაირი ბრტყელ-ბრტყელი სიტყვებისა გჯერათ.

– თქვენ არ გჯერათ?

– ყური დამიგდეთ, ვილიალება, ვხედავ, ფაბრიკიდან წასვლა გაქვთ გადაწყვეტილი. გაფრთხილებთ, მე გამოვძებნი საშუალებას, ენა ჩაკაკმენდინოთ.

– ვიცო, ვველაფერს თავისი ფასი აქვს. ასეა ხომ?

– თქვენ არ გაქვთ? მაშინ ჯერ თქვენ უნდა მოგილოცოთ, ასე კარგად ვერ მუშაობს ჩემი სადაზღვევო სამსახური. მე უკვე დიდი ხანია ვიცი, ვინ უნდა სამი ყოჩაღი ახალგაზრდა: თქვენ, სანჩესი და ლაბროკა.

– მერე რა?

– მერე რადა, მიყვარს ადამიანების გამოცდა, მიყვარს, როცა ვუცქერ, ფული როგორ ახშობს სიტყვას. აი, მაგალითად ავიღოთ, სიტყვა „სოლიდარობა“. ამ წერილს ხედავთ? იცით, შიგ რა სწერია? არა, ხომ? ეს არის სანჩესისა და ლაბროკას ხელმოწერილი განცხადება, სადაც ისინი თქვენ გდებენ ბრალს, როგორც გაფიცვების მთავარ წამომწყებს.

– ვინ დაგიჯერებთ?

– თქვენ დამიჯერებთ. სანჩესისა და ლაბროკას ხელწერას იცნობთ ალბათ, თვითონ ნახეთ... ახლა რას იტყვით ამ შესანიშნავ ყმაწვილებზე? რომ იცოდეთ, რა იაფი დამიჯდა ეს განცხადება, ახლა, რას იტყვით?

– არაფერს.

– გეყოფათ, ამაოდ ცდილობთ დამარწმუნოთ, თითქოს თქვენს მეგობრებს ამართლებდეთ.

– არა, არ ვამართლებ, მაგრამ იცოდეთ, ჯერჯერობით სიმტკიცე არ მაკლია, თუმცა ისიც ვიცი, რომ სიმტკიცესაც აქვს საზღვარი. ჩემი ამხანაგები ჩემზე სუსტები აღმოჩნდნენ, მით უარესი მათთვის. მეტი არაფერი. გასაგებია თქვენთვის? მხოლოდ მშვიდობიანობისა და ენთუზიაზმის დროს შეუძლია სამ ადამიანს ერთგული მეგობრობა გაუწიოს ერთმანეთს. მაგრამ საკმარისია ამ სამიდან ერთს მუშტი ჩასცხო მუცელში, რომ მაშინვე სული მიჰყიდოს ვშმაკს. მეორე შედარებით მაგარი ბიჭია და შეიძლება, მხოლოდ მაშინ უღალატოს ამხანაგებს, როცა ფრჩხილების დაძრობას დაუწყებენ, ხოლო რაც შეეხება მესამეს, ვველაზე გულმაგარსა და მამაცს, ერთგულებაც და ვველაფერიც დაავიწყდება, როცა სათესლე ჯირკვლებთან ცეცხლს მიუტანენ. ერთგულების თერმომეტრზე ვველას აქვს საკუთარი დუდილის წერტილი და ეს ის წერტილია, როცა ადამიანს შეუძლია მშობელი დედაც კი გასწიროს.

– არ არის საჭირო საკუთარი თეორიის ამ დონემდე გამძაფრება, მე მათ მხოლოდ ოთხას-ოთხასი პესო შევთავაზე და მეტი არაფერი.

– აი ხომ ხედავთ, წამება კი არა, მუშტიც არ დაგირტყამთ მუცელში, ისე მოისყიდეთ ორი მოღალატე.

– და მაინც ჩემი წინადადება ძალაში რჩება.

– ეს მე ხულაც არ მიკვირს.

– ჩემი აზრით, არ ღირს მეტისმეტად პატიოსნად მოგვაჩვენოთ თავი. ისინი ხომ არ აღმოჩნდნენ პატიოსნები?

– თქვენ იოლად მიაგენით მათი დუდილის წერტილს.

– მაშ, შევთანხმდით?

– არა, ვე არ მოხდება. ყველაზე დიდი ბოროტება, რაც შეიძლება თქვენ მე გამიკეთოთ, ეს იქნება – საკუთარი თავი შემაზიზღოთ. ვაღიარებ, მეშინია, კაცნი ვართ, ხომ შეიძლება დიდძალი ფულის, ფუფუნების, კეთილდღეობისა და თავი



ნამდებობის გულისთვის — რასაც თქვენ ასე გულუხვად მთავაზობთ, — ბოლოს და ბოლოს მეც წავიწყებდო სული, მეც გავტყდე. რა ვიცი, იქნებ სულის ხილ-რმეში მეც ჩვარი ვარ, და პატივმოყვარე. ო, რა საძაგლობა იქნებოდა ეს. მაგრამ ეს არ მოხდება. ძალიან კარგად ვიცი, როგორცა ვარ, თვითონვე შემზიზღდებოდა საკუთარი თავი.

— კი მაგრამ, განა ასე ცუდია იყო პატივმოყვარე?

— რა თქმა უნდა, არა.

— არც ნებიერი ცხოვრება უნდა იყოს ცუდი.

— რა თქმა უნდა, არა. იცით, რა არის ცუდი?

— არა.

— იყო თქვენსავით მამაძაღლი, სენიორ.

კარგია, კარგი.

— რატომ არაფერს ამბობ, რამონ?

— ვფიქრობ.

კარგია, კარგი.

— აბა ერთი კიდევ დაატრიალე ბოლო ნაწილი.

— ...ლიან კარგად ვიცი როგორცა ვარ: თვითონვე შემზიზღდებოდა საკუთარი თავი.

— კი მაგრამ, განა ასე ცუდია იყო პატივმოყვარე?

— რა თქმა უნდა, არა.

— არც ნებიერი ცხოვრება უნდა იყოს ცუდი.

— რა თქმა უნდა, არა. იცით, რა არის ცუდი?

— არა.

— იყო თქვენსავით მამაძაღლი, სენიორ.

კარგია, კარგი.

— ეს კაცი სად არის ახლა?

— მორალესმა მითხრა, კარი მოიჯახუნა, თავისი ნივთები აკრიბა და წავიდაო. ეს ამბავი ოთხი დღის წინ მომხდარა. რას იტყვი, ა?

— ჯერ მინდა გკითხო, მე რატომ მომასმენინე ეს ჩანაწერი?

— იმიტომ მოგასმენინე, რომ რაღაცა უნდა ვიღონოთ მე და შენ.

— ღონებით თვითონ ვილიალობამ იღონა უკვე. შენ ასე არ ფიქრობ?

— სწორედ ეს არის თავი და თავი, რომ თვითონ ვილიალობამ ასე იღონა. ახლა ჩვენ უნდა ვიღონოთ ყველაფერი, რომ ვილიალობა არ წავიდეს.

— რაღაც ვერ გაუიგე, უგო. მმართუელად დანიშვნას ხომ არ უპირებ?

— მე არ მინდა ვილიალობა თავისით წავიდეს, მე მინდა, შენ დაარწმუნო ბებერი, რომ გააგდოს იგი.

— მე დავარწმუნო ბებერი? ხომ არ გავიჟღი, უგო? განა ვინმეს შეუძლია მისი დარწმუნება, მით უმეტეს მაშინ, როცა თანამშრომლის გაგდებისათვის კომპენსაციის გადახდა მოუწევს?

— სჯობს ექვსი თვის კომპენსაცია გადაიხადოს, ვიდრე დარჩეს შერცხვენილი, ვილაც გარეწრისგან შეურაცხყოფილი.

— ვინდა ვითხრა, ჩემი აზრი? არა მგონია, ის კაცი გარეწარი იყოს, უფრო მეტიც, ეტყობა, მაგარი ვილაცაა.

— ეგლა გვაკლდა. ჩვენ ერთმანეთისა არ გვესმის, რამონ.

— ეგ მართალია, არ გვესმის.

ეროვნული  
ბიბლიოთეკა



კარგია, ღმერთმანი, კარგი. კი მაგრამ, რატომ შესძლო ამ ახალგაზრდა კაც-  
 რა, წინ აღდგომოდა ბებერს, მე კი — ვერა? რამდენჯერ დამიპირებია, წინასწარ  
 რამდენჯერ ჩამომიყალიბებია წარმოსათქმელი სიტყვა, ასე ვთქვათ, დეკლარაცია  
 ჩემი დამოუკიდებლობის თაობაზე, მაგრამ საკმარისი იყო დამენახა იგი და მთუ-  
 ლი ჩემი სათქმელი თავის დასკვნებიან-დასაბუთებიანად სადღაც იფანტებოდა,  
 რომც არ გაფანტულიყო, სიტყვებს დამაჯერებლობა აკლდებოდათ, რადგან წინასწარ  
 წარვე ვიცოდი, ბებერი შემომხედავდა, გაიღიმებდა, სიგარას მოქაჩავდა, სახეში  
 შემომბაბოლებდა, მერე გააღებდა პირს და თავის ძლიერებაში ჩემთვის საძულვე-  
 ლი დამაჯერებლობით მოჰყვებოდა ლაპარაკს, გამსრესდა თავისი ავტორიტეტით,  
 თავისი უპირატესობით, თავისი მჭევრმეტყველებითა და საბოლოოდ იმის აღიარ-  
 რებით, რომ სჯერა, ან ყოველ შემთხვევაში, გაცნობიერებული აქვს, რომ იგი  
 უფრო მაღლა დგას, ვიდრე მისი გარშემომყოფნი, მისი ქვეშევრდომები, მისი  
 ნტრები, მისი შვილები, მისი წარსული, ერთი სიტყვით, ყველასა და ყველა-  
 ფერზე მაღლა, გარდა საკუთარი მომავლისა.

- ყველაფერი გასაგებია, რამონ. თვითონ დაველაპარაკები ბებერს.
- შენი საქმისა შენ იცი. კასეტა მომაშორე.
- მოკითხვა გადაეცი სუსანასა და გუსტავოს. ჩაო.
- ჩაო, დოლი მომიკითხე.

უგო დოლის ტოლფერი რომ არ არის, ამას წყალი არ გაუვა. მაშ, ვინაა დო-  
 ლის ტოლფერი? ორი თვეა დოლი არ მინახავს. მით უკეთესი. ჩემთვის სახიფა-  
 თთა მისი ნახვა. ნეტავ როდისმე თუ მომიბრუნდება ენა, ვუთხრა ეს დოლის? არა  
 მგონია, როდისმე, უგო ჩემი ძმია. დოლი — საყვარელი ქალი. უგო ძმია, დოლი—  
 საყვარელი ქალი. ნეტავ ერთი წუთით მაინც ჩამახედა დოლის თავში. არა, სჯობს,  
 გულში, და დამანახა რას ფიქრობს იგი ჩემზე. რა უნდა იფიქროს იმაზე მეტი,  
 რომ მე, რამონი, მისი მახლი ვარ და სხვა არაფერი. და მაინც, ერთი-ორჯერ შე-  
 ვამჩნიე, სინაზით სავსე თვალებით რომ შემომცქეროდა, მართალია, დედა-ეკლე-  
 სიის მიერ ნებადართულია ნათესაური სინაზის გამომჟღავნება ქალსა და კაცს  
 შორის, მაგრამ რატომღაც მგონია, მთლად დედა-ეკლესიის მიერ ნებადართული  
 ნათესაური სინაზით არ შემომცქეროდა იგი. უგო ჩემი ძმია, დოლი — საყვარე-  
 ლი ქალი. თუ არ ვცდები, ეს ამბავი მენდესის რესტორანში მოხდა. ჰო, დიახ, მენ-  
 დესის რესტორანში. ყველანი ერთად ვხვდებოდით ახალ წელს. მოხდა ისე, რომ  
 მე და დოლი მარტონი აღმოვჩნდით აივანზე. იქვე მაგიდა იდგა, მაგიდაზე — შამ-  
 პანურის ბოთლი და ჭიქები. სულ რაღაც თხუთმეტი წუთი იყო დარჩენილი ახა-  
 ლი, 1957 წლის დადგომამდე, უგო მარინესთან ცეკვაედა ლოყა-ლოყაზე მიდებუ-  
 ლი. ისინი შევიდნენ, უფრო სწორად, შედიან გვერდით ოთახში. მე და შენ არა-  
 სოდეს გვისაუბრიაო, მეუბნება დოლი. ყელში რაღაც მეჩხირება. ჰო, სამწუხა-  
 როდ, არასოდეს, არადა, ყოველთვის მსურდა შენთან საუბარი. როგორა გაქვს  
 საქმეები ამ ბოლო დროს? რას გულისხმობ, დოლი, სააგენტოს? არა, სააგენტოში,  
 ვიცი, ყველაფერი წესრიგში გაქვს. მაშ, სუსანაზე მეკითხები? არა, დარწმუნე-  
 ლული ვარ ამ მხრივაც არ გექნება სირთულეები. ეგ არავინ იცის. მე მამაშენზე  
 გეკითხები. მამაჩემზე? ჰო, რამონ, ერთად რომ გხედავთ, სულ ასე მგონია, სადა-  
 ცაა რაღაც აფეთქდება-მეთქი. შენი რადარი, დოლი, დიდებულად მუშაობს. ვი-  
 ცი, იტანჯები, რამონ, მაპატიე რომ ამას გეუბნები. მაპატიებია კი არა, მაღლო-  
 ბელი ვარ თანაგრძნობისთვის. გაიგე, რამონ, თქვენ ორიდან მხოლოდ შენ იტ-  
 ანჯები, მამაშენს კი გულთან არც მიაქვს ეს ამბავი. ვიცი მე ეს. მერე? არის  
 ჩემზე რაღაც უფრო ძლიერი, მაგრამ არა იმაზე ძლიერი. დოლი. რა იყო, რა-



მონ? ვიცი, ბებერი დიდად არ გეხატება გულზე. კი მაგრამ... ნუ წითლდება, დოლი, თორემ ძალიან გიხდება და... კი მაგრამ., მესმის შენი, დოლი, მესმის და ამიტომაც მინდა გავანდო ერთი საიდუმლო: არც მე მეხატება გულზე. კი მაგრამ... გაჩუმდი, ხულარაფერს იტყვი, ნუ ჩამიშხამებ 1956 წლის ბოლო წუთებს, მით უმეტეს, რომ უდიდესი სიხარული მომანიჭე უკვე ამ წელს მე? შენ არ იცი, რას ნიშნავს, როცა წარამარა გეუბნებიან: აჰ, რა არაჩვეულებრივი ადამიანია დოქტორი. აჰ, რა ბედნიერი ხართ, რამონ, ასეთი მამა რომ გყავთ! გვეფიცები, თუ შური, წყენა ან ეჭვიანობა მკლავდეს მის მიმართ. მხოლოდ ეს არის, ცოტათი არ მიყვარს, თუ ღმერთი გწამს, რამონ, ნუ ამბობ ამას, გაფროხილებ, თუ კიდევ ცომადებ ხელს ტუჩებზე, გაკოცებ ხელზე. მერე, ესაა რაინდობა? არა, გაკოცებ ხელის გულზე. მსურს, კიდევ თქვა რამე სისულელე, რომ აი ასე, მოგაკუმინო ტუჩები. რომ მე... ვილოცავთ ახალ წელს! რამონ და დოლი, მოდით აქ. სად არის ჩემი ცოლიკო? ბედნიერ ახალ წელს გისურვებ, უგო! სუსანა სადღაა? წავალ, მოვძებნი. სუსანა! სად არის სუსანა? საბრალო სუსანა. სუსანას გული ერევა, უფრო სწორად, აერია აბაზანაში. სუსანამ ახლად მობრძანებულ 1957 წელს აბაზანაში მიუძღვნა 1956 წლის ბოლო ყლუპი... რომ აი, ასე, მოგაკუმინო ტუჩებიო, თქვა მაშინ დოლიმ. მერე? არ ვიცი. უგო ძმავ ჩემი, დოლი — საყვარელი ქალი.

5

— აჰ, რა კარგია, რომ მობრძანდით, სენიორ ბუდინიო. ათამდე კაცი გელოდებათ: დოქტორი მესა, მრჩევლის რეკომენდაციით გამოგზავნილი ორი გილობის კანდიდატი, სენიორიტა სოუტო. შეერთებული შტატების საინფორმაციო სამსახურის ერთი თანამშრომელი. ეს კაცი ერთხელ, მგონი, იყო აქ უკვე. სტამბის მუშაკი, თარჯიმანი, ის ვენესუელელი კაცი; ავტობუსების პარკის პატრონი პედროსა და კიდევ ერთი ახალგაზრდა კაცი „კლუბიდან.“ მას სურს რეკლამები ჩამოვატანინოთ მისთვის ტოკიოდან. პატარა მაღაზიის გახსნას აპირებს დეიდასთან ერთად.

მდივანი ქალი... დიდებული, ფაშფაშა და ა. შ. დღეს მას ყელზე არ უკიდია ვერცხლის ფუნტი სტერლინგი, ასე რომ, შეიძლება მშვიდად ვუცქირო.

— სენიორიტა, რამდენჯერ გითხარით, ჩემი ფილტრი უნდა იყოთ-მეთქი. ამ ხისთავებს ხომ არ შევალევ მთელ დღეს! რაც შეეხება იმ სულელურ რეკლამას, მიეცით პირიაპოლისის რეკლამა. თუ არ მოეწონება ეს საკურორტო ქალაქი, ჯანდაბაში წასულა! მოიწვიეთ დოქტორი მესა, დანარჩენები სენიორ აბელიასთან გაგზავნეთ. ჩემს ძმას ხომ არ დაურეკავს?

— სენიორ უგოს?

ამ შტერმა ვითომ არ იცის, ერთი ძმა რომ მყავს.

— რა თქმა უნდა, სენიორიტა, ჩემს ძმას უგოს ხომ არ დაურეკავს-მეთქი?

— არა, სენიორ ბუდინიო, არ დაურეკავს. სამაგიეროდ ცოლმა დარეკა.

— ჩემი ძმის ცოლმა?

— არა, სენიორა სუსანამ.

— ჰოო!

— მთხოვა, გადმომეცა, საპარიკმახეროში მივდივარო.

— კარგით.



— დიდად მოხარული ვარ, დოქტორო მესა, თქვენი მობრძანებით. მამაჩემი ელაპარაკებოდა თქვენზე. ასე რომ, მიმსახურეთ. მითხარით, რა გსურთ, რა გაინტერესებთ.

წარმოუდგენელია, ეს კაცი იმ მდივნის კაცია, ვინც ბნელ-ბნელ საქმეებს აკვარახჭინებს ბებრის კომპანიონთან. შორეული ნათესავია, მგონი შორი ბიძა-შვილი.

ეროვნული  
ბიზნისი

— რა თქმა უნდა, დოქტორო, რა თქმა უნდა.

— მუხეუმებიან კრუიზში გიკრავ თავს.

— რასაკვირველია, დოქტორო, უპირველეს მუხეუმებში გაგიშვებთ: პრადო, პინაკოტეკა, პერგამონი, უფიცის გალერეა, კაპიტოლიუმის მუხეუმები, ალბერტინა, რემბრანდტის სახლი, ბრიტანეთის მუხეუმი და რაღა თქმა უნდა, ლუვრი.

მიზანში მოვარტყი, ბებრუცუნა. გეგონა, პარიზი დამავიწყდებოდა? არადა, შენ კურორტი ღიღო უფრო გინდა, ვენეციის მახლობლად, ვიდრე ლუვრი.

— მოდით, ძვირფასო დოქტორო მესა, დღეს ფასზე ნუ ვილაპარაკებთ. ეს ყველაზე უსაბო მონაკვეთია ამ საქმისა... რაკი თქვენ, მამაჩემის დიდი მეგობრის მდივან ფავის გამოგზავნილი ხართ, საუკეთესო გეგმას შეგიდგენო ყველაზე ხელისაწვდომ, შეღავათიან ფასებში. გაემგზავრებით, ვთქვათ, ოცდაორ მაისს, თუ, რა თქმა უნდა, თვითმფრინავი გირჩენიათ... აჰ, გემი? მაშინ ეს სხვა საქმეა. რასაკვირველია, დასასვენებლად იდეალურია. თვითმფრინავი მაშინ არის კარგა, როცა დროის ფაქტორია გასათვალისწინებელი, როცა გეჩქარება, როცა საქმის ბუდი დღეებზე კი არა, საათებზე ჰკიდია.

ეს სიტყვები ჩემდა უნებურად მცდება, ზუსტად ისე ანგარიშმიუცემლად, ცხვირის დაცემინებისას რომ ეტყვი კაცს, სიცოცხლეო.

— აბა, წარმოიდგინეთ, დოქტორო მესა. დღეს ტურბორეაქტიული თვითმფრინავით აქედან ევროპამდე მგზავრობას ერთი საათიც კი არ ჭირდება, როცა ზღვით მოგზაურობისას დღეები სჭირდება — საოცარია არა? მაგრამ ზღვა... ო, დიახ, დიახ, ნერვულ დაძაბულობას ხსნის, გამშვიდებს, ყოველგვარი საზრუნავისა და ფიქრისაგან გათავისუფლებს, ტონუსს გიმალლებს, ერთი სიტყვით, თითქოს ახლად იბადები... დიახ, ყველას ვურჩევ გემით იმოგზაუროს. მარტო მიემგზავრებით? გასაგებია, გასაგები. თქვენთან ერთად ერთი მეგობარი ქალი მოდის? რა თქმა უნდა, დოქტორო, რა სჯობს, სასურველ ადამიანთან ერთად მოგზაურობას. მაშასადამე, ორადვილიანი კაიუტა გჭირდებათ. ასეც ჩავწერ. პასპორტი თან გაქვთ? სენიორიტას პასპორტი? ძალიან კარგი. ჩემი მდივანი ქალი შეგივსებთ ანკეტებს, მე კი ყველაფერს ისე გაუაკეთებ, კმაყოფილი დარჩეთ. მიმსახურეთ, დოქტორო მესა.

სამი საათია. სასადილო ოთახის „ბიგ-ბენი“ ძალიან მაღიზიანებს. დილაობით აბს კი ჯიბრზე არ გადავყლაპავ. მირჩენია არ დავიძინო. თანაც ძალიან მიყვარს მოგონებები, მოგონებები. ნეტავ რატომ მაგონდება დილაობით გამოღვიძებულს მაინცდამაინც ის „პირველჯერ“? ეტყობა, რაღაც კვალი მაინც დაამჩნია ჩემს ცხოვრებას. როსარიო. არა, ამ მოგონებას არ ახლავს ნაღველი. უბრალოდ, მაგონდება თეფშივით გლუვი ზღვა მზის ჩასვლისას, ჩვენ უკან ხეობია. თითქმის ყოველ საღამოს ვთამაშობთ ჩოგანბურთს. საკურორტო ქალაქი

1. ცნობილი საათი ინგლისის პარლამენტის შენობის კოშკზე (სიტყვა-სიტყვით „დიდი ბენი“).



პორტუგალია იდეალური ადგილია. მე ჩვიდმეტი წლისა ვარ, ზუსტად იმდენის, რამდენისაც ჩემი გუსტავო ახლა. ნეტავ გუსტავო თუ ყოფილა ქალთან? რას არ იქნებოდა? მეგობარი გოგონების მეტი რა ჰყავს? განა ტყუილად შესცქერის ხოლმე მათ ხარბად. როსარიო სესპედესის სასტუმროში ცხოვრობდა მე — პორტუგალიის. თეფშივით გლუვია ზღვა, ჩვენ უკან ტანმაღალ ხეებზე ფოთოლი არ თრთის. გავიაროთ? გავიაროთ, თქვა მან. მიყვარს ხმელთაშუაშუა სიარული. ხეები სურნელს აფრქვევენ. იმ ხანებში სააგარაკო სახლებს სიმრავლე არც ისე შეიმჩნეოდა. თანაც ზოგ ადგილას ტყე ლამის გაუვალის იყო და შეგეძლო დამალვოდი ყველას, მთელს სამყაროს, თუმცა თავად ეს სამყარო იყო, უფრო სწორად, არის უკვე ძალიან შორს თავისი მოციმციმე სინათლეებით. ცოტა მეშინია, როსარიო ხელს მიწვდის. საბანაო სამოსი ტანზევე შეგვაშრა და თუმცა ქარი უბერავს, მაინც არ გვცივა. ორივენი თითქმის შიშვლები ვართ, განსაკუთრებით ის. რა ფეხები აქვს! ბნელდება. იქ კი, შორს, იმ სამყაროში, პატეფონი უკრავს ტანგოს. მოდი, დავსხდეთ, ვამბობ მე, ორ ბუჩქს შორის მოსახერხებელი ადგილია მოსასვენებლად. მგონი, გადახურულივითაც არის. გეშინია? არა, უცბად გავიფიქრე, კანი ალბათ მარილიანი აქვს-მეთქი. მეც მარილიანი მაქვს, ჩემს მკერდზე ბალანი ისე მიუკრავს მარილს ერთმანეთზე, მიწებებული ეგონება კაცს. უეცრივ როსარიოს რაღაც ისეთი დავუნახე, ლამის გულმუცელი გადმომიტრიალდა. ბიკინიდან რამდენიმე ღერი ჩახუჭუჭებული თმა მოუჩანდა, რომელიც ასევე მიწებებოდა ბარძაყებზე, ენა ჩამივარდა. როსარიო ხვდება, რაც დავინახე და დაბნეული ელის რაღაცას. მე მას ხელსა ვხევე. ჩემს ხელებს გამოუცდებლობა ეტყობათ. ჯერ, რა თქმა უნდა, მკერდზე შევაველე ხელი. ძუძუები ისე გამოხტნენ საბანაო კოსტუმიდან, თითქოს ციხიდან გაიქცნენო. როსარიო იღიმება, ღმერთო ჩემო, როგორ იღიმება. ძუძუ მრგვალი და მკვრივია. ეს შეხებითი შეგრძნება არასოდეს დამავიწყდება. აი, ახლაც კი ვგრძნობ ამ სიმრგვალებას და სიმკვრივეს. კანი მართლაც მარილიანი ჰქონდა, თავით ფეხამდე მარილიანი. რაც მთავარია, მთელი ამ სიახლოვის მშვენიერება ის იყო, რომ ორივენი გამოუცდებლები ვიყავით, ისეთ რამეებს ვაკეთებდით, რაც თურმე — შემდეგ და შემდეგ გავიგეთ, — მიუღებელი იყო, მაგრამ სამაგიეროდ რა ბუნებრივად ვაკეთებდით! აბა რა ვიცოდით, პირველად უნდა ყოფილიყო სისწრაფე, მოულოდნელობა, ძალადობა. ჩვენ კი შესავალი ნაწილი ხანგრძლივი და დამატრობელი გვქონდა. რა კარგია, ისწავლო იმისგან, ვინც თვითონ არ იცის. როსარიომაც არ იცის, რომ პირველად გაძლიანება, შიში და სირცხვილი უნდა იყოს. ის ყველაფერს ისეთი აღმაფრენით აკეთებს, მთელი არსებით გაცისკროვნებულია. და მეც, ალბათ არც არასოდეს მომიწევს განვიცადო ამ უძველესი და უახლესი ალერსის მაშინდელივით ტკობა. რასაც გვინდა, იმას ვაკეთებთ. წარმოდგენა არა გვაქვს, ფარისევლური მორალით რა არის დაუშვებელი და რა — დაშვებული. ჩვენ „სიკეთისა და ბოროტების“ გაღმა მხარეს ვართ. უბრალოდ, ყველაფერი საოცრად მშვენიერია, ისეთი მშვენიერი, რომ დღემდე არ ვიცი, თავად როსარიო რას წარმოდგენს ინტელექტუალურად, სოციოლოგიურად, ეკონომიურად, ფილოსოფიურად. ან იქნებ ჩვიდმეტი წლისას ეს ყველაფერი არც უნდა ჰქონდეს ჯერ. იმასაც არაფერი უკითხავს ჩემთვის, არადა, სწორედ ეს არაფერია ის მთავარი რამ, რასაც სულსა და ხორცის ჭეშმარიტ შერწყმას ეძახიან. ჩვენ მაშინ ვიყავით მხოლოდ მისი ხორცი და ჩემი ხორცი და ამით გამოწვეული ერთობლივი სიხარული. და მაინც არცერთი ჩემი შემდგომი სასიყვარულო შეხვედრა არ ყოფილა იმ პირველივით იდეალური, თუმცა იდეალური კავშირის არანაირი წესი ჩვენ არ



დაგვიცავს მაშინ. შესაძლოა წლობით რომ გაგრძელებულიყო ჩვენი შეხვედრები, ბოლოს და ბოლოს გრძნობები გაგვიცვებოდა ერთმანეთის მიმართ, მაგრამ როსარიომ და მე ის სულ სამჯერ ჩავიდინეთ იანვრის ერთ საღამოს და რა დაუჯერებელიც არ უნდა იყოს, ამ სამიდან პირველი იყო საუცხოო. იდეალი, როსარიო არც დაორსულებულა. სხვა კიდევ რა მინდოდა? შესაძლოა იმდღეაბდელ გრძნობათა სისავსის მთელი საიდუმლოება ის იყო, რომ ჩვენი კავშირი უფროსი თამაშს ჰგავდა, გახალისებულ სულთა თამაშს? არც ერთხელ არ გსმენია ჩვენს ვართ პათოსში, არ შეგვიფიცავს ერთმანეთისთვის სამარადისო სიყვარული, არც ერთხელ არ გვითქვამს „მე შენ მიყვარხარ“. ჩვენ გვიხაროდა, ეს იყო მთავარი. ყველაზე ნაწი სიტყვა, რაც მე მას უთხარა, ეს იყო: ბარბაროსი ხარ-მეთქი. ყველაზე ამაღელვებელი რაც მან მითხრა — ღმერთო ჩემო, ვერასოდეს ვიფიქრებდი, რომ ეს ასე კარგი იქნებოდაო. მისი აღტაცებული „ღმერთო ჩემო“ ჭეშმარიტ და განუმეორებელ სიწმინდის ნიშნად აღვიქვი მაშინ. როსარიოს თვალები არ დაუხუჭავს ამ სიტყვების წარმოთქმისას, პირიქით, ჩემდა გასაოცრად, სიხარულითა და მადლიერებით შემომცქეროდა. როცა ერთმანეთს ვეხვეოდით, ვგრძნობდით, ჩვენი კავშირი იყო მეგობრული, ამხანაგური, ოღონდ რაღაც ახალი ვნებებით დატვირთული. ამჟამად როსარიო ღირსეულ ცოლობას უწევს დოქტორ ასოკარს. სამი შვილის დედაა, ორი მოახლე ემსახურება და ცხოვრობს მონტევიდეოს ფეშენებელურ რაიონში — კარასკოში. იშვიათად ვხვდებით ერთმანეთს, მაგრამ როცა კი შევხვედრივართ, ყოველთვის ყოველგვარი წყენისა და დაძაბულობის გარეშე გვისაუბრია, გადაკრულადაც კი არ გაგვიხსენებია ათას ცხრაას ოცდაათოთხმეტი წლის იანვრის ის საღამო, თუმცა გულში, რა თქმა უნდა, ორივენი ვემაღლიერებოდით ერთმანეთს იმ საღამოსთვის და შეთქმულებივითაც შევცქეროდით ერთმანეთს, „თქვენობით“ ვლაპარაკობდით და ამ „თქვენობის“ მიღმა ირეკლებოდა ტკბილი მოგონება მაშინდელ „შენზე“, მაშინდელ ხანგრძლივ ალერსსა და კოცნაზე, გადახლართულ ფეხებსა და ჩვენი სხეულების ქვეშ ატკაცუნებულ გამხმარ ტოტებზე. სულაც არა მშურს ულისე ასოკარისა, თუმცა თვითკმაყოფილი კაცის იერი აქვს და ალბათ არცთუ ტყუილუბრალოდ. სულაც არ მიზიდავს ახლა ასაკოვან როსარიოსთან ლოგინში გორაობა, მე ხომ აგი სულ ნორჩი ვიგემე იქ, ტყეში. ახლანდელი ჩვენი შეხვედრა აღარ იქნება ისეთი ამაღელვებელი და გრძნობიერი, როგორც ოცდაშვიდი წლის წინ იყო. სულაც არ მინდა მე და როსარიოს სულელებში შემორჩენილი იმ განუმეორებელი საღამოს ხატი რაღაც უსახურმა გადაფაროს და დაამახინჯოს. ოთხის ნახევარია, ამბობს „ბიგ-ბენი“. დამეძინებოდეს მაინცა. ცოტა დავმშვიდდი. იმ საღამოს მოგონება ყოველთვის მამშვიდებს, სიცოცხლის წყურვილს მმატებს. იქნებ რელაქსაციის მეთოდმა მიშველოს. აბა ვცადო. დავიწყეთ ქვემოდან. ჯერ ფეხის თითები მოვადუნოთ, მერე კოჭები, ნაკუთუთალი, ბარძაყეები, მუცკეველი, კუთუჭი, მკევერდი, მხრეები, კისევერი...

6

— თვითონვე, ხედავთ, ბაბუ, ტრადიციული პარტიები როგორ იშლებიან, — თქვა გუსტავომ. — ყოფილი პრეზიდენტები ბატლიე, სარავია, ბრუმი, ერერა აღარ არიან, მიწაში წვანან. მიწაშია მათი იდეებიც. სამაგიეროდ მიწის ზემოთ არიან რეაქციონერი პოლიტიკოსები სესარი, ნარდონე, როდრიგეს ლარეტა და შესაბამისად მათი იდეებიც: ანტისემიტიზმი, კუდიანებზე ნადირობა, მასებისადმი სი-



ბულვილი. შეადარეთ ერთმანეთს, რას ამბობენ დღეს რადიოსა და პრესაში ნარდონე და მეცნიერი იურიისტი ბერო და რას ამბობდნენ წინათ სესარი და პრეზიდენტი ლუისი. აი, სწორედ ეს არის დაშლა. მსხვილ პარტიებზე შიგნითვე არ არის თანხმობა, ხალხი ამას კარგად ხედავს და ხმას აღარ მისცემს მათ. ის კი არადა, შეიძლება სული წაიწყებოდნენ და ყუმბარა შეუგდონ შტაბში და ააფეთქონ.

— კარგი ერთი, ნუ გამაცინე, — უთხრა ბებერმა. ყველაზე უფრო მძიმეები ხართ თქვენ, ძუძუმწოვრები, დედიკოს შვილიკოები, ყბებზე მარტო სტრუბი.

— იმათზე რატომ არაფერს ამბობთ, ბაბუა, იმ თქვენს მამა-დედოკრატების ეაფიშვილებზე? ისინი რა, ძუძუმწოვრები, დედიკოს შვილიკოები და ყბელი კაპიტალისტები არ არიან?

— იცი რა, გუსტავო, უჩემოდაც უნდა იცოდე, რომ ისინიც თქვენისთანა დოცლაპიები არიან. მაგრამ გამოყენებით მე მათ უფრო ვიყენებ, თანაც ისე ვიყენებ, ერთ პესოსაც არ ვხარჯავ. ფულს მათ სხვები აძლევენ. პრობლემა ის კარ არ არის, რომ თქვენ მემარცხენეები ხართ, ისინი კი მემარჯვენეები, პრობლემა ის არის, რომ ერთიც და მეორეც გამოყვეყნებული, უნიათო, ქარაფშუტა თაობა ხართ, თაობა, რომელსაც საკუთარი აზროვნება არ გააჩნია და მხოლოდ მზამზარეულ ფრაზებს იმეორებს.

— თქვენ არ იმეორებთ თქვენს გაზეთში მზამზარეულ ფრაზებს? იქნებ თქვათ, დამოუკიდებლად ვაზროვნებთო.

— მე დამოუკიდებლად ვაზროვნებ, როცა ვიღებ გადაწყვეტილებას გავიმეორო მზამზარეული ფრაზები. თანაც ჩემი გაზეთი — ეს კომერციაა, თქვენ კი პრინციპებზე და პოლიტიკურ მორალზე დებთ თავს. თქვენ ხომ ამბობების მხოლოდ გარეგნული ნიშნების კოლექციას ავროვებთ, როგორც ზოგიერთები — ბოთლებსა და ასანთის კოლოფებს. თქვენა გგონიათ, თუ უპალსტუხოდ დადიხართ, ეს უკვე რევოლუციაა.

— თქვენი აზრით კი რა არის რევოლუცია?

— გუსტავო, ტყუილად გგონია, სიტყვაზე გამომიჭირე. ხომ იცი ფეხებზე მკიდია ეგ თქვენი რევოლუცია.

— დემოკრატია?

— დემოკრატიისთვისაც მიმიფურთხებია, მაგრამ ფულის კეთებაში მეხმარება და ამიტომაც ვარ დემოკრატი. სწორედ აქ არის უდიდესი მსგავსება შეერთებულ შტატებსა და შენს მონა-მორჩილს შორის. იმათაც არაფერი ესაქმებათ დემოკრატიასთან, იმათთვისაც კომერციაა უმთავრესი. დემოკრატია მათთვისაც შემოსავლიანი პროპაგანდაა და იმდენს გაჰყვირიან მასზე და კუბაზეც კი, რომ არავის ახსენდება, რას ჭამენ ჩემი თანამოაზრეები სტრესნერი და სომოსა.

— აი თურმე რა ყოფილა?

— ჩრდილოამერიკელებისთვის დემოკრატია იცი რა არის? მთელი ქვეყანა რომ მონაწილეობს არჩევნებში, უიკენდზე კომიქსებს რომ კითხულობენ, ყველა — გარდა ნახევრად მშიერი ზანგებისა — თავს რომ მიიჩნევს მოქალაქედ — აი ეს არის მათთვის დემოკრატია. იმაზე არაფერს ამბობენ, ლათინოამერიკელ ღარიბ-ღატაკებს რომ სულს ხდიან შრომაში. ჩემთვის კი დემოკრატიაა, როცა მე შემძლია გამოვაქვეყნო სანიმუშო გონიერებითა და პოლიტიკური ზომიერებით გამორჩეული სარედაქციო სტატია, როცა მე შემძლია დაურეკო პოლიციის უფროსს და ვთხოვო, ერთი კარგად უთავაზოს ჩემს მემამბოზე მუშებს. აზრს ვერავინ შემაცვლევინებს. რაკილა წილად მერგო დაზბადებულიყავი ამ მძღ... ქვეყანაში, მე რატომღა უნდა ვიყო უკეთესი? აუღვები და გამოვიყენებ მას საკუთა-



რი ინტერესებისათვის, მორჩა და გათავდა. შენი დიდი ბაბუა სამშობლოზე ლაპარაკობდა, შენი მამიკო ნაციონალიზმზე ლაპარაკობს, შენ — რევოლუციას, მე — საკუთარ თავზე გელაპარაკები და გარწმუნებ, ჩემო ბიჭიკო, მე გაცილებით უკეთ ვიცი რა მინდა, გაცილებით უკეთ ვერკვევი ჩემს ამბავში, ვიდრე თქვენ — თქვენსაში. კოლონია ვართო? რა თქმა უნდა, ვართ და მადლობა ღმერთს რომ ვართ. მითხარი ერთი, ვის უნდა აქ დამოუკიდებელი იყოს? იმ თქვენს ახალგაზრდებს? იმ ყუმბარუკებიანებს? კი ბატონო, უნდათ და იყონ! გეფიცები, სულ არ მუშინია მათი. საშიშროება შეიძლება სხვა მხრიდან მოგეპაროს: აი, ვთქვათ, რომელიღაც მუშა სამსახურიდან დავითხოვე ან ერთი კარგად გამოგილანძღეს, უბრალოდ, მომიხუმტურა და გამოგილანძღე. ეს მუშა დაბოლოებული მივა სახლში, არაყს გადახუხავს, უფრო მეტად დაიბოლოება, რევოლუციას აიღებს, წამოვა ისევ ფაბრიკაში და მომკლავს. აი, ეს უფრო შეიძლება დაიჯეროს კაცმა, ვიდრე კაფეში თავშეყრილი შენი მემარცხენეებისა, ათასი „მაგრამისა“ და იდეური ნიუანსების შემდეგ ბოლოს და ბოლოს რომ გადაწყვეტენ, ყუმბარა შემომიგდონ მანქანის ქვეშ. მაგრამ ვინმე რომ მოკლა, ან რქებდადგმულმა უნდა გაიღვიძო ერთ მშვენიერ დილას, ან მაგარი ბიჭი უნდა იყო, ან — უგონოდ მთვრალი. თქვენ კი სხედხართ და კოკა-კოლას ყლუნწავთ.

სუსანამ საწოლთან მაგიდაზე პატარა შუშა დაღო და სახეგათხიპნილი მობრუნდა ჩემკენ.

- დღეს გუსტავომ მამამო, როგორ შეკამათდნენ ის და ბაბუამისი.
- ვიცი, მეც იქ ვიყავი.
- ჰოდა, სწორედ ამიტომაც მინდა მოგელაპარაკო. განა შეიძლება ასეთ კანათს შეესწრო და არ ჩაერიო? მამაშენს უნდა მიდგომოდი სხვადასხვა მიზეზთა გამო. ჯერ ერთი, თქვენს ურთიერთობას სასიკეთოდ შეცვლიდა, მეორეც, როდემდე უნდა იაროს გუსტავომ ასეთი აზრებით თავგამოტენილმა? ამას წინათ ლაურიტამ მეგობრულად გამანდო, გუსტავო ცუდ წრეში ტრიალებს და მიხედვით. ანარქისტებიო, კომუნისტებიო, თუ რაღაც ამდაგვარი მიხსენა. საკუთარი თვალთ უნახავს, დილაუთენია პლაკატებს რომ აკრავდნენ.

— რას მელაპარაკები? რატომ ის არ ვითხრა იმ შენმა გულითაღმა მეგობარმა ლაურიტამ, რა უნდოდა დილაუთენია ქუჩაში? პატიოსანი ქალი ამ დროს თავის ოჯახში უნდა იყოს, მე მკონი.

- სახუმაროდ სულაც არ არის საქმე. მე შენ სერიოზულად გელაპარაკები.
- ჩვიდმეტი წლისა მეც ვჯღაბნიდი კედლებს.
- ის სხვა იყო. შენ ამას სნობიზმის გამო სჩადიოდი.
- გუსტავო რიდას გამო სჩადის?
- ნეტავ სნობიზმი იყოს მიზეზი. იდეურად მტკიცე პიროვნებად მიიჩნევს თავს. ვიდაც-ვიდაცები ცუდ გავლენას ახდენენ მასზე.
- ალბათ არა მარტო მიიჩნევს, მართლაც სწამს რომელიღაც იდეისა.
- ეგლა გვაკლდა, გუსტავოს დამცველად გამოსულიყავი.
- მე გუსტავოს არ ვიცავ. რა დასამალია და, მირჩევნია ჩემი ვაჟი ამ, ასე თუ ისე სპორტულ ამბოხში მონაწილეობდეს, ვიდრე აყროლებულ ყუმბარებს ისროდეს უნივერსიტეტში.

— გინდა ვითხრა, რამონ, რას ვფიქრობ ამ შენს ახალ პოზიციასზე? ასე იმიტომ იქცევი, რომ გინდა მამაშენს გული ატკინო და არა მარტო მამაშენს, — მეც,



- არ ვიცი, შეიძლება ასეც არის.
  - რამონ, კარგა ხანია ორმოცს გადააბიჯე. არ შეიძლება მთელი ცხოვრება პატარა ბიჭივით იყო. უბრალოდ, სასაცილოა.
  - არასოდეს მიგრძვნია თავი ისეთ მოზრდილ ადამიანად, როგორც ახლა, უფრო მეტიც, მოზრდილად კი არა, — მოხუცად.
  - თუ შეიძლება ის შუშა მომაწოდე, არა, ეგ არა, აჰ, აჰ, მწვანე!
  - სუსანა.
  - რა იყო?
  - რა მოხდება, გაუთხუპნავი რომ დაწვე?
  - გაგიჟდი?
  - სუსანა.
  - დღეს არა, რამონ, დღეს არ შემიძლია. იქნებ ხვალისთვის გადავდოთ, ანაც გუსტავოს გამო გამიფუჭდა გუნება.
  - ეგ რა შუაშია?
  - სწორედაც რომ შუაშია, რამონ. შენ ყოველთვის მზადა ხარ ამ საქმისათვის, მე კი — არა. მე ალერსი მინდა, რამონ.
  - კარგი, მოდი აქ.
  - ვითხარი, არა-მეთქი.
  - კარგი, ეგრე იყოს.
- იჯდეს და ითხიპნოს რამდენიც უნდა. რალაც სულ ერთი წამით გამეღვიძა სურვილი, მაგრამ ახლა გამიქრა. ხვეწნას ხომ არ დაუწყებ, არ შემიძლიაო... ხშირად მარწმუნებს, არ შემიძლიაო, მერე აღმოჩნდება, კარგადაც შეუძლია. პარამხანა ამიტომაცაა კარგი. ეს რა ჭკვიანური რამე ვთქვი, აკადემიისთვის ხომ არ შემეთავაზებინა? პარამხანა ერთადერთი ადგილია დედამიწაზე, სადაც არ არსებობს მამაკაცთა ონანიზმი. უფრო ზუსტად: პარამხანა ერთადერთი ადგილია მთელს დედამიწაზე, სადაც მამაკაცთა ონანიზმს ექსტრავაგანტობად მიიჩნევენ.
- რამონ.
  - რა გინდა?
  - ამ ბოლო დროს რალაც უცნაური გახდი. მეჩვენება, სადღაც სხვაგან დაფრინავენ შენი ფიქრები, არავის უსმენ. ჩემზე არ გეუბნები. მე რომ არ მისმენ, ამას უკვე მივეჩვიე, მაგრამ სხვასთანაც რალაცნაირი დაბნეული ჩანხარ.
  - ჰო, ერთი-ორჯერ მეც შევაძინე, მაგრამ საშიში არაფერია. გარწმუნებ, გადაღლის ბრალი არ არის. სააგენტოში მუშაობა სულაც არ მღლის. გამივლას.
  - იქნებ როიგთან მისუღიყავი?
  - ამაოა. ყოველ მისვლაზე მეუბნება, ჯანმრთელი ხარო. ერთადერთი სერიოზული დაავადება, რაც მან ჯერჯერობით აღმომიჩინა, ცხიმოვანაა. ეს კი არ ღირს იმად, ოცდაათი პესო ვიხადო ყოველ მისვლაზე. სულ სხვაა, ექიმი რომ გეტყვის: მეგობარო, ძალიან ვწუხვარ, მაგრამ კიბო გაქვთო — აი მაშინ არ გენაწება ფულის გადახდა.
  - ო, რამონ, რეებს ამბობ. განა ტყუილად ვითხარი, უცნაური გახდი-მეთქი?
  - კიბოს ვერაფერს შველიან, მსოფლიოს მოედო. რა არის აქ უცნაური?
  - ვიცი, რომ ვერ შველიან, მაგრამ რატომღაც მგონია, თუ არ ვახსენებ, არც დამემართება-მეთქი.
  - კარგია, როცა ასე გგონია, განსაკუთრებით მაშინ, თუ გაგიმართლა, მაგრამ თუ ერთხელაც მიხვდი, რომ არ გაგიმართლა, და რომ ყველაფერი ამაოა, მაშინ მშვიდად ცხოვრებას დაემშვიდობე.





- რამონ, გინდა დაკწე შენთან?
- შენ ხომ თქვი, დღეს არ შემოდლიაო?
- ჰო, რა ვიცი, თითქოს არ მინდოდა, არც შენ მოგიკლავს თავი ხვეწნით.
- უნდა შეგხვეწოდი?
- თანაც სახეზე კრემის მოცილებაც მიწევდა.
- მოიწმინდე.
- მაშ, მოვიდე?
- მოდი.



7

გლორია კასელი სარკეში იყურება და თავი მოსწონს. ანფასით არ კმაყოფილდება, პროფილსაც ხომ შეუძლია გაგახაროს? განა ტყუილად აკეთებენ ორფრთიან სარკეებს! გლორია სარკეებს წარამარა ამოდრავებს, სურს იდეალური პოზა დაიჭიროს. ჰო, აი ეს კულული ყურზე აბერებს, უარესიც, სახეს მთლიანად უცვლის, თითქოს უცხო შემოსტკერისო სარკიდან. რაც შეეხება ყურებს, ეს კი ნამდვილად გამოერჩევა სილამაზით, დახვეწილობით, ესთეტიკობით. თავი? თავი ცოტა ტლანქი ერჩვენება. ამიტომ ყურები უნდა გამოიჩინოს. არა, ნამდვილად მარცხენა პროფილი სჯობს მარჯვენას, მაგრამ აი ამ პიგმენტურ ლაქას კი ჩამოქსილ ყელზე აღარაფერი ეშველება, ვერავითარი კრემი ვერ დაფარავს მას. მართალია დიდი არ არის, თვალში მაშინვე არ გეცემა, მაგრამ მაინც შეიმჩნევა. ღვიძლის ბრალიაო, აგერ უკვე რამდენი წელიწადია ეჩინებებიან ექიმები, მაგრამ გლორიაზე უკეთ ვინ იცის, როდის წარმოიშვა ეს ლაქა? ეს მოხდა ოცდაშვიდი წლის წინათ, როცა გლორია ქალად იქცა, ე. ი. მაშინ, როცა არც ღვიძლი ჰქონდა, არც გული, არც კოჭები. ადამიანი ხომ საკუთარი ორგანოების არსებობას მაშინ გრძნობს, როცა ასტკივდება, იმ ხანებში კი გლორიას ხანდახან თუ წამოსტკივდებოდა მხოლოდ ელენთა და ისიც მაშინ, პლაჟზე თუ ბევრს ირბენდა, ანდა უნივერსიტეტის სასპორტო მოედანზე ფრენბურთს თუ ითამაშებდა საათობით.

სარკიდან სახე შემოჰკლიძის. საჭიროა დროდადრო შეამოწმო, შემოგრჩა თუ არა ძველებური ღიმილი, რა თქმა უნდა, ეს ის ღიმილი აღარაა: წვრილი, მაგრამ თვალში საცემი ნაოჭები პირის კუთხეებში ღიმილს უმკაცრებს, ოდინდელ მიამიტობასა და სანდომიანობას სანახევროდ უკარგავს. სიმართლეს ვერსად გაექცევი: შთაბეჭდილება შეეფერება სინამდვილეს. დიახ, სანახევროდ დაკარგა მან თავისი მიამიტური და სანდომიანი გარეგნობა, მაგრამ მთლიანად ხომ არ დაუკარგავს?! მამაკაცები ახლაც აყოლებენ თვალს ქუჩაში, ის კი არადა, ხანდახან ჩილაპარაკებენ ხოლმე რაღაც-რაღაცებს და მაინც გლორიას დიდად არ აიძულებს ჯერაც შემორჩენილი ეს ნახევარი.

გლორია მსუბუქად არხევს მხრებს. სწორედ ეს მხრები შეუქო ედმუნდომ პირველად: „რა ლამაზი მხრებია! თითქოს მხოლოდ იმიტომ არიან შექმნილი, რომ დაღლილმა ჩამოდო ხელები“. ასე უთხრა ედმუნდო ბუდინიომ ათას ცხრაას ოცდაცხრამეტი წლის ათ სექტემბერს და გლორიამაც პირველად იგრძნო, რომ ნამდვილი ქათინაურით მიმართეს, ნამდვილი ქათინაურით და არა ცარიელი სინაზით, რითაც მას თანაკურსელები ანებივრებდნენ ხოლმე. მათი ქათინაურები უფრო თამაშს ჰგავდა — დაჭერობანას თამაშს: ჯერ გადაუკრავდნენ სიტყვას სასიყვარულო ეტიუდის ესკიზის პროექტზე, მერე კი გარბოდნენ, მართალი არ ეგო-



ხოლო. ედმუნდოს ქათინაურში კი, პირიქით, იყო რაღაც ისეთივე ნაღდი, როგორც ედმუნდოსვე დაღლილობა. რა თქმა უნდა, გლორიამ წლების ძერე დაასკვნა, რომ ეს შექება შემთხვევითი კი არა, თვისება იყო ედმუნდოსი. როცა მას რამე მოსწონდა ან არ მოსწონდა, აქებდა თუ არ აქებდა — ამ თავის მოხაზვებებში ყოველთვის წარმოადგენდა აქტიურ მხარეს, კანონს, ღმერთს. ეს ამბობდა: „მთა იმიტომ მიყვარს, რომ მის გვერდით მეც ძლიერი ვარ“, ან: „ტრამპეტი იმიტომ არ მიყვარს, რომ როცა მანქანით მივღევ უკან, მისი სიზანტის მოჩვენებები“.

ჰო, აი ეს კულული ზედმეტი. იქნებ ყურზე გადაიდოს? კი, აჯობებს. იმ ხანებში ედმუნდო მეორე კურსის სტუდენტებს ლექციებს უკითხავდა მოქალაქეთა უფლებებში. ორმოცდაექვსი წლის პროფესორს საფეთქლებთან ჭადარა შეპარვოდა თმაში. თოვლი ადევს საფეთქელზე, — ოხრავდა კოკობზიკა ანა მარია და ნარტო ანა მარია კი არა, ფაკულტეტის ყველა ქალიშვილი აღმერთებდა თავის პროფესორს. ჰოდა, როგორ არ უნდა შემკრთალიყო გლორია, როცა სწორედ ამ პროფესორის ხმა გაიგონა ზურგს უკან (ეს ამბავი ინსტიტუტში არ მომხდარა. ეს ამბავი მოხდა ნატიფი ხელოვნების ეროვნულ გალერეაში): „რა ლამაზი მხრებია. თითქოს მხოლოდ იმიტომ არიან შექმნილი, რომ დაღლილმა ჩამოსდო ხელები“. გლორია მამინვე გაიფიქრა: ჩემი მხრები იდეალურად ესადაგება პროფესორის სიმალღესაც და იმ პოზასაც, რაც ეს წუთია ითქვა და რაც უკვე, ეტყობა, სამომავლოდაც გაითვალისწინა კაცმა და რომელშიც გაერთიანებული იყო ფამილარობა, ნდობა, სიახლოვე, ურთიერთსიმპათია. გლორია ჯერ კიდევ ვერ ბედავდა გაეფიქრებინა, „სიყვარული“. გლორია შემობრუნდა და... არასოდეს ჩვენებია თავისი პროფესორი ასეთი გამაოგნებელი, არაჩვეულებრივი და მამაკაცურად ლამაზი. მამაკაცურ სილამაზეში უნდა იყოს რაღაც ულამაზო, ასიმეტრიული, კუთხოვანი. ედმუნდო ბუდინოს გარეგნობაშიც შეიმჩნეოდა ის ნიშნები, ქალები გადამწყვეტ მნიშვნელობას რომ ანიჭებენ. რა თქმა უნდა, „რაღაც ულამაზო“ არ უნდა სჭარბობდეს, სახესა და ტანს არ უნდა ამახინჯებდეს. გლორია ვერ იტყოდა, სახედობრ რა მოეწონა პროფესორისა, მაგრამ რაღაც სასიამოვნოდ მოუხელთებელი და აუხსნელი რომ დაინახა ამ კაცის გარეგნობაში, ეს ნაღდი იყო. სწორედ ეს მოუხელთებელი ეძახდა გლორიას თავისკენ, ეძახდა ამ მიზიდულობის სიღრმისა და სინამდვილის საბოლოო ამოსახსნელად. საერთოდ ამ ნიშნების მიხედვით ანსხვავებენ ერთმანეთისაგან, ვთქვათ, უზადო, მაგრამ მაინც „უფერული“ სილამაზის ჩრდილოამერიკელ კინომსახიობ ტაირონ პაუერსს და ლამის ასიმეტრიულ, მაგრამ მაინც მამაკაცურად ამაღელვებელ და მიმზიდველ ასევე კინომსახიობ ბერტ ლანკასტერს. ამ ორი მსახიობის გახსენებისას გლორია გაიფიქრა, მე გამონაკლისი ვარ, არცერთი არ მომწონსო. „აჰ, პროფესორო, ვერ დაგინახეთ... შემაშინეთ...“ — თქვა გლორია და ყოველგვარი ხალისი დაუკარგა ეცქირა იმ ნახატიისთვის, რომელიც წუთის წინ მოეწონა. „შეიძლება ყავაზე დაგპატიეთ?“ — ჰკითხა კაცმა და რა თქმა უნდა, პასუხიც მხოლოდ დადებითი უნდა ყოფილიყო, რადგან იმ ხანებში ბუდინოს კითხვითი კილო უკვე პატივისცემას ნიშნავდა მოსაუბრის მიმართ. ბუდინოს ვერც წარმოედგინა, რომ ვიღაცას შეიძლებოდა მისთვის რაიმეზე ეთქვა უარი... თეატრ „სოლისის“ მოპირდაპირე მხარეს, პატარა კაფეში შევიდნენ. გლორიას ძალიან კარგად ახსოვს, კაფეში შესვლისას კაცის მტკიცე, ხმაურიანი ნაბიჯები როგორ ახშობდა მის საერთოდაც მსუბუქ, ზამბარისებურ ნაბიჯების ხმას, თანაც იმ საღამოს გლორიას კაუჩუკის ძირიანი ფეხსაცმელიც ეცვა. „რას კითხულობთ?“ — დაინტერესდა ბუდინო და პასუხისთვის არც დაუცდია, ისე დაწვდა ქალიშვილის ორ



წიგნს. ვალიე ინკლანი მოიწონა (თავის დაკვირვებით გამოხატა მოწონება), პანაიტ ისტრატიხე სახე დაემანჭა, და... სწორედ მაშინ მოხდა ის, რამაც ძირფესვიანად შეცვალა გლორიას ცხოვრება, უფრო სწორად, ნაჯახის დარტყმით ორად გაუბო ცხოვრება. ერთი ნაპობი ვაღმა დარჩა და მოიცავდა დროს ათას ცხრას ოცი წლის ოთხი დეკემბრიდან ათას ცხრას ოცდაცხრამეტი წლის არ სექტემბრამდე... კაცმა გაიღიმა, წიგნები ჩანთასთან დაუდო და ყოველგვარი ყოყმანის და მგზნებარების გარეშე უცებ „შენობით“ მიმართა: „ძალიან მომწონს ეს წიგნი, და ფინაზე რომ დაგინახე, ძალიან გამეხარდა, გამეხარდა იმიტომ, რომ რამდენიმე დღეა მინდა გკითხო: გინდა გახდე ჩემი საყვარელი?“

ახლაც კი, ოცდაორი წლის შემდეგაც, გლორია სარკეში ხედავს, როგორ ზოვრია სახეზე სიწითლე. იმ საღამოსაც გაწითლდა, მაგრამ ის გაწითლება მაშინ ხევრ რამეს იტყვდა: სირცხვილს, შეკრთომას, სიხარულს. განსაკუთრებით სიხარულს. ხუმრობა ხომ არ არის, თვით ბუდინიომ ინება და მეგობრობა შესთავაზა (ყოველ შემთხვევაში, მან ასე არაზუსტად და ტენდეციურად თარგმნა თავისთვის კაცის სიტყვები), აგერ კიდევ „შენობით“ მიმართა და გვერდითაც უზის პასუხის ზღოღინში. „პროფესორო“, — ჩააღულღულა ქალიშვილმა და კაცმაც თავისი ალერსიანი, ბალნიანი კეთილი ხელი დაადო ქალიშვილის ნახ, უღონო, მიმნდობ ხელს. კაცის ხელიდან წამოსული სითბო გლორიას აფართხალებულ გულში ჩაედვარა. თავი დახარა, იმ უბედურ პანაიტ ისტრატიხის დაამტკერდა და დაიწურჩულა: „მე ისეთი ბედნიერი ვარ, პროფესორო...“ და როდესაც თავი ასწია, კაცი კვვე თავის გამარჯვებაში სრულიად დარწმუნებული იჯდა და მას შემოსცქეროდა: „ედმუნდო დამიძახე, ოღონდ, რა თქმა უნდა, არა ინსტიტუტში“, მაგრამ გლორია მას მაინც „პროფესორობით“ მიმართაედა და ალბათ ეს იყო ერთადერთი შემთხვევა, როცა არ დაემორჩილა ბუდინიოს ნებას. როდესაც ბუდინიომ პირველად სასტუმროს ნომერში შეიყვანა გლორია, ლამის მთელი საათი კოცნიდა, თან გაღიმებული ტკბებოდა დამორცხვებული, აცახცახებული ქალიშვილის ტკერით, მერე ტანთ გააძრო და ახლა უკვე შიშველს დაუწყო კოცნა და ალერსი — რაც მეორე საფეხურს წარმოადგენდა იმდღევანდელი შეხვედრისას — იმასობაში ფრთხილად და ძალდაუტანებლად დაიმორჩილა კიდევ იგი, ფრთხილად იმიტომ, რომ ქალიშვილი თავისი ნებით კარგავდა უმანკობას და ტკივილითაც (არა სულიერი, არამედ ფიზიკური ტკივილით) იტანჯებოდა. როდესაც ყველაფერი დამთავრდა, კაცმა შეამჩნია, აუტანელმა ტკივილმა ქალს ვერ აგრძნობინა ტკბობა თავის მიერვე ვადებული მსხვერპლის საფასურად, და ჰკითხა: „ძალიან გტკივა?“ და როდესაც გლორიამ „დიახ, პროფესორო“ უპასუხა, ბუდინიო ლამის დაიხრჩო სიცილით. მერეც, დროთა განმავლობაში, შეკრთომა, დამაბულობა და ფორიაქი რომ გაქრა, ქალი მაინც „პროფესორს“ ეძახდა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც სიყვარულობანათი ერთობოდნენ. ეს სიტყვა მათთვის გახდა ერთგვარი ნიშანი, თანამთაზრე და საიმედო მოწმე.

ხუთის ათა წუთია. ბუდინიო შეჰპირდა, ხუთის ნახევარზე მოვალა. ის კი სიტყვას არ გასტეხს. მოვიდეს. ყველაფერი მზადაა, ირგვლივ სისუფთავეა, წესრიგია, გლორიას მხოლოდ ყელსაბამი დარჩა შესარჩევი, ოღონდ მეტი სმეტად დაზუნძლული არა, ბუდინიოს არ უყვარს მძიმე სამკაულები, „მოიხსენი ეგ ჯარიო“, — უთხრა ქალს აჭურული ვერცხლისა და მარჯნის ყელსაბამზე, ესპანეთიდან რომ ჩამოუტანეს ბიძაშვილებმა. სჯობს ყავის მარცვლების ყელსაბამი გააკეთოს, ბუდინიომ რომ ჩამოუტანა ბრაზილიიდან ხუთი წლის წინათ. მაგრამ მაშინ კოფთა უნდა გამოიცვალოს. ცისფერი და ყავისფერი არ ეხამება ერთმა-



ნეთს. ნეტავ კრემისფერი კოფთა თუ აქვს გაუთოებული? კი, გაუთოებულია. ჰოდა, ძალიან კარგი. მართლაც შუაზე გაიყო გლორიას ცხოვრება. ბევრ მამაკაცს მოსწონდა იგი, ბევრჯერ მოიწადინეს მასთან სასიყვარულო ქსელის გაბმა, მაგრამ ამაოდ. გლორია ბუდინიოს ერთგული დარჩა ბოლომდე, თანაც უიშვლოდ და უპერსპექტივო იმიტომ, რომ, ჯერ ერთი, თავიდანვე იცოდა, მის ბატონს ცოლიც ჰყავდა, შვილებიც და, სხვათა შორის, საყვარლებიც; მეორეც, როცა ბუდინიო დაქვრივდა, გადაკრულადაც კი არ მიუნიშნებია, ცოლად <sup>გითხოვს</sup> მათი კავშირი ყოველთვის იყო ისეთი, როგორც ახლაა: საიდუმლო, ისტაქქვეშა, ყველასათვის მიუწვდომი. იქნებ ასეც სჯობს. ედმუნდოს ორი ვაჟიშვილიდან ერთი — უგო, მასზე უმცროსი იყო, მეორე — რამონი კი ალბათ ორი-სამი წლით უფროსი. უგო არასოდეს უნახავს, რამონს ორჯერ შეხვდა. ერთხელ რივასის რესტორანში გააცნეს, მეორედ თვითმფრინავით იმგზავრეს ერთად, ბუენოს აირესში პიფრინავდნენ. რამონმა ვერ იცნო, ან იქნებ ვითომ ვერ იცნო, არა, ალბათ მართლაც ვერ იცნო. მოელი გზა თითქმის არ დალაპარაკებიათ ერთმანეთს. ქალმა სიგარეტი ამოიღო, კაცმა სანთებელა შეაშველა. „მაღლობთ ცეცხლისათვის“, — თქვა ქალმა. მეტი სიტყვა არ დასცდენიათ. რამონს რომ სცოდნოდა? მაგრამ ეს არავინ იცის. საოცარია პირდაპირ, ისეთ ღრმად პროვინციულ დედაქალაქში, რომელიც ვერ დაიკვეხნის ვერც თეატრალიზებული სანახაობებითა და ვერც ხალხმრავალი კაბარეებით და მაინც ელვის უსწრაფესად ვრცელდება ყველანაირი ჭორი, — არავინ რომ არ იცის ეს ამბავი. „მოკავშირეთა პარკის“ განათებული შადრევანი. აი ეს არის მოელი ჩვენი დამის ცხოვრება. ჭორი აქ მთავარი გასართობია, საუკეთესო შოუა. და მაინც არავინ იცის, არც არასოდეს იცოდა. ბუდინიო შენიღბვის ოსტატია. ის, ვინც რაღაცას გუმანით ხვდება, შიშის გამო ვერ ბედავს სიმართლე დაადგინოს, სულაც არა სურს იკისროს მძიმე პასუხისმგებლობა, რომ სწორედ მან აღმოაჩინა ერის სიამაყის — ედმუნდო ბუდინიოს სუსტი მხარე. რა თქმა უნდა, ყველა კარგად ხედავს მისი ცხოვრების თეორიულ ლაქებსა და მრავალწერტილებს (საბუთებშიც), მაგრამ ხელი არავის მიუწვდება ამ მრავალწერტილებს სიმართლეზე დამყარებული ერთი წერტილი დაუსვას. ვერავინ ბედავს.

მაცივარი ყრუდ გუგუნებს, ჰო, ყინულია მოსამზადებელი. როცა ბუდინიო ვისკის წრუპავს, გლორიამ იცის, ეს წამი მისი მამაკაცისთვის ყველაზე მშვიდი წამია მოელი დღის მანძილზე. ამ დროს აქ არც ფაბრიკაა, არც რედაქცია, არც პარტიული კლუბი, არც იარაღისთვის მოსული მოშტერო ბიჭები, არც საგაზეთო აურზაური, არც მორჩილი ხაეიერი, არც კეთილშობილი რამონი, არც მიმბამძველი უგო, ერთი სიტყვით, მოელი გარე სამყარო სადღაცაა გადაკარგული. ბუდინიო ყველაფერს დაწვრილებით უამბობს გლორიას, თავებად ჰყოფს განვლილ დღეს. ახლა ის ნამდვილად გულახდილია, იმიტომ, რომ ულამაზო, ბინძურ, საზიზღარ ამბებს უყვება ქალს, ჰგონია, მისი პიროვნების ეს ბნელი, სატანური მხარე გასაგები და მისაღები უნდა გახდეს შეყვარებული ქალისთვისაც, ის მხარე, რომლის კარსაც ბოლომდე იგი თითქმის არავის უღებს. არც რამონს. გლორიამ იცის, ედმუნდო ბუდინიო რამონს უფრო ცინიკური, უფრო ბნელი, უფრო აგრესიული, უფრო უღმობელი ეჩვენება, ვიდრე ის სინამდვილეშია. ედმუნდო ბუდინიო გლორიასთან სასიყვარულო კავშირზე ხომ სიტყვასაც არ დამრავს რამონთან. ეს ხომ (ყოველ შემთხვევაში, ქალს ასე ჰგონია) აღიარება იქნებოდა იმისა, რომ ედმუნდო ბუდინიო ყოველთვის როდია მკაცრი და პატივმოყვარე.



გლორიას თანდათან ითრევს საგულდაგულოდ მიმალული მტრობა, ყოველდღე ახალი ფერებით ავსებს მას.

თანაც, თანაც... გლორია იღიმება, არაესთეტურად დაკუჭულ ზეწარს ახსწორებს. თანაც, თანაც გლორიამ ერთი საიდუმლოც იცის, საშინელი საიდუმლო. სამოცდარვა წლის დოქტორმა ედმუნდო ბუდინიომ — ერთ-ერთმა აღიარებულმა პიროვნებამ ეროვნულ პოლიტიკაში, ერთ-ერთმა უძლიერესმა მხრისაა, რომ ამ ამა ქვეყნის უძლიერესთა შორის დაკარგა უნარი ერთი არცთუ მსხვილი მაგრამ არცთუ უმნიშვნელო საქმის კეთებისა... ერთი სიტყვით, წერტილი დაესვა მის სექსუალურ ცხოვრებას. გლორია კვლავ იღიმება. ახსენდება ის ღამე, როცა „ჩაფლავდა“ ბუდინით. ახსენდება, ჩვეული თვითდაჯერებით რომ უთხრა კაცმა: „დღეს მძიმე დღე მქონდა. ხვალისთვის გადავდოთ“. გლორიამ უპასუხა: „ღააბ, პროფესორო“, მაგრამ მაშინვე იჩანა: აქამდე თუ ამ სიტყვებს სექსუალური დატვირთვა მქონდა, ახლა ცოტა ირონიულად გაჟღერდა. არადა, აზრადაც არ გაუვლია ქალს. ასეთი ფლერადობა მიეცა ამ სიტყვებისთვის, თავად სიტყვებმა მოძებნეს ვითარების შესაფერისი კილო. რაც შეეხება „ხვალ“-ს — ის ბუტი აღარ ყოფილა. მეორე უშედეგო ცდის მერე კაცმა დამარცხება აღიარა, მაგრამ აღიარა არა როგორც საწოთირო, არამედ როგორც ღამის ძეგლის ღირსი რამ. თავისი სექსუალური უძლურება ღამის საპატიო შარავანდედით შემოსა:

„ამ მხრივ ვეღარავინ ამაფორიაქებს, ვის-ვის და მე ამ საქმეში ნამდვილად მჭირდება დასვენება. უკეთესიცაა, აღარ ვიფიქრებ მაგიებზე. სამაგიეროდ ახლა იქნებ ამ ქაოტურ სამყაროს ვუშველო რამე“. მაგრამ მას დაავიწყდა ერთი პატარა რაღაცა—სულაც არ იყო აუცილებელი მის „დამსახურებულ დასვენებას“ დამთხვეოდა გლორიას დასვენებაც. გლორიასათვის ხომ ჯერ არ დამთავრებულა სექსუალური ცხოვრება! ის პატარა ცელქი ჭინკა, რომლის გახელვასაც როგორღაც ჯერ კიდევ ახერხებდა ბუდინით, — თავის წილს მოითხოვდა, თავის დასასრულს. მაგრამ მას შემდეგ სამი წელიწადი გავიდა და გლორიას ერთხელაც არ უღალატნია ბუდინოსთვის.

ძალიან მოხერხებული და სასიამოვნო სავარძელია ეს კალიფორნიული სავარძელი. ერთხელ გლორიამ კინაღამ... იშეიათად ცეკვაავდა გლორია, მაგრამ ტანგო ხომ საოცარი ცეკვაა! კაცს თავშეკავებულად მიჰყავდა ცეკვისას, სხეულზე ძალიან არ იკრაავდა... ეს იყო რიტმზე აწყობილი ურთიერთობა. ისე კარგად გრძნობდნენ ერთურთს, ისე ზუსტად ხვდებოდა თითოეული, რომელ პას, რომელ მოძრაობას გააკეთებდა მეორე, თითქოს ბავშვობიდან ეცეკვოთ ერთად. გლორიამ ჯერ სახელიც კი არ იცოდა ამ კაცის, მაგრამ სამაგიეროდ, მისდა გასაოცრად, ისეთი თანხვდობა ანუ შეთანხმებულობა ანუ წვდობა აღმოაჩინა ამ კაცსა და თავის შორის, რომ უკვე შეეძლო წინასწარვე ამოეცნო ყველაზე მოულოდნელი, ყველაზე წარმოუდგენელი მოძრაობებიც კი და თავის მეწყვილეს ისე მიაყვებოდა, როგორც ჩრდილი, როგორც რიტმისთვის საჭირო საგანი, როგორც პანტოგრაფის ხელში დამჯერე ფანქარი. და უცებ გლორიამ იგრძნო, რომ იგი ამ უცნობ მაშაკაცს ეკუთვნოდა მთელი არსებით და რომ მისი კანის ყოველი უჯრედი ამ კაცის სხეულში ცდილობდა ჩანთქმას. ყოველი ახალი პას ამოცნობა უფრო მეტ ტკბობას ანიჭებდა, ვიდრე თავად ცეკვა. და ნელ-ნელა უახლოვდებოდა იმ საბოლოო სპაზმს, რომელიც სადღაც მომავალში ელოდა. ქალმა იცოდა, ეს არც სულიერი ნათესაობა იყო, არც საერთო მოგონებები და არც უცებ ამოხეთქილი ურთიერთმოწონება, რაც წინ უსწრებს ხოლმე სიყვარულს,



მაგრამ დარწმუნებული იყო, ამ კაცს რომ ახლა ეთქვა: „წამოდი“, უსათუოდ წაჰყვებოდა ანგარიშმიუცემლად, რობოტივით. ფლეიტის საოცარი ხმა ელვასავით უვლიდა ტანში და ამ ელვის წამიერ შუქზე საკუთარი თავი შიშველი წარმოიდგინა თავისი მეწვეილეს მკლავებში. ამ წამიერმა მოჩვენებამ ისე დაახვია თავბრუ, რომ ლამის კისერზე ჩამოეკიდა კაცს. „მაპატიეთ“, — დაიწურჩულა გლორიამ და მოეჩვენა, სადაცაა გრძნობას დაკარგავდა, მაგრამ გადარჩა, არ დაუკარგავს და ეს არ იყო მისი დამსახურება. მერვე თქმულს წინგოს შემდეგ, როცა ბანდონისტმა ბოლო აკორდი ჩამოჰკრა, ქაღალდის რიგის ტყეა, სული მოითქვა. არა, დაღლილი სულაც არ იყო, რაღაც დვთიურ მოთენთილობას გრძნობდა მთელს სხეულში და ამავე დროს გაოცებულიც იყო იმ განცდის სიმღიერით, რა განცდაც დაეუფლა ამ თავის ტოლი და არა ოცდაშვიდი წლით უფროსი მამაკაცის სხეულის გვერდით. კაცი მშვიდად და დიდხანს ჩააჩერდა თვალებში და უცებ მის ჩამუქებულ გუგებში გლორიამ დაიჭირა მთრთოლვარე შიშიც და რიდიც ერთდროულად. გლორიას გული შეეკუმშა, მიხვდა, რომელიც ძველი ტრაგედიის თუ საბედისწერო შეცდომის მონაწილე რომ გახდა; იმასაც მიხვდა, თავადაც რომ აღმოჩნდა ბრმა შემთხვევის მსხვერპლი. უცებ კაცმა თქვა: „გთხოვთ, მაპატიოთ“. იმ უეცარი და უშედეგო აუეთქებისაგან გლორიას ისე ჰქონდა გონება დაბინდული, რომ მხოლოდ კარგა ხნის მერე, როცა მეგობარმა გოგომ ცეკვით ჩაუქროლა გვერდით და უჩურჩულა, როდის აქეთ დაიწვევ პედერასტებთან ცეკვაო, — მხოლოდ მაშინდა ჩასწვდა კაცის სიტყვების არსს.

გლორიამ ფეხები გაშხვართა. მამაკაცებს მოსწონთ მისი ფეხები. რამდენჯერ შეუმჩნევია (ავტობუსში, კაფეში, თეატრში, კიბეებზე), რა აღფრთოვანებული შესცქეროდნენ ამ მუხლმრგვალ, ჩამოსხმულ ფეხებს — სექსუალური ცეცხლის სიმბოლოსა და გარანტიას, რომელიც მხოლოდ ედმუნდოს მიუძღვნა და რომელიც ახლა უქმადაა. გუშინ, გუშინწინ, ათი თვის წინათაც, ერთი და იგივე შეკითხვა უტრიალებს თავში: „განა ეს სამართალია?“ მაგრამ გლორიას არსებაში მისი წრის ტაბუა ჩაკირული, მაგრამ განა ყველა ტაბუს თავისი კონტრტაბუ არ ვააჩნია? და აი, ახლაც, სწორედ მათი შეჯახება-დაპირისპირებისას ჩნდება რაღაც გაურკვეველი პროტესტი: ეს კაცი მისი ქმარი არ არის, უფრო სწორად, არ მოისურვა მისი ქმრობა, არ მოისურვა მაშინაც კი, როცა შეეძლო გამხდარიყო მისი ქმარი. აქედან დასკვნა: ღირს კი უერთგულოს ისეთ კაცს, რომელმაც არ მოისურვა მისი ქმრობა? თუმცა როცა საყვარელი ერქვა, მაშინაც დალატობდა ყოველ ფეხის ნაბიჯზე, მაშინაც არ იკლებდა ქალებს — აცეტიბულ მუწუკებიან ნიმფადან დაწყებული იმ კოკობზიკათი დამთავრებული, ერთ ხელში რომ ლოცვანი ეკავა და მეორეში — მორფი. რა თქმა უნდა, არ ღირს. პასუხი ისე მარტივია, გლორიას ზიზღით ემანჭვება სახე, მაგრამ თვალებში მაინც უკრთის სინაზის თუ სიბრაღულის მაგვარი რაღაც ჯერ კიდევ სითბოშეპორჩენილ თანადგომისა. ედმუნდო ბუდინით რომ ეგოისტი კაცია, ალბათ ამაში არავის ეპარება ეჭვი. მასზე დიდი ეგოისტი არ მოიძებნება მდინარეების გუარეიმისა და ლა პლატას, მერიმის ლაგუნასა და მდინარე ურუგვაის შორის გადაჭიმულ უზარმაზარ ფართობზე. მაგრამ სინამდვილეს ვერსად წაუხვალ: ის რომ „ნომერი პირველი კაცის“ მეგობარი ქალი ხარ, ძალზე მიმზიდველი რამაა და რაც არ უნდა ამაყი იყო, მაინც მზადა ხარ ამის საფასურად აიტანო ათასი წყენა და გულისტკივილი. ზუსტად ოცი წელი ვიყავი ედმუნდო ბუდინოს საყვარელი, — უკვე მერამდენედ უმეორებს საკუთარ თავს გლორია, თუმცა იცის,



იც წელს კიდევ რამდენიმე თვე აკლდა... ახლა ედმუნდო ბუდინიოს მესაიდუმ-  
 ლე ვარ, — დასძენს იგი. საწყენია, რომ ამის თაობაზე არავინ არაფერი იცის,  
 მაგრამ, რომ დაუფიქრდე, ეს რადაცნაირი პატივიცაა ამავე დროს. მთელს ქა-  
 ლაქში, მთელს ურუგვაიში გლორიას გარდა არავინაა ისეთი (მართლა არავინ?)  
 ვისაც შეუძლია ამა ქვეყნის ერთ-ერთი ძლიერი კაცი სახლში მიიღოს და სა-  
 თობით უსმინოს მის ლაპარაკს. ო, რას არ გაიღებდნენ გაზეთები, <sup>ფოტორეპორტაჟები</sup>  
 პორტიორები, ტელევიზია, ოპოზიციონერი დეპუტატები, ოღონდ <sup>ფოტორეპორტაჟები</sup>  
 ანც მოესმინათ ან ენახათ ის, რასაც გლორია ლამის ყოველდღე ისმენდა და  
 ხედავდა. აი, ახლაც სადაცაა მოვა; მოვა დაღლილი, ლოყაზე აკოცებს, პიჯაკს  
 გაიძრობს, ფეხებს ფლოსტებში წაჰყოფს, ხელ-პირს დაიბანს, მერე ჩალის სა-  
 ვარძელში ჩაჯდება, ვისკის ჩამოასხამს სოდიან ჭიქაში. სადაც ყინულის ნატე-  
 ხიც ავდია, და დაბნეული ჰკითხავს; „დღეს რას აკეთებდი?“ — და თვითონვე  
 სთქვება თავის იმდღევანდელ საქმეებზე. მერე შესაძლოა წინა დღით დაწყე-  
 ბული მონოლოგიც განაგრძოს. „შენი აზრით, შეიძლება მიყვარდნენ ის ადამი-  
 ანები, რომლებმაც იციან როგორიცა ვარ და მაინც ურთიერთობენ ჩემთან?  
 პირველ ხანებში მზაკვრული აზრით ვიყავი შეპყრობილი: მინდოდა ყველანი  
 მომეტყუებინა, გამეცურებინა, ოღონდ როგორც კი შევამჩნეედი, რაღაც იყნო-  
 ხეს, მაშინვე უკან დამეხია. მეტსაც გეტყვი: სიყმაწვილეში ძალიან მინდოდა  
 გაშეგო, სად იყო ჩვენი ქვეყნის ფსკერი. მხოლოდ მაშინ შეგიძლია მყარად მო-  
 იკიდო ფეხი, მყარად დადგე, როცა იცი სად არის ნამდვილი ფსკერი. ჰოდა, მეც  
 დავიწყე ძიება: ვიცრუე, ვერ მივაღწიე ფსკერს, სხვებს დავციხე — ვერ მივაღ-  
 წიე ფსკერს, უსინდისობა ჩავიდინე — რა დავიკარგავს, რას ეძებ! ვითაღლითე —  
 გავიგონია? ფინანსური მაქინაციები ჩავატარე — შენც არ მომიკვდე! ძალადო-  
 ბა, შანტაჟი გამოვიყენე — ვერა და ვერ მივაღწიე. ახლა იარაღს ვურიგებ დე-  
 დიკოს შვილიკოებს და ათასნაირ ჭორებსაც ვავრცელებ. გულახდობლად უნდა  
 გითხრა, მომბეზრდა ყველაფერი. ნუთუ უფსკეროა ეს ქვეყანა? მოვა ვილაცა,  
 მომიტანს ამბავს, ისეთი ძლიერი აფეთქებაა მოსალოდნელი, რომ თქვენს მარი-  
 ონეტებს ყველას თავს წააცლისო. მეც ველოდები, აი ახლა მოხდება აფეთქება  
 და აი ახლა-მეთქი, მაგრამ არაფერიც არ ხდება. ამქვეყნად რა გამოლევს ისეთ  
 კაცს, ვისი ყიდვაც შეიძლება, ვისაც სულის სიმტკიცე არ ჰყოფნის, ისეთი  
 ბევრია, ერთს რომ მაგრად მოქაჩავს სიგარეტს, მხრებს აიჩეჩავს და მორჩა,  
 აღარაფერი ეკითხება. მათ არ იციან, რა ბოროტება ჩაიდინეს ჩემ მიმართ: მე  
 ჯიუტად ვცდილობდი მათი ფსკერის პოვნას და ამ ძებნაში თავადვე დავეცი  
 მორალურად. ახლა რომც ვიპოვო, ალბათ ვერც დავდგები, ისე ვარ შიგნით დამ-  
 აალი“.

ამ სიტყვებზე გლორია ახლოს მიუჩიონდება, თავზე ხელს გადაუსვამს. თმა  
 რბილი შერჩა ბუდინიოს, თითქმის ისეთი, როგორიც ამ ოცი წლის წინ ჰქონ-  
 და. ყურთან ხალი არ გადიდება. სახე, როგორც ყოველთვის, ახლაც სუფთად  
 გაპარსული და გლუვი ექნება. „თუნდაც ჩემი ვაჟიშვილების ამბავი აიღე, — ეს  
 მისი საყვარელი თემაა.— უგოს ვერაფერი მოვუხერხე, ცდილობს ყველაფერში მე  
 მომბამოს, ნიჭი მაინც ჰქონდეს რამესი. შესანიშნავი ცოლი ჰყავს, ის კი არაფ-  
 რად აგდებს. ბუდალტრის დიპლომი რომ უღევს ჯიბეში, ჩემი დამსახურებაა,  
 ლამის საკაცით მივიყვანე გამოცდაზე. ახლაც, როცა მას ასეა თუ ისე პროფე-  
 ხია გააჩნია, მაინც ვცდილობ ყავარჯნები — ჩემი ნაცნობთა წრე — შევაშველო.  
 პავს ჰგონია, დამატებით ხელფასს თავისი ლამაზი თვალებისთვის აძლევენ.  
 მეტი საქმე არა აქვს ვინმეს! მეორე, რამონი, უგოს სულ არ ჰგავს. ცხოვრებას







მომყიდეთო კი მაგრამ, სინდისი? საშინელებაა — მე არ გამაჩნია სინდისი, ანდა შეიძლება გამაჩნია, მაგრამ რატომღაც არასოდეს შემიძინებია“.

ბუდინიო ათი წუთით აგვიანებს. გლორია მაგიდიდან „ლა გასეტას“ იღებს. მეხუთე გვერდზე ბუდინიოს სარედაქციო სტატიაა დაბეჭდილი. სტატია ხვეულებრივზე მეტად აგრესიულია. ნუთუ მართლა უფსკეროა ეს ქვეყანა? თვითონ გლორია კასელის თუ აქვს ნეტავ ფსკერი? განა ბუდინიო მასაც უფსკეროა? ბაზე არ ათამაშებდა? გლორია არ იყო, ყველაფერს რომ უსიტყვოდ უმხმობდა? ნეტავ ხომ არ შესძულდება ბუდინიოს ასეთი მორჩილებისათვის? წინათ გლორია ამ მორჩილებას ხიყვარულს ეძახდა, ახლა კი რატომღაც თანადგომად და გაგებად მონათლა. ნეტავ თავად ბუდინიოს თუ ესმის მისი? ორმოცი წლის ჯერ კიდევ მომხიბვლელი და ჯერ კიდევ სასურველი გლორია ერთი წამით წარმოადგენს, როგორ წარიმართებოდა მისი ცხოვრება, რომ არ ყოფილიყო ის ათი სექტემბრის დღე, როცა ბუდინიომ უთხრა: „გინდა გახდე ჩემი საყვარელი?“ გლორია ალბათ უბრალოდ უპასუხებდა: „არა“. მხოლოდ ერთ სიტყვას. გლორია ალბათ გათხოვდებოდა, თავის დასავით — ბერტასავით ეყოლებოდა ორი შვილი და ფერმინივით ქმარი. ოღონდ ფეხბურთზე და ლატარიაზე ალაპარაკე და სხვა არაფერი უნდა. ზეპირად იცის, „პენიაროლი“ რომელ წელს რომელ ადგილზე ყო ბოლო თხუთმეტი წლის მანძილზე. პროგრამაში — „კითხვა-პასუხი“ — ლატარიაში იმიტომ ვერ მოიგო ათასი პესო, რომ უეშმაკეს. ის ხომ საგანგებოდ ეძხადა ამათ გადაცემისათვის. ძირისძირობამდის დაამუშავა თემა — „უმაღლესი ლივის პროფესიული ფეხბურთი: „სენტენარიოს“ სტადიონზე გამართული მატჩები 1940 წლიდან დღემდე“. ვიღაც თაღლითმა კი ჰკითხა, ურუგვაელი ფეხბურთელის ხუან ალბერტო სკიაფინოს საყვარელი წიგნი რომელია თუ აციო... შესაძლოა გლორიაც ბერტასავით გასუქებულიყო — ბერტა ქამარს აღარ ხმარობს, აღარ ვარჯიშობს, გაგანიერებულ ვენებსაც შეეგუა, — ბერტასავით დაესამარებინა თავისი ოცნებები ოჯახურ იდილიაზე, ყოველ „დედის დღე“-ს გული აჩუყებოდა თავისი ბიჭუნას თხზულების წაკითხვისას, რომლის დაწერაც კოლეჯში დაავალეს ამ მეტად ამაღელვებელ დღესასწაულთან დაკავშირებით, ალბათ მოუწევდა ბერტასავით ჩახვეოდა ფერმინის ან სხვა ვიღაცის ოფლიან, ჭონიან, გულმთხვლელ სხეულს, შეგუებოდა რუტინას ისე როგორც მტვირთავი — ტვირთს ან მღვდელი — ცოდვილიანთა აღსარებას. თუ ასეა, მაშინ გლორია მოგებულა „დიახ“ რომ თქვა, თავისებურად რომ გამოხატა ეს „დიახ“: „მე ისეთი ბედნიერი ვარ, პროფესორო“. რა მოხდა, თუ ახლა სხვა ვითარება შეიქმნა, სამაგიეროდ ეს იყო ნამდვილი სასიყვარულო თავგადასავალი, სწორედ ისე, თუ ფილმებში რომ უნახავს, რომანებში რომ წაუკითხავს და ამ თავგადასავლის წითვარი გმირი გლორია გახლდათ. მაგრამ სიმართლეს სად გაექცევა: ბუდინიო არ იყო მისი კაცი არც პირველ ხანებში და არც მერე და როგორღაც არ უნდა დაებრძალებინა თვალები, გლორია ამ ყოველთვის იცოდა, ყოველთვის ჰქონდა იმის შეგრძნება, რომ ამ რთული, ძნელად ამოსაცნობი სასტიკი ადამიანის ხელში ის იყო საგანი, უბადრუკი საგანი, რომ მისით ტკბებიან, მაგრამ არ უყვართ, რომ ის ქალია, მაგრამ არა აუცილებელი. ამ კაცისათვის გლორია მხოლოდ ტკბობის საგანი იყო და მანამდე ფასობდა, სანამ ეს კაცი მას უყურებდა როგორც თავისი გრძნობების დამკმაყოფილებელს. ყველაფრის მერე, როცა კაცი ბოლო კმაყოფილ გმინვას ამოუშვებდა და თავისი ცომივით ფაფუკი, მოშვებული სხეულით ისე დააწვებოდა, რომ ლამის დაეხრჩო, — გლორია ამ უკვე იცოდა რაც მოჰყვებოდა ამას: უაღერსო, გაყინული, სადღაც მზირალი თვალები და გლორი-



ას შეგრძნებაც: ამ წუთებში იგი ამ კაცისათვის კამოდია, კარადაა, სკამია. გულითადი საუბრების ეტაპი ბოლო წლებში დაიწყო, როცა ბუდინოს მამაკაცური ძალა და სურვილები აღარავითარ როლს არ თამაშობდნენ მათი შეხვედრებისას. გლორიამ სიგარეტი მოქაჩა და კვამლის რგოლები გამოუშვა პირიდან — ბუდინომ დაითანხმა სიგარეტის მოწევაზე და მაშინ ~~ასწავლა~~ რგოლების გამოშვებაც. გლორიამ შესამე რგოლი რომ გამოუშვა, პირველი შეკითხვა დაუსვა საკუთარ თავს: რაც ახლა მე და ბუდინოს შორის ხდება, ნეტავ ურთიერთობის ნაირსახეობაა თუ ბუდინოს მიერვე მოგონილი ახალი ფორმა, რათა კვლავაც უსიყვარულო ტკბობის იარაღად გამომიყენოს ან ერთგვარ სტიმულად ბაქციოს არა თავის გრძნობებისთვის, არამედ — გონებისთვის და მერე ძველი ავეჯივით გადამაგდოსო? ვიდრე ქალი სხვა შეკითხვას მიაყოლებდა, რგოლი თითქოს პასუხისმგებლობას გაურბისო, გაქრა. ამასობაში ზარმაც დარეკა.

გლორიამ კარი გააღო. კაცი ცალ ფეხზე დაყრდნობილი იდგა, შლაპა გვერდულად მოეგდო. გლორიამ დაღლილი კაცის სუნთქვა იგრძნო ლოყაზე კოცნისას. პიჯაკის გახდაში მიეხმარა, ფლოსტები მიუბრუნინა, კაცის ფეხსაცნელი ხმაურით დავარდა იატაკზე. გლორიამ საძინებელი ოთახიდან დაინახა, როგორ იბანდა კაცი ხელ-პირს. მერე ჩალის სავარძელში ჩაჯდა, ყინულიან-სოდიან-ვისკიან ჭიქას დაწვდა და ზერელე ღიმილით ჰკითხა:

— როგორ გაატარე დღე?

8

— ცენტრში მიდიხარ??

— კი, გინდა მიგიყვანო?

— კარგს იზამ. უნივერსიტეტთან გადმოვალ.

— ბაბუას კიდევ ეჩხუბე?

— არა, იმ კამათის მერე შევრიგდით.

— დედაშენი განიცდის ძალიან.

— უკვე წამიკითხა რამდენიმე ლექცია.

— მართლა განიცდის.

— შენ?

— მე არც ისე. მგონი, მე უკეთ მესმის შენი, ვიდრე დედაშენს.

— დარწმუნებული ხარ?

— თითქმის... ისე, არაფერი გიჭირს დედაშენს რომ ცოტა აღურსიანად მოექცე. ათასი ცული ამბავი ხდება, ეშინია, ხომ იცი მისი ნერვების ამბავი.

— მაგას ყველაფრის ეშინია, განსაკუთრებით რამდენიმე სიტყვის მიმართ აქვს პანიკური შიში.

— მერე შენც ნუ ეტყვი ამ სიტყვებს. ძალიან გსიამოვნებს, ოჯახში რომ არეულობაა? ფიქრით რაც გინდა იფიქრე. დილიდან დალაშქრებდე ერთი და იგივეზე ლაპარაკი არ მოგბეზრდა?

— შენი აზრით, არ ღირს იმაზე ლაპარაკი, რაც ჩვენთან ხდება?

— რა თქმა უნდა, ღირს, მაგრამ დედაშენთან ასეთ რალაცებზე ლაპარაკი არ მიმაჩნია აუცილებლად. სულერთია, ვერ დაარწმუნებ, ბაბუაშენს ხომ — მით უმეტეს.

— ბაბუა სულ სხვა საქმეა. დედას მართლა ეშინია, თანაც არაფერი გაეგე-



ბა. ბაბუა — პირიქით, ყველაფერი გაეგება, მაგრამ ამჯობინებს სხვები შეაშინოს.

— კაცები სხვა თარგზე ვართ გამოჭრილი, ვერ ვეღვივით ჩვენეულ სამყაროს.

— ვიცი მე ეგ და ყველაფერს ვიღონებ, მეც არ შეველიო, ლამის გამაცოფოს ბაბუაჩემმა. თავის საგაზეთო სტატიებში სუფთა, უმწიკვლო, უპატივსიერად წარმოგიდგენს თავს, არადა, სულ სხვა ვინმეა. ჩემთან ლაპარაკისას ითქვას კეკლუცობს, ცდილობს უარესი მომეჩვენოს, ვიდრე სინამდვილეშია.

— პირობითობის მონები ცოტ-ცოტა ყველანი ვართ — ისინი, ჩვენ და თქვენც. მაგრამ საქმე ისაა, რომ თავად პირობითობაა სხვადასხვა.

— ჩვენც პირობითობის მონები ვართ?

— იმ დღეს ბებერმა გითხრა ამის თაობაზე და პირველად იყო, რომ მე მას გუნებაში დავეთანხმე. თქვენა გგონიათ, უპალსტუხოება ეს — რევოლუციააო.

— რაღაცადან ხომ უნდა დაიწყო. თქვენ ესეც არ გაგიკეთებიათ.

— ჰო, ვიცი, ვიცი, მაგრამ თქვენ იწყებთ ლაყობით, ყვირილითა და მიტინგებით. საკუთარივე სიტყვებით აღგზნებულები ირწმუნებით, ჩვენ რომ ვამბობთ, ის არის ქვეყანაო. მაგრამ ქვეყანა, საერთოდ, სულ სხვა რამაა და შესაძლოა უფრო უარესიც, ვიდრე ეგ თქვენი იდეალიზებული მხარეა.

— ვინ გაამბო ეგ ზღაპარი?

— ყური დამიგდე, გუსტავო. ძირითადად ჩვენი აზრები ემთხვევა ერთმანეთს. ბოლო უნდა მოეღოს ფულისა და მიწის დაგროვებას მხოლოდ ერთი-ორი კაცის ხელში, საერთაშორისო პოლიტიკაში უნდა მივალწიოთ დამოუკიდებლობასა და თვითმყოფადობას, უნდა მოისპოს კორუფცია, პენსიებით ვაჭრობა, დიდი ოლ მცირე კონტრაბანდა, პროტექცია, საკლუბო ბელადობა, წამება, დეპუტატებისთვის მანქანების იაფად მიყიდვა. ერთი, სიტყვით, ეს ყველაფერი უნდა მოისპოს, ამოიძირკვოს. მაგრამ არის კიდევ ერთი რამ, რაც თქვენ არ გესმით, კერძოდ ის, რომ ჩვენ, ყველას, მგრძნობელობის რესურსები ამოგვეწურა.

— რას გულისხმობ?

— რას და... ერთხელ ტელევიზიით მოვისმინე „კოლორადოს“ პარტიიდან ერთ-ერთი დეპუტატის გამოსვლა. იგი დაუფარავად დასცინოდა ხალხს. ისაო, ოთხი წელიწადია ხალხი გვიჩივის, რამდენიმე დეპუტატს უცხოური მანქანები ჩამოვაქვთ და ფახდაკლებით ყიდულობთო, და უზნეოებს გვიწოდებენ, მაგრამ არჩევნების დღე რომ დგება, ხმას მაინც ჩვენ გვაძლევენ და არა იმათ, ვინც დეპუტატებისათვის მინიჭებული შეღავათებით არ ისარგებლა. ეს კი იმას ნიშნავს, ხალხი ასეთ წერილმანს ყურადღებას არ აქცევსო.“

— თავხედი!

— რა თქმა უნდა, თავხედია, მაგრამ სადღაც მართალი თქვა. ადამიანები ჩაკლებ მნიშვნელობას ანიჭებენ პოლიტიკურ ზნეობას. ხალხმა — უბრალო მოკვდავმა კაცმა ძალიან კარგად იცის, რომ იქ, მაღლა დიდი ფული ტრიალებს და დიდი მაქინაციები კეთდება, მაგრამ რადგან არ ძალუძს ამ მანკიერების აღმოფხვრა, პოლიტიკაში მისი მონაწილეობა მხოლოდ ხმის მიცემით იფარგლება, ე. ი. ურიგდება ვითარებას და ცდილობს თვითონაც მოაკვარახჭინოს თავისი პატარა საქმე, თავისი პატარა მაქინაცია. გაიგე ერთხელ და სამუდამოდ, ჩვენს ქვეყანაში ყველაზე დიდ კრიზისად კარგი, მისაბაძი მაგალითის ნაკლებობა მიიჩნევა.



— კარგი მაგალითებით წამხდარ საქმეს ვერ უშველი. უნდა შეიცვალოს მთელი ჩვენი ეკონომიკური სისტემა.

— მაგაში გეთანხმები, გუსტავო, მაგრამ ეკონომიკური სისტემის შეცვლაზე რომ ლაპარაკობთ, მორალიც არ უნდა დაგავიწყდეთ. თქვენ მორალზე არ ფიქრობთ, უარყოფთ მას და ძალიანაც ცდებით.

— კი მაგრამ, რა შუაშია მორალი? ჩვენში ხომ ეკონომიკურმა კრიზისმა და არა მორალური?

— იცი, რას გეტყვი, გუსტავო? თქვენ, ვისაც მარქსი ციტატებად გყავთ დანაწევრებული და პირზე მხოლოდ დამატებითი ღირებულების თეორია გაკერიათ, ურიგო არ იქნებოდა ხანდახან გაგხსენებოდათ, რომ მარქსი პოლიტიკურ ეკონომიაზე — სიმდიდრის მეცნიერებაზე ლაპარაკობს, როგორც ჭეშმარიტად მორალურ მეცნიერებაზე, მეცნიერებათა შორის ყველაზე მორალურ მეცნიერებაზე. ნუთუ ერთხელაც არ დაფიქრებულხართ იმაზე, რომ კაპიტალისტური წყობისას ინდივიდუუმის გაუცხოების მხილებისას, მარქსიზმი, არსებითად, გვთავაზობს ამ მორალური მეცნიერების ნიშნის შეცვლას? ვთქვათ და, როგორც თქვენ ამბობთ, შეიცვალა სტრუქტურა და ეს ახალი სტრუქტურა მაშინვე გადავიდა კიდეც უზნეო, პატივმოყვარე, ვერაგ და თაღლით ადამიანის ხელში — რას იზამთ მაშინ თქვენ, შენ და შენი უჭალსტუხო რევოლუციონერები? გეთანხმები, სტრუქტურის შეცვლა ნამდვილად დიდებული საქმეა, მაგრამ იმავდროულად საჭიროა ხალხის მორალიც შეიცვალოს, თორემ გარდაქმნას სხვანაირად რა აზრი აქვს? იქნება ეს ევოლუცია თუ სხვა რაღაცა, ნაყოფს მაინც ვერ გამოიღებს. ნუთუ არ დაფიქრებულხართ იმაზე, რომ ქვეყანაში დიდი პოლიტიკური აპათია, რაღაცნაირი კოლექტიური მხრების აჩეჩაა გამეფებული... ოდესღაც კონტინენტის ავანგარდში მყოფთ, ახლა ყველამ გაგვისწრო. ახლა ამერიკაში ყველაზე დაბალი სოციალური შეგნებისანი ჩვენა ვართ. სხვები უსწრაფესად მისდევენ კვალში მსოფლიოში მომხდარ გარდაქმნებს. როდესაც დადგება დღე იმ „უდიდესი გარდაქმნებისა“, რომელზეც თქვენ ოცნებობთ, ნახავ; რომ ჩვენი ურუგვაი — ასეთი სუფთა, დემოკრატიული, ზომიერი, ასეთი სამაგალითო ამერიკისათვის, ასე ცნობილი თავისი თავისუფლებით, მაგრამ მაინც უიმედო უძრაობაში ჩავარდნილი — ყველაზე ბოლოს მიხვდება ისტორიის გაკვეთილს, ყველაზე ბოლოს დაემშვიდობება თავის თვალთმაქცობის მდიდრულ რიტუალს.

— თქვენ ყველანი ასეთები ხართ: თითქოს რაღაც გავგებებათ, მაგრამ არსებითად განხეთქილებას თესავთ. თქვენ მხოლოდ ნაკლის, ზარალის აღნიშვნა გიყვართ.

— არა, გუსტავო, განსხვავება მხოლოდ ტემპშია. ჩემი აზრით, სასიკეთო გარდაქმნა მხოლოდ პოლიტიკური განათლებით მიიღწევა, განათლებას კი დრო სჭირდება, შენ კი ყველაფერი სწრაფად გინდა მოხდეს, გარდაქმნაც, აყვავებაც, განმტკიცებაც თუ რაღაც ამდაგვარი. საკუთარ თავზე გამომიცდია, ცხრამეტი წლისას მეც ყველაფერი საჩქარო და გადაუდებელი მეჩვენებოდა. გამოაცხადო ესა თუ ის მოთხოვნა სასწრაფო საქმედ, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მაშინვე მოხერხდება მისი შესრულება. ღმერთმა ქნას, შენ და შენი მეგობრები პართალი აღმოჩნდეთ, მაგრამ ჩემი აზრით, ორი გზა არსებობს პოლიტიკური შეგნების მისაღწევად. ერთია — შიმშილი და განადგურება, მეორე — განათლება. ჩვენ არც შიმშილი გამოგვიცდია, არც განადგურება, — ყოველ შემთხვევაში, ასეთი არა, როგორც აფრიკაში და ამერიკაში განიცადა ხალხმა — და არც სათანადო განათლება გვქონია. ამიტომაც გვადეღვებს ნაკლებად ნამდვილი პო-



ლიტიკური გარდაქმნები, სამაგიეროდ გვალელებს პოლიტიკოსების მიერ თანამდებობების ბოროტად გამოყენებისა და სხვა მათი მაქინაციების ამბები. მე ვგულისხმობ სულელურ ბიუროკრატიულ ამბიციებს, კლუბების სისტემას, პენსიონერთა ღვთიურ ნირვანას და კორუფციას ყველგან და ყოველთვის. თქვენ თქვენშიერვე წინასწარ გაიდვალისებული გეგმა გაქვთ, ეითომ ხალხისთვის იღვწით, მაგრამ ხალხისთვის არც გიკითხავთ, მისაღებია თუ არა მათთვის თქვენს მიერ დეკლარირებული იდეალიზაცია. გაიგე ერთხელ და სამუდამოდ, ნაღვისა და თქვენი საწინააღმდეგო არაფერი მაქვს. შესანიშნავი ყმაწვილები ხართ, შესანიშნავი ჩანაფიქრიც გაქვთ, — დამიჯერე, გულახდილად გეუბნები, — მაგრამ ერთი რამე გეშლებათ: ეკონომიკურმა სქემებმა, თანაც სხვათა სქემებმა, ისე გაგიტაცათ, რომ რეალობა დაგავიწყათ. ხალხიც შესანიშნავი გვყავს, — საოცრად ნეღლი მასალა, — მაგრამ ეს მასალა რომ გამოვიყენოთ, განათლება უნდა მივცეთ. წერა-კითხვის ცოდნაზე არ ვლაპარაკობ მე. წერა-კითხვა, ასე თუ ისე, ყველამ იცის. მე ვლაპარაკობ პოლიტიკურ აზროვნებაზე და უნდა ვაღიარო, რომ ყველა როდი აზროვნებს საღად, ყველანი თავთავიანთი სამრეკლოდან, თავთავიანთი სკამებიდან, თავთავიანთი პენსიებიდან რეკავენ... ზოგ პრობლემას ლოზუნგები შევლის, ზოგს — არა. ერთი სცადე და გამოკითხვა ჩაატარე, მაგალითად, ვინ რა აზრისაა აგრარულ რეფორმაზე. ნახავ, რომ ამ რეფორმის ყველაზე თავგამოდებული დამცველები და მომხრეები იქნებიან განათლებული ადამიანები — ინტელექტუალები, სტუდენტებიც. საშუალო კლასი მაღლისკენ მიისწრაფის, მათგან უმეტესობას რაღაც-რაღაც პატარა უძრავი ქონება გააჩნია, მაგრამ აბა ახლა წადი და ჩამოიარე სოფლები! თუ შენ იპოვი თუნდაც ერთ გლეხს, — სულერთია, მოხუცს თუ ახალგაზრდას, — რომელიც არ დაფრთხება რეფორმის მართო ხსენებაზეც კი და რომელიც ჯიუტად, გულადად არ იტყვის მასზე უარს, მაშინ მომიწევს ან ორდენი ჩამოგკიდო ან არ დაგიჯერო. გაიგე, გუსტავო, ჩვენი პეონი<sup>1</sup> — ყოველ შემთხვევაში, ახლა მაინც, — მიწისთვის დიდად არ იკლავს თავს, მომთაბარეობა ურჩევნია. მისთვის მთავარია, იცოდეს, რომ თუ დღეს აქ ხედნის ცხენებს, ხვალ იქ ცხვარი უნდა გაკრიჭოს და, საერთოდ, სურს იცოდეს, რომ არაფერზეა მიჯაჭვული ან ყოველ შემთხვევაში, დაიჯეროს, რომ ეს ასეა. როგორც მცოდნენი ამბობენ, ეს ნიშან-თვისება მათ გაუჩიობისგან აქვთ მემკვიდრეობად მიღებული. რას იზამ, ასეთია მათი ბუნდოვანი და ავანტურისტული წარმოდგენა თავისუფლებაზე. ასე რომ, ვიდრე ეს გლეხები მაგ თქვენი აგრარული რეფორმის დროშისაგან ჩირიპებს<sup>2</sup> შეიკვრავდნენ, მანამდე მიწა შეაყვარეთ, თუმცა ერთი რამეც უნდა იცოდეთ: თუკი ეს სიყვარული საერთოდ არ გააჩნიათ, დირს კი ძალით შეაყვაროთ? იქნებ სხვა გზაც არის სოციალური სამართლიანობის განსახორციელებლად? იქნებ ჩვენი ეროვნული სწეულება — ლატიფუნდიები მოგვესპო? იქნებ სხვა ვარიანტებიც ვიპოვოთ უფრო მოსარგები ჩვენი ხასიათისთვის, ან — რა დასამაღია — ჩვენი ეროვნული კომპლექსისათვის? ვიდრე არ მოეშვებით ბოლივიის, კუბის ან განას მიბაძვას ჰაიპარად, ვიდრე ჩვენს პეონს ისე უყურებთ, როგორც კუბელ გლეხს ან ორუროელ მეშახტეს, არაფერი გამოგივათ. შენ ახლა მეტყვი, ხვალ ან ზევ შეიძლება ისეთი საოცარი და ყველასათვის მისაღები რაღაც მოხდეს ბრაზილიაში

1. გლეხი (ესპ.).

2. გაუჩიობის სამოსი. მთლიანი ქსოვილისგან, გამოუჭრელად შეკერილი შარვალი.



ან არგენტინაში, რომ, რა თქმა უნდა, მეტნაკლებად, მაგრამ ჩვენც აპვიტაცოს რეკლუციურა ტალღამო, შეიძლება ასეც მოხდეს, მაგრამ გონებრივ სიმწიფეს დეკრუტით ვერ შეიძენ. თუ ჩვენში აფეთქება მოხდება, ეს არ იქნება ჩვენი საკუთარი გონებიდან გამომდინარე აფეთქება. ეს იქნება მეზობელ ქვეყანაში მომხდარი აფეთქების ჩვენამდე მოღწეული ცეცხლის ალი და უნდა იცოდე, ნასესხები ცეცხლი სარგებელს კი არა, მხოლოდ დაღუპვას მოგვიტანს. ვიდრე საკუთარ ფითილსა და საკუთარ საფანტს არ დავაშალებთ, ვიდრე მინაკანად არ დაერწმუნდებით, რომ ჩვენ მხოლოდ ჩვენი აფეთქება, მხოლოდ ჩვენი ცეცხლი გვჭირდება, მანამდე ვერაფერს ჭეშმარიტს, ვერაფერს კანონზომიერსა და მყარს ვერ მივაღწევთ, ყველაფერი იქნება საკაერო ბუმტივით მჩატე და ადვილად ჩასაფურში, ისეთივე მჩატე, როგორი მჩატეცაა, ჰო, ჰო, როგორი მჩატეცაა ჩვენი ნაქები დემოკრატია და თუ დღეს ჩვენს მაგნატებს, ბაბუაშენის ჩათვლით, შეუძლიათ უსინდისოდ ამტკიცონ, ხელები სუფთა გვაქვსო, ეს უკვე იმის ბრალია, რომ ჩვენში პოლიტიკური ჰიგიენის სამსახური ცუდად მუშაობს. ახლა კი გადადი მანქანიდან, აქ დიდხანს დგომა არ შეიძლება.

9

ჯერ აღრეა, სამის ოცი წუთია. ოფისში წასვლა არ მიხდა. ალბათ ბევრი შელოდება. დამელოდონ. კაფეში დავჯდები და გაჩეთებს წავიკითხავ. დილით ისე ვჩქარობდი, მარტო სათაურებს გადავაველე თვალი. ბებრის სარუდაქციო სტატიას ჯერ არ გაუფუჭებია ჩემთვის გუნება. ნეტავ რას მიუძღვნა დღეს თავისი სტატია? ზანგების საწინააღმდეგოა?! იქნებ არგენტინელ ადმირალს ისააკ როხასს უჭერს მხარს? გაფიცულებს ლანძლავს? ან იქნებ პროფკავშირთა უფლებების შეზღუდვას ითხოვს? ნეტა რას ვმკითხოვ ამდენს, ყველა თემა გამოადგება. რატომ არის ბებრის ყველა სტატია სისაძაგლის შედევი?

— ოჰ, ვალტერ, როგორა ხარ?

— რომ შემოხვედი, დაგინახე. ფანჯარასთან ვიჯექი. ერთი-ორა დღის წინ შენთან დარეკვა მინდოდა, მაგრამ ვერ გავბედე.

— როდის აქეთ გახდი ასეთი გაუბედავი?

— ცოტა საჩოთირო საქმეა, ტელეფონით სალაპარაკო არ იყო. მერე საერთოდ გადავიფიქრე. ერთი სიტყვით, აღარ დავირეკე.

— რა საქმე იყო ასეთი?

— იყო. მამაშენზე მინდოდა რაღაც მეთქვა.

— ოჰო!

— შენ ხომ იცი, დირექტორ მოლინას მდივნად ვმუშაობ. ჰოდა, სულ ახლახან სრულიად შემთხვევით ერთი საჩოთირო საქმის თაობაზე გავიგე რაღაც.

— ბებერიც გადის საქმეში?

— სწორედ ასეა.

— არც მიკვირს.

— ფაბრიკაში დიდი მაქინაციაა წამოწყებული. მამაშენს შეიძლება ნახე-ჯარი მილიონი ერგოს წილად.

— მართლა? მოლინას?

— ამდენივე.

— რას აპირებ?



— არაფერს. მაგრამ არ გეგონოს შენი ბებრის, მოლინას ან სულაც ფულის გამო არ ვაპირებ რამეს. თანაც ეჭვადაც არავის აუღია, რომ მე ყველაფერი ვიცი. ვიფი ვარ, რამე დავაპირო? წინასწარვე ვიცი რაც მოხდება. თუ ყველაფერს ვიტყვი, დამიწყებენ დაკითხვებს, მერე მოლინა სადღაც ორმოში, რომელიმე არქივში გადაამისვრის და ამ არქივში სიკვდილამდე ვიქნები ცოცხლად დამარხული, მამაშენი კი სტატიას გააშანშალებს, ისაო, ჩვენთვის ცნობილია, ამა და ამ დაწესებულებაში ამა და ამ თანამშრომელს, რომელსაც სწავსუბის მგებლო თანამდებობა უჭირავს, ხელი მიუწვდება ჩვენი სახელმწიფოს უშიშროებისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის ინფორმაციებზეო, თურმეო კომუნისტებს თანაუგრძნობსო. ჩვენ კი, ჭეშმარიტი დემოკრატები, ჩვენს თავისუფალ ქვეყანაში ამას ვერ მოვითმენთო... წინასწარ ვიცი-მეთქი, გეუბნები, ასე აქნება.

— მე რატომღა მირეკავდი?

— მინდოდა გამეფროთხილებინე. ვიცი, ამ ღორობაში არ მონაწილეობ, მაგრამ შეიძლება შენც გაისვარო, შენი სააგენტოც და შენი შვილიც. ერთმა ჟურნალისტმა უკვე იყნოსა რაღაც, იცოდე, ჩასაფრებული ელოდება, როდის მოაწერენ ხელს საბოლოოდ, მერე კი ისვრის თავის ყუმბარას. ვიფიქრე, იქნებ შენ მოუღაპარაკო მამაშენს, ურჩიო, ეს საქმე რომ გამოაშკარავდეს, დიდად წააგებოქო.

— ვინ არის ეს ჟურნალისტი?

— ლარალდე.

— ალექსანდრო ლარალდე „ლა რასონ“-იდან?

— ჰო.

— ო, ეგ მართლაც დიდ ამბავს დაატრიალებს.

— თანაც როგორს! პატარას არ დასჯერდება.

— დიდი მადლობელი ვარ შენი, ვალტერ.

— რას იზამ?

— ჯერ არ ვიცი. მიძნელდება ბებერთან ლაპარაკი. მოლად კარგი ურთიერთობა არა გვაქვს. მაგრამ ახლა რაღაც უნდა მოვიმოქმედო, აუცილებლად ხელი უნდა შევეშალო...

— გამარჯობათ, სენიორ ბუდინიო. შეიძმა კაცმა დაგირეკათ, ოთხი გელოდებათ.

— რა ამბავიაო? აბელია დღეს არ მოსულა?

— სენიორ აბელიამ ოცი კაცი მიიღო, ამ ოთხს კი თქვენთან სურს პირისპირ საუბარი.

— კარგით. იმათი სია მომეცით, ვინც დარეკა.

— ერთი რამ მინდა გთხოვოთ, სენიორ.

— თქვით, სენიორიტა.

— დღეს ჩემი დაბადების დღეა და თუ შეიძლება, ცოტა ადრე წაველ.

— დალახვროს ეშმაკმა! სწორედ დღეს მინდოდა წესრიგში მოგვეყვანა ამერიკის შეერთებულ შტატებში მიმოწერის საბუთები...

— მაშინ რა გაეწყობა, სენიორ...

— კარგით, კარგით, ხვალისთვის გადავდოთ. რაკი დაბადების დღე გაქვთ...

— მადლობთ, სენიორ.

— თქვენ ალბათ პატარა ხართ ჯერ.



— დღეს ოცდაერთი წლისა გაუხდი, სენიორ.  
 — რა სჯობია როცა ოცდაერთი წლისა ხარ, სასიამოვნო გარეგნობაც გაქვს და კარგი სამსახურიც.

— ჩემი საქმროც ამას მეუბნება, სენიორ.

— ვილოცაუთ. თქვენს საქმროს ჭკუაც ჰქონია და გემოვნებაც.

— მაღლობთ. წაუღალ, ვეტყვი სენიორ რიოსს, შემოუდგეს ნუ...!

— ერთი წუთით მოიცადეთ, სენიორიტა, ჯერ ეს განცხადება წავაკითხო.

ჩამჭრა ამ ჩემმა გათქვირებულმა მდივანმა გოგომ. ის იყო ვახსენე „სასიამოვნო გარეგნობა“, რომ მაშინვე საქმრო მაჯახა, თითქოს შემაჩერაო. ვიცნობ მის საქმროს. კინოთეატრ „კალიფორნიაში“ ვნახე ორივე, ბოლო რიგში ისხდნენ და კოცნაობდნენ. დღესაც ერთი მაგრად ჩაჰკოცნის ალბათ. დაბადების დღეს მიულოცავს. შეერგოთ. ჰო, როგორ ვუთხრა ბებერს ბინძური საქმეები... ყოველთვის მეშინოდა ამისი. ისე, კაცმა რომ თქვას, მე რა შუაში ვარ? მაგრამ გუსტაოს რა ვუყო? არ მინდა თავისი გვარისა შერცხვეს. ალექსანდრ დიუმას ღირსი სიტყვებია, ღმერთმანი! არადა, ვერც ვიტყვი სხვანაირად, არ მინდა თავისი გვარისა შერცხვეს. სხვათა შორის მეც ამ გვარისა ვარ, მაგრამ ეს მე დიდად არ დამაზარალებს. რვა, ექვსი, ოთხი, ხუთი, სამი...

— ხავიერი ხართ? რამონი გელაპარაკებათ. როგორ არის თქვენი მეუღლე, რევმატიზმი კიდევ აწუხებს? ო, კარგია, ძალიან კარგი. მამაჩემი მანდ არის? ხუთზე იქნება? კარგით, ხავიერ, ხუთისთვის მოვალ.

ახლა კი დროა ჩემმა გათქვირებულმა მდივანმა გოგომ სენიორ რიოსი მოეწვიოს.

— სენიორ ბუდინიო?

— დიახ, დიდად მოხარული ვარ...

— გთხოვთ, მომიტევეთ, ასე დაჟინებით რომ მოვიტხოვე თქვენთან პირისპირ შეხვედრა. ვიცი მოუცლელი ბრძანდებით.

— როგორ გეკადრებათ, სენიორ რიოს, ამისთვის ვართ აქ.

— მოგზაურობასთან დაკავშირებით მინდა გკითხოთ რაღაც-რაღაცები. ცხადია, სააგენტოშიც იმიტომ მოგაკითხეთ. გამგზავრების თაობაზე შემეძლო სენიორ აბელიასთანაც მელაპარაკა, მე მას კარგად ვიცნობ, თანაც ვიცი ამ საქმეში კარგად ერკვევა, მაგრამ ჩემი მოგზაურობა არც ისე ჩვეულებრივი მოგზაურობაა. ერთი სიტყვით, არ მინდა ვინმემ გაიგოს.

— რა არ გინდათ გაიგონ, მარმრუტი თუ თქვენი თხოვნა?

— ერთიცა და მეორეც. სენიორ ბუდინიო, მე სამოცდასამი წლის კაცი ვარ, ქვრივი, მყავს ორი ვაჟიშვილი, ორი ქალიშვილი და მხოლოდ ერთი შვილიშვილი, გოგონა. ახლა გადავწყვიტე ევროპაში გამგზავრება.

— რამდენი ხნით, სენიორ რიოს?

— დიდი-დიდი სამი თვით.

— როდის გინდათ გაემგზავროთ?

— რაც ადრე იქნება, უკეთესია.

— მარტო მიდიხართ?

— არა, ჩემს შვილიშვილთან ერთად. ამას აქვს მნიშვნელობა...

— გემით თუ თვითმფრინავით?

— გემით.

— კლასი?



— პირველი.

— თქვენ ვინდით, მარშრუტი შევირჩიოთ, სასტუმროში ნომრები დაგიჯავშნოთ და ა. შ.?

— რა თქმა უნდა, მაგრამ კიდევ მაქვს ერთი თხოვნა, მსგავსი თხოვნით, ალბათ ჯერ არავის მიუკითხავს სამოგზაურო სააგენტოსთვის, მე კი სწორედ თქვენ მოგმართავთ ამ თხოვნით და მოგმართავთ იმიტომ, რომ თქვენს მხრიდან ძალიან მიქო რომულო სორიამ, თქვენმა მეგობარმა.

— იცნობთ რომულოს?

— გარდა იმისა, რომ ის ჩემი ექიმიცაა, ჯერჯერობით ერთადერთი კაციცაა, ვინც იცის ის, რაც ახლა თქვენც უნდა გაგიმხილოთ. ექიმ სორიასათვის იოლი როდი იყო, ყველაფერი გულახდილად ეთქვა ჩემთვის. მართალი რომ გითხრათ, მეც მიჭირს ახლა თქვენთვის ამის თქმა. სორიას თქმა რად მინდოდა, თვითონაც ვხვდებოდი ყველაფერს. ფაქტობრივად, მე ვაიძულე იგი ეთქვა ჩემთვის... გეტყობათ, ვერ ხვდებით...

— მართალი გითხრათ, ვერ ვხვდები.

— დიდი არაფერია, კიბო მაქვს.

— ო, სენიორ რიოს... დამაბნოთ, არ ვიცი, რა გითხრათ.

— ფერი დაგეკარგათ.

— შეიძლება, მაგრამ... მართლა არ ვიცი, რა გითხრათ.

— არაფერიც არ მითხრათ, მესმის თქვენი.

— კი მაგრამ, ასეთ ვითარებაში მოგზაურობა თქვენთვის სასარგებლოა?

— ჩემთვის სასარგებლო აღარაფერია ამქვეყნად. სწორედ ასეთი ვითარების გამო — როგორც თქვენა თქვით ტაქტიკიანად — გადავწყვიტე უკანასკნელი ხიამონება მივანიჭო თავს. ექიმი სორია ხუთი თვის სიცოცხლეს მაძლევს. ჩემი აზრით, მხოლოდ მეოთხე თვეს დამეწყება გართულება, ავადმყოფობა სწრაფად განვითარდება და ლოგინად ჩამავდებს. ამრიგად, ნორმალური ცხოვრებისთვის განკუთვნილი არსებული გეგმა სამ თვეში ეტევა. ალბათ გსურთ გაიგოთ რატომ მოგმართავთ მაინცდამაინც თქვენ ამ საკითხზე.

— დიახ.

— როგორც გითხარით, ჩემს შვილიშვილთან ერთად მივემგზავრები. ეს იქნება საკუთარი თავისადმი მიძღვნილი უკანასკნელი საჩუქარი. შვილიშვილი მხოლოდ თხუთმეტი წლისაა. ჩემმა ვაჟმა და რძალმა რომ გაიგონ, რაც მელის, თანაც დახუსტებულ ვადაში, ისინი არც ბავშვს გამატანენ და არც მე გამიშვებენ, ან შეიძლება, მთელი ოჯახიც კი წამომყვეს მოგზაურობაში, რათა გზაში კურადლება და მოვლა-პატრონობა არ მომაკლონ.

— იქნებ ასეც სჯობდეს, სენიორ რიოს?

— იგივე მითხრა ექიმმა სორიამაც პირველად, მაგრამ მერე და მერე გამიგო. იმედია, თქვენც გამიგებთ. აბა ერთი წარმოიდგინეთ, წახვედით სამოგზაუროდ და თან წაგყვით მთელი არმია ოჯახის წევრებისა — ვაჟიშვილები, ქალიშვილები, სიძეები, რძლები. ისინი ეცდებიან, უნდათ თუ არ უნდათ, იმხიარულონ, რათა თქვენ არაფერი შეგამჩნევიდნენ, გაგამხნეონ, მაგრამ საკმარისია მიბრუნდეთ, რომ თვალეში ცრემლი და სიბრაღული ჩაუდგეთ. თქვენ წარმოიდგინეთ, ასეთი რამ სულაც არ მჭირდება. მინდა ვიმოგზაურო შვილიშვილთან ერთად, მორჩა და გათავდა. ის მე საკუთარ თავს მირჩევნია, ყველას მირჩევნია ამქვეყნად. მინდა გაერთოს, არაფერი იცოდეს, ისიამოვნოს, ყველაფერი ნახოს, მე კი მისი საყრდენი ვიქნები, თუმცა სინამდვილეში ის იქნება ჩემი საყრდენი.



თქვენმა მეგობარმა სორიამ დაიფიცა, რომ სიტყვასაც არ დასძრავს ჩემს ავადმყოფობაზე ჩემი ოჯახის წევრებთან. თქვენც დაიფიცეთ, სენიორ.

— რა თქმა უნდა, მაგრამ მაინც...

— თქვენ ჯერ ვერაფერი გაიგეთ. ახლავე ავიხსნით, მე მინდა, რომ თქვენ არა მარტო ბილეთებისა და სასტუმროების საქმე მომიგვაროთ, არა მარტო გვირჩიოთ, რომელი ღირსშესანიშნავი ადგილი და მუხურში მსგავსაა უნდა იყოს, არამედ მინდა, საქმე ისე ააწყოთ, რომ სასტუმროებს მსგავსი იცოდნენ ჩვენი შემდგომი ახალი მარშრუტი. თუ რამე მომივა — ხომ შეიძლება თქვენი მეგობარი ექიმი სორია შეცდა გაანგარიშებაში — ერთი სიტყვით, თუ რამე მომივა, ჩვენი შეილიშვილი არაფერზე არ უნდა შეწუხდეს, მაშინვე მონტევიდეოში გამოამგზავრონ თვითმფრინავით. რაღა თქმა უნდა, ამ განსაკუთრებული სამსახურისთვის თქვენს სააგენტოში დამატებით თანხას შემოვიტან.

— კი ბატონო, რაც მითხარით, მე, რა თქმა უნდა, შევასრულებ, მაგრამ თუ ნებას დამრთავთ, გეტყვით. სასტუმროთა პატრონები თქვენს ამბავს რომ გაიგებენ, ისეთივე თანაგრძნობით დაგიწყებენ ცქერას, როგორც თქვენი ოჯახის წევრები.

— ო, დიახ, მეც ვიფიქრე ამაზე, მაგრამ სასტუმროს პატრონთა, მეტროტელთა და ოფიციალთა შემთხვევითი, წამიერი, ასე ვთქვათ, პროფესიული თანაგრძნობა სულ სხვაა, და გულწრფელი — მე ასე მგონია — მტანჯველი თანაგრძნობა შეილება, სულ სხვა. თქვენ სრული უფლება გაქვთ იფიქროთ, ამ კაცს ქვის გული უდევს მკერდში, მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ სწორედ ის გულწრფელობა იქნებოდა ჩემთვის ტვირთი; პირფერები რომ იყვნენ, მათი ქცევა სულაც არ შემაწუხებდა, პირიქით, შემძულდებოდნენ, მაგრამ მე მხურვალედ მიყვარს ჩემი შვილები და იმათაც ვუყვარვარ — ყოველ შემთხვევაში, მე ასე მგონია. გარდა ამისა თქვენც გიმოგზაურიათ და შეგიძინებიათ ალბათ რომ ევროპელთა თვალებში თანაგრძნობას ის თრთოლვა აკლია, რაც ჩვენს თანამემამულეებს უხვდა აქვთ. იმათი თანაგრძნობა, მე ვიტყვოდი, ნაკლებ მტანჯველია, გულითადია. ეს არის იმ ადამიანთა თანაგრძნობა, რომლებსაც გამოცდილი აქვთ დაბომბვა, საკონცენტრაციო ბანაკები, შიმშილი, წამება, ამპუტაცია და ველარაფრით გააკვირვებ.

— მე კი მეგონა, არასოდეს ყოფილხართ ევროპაში.

— მართლა არ ვყოფილვარ, მაგრამ მე მინახავს ევროპელთა თვალები, ომის შემდეგ რომ ჩამოვიდნენ აქ.

— თქვენ რომ გისმენთ ქარაფშუტა მგონია თავი.

— მეტი რა დაგვრჩენია, თავს ნება უნდა მივცეთ, ცოტა ქარაფშუტები ვიყოთ, შერწმუნეთ, მეც არანაკლებ ქარაფშუტა ვიყავი. ალბათ გსმენიათ, რომ ბრძებს განსაკუთრებულად აქვთ განვითარებული გრძნობის სხვა ორგანოები. პოდა, მას შემდეგ, რაც სიკვდილზე ფიქრმა შემიპყრო — თანაც უკვე გამოთვლილ სიკვდილზე — ცხოვრების აღქმის განსაკუთრებულად გამახვილებული უნარი გამივითარდა, თითქოს ვიღაც ღმერთ-მასხარამ დაძველებული უვარგისი ანტენის ნაცვლად ახალი, ტექნიკურად მაღალხარისხიანი გადამცემი ჩამიდგა.

— სამაგიეროდ, იუმორის გრძნობა არ დაგიკარგავთ.

— იცით რა გითხრათ? მართალია, განვიცდი, მაგრამ რომ წარმოვიდგენ, შვილიშვილთან ერთად უნდა ვიმოგზაურო — ჩემთვის ეს თუ მთლად სიცოცხლის სტიმული არა, ყოველ შემთხვევაში, ის მაინც არის, რომ სიცოცხლე სასიამოვნოდ დავასრულო.



— მაშ, ასე, მე მგონი, ვაუიგე, რაც გსურთ მოითხოვოთ ჩვენი სააგენტოსაგან.

— სააგენტოსაგან ისე არა, როგორც პირადად თქვენგან.

— მაშინ ხვალ მობრძანდით სამ საათზე, თან იქონიეთ პასპორტები, სამედიცინო ცნობები აცრების შესახებ, რა თქმა უნდა, ორივეს ცნობები. ჩამომიწერეთ თქვენთვის სასურველი მარშრუტი. სიამოვნებით დაგიტოვებთ, დროეს და დავახუსტებთ ყოველ წერილმანს. რომულოს თუ ნახაუთ, ჩემი მძებრებელი ვიქცევი.

ამას არ ჯობია მიცვალებულს უცქერდე? ეს საშინელებაა.

— სენიორიტა, დღეს ველარავის მივიღებ.

— კი მაგრამ, სენიორ, კიდევ სამი კაცი გელოდებათ. მათ იციან, რომ აქა ხართ, თანაც ნახეს, რომ მხოლოდ სენიორ რიოსი მიიღეთ.

— რაღაც ვერა ვარ კარგად. უთხარით, ხვალ მოვიდნენ, ოღონდ დილით, ხადამოს ვერავის მივიღებ.

— მართლა ცუდად ხართ?

— დიახ, შაკიკი მაწუხებს ოდნავ, მეტი არაფერი.

— რამე ხომ არ გინდათ?

— არა. მაღლობთ, ამ ხალხისაგან გამანთავისუფლეთ და თქვენც წადით მინ. დაბადების დღე იზვიმეთ.

— მაღლობთ, ვისურვებთ მალე გამოკეთებას.

ნამდვილად გამიჭირდება მთხოვნელების მიღება. ეს კაცი... არა, რა მშვიდად უჭირავს თავი. ამან უფრო შემძრა, ვიდრე იმ მიცვალებულის ნახვამ რამბლახზე. ეს უფრო უარესია, ვიდრე მიცვალებულის ნახვა; ბევრად უარესი: რიოსი უკვე მკვდრად არის გამოცხადებული და ამავე დროს რაღაც დოზით ჯერ კიდევ ცოცხალია იმიტომ, რომ საკუთარი განწირულობა შეიცნოს. არ მესმის, როგორ შეუძლია ასე მშვიდად იფიქროს თავის მომავალზე, ასეთ ბედშავ მომავალზე. ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, მგონი, ურწმუნოა. ცოტა წაიხუმრა დმერთზე. არაფერი მესმის, — ეტყობა, რაღაც უწმინდური ურევია ამ უცნაურ წინამდვილეში, შვილიშვილისადმი სიყვარულში, ბედისწერისადმი შეგნებულ მორჩილებაში, რომულოს მიერ გამოტანილ განაჩენის დაჯერებაში, შვილების თანაგრძნობის მიმართ აგდებულ დამოკიდებულებაში, არადა, სახე კეთილი აქვს, თვალები უბოროტო. ყველანი სიკვდილის შვილები ვართ, მაგრამ ალბათ საშინელებაა, როცა იცი, როდის მოკვდები. მირჩევნია, არ ვიცოდე. ალბათ რაღონა სატანჯველია იმაზე ფიქრი, რომ დღეები ხელში გვლევა და შენთვის განსაზღვრული ზუსტი თარიღიც ვიახლოვდება. ნეტავ რას ფიქრობს ის კაცი, ვინც ზუსტად იცის. თავისი აღსასრულის დღე როდის დადგება? ალბათ ეჩვენება, რომ დრო თავბრუდამხვევი სისწრაფით მიქრის: დახუჭავ თვალებს, გაახელ და — ლამის ნახევარი დღე გასულა. თათქოს ფერდობზე ეშვები უმუხრუჭო მანქანით. ერთხელ მეც განვიცადე მოახლოებული სიკვდილის წუთები, თანაც უფრო მოახლოებული, ვიდრე ხუთთვიანი გარანტიაა რიოსისათვის რომულოს მიერ მოცემული. ეს ამბავი მოხდა კოლონსა და საიაგოს შორის სარკინიგზო გადასასვლელზე. ათას ცხრაას ოცდათვრამეტი თუ ოცდაცხრამეტი წლის ერთ ლამის ერთი უნგრელი გოგოს სახლიდან ებრუნდებოდი. როგორც ყოველთვის იმ დამესაც შემეხარა შლაგბაუმთან მისვლა. ეზო-ეზო მივდიოდი, ღობეებზე ვხტებოდი, ხან იქ გადავდიოდი, რკინიგზაზე, ხან აქ. ერთი სიტყვით, სადაც მომიწევ-



და. ღამე იყო, არა, უმთვარო ღამეა. მიუღივარ და იმ უნგრულ გოგოზე ვფიქრობ. რა ქვია, არ ვიცი, თუმცა ერთხელ მითხრეს, მგონი, ერზი თუ რაღაც ამდაგვარი ქვია. მაგრამ მოსამზადებელ კურსებზე ყველანი უნგრულს ვეძახდით. ო, რა გოგოა! სექსის, ფოლკლორისა და თავისი სამშობლოს ისტორიის დიდებული ნახავი! გინდა მასთან წოლილხარ ლოგინში და გინდა არაადის ურდოებთან, წმ. ვლადისლავთან, დებრეცენის სეიმთან ან ტემეშვარის ბრძოლასთან! კოცნა იცის!.. ჰოდა, იმ ღამეს კოცნიდან კოცნამდე, ჩახვეწილად ჩახვეწამდე — ცხრაფეხას მარწუხებს რომ ჰგავს, სულის შემხუთველს, სწრაფსა და გაუმიძღარს, — ალურსიდან ალერსამდე — ცეცხლივით რომ გწვავს და გრუჯავს — ხეწარში გაბლანდული — რადგან საბანი არასოდეს დაუხურავს, ივლისშიც კი, და მე ალბათ გავითოშებოდი, მისი მაყალივით თუ სათბურასავით ცხელი მუცელი რომ არა, — წვრილ-წვრილად მიაბობს იან ზაპოლიაზე, თურქებთან მის ურთიერთობაზე და ბუნებრივია, იმ ზავზეც, ქალაქ ნადვარადეში რომ დაიდო. ხანდახან საკუთარ ძმებსაც იხსენებს დიორდსა და ჟიამონდს. ორივენი ვიოლინოზე უკრავენ თურმე, ერთი ვენის სიმფონიურ ორკესტრშია, მეორე ლაიფციგის რადიოში. ძმები მხოლოდ საშობაოდ უგზავნიან წერილებს, სწერენ ცენტრალურ ევროპაში გავრცელებულ პოლიტიკურ ჭორებს, თავიანთ გართობებზე. რაკიდა ჩემი სექსუალური შესაძლებლობები უფრო ადრე მთავრდება, ვიდრე უნგრეთის ისტორია, ქალი მეუბნება: „მშვიდობით“. მეც ვეუბნები: „ჩაო, უნგრელო“. რა გასაკვირია ასეთ არსებასთან ყოფნის შემდეგ ცოტა დაბნეული თუ მიაბიჯებ უმთვარო ღამეში. ჰოდა, მიუღივარ და ვფიქრობ მის ვნებიან ხვეწნა-კოცნაზე, უამრავ სახელსა თუ თარიღზე, ხან ერთ ღობეს ვახტები, ხან მეორეს, გადავდივარ, უფრო სწორად, ვცდილობ გადავიდე გზაზე, მაგრამ ვერ ვხედავ, გადასაყვან ისართან რომ ვდგავარ და სწორედ იმ დროს ვდგამ მარჯვენა ფეხს რელსზე, როცა კოლონიის სადგურზე ისარი გადაჰყავთ, რათა განრიგის მიხედვით ორის შვიდ წუთზე ჩაიაროს აქ მატარებელმა. რა ვქნა, სულელურად გავები ხაფანგში. ტკივილი ისე არ მაშინებს, როგორც იმის ცოდნა, რომ მატარებელმა ორის შვიდ წუთზე, ე. ი. სულ რაღაც ოთხ წუთში, დიდი-დიდი ხუთში, აქ უნდა ჩაიაროს. მე კი ვდგავარ დაბორკილი და თავს ვერაფრით ვშველი. კოჭთან რკინის მარწუხები მიჭერენ, ტერფი კი მარწუხების ქვემოთაა დაკიდული და ვერაფრით ვერ ვაძვრენ. ვგრძნობ მოელს სხეულზე ნელ-ნელა მოცურავს შიში არა სიკვდილისა, არამედ შიში საკუთარი სისულელის შეგრძნებისა და პირიდან ვაფრქვევ ათასნაირ წყევლა-კრულვას, ეს რა სულელურად გავები-მეთქი მახეში. თანაც ეს მახე ჩემთვის საგანგებოდ არავის დაუგია. ერთი ათი სანტიმეტრით ცოტა იქით, ან აქეთ რომ დამედგა ფეხი, საერთოდ არ მეცოდინებოდა, რომ აქ საფრთხე იყო ჩასაფრებული, ანდა, სულაც რელსების ღრჭიალი რომ გამეგონა, მივხვდებოდი, რომ იმ მატარებელს უნდა ჩამოევლო, განრიგით ორის შვიდ წუთზე რომ უნდა იყოს აქ. ცივა, ქარი ქრის, მე კი ოფლი მდის, რელსებში გაჭედილი ფეხის ამოძრობას ვლამობ და ვილანძლები, მაგრამ რას ვილანძლები: „ჯანდაბა და ოხრობა უნგრელს“!.. არადა, რა დააშავა საბრალო ერზიმ, მშვენიურად იცის სიყვარულიც და ისტორიაც. განა მისი ბრალია, მე რომ სულელი ვარ? გულში პირობას ვდებ, ოღონდ ახლა გადავრჩე და ყოველთვის მლაგბაუმთან გადავალ რკინიგზაზე-მეთქი, მაგრამ ვიცი, პირობას ამაოდ ვდებ. აქედან თავის დაღწევას ძეხორციელი ვერ შეძლებს. სიმწრით ვიგრიხები, შორიდან უკვე მესმის მატარებლის ბორბლების დაგადუგი, თავში ნიაღვარივით მასკდება ნაწყვეტ-ნაწყვეტი, ერთმანეთში არეული სახეები და მეც წყალში და-



სახრჩობად განწირული კაცივით ვიწყებ ფიქრს. „დედა ხორციან ღვეზელს მაწ-  
 ვდის“... რატომ მაინცდამაინც ხორციანს და არა ფხლიანს? არა, „დედა ხორ-  
 ციან ღვეზელს მაწვდის, ხულიას ერთი ნაწნავი თითქმის გაშლია, ბებრის ფეხ-  
 საცმელი მანქანის მუხრუჭს აწვება“, უფეხო ფეხსაცმელი. ბრტყელ სახურავზე  
 გაკიდული მამაკაცის პერანგი რატომ აქნევს სახელოებს ხელებივით? და ისევ  
 დედა დამიდგა თვალწინ, ოღონდ ახლა „ფეხსა მბანს ლურჯხოლოც, ცისფერს  
 კარცლში“. ეს ვარცლი რაღაც არასოდეს გამხსენებია, არც ის გამხსენებია, <sup>და</sup>  
 დანემს რომ ფეხები დაებანოს ჩემთვის (ჩემი „პატარა, ვარდისფერი ფუნჩულა  
 ფეხები ლურჯხოლიან ცისფერ ვარცლში“, და კიდევ „ირმის ნახტომი“, მაგ-  
 რამ ეს წარმოსახვა ჩემს თავში კი არა, სადღაც ზემოთაა, ცაშია და მე ცას  
 ვხედავ... მატარებლის ბორბლების საზარელი დაგადუგი უფრო და უფრო მი-  
 ახლოვდება, სულ ახლოსაა, ფეხზე რგოლივით შემოჭდობილ რკინას ვერაფერს  
 ვაკლებ, შიშისა და ტკივილისაგან ლამის გავვიყდე... მატარებელი... მინდა ვი-  
 ლოცო, მაგრამ ბავშვობაში ნასწავლი ლოცვა თითქმის დამვიწყნია, „მამათ  
 ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა“, მერე აღარ ვიცი, აღარ ვიცი, „თანაც ნეტავ  
 რაში ვენადვლებით ღმერთს ან მე ან მატარებელი, ან ჩემი ფეხი, ან მამაჩემის  
 ფეხი, ამჯერად შიშველი, უფეხსაცმლო რომ აწვება მანქანის მუხრუჭს“... მა-  
 ტარებლის ფარების შუქი სახეზე მეფრქვევა, „როსარიოს კანი, როსარიოს კანი,  
 როსარიო, დედა“. მატარებელი, უზარმაზარი ურჩხული, საზარელი ცეცხლოვანი  
 თვალებით, „მამათ ჩვენო“, აი, ისიც, შემაშინებლად დიდა, „არა, მე ნუ, მე ნუ“,  
 ააა, ფეხი ამოვსხლიტე და... მატარებელმაც ჩაიქროლა. „აი, ჩემი ფეხი, ხელ-  
 ში მიჭირავს, ოღონდ უფეხსაცმლო“. მატარებელმა კი ჩაიქროლა, „ჩემი ფეხი  
 ჩემთანაა, მე — ჩემი ფეხი ვარ“. ნეტავ როგორ მოვახერხე, როგორ მოვახერხე.  
 დაგადუგი შორს იკარგება სივრცეში, ბოლოს სრულიად ყუჩდება. „ჩემი ძვირ-  
 ფასი, გატანჯული, გასისხლიანებული, ბედნიერი ფეხი, ჩემი ფეხი მრთელია,  
 ნეტავ ვის უნდა ვუთხრა მადლობა, „მამათ ჩვენო“ სულ დამვიწყნია, საყვარე-  
 ლი „უნგრელი“. სულაც არ მინდა ვნახო, რა ბედი ეწია ჩემს ფეხსაცმელს; თუმ-  
 ცა რელსები დაშორიშორდნენ ერთმანეთისაგან. „რა ოფლიანი ვარ და როგორ  
 მამაგაგებს“, მაგრამ რაც მთავარია, ფეხი მთელი მაქვს. რა თქმა უნდა, რიოსის  
 საქმე სხვაგვარადაა: ჯერ ერთი, სამოცს გადააბიჯა, მე კი მაშინ ოცი თუ ოც-  
 დაერთისა ვიყავი, გარდა ამისა, მას დრო აქვს, ნელ-ნელა შეამზადოს თავი სიკ-  
 ვდილისათვის, მე კი სულ რაღაც ხუთ წუთში მატარებელი გადამივლიდა და  
 ნაკუნაკუნ მაქცევდა. რომ მახსენდება, ახლაც ტანში მბურძგლავს. ის საზარე-  
 ლი ცეცხლოვანი თვალები და მოახლოვებული ციკლოპი ლამის აქამდე მომევა  
 კომწარად. ყველაფერი — უხვი საუზმე, ბანკეტი, ბიჭური გართობები, საშობაო  
 ანდიურებიც — ჩემთვის მთავრდება მატარებლით, რომელიც თანდათან მიახ-  
 ლოვდება, თვალს თვალში ისე მიყრის, თითქოს წინასწარ სურს დატკბეს ჩემი  
 იკვდილით. საოცარია, სიზმრებში თავს ვერასოდეს ვშველი, ვერ ვასწრებ ფე-  
 ხის ამოძრობას, ტყუილად ვწვალობ განწირული. საბრალო რიოსი. მისი მატა-  
 რებელი ნელა მიიზღაზნება. თავის გადარჩენის რაიმე მცდელობა ამ შემთხ-  
 ვვაში ზედმეტზე ზედმეტია. მისი შემზადება, მისი მშვიდი წინადადება, მისი  
 ზრუნვა შვილებზე — ეს ჩემი აზრით, იგივე იქნებოდა, ვთქვათ, მე რომ მაშინ  
 რელსებში ფეხგაჭედდის და უეჭველად სასიკვდილოდ განწირულს მეფიქრა.  
 შარვალი ირ დამეკუჭოს-მეთქი, ან თმის ვარცხნა დამეწყო, ან ტანგოს მელო-  
 ღია მესტვინა, ან ფრჩხილებზე თეთრი ლაქები დამეთვალა, ან მეცნიერულ დო-  
 ნეზე მემსჯელა, ენისქვეშა ჯორკვლებიდან რატომ გამომეყოფა ახლა, ამ წუთებ-



ში ჩვეულებრივზე მეტი ნერწყვი. არ მესმის, როგორ შეიძლება კაცმა გაანალიზოს საკუთარი შიში — თანაც არა უსაფრთხო დისტანციაზე, არამედ შუაგულ კოშმარში — ისე, როგორც ამას რიოსი აკეთებს.

— როგორ არის საქმეები, ხავიერ? მამაჩემი მოვიდა? მით უკეთესი, ცოტა დამაგვიანდა და მეშინოდა, ვაითუ... გამარჯობათ, მამა.



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

- შემთხვევით დაგხვდი აქ. უნდა წავიდე.
- ხომ არ მაჩუქებდით ათიოდე წუთს?
- ათი წუთი შემიძლია დავთმო, მეტი არა.
- კარგს იზამთ, იმიტომ, რომ რაღაც საქმე მაქვს.
- თქვენ სულ რაღაც საქმეები გაქვთ. იქნებ გეცადა და ცოტა მოგეხსნა ეს შენი უსაგნო დამაბუღლობა, რომელიც ცხოვრებას გიშინებებს.
- განა თქვენ კი აკეთებთ რამეს, მამა, რომ დამაბუღლობა შეიმსუბუქოთ?
- ჰო, კარგი, კარგი, თითქმის ვაკვავ...
- პირდაპირ დავიწყებ: მოლინას იცნობთ?
- ვითომ არ იცი, რომ ვიცნობ.
- ამ ბოლო დროს თუ ხვდებით ერთმანეთს?
- პოლიციელი ხომ არა ხარ, დაკითხვას რომ მიწვობ?
- შეიძლება პოლიციელმაც დაგკითხოთ მერე.
- ნუ მაშინებ.
- მამა, გავიგე, მოლინასთან ერთად ბინძური საქმე წამოგიწყიათ...
- ნუ მაშინებ-მეთქი.
- საქმე ფაბრიკას ეხება...
- ნუ მაშინებ.
- ცინიკოსობას ნუ თამაშობთ.
- კიდევ რა გაიგე?
- ერთი ჟურნალისტია ჩასაფრებული, თქვენს საბოლოო გადაწყვეტილებას ელოდება, რათა მერე შემოგიტოთ.
- ჯერჯერობით რაცა თქვი, ეს პირველი მართლაც მნაშენელოვანია, მაგრამ მე მგონი საშიში არაფერია. ვინ არის ის ჟურნალისტი?
- რა საჭიროა.
- პირიქით, ძალიანაც საჭიროა.
- მხოლოდ ის შემიძლია ვითხრათ, რომ ოპოზიციური გაზეთიდანაა.
- ასეც ვიცოდი.
- თვითონ გაზეთიც დიდ აურზაურს ატეხს ამ საქმეზე. ხომ იცით, გაზეთისთვის რა დიდი მოგება მოაქვს სკანდალური საქმის გამომხეურებას, მით უმეტეს, თუ ამ საქმეში თავად ედმუნდო ბუდინიოა გარეული.
- ლოგიკურია. მეც ასე მოვიქცეოდი.
- ვფიქრობ, ახირებად არ მიიჩნევთ ჩემს თხოვნას — ამჯერად მაინც თქვათ უარი საკუთარ სარგებლიანობაზე.
- გეშინია, ჩრდილი არ მოგადგეთ შენ და უგოს?
- გუსტავოს. უგოს დარდი არ მაწუხებს. თქვენი არ იყოს, უგოს ნაკლებად აღელვებს ასეთი რამეები. რაც შემეხება მე, ბუნებრივია, არ მინდა სამუდამოდ შერცხვენილი იყოს ჩვენი გვარი, მაგრამ არც ესაა მთავარი; თქვენი საქმის საქვეყნოდ გამომხეურებაზე მეტად მაწუხებს ის, რომ ამნაირ გარიგებაში



კარგვით ხელი. საქვეყნოდ გამომზეურება მე შემიძლია როგორმე გადავიტანო, მაგრამ გუსტავო ხომ ჯერ კიდევ ბავშვია.

— ხუ ლელავ.

— თქვენი აზრით, არ უნდა ვიღვლეო?

— ვიცი, სამი ჟურნალისტია, ვისაც შეეძლო ეს საქმე ეყნოსა. სუარესი, ფრიდმანი და ლარალდე. აქედან სუარესია საშიში. ის არის?

— არა.

— სუარესია-მეთქი იმითომ ვამბობ, რომ ფანატიკოსია. თუ რამე ჩაიჭედა თავში, ვეღარ გადაათქმევინებ.

— დანარჩენი ორი?

— დანარჩენ ორს ეშველება, მაგალითად, ფრიდმანს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ფრიდმანი არ არის.

— დიახ, ლარალდეა.

— ასეც ვიცოდი. შეგიძლია მშვიდად იძინო.

— მერე, არაფერი შეიცვლება?

— ვისზე ამბობ, ჩემზე თუ ლარალდეზე?

— თქვენზე ვამბობ.

— რამონ, რა უნდა გავაკეთო და როგორ უნდა გავაკეთო, მე მგონი, შენგან არ მესწავლება. ხომ ასეა?

— რომ შემეძლოს...

— მე უკვე ბებური ვარ და ვფიქრობ, ასეთ კილოზე არ უნდა მელაპარაკებოდე. შენ, რა თქმა უნდა, დიდად პატიოსანი გგონია შენი თავი.

— „დიდად“ აქ ხედმეტია. კაცი ან პატიოსანია ან არ არის პატიოსანი.

— კარგი ერთი, რამონ. მშვენივრად იცი, რომ ეს გარიგება, როგორც შენ ეძახი, პირველი არ არის. არ ვიციო, არ თქვა.

— სამწუხაროდ, საკმარისი საფუძველი მაქვს ვიფიქრო, რომ ეგრეა.

— პოდა, თუ ასეთი საფუძველი და მდიდრული წარმოსახვა გაქვს, მაშინ რატომ ერთხელ მაინც არ იფიქრე, ამოდენა სიმდიდრეს მთლად პატიოსანი გზით რომ ვერ შევქმნიდი? მაგრამ ჩაიჭედე თავში, ამქვეყნად ვერცერთი მოკლე ხანში გამდიდრებულ კაცს ვერ დაარქმევ წმინდანს. ლატარიაში მოგებულზე არ ვამბობ. პოდა, მეც მოკლე ხანში ვარ გამდიდრებული, ლატარიაში არაფერი მომიგია. მაშასადამე, წმინდანი არა ვარ. ხედავ, რა უბრალოდია ყველაფერი?

— ვხედავ რომელია.

— გამოდის, ჩემი უსინდისობა — დავარქვათ ასე — ყველას უნაწილდება, ცათ შორის შენც.

— მეც?

— კო, შენც. იქნებ გგონია, მთელი ქონება ბინძური გზითა მაქვს ნაშოვნი, ის ოთხმოცი ათასი პესო კი, სააგენტოსთვის რომ მოგეცი — პატიოსანი გზით?

— აი თურმე რა ყოფილა!

— ეგ ოთხმოცი ათასი პესო ისეთივე სუფთაა ან ბინძური — გააჩნია, ვინ რას დაარქმევს. ორივე გამართლებულია, — როგორი სუფთა ან ბინძურიცაა ისეა დანარჩენი ჩემი ფული. საერთოდ, ფულის მოხვეჭის ერთი მეთოდი მქონდა ყოველთვის, რა თქმა უნდა, დროის ცვალებადობასთან შესაფერისი. მაგრამ კარდინალური ცვლილებები არ მომხდარა. ისე, მართალია, ცოტა, მაგრამ ნაღდად სუფთა ფული მხოლოდ კაზინოებში მაქვს მოგებული. მაგრამ იქიდან ერთი პესოც კი არ ურევია იმ შენი უპატიოსნესი სააგენტოსათვის მოცემულ ფულში.



სუარესი,  
ეროვნული  
ბიბლიოთეკა



— ამით რისი თქმა გინდათ?

— როგორც გაგეხარდება, ისე იცხოვრე, მე არაფერში ჩაგერევი. ამით იმის თქმა მინდა, რომ თუ ასე ძალიან გკლავს სინდისი, არ გაწყენდა ცოტა იმაზეც გეფიქრა, რა ფული მოგეცი.

— თქვენ ხომ იცით, ორ წელიწადში მთლიანად დაგიბრუნებთ ვალს.

— ალბათ დამიბრუნებ, მაგრამ ამით საქმის არსი არ შეიცვლება. თუ ვალს უკანასკნელ სენტესივომდე გადამიხდი, ეს სავსებით სამართლიანია. ზედმეტი არაფერი მინდა შენი, მაგრამ შენს ადგილზე მე ალბათ ჩამაფიქრებდა თვით სააგენტოს არსებობა — ის ხომ შენი არსებობის დამადასტურებელი საბუთია. განა სწორედ იმ ბინძური ფულით არ გაგიკვალე გზა, რომელზედაც ბევრი ოცნებასაც ვერ ბედავს? ფულს რომ დამიბრუნებ, გგონია რამე შეიცვლება? ფაქტი ფაქტად რჩება, შენ და შენს ცოლს, გუსტავოსაც ეკონომიურადაც და სოციალურადაც ისეთი ცხოვრება გაქვთ, მე მგონი, ვერავინ იტყვის, უჭირთო. ჰოდა, ასეთ ცხოვრებას მე უნდა მიმადლოდეთ, მე — სულელ, უსინდისო „ბებერს“, რომელმაც უკანონოდ მოხვეჭილი ოთხმოცი ათასი პესო ჩავითვალა ხელში. ორ წელიწადში, შესაძლოა, უფრო ადრეც დამიბრუნო ვალი, მაგრამ როგორ წაშლი, რას უზამ იმ განსაკუთრებულ მდგომარეობას, რომელიც ჩემმა სესხმა მოგანიჭა? თუ სინდისიერი ხარ, ბოლომდე უნდა იყო სინდისიერი. ერთი სიტყვით, მართლაც სინდისიერად რომ ვიმსჯელოთ — არ არის საჭირო ეშმაკური ხრიკებით თავის დაძვრენა. სისუფთავეზე თუ კლაპარაკობთ, მარტო ის ადგილები როდი უნდა დავიბანოთ, რომელიც ჩანს, თუ წელგამართული სიარული გაქვს გადაწყვეტილი, მაშინ მხრებში ნულარ იხრები.

— მართალი ხართ.

— შენი თქმა არ მჭირდება, ისედაც ვიცი, რომ მართალი ვარ.

— არ უნდა ამელო ის ფული. გამომიჭირეთ თქვენი გრძელვადიანი კაპიტალდაბანდებით. დღეს უკვე პირველ დივიდენდებს იღებთ. ხომ ასეა?

— ამაზე არ მიფიქრია, მაგრამ არსებითად ასეა.

— ახლა რა გზას მიტოვებთ?

— რა გზას გიტოვებ?

— დიახ, რა გზას? ვალი რომც დაგიბრუნოთ, ის ფაქტი, რომ იმ ფულით დამეხმარეთ, მაინც რჩება ძალაში. კანტორაც რომ დავკეცო, თქვენ მაინც გექნებათ სალაპარაკო, ვალი გაისტუმრა და იმიტომ ჩავარდა ამ დღეშიო. მაშ, რა გქნა, როგორ დავიძვრინო თავი?

— ვერანაირად ვერ დაიძვრენ თავს. შენი სოციალური მდგომარეობით, ბანკში შეტანილი ცოტათუნე ფულით, ერთობ საშუალო კულტურითა და ლამაზი პარტიოსნებით — მხოლოდ ჩემზე ხარ დამოკიდებული. მე გაგიკაფე გზა ცხოვრებაში. აი, მე კი ნამდვილად დამოუკიდებელი ვარ. ბაბუაშენს არც განათლება მოუცია ჩემთვის, არც ფული, არც ნაცნობობით დამხმარებია სადმე. ეს ყველაფერი რასაც ხედავ, მე შეექმენი, მხოლოდ მე. შენ, უგოც, სუსანაც, დოლიც და გუსტავოც — უჩემოდ არ ვარგიხართ. პირდაპირ თუ არაპირდაპირ, მე შეგიქმენით უზრუნველი ცხოვრება: მოგართვით ის ყოვლისშემძლე პაროლი — საეიზიტო ბარათებზე ჩაწიკწიკებული გვარი ბუდინიოსი, ასე გულუხვად რომ არიგებთ აქეთ-იქით — რის წინაშეც ადამიანები თრთიან. ალბათ ვერ შეამჩნიე ერთი პატარა, მაგრამ სავალალო წინააღმდეგობა შეურაცყოფილი ღირსების დასაცავად წარმოთქმულ შენს ტირადაში. თურმე ძალიან ხარ შეწუხებული, ბუდინიოების გვარს ლაქა არ მოეცხოსო. ამ დროს კი გავიწყდება, — ან არ



კინდა გაიხსენო — რომ ეს გვარი თუ დღეს რაღაცას ნიშნავს ჩვენს ქვეყანაში, ჩემი და მხოლოდ ჩემი დამსახურებაა და მეტი არავისი. ჩემი დამსახურებაა, რომ ყველასათვის — აქაური მდიდრებისთვისაც, მათთვისაც, ვისაც თავი დიდად მოაქვს და მათთვისაც, ვისაც შეგნებული აქვს თავისი არარაობა — ამ გვარის სხელებზე ყველაფერი ნათელი და გასაგები ხდება. მათ იციათ, რომ ბუდინიო არის ფულის სიმბოლო, ბატონობის სიმბოლო. აღსრულებულ საქმეებზე, სიმბოლო, და გარწმუნებ, ამ ადამიანებს სულაც არ აწუხებთ სინდისი, რატომღაც და ან ფაბრიკაში სამუშაოზე მოწყობას მოხოვენ, ან რომელიღაც კამპანიის წამოწყებას გახეთში. ერთი სიტყვით, რაკილა მე და მხოლოდ მე წარმოვადგენ ბუდინიოების გვარის ბრწყინვალეების შემქმნელს, ამიტომაც სწორედ მე და მხოლოდ მე მაქვს უფლება ლაქა მოუცხო ამ გვარს. მაგრამ ნუ დელავ, მე ჯერ არ გადამიწყვეტია ამის გაკეთება და არც არაფერი მომხდარა შემაშფოთებელი. შენც, უგოსაც და გუსტავოსაც შეგიძლიათ კვლავაც ისე არივით წაღმა-უკუღმა ბუდინიოს გვართ დადასტურებული სავიზიტო ბარათები, რომ თქვენს ზემგრძნობიარე ლოყებს სიწითლე არ მოედოს და თვალების დახრამაც არ მოგიწიოთ. ლარალდეს მე მოვუვლი.

— გაგიჭირდებათ.

— ვინ გგონია შენ ეს ლარალდე? მასაც შეიძლება რაღაც-რაღაცები ამოუჩხრიკო.

— რა ჩაიდინა ასეთი?

— ლარალდემ? რამდენადაც ვიცი, არაფერი.

— თუ არაფერი, მაშინ რას ერჩით?

— რასდა... ყური მიგდე... მას ჰყავს უფროსი ძმა — ორასიო ლარალდე. გაგიგონია ეს სახელი? ბოლო არჩევნებზე მონაწილეობდა როგორც დეპუტატობის კანდიდატი კომპარტიის სიიდან. კიდეც — ბიძა ჰყავს დედის მხრიდან, ხასინტო ფრანკო — გაგიგონია ეს სახელი? ჰოდა, ეს ხასინტო 1948 წელს მოლარედ მუშაობდა ერთ ცნობილ საბანკო დაწესებულებაში. ერთ მშვენიერ დღეს ორმოცდაათი ათასი დოლარი მიიტაცა, პალტოს სარჩულში ჩაიკერა და პარიზისკენ გაუტია თვითმფრინავით. მაგრამ ინტერპოლის ხელი მისწვდა მის სარჩულს... კიდეც ერთი ამბავი შემოგინახე ჩაროზად: — ლარალდეს და ნორმა — ანუ როგორც მას თავისი მეგობრები ეძახიან, ნორმიტა — არც მეტი არც ნაკლები, პირველი ნომერი საყვარელია დიდად პატივცემულ სენატორ ესტევესისა. სენატორი კი მოგესხენებათ, ცოლშვილიანია, ოთხი შვილი ჰყავს, ბატლისტია და კათოლიკეა... რას იტყვი?

— მე მესმის, თქვენ შეგიძლიათ ქვეყანას მოსდოთ ეგ ამბები, მაგრამ რა შუაშია აქ ლარალდე? პირადად მან რა დააშავა?

— სულაც არ არის საჭირო, პირადად ლარალდემ დააშავოს რამე. საკმარისია ისიც, რომ ხელთა მაქვს ეს სამი დიდებული, ნაღდი და შთამბეჭდავი სამხილი. რაში მჭირდება ლარალდეს პირადი კარიერის ჩხრეკა, როცა შემიძლია კამპანია წამოვიწყო მისი ძმის წინააღმდეგ, მოვითხოვო მისი გამოყვანა „ბეშეთა საბჭოდან“ იმ საბაბით, რომ მარქსიზმ-ლენინიზმის საიდუმლო ქადაგებით იგი საფრთხეს უქმნის საზოგადოების კეთილდღეობასა და დემოკრატიის წინსვლას, ხოლო ისედაც გაუბედურებულ, ხეიბარ ბავშვებს საშიშ პიროვნებებად აყალიბებს. რისი უნდა მეშინოდეს მე? საკმარისია ვახსენო ლარალდეს ბიძის 1948 წელს ჩადენილი გმირობაც, რომ მაშინვე დაუვარდეს წონაც და ფასიც მის მიერ გამოძიებულ ჩემს „ბინძურ მაქინაციებს“, როგორც ის უწოდებს



ქარაფშუტული თავხედობით. რისი უნდა მეშინოდეს მე? საკმარისია გავლენიან სენიორა ესტევესს გავუგზავნო ანონიმური წერილი და იმ სახლის მისამართი, მისმა ქმარმა რომ დაუქირავა თავის საყვარელს — ნორმიტას, თანაც თუ ამ ყველაფერს „ლა ესკობასაც“ ჩავუკაკლავ — შენ ალბათ არ მოგვთხოვ, ჩვენმა სერიოზულმა, მართალმა და ობიექტურმა გაზეთმა გაიმეოროს ამგვარი, შესაძლოა, ცილისმწამებლური ამბავი! — ხომ წარმოგიდგენია რა მოხდება?

— ნუთუ თქვენ ამას გააკეთებთ?

— გაეკეთებ. არ დაგავიწყდეს, რომ მე მყავს ხავიერი. მისი წყალობით მდიდრდება ჩემი ისედაც მდიდარი კარტოთეკა, სადაც ბევრი ჩვენი ცნობილი თანამემამულის გვარია მოხსენიებული და რომელსაც მე და ხავიერი „ღირსეულ პიროვნებათა უღირს საქმეებს“ ვუწოდებთ. შენ ვერ წარმოიდგენ, რა დიდი სარგებლობა მოაქვს ამ „საქმეებს“ განსაკუთრებით ასეთ შემთხვევაში, ლარალდესთან რომ ხდება ახლა. მე ის უპირატესობაც გამაჩნია, რომ, შეიძლება ითქვას, ჩვენს ქვეყანაში ერთადერთი წინდახედული კაცი ვარ, ვინც დაინტერესებულია თავის გარშემომყოფთა საქმიანობით, სურს ყველაფერი გაიგოს, ვინ რას წარმოადგენს, ყველაფერი ჩაინიშნოს. აი, ჩემი საქმიანობით კი დღემდე არავინ დაინტერესებულა. რომც გამოჩნდეს ვინმე ისეთი გაბედული, კარგად დაიხსომე, წესად მაქვს, ისე გავაკეთო ყველაფერი, კვალი არ დავტოვო. ერთ პატარა საბუთსაც კი არ ვაწერ ხელს, სხვისი თანდასწრებით არ ვაგვარებ, არ ვმართავ მოლაპარაკებას ცოტა „იმნაირ“ საქმეებზე. ხელმოწერა და მოწმეები მე მაშინ მიმაჩნია საჭიროდ, როცა კანონიერ საქმეებს ვაკეთებ, მაგრამ იქ სადაც თუნდაც პატარა უკანონობა ხდება, მე ვამჯობინებ მხოლოდ სიტყვას. Verba non res.<sup>1</sup> როგორც ხედავ, ლათინური ჯერ არ დამვიწყნია. მაგალითად, რასაც მე ახლა შენ გეუბნები, არც ხელს მოვაწერდი და არც ვინმეს თანდასწრებით გეტყვოდი, არ გეტყვოდი თვით იმ ერთგულების ნიმუშის წინაშეც — ხავიერი რომ პქვია. აქედანვე იცოდე, გაცხარების წუთებში რომ მოვიხდეს წამომამახო ეს ჩემი სიტყვები, ვერაფერს დამიმტკიცებ, რადგან მოწმე არა გყავს. ვინ დაგიჯერებს, ვინ აგიბამს მხარს შენ — უჩემოდ არარაობას რომ წარმოადგენ — უარყოს ან საეჭვოდ მიიჩნიოს დოქტორ ედმუნდო ბუდინიოს აზრები და გამონათქვამები, იმ ბუდინიოსი, რომელიც გასულ თვეში ჟურნალ „ტაიმსში“ გამოქვეყნებული — მართალია, ცოტა გესლიანი, მაგრამ ჭკვიანური სტატიის გამო, — სადაც ლაპარაკია ჩვენს პატარა დემოკრატიულ ქვეყანაზე, შვეიცარიის მეტოქეზე — შეყვანილია იმ ხუთ გამოჩენილ პიროვნებათა სიაში, რომლებიც ამშვენებენ ურუგვაული პოლიტიკის ცის კაბადონს? ის ოთხი კაცი შეცდომით შეიყვანეს სიაში, ჩრდილოამერიკელი ჟურნალისტები ცუდად არიან ინფორმირებული... მაგრამ, რა თქმა უნდა, შენ არც ისეთი სულელი ხარ, ეს გააკეთო. ისე, უბრალოდ, მოგიშველიე მაგალითისთვის. ხვალვე დაურეკავს ლარალდეს ანონიმი — რასაკვირველია, ხავიერი — და შეატყობინებს იმას, რაც მისთვის, ე. ი. ხავიერისთვის არის ცნობილი, სხვანაირად რომ ვთქვათ, სასხვათაშორისოდ გადაუკრავს სიტყვას იმაზე, რომ მე უკვე ყველაფერი ვიცი მისი გეგმების თაობაზე.

— ვთქვათ და, არ გაჩუმდა ლარალდე?

— შენ არ იცნობ ადამიანებს, რამონ, ამიტომაც ხარ მუდამ ასე შეწუხებული. ლარალდე ნიჭიერი ჟურნალისტია, საქმიანი, თავიანი, მაგრამ არსით ჩვე-

1. სიტყვა საქმე არ არის (ლათ.).



უღებრივი კაცია და მშვიდი ცხოვრება სურს. ვის-ვის და მას ყველაზე კარგად მოეხსენება, თუ მე რაღაც ხელმოსაჭიდი ვიცი მის ნათესაობაზე, ვეღარ შემომიტევს, რადგან თუ შემომიტევს, მისი მშვიდი ცხოვრება იმ წამსვე დამთავრდება და დამთავრდება არა მხოლოდ იმიტომ, რომ მე ყველა იმ ხერხს გამოვიყენებ; რაზეც ახლა ვითხარი, არამედ უფრო სერიოზული მიზეზითაც. თუმცა ჩემი გაზეთი სამთავრობო გაზეთია, ლარალდე კი ოპოზიციურ გაზეთში მსოფლიო მოვლას, თავად პარტიებმა კარგად ვიცი, რომ ერთმანეთს მაინც ვჭირდებით; ასე რომ, ძალიანაც მოსალოდნელია, ეგ შენი ლარალდე ერთ-ორ კვირაში უმუშევარი დარჩეს, ხოლო რისი გამკეთებელი იქნება მას შემდეგ, რაც ორი მთავარი გაზეთი მას, როგორც ჟურნალისტს მკუდრად გამოაცხადებს, — შენ უკეთ მოგეხსენება. ლარალდე სულელი არ არის-მეთქი, ვიმეორებ. მაშინვე მიხვდება ყოველივეს, როგორც შენ მიხვდი აგერ სულ ათიოდე წუთის წინ, როცა მოკლედ აგიხსენი, შენი ყბადაღებული სააგენტოს ზნეობრივი საწყისები საიდან მოდის. ხომ მიხვდი მაშინვე, რომ ვერაფერს დამაკლებ? ჯერ ერთი, ბოლოს და ბოლოს ჩემი შვილი ხარ, სისხლი კი, ხომ იცი, ყოველთვის სისხლია. მეორეც: თუკი მეტისმეტად შეგაწუხებს სინდისი, თუ განმიდგები, მიატოვებ სააგენტოს, წყალში გადაყრი ყველაფერს, რაც ასე თუ ისე ჩემი ბინძური ფულით გაქვს შეძენილი, მშვენივრად იცი, ეს შენთვის ეკონომიურ კრახზე უარესი იქნება. ეს იქნება ოჯახის კრახიც. როგორ ფიქრობ, სუსანა შეძლებს ოჯახის მოვლას? ეს სადილიო, სარეცხიო, სამსახურში ფეხით სიარულიო... გუსტავოც, მართალია, პროგრესულად მოაზროვნე ბიჭია — სწავლის მიტოვება და მუშაობის დაწყება სურს — მაგრამ არც ის ჩავარდება კარგ დღეში. შენ ეს ყველაფერი უსწრაფესად გაითვალისწინე და კარგია, რომ გაითვალისწინე. შენ რომ კეთილშობილება გაგეთამაშებინა, ე. ი. რომ განმდგომოდი, ipso facto<sup>1</sup> დარჩებოდი სააგენტოს გარეშე. ცოლის გარეშე, შვილის გარეშე და საყვარლის გარეშეც. თუ გყავს საერთოდ საყვარელი. იმათ ხომ სენტიმენტალობისა არაფერი სცხაათ! მე არ ვიცი, გყავს თუ არა საყვარელი, მაგრამ არ იფიქრო, ხავერმა არ იჯარგაო. უბრალოდ, შენ არც ისე დიდი ვინმე ხარ, ჩემს კარტოთეკაში იჯდე... ახლა კი უნდა დაგტოვო, შენი ათი წუთი ნახევარ საათს გაგრძელდა, მე კი ამდენი დრო არა მაქვს — პარტიის კლუბში მელოდებიან. სუსანა მომიკითხე, გუსტავოც. ხვალ შეიძლება შემოვირბინოთ.

საოცარია... რაც მან ახლა საშინელება მითხრა. სხვას არავის ეტყვის, თითქოს ერთდროულად ორ რამეში სურდა დავერწმუნებინე: ერთი რომ—ჩემსაკით არაყენ სძულს და მეორეც—ჩემსაკით არავის ენდობა, ე. ი. ყველას ვერ გაუმხელს. მას, რაც მე გამომხილა. სწორედ ეს არის მისი არსი, ეს გულმიუსვლელი ავტობორტრეტი, რომელსაც ყოველი შეხვედრისას ახალ-ახალი ფერებითა და ხაზებით ავსებს. სწორედ ეს არის მისი არსი და არა ცეცხლოვანი, გესლიანი, უღმობელი საგაზეთო სტატიები, რომლებსაც სინდისისა და გრძნობის ნატაძალიც კი არ გააჩნიათ. სწორედ ეს არის მისი არსი და არა მხარზე ხელის დატყაპუნება, არც ის, სიტყვის დასასრულს მკლავეებს რომ გაშლის და თვალებს ცოდვილი გულჩვილობით აღაპყრობს ცისკენ, არც მისი დამაჯერებელი კილო, არც კორექტული ზიზღი, თავის ნაცნობ-მეგობრებთან ასე რომ ნიღბავს ჩემზე საუბრისას, არც მისი ყალბი წუხილი ცუდი ამბების გაგებისას, არც მისი მკაცრი და ამავე დროს ნაძვის ხის დანახვაზეც კი ცრემლჩამდგარი თვალები. სწო-

1. ამ ფაქტის ძალით (ლათ.).



რედ ეს არის მისი არსი და არა მისი ფოტოსურათები, რომლებზეც ოფიციალური დიმილი დასთამაშებს სახეზე; არც მისი ხუთი ათას ტომიანი ბიბლიოთეკა, უმეტესობას რომ არც მიკარებია ქალაქის საჭრელი დანა, არც მისი გამანადგურებელი გამოხედვა დედაჩემზე ლაპარაკისას, არც მისი გულუხვობა, დიდ თაიგულს რომ ყიდულობს და მერე სხვებს რომ ატანს დედის საფლავზე; თვითონ არასოდეს წასულა, თუნდაც წლისთავზე... სულ ერთი ფელეცებულა, სააგენტოზე რომ შელაპარაკებოდა. ან რატომ უნდა აღვნიშნავთ მშვენიერად იცის, ხმის ამომღები რომ არა ვარ. ნუთუ მართლა არაფრის მაქნისი ვარ? ფანტასტიური ინტუიცია აქვს: შეუძლია ზუსტად ამოიცნოს ფსიქოლოგიური კოორდინატები, ზუსტად განსაზღვროს ვის როგორ, რა ხერხით შეუტეოს, რომ მიზანში ზუსტად მოახვედროს და სასურველ შედეგსაც მიაღწიოს. ყველაზე დიდი საშინელება, რაც მართლაც ყველაზე მეტად მთრგუნავს, — ეს არის ის, რომ ბებერი როგორც ყოველთვის, ახლაც მართალია. მან იცის, — თუ წამდაუწუმ დაყვედრებითა და შეურაცხყოფით მოთმინების ფიალას ამივსებს და მაიძულებს ყველაფერი წყალში გადაყარო, — რა მოჭყვება ამას. სუსანა მიმატოვებს, წავა, ღმერთმა უწყის, სად, მაგრამ უსათუოდ წავა. იქნებ მშობლებსაც დაუბრუნდეს, ოღონდ ჩემთან არ დარჩეს და... გამეყრება. ეს იცის ბებერმა... მაგრამ გუსტავოზე კი რაც თქვა, ნამდვილად შეეშალა (იქნებ არც შეეშალა). ასაკობრივი განსხვავების გამო ბებერს უჭირს ბოლომდე ჩაწვდეს შვილიშვილის ბუნებას. ასე ჰგონია, თავად რასაც ფიქრობდა და რისიც სწამდა გუსტავოს ხნისას, იმასვე ფიქრობს და იგივე სწამს შვილიშვილსაც. დროება შეიცვალა, გუსტავოს ჩვიდმეტი წელი — ეს არც ჩემი შორეული ჩვიდმეტი წელია და მით უმეტეს, არც ბებრის შორეულზე შორეული ჩვიდმეტი წელი. ვფიქრობ, ბებერს მხოლოდ აქ არ გაუმართლა ნათელმხილველობამ. დიახ, გუსტავო არ მიმატოვებს, მაგრამ ხომ შეიძლება მიმატოვოს?! მე ხომ, საერთოდ, ბოლომდე არაფერში ვარ დარწმუნებული! სუსანა მიმატოვებს, თუმცა სულაც არ მანადვლებს, სუსანა მიმატოვებს თუ არ მიმატოვებს. სურვილი დამცხრალია, თანაც ისეა დამცხრალი, რომ ახლა ვერც ვიტყვი, იყო კი ოდესმე? მაგრამ ჩემი მეხსიერება, — არა სხეული, არამედ მეხსიერება, — მეუბნება, იყო. ვთქვათ, ასეა. სიყვარულის არსებობას, უსურვილო სიყვარულის არსებობას — ეს იმდენად აბსტრაქტული და საყოველთაო მცნებაა, რომ შეიძლება ჯერ კიდევ არსებობს, გვაკავშირებს ერთმანეთთან, მაგრამ დიდ როლს კი არ თამაშობს. სუსანას მივეჩვიე, მივეჩვიე ოჯახში მის მიერ დამყარებულ წესრიგს, მის ცივ კილოს, მის ისტერიკებს აღელვების წუთებში, მის მშვიდ სახეს ძილის დროს, მის ფოლადისებურ სიცილს, მის კრემებს, მის კანს, მის ჩურჩულს, მის დებრესიებს, მის უხეშობას, მის თქმობებს. ხოლო მიჩვევა როდი ნიშნავს აუცილებლობას. პირველ ხანებში იგი მჭირდებოდა, ახლა აღარ მჭირდება, მაშ რაღა გვაკავშირებს ერთმანეთთან? ვნება და სურვილი აღარ არის, მხოლოდ დამჭკნარი სიყვარულია შემორჩენილი. არ ვიცი, ეს ყველაფერი როგორ გამოვხატო ერთი სიტყვით, რა დავარქვა — სინაზე? პატივისცემა? ყურადღება? სიმპათია? გულგრილობა? მოწყენილობა? ნაღველი? გაცოფება? არსებითად, მე ხელებჩამოყრილი ვცხოვრობ... კმარა, რა საჭიროა ყველაფრის ასე ძირისძირობამდე ჩაძიება, საკუთარი თავის ჩხრეკა? ყველა მიხვდება, რომ ამას ბედნიერება არ ჰქვია, მაღალფარდოვანი სიტყვებია. ბედნიერება შეიძლება იყო ყოფილიყო პორტესუელოში გატარებული ის საღამო ნორჩსა და მხიარულ როსარიოს გვერდით, თუმცა დიდად არა ვარ დარწმუნებული, ის საღამო კიდევ განმეორებულიყო. ის საღამო



მშვენიერია იქ, შორს. დიახ, მეც დავაბანდე ჩემი პირველი კაპიტალი და ახლაც ნაძლეუს იგი დივიდენდებს; ალბათ ბედნიერება იქნებოდა დოლის გვერდით ცხოვრება, ჩემი ძმის ცოლი რომ არ იყოს და ასე ჩქარ-ჩქარა მეც რომ არ მივკრობდეს გულგრილობა. ბედნიერება იქნებოდა, დოლის რომ ნამდვილად ვერ ვარდებო, რასაც, რა თქმა უნდა, ვერასოდეს დავიჯერებ. ვიცი, მხოლოდ სინაზითაა ჩემდამი გამსჭვალული. რა მოხდა მერე? რა სჯობს, როცა დამოწმებულნი აღამიანები ერთმანეთის მიმართ სინაზით არიან გამსჭვალულნი. ეს რომ ნებადართულია რჯულითაც და ათი მცნებითაც. ჰო, ასეა, მაგრამ რომ წარმოვიდგენ, მისი მაზლი ვარ, ლამის ვავცოფდე. საინტერესოა, დოლი რომ ჩემი ცოლი ყოფილიყო — მე რომ მამაჩემისთვის ზურგი შექცია და მის დახმარებაზე უარი შეთქვა, — ნეტავ თუ მიმატოვებდა. დოლი შესანიშნავი ქალია, გამგები, ხელმოკლეობას არ შეუშინდებოდა, იმუშავებდა, სულ დაავიწყდებოდა ფრჩხილებიც და თმაც, გაყიდდა თავის ძვირფას ნუტრიას ქურქს, იყიდდა უბრალო პალტოს, სულით არ დაეცემოდა, თუმცა ცხოვრებაც და მეც ამის მიზეზს ბევრჯერ მივცემდით. დოლი არ მიმატოვებდა, ჩემი ცოლი რომ ყოფილიყო. მაგრამ დოლი არ არის ჩემი ცოლი. ესეც ახალი აღმოჩენა! თანაც, რა ვიცი, იქნებ არც სუსანა მტოვებს? მთლად დარწმუნებული არა ვარ, იმიტომ არ ვარ დარწმუნებული, რომ არა მგონია, ერთ მშვენიერ დღეს ავდგე და ყველაფერი წყალში გადავყარო. და მაინც — დასკვნის სახით — ბებრის ასეთი გესლიანი ქარაგმების, ასეთი ვერაგული ჩანაფიქრის მერე ღირს კი ის სააგენტო დავიტოვო, რომელიც ოთხივე ფეხით მკვიდრად დგას დოქტორ ედმუნდო ბუდინიოს ნაწყალობე ოთხმოცი ათას პესოზე? ღირს კი დავიტოვო სააგენტო, მაშინ როცა ეს ოთხმოცი ათასი პესო წარმოადგენს რაღაც მასას, რომლის ერთ-ერთი მთავარი შემადგენელი ნაწილი თაღლითობაა? მაგრამ ბებერი რის ბებურია, ყველაფერი წინასწარ რომ არ გამოთვალოს! აკი მომახალა კიდევ პირში: სააგენტო რომც მიატოვო და ფულიც რომ მთლიანად დამიბრუნო, სულერთია, რა მდგომარეობაშიც მერე ჩავარდები ეკონომიურად, სოციალურად თუ ოჯახურად, მაინც ჩემს სახელთან იქნები დაკავშირებული. იქნებ სჯობს სააგენტო შევინარჩუნო? რა აზრი აქვს მის გაუქმებას, თუ ბებერთან ვერაფერს მივალწევ? იქნებ შევინარჩუნო? არანაირი გზა არ ჩანს ერთის გარდა: ბებერი უნდა მოვკლა. მაგრამ ასეთი რამ არ ხდება ჩვენს პატარა ქვეყანაში, ჩვენს „შვეიცარიის დარ ურუკვაში“ — როგორც „ტაიმი“ იხსენებს მას ხშირად. ასეთი რამ რომ მოიმოქმედო, ნოვატორი უნდა იყო, პიონერი უნდა იყო, „სხვა“ უნდა იყო, მე კი როგორც ბებერმა აღნიშნა ზუსტად — მისი შვილი ვარ „ბოლოს და ბოლოს“. შვილები კი მამებს არ კლავენ. ჩვენთან მხოლოდ იუმორით შეზავებული სიტყვიერი მამისმკვლელობაა გავრცელებული. ერთ მოუსვენარ, ენაკვიმატ კინოკრიტიკოსს ხუან დიეგო ბენიტესს ტელეგადაცემაში ჰკითხეს: თქვენ რომ ედმუნდო ბუდინიოს შვილი იყოთ, რას ისურვებდით გამხდარიყავითო. ობოლიო, უპასუხა ბენიტესმა. ყოჩაღ, მაგარი ბიჭია, ზუსტად მოარტყა, მოსწრებულად თქვა. ბებერიც იცინოდა. რა თქმა უნდა, ბენიტესს კიდევ უნდა შეკითხვოდნენ: თუ ასეთი დამანგრეველი გრძნობები გაქვთ მის მიმართ, რატომ არ მოკლავთ რაღაც ხერხებით მაინცო? ხა-ხა-ხა! ეს რომ შეუძლებელია, არ იციან?

— ახლავე მივდივარ, ხავიერ, ახლავე მივდივარ.

ნეტავ რომელი საათია? დღეს ვერ მოვასწრებ სანაპიროზე გავლას.



— სანაპიროზე თუ დადიხართ, ხავერ? რომ იცოდეთ, რა სასარგებლო რევმატიზმით დაავადებულებისთვის! აჰ, თუმცა, მაპატიეთ, რევმატიზმი ხომ თქვენს ცოლს აწუხებს, ნახვამდის.

სად დავტოვე მანქანა? ამ კვირაში უკვე მეორედ მავიწყდება, სად ვტოვებ მანქანას. აბა, გავიხსენო. კოლონიის ქუჩიდან მოვდიოდეთ, ~~სწავნიხვდეთ~~ ხულო რერაზე, იქაურობა მანქანებით გადაჭედილი დაძვდა, ~~სწავნიხვდეთ~~ კიდეც იქით, იქით... მაინც ვერ ვივინებ, სად დავტოვე. ფეხით უნდა გავიარო იგივე გზა და ალბათ წავაწყდები სადმე. საოცარია, ბებერმა ასეთი მწარე-მწარე რაღაცები მითხრა სააგენტოზე, მე კი მშვიდად ვარ, ალბათ იმიტომ, რომ ეს ყველაფერი მე თითქმის ვიცოდი ნაწილობრივ. მართალია, ვცდილობდი, საკუთარ თავს არ გამოვტყდომოდი, ბებერი რომ ბინძურ საქმეებში იყო გარეული, მაგრამ ფიქრით ყოველთვის ვფიქრობდი ამ საშინელებაზე, დღეს კი, როცა თავისი პირით მითხრა ყველაფერი, საფიქრალი აღარაფერი დამრჩა. ახლა უკვე გაქრა სიტყვა „ეჭვი“, ახლა უკვე დანამდვილებით ვიცი, რას წარმოადგენს ის და რაკილა თვითონ მითხრა ყველაფერი, ახლა უნდა გადაედგა საბოლოო ნაბიჯი. თუ ყველაფერი ისევე ძველებურად დარჩება — და ალბათ ეს ასეც იქნება — სიკვდილამდე გამტანჯავს საკუთარი უსუსურობისა და უნებისყოფობის შეგრძნება — ყოველი გადამწყვეტი ნაბიჯის გადადგმისას რომ მიჩნდება ხოლმე. მაგრამ ამქვეყნად არის კი ვინმე უცოდველი? ცხოვრობს კი ვინმე უცოდველი? ცხოვრობს კი ვინმე ამქვეყნად, ამ დროში თავისი პრინციპებით, თავისი წესით, თავისი მორალით? სინამდვილეში ხომ ამ პრინციპებს, წესებს, მორალს „სხვები“ გვკარნახობენ და გვკარნახობენ ისე, რომ არც არაფერს გვეკითხებიან. ყველაფერი აირ-დაირია. ვერავისზე ვერ იტყვი, ქიმიურად სუფთააო. მარქსისტი, მაგალითად, ბანკში მუშაობს. კათოლიკე მრუშობს, სულაც არ ანადვლებს გვარის სიწმინდე. თავგადაკლული ვეგეტარიანელი შესანიშნავად მიირთმევს ჩურასკოს, ანარქისტს სახელმწიფო აძლევს ხელფასს, არის კი ვინმე ამ მიწაზე ისეთი კაცი, ვისაც შეუძლია, თუნდაც ოცდაოთხი საათი იცხოვროს თავის ღმერთთან, თავის სინდისთან, თავის ფანატიზმთან ან თავის კრედოსთან სრული თანხმობით? არაეინ. პოდა, მაშინ რა საჭიროა სიწმინდე, მაშინ რატომ უნდა ვთქვა უარი სააგენტოზე? ბინძურ საქმეებში პირადად მე გარეული არ ვარ და არც არასოდეს გავერევი. ფული რომ მასესხა, მე არაფერი არ ვიცოდი. ბებერი მეუბნება, შენ ვინცა ხარ და რაცა ხარ, სააგენტოს მიხედვით ჩანსო. იქნებ ასეცაა. ეს პირველყოფილ ცოდვასაკვითაა, რომელიც ყველა ჩვენგანს ადგას თავზე ჩრდილივით. მახსოვს. პუნტა-კარეტასელი მღვდელი ამბობდა: ადამის დროიდან გვაზისო სირცხვილის დამლა, რომც არ შეგვეცოდა, მაინც ყველანი ცოდვილნი ვართო, რამეთუ იმ ბერიკაცმა აღამმა ისეთი უდიდესი ცოდვა ჩაიდინა, თანაც ისეთი მგზნებარებით, რომ იმ დღიდან მოყოლებული ჩვენ, ყველანი, მისი შვილები, შვილიშვილები, შვილოაშვილები და ა. შ. — აქამომდე ვიხდით ვალსო. არა, მღვდელს მთლად ასე არ უთქვამს. მახსოვს, ვკითხუ: კი მაგრამ, მამაო, ადამის ცოდვა ჩვენ რატომ უნდა მოგვეკითხოს, ჩვენ რა ბრალი მიგვიძღვის-მეთქი. მღვდელმა არცთუ ქრისტესეული მოწყალებითა და მოთმინებით შემომხედა: შვილო ჩემო, შენი ყველაზე დიდი ცოდვა — სიამაყეა, ისევე სიამაყე და საშინელი სიამაყე, რაიც იმ პირველყოფილ ცოდვას ზედ ემატებაო. იქნებ ახლაც ასეა, სააგენტოს პირველყოფილ ცოდვას ზედ ჩემს სიამაყეს ვუ-



მატებ? უცებ ლარალდე გამახსენდა. ნეტავ რას იზამს? ალბათ ფარ-ხმალს დაყრის, ბებერი კარგად იცნობს ადამიანებს;

როგორც იქნა, ვიპოვე მანქანა, სან ხოსესა და სორიანოს ქუჩების გადაკვეთაზე დამიტოვებია. პირველყოფილ ცოდვას სიამაყეს უმატებ ზედო. ხა! იმ წელელმა ცოდვებისგან გამათავისუფლა. მაღლობთ, მამათ. ისეთი უხეში მღვდელი იყო, ისეთი ბრაზიანი, ისეთი გულმიუსვლელი, რომ მერე, საერთოდ, წყნარ შემოდგამს ეკლესიაში. მხოლოდ როგორც ტურისტმა მოვინახულე, მაგალითად, წმ. პატრიკის ეკლესია ნიუ-იორკში და „დოლორესის მისია“ სან ფრანცისკოში. ეს მისია მსოფლიოში უღამაზესი სასაფლაოთიცაა ცნობილი. საღამოობით, როცა მზე ფოთლებში ჭიატობს (ასეთი ყვითელი მზე არასოდეს მინახვს), თვალს იტაცებს საფლავებზე გადაყენილი ხვიარები, ძველებური, სადა, ასამეტრიული ჯვრები და საფლავებს შორის გაჭრილი ბილიკები. ნეტავ კიდევ ერთხელ შემავლებია თვალი „დოლორესის მისიისთვის“ მზის ჩასვლისას! ორი საათი მაინც ვიბორიალე მაშინ სასაფლაოზე. ასე მეგონა, საკუთარ ბაღში დაყობილებდი. სიკვდილს არაფრად ჩავაგდე, რომ ვიცოდე, იქ დამმარხავენ.

— საით იყურებით? არ იცით, რომ კანელონესი მხოლოდ მანქანების საგალი ადგილია?!

ვისაც როგორ მოეპრიანება, ისე დადის, კიდევ კარგი, რომ მუხრუჭები წესრიგში მაქვს. ჰო, აბა, ისევ განვაგრძოთ ფიქრი... ეთქვათ, სააგენტო რომ არ მქონდეს, რას ვიზამდი? აქამდე ჩემს მოვალეობას წარმოადგენდა კლიენტებთან აბსნა-განმარტებების ჩატარება, საუბრები, რაც, უნდა ვაღიარო, ცუდად არ გამოდიოდა. გარდა ამისა მევალებოდა საექსკურსიო პროგრამების შედგენა, სასტუმროებში ნომრების შეკვეთა, ბილეთების გაყიდვა. „მოგზაურობა — სიხარულის მომნიჭებელია“. ნეტავ როგორ მომაფიქრდა ეს ბრწყინვალე ფორმულა? ჯერ ერთ ქუჩაზე ვნახე ჩვენი რეკლამა და თვითონვე მომეწონა. უნდა ვაღიაროთ: იანკებისგან ვისწავლეთ — დავარწმუნოთ ადამიანები, იყიდონ ის, რასაც სთავაზობენ, თუ სურთ უზომოდ ბედნიერნი გახდნენ. იანკები საერთაშორისო პოლიტიკაშიც რომ იცავდნენ ამ ოქროს წესს, მაშინ ალბათ ყველას ეყვარება იმისი. იმის მაგივრად, რომ იმავე მეთოდით შესთავაზონ ხალხს დემოკრატია, რა მეთოდითაც ცდილობენ გაასაღონ თავიანთი რომელიმე საქონელი — და ლექსითაც მოევიწოდონ: „თუ გსურთ სიკეთე ამქვეყნად, ვადიდოთ ძმობის ქარტია, მხარში დავუდგეთ ერთმანეთს, დავიცვათ დემოკრატია“ — იმის მაგივრად, რომ დავარწმუნონ, რა ბედნიერები ვიქნებით, თუ ყველანი დემოკრატები გავხდებით, — მათ აირჩიეს სხვა გზა. ტერორის გზა. ტერორი — გაფიცვების წინააღმდეგ, ტერორი — აგრარული რეფორმის წინააღმდეგ. კომუნისში „საშინელი ბუა“. სულაც არ გამიკვირდება, ხვალ-ზევ გახვებებში რომ წამოიწყონ ტერორისტული კამპანია პაპი იოანე ოცდამესამის წინააღმდეგ ან პიტლერს მიუძღუნან რუბრიკა: „ჩემთვის დაუვიწყარი ადამიანი“. მე თქვენ გეტყვით, გაჭირდება მასლის მოძებნა! სულაც არ გამიკვირდება, მაომ რომ ნიკიტა უგერაგეს კაცად გამოაცხადოს ყოველთა კათოლიკეთა შორის. ერთი რამ მაღელვებს: ნეტავ ვინ შეეჯახება მომავალ ომში? ცივი იქნება ეს ომი თუ თბილი? თუ ცხელი? იქნებ აშშ-რუსეთი გამოვიდეს ჩინეთ-იაპონიის წინააღმდეგ? შეიძლება. თუმცა სხვა დაჯგუფებებიცაა მოსალოდნელი. ჩემი აზრით, ყველაზე საიმედოა აშშ-რუსეთის კავშირი. ჩინეთი და საფრანგეთიც შეიძლება შეეკრან ერთმანეთს. ან ჩინეთი და ინგლისი. ერთი ვარიანტია კიდევ: აშშ-რუსეთი ვერმანია-იაპონიის წინააღმდეგ.



მთლად აბსურდული არ უნდა იყოს ეს ვარაუდი. ერთხელ, მგონი, მოხდა ასეთი რამ. კი, მოხდა. ტყუილად არ მომიგონებია ეს კავშირი. ჰოდა, თავს ვეგბნები; თუკი დიდსა და მრისხანე ერს არ ძალუძს თავისთვის იყოს, თავისი ისტორია ჰქონდეს, თავისი გზით იაროს, მაშინ მე რაღა უნდა ვთქვა — მეთერთმეტე ხარისხის სიბრძნის თაგუნამ, როგორ შევძლო, ვიყო ისეთი, როგორიც მინდა; როგორ შევქმნა ისტორია, როგორ ვიარო საკუთარი გზით თავის საკითხავია, მაქვს კი არჩეული საკუთარი გზა? რაღაც არ მანსოვს, ამერიკის. მე რომ ვამბობ, ბინძურ საქმეებში არ გავერევი, არ მოვიპარავ, კაცს არ მოვკლავ ან ხორცს არ შევჭამ-მეთქი, — ეს არ ნიშნავს საკუთარი გზის არჩევას, ეს უფრო რაიმე მოსალოდნელი შემთხვევის თავიდან ასაცილებელი გზაა და მეტი არაფერი. მაგალითისთვის მოვიყვან მონაზონს და განგსტერს. ამ ადამიანებს უკვე არჩეული და დასახული აქვთ თავიანთი გზა. ღმერთი — მონაზვნის ტყვიამფრქვევია; ტყვიამფრქვევი — განგსტერის ღმერთია. მაგრამ ასეთი მაგალითი თითქმის ჩამოსათვლელი. ჟურნალისტს, მაგალითად, ცალკე მოვლენები ახრჩობს, ცალკე შეფი, და ცალკე კიდევ — სხვათა ინტერესები. საკუთარი გზის ასარჩევად დრო აღარ რჩება. დაწესებულებებში მოსამსახურეებს ძილს ჰგვრის რუტინა, ძილს ჰგვრის უკბილო ანეკდოტები, ძილს ჰგვრის ლატარია. საკუთარი გზა რომ აირჩიონ, ამისთვის საჭაროა გაიღვიძონ, გაღვიძება კი მათ არ უნდათ, გზარებათ. მუშას სილატაკე კლავს, გაფიცვისას ყელს იხლიჩავს ყვირილით, სძულს უფროსები. არადა, საკუთარი გზა რომ აირჩიოს, მშვიდად უნდა ცხოვრობდეს, გონება უნდა ჰქონდეს ნათელი. ეს კი შეუძლებელია. კაპიტალისტს ციფრები უტრიალებს თავში, ფულის კურსის მერყეობისას კუჭის წყლული უმწვავდება, სოციალური ძვრებისა ეშინია. მანაც საკუთარი გზა რომ აირჩიოს, კბილებითა და ფრჩხილებით აღარ უნდა ჩააფრინდეს თავის ფულის ტომარას. მაგრამ ესეც შეუძლებელია. პირადად მე, მაგალითად, მღლის და მტანჯავს უსიყვარულობა, ბებრის კლანჭებში ყოფნა; ამ მისის რენსომმაც ხომ ლამის შემიკლას თავის ცოფიანი საშვილოსნოთი, ლამის თავის რობოტად მაქციოს, გზა რომ აირჩიო, რაღაც გმირული უნდა გიღვიოდეს სულში, მე კი ასეთი რამ არ გამაჩნია. ნეტაუ მართალია რომ ამბობენ, გმირებსაც აქვთ შიშის გრძნობა? თუ ასეა, მაშინ შეიძლება მეც გავხდე გმირი. ვერ დავმაღავ, ნამდვილად მაქვს შიშის გრძნობა. ყველაზე მეტად რომელი შიში დამამახსოვრდა შორეული წარსულიდან? რა თქმა უნდა, ურჩხულ-ბუზებისა, სიბნელეში რომ ფუთფუთებდნენ. მერე კიდევ ის დღეც მახსოვს, მე და დეიდა ოლგას ძროხა რომ გამოგვეკვიდა ქუჩაში. მე წითელი პულოვერი მეცვა, უცებ ვილაცამ დაიძახა: „თავს უშველეთ, ძროხას მოერიდეთ, ძროხას!“ მაშინ რვა წლისა ვიყავი. მე და დეიდა ოლგამ უკან მოვიხედეთ და დავინახეთ უზარმაზარი ძროხა, რომელიც პირდაპირ ჩვენკენ მოექანებოდა ბრძღვინვითა და თავის ქნევით. მახსოვს, ძროხას წვრილი ფეხები ჰქონდა, თავი და ქაფმომდგარი ღრუნჩი კი — უზარმაზარი. ამ საზარელი ღრუნჩიდან ამოფრქვეული „მმუუუ“ რომ მახსენდება, ახლაც მზარავს. „ძროხას მოერიდეთ, ძროხას!“ — ყვიროდა ჩვენ უკან ვილაც ბერეტიანი კაცი და ხელებს რეტდასხმულივით ასავსავებდა. „სწრაფად მოერიდეთ ბავშვი, დონია, ვერა ხედავთ, ცოფიანივითაა?!“ უცებ, თითქოს გამოიღვიძაო, დეიდა ოლგამ შესაშური სიტყვიტე გამოამხურა. მახლობელ ღობეს ერთი შეხედა, თავისი ჩანთა ღობის იქით გადაავლო, ერთი ფეხი აიქნია, მერე მთელი ტანი და მეორე ფეხიც მიაყოლა, გადმოიხარა, მაგრად ჩამავლო ხელი და მალლა ამწია, თან სულ „ღმერთო ჩემო“-ს ოხრავდა. ასე დაკიდულმა დავინახე, როგორ



სამიქროლა ძროხამ ზედ ფეხებთან! ზედ ჩემ თეთრ ფეხსაცმელთან. არ მიყვარდა ეს დიღზე შესაკრავი ფეხსაცმელი, შეუფერებელი მეჩვენებოდა რვა წლის ბიჭისათვის. პირველმა ზაფრამ რომ გაგვიარა, დეიდა ოღვა მერე გახდა ცუდად, ლამის გული წაუვიდა. იქვე, ვიდაცის სახლს მივადექით, რაღაც წამალი და-  
 აღვიინებს. მე შიშისაგან ჯერაც თვალვბდაჭყეტილი ვუყვებოდი ყველას. როგორ გამოგვივიდა უზარმაზარი ურჩხული, როგორ მოურბოდით. ეს ძროხა ისე ჩამდ-  
 ვილი და ისე რეალური იყო, მართლა ისე ჰგავდა ურჩხულს, რომ ერთმანეთს ურჩხულ-  
 და, ურჩხულ-დაც აღვიქვი და აღარ მეშინოდა იმ ბუხებისა, ჩემს ჩაბნელებულ  
 თიხაში ადრე უზარმაზარები რომ მეჩვენებოდა. ბევრი სხვა შემთხვევაც მახ-  
 სოვს. ერთხელ პატარაობაში ტიფით გავხდი ავად. რომ გამოვკვთდი, ქუჩაში გას-  
 ვლის უფლება მომცეს. ახალი ნაავადმყოფარი მუხლებში სისუსტეს ვგრძნობდი  
 და ხელა მივდიოდი. არ ვიცი, რატომ, მოვიხედე და ზედ ჩემ წინ, ლამის ცხვირ-  
 თან ავტობუსი დავინახე. გადახტომა მოვასწარი, მაგრამ გვერდი მაინც გამკრა  
 და ისე გადაამისროლა, რომ ტროტუარს გადაუფურინე და რომელიღაც სახლის  
 კედელს მივასკდი. შიშით მხოლოდ მაშინ შემეშინდა, ჩემკენ წამოსული ავტო-  
 ბუსი რომ დავინახე სულ ახლოს. იღბლიანი უბედური შემთხვევააო, თითქმის  
 წელა ამას გაიძახოდა. საწყალი მძღოლი წარამარა ინიაუებდა მოშვლებილ  
 ქუდს აღმურმოდებულ სახეზე და ავზნებული იმეორებდა ერთსა და იმავეს:  
 როგორ მოახერხა, ა? როგორ მოახერხა, ა? არ ვიცი, როგორ მოვახერხე, ასევე  
 უთხარი პოლიციელსაც, კითხვით კი არავის უკითხავს, ხომ არ შეგეშინდაო.  
 წეტავი ეკითხათ, ამ თემაზე ბევრი მქონდა სალაპარაკო. ერთხელაც მახსოვს,  
 „პან ამერიკენის“ თვითმფრინავში ვიჯექი, როცა რაღაცნაირი ხმაური მომესმა...

– როგორ ხარ? რამბლაზე გამოიარე თუ კანელონესზე?

– კანელონესზე, მაგრამ ჯოჯოხეთური მოძრაობა იყო. ვიდაც გადარეული  
 გამომიხტა გზაჯვარედინზე, ისე მიქროდა, პასო დე ტოროსში ეგონა ალბათ  
 თავი.

– შენც რას ჩააცივდი ამ კანელონესს. რამბლაზე უფრო სიმშვიდეა.

– რა ვიცი, ყოველთვის რამბლაზე დავდივარ, მაგრამ დღეს ძლიერი ქარი  
 იყო და ერთმა კლიენტმაც გამაფრთხილა, ზღვა ისე ღელავს, რამბლაზე არ გახ-  
 ვიდეთ, გაიწუწუებითო. მანქანაც ახალი გარეცხილი მქონდა...

– უგო თუ ნახე?

– არა.

– დილით დარეკა, თუ მოვიცალე, რამონს სააგენტოში შეუვლიო.

– შეიძლება შემოიარა კიდევ. მე ხუთ საათზე წამოვედი, ბებერს უნდა  
 შევხვედროდი.

– როგორ არის მამაშენი?

– კარგად. შეიძლება ხვალ გვესტუმროს. მოკითხვა შემოგითვალა.

– იმედია, არ გიჩხუბიათ.

– არა, მთლად არა.

– ნუთუ არ შეგიძლია მამაშენს არ ეჩხუბო?

– გითხარი, დღეს არ გვიჩხუბია-მეთქი. კამათით ვიკამათეთ. ხომ იცი, მე  
 და ის ვერ ვეწყობით ერთმანეთს.

– უბედურება ის არის, რომ ჯიუტი ხარ, არ უთმობ.

– ის მითმობს?

– ის მოხუცია. გვიანაა, ამ ხნის კაცს აღარაფერი შეცვლის.

– ხუსანა...





- რა იყო?
  - მე რომ შევცვლილიყავი, შენ რას იზამდი?
  - მაინც რაში შევცვლილიყავი?
  - ყველაფერში.
  - იქნებ მარტო მამაშენის მიმართ?
  - არა, ყველაფერში-მეთქი.
  - რაღაც ვერ გავიგე, რამონ.
  - რა გავგება ამას უნდა: მე რომ, ვთქვათ, სააგენტო გავაუქმო, ბებერს ვა-  
ლები დავუბრუნო და ყველაფერი თავიდან ღამის არაფრიდან დავიწყო და თა-  
ნაც, რა თქმა უნდა, სხვის დაუხმარებლად...
  - იცი რა, რამონ, დღეს სულაც არა ვარ ხუმრობის ხასიათზე. ორი დღეა  
მოახლე არ მოსულა და ღამის წელში გაეწყდე. ძალიან დავიღალე.
  - არ ეხუმრობ, სუსანა.
  - გეუბნები, დავიღალე-მეთქი. თავიც ამტკივდა.
  - კარგი, კარგი, დამშვიდდი, გეხუმრე.
  - იმედია, არც გიფიქრია, რომ შენს სიტყვებს სერიოზულად მივიღებდი.
  - რა თქმა უნდა... უბრალოდ, გავეხუმრე. სააგენტოს( არ გავაუქმებ, ბე-  
ბერსაც ფულს ხელ-ხელა დავუბრუნებ და საერთოდ, ყველაფერი ძველებურად  
იქნება.
  - ვერ გამიგია, რა მოგდის, რამონ. ისე უაზროდ ლაპარაკობ თავისთავად  
უკვე გარკვეულ და აწყობილ საქმეებზე, რომ კაცს გააგიჟებ.
  - იქნებ არის კიდევ უაზრობა?
  - კი მაგრამ, რას აპირებ?
  - დავიბან, წავიკითხავ, ვისკის დავლევ.
  - ვახშამს გავამზადებ და დავიძახებ.
  - დიდებულაია.
- ღიახ. დარწმუნებით შემოდგია ვთქვა, რომ დამთმობი ხასიათი და ერთფე-  
როვანი ცხოვრების მიმართ მორჩილება სწორედ რომ უაზრობაა. რას ვიზამ,  
მე გმირი არ ვარ, გვანებითაც კი არ გვავარ გმირს. საკმარისი იყო სუსანას ეთ-  
ქვა, შენი სიტყვები სერიოზულად არც მიმიღიაო, რომ მეც მაშინვე გადამეთქვა  
ვიხუმრე-მეთქი. საკმარისი იყო მას ვთქვა, სულაც არ მეხუმრებო, რომ სა-  
კუთარი სიტყვები მევე მომჩვენებოდა უაზრობად. ვიცი, აღარაფერი შემცვლის,  
როგორცა ვარ, ისეთი დავრჩები ყოველთვის. რაიმე გადამწყვეტი ნაბიჯის გა-  
დადგმა, რაიმე მნიშვნელოვანი, დრამატული გადაწყვეტილების მიღება მე არ  
შემიძლია. ჯერჯერობით ეს ყველაფერი თავში, აზრებში მაქვს ჩაკირული, ჯე-  
რჯერობით მხოლოდ ვთამაშობ წარმოსახვებით, ხოგჯერ გაბედულება შემატე-  
ბა, მეჩვენება, სადაცაა ავიწყვეტ, რაღაცას მოვიმოქმედებ, მაგრამ როცა ღვება  
მოქმედების უამი, მაშინვე აუხსნელი, პანიკური შიში მიპყრობს, აი, ისეთი —  
ბავშვობაში ბუზები რომ ურჩხულებად( მეჩვენებოდა, ისეთი — გავეშებული  
ძროხა ჩემსკენ რომ მოექანებოდა, თუნდაც ისეთი — ოცი წლის ბიჭი ციკლო-  
პივით ცალთვალა მატარებლის წინ რომ აღმოვჩნდი და ისეთიც, ოცდახუთი  
წლისა ავტობუსმა რომ მისროლა ჰაერში. დარწმუნებით ვერ ვიტყვი, რისა მე-  
შინოდა ახლა, სიღარიბის, სიძნელეების თუ ადამიანთა მზრიდან ზიზღისა. შე-  
საძლოა, ეს შიში უფრო სულმდაბლურია. შეიძლება ეს, უბრალოდ მოუწყობე-  
ლი ცხოვრების მიმართ შიშია. როცა იმაზე ვფიქრობ, რა უფერული, მოსაწყე-  
ნი და გაყინული ცხოვრება მაქვს-მეთქი, ისიც არ მავიწყდება, რომ რუტინაში  
უმნიშვნელო, მაგრამ სასიამოვნო წუთიც გამოერეოდა ხოლმე. მე რომ გენიო-



სი კაცი ვიყო, ან ძალაუფლებიანი, ან, უბრალოდ, შეყვარებული, მაშინ სიღარიბესა და ადამიანების მხრიდან ზიზღს სულაც არ შევუშინდებოდი, მაშინ ჩემთვის მთავარი იქნებოდა ჩემი საქმიანობა, ჩემი სიმტკიცე, ჩემი ნაღდი სიყვარული, მაგრამ რადგან ცხოვრებაში არაფერი ამდაგვარი არ გამაჩნია, ამიტომ იმ უმნიშვნელო ერთი-ორ სასიამოვნო წუთსაც ვჯერდები. სიამოვნებას მანიჭებს, მაგალითად, ჩემი მანქანა, ჩემი კაბინეტი აქ, პუნტა გორდაში, წყნარად, საესე ჩემი ოთახი ზღვისკენ გაჭრილი ფანჯრებით, ჩემი მწვანე მანქანა, მოპირკეთებული საბანაო ოთახი, ლამაზი ონკანი და ქაღის თეძოებივით მოზრგვალეული აბაზანა, რომლის დახატვაზე მატისიც არ იტყოდა უარს; ჩემი საუცხოო პერანგები, ჩემი ძვირფასი კოსტუმები, ჩემი აბრეშუმის ჰალსტუხება, ჩემი საყვარელი მხატვრების ნახატები კაბინეტსა და სასტუმრო ოთახში, ვან-მომობის წინ ორი ჭიქა ვისკი, ზაფხულის წყნარ საღამოს წარმოუდგენელი სიმშვიდით ავსებული სახლი და ტერასა, ჩემი სტერეოფონი, შეუდარებელი ტანგო. შეუდარებელი ბლიუზები და შეუდარებელი მოცარტი; ჩემი ლამაზყუთიანი ფოტოაპარატი „როლეიფლექსი“, რომელიც საერთოდ არ მიხმარია; ფირმა „სკირას“ მხატვრული ალბომები, შვედური დანა-ჩანგალი... მიყვარს ლამაზი ნივთები. განა ეს დანაშაულია? არ მიყვარს ბანკებში შენახული ფული, არ მიოცნებია მიწის მესაკუთრე ან ბირჟის მოხელე ვყოფილიყავი. თავისთავად ფული არ მიზიდავს, სამაგიეროდ, ნივთები მიზიდავს. ნივთების შეძენას კი ფული ჭირდება. დიახ, ფული ჩემთვის ერთგვარი შუამავალია მატერიალური სიღამაზის ყიდვისას, იმ სიღამაზისა, ჩემი გემოვნების დამოწმებას რომ წარმოადგენს და სიმშვიდის საუკეთესო წუთებს რომ მიმშვენებს. სოციალურ სამართლიანობაზე რომ ლაპარაკობენ, უპირველესად, რა თქმა უნდა, მხედველობაში აქვთ შიმშილობისა და წერა-კითხვის უცოდინარობის აღმოფხვრა, ნორმალური ბინები. ჩემი აზრით, ამ სამ ძირითად პრობლემას უნდა დაემატოს უფლება იმისა, რომ ადამიანს შეეძლოს თავისი გემოვნების მიხედვით გაიღამაზოს გარემო. რა თქმა უნდა, ეს ისე სასწრაფო გადასატრეული არ არის, როგორც ვთქვათ პურისა და ბინის საკითხი, მაგრამ არც შორეულ მომავალშია გადასატრეული.

რა სასიამოვნოდ მოქმედებს თბილი წყალი! კარგად მოვიქეცი, შხაპის ნასურეტები რომ გავაგანიერე — უხვად დამდის სიმშვიდის წვიმა, უდიდესი სიამოვნებაა იდგე ასე უკან თავგადაწეული და წყლის მკლავებში მოქცეული. წყალი თითქოს შუაში ჩამდგარა შენსა და ყოველგვარ ამქვეყნიურ საზრუნავს შორის, სადღაც მიუჩურთავს მოგონილი სინდისის ქენჯნა, რეალური ცხოვრება. ნეტავ რამ გამახსენა რომულს? კო, ვიცი, რამაც გამახსენა. ერთმანეთს შეერწყა ორი სახება: რიოსი და ჭიპი. რატომღაც ერთმანეთს დაუუკავშირე ერთი მხრივ ხაწყალ რიოსის მონაყოლი რომულს პროვინციითურთ, მეორე მხრივ — წყალი, რომელიც ჩემს ჭიპთან პატარა ჩანჩქერს ქმნის. ერთხელ რომულს თავისი ქირურგიული საქმიანობიდან ერთი დაკვირვება გამანდო: „ალბათ იცი, ოპერაციის წინ ავადმყოფს საგულდაგულოდ ებანთ ხოლმე. არ ვიცი, რცხვენიათ თუ რა არის, უმეტესად პაციენტები თავად მოდიან დაბანილები, მაგრამ ჩვენთან, საავადმყოფოში, წესია ასეთი: სანიტრებს ევალებათ მაინც შეამოწმონ ერთი ადგილის პივიენური მდგომარეობა. ჭიპზე გეუბნები. ეტყობა, ადამიანებს ავიწყდებათ ხოლმე თავიანთი ჭიპი“. მსგავსი ფსიქოანალიზი რომულს რომ მოესმინა, ალბათ დაასკვნინდა: ადამიანს თავისი წარმომავლობის დავიწყება სურსო. გამოდის, მე არ მაეიწყდება ჩემი წარმომავლობა. მე იგი მახსოვს და ვისაპნავ კიდევ. მახსოვს და ვიბან კიდევ. ახლა ცივ წყალს მოვუშვებ. ღამამშვიდებელი თბილი წყლის მერე კარგია მატონიზებელი ცივი წყალი. ო, რა



ცივია! მეტისმეტი მომივიდა. ესეც ასე. მოვრჩი. ეს შორტები დამვიწროებია. წინათ ღიბი არ მეკიდა, წინათ გამხდარი ვიყავი და უკეთაც ვგრძნობდი თავს.

რა სასიამოვნო ვისკია. მიყვარს მშრალი ვისკი, ყინულით. თქვენ გავი-  
მარჯოთ, ძვირფასო ჭორფლიანო მისის რენსომ. აი ახლა კი ნამდვილად კარ-  
გად ვარ. ფიზიკურად კარგად. ამის არ აღნიშვნა ნამდვილად არ შეიძლება  
იმითომ რომ, ბევრჯერ შემიმჩნევია — მაშინ მიგრძნია თავი კარგად, როცა  
რადაც უხერხულსა და საჩოთიროს ვიყნოსავდი ხოლმე. ასე მომივიდა, მაგა-  
ლითად, „ტეკილაში“ შეკრებისას. ურუგვაელები მანამდე არ გამოტყდნენ, რო-  
გორ ჰყვარებიათ თავიანთი პატარა ქვეყანა, ვიდრე არ გაიგეს სტიქიამ მიწას-  
თან გაასწორაო. მარსელასა და ლარალდეს გარდა მართლაც რომ ბრიყვების  
კრებული იყო. რატომ არის ასე, რომ ჩვენ, ურუგვაელები, დავადგამთ თუ არა  
ფებს უცხო მიწაზე, მაშინვე უხამსები და უბოდიშოები ვხდებით საკუთარი  
სამშობლოს მიმართ? აქაც არ ვაკლებთ ხელს, მაგრამ უცხოეთში ნამდვილად  
ვაჭარბებთ. ფიზიკურად კარგად ვარ-მეთქი, ისე კარგად რომ ძილი მერევა...  
იქნებ წავიძინო?.. ჰო, თუ სადილის წინ ძილი — ვირის სიესტაა, ვახშმის წინ  
სიესტა! ნეტავ რა უნდა დავარქვათ? ვისი სიესტა? არ ვიცოდი, ფაენი თუ ვი-  
ყავი, სამაგიეროდ ახლა ვიცი, კენტავრი ვარ. წინა ფეხები წვრილი და სუსტი  
მაქვს იმ გავეშებულ ძროხასავით. ვიტრინებს შევცქერი. აი, კენტავრი — მანე-  
კინი, რომელსაც Wash Wear-ის პერანგი აცვია. აგერ მწვანედ ანთებული შუქ-  
ნიშანი, კიდევ ხუთი კენტავრი გადადის თერამეტი ივლისის პროსპექტზე. ორს  
გავაზე ქალები უზის — როგორც მოტოციკლზე. მას შემდეგ, რაც კენტავრი გა-  
ვხდი, სულ ქალს ვეძებ. მეც მინდა გავაზე შევისვა. იქნებ მისის რენსომი შე-  
მესვა? არა, მეტისმეტად ჭორფლიანია, თანაც თვითონ მიტყვეს აქეთ. მე კი ეს  
არ მომწონს. როსარიო? როსარიო შორსაა, თანაც კენტავრ ულისეს ასოკარ-  
თანაც კარგად გრძნობს თავს. სუსანა? სუსანა სხვა ვიტრინაშია. სუსანა-მანე-  
კენს მაცივრიდან — „ჯენერალ ელექტრიკ“-იდან — ჩემი ჩათქვირებული მდივან-  
ნი ქალი გამოუთრევია და მაგიდისკენ უბიძგებს, ზამთრის გვემას ჩაუჯექიო.  
დამცხა. ოფლად ვიღვრები. კენტავრებისთვის საჭირო ოფლიანობის წამალი  
უნდა ვიშოვო. სად არის აქ აფთიაქი? აფთიაქი აგერაა საშაქარლამოში. კარებ-  
ში ხავიერის ცოლი დგას და იღიმება: უხარია, რომ შიშველია. საოცრად დიდი  
მუცელი აქვს, უჭიპო, რევმატიზმზე ლაპარაკობს გაუთავებლად. ხავიერი რო-  
გორ არის სენიორა? ხავიერი, ჩემო დონ რამონსიტო, ფარნის შუქზე მუშაობს,  
თქვენი არამზადა მაშიკოს კარტოთეკას ავსებს. მე დონ რამონსიტო არა ვარ,  
სენიორა, მე კენტავრი ვარ. კენტავრი კი ხართ, მაგრამ სახე დონ რამონსიტო-  
სი გაქვთ, თანაც ძალიან ჰგავხართ დოქტორს. ეგ ღმერთმა ნუ ქნას! როგორ,  
თქვენ დოქტორი არ ხართ? არ ვარ. დოქტორი ბინძურ საქმეებშია გარე-  
ული. დონ რამონსიტო, თქვენც გვარიანად გაგფუჭებიათ ნალები. შეუძლებე-  
ლია. დიახ, დიახ, ნალები კი გაგფუჭებიათ, მაგრამ თვალები სუფთა გაქვთ. ეს  
ცრემლის ბრაღია. დონ რამონსიტო, არ შემისვამთ გავაზე? მომწონს თქვენი  
გავა. ბოდიშს ვიხდით, სენიორა, მაგრამ თქვენ ულამაზო ხართ, მე კი ძალიან  
მიყვარს, როცა გარშემო ლამაზი ნივთები მაჩვენებია. ამისათვის შემიძლია რევი-  
ლუციაც კი მოვახდინო. მაშინ დოლი მაინც შეგესვათ? დოლი ჩემი ძმის ცო-  
ლია. ჩემი რძალი, ამიტომაც ვერ შევისვამ გავაზე. სწორედ შენი ძმის ცოლი  
ვარ. ოჰ, მაპატიე, დოლი, სულ დავიბენი, ხავიერის ცოლი მეგონე. აბა, რა სი-  
სულელეს ამბობ, ხავიერის ცოლს დიდი მუცელი აქვს, რევმატიზმიც აწუხებს,  
თანაც არასოდეს იხდის პერანგს და ამიტომაც არც არასოდეს ყოფილა შიშვე-



ლი. შენ შიშველი ხარ, დოლი, თან რა ლამაზი. შენ კი ყველაზე კარგი კენტა-  
ვრი ხარ მთელს ლათინო-ამერიკაში, „ლათინურ ამერიკაში“ უნდა თქვა, დოლი,  
რა საჭიროა ეს „ანგლიციზმი“. შენ ყველაზე კარგი კენტავრი ხარ მთელს ქვე-  
ყანაზე და იმის იქითაც. კიდევ... შენ გეყოლება იმ გავეშებულ პროხასკვარ  
წვრილფეხება ვაჭიშვილი... როდის? რო...



— ...მოლონ, რამოლონ. დაგეძინა, რამონ? ვახშამი მზადაა.

უსაუზმოდ, შეუმჩნევლად მინდა გავიპარო. ლაპარაკის თავი არ მძვინვარებდა.  
კუნთები დაჭიმული მაქვს, თავი დამძიმებული. გუსტავოსთან კი არ  
მინდა დალაპარაკება, მაგრამ, ეტყობა, არ ამცდება, სადაცაა შემოვა. მხოლოდ  
დილაობით თუ მივუგდებთ ერთმანეთს ერთ-ორ სიტყვას. დავიდალე. რამ და-  
მალა? საწყენია, რომ ცა უღრუბლოა, სით სასიამოვნოდ უბერავს და ზღვაც  
მშვიდია. საოცარია, შუა აპრილია და სამი დღეა ზაფხულივით ცხელა. მერ-  
ჩინა, დღეს ცა მოქრუშული ყოფილიყო. ნეტავ შემეძლოს ამინდის შეცვლა,  
მაგრამ სამწუხაროდ, არ შემიძლია.

— გუშინ გვიან მოხვედი?

— პირველზე.

— როგორ მიდის მზადების საქმე?

— კარგად. არ გინდა ამაზე ლაპარაკი, მამა, მოსაწყენი თემაა. უგომ დაგი-  
რეკა, გეძინა, არ გაგაღვიძე. მანქანა დაუმტვრევია, წარმოგიდგენია, თანაც  
როდის, გაფიცვის დღეს. დილით ადრე უნდა გამგზავრებულიყო დურასნოში,  
მაგრამ ვეღარ მიდის და გთხოვა, ცენტრისკენ რომ წახვალ, დოლიც გაიყოლეო.

ვერაფერი გამიგია მათი ცოლქმრობისა. დოლის მუდამ სიმშვიდე ახატია  
სახეზე, როცა ქმარს შესცქერის და მის ბრიყვულ ლაქლაქს უსმენს, ბედნიერ  
ქალს ჰგავს. კრძალვით ვიხრი ქედს ქალის ასეთი საიდუმლოს წინაშე. უგო ნა-  
მდვილად ქარაფშუტა კაცია. ასეთი ქმრის გვერდით ქალი მხოლოდ იმ შემთხვე-  
ვაშია ბედნიერი, როცა ორივეს ერთი ჯგუფის სისხლი აქვს. დოლი კი სხვაა.  
დოლის საკუთარი ცხოვრება აქვს — ოღონდ ყველასაგან დაფარული. დოლის  
ხიბლი განსაკუთრებით მაშინ იგრძნობა, როცა სიტყვა არ არის საჭირო: —  
დუმილში, ქცევაში, გამოხედვაში... უგოს მხიარულ კაცს ვერ უწოდებ, თუმცა  
არც მოწყენილი ეთქმის, ბუზღუნიც ემარჯვება. ბებრისგან ბევრი ცუდი გამო-  
ჰყვა შემკვიდრობად, მაგრამ ბებრის მოზღვავებული ენერგია, მისი უფროსო-  
ბისკენ სწრაფვა, მისი შორსმჭვრეტელობა და ადამიანების წამიერად შეცნობის  
მისეული ნიჭი ნამდვილად არ დანათლებია. უგო მათხოვარია. მე როგორიღა  
ვარ? ღანა მე კი არა ვარ მათხოვარი? იქნებ უარესაცა ვარ. უგოს რა უჭირს,  
თვითონ ვერა გრძნობს თავის ნაკლს... დოლი, ძვირფასო. პირველად დოლი მა-  
შან ვნახე, როცა ათი წლის დაქორწინებული ვიყავი, ეს იყო ის, ვისაც მთელი  
ცხოვრება ეეძებდი, ის კი უგოს საკუთრება გახდა. სუსანა იმიტომ ვითხოვე,  
რომ ყფიქრობდი, „ეს“ არ არსებობს-მეთქი, უფრო სწორად, შეეურიგდი იმ  
აზრს, რომ „ეს“ არ არსებობს. ბუნებრივია, როცა კაცს ჰგონია, დოლი არ არ-  
სებობს, მაშინ სუსანასაც არა უშავს. მაგრამ საქმე ის არ არის, რომ დოლი  
არსებობს და აი, ახლა, აგერ ბაღში დგას და ხელსაც მიქნევს.

— გამარჯობა, დოლი.

— გავიმარჯოს.

— უგომ რაღაც დამავალა.

— პო, წარმოგიდგენია, მანქანას ღერძი გაუტყდა და თანაც სწორედ დღეს.



- ოო, ღერძი სახუმარო საქმე არაა.
- საბედნიეროდ, ნელა მოდიოდა, სახლთანაც ახლოს იყო.
- კიდეც კარგი.
- შეიძლება დავჯდე?
- რა თქმა უნდა. დღეს მშვენიერი ხარ.
- მაღლობთ, ძვირფასო.
- ძალიან მიხარია, ერთად რომ გვიწევს მგზავრობას. უკეთესი კოტა გამგები კაცი იყოს, ღერძს ყოველ კვირა გატეხავდა. იცი რა, წამოსვლისას არ მისაუზმია.
- საბრალოვ.
- „ლა გოლეტაში“ შევიდეთ.
- შევიდეთ, არ შეჩქარება. სიამოვნებით დავლევდი ყავას.
- ჰოდა, ძალიან კარგი, გვიქეიფია და ეგ არის.
- ვერ ვიტყვი, ღამაში ეთქმის-თქო დოლის, მაგრამ მომხიბლავი ნამდვილად არის. ქათინაურები უყვარს, თვალები უყუყუნებს ხოლმე.
- დოლი, წუხელ დამესიზმრა.
- წარმომიდგენია, რა კომპარული სიზმარიც იქნებოდა.
- პირიქით, დოლი, სასიამოვნო სიზმარი იყო.
- რამონ, არ მომწონს ასე რომ მიყურებ.
- სამაგიეროდ მე მომწონს, რასაც ვუყურებ.
- ჯემიან პურს არ უხდება ასეთი სიტყვები.
- იცი, რა დამესიზმრა, დოლი?
- არ ვიცი და არც მინდა ვიცოდე. კაცებს ქალები ყოველთვის ერთ მდგომარეობაში ესიზმრებათ.
- ძალიან ცდება. დამესიზმრა, ვითომ კენტავრი ვიყავი.
- კარგი ერთი! მე რაღა ვიყავი, ფირაფი?
- არა, შენ დოლი იყავი.
- კიდეც კარგი.
- შენ დოლი იყავი და ჩემგან შვილი უნდა გყოლოდა.
- კი მაგრამ, რამონ...
- ეგ გაწითლება კიდეც უფრო გაღამაზებს, დოლი.
- ამას ჰქვია „ანკესის მოღება“.
- არავითარი ანკესი. ჩემგან შვილი უნდა გყოლოდა, დოლი.
- კარგი ახლა, გეყოფა. რა ხანია ვიცდი, იქნებ სერიოზული მითხრა რამე...
- ... იერიოზული?
- ჰო, მაგალითად, რომ კარგა ხანია ვიყვარვარ ან რაღაც ამდაგვარი. აი, ახლაც მეგონა, მეტყობდი, დამესიზმრა, თითქოს ერთად ვიწუქითო. პასუხიც უკვე მომზადებული მქონდა, შენ კი... ისაო, კენტავრი ვიყავიო... არ მოველოდი შენგან ამას.
- ეგ ხომ იგივეა, დოლი, ჩემი სიზმარი სწორედ იმას ნიშნავს, რისთვისაც შენ პასუხი გქონდა უკვე გამზადებული.
- არა, ეს სულ სხვა რამაა, რამონ, სხვა რამაა. იმ წუთიდან, შენ რომ სიტყვა „შვილი“ წარმოთქვი. შენ ხომ არ იცი, რამონ, მე შვილი მინდა... ყოველთვის მინდოდა...
- ძალიან გთხოვ, ნუ ტირი.



ქართული



— ყოველთვის მინდოდა, მაგრამ უგოს ვერაფერი მოვუხერხე. ასე გამომიცხადა, არც ახლა მინდა შევადგეს შეილი და არც მომავალში ვისურვებო.

— კი მაგრამ, საიდან იცის რომ არ ისურვებს?

— ათისჯერ მაინც აქვს ნათქვამი, სულ ასე მიშორებს. როცა კი ვთხოვ... შეიძლება მოვლი ცხოვრება შეიკავო თავი? რა დროს შეიღების გაჩენაა, როცა ქვეყნიერებას ატომური საფრთხე ელისო.

— არ მომიტყუებიხარ, მართლა ენახე ასეთი სიზმარი..

— მჯერა.

— დოლი, მიყვარხარ. რა თქმა უნდა, ეს წარმოუდგენელი ველურობაა, მაგრამ რა ვქნა, რა მოვუხერხო თავს, როცა მართლა მიყვარხარ.

— მჯერა.

— შენ?

— არა.

— ოოჰ...

— რამონ, შემომხედე, რამონ. ნუ მიწყრები. ვიცო, კარგი ადამიანი ხარ...

— ვინ ვითხრა?

— სხვისი თქმა რად მინდა, თვითონაც ვხედავ. ისიც ვიცო, უგოს ბევრად სჯობიხარ...

— რაზე მეტყობა?

— გამიგე, რამონ, შენს შეყვარებას რა სჯობია, შესანიშნავი კაცი ხარ, უგო კი შტერია და უხეში, ზოგჯერ — ბოროტიც, მაგრამ ასეთ დროს გონება უძღურა. მართალია, შენ კარგი ხარ, უგო კი ბევრი არაფერი, მაგრამ მე ის მიყვარს, რამონ, არც კი იცი, როგორ მიყვარს.

— ნუ ტირი, ყველაფერი გასაგებია. წერტილი. აღარ შევაწუხებ, აღარაფერს გეტყვი... სიგიჟემ მომიარა... იმიტომ გავბედე თქმა, რომ ერთხელ მენდესას რესტორანში... შენ ალბათ არც კი გახსოვს...

— მახსოვს.

— მე ვითხარი, თუ კიდევ მომადებ ტუჩებზე ხელს, ვაკოცებ-მეთქი.

— მე ვიპასუხე, მერე ეს არის რაინდობა-მეთქი?

— მეც ვიპასუხე: მხოლოდ ხელის გულზე-მეთქი. მაშინ შენ მითხარი: კიდევ თქვი რამე სისულელე, მინდა, ტუჩებზე ხელი აგაფაროთ.

— ჰო, ასე იყო.

— მე მომეჩვენა... თითქოს რაღაცა მიმანიშნე, თითქოს რაღაც გრძნობა გაგაჩნდა ჩემ მიმართ...

— კი, რამონ, გამაჩნდა, რა თქმა უნდა, გამაჩნდა და გამაჩნია კიდევც, მაგრამ არა იმ აზრით, შენ რომ ფიქრობ და ვინდა. იმ აზრით მე მხოლოდ უგო მიყვარს.

— მაშინ რატომ მითხარი ასე?

— იმიტომ, რომ იმ საღამოს სასოწარკვეთილს ლამის გული გამსკდომოდა. მე და უგომ მაგრად ვიჩხუბეთ ისევ იმ მიზეზის გამო. თანაც პირველად მივხედი, პირველად დავინახე, რა მარტოსული იყავი. დავინახე და შემებრალე, მეც ხომ იგივეს განვიცდიდი. სულ რაღაც ერთი წუთი დამძური სიყვარული სხვა სიყვარულით შემეცვალა. გამიგე, რამონ, არც ერთი ქალი არ იტყვის უარს შენს სიყვარულზე, მაგრამ მე არ შემიძლია. არ იფიქრო, ჭორებისა მე-წინოდეს, ან ერთი ვიღაც სოფლელი ქალი ვიყო. არც მორწმუნე ვარ დიდად. ეს უფრო წყალდიდობასა ჰგავს, შესაძლოა სულაც არ არის ეს სიყვარული. არადა, შენ რომ შეგვიყვარო, უარესად ვიქნები ალბათ.

ეროვნული  
ბიბლიოთეკა



— ერთი შეკითხვა მაქვს. შეგიძლია დამიხატო უგოს ჭეშმარიტი სურათი, ისეთი უგოსი, შენი ღირსი რომ არის, შენს თვალში ჩემზე უკეთესი რომ ჩანს? მინდა მეც ასეთი დავინახო.

— აჰ, ეს ძნელი საქმეა. უგო ჭკვიანი არ არის, ქარაფშუტა, მან ცდილობს ქარაფშუტულად იცხოვროს. ჩემი აზრით, ის იმიტომ იქცევა ასე, რომ ეწინაა, საკუთარი თავი შეიცნოს, საკუთარ თავს ჩაუღრმავდეს, ვერაფერი საკუთარი თავი თვალახელილმა დაინახოს. ჰო, ის მხდალია, მაგრამ ერთი შემთხვევა დღეს, როგორც კი შეიცნობს საკუთარ თავს, დაინახავს ისეთს, როგორიც არის, ჩემი აზრით, მაშინვე გაუქრება შიში. მის არსებაში ჯერჯერობით ღრმად არის ჩაძალული გულუბრყვილო, კეთილი, სულგრძელი კაცი. დროდადრო რაღაც ნათელს ვიჭერ მის გამოხედვაში, მაგრამ უგო მაშინვე იკეტება, თითქოს რცხვენია, არ ამოვიცნო სხვა უგოს არსებობა. შენ იტყვი, ეს ცოტააო, მაგრამ ჩემთვის ეს ყოველდღიური ტკივილია. ყოველნაირად მინდა ვეცადო, ჩემი არ რცხვენოდეს. მინდა ვეცადო, საკუთარი თავისა არ რცხვენოდეს. ერთხელ შენზე წამომიწყო ლაპარაკი.

— ჩემზე?

— ჰო, შენზე. ცოტა ნასვამი იყო. რამონს ვბულვარო, ასე მითხრა.

— არ მძულს, დოლი, მე შეჩვენება, რომ ცუდისა და კარგის გარჩევა არ იცის, ბრიყვულად ბაძავს ბებერს.

— ჰოდა, განა ეს სიძულვილი არ არის? საშინელებააო, ასე მითხრა, გული მეკუმშება, ზოგჯერ მაკლიაო. მეც ამასვე ვფიქრობ, რამონ, შენ აკლიხარ შენს ძმას.

— ამას ვერასოდეს წარმოვიდგენდი.

— რას?

— რომ უგოს შეეძლო ასე ეფიქრა.

— აი, ხომ ხედავ, თურმე შესძლებაო.

— ჰო, ახლა ვხვდები, რა კრეტინიცა ვარ.

— სულაც არა ხარ კრეტინი. რა შენი ბრალია, თუ უგოს ნიღაბი აქვს აფარებული? ბევრჯერ მინახიხართ ერთად და ბევრჯერ შემიძინებია, როგორ ცდილობდა, გული ეტკენინებინა შენთვის, ზოგჯერ მეტიმეტის მოსდიოდა...

— ხომ მაპატიებ, დოლი, სიზმარზე და რაღაც ამგვარებზე რომ გელაპარაკე?

— ცრემლმა შვება მომცა. შენი სიზმრისთვის მადლობელი ვარ. არ დავიჯერებ, რა სიამაყეს ვგრძნობ, შენისთანა კაცი სასიამოვნო სიზმრებში რომ მხედავს.

— კარგი, ახლა ყველაფერი ნათელია. სიზმრები დამთავრდა, მხოლოდ ნება მომეცი, ხანდახან მაინც დაგელაპარაკო.. არავისთან, საკუთარ თავთანაც კი არ ვარ ჭეშმარიტებასთან ისე ახლოს — ჩემს ჭეშმარიტებასთან — როგორც შენთან გამიგე?

— კი, რამონ.

— სად გადმოგსვა?

— სადმე, თვრამეტი ივლისის გამზირზე.

— რიო ბრანკოსთან?

— კარგი იქნება.

— შეხედე ამ ძაღლს.

— მაწანწალა კაცის სახე აქვს.

— გინდა იყო მაწანწალა?



— არა მგონია. შენ?

— ახლა არა, მაგრამ ბავშვობაში ძალიან მინდოდა.

— მე პირიქით, გემის კაპიტნობა მინდოდა... მეგონა, ქალი და კაცი ძბო-  
ლოდ ტანსაცმლით განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან; ტანსაცმელს ვამო-  
იკვლიდი და რაც ვინდოდა ის გახდებოდი.

— კრისტინა იორჰენსენმა, მაგალითად, შენი ეგ თეორია დაამტკიცა.

— მართლა?

რა კარგია, რომ მასთან ყველაფერზე შემიძლია ვილაპარაკო — ძაღლებ-  
ზე მაწანწალებზე, იორჰენსენზე. მე მგონი, ახლა უფრო მეტად მიყვარს, არა-  
და ახლა უკვე დარწმუნებით ვიცი, ჩვენ შორის არაფერი არ მოხდება. ნეტა  
რატომ ადრე არ შევხვდი მას? რატომ არ დავასწარი უგოს? ასეთი ქალის  
გვერდით არაფრისა შემეშინდებოდა. აი, კიდევ ერთი დასტური იმისა, რომ  
მზალი ვარ.

— რატომ გაჩუმდი?

— ვფიქრობ.

— მე როცა ბევრს ვფიქრობ, ნაღველი მიპყრობს ხოლმე, სულთ ვეცემი,  
ღედაბერი მგონია თავი.

— იცი, მე და ბებერმა გვარიანად წავილაპარაკეთ.

— კიდევ?

— ჰო, კიდევ. მხოლოდ შენ გეუბნები! რაღაც ბინძურ საქმეს იწყებს. გა-  
ფაფრთხილე, სანამ დროა, მოეშვი-მეთქი.

— ეგ დიდი ხანია ვიცი. უგომ მითხრა, უგოს ეშინია.

— რისა ეშინია?

— ვაითუ მამაჩემი დამარცხდესო.

— ეგ არ მოხდება, ბებერი დაუმარცხებელია.

— დაუმარცხებელი კაცი არ არსებობს.

— შენ ხომ ბებერი არ გიყვარს? ხომ ასეა?

— არ მიყვარს. უგოს ბევრჯერ მოექცა ცუდად.

— მე?

— შენც, მაგრამ შენ უგოზე ძლიერი ხარ.

— მე რომ მართლა ძლიერი ვიყო, მოესპობდი. მისი მოსპობა კი მხოლოდ  
მაშინ შეიძლება, თუ მოკლავ.

— რამონ.

— ნუ გეშინია. ბებერი მართლ დაუმარცხებელი კი არა, უკვდავიცაა.

— მაგრამ შენ საშინელებას ამბობ, საშინელებაა ასეთი რამის გაფიქრე-  
ბაც კი.

— ჰო, საშინელებაა, თვითონვე ვაღიარებ. ხედავ, რა გულახდილი ვარ შე-  
ნთან. აქამდე ყველაფერს მხოლოდ საკუთარ თავს ვუმხელდი... ჰო, მე მინდა  
მისი სიკვდილი: წარმოგიდგენია?

— საბრალო რამონი.

— ასე მგონია, თუ ის მოკვდება, მოკვდება ყველაფერი ცუდი, რაც ჩემშია  
და შესაძლოა რაც ქვეყანაშია. ლამის გამაცოფოს მისმა ცინიზმმა, იმან, თუ  
როგორ სარგებლობს ჩვენი გაცვეთილი ფრაზებით, ჩვენი წეს-ჩვეულებებით,  
ჩვენი ცრურწმენებით, ჩვენი აკრძალვებით. როცა ჩვენს ქვეყანაში ჩამოდის  
უცხოელი და ისეთივე გაღიმებული ზიზლით შემოგვეცქერის, როგორითაც ალ-  
ბათ იანკები შესცქერიან ჩვენს გაწვდილ ხელებს, მაშინ ჩემს სულში თითქოს  
რადცამ ამოხეთქაო, რისხვა მიპყრობს, ჰო, რისხვა, მაგრამ როცა ზიზლით შე-



მოგცქერის შენიანი, — მაგალითად, ბებერი — და ყველა მისი ქმედება ერთი დიდი დატინვის ჭუჭყიანი ნაწილი ხდება, მაშინ რისხვის ნაცვლად საშინელ უღონობას ვგრძნობ და ამოხეთქავს კი არა, პირიქით, რაღაც იფუშება ჩემში, ყველაზე მეტად ის მკლავს, რომ მე მისი შვილი ვარ და რაც არ უნდა ვთქვა მის საწინააღმდეგოდ, რაც არ უნდა ვეცადო ქვეყანას ავაცილო მისი დამღუპველი არსებობა, — აღქმული იქნება, როგორც უმადურობა, როგორც გაბოროტება, გულღრძობა, როგორც ღალატი. ბებერმა კარგად უწყის და ამიტომაც როგორც კი შემთხვევა მიეცემა, საგანგებო ხაზგასმით ამბობს: „ბოლოს და ბოლოს“ ჩემი შვილიაო. მან იცის, რომ ეს გარანტიაა. პირდაპირ გეტყვი: მისი შვილი რომ არ ვიყო, ალბათ მოვკლავდი. მაგრამ რომ მოვკლა, ვერავინ მიხვდება ამ ნაბიჯის მნიშვნელობას, ვერავინ მიხვდება, რომ მე მკვლელი კი არა, მსხვერპლი ვარ, თავს რომ ვწირავ, ვერავინ მიხვდება, რატომ უნდა იმალებოდეს ამ წარმოუდგენლად გროტესკული შემთხვევის მიღმა — „შვილი კლავს მშობელ მამას“ — რაღაც სხვა მნიშვნელობა. და კიდევ ერთი შეკითხვა მაწვალებს: თუკი, როგორც აღმოჩნდა, მე ვარ ერთადერთი კაცი, ვინც იცის მთელი სიმართლე ბებერზე და იტანჯება ამ ცოდნით, თუკი მე ვარ ერთადერთი კაცი, ვინც დარწმუნებულია, რომ ბებერი რაც შეიძლება მალე უნდა განშორდეს ამ ქვეყანას — მაშინ მაქვს კი იმის უფლება, რომ მართლმსაჯულების ეს აქტი არ შევასრულო მხოლოდ იმიტომ, რომ ის მამაა ჩემი?

- შენ მას წამებულ გმირად აქცევ.
- ვიცი, ამაზეც მიფიქრია.
- შენ რა მოგივა, ამაზე არ გიფიქრია?
- ამაზე უარესი რაღა უნდა მომივიდეს.
- მიმძიმს ამ თემაზე ლაპარაკი, რამონ, დაუჯერებელია, ასე მშვიდად რომ მსჯელობ, თანაც ასეთ გარემოში, შენს მანქანაში, რომელიც რიო ბრანკოზე მისრიალებს.
- შესაძლოა, უგრძნობელნი და სასტიკნი გავხდით, უფრო სწორად, მე გავხდი ასეთი.
- რა შესანიშნავი დილაა.
- ჰო, მართლა შესანიშნავი დილაა.
- უნდა გამოვტყდე, რომ აი, ახლა, ამ წუთში ჩვეულებრივი ცხოვრება მომენატრა. ჩემი დიეტა და ასეთი ემოციები სულ მალე ალბათ ფსიქიატრიულში ამომაყოფინებენ თავს.
- დოლი...
- რატომ არ მომმართავ ჩემი ნამდვილი სახელით? მე ხომ დოლორესი მქვია. არავინ ასე არ მეძახის, არადა, მომწონს ჩემი სახელი.
- ეგრე იყოს, დოლორეს.
- მომწონს, კარგად წარმოთქვი.
- მადლობთ, დოლორეს.
- აი, აქ გადმოვალ.
- ხვალაც წამოგიყვანო?
- არა, ხვალ, მე მგონი არ მომიწევს აქეთკენ წამოსვლა, თანაც უვოდ დაბრუნდება.
- ნახვამდის, დოლორეს. შენ არაჩვეულებრივი ქალი ხარ, კეთილი ქალი ხარ და კიდევ... შეგიძლია გულისყურით უსმინო სხვას.



დოლორესი დამიძახეო. რა თქმა უნდა, დავუძახებ. ნეტარი უძილობის დროსაც და ცუდ სიზმრებშიც ასე დავუძახებ. ეს შეხვედრა აღმოჩენასავით იყო, ე.ი. თავად აღმოვაჩინე საკუთარი თავი. როდესაც ბებრის მოკვლის ჩემი უღ იდეაზე დოლის — ოჰ, დოლორესს — ეელაპარაკებოდი, სულ უფრო და უფრო ვრწმუნდებოდი, რომ ეს იდეა კანონზომიერი იყო. ღმერთმა არ იცის, როდის დამებადა ეს საშინელი ან იქნებ საუკეთესო აზრი, მაგრამ გაკვირვებულს ნამდვილად მიკვირს, რატომ არ მომგვარა ძრწოლა. ნუთუ ბოლოს და ბოლოს მკვლეული ვარ? ოჰ, რა ხმამაღალი სიტყვებია. მკვლელი. „მტარვალი შვილი კლავს მამას“. ჩვეულებრივ, მშობლებზე ამბობენ. მტარვალზე. მე ვიქნები ხალი კასტის — მტარვალი შვილების კასტის დამაარსებელი. „შური, როგორც მოტივი საშინელი მამისმკვლელობისა“. ნეტავ რა სათაურით გამოაქვეყნებს ამ ამბავს ბებრის გაზეთი? ალბათ უბრალოდ გამოაცხადებენ: „გარდაიცვალა ედმუნდო ბუდინიო“. მსხვილი შავი არშიით შემოვლებული განცხადება იქნება. ხავერი და პარტიული ბოსები ალბათ საჭიროდ არ მიიჩნევენ მკითხველს სიმართლე უთხრან, დიდი „დამაარსებელი“ მოკლა, არც მეტი, არც ნაკლები, საკუთარმა შვილმაო... „გუშინ სრულიად მოულოდნელად გულის შეტევით გარდაიცვალა დოქტორი ედმუნდო ბუდინიო, ჩვენი გაზეთის დირექტორი. ამ სამწუხარო ამბავმა თავზარი დასცა მთელ ქალაქს. არავის არ სჯერა, რომ ედმუნდო ბუდინიო — Alma Parensa<sup>1</sup> ყოველივე კეთილისა და ყოველივე კეთილშობილისა, რაც ჩვენმა ხალხმა შექმნა ურყევი დემოკრატიული პროცესის ხუთი ათეული წლის მანძილზე — დიახ, არავის არ სჯერა, რომ სამართლიანობისათვის დაუღალავი მებრძოლისა და გულმონწყალეობის მღვდელმთავრის დიდი ურუგვაული გული აღარ ძგერს. ამ საყოველთაო არდაჯერებას დიახაც რომ კანონია საფუძველი, რამეთუ დიდებული პიროვნების — ედმუნდო ბუდინიოს დიდებული გული კვლავაც იძგერებს არა მხოლოდ ჩვენი გაზეთის ფურცლებზე, რომელიც მისი პოლიტიკური თუ მორალური მრწამსის სარკედ დარჩება კვლავაც, არამედ ხალხშიც, რომელიც წლების მანძილზე წარმოადგენდა ამ დიდი დამაინის ჭეშმარიტი ზრუნვის საგანს“. აუჰ, რა გავუტეი! შესანიშნავია. ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ მე რას მიზამენ? ალბათ პოლიცია სინამდვილის ჩასაფარცხავად მეც გულის შეტევით მომკლავს. რას იზამ, მემკვიდრეობითი ავადყოფობაა, ან გამოაცხადებენ: „მამის დარღს გადაჰყვა ედმუნდო ბუდინიოს შვილიც“. გულაჩუყებული დედაჩემის ცრემლები... ცხოვრებაში განხორციელებულა რადიოთეატრი... მაშ, მაშ, ვერ მოგართვით!

- რას მეტყვით, გაბაღღონ?
- სენიორ ბუდინიო, კარგა ხანია მინდა მოგელაპარაკოთ და ვერა და ვერ მოვიხელთეთ.
- დიახ, არ მცალოდა.
- ისეთი კი არაფერია. რამდენიმე საკითხის დაზუსტება მინდა მხოლოდ.
- მაგალითად?
- იცით რა, ერთი-ორჯერ შემემთხვა და სოფლელი მგონია თავი.
- კვლავ call-girls-ის<sup>2</sup> პრობლემაა?
- დიახ. ხომ იცით, ჩვენი კლიენტები უბრალო ტურისტები არ არიან. უმეტესად დირექტორები, ვიცე-პრეზიდენტები, რეგიონული ინსპექტორები

1. მშობელი დედა (ლათ.).  
 2. მებავეები, რომლებსაც ტელეფონით იძახებენ ოტელებში (ინგლ).



არიან, ჰოდა, ქალების სამი კატეგორია აქვთ ამოჩემებული. თქვენ ნიუ-იორკში ყოფილხართ და იცით, ოტელებში როგორ არის ყველაფერი მოწესრიგებული. ფრანგი ქალი ორმოცდაათი დოლარი ღირს, ჩრდილოამერიკელი — ორმოცი. პუერტორიკოელი — ოცდახუთი. ეს ხალხი ფრანგ ქალებსაა მიჩვეული. მზად არიან გადაიხადონ ორმოცდაათი დოლარი, ოღონდ ქალი ნამდვილად ფრანგი უნდა იყოს. ურუგვაელი გოგოები რაც არ უნდა კარგები იყვნენ, ამერიკელებისთვის იგივეა, რაც პუერტორიკოელები და უარს ამბობენ მათზე. ოცდახუთ დოლარზე ნაკლებადაც შევთავაზეთ, მაგრამ რაც არ უნდათ, არ უნდათ. ასე ამბობენ ჩვენ „იაფები“ კი არა, ფრანგი ქალები გვინდაო.

— ნუთუ ვერსად პოულობენ ფრანგ ქალებს? დალვერის ელაპარაკეთ?

— დიახ, სენიორ, ველაპარაკე. ფრანგი ქალები კი ვიპოვეთ, მაგრამ რეკონკისტას ქუჩაზე, „ძველ ქალაქში“ მოღვაწეობენ. ჩვენს კლიენტებს კი სხვა რამ უნდათ. მათ არ ავიწყდებათ, რომ დირექტორები, ვიცე-პრეზიდენტები, რეგიონული ინსპექტორები ერთი სიტყვით, ჩინოსნები არიან და არა ვიგინდარები, როგორც აქ ამბობენ. არ იფიქროთ, სენიორ ბუდინიო, თითქოს სამამულო წარმოებას არ ვაფასებდე. ფიქრშიაც არ გამივლია, მშვენივრად ვიცი, რომ თქვენც და მეც ურუგვაელ გოგონებს ვამჯობინებდით. ისინი ხომ ძალზე კარგები არიან, მაგრამ ეს დირექტორები, ვიცე-პრეზიდენტები, რეგიონული ინსპექტორები — ასაკოვანი ხალხია, ძველი კადრები, და ცოტა ეზიზღებათ კიდევ ჩვენი კრეოლი გოგოები. როგორც კი მონტევიდეოელ გოგოს შესთავაზებ, უმაღლ უბოდიშოდ მოგახლიან, ისაო, ინდიელ ქალებთან არაფერი გვესაქმებაო; ფრანგ ქალებს მიეჩვიენ, მორჩა და გათავდა! იანკები თავიანთი ჩვევების მონები არიან. ვიმედოვნებ, ეს ვითარება შეიცვლება, მაგრამ ალბათ დიდი დრო დასჭირდება მის შეცვლას...

— რას ვეთავაზობთ?

— იქნებ სხვა სააგენტოებს მოვლაპარაკებოდით, მერე ოტელების პატრონებსაც — ბუნებრივია, არაოფიციალურად — ტურიზმის ეროვნულ კომისიასაც დემარშის თაობაზე. ჩემის აზრით, ერთადერთი გზა იმპორტია.

— რისი იმპორტია?

— ფრანგი გოგონებისა, სენიორ, მაგრამ არა იმ ნარჩენებისა, ზღვეები და ქალაქები რომ მოიარეს და ახლა „ძველი ქალაქის“ პანსიონატებში დალექილან... მეზღვაურებთან ნაკოტრიალები ქალები ჩვენ არ გვჭირდება. ასეთები აქ რამდენიც გინდა, იმდენია. ჩვენ გვჭირდება დირექტორების, ვიცე-პრეზიდენტების, რეგიონული ინსპექტორების შესაფერისი ფრანგი ქალები. თანაც, სენიორ ბუდინიო, ისინი მოითხოვენ, გოგოები წელს ზემოთ ხორციანები იყვნენ, წელიწადილი ჰქონდეთ, თქო — მრგვალი და არა მეტიმეტად მსუქანი, თმა კი მარინა ვლადივიტ გრძელი. თვალებით თვინიერ ხბოს უნდა ჰგავდნენ, თანაც ინგლისურად უნდა ლაპარაკობდნენ და ამავე დროს უნდა ეხერხებოდეთ ყურადღებით და გაგებით მოისმინონ სტუმრის მონაყოლი თავის გულცივ და ხისთავა შეექვსე ცოლზე. ვიცი, ასეთების ხელში ჩაგდება ძნელია, მათ დიდი ფასი აქვთ მაიამში, ნასაუმში, პალმ-ბიჩში, ნიცაში, სან ტროპეზში, ბრაზილიაში, კოპენჰაგენში, მაიორკაზე — მართლაც განვითარებული ტურიზმის ქვეყნებში. მაგრამ იქნებ ეროვნული ტურიზმის კომისიამ იღონოს რამე? ასე გაგრძელება აღარ შეიძლება, გაიგეთ. გუშინ საღამოს „ნიუ-გალიფორნიან ოილ ქომპანის“ რეგიონულმა ინსპექტორმა, — თქვენ რომ გამაცანით, — უხალისოდ და ბედს დამორჩილებულად მკითხა, ჰავაელი ქალებიც არა გყავთო? რას ვეტყოდი, არამეთქი. თქვენ იცინით და ის კი არ იცით რა დამცირებაა ეს. კარგა ხანია ამ



საქმეს ვემსახურები და, მერწმუნეთ, ჰავაელი ქალების მოთხოვნა — ეს უკვე დიდი დათმობაა მათი მხრიდან. ამ დროს კი ჩვენ ჰავაელებიც არ გვყვანან. ძალიან გულგატეხილნი არიან ჩვენი სტუმრები. ჰავანამ მეტიმეტად გაუცრუ-ათ იმედები, არა, აგრარულ რეფორმაზე არ მოგახსენებთ. ამას ბოლოს და ბო-ლოს შეეჩვიენ. მე რუმბაზე მოგახსენებთ. ძალიან მენატრება რუმბაო, მეუბ-ნებოდა გუშინ ის კაცი. კასტროსთვის ვერ უპატიებია, რუმბა რომ მოუსპობდა სენიორ ბუდინიო, მე სასაცილოდ არა მყოფნის, როცა გაზეთებში ვკითხულობდი სხვათა შორის პატივცემული მამათქვენის გაზეთშიც — ხელისუფლებისაგან უფრო გონივრულ პოლიტიკას მოვითხოვთ ტურიზმის საქმეშიო. ხა-ხა. რაც შეიძლება მეტი დასასვენებელი ადგილი პუნტა დელ ესტეშიო, შედავათები ტუ-რისტებისთვისო, კაზინოებიო. განა შეიძლება ასეთი სიბეცე? ბუენოსაირესე-ლი ტურისტებისათვის ეს, რასაკვირველია, კარგია — მიუხედავად თავიანთი კუდაბზიკობისა და ექვსი მილიონი მცხოვრებისა, — როგორც თვითონ ირწმუ-ნებიან — ისეთივე პროვინციელები არიან. როგორც ჩვენ, აქაურები. ჩამოდიან თავ-თავიანთი ცოლ-შვილით ან კმაყოფილებიან პირიაპოლისის საშუალო „პროგრამით“. არგენტინელი ტურისტების იმედზე ხომ ვერ ვიქნებით მხო-ლოდ? ისინი პოლიტიკურ ცვლილებებსა და „გორილებზე“ არიან დამოკიდე-ბული. აუცილებელია ტურისტების მოზიდვა ჩრდილოეთიდან. იქნებ ვცდები? ჩრდილოეთიდან ტურისტს კი თქვენ ვერასოდეს მოიზიდავთ თუ არ გადა-წვევთ call-girls-ის საკითხს. მაგრამ რაზეა ლაპარაკი, როცა ჩვენ ჯერაც ვერ შეგვითვისებია პირობითი კოდი. ლოს ანჟელესის ნებისმიერ ოტელში — აღარაფერს ვამბობ პირველ კატეგორიისაზე, თუნდაც მეორე ან მესამე კატე-გორიისაზე — საწოლთან პატარა მაგიდაზე აუცილებლად გიღევთ სტენოგრაფი-სტი ქალების სია. დარეკავთ და მაშინვე თქვენთან გაჩნდება სტენოგრაფისტი ქალი უფანქროდ, უქალაღლოდ და უნიფხვოდაც, როგორც თქვენ ამბობთ აქ. საოცრებაა პირდაპირ. აი, მესმის აწყობილი საქმე. აქ კი, პირიქით, იმდენი პრობლემაა, რომ ჩამოსულებს სასოწარკვეთილება იპყრობთ. ჩვენი ოტელების მებატრონეებს ეშინიათ, თეთრი ქალებით ვაჭრობაში არ დაგვღონ ბრალიო. ღმერთო ჩემო, რა პროვინციელები ხართ. ჩვენს სტუმრებს ისღა აკლიათ, ბეჭდა-ნი ქაღალდით დაადასტურონ თავიანთი თხოვნა. უსექსო ტურიზმი ვის გაუგო-ნია?! თქვენ იცინით, ჩვენ კი ძალიან ჩამოვრჩით ამ საქმეში. თუ ასე გაგრძელ-და, კარაკასში დავბრუნდები. იქ ნავთი მაინც არის, ხოლო სადაც ნავთია — ეს ისტორიამ დაამტკიცა — იქ ტურიზმიც ცივილიზებულია. თქვენ ალბათ იცით, რომ მე იძულებული ვავხდი აქ ჩამოვსულიყავი. ხელისუფლების სათავეში კო-ნტრადმირალი ლარასბალი რომ მოვიდა, ცხადია, წესიერ ადამიანებს აღარ და-გვედგომებოდა ვენესუელაში, მაგრამ ახლა იქ ვითარება იცვლება და ვფიქრობ, შევძლებ ბრწყინვალე კარიერას მივაღწიო. თხუთმეტი წლის გამოცდილებას წყალში ხომ არ გადაფერი? გამოცდილება და ოთხი ენის ცოდნა — აი, ჩემი ერთადერთი კაპიტალი!

- აუცილებლად დაგირეკავთ ამ კვირაში.
- ძალიან კარგი, სენიორ ბუდინიო. კარგად ბრძანდებოდეთ.
- სენიორიტა, გულახდილად მითხარით, თქვენი აზრით, პროვინციული ეხოვრებაა აქ?
- მე, სენიორ... ისა... ვფიქრობ, რომ...
- გასაგებია. თქვენ სხვა ქვეყანაში არ ყოფილხართ და შედარებაც არ შე-გაძლიათ.



— მე, სენიორ ბუდინიო, მხოლოდ ბუენოს აირესსა და პორტო ალეგრეს ვარ ნამყოფი.

— შესანიშნავია. თუნდაც მათ ცხოვრებასა და ჩვენს ცხოვრებას თუ შევადარებთ, როგორ ფიქრობთ, აქ პროვინციული ცხოვრებაა?

— რა თვალსაზრისით, სენიორ?

— მაგალითად, გართობის თვალსაზრისით.

— მე აქაც კარგად ვერთობი, სენიორ ბუდინიო, მგონი, როგორც კავიკე, რომელ გართობაზე მეკითხებით. თქვენ ალბათ...

— არა, არა, არა. გასაგებია ყველაფერი.

ჩათქვირებული ჩათქვირებულია და მეტი არაფერი. ნამდვილი შტურია. მოდი და იწამე ახლა ღმერთის არსებობა! ასეთი ხორცსავსე, ასეთი აღნაგობის, ასეთი გულმკერდისა და ცხვირ-პირის პატრონი და, — უტვინო? მაგას ტრანზისტორებზე უნდა ჩაუდგან ტვინი, ანდა ღმერთს უნდა დაუბრუნონ როგორც საქარხნო წუნი. მისი ცინგლიანი საქმრო მაინცდამაინც არ მოიკლავთავს საცოლეს ტვინთან საურთიერთოდ.

— ცენტრში წავალ სასაუბროდ და ორ საათში დავბრუნდები, სენიორიტა.

— ხომ არ დაგავიწყდათ, სამი საათისთვის სენიორ რიოსი რომ გყავთ დაბარებული?

აკი უტვინოაო? მეხსიერება კარგი ჰქონია! იქნებ გულმკერდში აქვს დატეული მეხსიერება? ადვილი ეყოფა კი არა, მეტიცაა. იქ მას მარტო მეხსიერება კი არა, კუჭიც დაეტევა, კუჭქვეშა ჯირკვალიც და, საერთოდ, ყველაფერი.

— ნახვამდის, ტიტო.

— ნახვამდის, დოქტორო.

— ნახვამდის, პეპე.

საოცარია, რამდენი ნაცნობი მყავს „ძველ ქალაქში“!

— ჩაო, ლამას.

მართლა ლამასია?

— ნახვამდის, ვალვერდე. „ლივერპულის“ საქმე როგორ მადის?

ამათ თევზაობაზე და „ლივერპულზე“ თუ დაელაპარაკები მხოლოდ! ნეტავ მართლა თუ სიამოვნებს ვინმეს თევზაობა — გარდა თევზისა, რომელიც ლამის ნახევარი სატყუარათი ივემრიელებს პირს და გარბის?

— ჩაო, სუარეს. რას იტყვი, შუა აპრილში ასეთი სიცხე ყოფილა როდისმე?

— ნახვამდის, ბიძიკო. ბებერი როგორ არის?

მხოლოდ ერთხელ წამიყვანეს სათევზაოდ. რვა წლისა ვიყავი მაშინ. ერთადერთი ლიფსიტა დავიჭირე და ისიც თურმე ძია ესტებაძმა წამომიგო ანკესზე წყალქვეშ. ამას მოფიქრება არ უნდოდა?

— ნახვამდის, ტერესიტა. მშვენივრად გამოიყურები დედაშენივით. ნახვამდის, დონია ტერესა.

საოცარია, როგორ უჭირავს თავი ამ დედაბერს. ახლაც ლამაზია. თავის ქალიშვილს სჯობს. ო, რა სიცხეა! პიჯაკში სულს ვლაფავ. საღამომდე წყალს ვერ გადავიულებ ტანზე.

— მამაშენს ელაპარაკე?

— ველაპარაკე, მაგრამ ამაოდ.

— კი მაგრამ, ლარალდეზე ხომ უთხარი?



- სულაც არ აღელვებულა.
- ვერ გავიგე.
- ლარალდეს დაღუპულად აქვს საქმე. ბებერს მის წინააღმდეგ სამი სახის იარაღი აქვს მიმართული: ლარალდეს ძმა, რომელიც ორმოცდათერთმეტი წლის არჩევნებში კომპარტიის სიაში იყო; ბიძა, რომელმაც რამდენიმე წლის წინ ორმოცდაათი ათასი დოლარი გაიტაცა ბანკიდან და ინტერპოლმა დაიწყო ძებნა და კიდევ მისი დაიკო — ნორმა ლარალდე. ხომ იცნობ ამ ქალს? *ბიზნისიმიქა*
- მხოლოდ შორიდან. ესტევესის მდივანია.
- მდივანი და მეგობარი.
- მე ეს არ ვიცოდი.
- ხომ წარმოგიდგენია, როგორ დაიხვევს ყველაფერს ამას ბებერი ხელზე. როგორ გამოიყენებს თავის სასარგებლოდ.
- შენა გგონია, ლარალდეს შეეშინდება?
- ბებერს ასეთ საქმეებში არაფერი ეშლება. შენ ასე არ ფიქრობ?
- მართალი გითხრა, მიძნელებდა რაიმეს თქმა. ამ სამხილებიან არაფერი ვიცოდი. ყურადსაღები სამხილებია და შესაძლოა, ლარალდემ წაიბორძიკოს კიდევ. მაგრამ მეორეს მხრივ, არც ის საქმეა მთლად პატარა საქმე. ლარალდეს „ლა რასონის“ ხალხიც მიეხმარება.
- გაუჭირდება. არა მგონია, იმ ბიჭებმა ის ტოტი მოჭრან, რაზეც სხედან. ნახავ შენ, ბოლო წუთს უკან დაიხვევენ. რაც არ უნდა მამხილებელი წერილი გამოაქვეყნოს ლარალდემ, მაინც წააგებს. ბებერმა და მოლინამ იციან, როგორ გასრისონ მოწინააღმდეგე. ბებერი ასე მსჯელობს: ლარალდე, მართალია, ჭკვიანი ჟურნალისტია, მაგრამ ბოლოს და ბოლოს მაინც ადამიანია და ყველა ადამიანს კი მშვიდი, უშფოთველი ცხოვრება სურსო; ლარალდემ კარგად იცის, თუ შემომიტევს, იმ სამ მამხილებელ საბუთს სახეზე ავაფარებ და მისი მშვიდი ცხოვრებაც გათავდებაო; ამიტომ როგორც კი ვიღაც უცნობი ტელეფონით დაურეკავს და აუხსნის ვითარებას, ლარალდე ფარ-ხმალს დაყრისო. იქნებ შენ გაგებდეა?..
- მე? გაგიჟდი? ლარალდე, როგორც შენ ამბობ, ჭკვიანი ჟურნალისტია, მაგრამ მაინც ვერ გაბედავსო, მე როგორღა უნდა გავბედო?
- ლარალდეს წინააღმდეგ სამი მამხილებელი საბუთი არსებობს. შენ რა გაქვს?
- მე არ მაქვს და არც მინდა მქონდეს. თავად განსაჯე, თუ მხილებაა, იგი უნდა მოხდეს ოფიციალური გზით. ხომ ასეა? ჰოდა, მაშინ ამიხსენი ერთი, რომელი გაზეთი მიიღებს ჩემისთანა უსახელო ჟურნალისტისაგან — ვალტერ ვეგასაგან — ედმუნდო ბუდინიოს საწინააღმდეგო წერილს? ვინ მიცნობს მე? საქმე რომ ჩაფარცხონ, არც მუქარა დასჭირდებათ და არც რაიმე ხელჩასაჭიდის მოძებნა, რომელიც შესაძლოა, ჩვენს ოჯახსაც ჰქონდეს. რისთვის გადავდგა ეს ნაბიჯი? ჩემი წერილი სადღაც ქაღალდებში „გაიბნევა“, მე კი სამუდამოდ დამასამარებენ სადღაც რომელიმე არქივში, ან უარესს შემთხვევაში კომუნისტობას დამწამებენ და მერე მიდი და უმტკიცე იმით, არ ვარ კომუნისტიო. ვითომ არ იცი, რისი დაჯერებაც არ უნდათ, რომ არ დაიჯერებენ. ისე, შენ თუ გაბედაუდი?
- შენ გავიწყდება, რომ მე შვილი ვარ. როდესაც ლაპარაკია მამის მოღალატე შვილსა და ქვეყნის მოღალატე პოლიტიკოსზე, საზოგადოება, სხვანაირად რომ ვთქვათ, საზოგადოებრივი აზრი, ყოველთვის პირველის მიმართაა უფრო მკაცრი. სწორად უნდა შეაფასო ვითარება. მათ წინააღმდეგ ყოველგვა-



რი ბრძოლა უთანასწორო იქნება. მათ ხელში უპყრიათ პრესა, რადიო, ტელევიზია, პოლიცია და ორი წამყვანი პარტიის უზარმაზარი აპარატი. არსებითად ისინი ერთმანეთს ეხმარებიან, რადგან ერთნაირი ინტერესები გააჩნიათ. მაგალითად, „ბლანკოს“ მფლობელს და „კოლორადოს“ მფლობელს საერთო ისაა აქვთ, რომ ორივენი მფლობელები არიან. სწორედ ეს არის მთითქის მთავარი და არა პოლიტიკური უთანხმოებანი. ისინი ერთმანეთს ეხმარებიან, დღეს მე გეხმარები, ხვალ შენ უნდა დამეხმარო. რას იცინი?

— როგორ არ ვაფიცინო? ისე ცხარობ, თითქოს ედმუნდო ბუდინიოს შვილი კი არა, ვილაც სხვა აყო.

— ბარემ დაუმატე, გველის წიწილა გაუზრდია უბეში-თქო.

— არ გეწყინოს, რამონ, შენ მკითხე, რას იცინიო და მეც გიპასუხე. დამიჯერე, ამ ამბავმა ძალზე ამაღელვა. მე მგონი, ჩვენ ორივენი ვლალატობთ ჩვენ-ჩვენს კლასს. ჩემი ბებერი, იცი შენ, მთელი ცხოვრება მუშა იყო ფაბრიკაში, სიცოცხლეს ფაბრიკაში დაასრულა. უბედური შემთხვევის გამო დაიღუპა. სწორა-კითხვა თითქმის არ იცოდა, მაგრამ კლასობრივი შეგნება ძვალ-რბილნი ჰქონდა გამჯდარი. მახსოვს, ათი წლის ბიჭი ვიყავი, ძალიან გვიჭირდა, თითქმის ვშიმშილობდით. ფაბრიკის მუშები იმ ხანებში რამდენიმე თვით გაფიცულები იყვნენ, და რა თქმა უნდა, ფაბრიკაც გაჩერებული იყო. სხვა რა გზა ჰქონდათ, ფაბრიკის უფროსობამ ახალი მუშების შეგროვება დაიწყო. ჩემი ბებერი კვალიფიციური მუშა იყო და მიიწვიეს კიდევ, აღრინდელზე ორჯერ მეტი ხელფასი შესთავაზეს, მაგრამ მან მაინც უარი თქვა. აზრადაც არ გაუვლია, ამხანაგებისთვის ელაღატნა. შიმშილს როგორმე გადაიტანს კაცი, სირცხვილს კი — ვერაო, ამბობდა ის. ახლა, დღევანდელ გადასახედიდან, ეს სიტყვები, რომ იტყვიან, მეტისმეტად ხმამაღლა ჟღერს, მაგრამ გეფიცები, მაშინ, როცა ის ამას ამბობდა, ჟღერდა ძალზე უბრალოდ და გასაგებად, ჟღერდა, როგორც უცილობელი ჭეშმარიტება. არ გაინტერესებს, რომელ ფაბრიკაზეა ლაპარაკი? მამაშენის ფაბრიკაზე. მაშინ იქ პლასტმასის საგნებს კი არა, ალუმინისას ამზადებდნენ. მე ლიცეუმში ვსწავლობდი, მაგრამ არ დამიმთავრებია, ლუისიტო ბატლიე ბერესის კლუბში მოვეწყვე, მერე სამსახურიც ვიშოვე, ახლა კი, თუკი ვინმეა ისეთი, ვისაც კლასობრივი შეგნება არ გააჩნია, ეს მე ვარ. ძამაჩემს ძველ მეგობრებს რომ ვხვდები, არ ვიცი, რატომ და ასე მგონია, რადაც დაუშავე, უხერხულობას ვგრძნობ. მაგრამ ზუსტად ასევე მემართება თანამშრომლებთანაც და იცი, ამჯერად რატომ? იმიტომ რომ იმათ წრეს არ ვეკუთნი, არადა, მე მოლინას მდივანი ვარ, ვინმე უბრალო კაცის მდივანი კი არა, თავად მოლინასი. რამდენჯერ გამიფიქრებია, კიდევ კარგი ჩემი ბებერი რომ ცოცხალი აღარაა, თორემ ხომ ვაგიჟდებოდა, ხომ სირცხვილით დაიწვებოდა, ამ არამზადას სამსახურში რომ ვენახე-მეთქი, თანაც მარტო სამსახურში კი არა, ხანდახან მაჭანკალი დედაბრის სელესტინას როლშიც-მეთქი.

— კი მაგრამ, ახლა არ მითხარი, ორივენი ვლალატობთ ჩვენ-ჩვენს კლასსო?

— ჰო, ასე ვთქვი და ასეც არის. შენ გაღმა ნაპირიდან ხარ, მდიდრების ნაპირიდან. მამაშენი ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი პირია ჩვენს ქვეყანაში. შენ შეგეძლო დიპლომი ჩაგეგდო ხელში, მაგრამ სწავლა მიატოვე, სამაგიეროდ ვერ შეძელი დამოუკიდებელი ყოფილიყავი მამაშენისაგან. ჩვენ არაერთხელ გვისაუბრია დიდხანს და გულახდილად და მე ვიცი, რომ შენ გონიერი კაცი ხარ. საერთაშორისო თუ ქვეყნის შიდა პოლიტიკურ საკითხებში უპირისპირდები, მორალიც შენ უფრო სხვანაირად გესმის, მაგრამ შენ გამონაკლისი ხარ. მდიდართა შვილები მუდამ ფულზე ფიქრობენ, შენ — არა. მაგრამ შენ არც მე



მარცხენე შეხედულების კაცი ხარ. და საერთოდ, ჯერაც ვერ გამიჩვენებია, ვინ ხარ, რა პოზიცია გიჭირავს. მე მაინც მგონია, რომ შენ ღალატობ შენს კლასს და სწორადაც იქცევი.

- რაღაცას არ ამბობ ბოლომდე.
- შენ ვერაფერს გამოგაპარებს კაცი.
- თქვი, რისი თქმაც გინდა.
- რომ გაბრაზდე?
- კარგი ერთი, ვითომ არ მიცნობდე.



- რაკი ასე გინდა, გეტყვი. რომ არ გათხრა, იფიქრებ, რაღაც საშინელებას მალავსო. თუ ვიფიქრია როდისმე, რა უფრო სჭარბობს შენს პოზიციაში. ჭეშმარიტი რწმენა თუ, უბრალოდ, სურვილი მამას ჩაუდგე კრიჭაში?

- კი მიფიქრია.
- მერე?
- ბოლომდე არც მე ვარ გარკვეული.

როგორ უნდა ვიყო გარკვეული, როცა არც არასოდეს მიფიქრია ამაზე. ვალტერმა ზედ ჭრილობაზე დაეძაღა ფეხი. პო, უნდა დავფიქრდე. რატომღაც ვერასოდეს ვერ ვხედავ აქტიურად ვიმონაწილეო... რაში? სულერთია რაშიც. ბუბრის აზრით, მე მემარცხენე ვარ, მისდა სამწუხაროდ. მაგრამ არც ერთ მანიფესტზე არ მომძიწერია ხელი, არც ერთ პარტიაში არ შევსულვარ, არც ერთ პოლიტიკურ აქციაში არ მიმიღია მონაწილეობა და არც ერთ კომპანიაში არ შენატანია ფული. აი, ეს უმნიშვნელო ნაბიჯებიც კი არ გადამიდგამს ცხოვრებაში. მოელი ჩემი მემარცხენული მგზნებარება გამოიხატება ამერიკის შეერთებული შტატების აუგად ხსენებაში. ხა, ასევე რუსეთის ლანძღვაშიც. პო, ფიქრი მმართებს, დიდი ფიქრი...

- კარგი, დავამთავროთ. ბანკში უნდა წავიდე. იქით ხომ არ მოდიხარ?
- სააგენტოში მივდივარ. ისე შთამაგონებლად მსჯელობდი კლასებსა და ღალატზე, რომ ვერც კი შევამჩნიე, დრო როგორ გაეიდა. სააგენტოში კლიენტი ბელოდება.

- დამირეკე, როცა ცენტრში გადაწყვეტ სადილობას, თორემ ისე ვერასოდეს ვხვდებით ერთმანეთს.

- გაიცანით, ჩემი შვილიშვილია.
- ძალიან სასიამოვნოა, სენიორიტა. ა, ვხედავ, ჩემი თხოვნა შეგისრულებით, ძალიან კარგი. ორივეს პასპორტები აქ არის; აცრების თაობაზე ცნობა და მოგზაურობის გეგმა სადღაა?

- აგერ არის.
- შესანიშნავია. აბა, ვნახოთ: ლისაბონი, სანტიაგო, სევილია, კორდოვა, კრანადა, მადრიდი, ტოლედო, ბარსელონა, ნეაპოლი, რომი, ფლორენცია, ვენეცია, ჟენევა, პარიზი. ვფიქრობ, ეს რიგითობა არ არის აუცილებელი.

- თქვენ როგორც გნებავთ ან როგორც უკეთესი იქნება, ისე გადაადგილეთ.

- ჩემის აზრით, ისე გადავანაწილოთ, რომ წმ. კვირის დღესასწაულს დაესწროთ სევილიაში და გაზაფხულის დღესასწაულს - ფლორენციაში.

- ეგ თქვენთვის მოგვიინდვია, როგორც აჯობებს, ისე გადაადგილეთ. მაგრამ იქნებ ჩემს შვილიშვილსაც მოლაპარაკებოდით მარშრუტის თაობაზე.

- კი მაგრამ, ბაბუ...
- არავითარი მაგრამ. სენიორ ბუდინიო, მოგზაურობისას ჩემი გოგონა



იუფროსებს. ასეც შევპირდი, თუ კარგი ნიშნები გექნება წლის ბოლოს-მეთქი. ჰოდა, ამ სენიორიტამ შესანიშნავი ატესტატი მიიღო. ასე რომ, პირობა უნდა შესრულდეს.

— კი მაგრამ, ბაბუ...

— ახლა კი, სენიორ ბუდინიო, მაპატიეთ, თხუთმეტიწლიანი წუთით უნდა დაგტოვოთ. გუშინ რომ შეგითანხმდით დღევანდელ შეხვედრას — დამავიწყდა, რომ სწორედ ამ საათზე ხელი უნდა მომეწერა ერთ სამტოზე! გსტკბებთ ჩემს შვილიშვილს, ვითომც ჩემთან გესაუბროთ.

— მშვიდად ბრძანდებოდეთ, სენიორ რიოს.

— ნახვამდის, ბაბუ...

— მაშ ასე, სენიორიტა, რაკილა უფროსობა თქვენ გერგოთ, თქვით, რას ისურვებდით.

— მაპატიეთ, სენიორ, მინდა მოგელაპარაკოთ ბაბუს დაბრუნებამდე.

— გისმენთ.

— მე ვიცი, რომ გუშინ ბაბუაჩემი გულახდილად გესაუბრათ.

— გულახდილად? რის თაობაზე, სენიორიტა?

— თავის ავადმყოფობაზე.

— როგორ, ბაბუათქვენს ავადაა?

— მინდოდა მეთქვა, თავის კიბოზე-მეთქი.

— სენიორიტა...

— ვიცი, საიდუმლოს შენახვა რომ გთხოვათ.

— კი მაგრამ...

— ახლავე აგიხსნით: ექიმ სორიას, რომულო სორიას ქალიშვილი ჩემი მეგობარია...

— ამ ექიმს მეც ვიცნობ.

— გასულ კვირას მივედი მათთან, დაცდა მომიწია, ჩემი მეგობარი ჩინი — ექიმის ქალიშვილი შინ არ დამიხვდა. ექიმმა შემეფვანა თავის კაბინეტში და მითხრა, ჩემ თვალწინ გაიზარდე, მიხარია, რომ ჩემს ქალიშვილს შენისთანა კარგი მეგობარი ჰყავს, მე მგონი, შენ ჭკვიანი გოგო ხარო და ა.შ. და ა.შ. მერე კი ყველაფერი მიაბბო ბაბუაჩემზე.

— რომულომ გითხრათ, ბაბუათქვენს კიბო აქვსო?

— დიახ. ასე მითხრა, დიდხანს ვფიქრობდიო, ვერ გადამეწყვიტა მეთქვა თუ არაო. მაგრამ არაფრით არ შეიძლებოდა; ბაბუათქვენისთვის ევროპაში მოგზაურობის ნება დამერთო და მისი ავადმყოფობის შესახებ კი მისიანებს არაფერი გცოდნოდათო.

— თქვენმა მშობლებმაც იციან?

— არა. მარტო მე ვიცი. ბაბუამ არ იცის, რომ მე ვიცი.

— აჰ, ასეა საქმე?

— ექიმმა სორიამ მითხრა, ბოლოს გადავწყვიტე, შენთვის გამემხილა ყველაფერიო. შენი მშობლებისთვის რომ მეთქვა, ისინი აღარ გაუშვებდნენ ავადმყოფს სამოგზაუროდ, არადა, ბაბუას ძალიან უნდა იმოგზაუროსო.

— დიახ, ვიცი.

— გუშინ ბაბუა ექიმის რჩევით მოვიდა თქვენთან. რაც ბაბუაჩემს უნდა ეთხოვა თქვენთვის, მე უკვე ვიცოდი ექიმისაგან.

— ვხედავ, დასამალი აღარაფერია.

— ამას ყველაფერს ორი მიზეზის გამო გეუბნებით, სენიორ ბუდინიო: ჯერ ერთი, თქვენ მშვიდად იქნებით, რაკილა გეცოდინებათ, რომ ავადმყოფ მოხუცს



მოგზაურობისას გვერდით მე ვეყოლები. მეორეც — რჩევა მომცეთ, როგორ მოვაქცე ბაბუას. ავადმყოფობასთან დაკავშირებულ ყველა მოსალოდნელ შემთხვევაში.

- მაშინ სულ ცოტა ერთი დღე უნდა დამელოდოთ კიდევ, რათა ყველაფერი კარგად ავწონ-დავწონო.
- კი, ბატონო.
- ხუნიორიტა, ძალიან გიყვართ ბაბუა?
- ძალიან. ვთხოვთ, არ ამატიროთ, ბაბუა შემამჩნევს.
- მაპატიეთ.
- აი, სულ ეს იყო რაც უნდა მეთქვა. ბაბუას გარეთ დაველოდები. ასე უთხარით, ვითომ ვილაცხები მოვიდნენ თქვენთან გადაუდებელ საქმეზე და ზვალ ნაშუადღევს დამიბარეთ. თუ თქვენ ნებას დამრთავთ, მე დილით მოვალ.



როგორ უნდა შევხედო საბრალო რიოსს თვალებში? აი, შარი თუ ვინდა! მათ ახლა ტურისტული სააგენტო კი არა, უფრო ეკლესიის საადმსარებლო ჭირდებათ. ნუტა ვანგებ ხომ არ მომიწყვეს ეს საქმე? იქნებ სორიასთვის დამერეკა? აბა, დავრეკო. სადაა ტელეფონების წიგნი?! სორია არმანდო, სორია ბეატრის, სორია ხოსეფინა მენდესდე, სორია რომულო. 9-2-4-6-5.

— ექიმს თხოვეთ. ბუდინით ვარ, რომულო, შენა ხარ? საუკუნეა ერთმანეთი არ გვინახავს... ალბათ ხვდები, რისთვისაც დაგირეკე... ჰო, სწორედ მაგისთვის, განსაკუთრებული შემთხვევაა ჩემს პრაქტიკაში და გადაწყვიტე შენი აზრი გამეგო... აჰა, ჰო... ვფიქრობ, სწორედ მოიქცევი... ვნახავ, ეს არც ისე ადვილია... ცოლი როგორა გყავს? ჩინი? ბებერს რა უჭირს, მაგრადაა... სუსანაც კარგად არის... გუსტავო უკვე ჩვიდმეტიანია... არ თქვა, არ თქვა, დრო სწრაფად გარბის... შენზე ერთი წლითა ვარ უფროსი... ორმოცდაოთხის... რა თქმა უნდა, შევხვდეთ, ჩვენ ხომ მეგობრები ვიყავით. კიდევ დადიხარ „ქრისტიანულ ასოციაციაში“? დილით? ყოჩაღ, მაგარი ხარ. მე — არა, რა ხანია, აღარ ვვარჯიშობ. ახლა რომ პალეტას თამამი დავიწყო ნაწილ-ნაწილ დავიშლები ალბათ... სადამოობით გამოძიარე, მშვიდად ვისაუბროთ, გავიხსენოთ წარსული... ჩაიწერე მისამართი... ფანქარი გაქვს? კარამურუ, 5-5-7-2. ჰო, პუნტა გორდამი. კვირის ბოლოს ყოველთვის იქა ვარ, უმეტესად მძინავს. რისი პალეტა, რა პალეტა... მაგას რად უნდა ლაპარაკი, რომულო, რა თქმა უნდა... გადავცემ სუსანას. ასევე მოიკითხე ნელი და ჩინი. მთლი უსათუოდ, გესმის?

რომულო სორია, ახლა მას სულ სხვა ხმა აქვს. გამოცვლია. კარგი ბიჭია. ეს ამბავი მოხდა 1938 წ. ბუენოს აირესში. პრაქტიკაზე ვიყავი „ტურისპლანის“ სააგენტოში, სან მარტინისა და კანგალიოს ქუჩების გადაკვეთაზე. რა თქმა უნდა, ბებერმა გამაგზავნა. „ელუარდო როსალესისა და კომპანიის“ „ტურისპლანი“. ეს როსალესი ერთი წვეროსანი ჩილეელი კაცი იყო, ვითომ ფილოსოფოსი. ორმაგ ცხოვრებას ეწეოდა. აქეთ — ტურისტული სააგენტო ჰქონდა. იქით — სპირიტისტების სკოლაში დადიოდა. ეს როზენკრეიცერობაო, თეოსოფიაო, ელიფას ლევიო, კრიშნამურტიო — საუცხოო აჯაფსანდალი იყო. ისიც რაღაცით დოქტორი ბუდინით გახლდათ, ოღონდ სხვა სფეროში. როსალესი სულელებზე მუშაობდა და ამით მდიდრდებოდა, ოღონდ სულიერად კი არა, — საბანკო ანგარიშებზე გადარიცხვით. სააგენტოში როსალესს ეძახდნენ, სკოლაში — სპაციუმს<sup>1</sup>. სექტას თავისი ფილიალები ჰქონდა სამხრეთ ამერიკის თითქმის

1. სივრცე (ლათ.).



ყველა დიდ ქალაქში და იმ ქალაქებშიც, ვერაფრით რომ ვერ წარმოიდგენდი, იქ თუ ასეთი რამ შეიძლებოდა არსებულიყო... პოპაიანი, ბელიო ორიზონტი, პაისანდუ, რანკაგუა, ტარიხა, ბარკისიმეტო, კატამარკა. ჰოდა, მოედინებოდა და მოედინებოდა ფული ყოველი მხრიდან. ეს ის წლები იყო, როცა პრეზიდენტი ორტიგოს დაბრმავდა; როცა ჟურნალ „ნოსოტროს“-ში პრეზიდენტი პოეტის ლუის ფაბიოს ქსამარის ლექსები იბეჭდებოდა; როცა „დონიჩე ლა პლატა ცაიტუნგის“ შენობის წინ თუ ვინმე გაბედავდა თუნდაც უმნიშვნელო ანტიინაციისტური მოსაზრების გამოთქმას, მაშინვე საიდანღაც გაჩნდებოდა აგენტი და პოლიციაში უკრავდა თავს. როცა თავკუდმოგლეჯილი გავრბოდი ბუენოს აირესის საოპერო თეატრ „კოლონისაკენ“ სახელგანთქმული დირიჟორის ტოსკანინის ორკესტრის მოსასმენად, ქანდარიდან შესანიშნავად ჩანდა მაესტროს მულოტი თავი, რომელსაც ხან სიწითლე გადაუვლიდა, ხანაც მიტკალივით გადათეთრდებოდა იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ ტემპს სთავაზობდა სახელოვან ტოსკანინის ასევე სახელოვანი ვაგნერი; ეს ის წლები იყო, როცა საროსკიპოებთან დიდი რიგი ღგებოდა, როცა ლა ბოკას რაიონში თევზს უფრო გემრიელად წვავენენ, ვიდრე ახლა, როცა ვიამონტეს აყრილ-დაყრილ ქუჩაზე გავლისას გუბუებიდან აშხეფებული ამყაყებული წყალი შარვლის ტოტებს ვვიბინძურებდა, როცა ერთ საპარფიუმერო სექციაში მომუშავე ჭკუის შემწლეული ქერა ასული მოწყალე თვალთ მიყურებდა, როცა: — ერთ შაბათ დღეს ძია ვესტებანი ჩამოვიდა და შეხვედრა დამინიშნა კაბილდოში. მე შტერი მთელი ორი საათი ვიდექი კაბილდოსთან — ქალაქის საბჭოსთან პლასა დე მაიოზე, ის კი თურმე კაფე „კაბილდოში“ მელოდებოდა. ჩარკასის ქუჩაზე, მახსოვს, ვილაძამ მითხრა: შეხედე, ვიქტორია ოკამპო! მოდისო. მე ვკითხე, ვინ არის ვიქტორია ოკამპო-მეთქი. ვკითხე და პასუხმაც უმაღლ მორალურად დამასამარა: დარტყმულმა ურუგვაელებმა არაფერი იციან ფეხბურთისა და სათამაშო „რულეტის“ გარდაო. აღარ ვკითხე „დარტყმული“ რას ნიშნავს-მეთქი, არ მინდოდა მორალურად მოკლული აღმოჩენილიყავი კიდევ ერთხელ. ეს ის წლები იყო, როცა იაპონურ პარკში „სასიკვდილო მეტეორი“ მუშაობდა. ჩაჯდებოდი შიგ და ისე დატრიალდებოდი, სული შეგიგუბდებოდა. ერთი ასეთი ბზრიალ-ტრიალის მერე „მეტეორიდან“ გოგონები გადმოვიდნენ. ერთი გოგონა მთვარეულივით ადგამდა ფეხს. უცებ მის ლაკის ფეხსაცმელზე წვეთები აციმციმდნენ. ეტყობა, შიშისაგან ჩაიფსა; ეს ის წლები იყო, როცა „ლა მარტონაში“ გასაგიჟებელ, უგემრიელეს ნამცხვრებს აცხობდნენ. „სპაციუმის“ სექტის ერთ-ერთი წევრის დედა პანსიონს განაგებდა ტუკუმანის ქუჩაზე, მეც სწორედ ამ პანსიონში დავბინავდი. როსალესმა და ბებერმა მოილაპარაკეს, ფული ნაკლებად მოეცათ ჩემთვის, ნაკლებად კი არადა, ბინის ქირისთვის მყოფნიდა მხოლოდ, ოთახშიც დიასახლისის ვაჟი — სერიანი შემომბისახლეს. იგი რკინიგზაზე მუშაობდა, უთენია ღგებოდა, ხელ-პირს თასში იბანდა, კბილებს იწმენდდა, რეზინის მაგარი ჯავრისით ივარცხნიდა თმას და მაშინვე იხურავდა ნაცრისფერ სომბრეროს. ნახევრად ძილბურანში მყოფი ვხედავდი, როგორ იღვა იგი ტრუსებითა და სომბრეროთი დამშვენებული. უნდა ვადიარო, ეს იყო ყველაზე დიდი გასართობი სახალხაობა, რომელიც კი მინახავს ბუენოს აირესში და აი სწორედ მაშინ გამოჩნდა რომელი. ის სამედიცინო ფაკულტეტის მოსამზადებელ კურსებზე სწავლობდა. პანსიონში რომ მოვიდა, დონია ხოსეფას, სერიანის დედას, მოველაპარაკე, ახ-

1. არგენტინელი მწერალი ქალი (1891-1979).



აღმოსულისთვის ჩემს ოთახში გაეშალათ საწოლი. მერე წავედი ლუდისა და კონიაკის დასალევად მახლობელ იაპონურ ბარში. რომულოს იაპონურად ერთი ფრაზა სცოდნია, ოფიციალტმა სათამაშო კამათლებიანი ჭიქა რომ მოგვიტანა, რომულომ ეგრევე აჯახა თავისი ფრაზა. იაპონელი გაიბადრა, მაგრამ რა ვინა ბადრა! მთელს სახეზე გადაეფინა თავისი აღმოსავლური დიმილი, ლაპარაკად იქცა, ხელებს იქნევდა, თვალებს ატრიალებდა. რომულომ რომ ნახე, ეგრევე დაიწყო მა გაუტიაო, ესპანურად უთხრა, იაპონურად მხოლოდ ეს ერთი ფრაზა ვიცოდა „ჩაფუშულმა“ იაპონელმა გაბრაზებულმა დაგვიხეთქა ჭიქა მარმარილოს მაგიდაზე. ისეთი რა უთხარი-მეთქი, ვკითხე რომულოს, ისეთი არაფერიო. მას შემდეგ, რაც იაპონური ენა ვისწავლე, მიმაჩნია, რომ შენი სამშობლო საოცრებაა-მეთქი. რა თქმა უნდა, ჩვენ მანამდე გავიპარეთ ბარიდან, ვიდრე იაპონელი ოფიციალტი იაპონელ პატრონს მოიყვანდა, მაგრამ ლუდმა და კონიაკმა თავისი საქმე გააკეთა, რომულოს თავში აუვარდა და როცა ტუკუმანის ქუჩაზე ვბრუნდებოდით, მთელი გზა მხოლოდ ქვემეხებზე შელაპარაკებოდა; ქვემეხების სიგიჟე სჭარდა, მხოლოდ ქვემეხებზე ფიქრობდა. ორივენი, მეც და ისიც, რაღაცით ვგავდით ტორანსო მონტეროსა და ისააკ როხასის იმ ყოჩად ბიჭებს, ახლა რომ ჯარისკაცობანას თამაშობენ და შეხარხოშებულები პრეზიდენტებს ემუქრებიან, რა თქმა უნდა, კანონის ფარგლებში. დაწვექით, მე ჩემს საწოლზე, რომულო — ლეიბზე. სერიანი უკვე ხვრინავდა, ალბათ ძილში ხედავდა თავისი „სპაციუმის“ საყვარელ თემებს — გარდასახვებსა და სხვა საოცრებებს. ღამის სამ საათზე გამოხედიდა, ვნახე, რომულო არ წევს თავის საწოლში, მაგრამ ნახუსევს ისევ ძილმა წამართვა თავი. დილით საუზმეზე რომულოს ვკითხე, წუხელ სად წადი-მეთქი. რომულომ შეიცადა, ვიდრემდის დონია ხოსეფა სასადილო ოთახიდან გავიდოდა და ჩუმად მითხრა: ბაღლინჯოებმა შემჭამესო. როგორ ვერ მივხვდი! ბაღლინჯოები პანსიონში — ეს ხომ ჩვეულებრივი ამბავი იყო. კარგა ხანაა მივეჩვიე. თავს იმით ვშეკულობდი, რომ შუაღამისას ვდგებოდი, აბაზანაში სარკეში ვათვალიერებდი საკუთარ სხეულზე დახოცილ ბაღლინჯოების ნაკვალევს და მერე ტანს ვიბანდი. ქვემო სართულიდან ამოდიოდა ბაღლინჯოების ღამქარი. ერთხელ, ღამით, ლოგინში ვკითხულობდი დოსტოევსკის. უცებ „დანაშაულისა და სასჯელის“ ზემოთ ორი ბანჯგვლიანი თათი დავინახე — არც მეტი, არც ნაკლები ტარანტულა იყო. ავიღე საწყალი დოსტოევსკი, კედელს მივახეთქე და ობობაც სერიანის სომბრეროზე დაეარდა. არც ამიღია, გავიფიქრე, საწყალი ობობა ალბათ ბაღლინჯოებს გამოექცა-მეთქი. ბაღლინჯოებისაგან შეწუხებულმა რომულომ სხვა რომ ვერაფერი მოიფიქრა, ადგა, ჩაიცვა, ქუჩაში გავიდა და პირველივე შემხვედრ ტრამვაიში ჩაჯდა. ტრამვაი ჩაკარიტას ქუჩაზე მიდიოდა და რომულომაც ნეტარი ძილით იძინა უბაღლინჯოებოდ. ჩაკარიტაზე კონდუქტორმა გააღვიძა, ბოლო გაჩერებააო. რომულომ თვალი გაახილა, არა უშავს, ცენტრში დავბრუნდებიო. ეტყობა, ღამით მაგარი დრო გაატარეთო, უთხრა კონდუქტორმა. რომულო ამას რომ ყვებოდა, ღამის დავიხრჩვი სიცილით. ამასობაში დონია ხოსეფაც შემოვიდა და გული გაგვიწვრილა თავის საზაფხულო საქმეებზე ლაპარაკით. სიტყვებს მუდამ ერთმანეთში ურევდა, ერთის მაგიერ მეორეს ამბობდა, მეორის მაგიერ — მესამეს. ეს ჩვენი მდივნის თანამემწე სერიანიც კარგა გვარიანად სცოდავდა ლაპარაკისას. ერთხელ ერთ მუნდოსულ ცოლ-ქმარს ჰკითხა (ქალი ფეხმძიმედ იყო). თქვენი ნაშიერი ქვეყანას როდის მოევლინებაო. ქმარმა ღირსეული პასუხი გასცა: მემკვიდრეს ერთ თვეში ველოდებითო. როსაღესს სძულდა რეზინის ჯაგრისი, გახამებული საყელო და სერიანის შტერული გამოთქმები. თავის მოწაფეებთან ყოფნისას როსა-



ლესი ისე მიაპყრობდა ხოლმე თვალს სივრცეს, თითქოს რაღაც ასტრალური  
 დენები უკავშირდებოდა მის გამორჩეულ სულს. ასეთ წუთებში ყველანი ღუმდ-  
 ნენ, ზოგი ხელებგადაჭდობილი, ზოგიც — თვალებდახუჭული, როსალესი ჩემი  
 თანდასწრებით ვერ ბედავდა არტისტობას, ის კი არადა, თავის მრევლს სულ  
 იდიოტებს ეძახდა. კვირაობით დილიდანვე მირეკავდა ხოლმე, ~~სიმ~~ არ დაგვი-  
 წყდა ჭადრაკის სათამაშოდ რომ უნდა მოხვიდე ჩემს შვილთან — ფერმინთან.  
 ფერმინს ასთმა სჭირდა. მესიმპათიურებოდა, მაგრამ ~~ჭეჭრაკი~~ ~~ჭეჭრაკი~~ ~~ჭეჭრაკი~~ ვაე-  
 გებოდა და ლამის მოემკუდარიყავი მოქნარებისაგან. მამაზე ლაპარაკისას თვალე-  
 ბი უბრწყინავდა ბიჭს: ხშირად მე რომ როქსი ვაუუკეთებდი, ჯავრის ამოსაყრე-  
 ლად მეტყვოდა: „მასწავლებელს“ შეუძლია როცა მოისურვებს წვიმა მოიყვა-  
 ნოს. მამამისს „მასწავლებელს“ ეძახდა მისი მიმდევრებივით. სულ არ მეკარე-  
 ბოდა გულზე მოციქული თომას განცდები, და ბიჭიც რაკი მატყობდა დიდი  
 მოწიწებით თავს რომ არ ვიკლაუდი, პირველივე ქიშზე მომახლიდა ხოლმე  
 „მასწავლებელი“ მსოფლიოს ყველა ენაზე ლაპარაკობს, რაც შეეხება ენების  
 ცოდნას, ერთი გასაგებებელი ამბის მოწმე გავხდი ერთხელ. საერთოდ, სექ-  
 ტის წევრებს სჯეროდათ, რომ სპაციუმი თითქმის ყველა ენაზე ლაპარაკობდა.  
 ერთხელაც „ტურისპლანში“ როსალესის ერთი ძველი მოწაფე მოვიდა და  
 სთხოვა, მიმიღეო. როსალესს არ უყვარდა, მისი მიმდევრები სააგენტოში რომ  
 აკითხავდნენ, მაგრამ იმ დღეს კარგ გუნებაზე იყო, და მიიღო სტუმარი, გვარად  
 გალდოსი. მეორე კვირაშიც მოვიდა ეს გალდოსი თხოვნით: ერთი არაბი მეგობ-  
 ბარი მყავს და სურს „სკოლაში“ მიიღოთო, არაბულის გარდა სხვა ენა არ იცი-  
 სო, ე.ი. მოწაფეებს შემთხვევა მიეცათ დარწმუნებულიყვნენ მათმა „სპაციუმ-  
 მასწავლებელმა“ მართლა თუ იცოდა ენები და მათ შორის არაბული. როსალე-  
 სი დიდად არ აუღელვებია ამ ამბავს, გალდოსს უთხრა, შენს არაბ მეგობარს  
 გადაეცი, განცხადება მომიტანოს, რა თქმა უნდა, არაბულ ენაზე დაწერილი და  
 ავტობიოგრაფიაც მოაყოლოს, გავიგო ერთი, დღემდე რა ცხოვრებით ცხოვრობ-  
 დაო. გალდოსმა რომ „მასწავლებელს“ არაბის განცხადება და ავტობიოგრაფია  
 აახლა, მეც იქ ვიყავი, როსალესის ოთახში. როსალესმა კონვერტი გახსნა, წუ-  
 რილი ამოიღო, გაშალა და ყურადღებით გააყოლა თვალი სტრიქონებს, რომ-  
 ლებიც მისთვის ისეთივე გასაგები იყო, როგორც ჩემთვის ალბათ. მერე  
 დაკეცა, კვლავ კონვერტში ჩადო და აუღელვებლად მიმართა გალდოსს:  
 გადაეცი შენს მეგობარს, ის, ვინც ისე ცხოვრობდა, როგორც შენ ცხო-  
 ვრობდი-თქო. ჩემს „სკოლაში“ არათუ არ შეუძლია, არც შეიძლება იაროს-თქო.  
 კი მაგრამ... ჩაიღულულა გალდოსმა. არავითარი მაგრამ, ასე გადაეცით.  
 არასოდეს დამავიწყდება გალდოსის სახე. წერილი აიღო და წავიდა. წა-  
 ვიდა და, მგონი, არც არასოდეს გამოჩენილა. ნდობა დაკარგაო, ამბობ-  
 დნენ სექტის წევრები, ზოგიც ღვარძლითა და ზოგიც საყვედურით; ვფიქრობ,  
 არც ისინი იტყოდნენ უარს ნდობის დაკარგვაზე. როსალესსაც ასთმა სჭირდა,  
 მაგრამ ისეთი ძლიერი არა, როგორც მის შვილს — ფერმინს. კაბინეტში, საწუ-  
 რი მაგიდის მარცხენა უჯრაში მუდამ ედო ინგალატორი. მე გვერდით ოთახში  
 ვმუშაობდი, მაგრამ თხელი კედლის მიღმა მესმოდა ინგალატორის რიტმული  
 შხუილი და როსალესის ხმამაღალი სუნთქვა. როსალესი საგულდაგულოდ მ-  
 ლავდა ამ პატარა ფიზიოლოგიურ უძღურებას და სწორადაც იქცეოდა. გან-  
 სასაცილო არ იქნებოდა, მის მიმდევრებს რომ გაეგოთ, — „მასწავლებელი“;  
 რომელსაც შეეძლო როცა მოესურვებოდა მოეყვანა წვიმა, რომელიც მსოფლი-



ოს თითქმის ყველა ენაზე ლაპარაკობდა, რომელსაც ხელეწიფებოდა ასტრ-  
 ლურ დენებთან დაკავშირება — იი, ასეთი ყოვლისშემძლე „მასწავლებელი“  
 დროდადრო თურმე იძულებულია თითო დააჭიროს ინგალატორის დგუმს, რათა  
 მისი ავადმყოფი ბრონქები ნორმალურ რიტმს დაუბრუნდნენ. რამდენჯერ გადა-  
 ვწყდომივარ ამ საქმიანობაში გართულ როსალესს. ისე მოხერხებულად გარ-  
 დაქმნიდა ხოლმე გაძნელებულ სუნთქვას ხველებად და ინგალატორსაც კი წმინდა-  
 ხერხებულად ჩაჩურთავდა რომელიმე საქალაქში ან უჯრაში, რომ წიტილი-  
 ძლივს ვიკავებდი. ასეთ წუთებში როსალესის თვალები აღსავსე იყო მძულვა-  
 რებით, ჩემი კი — შიამიტობით. როსალესს წაწვეტებული, ჭადარაშქარული წვე-  
 რი ჰქონდა. ჩვეულებისამებრ მარცხენა ხელზე ნიკაპჩამოდებულს უყვარდა  
 ვლომა და რაკილა ცერა და საჩვენებელი თითები საყრდენს წარმოადგენდნენ,  
 თავისუფალი ნეკა თითით თავის მეფისტოფელურ წვერს ეთამაშებოდა და პირ-  
 თანაც კი მიჰქონდა, მაგრამ კვნეტით მხოლოდ მეტიმეტი გაბრაზებისას ან აღ-  
 ელვებისას იკვნეტდა ხოლმე. დაუკაკუნებლად რომ შევდიოდი მის კაბინეტში,  
 განსაკუთრებით მაშინ იკვნეტდა წვერს!. ერთი სიტყვით, ეს გახლდათ წლები  
 პრეზიდენტ ორტივისისა, ჟურნალ „ნოსოტროს“-ისა და ტოსკანინისა, წლები  
 ქერა ქალისა „გატი და ჩავესი“-დან, იაპონური პარკისა, ორი „კაბილდოსა“,  
 „ლიჩე ლა პლატა ცაიტუნგისა“, საროსკიპოებში უსასრულო რიგებისა და  
 „სპაციუმის“ სკოლისა. იმ ხანებში რომულო სორია დონია ხოსეფას პანსიონ-  
 ში ცხოვრობდა. დონია ხოსეფამ ნავახშმევს იცოდა ჩვენთან შემოსვლა, შეგვე-  
 კითხებოდა ხოლმე, ჩაის დალევთ თუ ყავასო. თუ ვეტყვოდი ჩაის-თქო, სამწუ-  
 ხაროდ, მხოლოდ ყავა მაქვსო, გვეუბნებოდა, ან პირიქით... კარგი დრო იყო,  
 რაც მართალი მართალია... და თუმცა ვიცოდი, როსალესი ბებრის დავალებას  
 ასრულებდა და მითვალთვალებდა, მე მაინც თავისუფლად ვგრძნობდი თავს.  
 თითქმის ნახევარი წელიწადი ვიყავი ასე და ალბათ კიდევ ვიქნებოდი, მაგრამ  
 კონს მოვეგე, რომ წარმოვიდგინე — როსალესი არ მომეშვებოდა, ყოველ  
 კვირა დილას დამირეკავდა და მაიძულებდა პალერმოს ქუჩაზე ჭუჭყიანი ავტო-  
 ბუსით მხოლოდ იმიტომ მივჩაქჩაქებულიყავი, რომ ფერმინი ერთი თორმეტჯერ  
 მაინც დამეშამათებინა, გადავწყვიტე, კვირაობით უთენია ავმდგარიყავი და ვი-  
 დრე როსალესი დამირეკავდა, მე უკვე წიგნით ხელში სან მარტინის მოედანზე  
 ვლოფილიყავი. იქ ვკითხულობდი წიგნებს, მართალია, სწრაფად, მაგრამ მაინც  
 ვკითხულობდი. ასე ვავეცანი რუს ტოლსტოისა და არგენტინელ კანეს, ფრანგ  
 ბოდლერის „ბოროტების ყვავილებსა“ და არგენტინელი მონტეროს „ლექსებს  
 ზანგ გოგონაზე“. შეშლილივით ვკითხულობდი, ხანდახან თუ ავწყვდი თავს, რა-  
 თა თვალი შემეველო ქვემოთ გადაშლილ რეტიროს პარკის ხეებისათვის, თვალი  
 შემეველო ტრამვაისათვის და ღია ეტლებისათვის, რომლებსაც მოედნის ირგვლ-  
 ივ დაატარებდნენ ტუკუმანელი, კატამარელი თუ მენდოსელი ქალ-ვაჟები. მონ-  
 ტევიდეოელები იქ არასოდეს მინახავს; ჩვენ, ურუგვაელები, გმირული სულის-  
 კვთების ხალხი ვართ, როგორ ვიკადრებთ, უცხოთა თვალწინ მივეცეთ ასეთ  
 გულუბრყვილო და იაფფასიან გართობას!. პო, ჩვენი ფოლკლორიც ლამის და-  
 ვიწყებას მიეცეს. ხალხური ცეკვა — პერიკონი ხომ გვაქვსო, თავს იმართლე-  
 ხენ ურუგვაელი მცოდნენი. მაგრამ მას შემდეგ, რაც ნარდონე თავის „სოფ-  
 ლის“ რადიოგადაცემას ყოველ ცისმარე დღეს ამ პერიკონით იწყებს — „მავე-  
 საღმებით ჩვენი ქვეყნის სოფლის მშრომელებს, მეზობელი ქვეყნების სოფლის  
 მშრომელებს“ და ა. შ. და ა. შ. — საბრალო პერიკონმა შეწყვიტა ფოლკლორობა  
 და გადაიქცა რაღაც ავბუდით „სიკვდილის როკვად“. კი, ხშირად გადმოსცემენ



ჩალჩალეროს, ატაუალპა იუპანკის, ედმუნდო სალდივარის, მაგრამ ეს ყველაფერი ხომ არგენტინულია! ჩვენია კანდომბე, უფრო სწორად, ჩვენი კი არა, ზანგების ცეკვაა. აქაც კი შეერთებულ შტატებს ვბაძავთ. იქ ხომ მხოლოდ ზანგები ერთობიან მთელი არსებით, სამაგიეროდ ახლა ჩვენ სხვა ფოლკლორი გვაქვს: ლატარია, ფეხბურთი, წვრილი კონტრაბანდა, ~~ფიბვირობა~~ საროსკიბოები, საქველმოქმედო საქმიანობა და კიდევ სხვა ბუნებრივი საქმიანობები. ნათელია—ან ხმაურიანი ქველმოქმედება, ან ძვალ-რბილმუცხველმუცხველ ეგოიზმი... დიახ, მართლაც რომ კარგი საცქერი იყო აქედან — ბუენოს აირესის ცათმბჯენის, ელ კაუანავის ჩრდილში შეხიზნულ ხან მარტინის მოედნიდან — პროვინციელი გოგო-ბიჭებით დახუნძლული ეტლები. აგერ კიდევ ჩემ გვერდით ჩვილი წევს საბავშვო ეტლში. თავს გაღისიელი ძიძა ადგას. ძიძას პოლიციელი ახლავს, რომელსაც ინდიელის შავგვრემანი სახე აქვს. ორივენი იღიმებიან მშვენიერი, განუმეორებელი ღიმილით — მარტივი ადამიანებასათვის დამახასიათებელი მოკრძალებული ღიმილით. სექსის საქმეში მათ ჩვენსავით — გულგაციებული და პრეტენზიული საშუალო ფენის წარმომადგენლებივით როდი ჭირდებათ წინასწარ „მოსათელი“ საუბარი ჟან პოლ სარტრის რელიგიასა და გაძვირებულ ცხოვრებაზე, დამოუკიდებელ თეატრსა და მომავალ კარნავალზე, ტურიზმზე და დაშლის პირას მისულ ტრადიციულ პარტიებზე; ან გადამწყვეტი შტურმი: თქვენი სახე მეცნობა და რახანია ასეთი სიცხეები არ ყოფილა, ან ერთი დოლარი უცვლელი რჩება თერთმეტ პესოსთან მიმართებაში და ეს მდგომარეობა ხელოვნურადაა შენერებული, მაგრამ დიდხანს ვერ გასტანს; ან ყოველთვის ამ ტროლეიბუსით მგზავრობთ? თქვენი ტელეფონის ნომერს ხომ ვერ შეტყობით, სასიამოვნოა თქვენთან საუბარი... მთელ ამ მიეთმოეთოს ისინი უპირისპირებენ მიუკიბავ-მოუკიბავ ქათინაურს, რომელიც, როგორც ჩანს ანდალუზიელებისაგან აქვთ ნასწავლი, ოღონდ ანდალუზიურ გონებმახვილობის გარეშე. ამ დროს აქ ზედმეტია ლაპარაკი ლირიზმსა და ორაზროვნებაზე. ამ ქათინაურს უსათუოდ ახლავს თან უკანალზე ხელის წატყაპუნება და ბილწი სიტყვების კორიანტელი. და ეს იშვიათობას არ წარმოადგენს. ამაოა იმის მტკიცება, რომ ასე ლაპარაკობს და ფიქრობს მხოლოდ უბრალო, გაუთლელი ხალხი. ისინი ვინც „ჟოკეიკლუბის“, „ხელოვნების მეგობრის“ ან „როტარის“ კლუბის წევრები არ არიან არა, ასე ლაპარაკობენ და ფიქრობენ ყველანი — პედერასტების გარდა რომელთა ჭკუა-გონება სხვაგან დაქრის და კიდევ წმინდანების გარდა რომლებიც დღესდღეობით რატომღაც თითზე ჩამოსათვლელნი არიან. თავად მე, რა თქმა უნდა, არც პედერასტი ვარ და არც წმინდანი, ვზივარ აი ახლა და შევეცქერი ჩემს დიდებულ, ჩათქვირებულ მდივან ქალს და სულ აღარ მიკვირს მისი სიბრყვე. მე მას მივმართავ ძალზე თავაზიანად, როგორც შეეფერება მაღალი საზოგადოების კაცს და საერთოდ, მშვიდობიან თანაარსებობას.

— ეს ქაღალდები დამიტოვეთ, სენიორიტა და თხოვეთ სენიორ აბელიას კვირის ანგარიში მომიტანოს.

რა ვქნა, როგორც არ უნდა ვეცადო, თვალი მაინც გამიბრბის მის მკერდზე დაკიდულ ვერცხლის ფუნტ სტერლინგისაკენ, ვცდილობ, სამკაულის ქანაობისას წამიერად მაინც მოვკრა თვალი მისი დიდებული ჩათქვირებული, მაგრამ მკერივი ძუძუების იმ ადგილს, რის დანახვაზეც კაცს რეტი გესხმის. თვალები გახუნდება და მუხლები გეკვეთება. ის რომ ახლა ამ ქალს ქათინაურს არ ვუბნები, ენას კბილს ვაჭერ და ხელსაც არ ვუტყაპუნებ, — რომელსაც ნამდვილად



იმსახურებს მისი გამოგნებელი უკანალი, — ეს ყველაფერი მხოლოდ იმის შედეგია, რომ ჩემი საშუალო დონის კულტურისაგან აკრძალვების დიდი ასორტიმენტი მაქვს ნაბოძები და აქედან გამომდინარე, აღფრთოვანების გამოხატვით მიც ქუნწი ვარ.

— დღეისათვის კმარა, სენიორიტა. დღეს ღამის ათ ჩეკზე და ოცდაათ წერილზე მომაწვრინეთ ხელი.

სჯობს წავიდე. ვიცი, ამ ღამეს დოლიზე მომიწევს ფიქრი. დოლიზე თუ დოლორესზე? მთავარია, მშვიდად ვიყო, მთელი მარაგი სიმშვიდისა ღამისათვის უნდა შემოვიინახო.

ახელია მეუბნება, ყოველდღე ფეხით სიარული სასარგებლოა, ღიპი დაუვიდეო. ალბათ არც მე მაწყენდა, პური ნაკლებად მეჭამა, სიდილზე ლუდი არ დამეყოლებინა, მარილიანზე და ნამცხვარზე უარი შეთქვა და დილაობით მევარჯიშნა. ახალგაზრდობაში ვერ ვწვდებოდი ფეხის ცერებს და ახლა ხომ მით უმეტეს. მუხლებიც რომ მოვლუნო, ფეხის ცერებს კი არა, კოჭებსაც ვერ მივაწვდენ ხელს. მოუქნელი და მოუდრეკავი ვარ, ხისა ვარ — ერთი სიტყვით, ორმოცდაოთხი წლისა ვარ.

— სალამი, ნოტარიუსო.

ამ კაცს უხსოვარი დროიდან ვიცნობ. დიდი გაქნილი ვინმეა, მასზე მოხერხებულ შუამავალს ვერსად იპოვის ჯიბესქელი კლიენტი.

— რა კარგია, რომ შეგხვდით, ფლეიტას, სწორედ დღეს ვაპირებდი თქვენთან დალაპარაკებას. ახალი თარჯიმანი მჭირდება. ვენესუელელი მიდის ლენგან, ასე ამბობს, მეტიმეტად პროვინციელები ხართო. იანკებს ახალი ტალღის ფრანგი ქალები მოსწონთ თურმე, ურუგვაელ ქალებზე უარს ამბობენ, იგივეა, რაც პურტორიკოელებიო... რას იტყვით? მე და თქვენ ხომ კარგად ვიცნობთ ჩვენს ურუგვაელ გოგოებს? მაგრამ რას ვიზამთ? ისინი დირექტორები, ვიცე-პრეზიდენტები, რეგიონული ინსპექტორები არიან, ყოვლისშემძლენი. დაჭერენ ღილაკს თითს და ხონჩით მიართმევენ რასაც ისურვებენ და ვისაც ისურვებენ. ასეც ვუთხარი ჩვენს ვენესუელელს: რას იზამ, გაბაღდონ, ჩვენ ხომ სუსტად განვითარებულნი ვართ-მეთქი. საწყენია, რომ მიდის. ახლა ისეთი თარჯიმანი უნდა ვიპოვო, სულ ცოტა სამი ენა რომ იცოდეს: ინგლისური, ფრანგული, გერმანული. არა, რუსული ჯერ არ გვჭირდება. ვეშაპჭერები ჩვენი ფასდაუდებელი სამსახურის გარეშეც იოლას გადიან. თარჯიმნებიც არ სჭირდებათ. თქვენ რას იტყვით? როცა ისურვებთ, ჩე. მიმსახურეთ, როგორც ყოველთვის.

მწყურია. ცივი თუ არ დავლიე რამე, გავგიჟდები. რას დავეძებ ღიპს! კოკა-კოლა, გრეიფრუტის წვენი, სულ ერთია, ოღონდ ცივი იყოს. აააჰ, შვიდი კვარტალი გავიარე და უკვე დავიღალე, აი ახლა ვიგრძენი, როცა დავჯექი. რა დამთხვევაა! ამ მაგიდას ერთხელ უკვე ვუჯექი ღარედოსთან ერთად. მახსოვს, მიყვებოდა, როგორ გააცურეს, საწყალი. აი, ვის შეიძლება ეწოდოს ვითარების მსხვერპლი, და შტერიც, რა თქმა უნდა. შტერია, აბა რა არის, როცა მიხედა, ვიღაც აგირე ჩეკებით თაღლითობსო, მაშინვე გადაწყვიტა, კამხელო, მაგრამ აგირე ასლუკუნდა — ისაო, ოჯახიო, ცოლიო, ორი შვილიო, მესამეს ველოდებიო, სამმაგად გადაგიხდი ოღონდ ნუ დამლუპავო, თუ დამასმენ, თავს მოვიკლავო და ა. შ. ღარედო ამ დროს ვალებში იხრჩობოდა, კრედიტორები ყოველდღე აკითხავდნენ კანტორაში. ღარედო რისი გადამხდელი იყო, ერთ-



ბაშად კი არა, ნაწილ-ნაწილაც არ შეეძლო ვალის გადახდა. ვერც ვადას უთქვამდა მევალებებს! ავირე კი ამ დროს ყოველდღე ჩასჩინებდა: მიდი, გაბეღე ნუ გეშინია, არც ისე ძნელია... მერე წავიდეთ კაზინოში, ერთი-ორი ხელი ვითამაშოთ... აღებული ფული ისევ დავდოთ თავის ადგილზე, ხვალაც ასე გააკეთოთ, ვერავინ გაიგებს, რომაგად ამოვიგებთ, აი, ნახავ, ყველაფერი კარგად იქნება, სხვა თუ არაფერი, სიკვდილს მაინც გადაურჩები, ხუმრობი, შენი მევალებები თოკზე ჩამოგკიდებენო. ჰოდა, როგორც ვეცდებოდა, სათამაშო მაგიდას, მაშინვე წავაგე, ხუთი ათასი მარტო ერთ ღამეში გამიფრინდა, ხაზინაში ფულის დაბრუნებას ვინლა ჩიოდა, პირიქით, პარვას ვუმატეო. ბოლოს თურმე მოლარეს უგუმანია რაღაც, დირექტორისთვის უთქვამს, ნება დამრთეთ, საღამოს დავრჩე და ანგარიში შევამოწმოო. ჰოდა, შეამოწმა და ყველაფერიც აღმოაჩინა, ე. ი. ყველაფერი, რაც თავად ლარედომაც კარგად იცოდა, და კიდევ — რაც არ იცოდა. მისი თაღლითობის უკან მეორე — ავირეს თაღლითობა იმალებოდა. ავირე უსინდისოდ მატყუებდაო, — მითხრა ლარედომ სწორედ ამ მაგიდასთან და აქედანვე წავიდა კიდევ თავისი ფეხით პოლიციაში.

— კოკა-კოლა ცივი არ არის. მე ცივი გთხოვეთ. სხვა რამე მომიტანეთ. სულერთია რაც იქნება, ოღონდ ყინულივით ცივი იყოს. მერე რა, რომ ახლა აპრილია. მაინც ცხელა.

მერე, როცა ლარედოს ქუჩაში შევხვდი ერთი წლის შემდეგ, ის უკვე სულ სხვა კაცი იყო. ათი თვე იჯდა მიგელეტეს ციხეში. იცით რა, სენიორ ბუდინი-ოო, საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ ბუნებით თაღლითი კაცი არა ვარო. ამ ათ თვეში შეიძლებოდა ნამდვილი დამნაშავე გავმხდარიყავი, მაგრამ გადავრჩი და შემიძლია თავაწეულმა ვიაროო. თქვენ ვერ წარმოიდგენთ რას ნიშნავს ციხე! პედერასტები გიტყვენ, ქურდები ხომ არ გეშვებიან, შენს გადაბირებას ცდილობენ, რომ მერე, ციხიდან გასული ჯიბგირი, კონტრაბანდისტი, ყალბი საბუთების გამშანსველი და თაღლითი გახდე აქ არგენტინაში ან სულაც, ჩილეში. ბრწყინვალედ აქვთ აწყობილი საქმე, ყველაფერზე მიუწვდებათ ხელი: ყალბი საბუთებიო, მოწმობებიო, რეკომენდაციებიო. ჩემი აზრით დიდი განსხვავება არ უნდა იყოს პატიმრებსა და ციხის ზედამხედველებს შორის, ერთმანეთზე უარესი თაღლითები არიან. ციხემ სამუდამოდ განმკურნა, ასეთი რამ აღარ განმეორდება. გარწმუნებთ, აღარ განმეორდება... ესეც მინერალური წყალი, თანაც ცივი. როგორ მწყურია! მეტიმეტად მლაშე იყო ის ჩურასკო. კიდევ ორი კვარტალი დამრჩა გასაველელი მანქანამდე. ოჰ, დამავიწყდა, დღეს ხომ გაფიცვაა. ნეტავ რატომ არ შევთავაზე ჩემს ფაშფაშა მდივან ქალს, წაგიყვან-თქო. მგონი, სადღაც ამ რაიონში უნდა ცხოვრობდეს. თუმცა, კიდევ კარგი, რომ არ შევთავაზე. მაშინვე, ვინ იცის, რას არ გაიფიქრებდა და მართალიც იქნებოდა. მაინც რამდენი ხალხია, ზოგი მიდის, ზოგი მოდის, ზოგი მოედანზე ჩამწკრივებულ სკამებზე მოკალათებულა, ზოგიც მტრედებს აპურებს. აგერ ერთი კაცი უცებ ჩერდება და ჩაფიქრებული გაჰყურებს სივრცეს, მერე ხელების ქნევით განაგრძობს გზას საკუთარ თავთან მობაასე. ყველას თავისი საწუხარი აქვს, თავისი ვალი, თავისი გულაცრუება, თავისი წყენა, თავისი ფიქრი იმაზე, რას ელოდა ცხოვრებაში და იმაზეც როგორ არ გაუმართლა. ჰოდა, მეცა მაქვს ჩემი საფიქრალი. ექვსი თუ შვიდი სახება ტრიალებს ჩემ ირგვლივ: ბებრის, დოლორესის, ამ უცნაური ქვეყნის, გუსტავოსი და, რა თქმა უნდა, სუსანასი. ვფიქრობ, სიკვდილზე, ღმერთზე, თუ, რა ვიცი, ვინ არის იქ, მალლა. როგორაღაც მე ვბრუნავ საკუთარი ღერძის გარშემო და მეჩვენება, რომ სამყარო



აწყება ჩემით და მთავრდება ჩემით და რომ ირგვლივ ყოველივე მხოლოდ ჩემი  
 ეჭვების დასტურად არსებობს, ასევე ფიქრობენ ალბათ ეს საბრალო ადამიან-  
 ნებიც. ყოველ მათგანს ხომ თავისი დრამა „მსოფლიოს დრამა“, „დიდი დრამა“  
 ჰქონია. სინამდვილეში კი არავინ კითხულობს მათ ამბავს არც მიწაზე და არც  
 ცაზე. ავერ მანქანაც. რა ბედნიერია ეს მანქანა, ყველა მის საზრუნავს ოსტატი-  
 მექანიკოსი წყვეტს. მე კი როცა რომელიმე გრძნობა მღალატობს — ვხუჭვხუჭვ  
 ღეუმი ან გამოსაბოლქვი სარქველი მიცვდება, როცა ნაღველი შემტყვტყვბნ  
 ანუ ჩამრთველი მოშლილია, ვერანაირი მექანიკოსი ვერ შესძლებს ჩემს შეკე-  
 თებას.

დღეს რამბლაზე გავივლი მანქანით. არავითარა კანელონესი! რამბლაზე  
 სასიამოვნოა გავლა, ნიავი ქრის. ეს ცრუ ზაფხული ნამდვილსა ჰგავს —  
 ხადამოობით სიგრილეა. იქნებ დოლორესზე მეფიქრა ახლა? დილიდანვე ამე-  
 კვიატა ვარგასის ის ლექსი, საარქიტექტორო ფაკულტეტის შავგვრემან სტუდენტ  
 გოგონას რომ მიუძღვნა. პატარა, კოხტა, მშვენიერი, მომღიმარი გოგონა იყო,  
 მაგრამ გათხოვილი. მერე როცა ვარგასს სიყვარული გაუნელდა, გადაბუჭდილი  
 ლექსი მე მომცა და მითხრა, ეს არის ყველაზე ნაღდა, რაც დამიწერია და არა  
 მგონია, ოდესმე დაწვერო უკეთესიო. და მართალიც იყო. იმ ხანებში ვარგასი  
 ხვერს წერდა, მაგრამ მერე რესპუბლიკურ ბანკში დაიწყო მუშაობა, სახელმ-  
 წაფო მოხელე გახდა, დაქორწინდა და დაწვრილშვილდა. ნამდვილად კარგი  
 ლექსი იყო. ზეპირად ვისწავლე. გული მწყდებაოდა, რომ არავის ხატება არ  
 შედგა თვალწინ, არავისზე ვფიქრობდი ამ ლექსის წარმოთქმისას. ახლა ვფიქრობ,  
 მაგრამ შეეჭვება, ლექსი ისევ მახსოვდეს. აბა ვცადო და გავიხსენო...

იმად რომ ჩემი ხარ და არ ხარ ჩემი  
 იმად რომ ფიქრი ჩემი შენ დაგტრიალებს  
 იმად რომ დამე შემოგვცქერის თვალგახელილი  
 იმად რომ დამე წარმავალია ტრფობა კი არა  
 იმად რომ მოხვალ შენი სახების წარსატანად  
 და შენ უფრო მშვენიერი ხარ ვიდრე რომელიმე სახება შენი  
 იმად რომ სულით და ხორციით ლამაზი ხარ  
 იმად რომ სული შენი სიკეთეს მაფრქვევს  
 იმად რომ ხარ ამაყი ამაყ დროს ნაზი  
 პატარა და საყვარელი ხარ  
 გული ჯავშანში გაქვს ჩამალული  
 იმად რომ ჩემი ხარ და  
 და არ ხარ ჩემი  
 იმად რომ გიცქერ და ვკვდება  
 და სიკვდილზე უარესია  
 როცა ვერ გხედავ ო სიყვარულო  
 როცა ვერ გხედავ  
 იმად რომ ხარ ყველგან და ხარ ყოველთვის  
 მაგრამ ნამდვილად მხოლოდ იქა ხარ სადაც მიყვარხარ  
 იმად რომ ბაგე შენი სისხლის ფერია  
 და ვცივა ვცივა  
 უნდა მიყვარდე ო სიყვარულო



უნდა მიყვარდე  
 თუნდაც იარა ორმაგად მკლავდეს  
 თუნდაც გეძებდე ვერსად გპოვებდე  
 თუნდაც  
 ეს ღამე წარვიდეს და შენ ხარ ჩემი  
 და არ ხარ ჩემი



ეს ლექსი შენთვის გავიხსენე, დოლორეს. სხვამ შეთხზა სხვისთვის, მაგრამ მე გავიხსენე შენთვის. ჰო, სხვამ შეთხზა... მე არ მეხერხება გამოვთქვა ის, რასაც ვფიქრობ, მაგრამ სამაგიეროდ, მაღლიერი ვარ იმისა, ვინც თქვა ჩემი სათქმელი. ასეც შეიძლება გამოამჟღავნო საკუთარი გრძნობები, ამიტომაც მგონია ჩემი დაწერილი. ვარგასს ალბათ აღარც ახსოვს ეს ლექსი, მე კი მახსოვს. „იმად რომ ჩემი ხარ და არ ხარ ჩემი“. ამაზე უკეთ ვერავინ იტყვის, ხომ ასეა? უკვე აღარც ვიცი, ვინ დაწერა. იქნებ ვარგასი რობოტი იყო და ჩემთვის შეთხზა? ან იქნებ მე ვიყავი ვარგასი, ვარგასი — მე. ერთი რამ ნამდვილად ვიცი: გიცქერ და ვკვდები და უარესიც მომდის. ერთი რამ ნამდვილად ვიცი: შენ არსებობ, დოლორეს, თუნდაც ამ დღის რომელიღაც კუნჭულში, ამ ქვეყნიერების რომელიღაც კუნჭულში, არსებობ მარტო ან ვილაცასთან ერთად, მაგრამ უჩემოდ. ერთი რამ ნამდვილად ვიცი: შენ უფრო მშვენიერი ხარ, ვიდრე რომელიმე სახება შენი, ვიდრე ყველა ის სახება, როგორცაც მე წარმომიდგები ხოლმე ფიქრებში. ნუთუ მარტობის ამ წუთს იმიტომ ველოდი, რომ აი ასე დინჯად და მოწმეთა გარეშე თავს გამოვტყდომოდი, რომ შეყვარებული ვარ? შეყვარებული და თანაც როდის? ორმოცდაოთხი წლის ასაკში! იქნებ ნახევრად შეყვარებული ვარ? ის ხომ „არას“ მეუბნება, არ მიყვარხარ, მეუბნება. როცა იცი, შენც უყვარხარ, შენთვის სასურველ ადამიანს, როცა იცი შენს სიყვარულს სიყვარულითვე პასუხობენ, აი, მაშინა ხარ მთლიანად შეყვარებული და არა ნახევრად. მაგრამ მე ნამდვილად ნახევრად შეყვარებული ვარ. კი მაგრამ, როგორ? რას წარმოადგენს ასეთი სიყვარული? იმას ხომ არა, სიყმაწვილეში რომ განმიცდია? ო, არა. ის იყო რაღაცნაირი ხალისიანი აღმაფრენა, სიგიჟე, მზურვალე და ყოვლის წამლეკავი, ის იყო თამაშიც და სექსიც. ეს სიყვარული კი სხვაგვარია. სექსიც, რა თქმა უნდა, არის. უსექსოდ როგორ იქნება! დოლორესი ფიზიკურად მიზიდავს. საკმარისია, მხარზე ხელი დამადოს — ეს არ არის შეყვარებული ქალის ხელი, უბრალოდ, საუბარს ახლავს თან, — რომ უცებ რაღაც ათრთოლდება ჩემს სულში და შინაგანად მაშინვე ვეპასუხები ხოლმე ამ მოკრძალებულ, თბილ, მომნუსხავ, შებუსუსებულ ხელს, რომელიც მხოლოდ წამით ეხება ალერსით ჩემს მხარს ან მაჯას. უარესი მომდის, როცა ის შემომცქერის, უფრო ძლიერ ვლელავ და ვთრთი, ვიდრე ხელით შეხების დროს. თანაც ჩემს ხელს ის იშვიათად ეხება, და ამის მიზეზი ერთობ ტრივიალური რამაა, სამაგიეროდ პირდაპირ შემომცქერის, არასოდეს გაურბის ჩემს თვალებს. გასაოცარი უნარი აქვს სრულად წარმოადგეს თავის გამოხედვაში, იცხოვროს გამოხედვაში, იგრძნოს გამოხედვაში, მოწონება თუ არმოწონება გამოხატოს გამოხედვაში. დარწმუნებული ვარ, ვესიმპათიურები და ამ სიმპათიაში იმდენი სათბო, სიცოცხლე და სინათლეა ჩაქსოვილი, რომ ღამის სიყვარულს უდრის. გამორიცხული არ არის, რომ რომელიმე ნაკლები სულიერების ქალმა განიცადოს ასეთივე ღონის ურთიერთობა და გრძნობათა სიძლიერე თავისი სიყვარულის საუკეთესო წამს, მაგრამ



დოლორესის მხრიდან გამოხატული სიმპათია უფრო ძვირფასია, ვიდრე სხვა ქალის ზესიყვარული. თუმცა არც ეს არის საკმარისი. კარგა ხანია ვამჩნევ — ან იქნებ მგონია, რომ ვამჩნევ — დოლორესი სიმპათიითა და თბილი გრძნობებით რომ არის ჩემდამი განწყობილი. მაგრამ ისიც კარგად ვიცი, რომ ეს არ არის მისი მაქსიმუმი. მისი მაქსიმუმი სიყვარულია და არა სიმპათია, თუნდაც დიდი სიმპათია. ათასნაირი ვარაუდი მერევა თავში: თუ დოლორესის მხრიდან გამომჟღავნებული ჩემდამი სიმპათია ასე მალეღვებს, მაშინ, ჩემს წარსულს რომაღვენია, რას მიზამდა მისი სიყვარული, მისი სიყვარულის მაქსიმუმი, მთელი ძალით მფეთქავი მისი სიყვარული! ამაზე რომ ვფიქრობ, თავბრუ მეხვევა, აზრი მერევა. შესაძლოა ხვალ ან ზუგ დავმშვიდდუ, მაგრამ დღეს დაწყებული ვით ვიტანჯები. ჯერ კიდევ გუშინ არც ვიცოდი, რომ ასეთი სიყვარული შემძლება. კი მაგრამ, ნეტავ რა მოხდა გუშინს მერე? ნუთუ დოლორესს რომ დაველაპარაკე და ყველაფერი ვუთხარი, იმის ბრალია? შეიძლება ასეცაა. დღეს დოლორესს რომ ველაპარაკებოდი, ვგრძნობდი, რა ძიანდათან ვუახლოვდებოდა ჭეშმარიტებას, ბოლოს როგორ აღმოუჩინე იგი და როგორ მივანდუ ჩემი გული ამ აღმოჩენას სამარადისოდ. არადა, ახლა ძალიან მტკივა, დიახ, ფიზიკურად მტკივა ეს კუნთოვანი ორგანო. საოცარია, როგორ ახერხებს იგი ერთდროულად აღივსოს სისხლითაც და გრძნობებითაც. ნეტავ შინ რომ მივალ, მარტო მამყოფა, ნეტავ არავინ დამელაპარაკოს. მაგრამ ვინ გაცდის მარტობას?! სუსანა ალბათ ლაურასთან გაგონილ ჭორებს მომიყვება ან აწუწუნდება, უმოახლოდ ლამის წელში გავწყდუ, ან შემომიტყვს, გუსტავოს რაღაც უთხარი: თუ სადმე ანარქისტი, სოციალისტი თუ კომუნისტია, ყველა მისი მეგობარიაო, ან მომახარებს, დეიდა ოღვამ დარეკაო და შენზე თქვა, რა კეთილიაო; ან რაც ყველაზე საშინელებაა, სუსანა კარასკოში მომთხოვს სავახშმოდ წასვლას, თავი მომაბეზრა სამზარეულოში, მოჰყვება რატრატს. მე კი დღეს სახლში მიხდა ვივახშმო შინაურულად, უბრალოდ, მერე ჰაერზე გავიდუ, ოღონდ მარტო. არ ავშენდები, სუსანას რომ ვკითხავ, ჩემთან ერთად ხომ არ წამოხვალ-მეთქი და ჩვეულებისამებრ რომ მიპასუხოს, დღეს ძალიან დავიღალე და ადრე უნდა დავწვეო?! ჰოდა, მეც ავდგები და მარტო დავუყვები რამბლას, დავტკბები მორონინე ტალღების ცქერით ან პირქვე გავწვები პლაჟზე. მაგრამ არა, უკვე ვხედავ: სუსანა ჭიშკართან მელოდება და ეს კარგს არაფერს მიქადის. სუსანა თავის ოცდაცხრამეტ წელთან შედარებით ჯერ კიდევ კარგად გამოიყურება. მომავალ კვირაში შეუსრულდება ოცდაცხრამეტი წელი.

— ცენტრში ძალიან ცხელა?

— ძალიან. წყალი მიხდა ტანზე გადავივლო.

— გადავივლე, გამოცოცხლდი. ჭიშკართან იმიტომ დაგხვდი, რომ გარაჟში არ დაგეყენებინა მანქანა. დღეს ისე დავიღალე, ხომ იცი, მოახლე არა გვყავს, თავი მომაბეზრა სამზარეულოში. რას იტყვი, არ წავიდეთ კარასკოში სავახშმოდ?

— უნდა მოვკლა.

სხვა ვხა ჩემთვის არ არსებობს, მაგრამ ამის გაფიქრებისთანავე ფორიაქი და რაღაცნაირი პროტესტი მიპყრობს. ეს პროტესტი მარტო ჩემი, ინდივიდუალური პროტესტი როდია, ის აღშფოთებული ხალხისაცაა. ზიზღს, შეურაც-



ჰყოფას და დამცირებას მივიღებ სანაცვლოდ. ჩვენს ქვეყანაში არ უყვართ ტრაგედიები. ჩვენს ქვეყანაში მხოლოდ ბანალური და მამებლური ამბები უყვართ — შეგიძლია. მონაწილეობა მიიღო სატელევიზიო გადაცემაში, რომელიც „დიად ქველმოქმედებას“ ეძღვნება, ან დახმარების ხელი გაუწოდო ახალბედა მათხოვარს. ღვთის გულისათვის, გაიღეთ დოლარი. მთავარია — ცხოვრებას ნუ გვირთულებთ. ბებერი რომ მოვკლა, ეს ნიშნავს, მე გაგჩინეთ ცხოვრება. თანაც როგორ! ამიტომაც ვყოყმანობ, ამიტომაც გაუურბივარ განხრახვის აღსრულებას, იქნებ სხვა გზა მოვნახო. მაგრამ სხვა გზა არ ჩანს. კი მაგრამ, როგორ მოვკლა? ერთხელ უკვე მქონდა ისეთი შეგრძნება, რომ ვიღაც მოვკალი. მე და ჩემი ბიძაშვილი ვიქტორი ქუჩაში ვთამაშობდით. თამაშობაში ისე გავკურთხე, ვერც კი შევნიშნე, როდის წავიდა შინ ვიქტორი. ყურადღება არც მიმიქცევია, განვაგრძე თამაში კენჭებით, ნიჟარებით, ჟანგიანი ლურსმნებით. ამ თამაშში ნალი ვიპოვე მიწაზე დაგდებული. დეიდა ოლგას ნათქვამი გამახსენდა. ნალი ზურგსუკან უნდა გადაავლო თუ გინდა ბედნიერება მოგიტანოსო. მეც ავდექი და გადავაგდე. იმავე წამს კნავილივით რაღაც შემომესმა: ვიქტორისთვის პირდაპირ თავში მომიხვედრებია. ბიჭმა გრძნობა დაკარგა. მოკალი, ხომ? — მოიბრინა დეიდა ოლგამ. — მოკალი, ხომ, ჩემი ნამცეცა ბიჭი, შენი ძამიკო, შე. პატარა ყაჩაღო?! ძია ესტებანს ხელში აყვანილი ფერმკრთალი და ერთიანად მოშვებული ვიქტორი რომ მიჰყავდა, მე უკან მივდევი ღრიალით: გაახილოს თვალები, უთხარით, გაახილოს თვალები! ვიქტორის ხელი უსიცოცხლოდ ეკიდა ძია ესტებანის თეძოს გასწვრივ, თანაც ისე, თითქოს მამამისის ქურთუკის ჯიბეში სურდა ხელის ჩაყოფაო. ვიქტორი სასტუმრო ოთახში ტახტზე დააწვინეს. მე ვტიროდი. რა ვიცოდი, თუ დამემალებოდა, უთხარით, ძია ესტებან, თვალები გაახილოს, უთხარით რა... კაციშვილი ვერ გადამარწმუნებდა, რომ ვიქტორი მე არ მომიკლავს. მახსოვს, სულით ხორცამდე ვიყავი შეძრული. დეიდა ოლგამ ჭრილობა მობანა, ცივი საფენები დაადო, ძია ესტებანმა ნიშადური აყნოსვინა. რამდენიმე წამში ვიქტორმა თვალი გაახილა, ჯერ ერთი, მერე მეორე და საწყალობლად წამოიკნავლა. ძალაან მტკივა, ვინ მესროლაო. რომ დავინახე, ცოცხალია-მეთქი, ისეთი ნერვული სიცილი ამივარდა, ვეღარ მაჩერებდნენ. ვიცინოდი და თან დეიდა ოლგას ვეუბნებოდი, თურმე არ მომიკლავს. აბა, მე რა ვიცოდი, რომ დამემალა. ნალი ზურგსუკან გადავაგდე, როგორც თქვენ მასწავლეთ, მაგრამ ეგ არის, ბედნიერება არ მოუტანია-მეთქი. ყველას გაეცინა, აცრემლებულმა დეიდა ოლგამ ხელი მომხვია, აღარ ბრაზობდა: ოჰ, ჩემო ბიჭო, მადლობა ღმერთს, იოლად გადავრჩით, თორემ ხომ წარმოვიდგენია, რა საშინელება იქნებოდა, შენი პატარა ძამიკო რომ მოგეკლათ. რამდენიმე თვის მერე, როცა ვიქტორი მართლა მოკვდა რომელიღაც სწრაფი სენით და პირველმა მე ვნახე იგი მკვდარი, არც კი გამხსნებია ის დღე, როცა დავინახე მისი ერთიანად მოშვებული სხეული და უღონოდ დაკიდული ის ხელი, რომელიც მაშინ მამამისის ქურთუკის ჯიბიდან სულ რაღაც ორიოდ სანტიმეტრზე ქანაობდა.

— უნდა მოვკლა, დოლორეს.

დოლორესი, ისიც ერთიანად მოშვებული, ჩემ გვერდით წევს. ოღონდ ცოცხალია და თანაც დიდებულად ცოცხალი. სძინავს. დოლორესი ახლა მთლად მიუსაფარი ჩანს. პატარა გოგოსავით მოუხრია მუხლები. ვერც ვიფიქრებდი, რომ პირდაა სუნთქავს. რატომ მალელებს იგი ასე ძალუმაღ. შიშველს ღამაში არ ეთქმის, მაგრამ ამ პატარა, ღამის ბავშვუ-



რი ძუძუების დანახვაზე თავბრუ მეხვევა... ბევრი ხალი აქვს სხეულზე: წელზე, ბავშვურ მუხლებზე, გლუვ მხრებზე. ჯერ კიდევ ბოლომდე ვერ დამიჯერებია: „იმად რომ ჩემი ხარ და არ ხარ ჩემი“. თუმცა საეჭვოდ არაფერია. რა თქმა უნდა, დოლორესი ჩემი არ არის. მე ვეკუთვნი მას, და არა ის — მე. „ლა გოდუ-ტაში“ ვახშობის შემდეგ არც დავლაპარაკებია იმ თემაზე. თითონ წამოიწყო. გუშინ შეეხვდი სან ხოსესა და ააგუარონის ქუჩების გადაკვეთაზე. ო, ტკბილო გუშინდელი დღევ! ჩვეულებისამებრ, სახლამდე მივაცილე, რამბლას გავლით. მე ბევრი ვიფიქრე იმაზე, — მითხრა დოლორესმა, — დამეები არ მძინებია. არაფერი მიპასუხნია. არ მინდოდა ილუზიებს ავეყოლოდი. ვიცი, იტანჯები, — მითხრა მან. კვლავ არაფერი მითქვამს. რამონ, — წამოიწყო მან და უცებ გავი-აზრე, რომ მოხდებოდა რაღაც წარმოუდგენელი, ერთი იმ საოცრებათაგანი, რომელსაც აგერ უკვე რა ხანია ამაოდ მიქადის ჰოროსკოპი — და ვეღარ შევძელი ილუზიებს არ ავეყოლოდი, რამონ... დავწვები შენთან. ვიდრე მივხვდებოდი, რომ ცა გამეხსნა, მანამდე მაღლიერი ვიყავი იმის გამო, რომ არ მითხრა: მოდი, სიყვარულობანა გავმართოთ. სულ უბრალოდ მითხრა: დავწვები შენთან. მანქანის სვლა შევანელე, მერე სულ შევაჩერე ურუგვავი ნატურალისტის ლარანიაგას მუხეუმთან ახლოს. ხელები მიკანკალებდა. ჩემთვის, გონებაში აღვნიშნე, მგონი, დამავიწყდა, ნერწყვს როგორ ყლაპავენ-მეთქი. ამ დღით გადავწყვიტე, — განაგრძო დოლორესმა. — უცნაური გრძნობა მაქვს შენს მიმართ. ვერ გამიგია, სიყვარულია ეს თუ... სულ არა ჰგავს უგოსადმი ჩემს გრძნობას. ეს უფრო მშვიდი, ნათელი და სასიამოვნო გრძნობაა. შეაძლება ამ გრძნობას იმის რწმენაც ამაგრებს, რომ გესმის ჩემი, რომ კეთილი ხარ. დიდი ხნით საყვარლობას არ ვთავაზობ. უგოს იმ დონემდე ვერ მოვატყუებ. უბრალოდ მოვსინჯოთ ერთხელ, ვიცი, ამას შენთვის დიდი მნიშვნელობა აქვს, დამიჯერე, — ჩემთვისაც. შენ შეყვარებული ხარ და იტანჯები, მე არ ვარ შეყვარებული, ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით, მაგრამ მეც ვიტანჯები, შენ უბედური კაცი ხარ, რამონ, ამიტომაც მინდა მოგონებად ან რაღაც ამდაგვარად დაგრჩე ცხოვრებაში. მებრალები, დედა შენ არ გყავს, მამა არ გიყვარს, შვილი გაუცხოებულია, ცოლთან საერთო ენა ვერ მოგინახავს, ჩემზე ფიქრი გტანჯავს ხანდახან. ჩემი აზრით, შენ გაქვს უფლება ერთხელ მაინც მიენდო საკუთარ გრძნობებს, საკუთარ სურვილებს. შეივსო ცხოვრება. გულახდილად უნდა ვითხრა, ამ ნაბიჯის გადადგმა ქვეყნიერების დაქცევის ტოლფასად მომეჩვენა, მაგრამ წამშივე ყოველივე ნათლად დავინახე: სიკვდილი ყოველთვის გვხვის ყოყმანისათვის, მთელი ცხოვრება ვყოყმანობთ, ვყოყმანობთ და ამასობაში... ვკვდებით, მხოლოდ სიკვდილმა არ იცის ყოყმანი, მოგვიქნევს ცელს და გათავდა ყველაფერი. საშინელ მსტოვარს, მრისხანე მეხუთე კოლონას, რომელიც სიკვდილმა გამოგვიგზავნა, „სინდისიერება“ ჰქვია. ვიცი, სინდისიერი ვარ, შენც სინდისიერი ხარ, და საერთოდ, სინდისიერების საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მაგრამ — იგი — სიკვდილის მეხუთე კოლონა მაინც გვაიძულებს ვყოყმანოთ, და ამ ყოყმანის გამო ბევრჯერ უარი გვითქვამს ტკბობისათვის, ამ ბედნიერი წამიერი ტკბობისათვის, რომელიც, როგორც განსაკუთრებული მოწყალება, იმთავითვე იყო ჩადებული ჩვენს პროგრამაში. მთელ ცხოვრებას აუხდენელ სურვილებსა და ოცნებებში ვატარებთ, მთელი ცხოვრება გულის ჭრილობებს ვითვლით, თვალთმაქცურად ვთამაშობთ იმას, რაც მართლა შეგვძლოდა ვყოფილიყავით. მუდამ თავშეკავებულები და ლაგამამოდებულები ვართ, მუდამ ვატყუებთ სხვას და საკუთარ თავსაც. გულახდილობა სანთლით საძება-



რი გახდა, სამაგიეროდ ფარისევლობას ბოლო არ უჩანს. რაც დრო გადის, მით უფრო გვრცხვენია საკუთარი სიმართლისა. მითხარა, რატომ არ უნდა მოვანიჭო თუნდაც ერთი ბედნიერი წუთი, თანაც არ ვპალავ, მეც მიხდა გავიგო, იქნებ ჩემთვისაც ბედნიერი იყოს ის წუთი; რატომ უნდა ჩაუვგდოთ სიკვდილს ყველა სადავე. ის ხომ ჩვენ არაფერს გვპატიობს? ჩვენ ხომ ამქვეყნად მეორედ ვეღარ მოვალთ, მეორედ ხომ აღარ განმეორდება თუნდაც აი ეს წამი, როცა შენ გასურვარ, როცა მე ჯერ კიდევ შემძლია ვადავწვიო „პო“ ვთქვათუ „არა“. ამ დღით, როცა ეს აზრი მომივიდა თავში, სიცილი ვერ შევიკავე ისე როგორ უნდა გამოეყეჩდეს კაცი, რომ სიკვდილს ნებაყოფლობით ჩაუგდოს ხელში ისეთი კოზირი, როგორც ჩვენი სინდისიერებაა. ეს იმას ჰგავს, სიკვდილმისჯილმა თვითონვე ითავოს ელექტრონის სკამზე საკონტაქტო მავთულების წესრიგში მოყვანა.

— უნდა მოვკლა, დოლორეს.

მაშინ დოლორესმა მკითხა: მეთანხმები? მე ნალელიანად გავიღიმე. ჯერ ერთი, იმიტომ გავიღიმე, რომ აუღელვებლად და თანმიმდევრულად მიხსნიდა თავის მოსაზრებას, მეორეც იმიტომ, რომ რაღაც არ მჯერა, „ერთმა ბედნიერმა წუთმა“ — თუ მას არ მოჰყვება ერთი ბედნიერი საათი ან რამდენიმე ბედნიერი საათი—ცხოვრება გამიღამაზოს. დოლორესის აზრით, ეს ერთი წუთი უნდა იყოს ბედნიერი და მერე თუნდაც გაიწიროს. მოგონებამ კი, აი იმ „რალაცამ“, რაც ხელჩასაჭიდად უნდა დამრჩეს ცხოვრებაში, შეიძლება სამუდამოდ მომიშხამოს ღამეები, უძილო ღამეები. დოლორესის მსჯელობა სიკვდილზე მკაცრად ლოგიკურია. ჩვენ ტყუილად როდი ვყოყმანობთ, ჩვენთვის მიუღებელია ერთადერთი ბედნიერი წუთი. გვირჩევნია არ ჩაუეჭიდოთ მას, არ გაუეკიდოთ და არც შევაჩეროთ წამიერად გაელეებული. ჩვენ გვირჩევნია უარი ვთქვათ ყველაფერზე, ვიდრე დავეთანხმოთ ერთი წუთის ბედნიერებას, როგორც ერთადერთ შესაძლებლობას ცხოვრებაში. ნუთუ ასე მიუწვდომელია დიდი ხნის ნეტარი და ბედნიერი არსებობა? რა თქმა უნდა, დოლორეს — ვუთხარი მე და ისიც მიმიხვდა ფიქრს. მართალი ხარ, — თქვა მან. — შეიძლება ისეც მოხდეს, რომ მერე უფრო უბედური იყო, მეც სინდისის ქენჯნა მომკლავს, რომ დაგტანჯე. მაგრამ ჩვენ ხომ ჯერ არ ვიცით, რა მოგვივა, ამიტომაც სჯობს გავრისკოთ. მე ვკითხე — როდის? მან მიპასუხა — ხვალ.

— უნდა მოვკლა, დოლორეს.

„ხვალ“ — დღესაა. დღეს ჩვენ გვერდიგვერდ ვწევართ იმ საწოლში, სადაც წოლილან ხორხეს, ხუანის და ხასინტოს — „სამი ხ-ს სექსუალური საზოგადოების“ ქალები. ასე უწოდებენ ისინი თავიანთ დაწესებულებას. სწორედ მათ მომცეს იმ ოთახის გასაღები, სადაც ფეხებგადაფლამულები წოლილან ნაირ-ნაირი ქალები: მდივნები, მსახიობები, მანეკენები, მოლარეები, ქვრივები, დიქტორები, სტიუარდესები, ნიმფები, ტურისტები, დაწყებითი სკოლის მასწავლებლები, მორწმუნენი, მოცურავეები, პოეტესები, ოფიციანტები, სტენოგრაფისტები, მოცეკვავეები, ჭრა-კერვის მასწავლებლები, ნარკომანები, ექსთვითმკვლელები, ლიფტიორები, მეფარდულეები, კომიტეტის თავმჯდომარეები, დეპუტატთა ცოლები, თეთრეულით მოვაჭრენი, გენრი მილერის მკითხველები, „მის ურუგვაის“ სახელის მაძიებელნი, კრენდონელი მოზარდები, ალიანსელი ყმაწვილი ქალები. დოლორესი წევს იმ საწოლში, სადაც ბევრჯერ უთქვამთ: ვაითუ შეგჯავრდე ამის მერე, მაგრამ მერე ტკბობაში ჩაფლულან. დოლორესი წევს იქ, სადაც დადიოდნენ წესიერებიც და უწესოებიც, ჩვეულებრივი ადამი-



ანები. ჰოდა, წევს ახლა აქ დოლორესი — ერთადერთი და სუფთა, ძილშიც კი მომლიძარე; დოლორესი—რომელიც მანქანაში ჩავისვი და როგორც ყოველთვის, ახლაც რამბლაზე გავატარე. მანქანა ერთ მოფარებულ ადგილას, ხეობაში დავაყენე. სწრაფად გადმოვედით და ასევე სწრაფად შევედით ერთ მენობაში. ლიფტში ბერეტიანი ბერიკაცი დაგვემზავრა ძაღლთან ერთად. ეს თაზი მეათე სართულზეა. ფანჯრიდან ჩანს ზღვაზეც ცელქად მოქანკვეხებული იალქანი და ჰორიზონტზე ზოლივით გაწოლილი ერთი თეთრი ღრუბელიც. ჩვენ გვერდით წევს დოლორესი — მე მას თითქმის უსიტყვოდ ვეაღერებო და ვკოცნი. ხანდახან მის თვალებში — მართალია, იშვიათად, მაგრამ მაინც უაღვილოდ გაკრთება ხოლმე გახსენება უგოსი; დოლორესი — მე მას ყელსაბამი, საყურეები, საათი შევხსენი, ფეხსაცმელი გავაძრე და კაბის გახდისას ელვა შესაკრავი ლამის მოვუშალე; დოლორესი — მე იგი გავაშიშვლე და გამოვტაცე ყველაფერი, გარდა უგოს წამიერი გახსენებისა; ვეხვეოდი, მკერდში ნაზად ვიკრავდი, აუჩქარებლად ვიშორებდი ზეწარს, მსურდა, „ბედნიერი წუთი“ დიდხანს გაგრძელებულიყო, ვიგრძენი კიდეც, როგორ ჩაირთო იგი. უნდა ვაღიარო, ამ წუთის მსგავსი — ყოვლისდამტვევი და უღამაზესი — არ არსებობს ჩემი ცხოვრების წინა ისტორიაშიც კი. ამ წუთში ჩავაქსოვე ყველაფერი, რაც გამაჩნდა როსარიოდან დაწყებული სუსანამდე. ვიცოდი, ამ შეხვედრაზე იყო დამოკიდებული ჩვენი ცხოვრება, ჩემი ურთიერთობა ქვეყნიერებასთან, ჩემი სულის სიდრმეები. ვსუნთქავდი დოლორესით, ვისრუტავდი მას ხელებით, თვალებით, ცხვირით, ყურებით, ყოველი გოჯი კანით, მისას რომ ეხებოდა; და ბოლოს როცა მთლიანად დავეპატრონე, როგორღაც ვიგრძენი, რომ თვალები ჯიუტად მქონდა გახელილი და ვლაპარაკობდი, დაუსრულებლად წარმოვთქვამდი ზღვარგადასულ ალერსიანსა და ამაყე დროს შიშნარევი სიტყვებს. ეს სიტყვები ძალდა მოიწევდნენ სიდრმიდან, — ოღონდ, ჩემი სიდრმიდან, რომლის არსებობაც პირველად ახლა აღმოვაჩინე და რომელიც ერთდროულად სიამით მავსებდა და მანადგურებდა კიდეც. დოლორესი იყო მიზეზი, ბოლო წამებში უღონო ცხოველივით რომ ვკვნესოდი. ეს კვნესაც შორეული წლებისა იყო. შესაძლოა ბავშვობისდროინდელი, როცა უსუსურობას ვგრძნობდი ღამეული ურჩხულების წინაშე, თუმცა ახლა ამ უჩვეულო სიბნელეში არანაკლებ უსუსურობას ვგრძნობდი სხვა უფრო მრისხანე ურჩხულის — სიკვდილის წინაშე. დღეს იგი საგულდაგულოდ გვითვალთვალებდა, კვალში მოგვდექდა, დღეს იგი მე და დოლორესმა ცოტათი მაინც დავამარცხეთ, მაგრამ სიკვდილი ამ ცოტასაც არ გვაპატიებს, ხვალ თუ ზეგ უსათუოდ იძიებს შურს, ტორს მძლავრად მოგვიქნევს. დოლორესს აღტაცებაში მოვყავდი, ჩემდა გასაოცრად სულ რაღაც ახალს, და ახალს ვპოულობდი მასში. უსაზღვროდ მადლიერმა დახვეწილი კეფის ქვეშ მარჯვენა მკლავი ამოვუდევე და უნებურად მისი ყურის ბიბილო ჩემს ცერა და საჩვენებელ თითებში აღმოჩნდა: როგორც დავვიანებული, უკანასკნელი შეხვედრა ჩვენი საბრალო, მოშვებული, ძალაგამოცლილი და დაკმაყოფილებული სხეულებისა. ახლა ჩავწვდი ბოლომდე, რა ვიყავი მე და რა იყო ის ამ ბოლო ოც წუთში. მე დავინახე საკუთარი თავი როგორც გამოძახილი ჩემივ შორეული სასოწარკვეთილებისა, როგორც მოწმე იმ ეგოიზმით აღსავსე საოცრებისა, მთელი ცხოვრება რომ მოიწევდა ძალდა ჩემივ სიდრმიდან, რათა ამ ერთადერთ წუთს ზიარებოდა. მე დავინახე დოლორესი, რომელიც, პირიქით, ნაკლებად იყო ჩამირული საკუთარ თავში. მე დავინახე რა სიბრაღულით მიცქერდა იგი, როცა ვიმორჩილებდი, მთელის არსებით ცდილობდა უსიტყვოდ,



უსაყვედუროდ შერწყმოდა ჩემს სურვილს, მზრუნველად და ბეჯითად აპყლოდა ჩემს თვალებს, ჩემს ხელებს, ჩემს კვნესას, არა მხოლოდ გზნება და ვნება გამოემზურებინა ჩემ მიმართ — რაც, ცხადია, არც იყო — არამედ, როგორც მხოლოდ მას სჩვეოდა, მოყვასისადმი სიყვარულიც არ დავიწყებოდა. და ყოველივე ამას ისეთი ჯადოქრობით აკეთებდა, რომ მისი ჩურჩული, მიზი მორჩილება, მისი ალერსი — რაიც, თავისთავად, შესაძლოა ნამდვილი სიყვარულიდან შორსაც კი იყო, — ერწყმოდა, ავსებდა და ქმნიდა ერთ-ერთ შემპირებულ სასიყვარულო აგონიას. მაშინ მივხვდი, რა დიდი ეგოისტი ვყოფილვარ მე, ის კი რა დიდსულოვანი და გულდია, რომ აი, ასე დაუფიქრებლად, ანგარიშში-უცემლად გადაეშვა ჩემს სიცარიელეში. მივხვდი და ცოტა შემრცხვა, მგონი, გაუწითლდი კიდევ. მაგრამ დოლორესი ჩემს გაწითლებას ვეღარ შეამჩნევდა: ეივრძენი, ჩემს მკლავზე დადებული მისი თავი როგორ გადაქანდა გვერდზე და ყური როგორ დაადო ჩემს ხელის გულს. მხოლოდ მისი უშუოთველი, სინდის-დამშვიდებული სუნთქვა ისმოდა ამ სუფთა, ასეპტიკურ ოთახში, სადაც აბსტრაქტულ ნახატებს, კერამიკის ღორებს, ბროდვეის აფიშებსა და დიდ ფანჯრებში შემოჭრილ ცას ერთად მოეყარა თავი.

— უნდა მოვკლა, დოლორეს,

აი, ახლა, ამ წუთში, როგორც არასოდეს, უკვე ვიცი, დარწმუნებული ვარ, გული არ ამიჩუყდება. არავითარი მტრობა, არავითარი წყენა და გაბრაზება — თავისუფალი ვარ ყოველივე ამისგან. უნდა მოვკლა, უნდა ვიპოვო საკუთარი თავი, ერთხელ და სამუდამოდ მოვიმოქმედო რაღაც კეთილშობილური, რომლისთვისაც უცხო იქნება ცრუ სიამაყე და წვრილმანი ანგარიშიანობა. უნდა მოვკლა სხვათა სასიკეთოდაც, მშვიდად, ხელის აუკანკალებლად. შეგნებულად უნდა აღვასრულო მართლმსაჯულება, რათა გზა გადავუღობო წამოწყებულ, მოსალოდნელ დანაშაულობებს. კარს ერთი მაგრად მოვიხურავ და გადავრჩები საშინელ შერცხვენას. ქარსაც წაუღია ქაღალდები, ორდენები და პრივილეგიები, მთავრული ასოები და რიტორიკა. მათ გამო ვერ გავირჩევია კაცს, რა ფერისაა მიწა, სად ჭაა, სად ჭიანჭველების ბუდე, სად ოთხფოთლიანი სამყურა ბალახი, სად ქვიშა. ღმერთო, მუხლს ნუ ამიკანკალებ. უნდა მოვკლა. მკვლეელი ის არის, მე კი არა. მკვლეელი ის არის, ის მაჩვენებს ხელში იარაღს, მაიძულებს, განზრახვაზე უარი არ ვთქვა, არ წავხდე, სული გადავირჩინო. უფრო სწორად, ის თვითმკვლეელია. მე კი გუსტავო უნდა გადავარჩინო, ჩემი ვაჟი. იგი კვალში მომდევს თვალებდაბინდული, ნაბიჯარეული, თვინიერი და ჯიუტი. საბრალო ბიჭი. ნეტავ შემეძლოს მასთან საუბარი, მისი დარწმუნება, მაგრამ არა, ყველას ვერ გაუუმხელ ჩემს განზრახვას, დოლორესსაც კი. თუ ვეტყვი, მაშინვე დამიწყებენ ჭკუის სწავლებას, ეგ რამ გაფიქრებინა, ღმერთი არ გაგიწყრეს, ეგ არ ჩაიდინო. ალბათ გამტყვენ კიდევ, ყოველ შემთხვევაში, დოლორესი მაინც. ამიტომაც დოლორესს არაფერს ვეტყვი, იმიტომ არ ვეტყვი, რომ უსათუოდ უნდა აღვასრულო ეს საქმე. მძიმე წუთებში დოლორესმა მომცა ძალა, საკუთარი თავი მაპოვნინა, მაგრძნობინა, ამომაცნობინა. ჰოდა, უნდა მოვკლა, ამას წყალი აღარ გაუვა. სულაც არ ვლელავ, არც არანაირი ძრწოლვა არ მიპყრობს... ხელის გული გამოიფლიანა დოლორესის მძინარე ლოყამ. აი, ასე, მთლად, უამხანაგო, მტრების გარემოცვაში მოქცეული, მაგრამ მტკიცე, ამჯერად მზად ვარ დავემორჩილო საკუთარ თავს, თუმცა ჯერ კიდევ მიუჩვეველი ვარ ასეთ სიმშვიდეს.

— უნდა მოვკლა, დოლორეს.



- რა თქვი?
- არაფერი.
- ჩამძინებია. რომელი საათია?
- შვიდის ათი წუთია.
- რამონ.
- გისმენ.
- იცი რა? მე მგონი, უფრო მეტად მიყვარხარ, ვიდრე ვფიქრობდი.
- მერე, ეს რაიმეს ცვლის?
- არა, ართულებს.
- პირველია და უკანასკნელი, ხომ?
- ჰო, ძვირფასო, პირველი და უკანასკნელი.



ქართული  
ლიტერატურის  
სამეცნიერო ცენტრი

ლიფტში შესული რამონი მეხუთე სართულის დილაკს აჭერს თითს. აი, აქ შეუძლია წუთით დაივიწყოს საკუთარი განზრახვა და იფიქროს: საწყალი რიოსი. ანგარიშმიუცემლად — წლების მანძილზე ლიფტით სარგებლობისას რომ გამოიშუშავა — იხედება სარკეში და ჰალსტუხს ისწორებს. თმაც არეული აქვს, მაგრამ სავარცხლის ამოღებას და დავარცხნას ვეღარ მოასწრებს. ლიფტიდან გამოსული ვესტიბიულში მაგიდას დაინახავს. მაგიდაზე დავთარი დევს სამძიმარზე მოსულთათვის. რამონი ჯიბიდან ავტოკალამს იღებს, მაგრამ ახსენდება, რომ შიგ მელანი აღარაა. იძულებულია იმ უბრალო კალმით ჩაწეროს, დაკორის გვერდით რომ დევს. რამონი ხელს აწერს და პირველად აქცევს ყურადღებას თავის ხელწერას, როგორ შეცვლია! წინათ ლამაზად ჩაახუჭუჭებდა ხოლმე, ახლა რაღაცნაირი, აჩქარებული, უშნო „რამბუნდით“ გამოსვლია ნაცვლად „რამონ ა. ბუდინით“-სი, რომელიც თავს იწონებდა მისი უბნის წიგნაკის პირველ გვერდზე. ჭირისუფლები ვერც მიხვდებიან, ვის გაუგზავნონ მაღლობის ბარათი, ფიქრობს რამონი და დიდი, თითქმის ბეჭდური ასოებით სრულად წერს თავის სახელსა და გვარს განმეორებით.

ხუთას მესამე ბინის მოღიავებულ კართან ორი შაოსანი ქალი დგას. ქართიატიდები — ფიქრობს რამონი. ერთ-ერთს ცხვირსახოცი მიაქვს უცრემლო თვალთან. მეორე ოხრავს და სლუკუნებს, ტუჩები ოდნავ უთრთის. რამონი ვრძნობს, ქალები შესცქერაინ, მაგრამ, ის მათ არ ესაღმება. ოთახში შესვლისას პირდაპირ იყურება, ფიგარის „კანდომბეს“ კარგად შესრულებული რეპროდუქცია სტაცებს ოვალს.

- მოგზაურობამ მოკლა, — ესმის რამონს მარცხენა მხრიდან.

- რა თქმა უნდა, კიბო ჰქონდა, — ესმის მარჯვენა მხრიდან.

მამაკაცებს მუქი კოსტიუმები და თეთრი პერანგები აცვიათ, აბრეშუმის ჰალსტუხები ამშვენებთ. სამგლოვიარო ტანსაცმელი არაფრით განსხვავდება სადღესასწაულოსგან, — ფიქრობს რამონი და მომსვლელებს ითვლის. ას ოც კაცამდე დაითვალა. იქნებ როგორმე შეაღწიოს მეორე ოთახში. იქ რომულო ხორიაა. როგორ დაბერდა! ხმადაბლა ელაპარაკება ორ ჩასუქებულ და თმაგადასლექილ კაცს. გარშემო ყველანი ხმადაბლა საუბრობენ, მაგრამ საბოლოო ჯამში კარგა გვარიანი ხმამაღალი კოლექტიური გუგუნი დგას ოთახში. ვიდრე თავშეკავებული გაცხარებით მოუწოდებს ხალხს სიჩუმისაკენ, გუგუნი ერთბაშად წყდება, მხოლოდ ერთი გაშიშვლებული ხმა უღერს სასტუმრო



ოთახში: „ყავას ხომ არ მიირთმევთ?“ მაგრამ სიჩუმეში უხერხულად გამოკიდებული, ფრახას ისიც ჩურჩულით ამთავრებს.

უცებ ხალხი ტალღასავით იხვევს უკან. ნაცრისფერ კოსტიუმში გამოწყობილ ახალგაზრდა კაცს უთმობენ გზას. ხელს ართმევენ, მზარხე უთათუნებენ, სააღმარს ეკებებიან. ახალგაზრდა კაცი გაღიზიანებული ჩანს, წერწყვეს ორჯერ ყლაპავს. რამონი ხედავს, როგორ ასდის-ჩასდის ხორხი.

— ვაჟიშვილია,, — ამბობენ ისინი, ვინც მას იცნობენ და ისინიც, ვინც მხოლოდ ახლა გაიგო, რომ ვაჟიშვილია.

ახალგაზრდას კიდევ რამდენიმე კაცი იკრავს გულში. იგი ცდილობს ჩაკეტილ კართან მივიდეს. როგორც იქნა, აღწევს კიდევ მიზანს, კარის სახელურს ეჭიდება, მაგრამ ამ დროს პენსნეიანი და შლაპიანი ქალი მივარდება ტირილით:

— ო, საბრალო ასდრუბალ, ნამდვილად კარგი მამა დაკარგე, ეს რა უხედურება მოხდა, ვერაფრით დამიჯერებია. ასდრუბალ, საბრალოვ, ძალიან იწვალა ნი, ლასმა?

— დამშვიდდით, დონია სარა, — ეუბნება ვაჟიშვილი, მაგრამ ქალი არ ემშობა.

— მითხარი, ძალიან იწვალა? მინდა ვიცოდე, ასდრუბალ, ძალიან იწვალა?

ახალგაზრდა კაცი ცდილობს არ აღელდეს, სახე ეღმიჭება მწუხარებისა და დაძაბულობისაგან. არა, დონია სარა, ძალიან არ უწვალაია.

როგორც იქნა, ქალს იშორებს და კარსაც აღებს.

რომულოს გარდა ჩემი ნაცნობი აქ არავინაა, ფიქრობს რამონი. სორიამდე, ეტყობა, ვერც მივაღწევ, კვლავ იმ ორ თმაგადასლექილ კაცს ებაასება.

— სენატორმა აურ-დაურია ყველაფერი, — ამბობს, ეილაცა რამონის ზურგს უკან. — ხომ წარმოგიდგენიათ, რა ძნელიც იქნებოდა ამ აქციის მომზადება. აქ ულტრამემარჯვენე გენერალი აგერონდო როდია მთავარი. მან ყველაფერი გააკეთა, მაგრამ ხომ იცით ჩვენი პოლიციის ამბავი. სამწუხაროდ, იქ ჯერ კიდევ ბლონად არიან პარტია „კოლორადოს“ წევრები, მაგრამ გენერალმა მათგან მხოლოდ საიმედო ახალგაზრდები შეარჩია. ჩვენში, ბიოგრაფიების მოყვარულ ქვეყანაში, უნივერსიტეტი ყოველთვის უნივერსიტეტია და ამიტომაც ხელშეუხებლადაც მიიჩნევენ მას. ამასობაში კი მღელვარება მატულობს. ერთ მშვენიერ დღეს აღბათ ყველანი ავლაპარაკდებით რუსულად. დამიჯერეთ, ვასკეს, ლათინური ამერიკისათვის სხვა ალტერნატივა არ არსებობს: ან სტრესნერი, ან ფიდელი, საშუალო არ არსებობს-მეთქი! ჩემი აზრი? როგორ გითხრათ, პარაგვაელთა საქციელი არ მომწონს: მოწინააღმდეგეებს თვითმფრინავებიდან ყრიან, მდინარეებს გვამებით ავსებენ. მაგრამ რას იზამ? მეტიმეტად ჩამორჩენილი ხალხი ვართ, წამება კი — ეს, ასე ვთქვათ, დაჩქარებულ სწავლების ხერხია. ერთი სიტყვით, საკითხი ასე დგას: ან სტრესნერი, ან ფიდელი. ვაღიარებ, ამ ორი უკიდურესობიდან მე სტრესნერს ვარჩევ. სტრესნერი ჩვენი ცივილიზაციის კაცი მაინცაა, დასავლეთის, ქრისტიანულის. თავის ქვეყანაში წესრიგი დაამყარა, დიდებული აეროპორტიც ააშენა რეაქტიული თვითმფრინავებისთვის ასაფრენი ბილიკით; ამბობენ, ბევრი სხვა რამეც გააკეთაო, ამ დროს კი ჩვენ რა გვაქვს? ჩვენს აეროპორტში — კარასკოში ასაფრენი ბილიკი სოფლის შარასა ჰგავს და „ბოინგმა“ თუ არ იმარჯვა, შეიძლება... ჰო, იმას ვამბობდი, აქციის მომზადება ძნელი იყო-მეთქი. ასეთ საქმეს დრო სჭირდება.



ფული არ არის მთავარი, ადამიანების შერჩევაა ძნელი, თორემ ფული ასეთი კარგი საქმისათვის ყოველთვის მოიძებნება. და როცა ყველაფერი მზად იყო, როცა პოლიციამ თავისი ადგილი დაიკავა, რათა „თავისუფლების დამცველი სტუდენტური მოძრაობის“ ყოჩაღი ბიჭებისთვის ზურგი გაემაგრებინა, როცა ის-ის იყო უნდა დაეძახა (როგორც კინოშია): ხუთი, ოთხი, სამი, ორი, ერთი და... ბახ! — რომ ამ დროს სენატორი ხელიდან გაგვისხლტა და ჯიქურ გაუძარტა უნივერსიტეტის ალყაფისაკენ სტუდენტებისკენ, პარაკებლად. რა თქმა უნდა, ყველაფერი ჩაფლავდა და ეს უკვე ყველამ იცის. ხედავთ, რა კარგია: ვიდაცის ლამაზ საქციელს, ახირებას, პატივმოყვარულ გამოხდომას შეეწირა მშვიდობიანი დემონსტრაციით უნივერსიტეტის ხელში ჩაგდებას იღუა. ახლა კი ვინ იცის, როდის მოგვეცემა ასეთი ხელსაყრელი შემთხვევა. არა, ამ მუმიებთან მუშაობა შეუძლებელია, კუ-კლუს-კლანელთა დროიდან მიაჩნიათ თავი ჭკვიან და ცბიერ მაკიაველებად. თურმე უარი უნდა ვუთქვათ პატარ-პატარა სიხარულზე, პატარა ეშმაკობაზე და ხელკეტი უნდა მოვიმარჯვოთ. ამასწინათ ქვეკომისიაზე ვუთქვი, ამ ჭკუის სასწაული გაკვეთილის შემდეგ აგერონდოს იქნებ აღარ მისცენ უფლება, მარტოკამ იმოქმედოს-მეთქი.

კვლავ ტალღასავით გაიშალა ხალხი. „რძალია“, — ჩურჩულებენ ირგვლივ. რძალი მარჯვნივ თუ მარცხნივ არიგებს აკანკალებულ სიტყვას: „გზადღობთ“, მერე — ჩემი ქალიშვილი ხომ არ ვინახავთო? არა, არავის უნახავს. რძალს ვიდაც ქალი შეაჩერებს, ორივენი აცრემლებულები ეხვევიან ერთმანეთს.

რამონი წინ დგამს ნაბიჯს. ოთახში სიგარეტის მოწვევას ვერ ბედავს. ძალიან უნდა გოგონა ნახოს და მიუსამძიმროს.

— ნეტავ „პენიაროლს“ როგორ აქვს საქმე? — სმის მორიდებული ჩურჩული.

— მაგას სჯობს იკითხოთ, „ნასიონალის“ ფეხბურთელი სპენსერი როგორ არის-თქო, — უკმაყოფილებას გამოთქვამს მეორე ჩურჩულითვე.

— ეს ვიდაცაა, „ნასიონალს“ გულშემატკივრობს, — ბუზღუნებს პირველი. რამონი ხედავს, როგორ თახთახებენ ორივენი შეკავებული სიცილისაგან. ამასობაში რამონი რომულო სორიამ დაინახა და ისევ მისკენ გაუძარტა.

— მინდოდა შენი ნახვა, ოლონდ, რა თქმა უნდა, არა ასეთ სამწუხარო ვითარებაში, — ეუბნება სორია.

— ჰო, რა თქმა უნდა, არა ასეთ ვითარებაში... წლები არ დაგტყობია, არ შეცვლილხარ.

რატომ ვცრუობ, ძალიანაც დაბერებულა, მაგრამ წესი და ზრდილობა ითხოვს, ასე მივმართოთ ერთმანეთს, თითქოს დროს ვიწვევთ ბრძოლაში.

— საწყალი რიოსი — ამბობს რომულო.

— არც ისე საწყალია. ყველაფერი მიიღო, რაც სურდა.

— კი, ასეა, მაგრამ... ძალიან მინდოდა, დიაგნოზში მოვტყუებულიყავი. კარგი ადამიანი იყო.

— მეც ასე მომეჩვენა.

— პორტში რომ დავხვდი, პირველი ის მითხრა, ცოცხალი თუ ჩამოვალწვედი, არ მეგონა, ცუდადაა ჩემი საქმეო.

წესით, ახლა აღბათ უნდა ვკითხო, მოხუცმა ძალიან იწვალა-თქო? — ფი-



ქრობს რამონი, მაგრამ რატომღაც ჰგონია, რომ ამ შეკითვით დააკნინებს, გააუფერულებს რიოსის უჩვეულო, მამაცურ საქციელს.

— ძალიან იწვალა?

— არც ისე, მე რომ მეგონა. მოხუცს ბედმა გაუღიმა, გულმა უმტყუნა. ამიტომაც მოკვდა მოსალოდნელზე ადრე. იცი, რა მითხრა სიკვდილის წინა დღეს? მარტონი ვიყავით. ბუდინიოს გადაეცით, მომეწონა მისი ~~თქმული~~ და, საერთოდ, მამამისზე უკეთესი ადამიანი ჩანსო. ამას იმიტომ ~~ვეუბნები~~ ვერაფერს, რომ თითონ მთხოვა. ისე, ცუდად ხომ არ იყვნენ ერთმანეთში?

— არა მეგონია.

— იცი, რა მომავონდა ამას წინათ? ჩვენი ბუენოსაირესული ამბები ვიჯექი მარტო და ვიცინოდი. ნელისაც ვუამბე. ხომ გახსოვს, რა კარგად ვიცოდი იაპონური ენა? ისიც ხომ გახსოვს, ბალდინჯოები რომ გვჭამდნენ? ფუჰ, რა ბინძური პანსიონი იყო!

— ჰო, ბინძური იყო, მაგრამ იმ პანსიონს ერთი დიდი ღირსება ჰქონდა: ახალგაზრდები ვიყავით მაშინ.

ვიღაც კაცი მხარზე ხელს ადებს სორიას.

— ექიმო ესტევეს, მოხარული ვარ, რომ გნახეთ. როდის ჩამობრძანდით ლოს ანჟელესიდან? — წამოხტა სორია.

მაგრამ ექიმი ესტევესი ყრუა და პასუხობს:

— ორასი.

სორია დაბნეული ატრიალებს თვალებს. რამონს მიმართავს — „მაპატიე“ — და ყრუ კოლეგა აივანზე გაჰყავს: იქ იყვიროს, რამდენიც უნდა, უზრდელობაში არაეინ ჩაუთვლის ხმამაღალ ლაპარაკს. რამონა ზოლიან სავარძელში ჯდება და თვალებს ხუჭავს. დიდი ხანია სურს, აი, ასე მშვიდად დაჯდეს და უჩიჩინოს თავს „უნდა მოკვლა“. ბებერი რომ რიოსავით კარგი ადამიანი ყოფილიყო!.. მაგრამ ბებერს უყვარდა კია ვინმე? ან უყვარს? ან ეყვარება? ერთი საყვარელიც კი არ ჰყავს! რომ ჰყავდეს, რამონს ეცოდინებოდა. იქნებ ჰყავს? არა, შეუძლებელია. ბებერს არასოდეს ჰყვარებია ვინმე. საყვარელი რომ ჰყავდეს, ერთი საყვარელი, — მაშინ ეს იმას ნიშნავს, რომ რამონს ცუდად სცნობია მამამისი, არადა, საუბედუროდ, კარგად იცნობს. არავინ ჰყავს. უბრალოდ, ხანმოკლე ურთიერთობები აქვს ხოლმე ვითომ მეგობრების ცოლებთან, პოლიტიკოსთა ცოლებთან, სხვა მამაკაცების ქალებთან... და ეს არის სულ. არავითარი სიყვარული, არავითარი თავგადასავალი, მხოლოდ კმაყოფილების გრძნობა, რომ ვიღაცას რაღაცას გლეჯდა და კიდევ, ზოგ-ზოგ ქალს საქმიანი მიზნებისთვისაც იყენებდა ხოლმე. ვინ მოსთვლის, რამდენი კონტრაქტი ჩაუგდია ხელში ლოგინის დახმარებით. რქიანი ქმარი ხომ იდეალური პარტნიორია, ხელს აწერს მომგებიან კონტრაქტს; უზარმაზარი წილი ბებრისაა. რქიანი ქმარი ტრაბახობს, არ ვაწერდი ხელს, მაგრამ ბოლოს ჩემმა ძვირფასმა ცოლმა მთხოვა, მომეწერაო. არადა, ის პუნქტი, რომელიც „გარედან“ თითქოს სარფიანია მეორე მხარისათვის, „დროთა განმავლობაში“ სარფიანი ხდება ბებრისათვის. ხშირად ეს „დრო“ კარგა ხანს გრძელდება. რქიან ქმარს კი მაინც მოხერხებული კაცი ჰგონია თავი.

— სენიორ ბუდინიო.

რამონი თვალს ახელს, მის წინ გოგონა დგას. რამონი სწრაფად დგება სავარძლიდან — ეს ოხერი სახსრები ძველებურად აღარ ემორჩილებიან.



— ოჰ, მაპატიეთ, სენიორიტა... ძალიან მეწყინა ბაბუათქვენის სიკვდილი. პირადად თქვენთან მოვედი სამძიმრის სათქმელად...

— მაღლობთ, სენიორ ბუდინიო, დიდი მაღლობა ყურადღებისათვის.

საოცარია, ეს გოგონა ახლა უფრო გაზრდილი და ამავე დროს უფრო ნორჩ-ჩაც მუჩვენა, ვიდრე მოგზაურობამდე იყო. ალბათ იმიტომ, რომ ტუჩები არ აქვს შეღებილი.

არ  
ერქვენული  
გმგუნითქვა

— თქვენი რჩევები ძალიან გამომადგა, სენიორ ბუდინიო, და დიდი მაღლობელი ვარ. ამ მოგზაურობამ უსაზღვრო სიამოვნება მიანიჭა ბაბუას. დღეს გავიხსენე მისი სიტყვები, სად რა მითხრა, და ვფიქრობ, ასეთი დარჩება იგი ჩემს ხსოვნაშიც. ტოლედოში, ელ გრეკოს სახლ-მუზეუმში, ჩაფიქრებულმა და გულდამძიმებულმა ბაბუამ მითხრა: ეს იმ კაცის სახლია, სიკვდილზე რომ ფიქრობდაო. ბარსელონაში გოთური კვარტალის დათვალიერებისას ერთი ვიწრო ქუჩიდან გასულები უცებ ფართო მოედანზე აღმოჩნდით. ბაბუამ მითხრა: ცხოვრებაშიც ასეა, ვიწრო, მიხვეულ-მოხვეული ქუჩებით გადიხარ თვალშეუდგამ სივრცეში — სიკვდილშიო. კუნძულ კაბრიზე ყოფნისას ერთმა არგენტინელმა კაცმა ურჩია ბაბუას, აქ სხვა დროს უნდა ჩამობრძანდეთ, ახლა შუა სეზონია და მოზღვავებულმა ტურისტებმა ლამის წალეკონ აქაურობაო, ბაბუამ უპასუხა: საქმე ის გახლავთ, სენიორ, რომ ჩემთვის ეს ერთადერთი სეზონიაო. როცა წმ. მარკოს ბაზილიკაში ვიდმა გვამცნო, ეკლესია ყოველ ორ წელიწადში ერთი სანტიმეტრით იწევს დაბლაო, ბაბუას გაეღიმა: ჩემი მოლოდინის აღსრულებას სამი მილიმეტრიც ყოფნისო. ფენევაში ნამცეცა კუნძულ რუსოზე. უღამაზეს პარკში ვისხედით უღამაზესი ტბის პირას და მორთულ-მოკაზმული ღირსეული საზოგადოების ცქერით ვერთობოდით. ბაბუამ თქვა: მართლაც სამოთხეა ფენევა, კიდევ კარგი აქ მაინც მოვხვდი სამოთხეში, თორემ იქ ხომ ჯოჯოხეთში მაწევს ყოფნაო. პარიზში, მდინარე სენაზე პატარა გემით მოგზაურობისას, თან ვსაუბრობდით და თან პროექტორებით განათებულ ისტორიულ შენობებს ვათვალიერებდით. ბაბუამ თქვა: კარგია რომ მიცვალებულებსაც არ ანათებენ პროექტორებითო. აი, ახლა ვიხსენებ მის სიტყვებს, მაგრამ არ იფიქროთ, მარტო სიკვდილზე ლაპარაკობდა. სულაც არა. ბაბუა იცინოდა, ხუმრობდა, გულით უხაროდა ყველაფერი; რაც მოსწონდა, მართლა მოსწონდა, არ იგონებდა. ბოლოს როცა უკვე შინ ვბრუნდებოდით და გემბანზე შეზღონებებზე მიწოლილები ახლა უკვე ზღვის სიღამაზით ვტკბებოდით, ბაბუამ ფრთხილად, შეპარვით წამოიწყო თავისი საიდუმლოს გამჟღავნება. მე თავი ვერ შევიკავე, ეს ყველაფერი მონტევიდეოდან გამომგზავრებამდე ვიცოდი-მეთქი, ვუთხარი. არასოდეს დამავიწყდება... შემომხედა, ჩემი ხელი აიღო და დაუწყო კოცნა, თან აღელვებული ჩურჩულებდა: ჩემი გოგო, ჩემი გოგო ჩემი გოგო... არ ვიცი, სწორად მოვიქეცი თუ არა, სენიორ ბუდინიო, ექიმი სორია მამშვიდებს ძალიან სწორადაც მოიქეციო. ბაბუას იმიტომ ვუთხარი სიმართლე, რომ მივხვდი, ტკივილი უწყებოდა უკვე, მე კი არ მინდოდა ახლა ამ ტკივილის შეკავებით დაეტანჯა თავი. მაგრამ, გეფიცებით, არასოდეს არავინ მევარებია, არასოდეს არავინ შემბრალებია ისე, როგორც ის იმ წუთში, ხელებს რომ მიკოცნიდა ჩურჩულით: ჩემი გოგო, ჩემი გოგო, ჩემი გოგო... მაპატიეთ... ამ მოგზაურობისას ვასწავლე, რას ნიშნავს სულიერი სიძლიერე, თავშეკავება, მაგრამ რა ვქნა, საკმარისია ის სურათი დამიდგეს თვალწინ, რომ ავტირდე. სხვანაირად ალბათ გული გამასკდებოდა. თქვენი აზრით, ცუდად მოვიქეცი, რომ ვუთხარი?



აქ არაფერი არ მოძრაობს, არც ხმაური ისმის, მანქანებისაც კი. ჟალუზებიდან დაბინდული შუქი იჭრება. ალბათ მოღრუბლული დღეა მით უკეთესი. დღეს ჰაერივით მჭირდება მოღრუბლული დღე, მაგრამ ეს მოზღვავებული მღუმარება კი ნამდვილად მძიმედ მაწვება გულზე. რატომ ავირჩიე მაინცდამაინც ეს დღე? არ ვიცი. რომელიღაც ხომ უნდა ამერჩია. ქუჩაზე გამოუყვია საბნიდან და... ეს მე მალეღვებს. თუმცა სუსანას ფეხი კი არა, ეს ერთი კვირაა, ყველაფერი მალეღვებს. ოფისში ჩემი ჩათქვირული მდივანი ქალი მალეღვებს, მაგრამ არა თავისი შორცხვად წარმოჩენილი ხორცისა გამო, არამედ უბრალოდ იმით, რომ ისიც ცოცხალი არსებაა. ქუჩაში ყველაზე ჩამობრახული მათხოვარიც მალეღვებს: წინ წამოუწევია თავისი მცირე კაპიტალი — დაწყლულებული, ბუზებდახვეული ფეხი და მოწყალეებს ითხოვს. სამსახურის საათებში ლამის ყველა კლიენტი მალეღვებს: ზოგი პუნტა დელ ესტეზე შეკითხება, როგორი ადგილია დასასვენებლადო, ზოგიც, საკმაოდ სახიერი ტურისტი, მორიდებულად მაპარებს კითხვას, რა ისეთი სიმბოლური მნიშვნელობა აქვს ამ თქვენს უსახურ საღვოს სასახლეს, რომ გეგმაში გაქვთ ჩართულიო. საღამო ხანს შინ რომ ვბრუნდები, აქეთ-იქით ჩარიგებული დიდი შენობებიც მალეღვებს: ისინი ჩრდილსა და მეღანქოლიურ იერს ჰფენენ პლაჟს. მორიგი უძილობისთვის განწირული ის ღამეც მალეღვებს, როცა საგულდაგულოდ ვცდილობ თვალწინ აღვიდგინო დოლორესის ხატება და მასთან გატარებული სასიყვარულო შეხვედრის ყოველი წვრილმანი. ამ შეხვედრის შემდეგ მხოლოდ ორჯერ ვნახე დოლორესი. ორჯერვე უგოსა და სუსანას თანდასწრებით. ო, რა სატანჯველი იყო ეს წუთები ჩემთვის! ვგრძნობდი მას ჩემ გვერდით, სულ ახლოს, მესმოდა მისი სუნთქვა და შეხედვა კი ვერ გამეძედა. ხომ შეიძლება, ტირილი აუვარდეს, ან მე დავიწყო ტუჩების კვებტა, ან სულაც ველარ მოვითმინოთ და ორივენი ერთმანეთს ჩავეკონოთ? როცა კი გაღვიძებული სუსანა ტანზე მეხება ან პირიქით, მე ვეხები, ყოველთვის მალეღვებს ჩემთვის კარგად ნაცნობი მისი საბრალო სხეული, მისი დიდი ხალის გვერდით პატარა ხალი, მუძუს კერტების გარშემო ხაოიანი ჩამუქებული წრე, აპენდიციტის ნაჭრილობევი, ოდნავ გამოჩრილი ერთი მაღა, თბილი უბე და დიდებული მუხლები. ყოველთვის — განსაკუთრებით კი მაშინ, როცა „მის“ მოკვლაზე ვფიქრობ — მალეღვებს „მამის“ გარდაქმნა „ბებრად“. გარდაქმნა, რომელიც სიკვდილსა ჰგავს, სიკვდილს იმიტომ, რომ მე ის მომწონდა, მიყვარდა, საყრდენი იყო ჩემი, მფარველი და იმედი იყო ჩემი. მე მალეღვებს ფიქრი საკუთარ ობლობაზე არა იმიტომ, რომ ახლა უნდა მოვკლა ის, არამედ იმიტომ, რომ მე კარგა ხანია დავობლდი. დავობლდი მაშინ, როცა „დედა“ მომიკვდა, დავობლდი მაშინ, როცა „მამა“ მომიკვდა, როცა ის „ბებრად“ და უცხოზე უცხო კაცად იქცა. ვისიც მეშინია და ვინც ასე ძლიერ მძულს. ნეტავ ხეალ სად ვიქნები? დღეს ის დღე დადგა უკვე... ხელის ჩვეული მოძრაობით დავწვდი მალვიძარას, უცბად არ დარეკოს და სუსანა არ გააღვიძოს, მე მაინც არ მძინავს-მეთქი, და მივხვდი, რომ ამ მოძრაობით ვარღვევდი რუტინას და რაღაც მნიშვნელოვან საქმეს ვუღებდი სათავეს. შავად მოჩარჩოებული ეს საათიც მალეღვებს. ვინ მოთვლის რამდენჯერ გამიწვდენია ხელი, რათა ჩამეხშო, არ მიმეცა საშუალება აწკრილებულიყო ბუენოს-აირესისა და რიოს, ნიუ-იორკისა და ლიმის, სან-ფრანცისკოსა და ვალპარაისის ოტელებში. და აი ისიც, მარტოობა, მაგრამ ეს არ არის ჩემი



პირველი მტანჯველი მარტოობა. ერთ საღამოს ტაკუარემბოს გარეუბანში ლამის საბი საათი ვიხეტიალე უგზო და უბილიკო მინდორში. მერე დაღლილი ბალახზე გავწექი და ცას ავხედე. მზე ჭადრის კენწეროს დაეკიდა და მალევე ჩაესვენა. ირგვლივ ყოველივე დუმილმა მოიცვა, ყოველივე ბინდში გაეხვია, თითქოს დღემ თავი დამარცხებულად ცნო. სწორედ მაშინ ვიგრძენი პირველად ის იდუმალი, თითქოსდა უმიზეზო ნაღველი მარტოობისა, ~~მომგვარა~~ რომ მომგვარა. ვიწექი ბალახზე გულადმა, შევცქეროდი ცაზე გაფანტულ ღრუბლებს და ვგრძნობდი, ნელ-ნელა როგორ უცხოვდებოდა ყველაფერი ჩემ ირგვლივ, ყურს წედებოდა ერთადერთი შორეული და გაბმული შხუილი, ისეთი, წყალდიდობისას რომ იცის ხოლმე. ბუნება იდუმალებით აღსავსე მოჩვენებას ჰგავდა, ჩემი სხეული კი მისი ერთი შემადგენელი ნაწილი, ერთი პატარა საგანი იყო — სადღაცოდან ჩამოვარდნილი, გადაგდებული. და ეს საგანი შიშით ატანილი ელოდებოდა ვიღაცის ფიწალს, მხედარს ან სულაც ჩრდილს... ის სისხამი დილაც გამახსენდა, კარაკასის აეროპორტში კარგა დიდხანს რომ ვგალოდინეს თვითმფრინავის ტექნიკური გაუმართაობის გამო. სავარძელში მოკალათებულმა მგზავრებმა ძილს მისცეს თავი, თვითმფრინავის ეკიპაჟი სადღაც გაქრა, მარტო მე არ მეძინა. ირგვლივ ყველაფერი მარტო მე მეკუთვნოდა: კამფეტები, კერამიკული ნაწარმი, სუნამოები, ათასნაირი ზომა-წონის ბოთლებით დახუნძლული თაროები, პირთამდე გატენილი ჯიხურები, კედლის სარკეები, ფართო კიბე. მე ვიყავი ერთადერთი ცოცხალი არსება იმ სამყაროში, რომელმაც აი, ახლა ამ წუთში შეწყვიტა არსებობა და ეს ადამიანებიც, სავარძელში რომ სხედან, მიცვალებულები არიან და არა ცოცხლები, რომლებსაც ვითომ ჩაეძინათ რაღაცის უაზრო მოლოდინში. ასე მეგონა, თვითმფრინავს კი არა, მთელ ქვეყნიერებას სჭირდა ტექნიკური გაუმართაობა, მთელ ქვეყანას გაუფუჭდა რაღაც და რაღა თქმა უნდა, ლოდინსაც აღარავითარი აზრი აღარ ჰქონდა, რადგან მოსვლით აღარავინ მოვიდოდა, ამ წუთიდან აღარავის ვახსოვდით... ის კვირა დღეც გამახსენდა სან ფრანცისკოში. გაზეთი ვიყიდე და ერთ-ერთი მახლობელი სკვერისაკენ გავეშურე, იქ წავიკითხაუ-მეთქი. დასაჯდომი ადგილი ვერ ვიპოვე, მოხუც ქალებსა და კაცებს დაეკავებინათ ყველა მუხი. ისხდნენ და მზეს ეფიცებოდნენ. უადგილოდ დარჩენილები ჩარიგებული მერხების წინ მიდი-მოდიოდნენ და თვალი ფხიზლად ეჭირათ, იქნებ ვიღაცა ადგეს, სხეებს დავასწრო დაჯდომა, მზეზეც გავთბე და მტრედებიც დავაპურო. მეც ასევე მივუყვებოდი რიგს ნელი ნაბიჯით, მეც ვეძებდი ჩამოსაჯდომ ადგილს და ლამის ერთი საათი გაილია ამ ძებნაში, რომ უცებ ერთი დედაბრის პირისპირ აღმოვჩნდი ორიოდ ნაბიჯზე. დედაბერი ადგომას აპირებდა. ნუქედიან „ახალ აღთქმაში“, — სწორედ იმ გვერდზე, სადაც პავლე მოციქულა თესალიელებს სიტყვით მიმართავდა, — ალაგ-ალაგ გაწვრილებული თასმა ჩადო და სამსაფეხურიანი წამოდგომა იწყო სკამიდან, ე. ი. დგებოდა ისე, როგორც ამას მოითხოვდა მისი რევმატიული სახსრები. მეც მაშინვე ვიხელთე დრო, დავჯექი და ჩავუღრმავდი „სან ფრანცისკო კრონიკლ“-ის ერთ ცნობას. იგი ერთობ ობიექტური, მაგრამ მოსაწყენი წასაკითხი იყო: ერთი სისხლის საპართლის დამნაშავეზე წერდნენ, თურმე მეცხრედ თუ მეათედ გადაუდევთ მი-



სი დასჯა. უცებ რატომღაც ვიგრძენი, რომ ჩემსა და ამ მოხუცებს შორის, ისევე როგორც მათ შორისაც, რაიმე ურთიერთობა წარმოუდგენელი იყო, რომ ჩვენ ყველანი მარტოსულები ვიყავით, ერთმანეთის შესახებ არაფერი ვიცოდით და არც გვინდოდა გვცოდნოდა, რომ ჩვენ მზეზე ვთბებოდით, მაგრამ მის სხივებს მაღლიერებითა და ფიზიკური კმაყოფილებით კი არა, რადაცნაირი მტრული განწყობით ვიღებდით. საკუთარ თავსაც კი არ ვუმხედვოდით, რომლის სიტბო გვსიამოვნებდა და სისხლის მიმოქცევას გვიწესრიგებდა. ვიგრძენი — აი, ახლა თავს რომ ნება მივცე და ჩავიდინო ერთი ველური, რბილად რომ ვთქვათ, უტაქტო საქციელი, და ხელი გაუწოდო ამ მოხუც ქალებსა და კაცებს, — ისინი ალბათ ერთ მუშტად შეიკვრებიან, მოძვარდებიან და თავ-თავიანთი სახარებებით, ხელჯობებით და საქსოვი ჩხირებითაც კი უმოწყალოდ დამიწყებენ ცემას. თანაც მარტო ცემას როდი მაკმარებდნენ, ძაღლებსაც მომიხევედნენ. ამის გაფიქრებაზე, წამოვხტი და გავიქეცი. უკან მოუხედავად გავრბოდი, არ მინდოდა დამენახა, თავისუფალი ადგილისკენ როგორ გაიქცა კებიანი და ჩიბუხიანი ბერიკაცი, არ მინდოდა დამენახა, სულ რაღაც ერთი წამით როგორ დაასწრო დაჯდომა ერთ შლაპიან და ხელჩანთიან დედაბერს... ჰო, კიდევ ის დამეგამახსენდა ნიუ-იორკში. ერთხელ ვაშინგტონ-სკვერში ახალგაზრდა მოცეკვავე ქალ-ვაჟები ვნახე. მდუმარედ ცეკვავენ. თითქმის ყველა წყვილს თავის ტრანზისტორი ჰქონდა ყელზე ჩამოკიდებული. საოცარი რაღაც ხდებოდა: ყოველი წყვილი თავის ცეკვას ცეკვადა, თავის რიტმს მისდევდა, თითქოს სურდათ გარეშე მაყურებლისთვის დაენახებინათ თავ-თავიანთი დროებითი განმარტობა, დროებითი თანხმობა. თითქოს ამბობდნენ: მხოლოდ ჩვენ ორს გვესმის ერთმანეთისა, მხოლოდ ჩვენ ორნი ვართ ამ ქვეყანაზე, სხვა დანარჩენები, კი ჯანდაბაშიც წასულანო. და უცებ ვიგრძენი, რომ „სხვა დანარჩენი“ მე ვიყავი, მაშასადამე — ჯანდაბისთვისაც განწირული. რატომღაც ამ მოცეკვავე ქალ-ვაჟების ერთადერთ ადრესატად ვიგრძენი თავი და ვიგრძენი დამთრგუნველი მარტობაც.

სჯობს სუსანამ არ გაიღვიძოს. თავიდან უნდა ავიცილო ყველაფერი, რაც ხელს შემიშლის, შემაყოყმანებს. სიმტკიცე და შეუბრალებლობა მმართველს, მაგრამ სუსანასთან ერთად მაგიდას თუ მივუჯექი, ალბათ გამიჭირდება სიმშვიდის შენარჩუნება, რადგან საუბრედ გვექნება შეხრუკული პური და ამჟავებული რძე, რომლის მაცივარში შედგმა წუხელაც დავიწყებიათ.

წყალი ჩვეულებრივზე ცივია, მაგრამ დღეს განსაკუთრებული დღეა. დღეს არ მინდა ცხელი წყალი, დღეს არ მინდა კომფორტი, დღეს ყველაფერი უნდა დასრულდეს. დღეს უნდა გადავარჩინო და თვითონაც გადავრჩე. სარკეში რა დაღრეჯილი სახე მაქვს, ირონიით დაღრეჯილი. რა არის აქ საირონიო ან სასაცილო? წარმოგიდგენთ რამონ ბუდინიოს იმ დილით, როცა მან იმ არამზადა ედმუნდო ბუდინიოს მოკვლა გადაწყვიტა, რომელიც შემთხვევით და თანაც დროებით გახლდათ მისი მამა. რამონ ბუდინიო არ ითხოვს სასჯელის შემამსუბუქებელი პირობების ძებნას, ასეთი რამ არც არსებობს. საქმე ეხება დიდი ხნის წინათ ჩაფიქრებულ მკვლელობას. კარგია, რომ ღმერთი არა მწამს, ნაკლები სირთულეები მექნება გადასალახი... მაშ ასე, წარმოგიდგენთ რამონ ბუდინიოს, რომელმაც უძილო ღამეებში სრულად ჩამოაყალიბა თავისი დამოკიდებულება მშობელი მამისადმი, წარმოგიდგენთ მხდალს — ახლა რომ აფაფხურდა გულადი კაცის როლის გასათამაშებლად — შიშველს და სადაცაა ღიბდადებულს, მომავალ ობოლს — საკუთარი სურვილითა და დიდი ხნის წინათ



ჩაფიქრებული გასროლილი ტყვიის წყალობით რომ მოიმკო ეს სახელი — უაღრესოს, უსიყვარულოს, გონიერ, მაგრამ ჯიუტ ახალგაზრდა კაცს, რომელიც ყველასათვის მოულოდნელად დამნაშავე ამოჩნდა, წარმოვიდგენთ რამონ ბუდანიოს, შესანიშნავი მეხსიერების მქონე შერევილ კაცს, რომელმაც საკუთარი ნებით განიგდო საკუთარი ცოდვები, წარმოვიდგენთ მარჯვნივ მჯდარ უდიდეს მამო მემარცხენეს დამაელექტრობელი სინდისის ქენჯნის მდიდარ მებრტყონეს, საკუთარი სიკვდილისა და სხვათა სიკვდილის მიმართაც ცნობისმოყვარეობით შეპყრობილს, ფიქრიანსა და დაბნეულ მამას, ქალებთან თამამს, ძირითადად კი მეტიისმეტად მორცხვს — ე. ი. ეს ყველაფერი მე ვარ — რამონ ბუდანიო. ხვალ ალბათ საკანში მომიწევს ძილი. თუ ვინმე ეცდება ჩემი დანაშაულის მიჩქმალვას, ვფიცავ, თვითონ ვადიარებ ყველაფერს. არაუითარი შეწყალება, მე რომ უდანაშაულოდ მიმიჩნიონ, მაშინ გამოდის, ვიჟად უნდა შემრაცხონ... ვის გაუგონია ამდენი ხნის ჩაფიქრებულ დანაშაულს რაიმე კავშირი ჰქონდეს სივიფესთან?

- გამარჯობა, მამა.
- გამარჯობა.

ნეტავ ახლა არ გამიბას ლაპარაკი. ხვალ ამ დროს ალბათ ვუსტავო გაიფიქრებს, ვერასოდეს წარმოვიდგენდი, მამაჩემი თუ ამას გააკეთებდა. ხვალ ბებრის სიკვდილი რალაცით გამორჩეული და ამაყ დროს გამოუსწორებელი გახდება. ვუსტავო ნახავს ატირებულ დედას. თავად მისი უცრემლო თვალები კი სიამაფით იქნება აღსავსე. ჯერ კიდევ გონს ვერ მოსული ბიჭი თანაგრძნობითა და სანაზით იფიქრებს ჩემზე.

- „ლა რასონიდან“ ლარალდე რომ გააგდეს, თუ იცი?
- ვინ ვითხრა?
- მარიანომ. მგონი, ბაბუას მოუთხოვია მისი გაგდება. შენ ხომ არ იცი, რატომ?
- არ ვიცი.

მაშ, ბებერი შეცდა! ვერ იყიდა ლარალდე. ბებრის თეორია მცდარი აღმოჩნდა: ლარალდე ჭკვიანი ჟურნალისტიყო, მაგრამ ადამიანიც არის და მშვიდი ცხოვრება სურსო... ესეც შენი ადამიანი! ხომ ვერ იყიდა! ე. ი. ლარალდემ გააკეთა ის, რაც მე ვერ გავაკეთე. მე ხომ მიყიდა ბებერმა? სააგენტოსთვის ფული რომ მომცა, მაშინ მიყიდა. მაგრამ ბებერი რა შუაშია, მე მივეცი მას ჩემი ყიღვის უფლება... ლარალდეს აღარაფერი ეშველება, არც ერთ გაზეთში აღარ მიიღებენ სამუშაოდ, მოუწევს ტელევიზორების გამჭირავებელი კანტორის აგენტობა, ან რომელიმე არქივში დაუთრების თრევა, ანდა საქსოვი ძაფების გასაღება ხუთ-ხუთ რეალად. სამაგიეროდ ის რად ღირს, რომ ლარალდეს ეყო გამბედაობა, თავი არ გაეყიდა. თუმცა ვის რაში სჭირდება მისი ეს უბადრუკი ზარზეში — ტყუილად როდი ამბობდა ვალტერი, ყოველთვის მოიძებნება გზა ღორობის დასაფარავად და სამხილისა და მამხილებლის დასასამარებლად. „ტეკილაში“ ვახშობისას ლარალდე მაგიდის ბოლოში იჯდა. თითქმის არც დაუღაპარაკებივარ. მომეჩვენა, უნდობლად მიყურებდა. იმ შტერმა ქალმა — მგონი, სოფია ერქვა — შეკითხვებით რომ არ მოახვეწა — ამერიკაში რომ თავისუფლებაა, მეტი თავისუფლება სად არისო, — ლარალდემ უბასუხა: ამაზონის ჯუნგლებშიო, იქ ნამდვილად არ არის წარმომადგენლობითი დემოკრატიაო. ლარალდე მომეწონა. მთელი საღამო გული მერეოდა, მაშინაც, როცა ყველა აღტაცებით ჰყუებოდა ამერიკაზე და ლანძღავდნენ ურუგვაის და მაშინაც,



უბედურების მაუწყებელ ამბავზე ყველანი რომ ავიშვიშდნენ თავიანთი ძვირფასი, პატარა, დაქცეული ქვეყნის გამო.

— მიგიყვან ცენტრამდე.

— არა, შინ ვრჩები, უნდა ვიმეცადინო.

— დღეს სადამოს სად იქნები?

— ალბათ მარიანოსთან. რატომ მეკითხები?

— იქნებ ერთხელ მაინც გვევახშმა დედაშენთან ერთად?

— კი მაგრამ, მამა...

— მე ხომ შენთვის არასოდეს არაფერი მითხოვია. მხოლოდ დღეს. მიზეზი მაქვს.

— კარგი.

ვერ გავბედე მეკოცნა, ხომ შეიძლება, რაღაც იეჭვოს. ადვილად გადამათქმევინებენ, არ მინდა, რისკზე წავიდე, გუსტავო, ჩემი ბიჭი ხელიდან მისხლტება. არ ვიცი, რაზე ფიქრობს. არც ის ვიცი, არსებითად ვინ არის. ზოგჯერ ნაზად მიყურებს, ზოგჯერ გაკვირვებული, ზოგჯერ შეშინებული, ზოგჯერ რისხვით, ზოგჯერ უცხოსავით, ზოგჯერ რაღაც დაბნეული, და ვფიქრობ, ეს მას შემდეგაა, პირველად რომ შემოვკარი ხელი. სიესტა იყო, ვისვენებდი, სუსანამ დააგალა, წადი, მამა გააღვიძეო. გუსტავო ექვსი წლისა იყო მაშინ, მოვიდა და ცხვირში ჩამართყა ხელი. თვალი გავახილე, ვხედავ, ღვას და ილიმება. სახეზე ნამდვილად ბავშვური გულუბრყვილობა და ონავრობა ეხატა, მაგრამ თავი ვერ შევიკავე და ჩემდაუნებურად, ჩემი პრინციპების საწინააღმდეგოდ, ერთი მაგრად გავულაწუნე. არ უტირია, მაგრამ, როგორც მახსენდება, ამ წუთიდან მისი გამოხედვა შეიცვალა. რამდენიმე დღის მერე დავუძახე და ავუხსენი: ახლა ვხვდები, რომ გამეზუმრე, მაგრამ მაშინ ტკივილისაგან უცბად გაღვიძებული ვერ მიგიხვდიმეთქი. კარგიო, მითხრა მან, მაგრამ, ვგრძნობ, აქამდე არ მაპატიია ის გასილაქება. ნეტავ ხვალ თუ მაპატიებს?

უგოს სახლამდე კიდევ ხუთი კვარტალია. იქნებ მანქანიდან გადმოვსულიყავი და დოლორესი მომენახულებინა, ერთი წუთით მაინც შემეველო მისთვის თვალი? მაგრამ ხომ შეიძლება დოლორესის დანახვაზე ჩემმა განზრახვამ დაკარგოს ძალა? არა, ეს შეუძლებელია. მორჩა, უნდა მოვკლა. გუსტავომ დღემდე არ მაპატიია, მაგრამ იქნებ რამეზუა ნაწყენი? და მაინც დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ ხასიათით მე უფრო ახლო ვარ მასთან, ვიდრე დედამისი. ჩემგან რაღაც უფრო მეტს ელოდა, იქნებ ეგონა, რომ მე ბებერს ფულს არასოდეს გამოვართმევდი? თუმცა გუსტავო კი არა, მეც არ მეგონა ამას თუ გავაკეთებდი. მაგრამ ყველაფერი უბრალოდ გადაწყდა, როგორც ზღაპრებშია. თანაც, ოღონდ ფული ჩამეგდო ხელში და რაღა არ მოვიგონე. მახსოვს, საკუთარი თავის დასარწმუნებლად და დასამშვიდებლად მაშინ ისიც კი გავიფიქრე: ქონება ხომ უნდა განაწილებულიყო ოდესმე, ჰოდა, მეც ეს წილი სამართლიანად მერგო-მეთქი.

— ჩემი ძმა შინაა?

— არა, სენიორ რამონ. სენიორ უგო ეს წუთია წავიდა.

— სენიორა?

— სენიორა დოლი შინაა. დაუუძახო?

— დიახ, თუ სცალია.

კარგია, უგო რომ არ არის შინ, რა თქმა უნდა, დიდ სიამოვნებას ვერ მომანიჭებდა ჩემი ძმის — კიდევ ერთი პოტენციური ობლის ცხვირ-პირის ხილვა.



პო, გუსტავო ხელიდან მისხლტება, დამისხლტა კიდეც უკვე მაგრამ ყველა ასეა. ექესი წლისას ხატვა მიყვარდა, ძია ესტებანს ყოველთვის მოჰქონდა ჩემთვის ფანქრები და ქაღალდი. ბავშვურად ვხატავდი სახლებს, ხეებს, მანქანებს, ცხენებს, ძროხებს. ერთხელ ორი მონაზონი მოვიდა ჩვენთან თავიანთი სკოლისათვის შესაწირავის სათხოვნელად. თავად მე პირველ ხანებში ბუნდონად მახსოვდა ეს ამბავი, მაგრამ დედაჩემი ისე ხშირად ყვებოდა და დედაჩემს ისე გულიანად ხარხარებდა ხოლმე, რომ მეხსიერებაში ნელ-ნელა აღვადგინე ის სურათი: მონაზვნები და დედაჩემი სასტუმრო ოთახში ისხდნენ. ამ დროს მე შევიხედე ოთახში და ერთმა მონაზონმა დედაჩემს ჰკითხა, თქვენი ბიჭიაო? დედაჩემმა, ჩემიაო, თან შერე მოჰყვა, მაგრამ რას მოჰყვა, ქებით ლამის ცამდე ამიყვანა, ბოლოს, კარგად ხატავსო, ისიც დააყოლა. ერთი მონაზონი გამხდარი, ახალგაზრდა ქალი იყო, ლითონის ჩარჩოიანი სათვალე ეკეთა. მეორე ტანდაბალი ქალი იყო. ასე ორმოცდაათი წლისა. თვალებს ქვემოთ იისფერი თოფრაკები ეკიდა და მკაცრი გამოხედვა ჰქონდა. რაც მართალი მართალია, არცერთი არ მომეწონა. ახალგაზრდამ მითხრა, რამე დამიხატეო. მეორემ კუშტად დაუმატა, აბა, ვნახოთ ერთი, რას დაგვიხატავო. მე ვუთხარი, ძროხას დავხატაე-მეთქი. მაგრამ როცა კვლავ შევხედე მის გულმიუსვლელ თვალებს, გადავწყვიტე, რაღაცით გამემწარებინა. ჰოდა, დავხატე ძროხა და ზედაც უზარმაზარი ფუნა მივაჯლაბნე. დედაჩემმა გაღიძება სცადა, მაგრამ მონაზვნები ფიცხლად წამოღვნენ, მე და დედაჩემს ერთი გამანადგურებლად გადმოგვხედეს და ამაყად თავაწეულნი, მაგრამ შეურაცხყოფილნი ოთახიდან გავარდნენ. მეგონა, დედა მიმტყუპავდა, მაგრამ მან დაბნეულად შემომხედა და მითხრა: რამოდენა გაიზარდე, რამონ. ჩემსავეით ალბათ იმის თქმა სურდა, როგორ მისხლტები ხელიდანო.

- რამონ.

- ცოტა მეწყინა, მოახლემ სენიორა დოლით რომ მოვიხსენია. მე ხომ მხოლოდ დოლორესს ვიცნობ.

- როგორ ხარ, რამონ?

- ცუდად. შენ?

- მე რაღაც გაუგებრად ვარ.

- ნანობ?

- არა, უბრალოდ, გაუგებრად ვარ და მეტი არაფერი.

- გაუგებრობა წარსულს ეხება თუ მომავალს?

- მე მეხება.

- მე - არა?

- ეს თითქმის ერთი და იგივეა.

- სწორად ვერ გავიგე თუ რაიმე იმედს მაძლევ?

- სწორად ვერ გაიგე.

- არ მესმის.

- იცი რა, რამონ, დავიბენი. პირველად მეგონა, მარტო უკო მიყვარს და მეტი არავინ-მეთქი. ახლა შენც მიყვარხარ, მაგრამ ყველაზე საშინლება ისაა, რომ უკო ისევ მიყვარს. საშინელებაა, მაგრამ ასეა.

- მაინც არ მესმის.

- სუსანას მიმართ შენ ასე არ ხარ?

- არა.

- ყოველთვის, როცა კი იმ დღეს ვიხსენებ...

- დოლორეს...



- ეს შეუძლებელია, შეუძლებელი.
- ერთ შეკითხვას მოგცემ. ვიდრე მიპასუხებდე, კარგად დაფიქრდი. ამის გასაგებად მოვედი ახლა აქ.
- ნუ მიყურებ ასე.
- შეძლებ როდისმე, ყოყმანს მოეშვა და ჩემთან წამოხვიდე?
- დღეს უნდა გიპასუხო? ახლავე?
- ჰო, ახლავე.



ეს ჩემი უკანასკნელი შანსია. ბებრისთვისაც უკანასკნელია. რა თქმა უნდა, მე იგი უნდა მოვკლა, მაგრამ თუ დოლორესი მეტყვის, წავიდეთო, მაშინ მსხვერპლად გავიღებდი ჩემსავე მსხვერპლს. რა კარგია, დოლორესი, რა კარგი თვალუბი აქვს. თუ „ჰოს“ მეტყვის, მარტო ერთი რამ დამრჩებოდა გულში ხინჯად: ბებერს რომ ძველებურად პარპაშის უფლებას ვუტოვებდი; ძველებურად მწამლავს ირგვლივ ყველაფერს. მართალია, მე ზიზღი და შიში დამრჩება, მაგრამ სანაცვლოდ საესე ცხოვრებით ვიცხოვრებ, ამ მხრივ მაინც ვიქნები გამარჯვებული. ადამიანს სჭირდება გამარჯვება, თუნდაც პატარა გამარჯვება. დოლორესს ახლა მე ვუყვარვარ. უგოს დროთა განმავლობაში დაივიწყებს. თუ „ჰოს“ მეტყვის, მაშასადამე, უგოს ვაჯობებ. საწყალი უგო... თუ უარს მეტყვის? თუ უარს მეტყვის... ვიცი, „ჰოს“ მეტყვის...

— არა, რამონ, არ შემიძლია.

მხოლოდ ახლა მახსენდება, რომ პორტუგელში რევოლვერი მიღევს. სწორედ ახლა გადაწყდა ბებრის ბედიც. საბრალო კაცი. დოლორესს თვალები ცრემლით აუვსო, მან არ იცის, რომ აი ახლა, ამ წუთში მან მე საკუთარი თავი მაპოვნინა და გადამარჩინა. მაგრამ არაფერს ვეტყვი, არ ვაუუშხელ, შანტაჟში ჩამეთვლება: იძულებით ნათქვამი „ჰო“ მე არ მჭირდება. დოლორესმა არ იცის, მისმა „არამ“ კვლავ რომ აღმიდგინა დედის სახება, რომ ბოლოს და ბოლოს ბებერს მივაგებ იმას, რის ღირსადაც მიმაჩნია იმ დღიდან, დედას რომ სცემა მეორე ოთახში. ბებერი არამზადაა, მაგრამ მართლმსაჯულება ისე ჰაიპარად ხელს ვერ ჰკიდებს. უკანონოდ არაფერს სჩადის, თავის შავ საქმეებსაც კი, ია თავის ბადეში ხვევს ადამიანებს, ყიდულობს და ყიდის მათ საქციელსა და ნაბიჯებს, რყენის მათ. მართლმსაჯულებას კი საბუთი სჭირდება, მართლმსაჯულებას არ ძალუძს თაღლითების გასამართლება აშკარა, ხელჩასაჭიდი სამხილის გარეშე, ასეთი რამ კი არ არსებობს და არც იქნება მანამ, ვიდრე თავად თაღლითები არ აღიარებენ თავიანთ დანაშაულს და თავად არ წარადგენენ საკუთარი შავი საქმიანობის მამხილებელ საბუთებს. მანამდე კი იგივე მართლმსაჯულება ქებას ასხამს ამ თაღლითებს, დიდებას არ აკლებს, ასე ვასინჯეთ, იცავს და ეხმარება კიდევ მათ მთელი თავისი უზარმაზარი შტატი-თა და რთული აპარატით. არის მეორე მართლმსაჯულება — ღმერთისა. მაგრამ მე მისი არა მწამს, არც ბებერსა სწამს, როგორც ვიცი. მაშასადამე, ეს მართლმსაჯულება სათვალავში მისაღები არ არის. მაგრამ არსებობს მესამე მართლმსაჯულება და მას მე აღვასრულებ. მე ნამდვილად ვიცი, რომ ბებერი არამზადაა, რომ ის დამნაშავეა ოჯახშიც და საზოგადოებაშიც, რომ მისთანები ღუპავენ ქვეყანას. ამიტომ უნდა მოვკლა. მისი ყველაზე დიდი დანაშაული კი ის არის, რომ „მამობა“ შეწყვიტა და „ბებერი“ გახდა. ეს შეუწყნარებელია. მე მას სიკვდილს ვუსჯი.

— კარგი, დოლორეს, როგორც ვინდა...

— ასე ნუ მიყურებ.



- ისე გიყურებ, როგორც ყოველთვის...
- როგორც ყოველთვის არა. ახლა ისე მიყურებ როგორც...
- როგორც რა?
- როგორც განადგურებული კაცი.
- ასეც არის.
- რამონ, პირობა მომეცი, რომ...
- ვერაფრის პირობას ვერ მოგცემ, დოლორეს...



ნეტავ რატომ დგას კართან, ვიდრე მე ნელა მივაბიჯებ? რას უცდის, შევიდეს სახლში, მიმძიმს მისი თეთრი კაბის, ქოშების, ყელსაბამისა და საყურების დანახვა... ის დღე მახსენდება, როცა ეს სამკაულები შევხსენი... მერეც, სიზმარსა თუ ცხადში, რამდენჯერ შევხებივარ მათ, „იმად რომ ჩემი ხარ და არც ხარ ჩემი“. უკვე არ არის ჩემი. საბოლოოდ არ არის ჩემი. წავიდეს, გაქრეს, ჩაიკეტოს სახლში, სადმე დაიძალოს და იტიროს, მე კი აღარ დავიძალები.

დიდებული ფაშფაშა მდივანი ქალი... დღეს მისი დანახვაც არ მინდა. მორჩა, გადაწყვეტილებას იღარაფერი შემიცვლის, ძალიან ვლელავ. ასეთ უჩვეულო წუთებში უსქესო კაცივით მეკარგება ცნობისმოყვარეობისა და აღფრთოვანების უნარიც. მხოლოდ ასეთ წუთებში ვამბობ უარს საყოველთაოდ მიღებულ რიტუალზე, ვცდილობ დრმად ჩავწვდე მას, რათა შემდეგ რადარის უგრძნობელობითა და სიზუსტით აღმოვაჩინო ჭეშმარიტება. მაგრამ არა, მთლად ასე არაა. მე უარს ვამბობ საყოველთაოდ მიღებულ რიტუალზე ერთადერთი გამონაკლისით: როგორც ჩანს, დღეს ჩვეულებრივი დღეა სხვა დღეებივით, და არა ის დღე, როცა მე მოვკლავ საკუთარ მამას. ე.ი. ბებერს, რომელიც დიდი ხნის წინათ იყო „მამა“. ამ საცოდავმა მდივანმა ქალმა ჯერ არ იცის, მაგრამ ხვალ კი გაიგებს, რომ დღეს მკვლელის მაგიდაზე იყო დახრილი და თანაც ისე, რომ მოკრძალებულად გულამოჭრილი ვარდისფერი კოფთიდან ასევე მოკრძალებულად გამოსჩენოდა მაცდური ღარი მთელი თავისი სათავეებითა და განშტოებებით. ამ მაცდურ ღარზე არანაკლებ ჭკუისშემშლელი გახლდათ ნორჩი ტუჩები, რომლებიც ალბათ ვნებიანად იხსნებიან მათზე დაწაფებულ სხვა ტუჩებთან, ვთქვათ, საქმროს ტუჩებთან – შესახვედრად. საცოდავი მდივანი ქალი, მისი ბედი, რომ ასეთი შტერია და ჰყავს საქმრო, რომელიც მასაყებით ართობს ხანდახან. არაფრის ფიქრი მას არ აწუხებს, გარდა ჩემი ნაკარნახევი წერილებისა, გარდა იმ მხურვალე ხვეუნა-კოცნისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით რომ აქვს გამართული უთენია სადარბაზოში. მასა და მის საქმროსაც ხომ ზედვე ეტყობათ, შეხედულებათა თავისუფლებისაგან რომ ჯერ კიდევ შორს არიან: მხოლოდ ზომიერი ალერსითა და მკაცრი თავშეკავებით გამოწვეული მტანჯავი ტკბობით ცდილობენ დაკმაყოფილდნენ. ამ პრიმიტიული, საკუთარი გადარჩენის სურვილით შეპყრობილი ეგოისტური სულებისათვის, – რომლებიც დიდებულნი არიან თავიანთი ფარისევლობით, რომლებსაც მხოლოდ ერთმანეთის აგზნება ძალუძთ და რომლებიც არსებითად სულებს კი არა, სხეულებს წარმოადგენენ, მაგრამ საკუთარ თავსაც ვერ უმხელენ თუ რა ბედნიერებაა ასეთ სიძლიდრეს ფლობდე, – აი ამ სულებისათვის აკრძალვა მათ ხსნას ემსახურება, მაგრამ ემსახურება არა იმიტომ, რომ ეშმაკისეული ცდუნება ააცილოს თავიდან, არამედ იხსნას იმ წყალდიდობისაგან, რაც აკრძალვას შეიძლება მოჰყვეს. კაცი ნამდვი-



ლად მხოლოდ იმაზე ფიქრობს, რა კარგია როცა მას ვეფერებიო, ქალი — იმაზე, რა კარგია როცა გეფერებიანო და ორივესთვის, რა თქმა უნდა, ამ დროს არ არსებობს არც წყალბადის ბომბი, არც კარიბის ქვეყნების კრიზისი, არც ვირთხებით სავსე ქოხმახები, არც კიბოს სნეულების შიში და არც არამზადა მამები. ისე, დოლორესს რომ „პო“ ეთქვა, სექსი მეც გადამარჩენდა, სექსი ერთადერთია, რომელსაც ძალუძს აუხდენელი ბედნიერების შექმნა და გივიწითს, იმ ბედნიერებისა, მხოლოდ მოლუსკები რომ ფლობენ. — ხეჩქეფუჭფაღერთია, რომელიც, მართალია, წუთიერად, მაგრამ მაინც გაძლევს სისავსის შეგრძნებას. მაგრამ დოლორესი ხომ მხოლოდ სექსი არაა. დოლორესი სექსიცაა და კიდევ რაღაცაც, და სწორედ ამ „რაღაცას“ ხელეწიფება გარდაქმნას სექსუალური სწრაფვა იმ მტანჯველ განწირულ მარადიულ ტკბობად, სიყვარული რომ ჰქვია სახელად. ბოლოს და ბოლოს, ხომ უნდა დავარქვა მას სახელი. სწორედ იმიტომ, რომ დოლორესის სხეული დიდი ჯანით არ გამოირჩევა, პირიქით, სუსტ უფრო ერთქმის, სწორედ იმიტომ, რომ ჩემი მდივანი ქალივით შეუდარებელი და გამაგიჟებელი მკერდი არა აქვს, პირიქით, შესაბრაღისაა მისი პატარა, ლამის ბავშვური, მუშტში ჩასატევი ძუძუები, სწორედ ამიტომ უფრო მაღელვებს და პირთამდე მავსებს იმ სინაზით, დღემდე რომ წარმოუდგენელი და უჩვეულო იყო ჩემთვის. სწორედ ამ ამაღელვებელმა წინაგანცდებმა მოუმზადეს ნიადაგი იმ გასაოცარ და გამაოგნებელ სიამოვნებას, დოლორესთან ერთადერთი შეხვედრისას რომ ვიგრძენი. დოლორესი შემოძკქერის, და მისი გამოხედვა არ არის სექსი, იგი თავად ცხოვრებაა; დოლორესი იღიმება და მისი ღიმილი არ არის სექსი, — იგი სიღრმეა, ნაღველია, აშკარა მხარდაჭერაა, მაგრამ მისმა გამოხედვამ და მისმა ღიმილმა მკერდში თითქოს რაღაც ჩამწყვიტა, გულს ბაგაბუგი გააქვს, სადღაც მიექანება და როცა იგი ივსება სიყვარულით, მოუთმენლობითა და წყურვილით, უკვე სექსს ემორჩილება და მოქმედებს როგორც რაღაც ორგანულად დამოკიდებული. სხვანაირად რომ ვთქვათ, ჩემთვის, მაგალითად, სექსუალურ „ტიპს“ წარმოადგენს ლამაზფეხება, შავვგრემანი, მწვანეთვალებიანი, თხელხელება, თქობრგვალი ქალი, მაგრამ თუ გამოხედვამ და ღიმილმა მომხიბლა და აღმანთო, სხვა დანარჩენს უკვე აღარა აქვს მნიშვნელობა. ამ წამიდან ჩემი სექსუალური მგრძნობელობა დაკმაყოფილებულ იქნება მხოლოდ ამ თვალებისა და ღიმილის მფლობელის სხეულით მიუხედავად იმისა, რომ ფეხები, ხელები, თვალები და თქობები არ შეესაბამება „ჩემს ტიპს“. ამიტომაც ვარ დარწმუნებული, დოლორესის „პო“ გადაწონიდა ყველა ჩემს განაჩენს, ჩემს გაავეებას, ჩემს მართლმსაჯულებას, იქნებ სულაც ჩემი განაჩენი, ჩემი გაავეება და ჩემი მართლმსაჯულება — ე.ი. ბებრის გასამართლება — იმის შედეგია, რომ წინასწარ ვგრძნობდი, დოლორესი უარს მეტყობდა, ან სულაც ვიცოდი, ასეთ შემთხვევაში არავითარი ფასი რომ არ ექნებოდა ჩემთვის თავისუფლებას — უდოლორესოდ, სიმშვიდეს — უდოლორესოდ, უდანამაულობას — უდოლორესოდ, პოდა, მეც სასწრაფოდ დავიწყე მზადება დიდი ცოდვის ჩასადენად, ყოვლისმშთანთქმელი სინდისის საქენჯნად, რათა მხოლოდ შემევესო უდოლორესობით წარმოქმნილი სიცარიელე, რათა გამემართლებინა საკუთარი მარტობა.

მაგრამ არა, მარტო ეს არ არის მიზეზი. უნდა მოვკლა ბებერი. უცნაურია, რომ იგი ამჟამად ჩემი საკუთრებაა, უცნაურია, როცა ვიღაცას ბატონობ. რაღაცით ბედნიერებაც არის, ბნელი და უხერხემლო ბედნიერება, იცი, რომ შენს ხელშია ვიღაცის სიცოცხლე, გინდა თითს გამოჰკრავ ჩახმახს, გინდა შეიცოდებ,



მაგრამ ისიც იცი, რომ არ შეიცოდებ. არა, ნამდვილად არ შეიცოდებ. ერთადერთი და ნაღდი — სწორედ ეს არ შეიცოდება. ღმერთი რომ ისე მწამდეს, როგორც არ შეიცოდება მწამს, ალბათ სამარადისო შეჩვენებას დავიმსახურებდი. მაგრამ სამარადისო შეჩვენება არ არსებობს. არაფერიც არ არსებობს. მხოლოდ „არაფერი“ არსებობს. „არაფერი“ კი შეჩვენება კი არა, შეიძლება განთავისუფლებაც იყოს. სამარადისო შეჩვენება არ არსებობს, მაგრამ არსებობს ღმერთის დი სურვილი ამოიციხო საკუთარი სინდისი, ხელი მოაფათურო მას ფსკერზე, გაიგო რა არის იქ, ან ამოხსნა, რა ჰქვია იმ თრთოლვას, სასიკვდილო ცოდვის ჩაღვნიხ წინ რომ აგიტანს. მაგრამ ხომ შეიძლება ამ ყველაფრის მერე სულაც არ ვიგრძნო თავი დამნაშავედ? საესებით შესაძლებელია ასეც მოხდეს. დანაშაულის ჩაღვნიხ სურვილი სიძულვილს უკავშირდება, სიძულვილი კი კვლავ ჩემთანაა და სულაც არ მამძიმებს. ოღონდ ერთი რამ კი ნამდვილად მინდა ასე იყოს: როგორც კი ჩახმახს გამოვკრაე თითს, იმწამსვე გაუთავისუფლდე სიძულვილისგან, მანამდე — არა. მინდა აგრეთვე ჩემი დანაშაულებრივი საქციელი სიყვარულის გამოვლინებად მიიჩნიონ: მოკვდეს „ბებერი“, რათა აღდგეს „მამა“. ის „მამა“, ოღონეს მაღაზიაში რომ სათამაშო ჯარისკაცუნები მიყიდა. ის „მამა“, ვინც წამწივე მიხვდა, მე რომ ვიქტორის სიკვდილი ვიხილე, და რომელიც ყოველდამე შემოიღოდა ჩემს ოთახში, რათა სიბნელისთვის გამოვეტაცე ხელიდან. ბებერი ისეთი საზიზღარია, „მამაზე“ ფიქრს არ გაცდის, „მამის“ ძვირფასსა და სასურველ ყოფნას თავისი საძულველი ყოფნით ფარავს, ძლიერსა და მიუწვდომელს სადღაც კუთხეში მიუპყვდევია ის სიმშვიდე. „მამა“ რომ მჩუქნიდა ხშირად. თუკი შევძლებ მამისმკვლელობას (სისულელეა ასე უწოდო განთავისუფლების აქტს), დიახ, თუ შევძლებ მამისმკვლელობა მამაშვილური სიყვარულის აქტად ვაქციო, მაშინ თავს დამნაშავედ არ მივიჩნევ; მაშინ გუსტავოს შემოხედვას გავუძლებ, მსხვერპლი ხომ მის გამოც იქნება გაღებული? ნეტავ მიხვდეს მაინცა. პოლა, თუკი გუსტავოს შემოხედვას გავუძლებ, მაშინ აღარ შემაკრთობს აღარც გაოცებული უგოსა და აღარც ასევე გაოცებული სუსანას შემოხედვა. ისინი სულერთია მაინც არასოდეს მაპატიებენ ასეთ გამოხდომას. თანაც როდის, უზრუნველი ცხოვრების ზედ შუაგულში. გუსტავო — აი, ვინ არის ჩემთვის მთავარი, ყველაზე პირველი მსაჯულიც და მპატიებელიც. არის კიდევ დოლორესი, ის პირველ წუთსავე მიხვდება ყველაფერს, თავზარდაცემული გაშრება და გახევდება, მაგრამ მეორე წუთში მოეგება გონს და ყველას ისე მოაჩვენებს თავს, თითქოს ტრაგიკულად დაღუპულ მამამთილს დასტირის, ხოლო მესამე წუთში მეტისმეტად დამწუხრებული და გულდამძიმებული მიაშურებს თავის უიმედო მარტობას — თავის ოთახს, ჩაიკეტება და მოინანიებს ყველაფერს რამეთუ იცის, ეს საშინელება მე მოვიმოქმედე არა მხოლოდ „მამის“ სიყვარულის, გარდაცვლილი დედის სიყვარულის და ამ ქვეყნის სიყვარულის გამო, არამედ, უპირველესად, სწორედ მისდამი დიდი სიყვარულის გამო. აკი მიუხედავად ამ ნაბიჯის მნიშვნელობისა და სიღიალისა, მე მაინც მზად ვიყავი უარი შეთქვა მის აღსრულებაზე მხოლოდ დოლორესის გულისთვის, მხოლოდ იმის უფლებებისთვის, რომ იგი ჩემს გვერდით ყოფალიყო. მეცქირა, როგორ ძინავს, როგორ იღიმება, მოვფერებოდი, დამუძახა, იმასაც დაეძახა ჩემთვის. ძილში ხელის ფათურით მომეძებნა იგი, რათა დავრწმუნებულიყავი, რომ ჩემ გვერდითაა, ჩამეხედა მის თვალებში... ღმერთო, როგორ ვიცხოვრო უამთვალეობოდ? მაგრამ მარტო დანახვა რად მინდა, დავინახო და ჩემად არ ვიგულო? დავინახო და უფლება კი არ მქონდეს, პირადი ქონების აღნუსხვისას მისი თვალებ-



ბი არ შევიტანო სიაში? დოლორესი ძალიან ინანებს, როცა გაიგებს, რომ შე-  
ედლო „პო“ ეთქვა, რომ შეეძლო იმ სასწორის გადაწონვა, ჩვენ რომ ბედისწე-  
რას ვეძახით. პოდა, ამას რომ გაიგებს, სამუდამოდ და მხურვალედ შემიყვარებს,  
განსაკუთრებით კი უფრო იმიტომ შემიყვარებს, რომ მიხვდება, — რაც იყო,  
უკან აღარ დაბრუნდება, რომ სიკვდილს მარტო სინანული არ შევლის, რომ  
ამ ქმედებით საკუთარი თავის გადარჩენა მინდოდა, სინამდვილეში კი სამუდამოდ  
დავისამარე თავი. ოჯახური, პოლიტიკური, სოციალური, კომერციული,  
ეროვნული გარემოცვის თვალში, ე. ი. ლამის ყველას თვალში, დოლორესს  
დღითი დღე მოეძალება სინანული, ვიცო, რაც დრო გაეა, მით უფრო  
ხშირად გაიხსენებს იგი იმ ჩვენი ერთადერთი შეხვედრის ყოველ წვრილმანს  
და გული ხალველით აევსება. გაიხსენებს ყველაფერს: სიტყვებს, ალერსს, კნუ-  
სას, ღუმელს. მე არ მინდა, დოლორესმა ჩემსავით იტანჯოს, თუმცა, თუ სად-  
მე სამართალია, მანაც უნდა განიცადოს რკინის მარწუხებში მოქცეული გუ-  
ლის გაუსაძლისი ტკივილი. არა, არ მინდა იტანჯებოდეს, მინდა ვუყვარდე  
მხოლოდ, მაგრამ სიყვარული ხომ, სამწუხაროდ, მარწუხებში მოქცეული გუ-  
ლისტკივილია სწორედ.

— სენიორიტა, დღეს ალბათ აღარ მოვბრუნდები. თუ ვინმე მიკითხავს,  
უთხარით, ხვალ გამოიაროს.

ისეთი განცდა მაქვს, თითქოს კარტით რომელიღაცა მოძველებულ ფო-  
კუსს ვაკეთებდე; მთელი დღე ჩვეულებრივად უნდა გავატარო, ვისაუბრო, რა-  
ღაც გავაკეთო. მიუდგე-მოვდგე და ეს ყველაფერი — ქმედება და სიტყვებიც —  
ისეთივე და იმის მსგავსი იქნება, როგორც სხვა დღეებში იყო. მაგრამ კარტა  
მაინც ყველასათვის გაუხსნელი დარჩება, მარტო მე მეცოდინება, როდის რო-  
მელი ჩამოვიდე, მარტო მე მეცოდინება, რა მნიშვნელობა ექნება ჩემს დღევან-  
დელ ქმედებას და სიტყვას ხვალ, როცა სიკვდილი მძიმე ტვირთად დამაწვება  
მხრებზე, უფრო სწორად, როცა სწორედ ამ სიკვდილის დახმარებით გავიშლე-  
ბი მხრებში, ამოვისუნთქავ შვებით, ბოლომდე შევიგრძნობ ნანატრ თავისუფ-  
ლებას და უბოროტოდ ავხედავ სუფთა მოცარიელებულ ცას. პო, არაფერი  
უჭირთ, ხვალამდე მოიცადონ კრედიტორებმა, ტურისტებმა, თარჯიმნებმა, გი-  
დებმა, იმ დედაბრებმაც მოიცადონ, ერთი ნატვრა რომ აქვთ მხოლოდ — ოდ-  
ონდ წმ. კვირის დღესასწაულს სევილიაში დაესწრონ და მერე თუნდაც მოკ-  
ვდნენ; ხვალამდე მოიცადონ იმ პრანჭიებმაც, შვედურად ერთი სიტყვაც რომ  
არ იციან და მაინც სტოკჰოლმში რომ გარბიან გასართობად. განსაკუთრებუ-  
ლად მომთხოვნმა ტურისტებმა ხომ გააწყვალეს გული, ოთხმოცდათორმეტდღი-  
ან ექსკურსიებში ეწერებიან და სააგენტოსგან გარანტიებს ითხოვენ, საბაჟო-  
ებმა საქმე არ გაგვირთულონ, ჩვენ ხომ „კულტურული ვართობის“ მიზნით  
ვართ წამოსულიო, სინამდვილეში საგულდაგულოდ შენიღბული კონტრაბან-  
დისტები არიან. არაფერი უჭირთ, ხვალამდე მოიცადონ, ხვალ კი ალბათ ყვე-  
ლანი მოვლენ და თანაც მოვლენ გაზეთებით ხელში. ლამის ყველა გაზეთში  
უზარმაზარი ასოებით იქნება დაბეჭდილი ერთი განცხადება: „მდგომარეობა  
ნიოს ტრაპიკული სიკვდილი“. ახლა, ამ წუთში ცნობისწადილი  
მკლავს: ნეტავ როგორ გამოაცხადებენ ამ ამბავს ეს ნაირ-ნაირი ჯურის „ბლან-  
კოები“ და „კოლორადოები“? ალბათ ასე: მოხდა წარმოუდგენელი რამ: შვილ-  
მა — დიახ, შვილმა — მოკლა დიდ კაცთა შორის ყველაზე დიდი კაცი. დიდი  
კაცის ხელშეუხებლობა კი „ბლანკოებისთვისაც“ და „კოლორადოებისთვისაც“  
ისეთივე მტკიცეა, როგორც კონტრაბანდა, როგორც ოჯახი, როგორც წვრილ-  
წვრილი პარტიების ამკრძალავი ყბადალებული კანონი. ამ საკითხში ისინი



ერთსულოვანნი არიან. ამ ქვეყანაში, სადაც მოწოდებით მხოლოდ ერთი-ორი კაცია რევოლუციონერი და ისიც, როცა მოესურვებათ, მაშინ მოახდენენ რევოლუციებს, უნდათ გადადებენ ცუდი ამინდის გამო, უნდათ — გადაიტანენ აბრილში, როცა საბანაო სეზონი შეიძლება სრულად გამოიყენო; ამ ქვეყანაში, სადაც მილიონერებს უპოვარნი აძლევენ ხმას, სადაც გლეხები აგრარული რეფორმების წინააღმდეგები არიან, სადაც საშუალო ფენას უფრო დასურვიან ქვეყნის წინააღმდეგობა მიბაძოს მსხვილი ბურჟუაზიის ქცევებსა და კოქტილებს და ისინიც ისე ეშინია სიტყვა „სოლიდარობისა“, თითქოს ჯოჯობეთის მეშვიდე წრე იყოს; იმ ქვეყანაში, სადაც ჩემნაირ ხელმოცარულებს ტალახში ამოსვრილი საკუთარი გვარისა რცხვენიათ, სადაც საკუთარი კლასისაც ჩემსავით რცხვენიათ, ჩემსავით იმიტომ რომ ეკონომიური კეთილდღეობა ცოდვასავით მაწევს მხრებზე და მტანჯავს, მაშინ როცა ჩემი წრის ხალხი განაზეებული გოგოებით ცხოვრებისეული ყველა სიკეთით ტკბება და ნებივრობს, სადაც ჩემსავით საკუთარი მრწამსის რცხვენიათ, განსაკუთრებით პოლიტიკურისა, ჩემსავით იმიტომ რომ საარსებო პირობებს სწორედ ეს ჩემთვის მიუღებელი სისტემა მიქმნის; სადაც ჩემსავით რცხვენიათ საკუთარი მეგობრებისა, ჩემსავით იმიტომ რომ სოციალურად ერთ დონეზე მყოფებს ლამის მოღალატედ მივაჩნევარ ყველას; სადაც ჩემნაირებს საკუთარი ინტიმური ცხოვრებისა რცხვენიათ, იმიტომ რომ ბედნიერება სრულად შევიგრძენი და შვევი ვიცი, სხვა ყველაფერი მხოლოდ შემცვლელია მისი და თანაც, უმნიშვნელო შემცვლელი; სადაც ჩემნაირებს საკუთარი პროფესიისაც რცხვენიათ, ჩემნაირებს იმიტომ რომ ტურისტები ყელში ამომივიდნენ თავიანთი გაუთლელობით, კონტრაბანდით, ოდინდელი ხეპრეობით, ბლენძიობით, უხამსი გართობისკენ მდაბიური სწრაფვით; სადაც ჩემნაირებს საკუთარი მეხსიერებისა რცხვენიათ, იმიტომ რომ თუ რამ კარგი იყო ჩემს ბავშვობაში — მეგობრები, იმედები, მისწრაფებები, — გზადაგზა შემომეცალა, — აი, სწორედ ამ ქვეყანაში ახლა რომ ყველაფერი გავიხსენო — ეს ნიშნავს, შევადგინო უსიამო ამბების ნუსხა.

კარგია ქუჩაში, არც ცივა, არც ცხელა. მზე თვალისმომჭრელად ყვითელია, მაგრამ არ აცხუნებს. მსუბუქი ნიაგი ოდნავ აფრიალებს კამფეტების გამყიდველის პატარა ბაირალებს და ჭადრების ფოთლებს. სასიამოვნოა, ასეთ დღეს კაცი რომ რაიმე გადაწყვეტილებას მიიღებს. ასეთი დღე არ გამძიმებს, პირიქით, გიწვევს დასატკობად. მომწონს ჩემი ქალაქი, მიხარია, რომ რაღაცით მისი ერთი პატარა ნაწილი ვარ. შევცქერი ქუჩაში მოსიარულე ზანტ ქალებსა და კაცებს — ანგარიშიანებს და სიბრიყვეში ჩაფლულთ, ეიფორულად ბეცებს, დიდგულებსა და ფიცხებს. ვხედავ, ხუთი კაციდან ორი თუ მოიღებს მოწყალებას და ერთ-ორ ვროშს ჩაუკდებს გამოწვდილ ჭუჭყიან ხელში ჩასუქებულ, მეღაღურ მათხოვარ ხეიბარ ქალს, ერთადერთ მათხოვარს, გამონაკლის-მათხოვარს, რომელიც ალბათ ცოტა მოგვიანებით თავის უზადო ხელოვნურ ფეხს მიიპაგრებს და რამდენიმე სახლის გაღალღებულ მეპატრონედ გარდაიქმნება. შევცქერა ამ გულმოწყალების ქურუმებს, ამ გროშების ფილანთროპებს და თუმცა საკუთარი წილი არ შემაქვს მათ ქველმოქმედებაში, ვგრძნობ, რომ ისინი რაღაცით მგვანან მე და ჰგვანან ქვეყანასაც. რადგან ჩვენ ერთნაირად გვსურს საწოთხეში მოხვედრა — ოღონდ მუქთად, სამუშაო — მუქთად, უფროსობა — მუქთად, პენსია — მუქთად. ჩვენ გვინდა ცხოვრებას უფრო მეტი გამოვგლიჯოთ, ვიდრე რომელიმე უბრალო მოკვდავმა. ამის მისაღწევად კი ყველა ხერხი და გზა შეიძლება გამოიყენო — სიცრუე, ქველმოქმედება, თაღლითობა, ამაო და-



პირებები, ცრუ ხეობობა. ყველას გვინდა წინ გავეარდეთ, ვიღაცას გავუსწროთ და ამით პატივი და ღირსება მოვიძიოთ. საკუთარი ძალები რომ ირწმუნო, ერთადერთ გზას, წვრილ-წვრილ დანაშაულებათა გზას უნდა დაადგე. ეს ისეთი გზაა, ყველაზე ბოროტი თვალის რომ ვერ მოგვწვდება, ეჭვადაც რომ ვერავინ გაივლებს გულში შენს აკაცობას. კიდევ, ცოდვა უნდა ჩაიდინო რამე, რომ ზოგ-ზოგებმა აღარ ილაპარაკონ შენს შტერობაზე, წესიერი კაცის ავტანელ შტერობაზე. ერთია — იყო სიკეთის მქნელი, მეორეა და თანაც სულ სხვა — როცა იდიოტად გთვლიან. ეს სიტყვები ღირსია სახელმწიფო ღერბზე ეწეროს. საბოლოოდ — თუ შორეულ, ბუნდოვან წარსულში სიკეთისმქნელი ვიყავით, ახლა, როცა ჩავეწვდით საიდუმლოს, მოვეშვით ამ საქმეს, აქაოდა, ზოგ-ზოგებმა შტერებად არ ჩაგვთვალონო. ჰოდა, აბა ვის უნდა შტერის სახელი მიეწებოს. ჩვენც ყველანი ვიბლინძებით, ჭკვიანებად მოგვაქვს თავი და ქედმაღლურად დავცქერით ამ კიბოტეტურ, ძველმოდურ, დათრგუნულ არარსებულ არსებას, ვთქვათ, ურუგვაელს, — და ვამბობთ: „აუცილებელი არ არის იყო წესიერი, მთავარია ჰგავდე წესიერს“.

- ბუდინო, გახსოვართ?
- თქვენ ხომ მარსელა ხართ, მარსელა ტორეს დე სოლისი?
- აი, მესმის მეხსიერება. როგორ ხართ?
- როგორც მახსოვს, ათას ცხრაას ორმოცდაცხრამეტი წლის აპრილის ერთ დღეს თქვენობით არ მიემართავდით ერთმანეთს.
- შეიძლება ასეც იყო, მაგრამ მხოლოდ ორი საათი.
- სამაგიეროდ ის ორი საათი სავსე იყო კატასტროფებით.
- გახსოვს, როგორ შეგვეშინდა?
- როგორ გითხრა... მე და შენ, მგონი, საკმაოდ მშვიდად შევხვდით ამ ამბავს. ხომ ასე იყო?
- ეს შენ შეხვდი მშვიდად. მე — არა. მე ძალიან შეშეშინდა. რომ მახსენდება, ახლაც მბურძღვავს ტანში.
- როგორ დაგხვდა შენი... რა ჰქვია?
- სესარი. არის რა, ცოცხლობს...
- მერე?
- რა მერე? ისევ ერთად ვართ.

ამ ქალს, რაღაც ხიბლი ნამდვილად აქვს. მაშინ „ტეკილაში“ მითხრა, საწყენია, რომ ჩემს ქმარს მხოლოდ სექსუალურ მოთხოვნილებებს ვუღვიძებო. მერე რა არის აქ ცუდი? მეც მიღვიძებს, რა თქმა უნდა, მე მისი ქმარი არ ვარ. არა, ნამდვილად აქვს ამ ქალს რაღაც ისეთი... იქნებ ტუჩ-პირი, იქნებ ყურები. არ ვიცი, რაღაც მაცდუნებელი კი აქვს და... თანაც როგორი! შეყვარებით ვერ შევიყვარებდი, მაგრამ სხვაფრივ... ლოგინში აღბათ გასაგიჟებელი იქნება... კრუხი სესარ სოლისი... კარგი დედაკაცი კარგი დედაკაცია ყოველთვის და მარსელაც იმით გხიბლავს, რომ კარგი დედაკაცია და გულმისასვლელი ადამიანიც. რაღაც მიაშიტურიც აქვს თვალეში. დიახ, როგორც კლასიკოსები გვასწავლიან, მიაშიტობა — ეს არის საუკეთესო საკმაზი ავხორცობისა.

- დავლიოთ ყავა?
- დავლიოთ ყავა.
- არადა, „სამი ხ-ს საზოგადოების“ გასაღები მიღევს ჯიბეში.
- ერთი სიტყვით, წყალდიდობის მერე ცხოვრება ზღაპრულად აეწყო, ხომ? ცხოვრობდნენ ბედნიერად ქალი და ვაჟი... ჭირი იქა, ლხინი აქა...
- არა.





- რა არა?
- ლხინი და ბედნიერება - არა.
- კიდევ ვერ ეწყობით ერთმანეთს?
- ჰო, კიდევ...
- „ტეკილაში“ რომ ამბობდი, მიყვარსო, მჭირდებაო?.
- მართალს ვამბობდი.
- აბა, ახლა ასე აღარაა?
- შეიძლება ახლაც ასეა.
- მაშინ რა ხდება?

მარსელა ახალგაზრდაა. აგრესიულად ახალგაზრდა. ორმოცდაცხრამეტში ოცდასამი წლისა იყო, ახლა - ოცდახუთისაა. პირდაპირ დაუჯერებელია, ორი წლის მერე უფრო ახალგაზრდა მეჩვენება. ვარდისფერი ლოყები... თუმცა ხომ შეიძლება, ხელოვნური იყოს ეს ფერი, მაგრამ ხელების კანიც შეღებილი აქვს? ალბათ რა სასიამოვნოა, როცა ასეთი ლამაზი ხელები გეხვევა ყელზე... მე კი „სამი ხ-ს საზოგადოების“ გასაღები მიღვეს ჯიბეში.

- პრაქტიკულად მე და სესარს ერთმანეთისა მხოლოდ ლოგინში გვესმის.
- ბერე, რა არის აქ ცუდი?
- ნუ იცინი.
- დანარჩენის საქმე როგორღაა?
- დანარჩენი თეთრი ლაქაა ან, უფრო სწორად, შავი. თითქოს არაფერი ვაქვს სალაპარაკო.

- მაშინ იმ წუთებში, როცა ერთმანეთისა გესმით, რატომ არ გინდათ ილაპარაკოთ იმ წუთებზე, როცა ერთმანეთისა არ გესმით?

ანკესი რომ ვისროლო, შესაძლოა, მან „არა“ მიპასუხოს. მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს მის პასუხს ისეთ მნიშვნელოვან დღეს, როგორც დღეს არის. არადა, ეს ქალი მსურს, წუთიწუთ მიმძაფრდება სურვილი. თუ „ჰოს“ მეტყვის, ხვალ და ხეგ შეყოფა მოსაგონებლად. ამ ორ დღეს მე ალბათ მხოლოდ სასიამოვნო ამბების გახსენება მომიწევს.

- რატომ და, მაშინ წყენა და უხერხულობის შეგრძნება არ აგვეცდებოდა.

- ვფიქრობ, საქმე აქ ასეთ განყენებულ ცნებებში არ არის. ეტყობა, რაღაც კონკრეტული მიზეზიც უნდა არსებობდეს.

- მიზეზი არ არსებობს და ეს არის სწორედ ყველაზე ცუდი. ნეტავ კი იყოს კონკრეტული მიზეზი. სესარი მოსაწყენი, ჯიუტი და გულჩახვეული კაცია.

- შენ კი მხიარული და გულღია ქალი ხარ.

-რაც დრო გადის, მით უფრო მაკლდება ეს თვისებები. საშინელებაა. გაბოროტება გიპყრობს. ზოგჯერ ისე გავა მთელი დღე, ერთ სიტყვას არ მეტყვის. ოღონდ ხმა არ ამოიღოს და ღამითაც ხელებით მელაპარაკება. ვერ გამიგია, რა არის ეს, ეჭვიანობა, გაბოროტება, ანტიპათია თუ, უბრალოდ, მოწყენილობა?

არა, ვერ გავუძლებ, ეს შეუძლებელია. ქალი ასეთი თვალებით მიცქერდეს და მე კი ვითომ ვერაფერს ვხელები? უნდა შევთავაზო, თორემ ღამის გაგხვდე.

- მარსელა.
- რა იყო?
- გახსოვს, „ტეკილაში“ რომ მკითხე?
- რა გკითხე. მე ბევრი რამე გკითხე.



— კი, ასე იყო, მაგრამ მე ერთი შენი კითხვა მაქვს მხედველობაში. შენ მკითხე, ხომ არ მკაცხავო.

— მე გკითხე? ალბათ ღვინომ მათქმევინა.

— ალბათ... მე ვიპასუხე, მაგაზე არც მიფიქრია, მაგრამ შესანიშნავი აზრია-მეთქი.

— ესეც ალბათ ღვინის ბრალი იყო.

— არ იყო ღვინის ბრალი.

— რა გინდა მაგით თქვა, ე.ი. მკიცხავ ხომ?

— ეგ არც მიფიქრია, მაგრამ აზრი თავისთავად შესანიშნავია.

მგონი, მოვიგე, როგორ იცინის... ნასიამოვნებია, რომ ის ვიღაცას სურს, რა მშვენიერია, მართლაც მშვენიერი ქალია. ასე და ამგვარად, შუა გზას გავეცდი.

— ამ გასაღებს ხედავ?

— ვხედავ, სენიორ.

— ჩემი მეგობრის სახლისაა.

— ჰოო?

— ისინი ახლა მონტევიდეოში არიან.

— მით უკეთესი.

მარსელამ „მით უკეთესიო“ თქვა, ე.ი. რაღაცას ელოდა.

— ჩემი მანქანა აქვე დგას, კუთხეში.

— იქნებ ტაქსი გაგვეჩერებინა?

— ეგეც შეიძლება.

— ვიცოდი მე ეს.

— რა იცოდი?

— რომ ჩვენ ბოლოს და ბოლოს ერთად დავწვებოდით.

წინათ ინტუიტურად ვგრძნობდი, სრულად კი მხოლოდ ახლაღა მივხვდი: როცა მაშაკაცს ქალი სურს, მან იცის, რომ ეს ნახევარი სურვილია, ხოლო როცა კაცი მიხვდება, რომ ქალსაც სურს იგი, ეს უკვე გამთლიანებული სურვილია და მაშინ ერთი სული გაქვს, როდის შეისრულებ სურვილს.

— წავედით?

აქ დოლორესთან ერთად ვიყავი. რატომ ვაკეთებ ამას? იქნებ შედარებისთვის? ან იქნებ იმიტომ, რომ რაღაცა ავაფარო დოლორესის ხატებას? არა, სულაც არა, უბრალოდ, ჩვენი ეროვნული ბუნება ასეთია. კარგ ქალთან მინდა ყოფნა, ისეთ ქალთან, ღამაში თვალები, ღამაში ფეხები და საერთოდ, ყველაფერი ღამაში რომ აქვს. და კიდევ: დიდებული კოცნა რომ იცის. მარსელას სხეული უფრო მიზიდავს, ვიდრე ჩემი ფაშფაშა მდივანი ქალისა, თანაც მარსელას ის უპირატესობაც გააჩნია, რომ შტერი არ არის. ყოველთვის მტანჯავდა ლოგინში ისეთ ქალთან ურთიერთობა, მთელი აქტის განმავლობაში და განსაკუთრებით კი გადამწვევტ წუთს ჰიპოპოტამივით ან ძიძასავით რომ შემოგცქერის. როცა ამ აქტისას სრული ერთიანობაა — როგორც დოლორესთან იყო

— მე არაფერს ვთხოვლობ, იმიტომ რომ აქ ყველაფერია ერთად თავმოყრილი, მაგრამ როცა მხოლოდ ფიზიკური ლტოლვაა — როგორც მარსელასთანაა — მე ვთხოვლობ მცირეოდენ თანაგრძნობას მაინც. რას ვგულისხმობ? არ არის საჭირო შეყვარებულობანას თამაში, ორივემ უნდა შევიგრძნოთ, რომ ჩვენი ურთიერთობა დროებითია და ამხანაგური. ზოგიერთი ალბათ ამას უაზრო აკვიატებად მიიჩნევს, მაგრამ ჩემთვის დიდი მნიშვნელობა აქვს, როცა ქალი დამორჩილე-



ბამდე სამი წუთით ადრე ცოდვების მომხანვე მონაზონივით თვალეზდახრილი არ იტყვის: „რას იფიქრებ ჩემზე?“

– მოგწონვარ?

– სულელო, ეს ხომ დანაშაული იქნებოდა, ასე არ მენახე.

– წარმოსახვები მამ რილასთვის არსებობენ?

– ჩემი წარმოსახვები გადასარეკად მუშაობენ, შეუმცდარადაც, მაგრამ რე-

ალურად უფრო დიდებული ხარ.

– გინდა რაღაც ვითხრა? ეს ჩემი პირველი ღალატია, მაგრამ

დიდი ხნის წინანდელიც.

– რაღაც ვერ გავიგე.

– ჩემი ღალატი იქ, „ტეკილაში“ დაიწყო. ვახშამზე, მაგრამ იმ კატასტროფამ კარგა ხნით გადალო მეორე კატასტროფა.

– ამ კატასტროფის დროს მე შესანიშნავად ვგრძნობ თავს.

აკვირებული სიტყვები მერევა თავში. აი, კიდევ ერთ კარტს ჩამოვდივარ და მხოლოდ მე ერთმა ვიცი, რომელ კარტს მივუსვა იგი. ხვალ, ნეტა მარსელას სხე დამანახვა. ხვალ, ნეტავ რას გაიფიქრებს ხვალ? ცხოვრებაში ასეთი ამაღლებული თავგადასავალი გადავხდეს და ვერავის უამბო? ის ხომ, არც მეტი, არც ნაკლები, მკვლელთან იწვა, იმ კაცთან იწვა, ვისი სახელიც დღეს ყველას პირზე აკერიან? იქნებ სჯობს, ახლა განსაკუთრებული სინაზით შევხედო მარსელას, რომ ხვალ შიშით ატანილმა ბანალური სიტყვები არ თქვას: „ღმერთო ჩემო, ხომ შეიძლებაოდა მე მოვეკალი?“ საკვირველია პირდაპირ: ამ გადამწვეტ დღეს, – როცა ბებერს უკვე განაჩენი გამოტანილი აქვს, ამ ტრანსცენდენტურ დღეს, როცა მე აღვასრულებ განაჩენს, – აი, ასეთ დღეს სრულებითაც არ ვდღვავ, შეიძლება ითქვას, თითქმის ბედნიერიც ვარ სხვის საწოლში და სხვისი ცოლის გვერდით, იმ ქალის გვერდით, ვისაც წამიერ ტკბობას ვიწუქნი, მაგრამ მაინც ჩემთვისაც სხვაა. ალბათ ამიტომაც არის, რომ თუმცა ვნებიანი სურვილით ანთებული ვკოცნი მის მკვრივ ძუძუებს და უსაზღვროდ გრძნობამორეული ვეხები ამ დიდებულ ნორჩ კანს, გული მაინც რაღაცნაირად მუწურება, გულში ნაღველი, მარტოობა და სიცარიელე ჩამბუღებია, გულში რაღაც ჯიუტად მახსენებს უდოლორესობას, გულში რაღაცას სიკვდილი სურს. და ამ დამთრგუნველ ტანჯვასა და ღამის ბედნიერებას შორის არ არსებობს წინააღმდეგობა, რადგან მარსელა დიდებული ქალია, საოცრად კარგი, მისი ყოველი შეხება ისეთი დღესასწაულია, რომლის მსგავსიც არ ახსოვთ ჩემს ხელებს. მაგრამ უდოლორესობა – ეს მოუნელებელი ნაღველია, უდოლორესობა უფრო ჩემი სისხლია, ჩემს ძარღვებში რომ ჩქეფს, ფერს მაძლევს, პარიდოქსულად მამცნობს სიცოცხლეს. და თუ რეალობა უეცრივ მიჩხველეს, მაშინვე გამოვდინება ეს სისხლ-ნაღველი, რომელსაც ხან წყენა ადუღებს, ხან აგრესიულობა, ხანაც, ბოლოს და ბოლოს, მორჩილება. ვერაფრით ამომიხსნია, როგორ ვხებრხებ ასეთ დროს ტკბობას მივცე თავი, თანაც რა ტკბობას!

– რაზე ფიქრობ?

– იმაზე, თუ რა დიდებული ქალი ხარ შენ.

– არა. რაღაცნაირად გულჩახვეული და დაბნეული ჩანხარ. სხეული შენი აქ არის, თავი კი ღმერთმა იცის, სად.

საწყალი ჩემი თავი გაკვირვებას ვერ მაღავს. ღმერთმანი, არ იცოდა, სხეულს თუ ასეთი ტკბობა ძალუძდა. ახლა უკვე იცის და ხომ უნდა შეეჩვიოს ამ აზრს?

– არ დაიჯერებ და ჩემი თავიც მაგ დღეშია, გაბრუებული და გაოცებულია.





- საბრალო ჩვენი თავები.
- როდის მოვლენ ჭკუაზე?
- ალბათ არასოდეს.
- ვაცადოთ, იქნებ მოვიდნენ... ნულარ ვილაპარაკებთ თავებზე. ჩვენი არ იყოს, მათაც აქვთ თავ-თავიანთი პრობლემები.



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

- მთლად გულახდილები არ არიან.  
- და საკუთარ შეცდომებს აღნუსხავენ.

აქ დამატებაა საჭირო. თავები თავიანთ თავს ვერ შევლიან, ამიტომ სხეულის მართვას ლაშობენ. მაგრამ არაფერს ვაშობ. დაე დატკბეს მარსელა თავისი ნათქვამი ბოლო ფრაზით. მივცემ საშუალებას უპასუხოდ დაეკიდოს ჰაერში. ეს ხომ მოკრძალებული საზღაური იქნება. დიახ, თავი მართავს სხეულს, საბრალო სხეული კი ბედნიერია, მაგრამ უძლური. უცებ მარჯვენა თირკმელი ამტკივდა, მართალია ძლიერ არა, მაგრამ ტკივილი მდრღნის და შიშით მივსებს მოლოდინს. თითქოს რაღაცა მინაწევრებს თირკმელს და უკვე ვიცი, რაც უფრო მოიმატებს დანაწევრების სისწრაფე, მით უფრო გაუსაძლისი გახდება ტკივილი. დაფიცებულივით მაქვს: მიუხედავად ჩემი ყოყმანობისა სუსანას წინაშე, ის საშინელი სიტყვები ხმამაღლა არ უნდა დამცდეს, სამაგიეროდ ფიქრებში შემოძლია წარმოვთქვა კიბო, ნეფრიტი... სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს. სწორედ ახლა, როცა საკუთარ თავს მსაჯულის როლი დავაკისრე, რაღაცამ, ვიდაცამ, ღმერთმა, კიბომ, ბედისწერამ. შემთხვევამ თუ სულერთია რამ — განაჩენი მევე რომ გამომიტანოს, თანაც ისეთი, არავითარ გასაჩივრებას რომ არ დაექვემდებარება და საბოლოოდ იქნება.

- შენ გაქვს პრობლემები?
- ვის არა აქვს იგი?
- მაგრამ შენ არ ლაპარაკობ მათზე.
- ლაპარაკი რა საჭიროა.
- გულზე მოგეშვება.

აი, ეს აფიშები, ეს აბსტრაქტული ნახატები, ეს კერამიკის ღორები — ეს ყველაფერი მე ვნახე, როცა დოლორესს ჩემ გვერდით ეძინა. მხოლოდ ფიზიკურ სიახლოვეზე რომ იყოს ლაპარაკი, მაშინ ყველაფერი უბრალოდ იქნებოდა, იმიტომ რომ მარსელა ამ მხრივ კონკურენციის გარეშე დგას, მაგრამ უდოლორესობა ყოველ წამს მახსენებს თავს — როცა მიპყრობს სურვილი და როცა არ მიპყრობს იგი... როგორი საქმეა, სიღარიბეში დაიბადო? ნეტავ რამ მაფიქრებინა ახლა ეს? როგორი საქმეა, სიღარიბეში დაიბადო, იშიმშილო, ზიზლით შესცქეროდე ხორავით გამოტენილ ვიტრინებს, იყო ყველასაგან მიტოვებული, ფეხშიშველი, სამათხოვროდ ხელგაშვებული? როგორი საქმეა — მოვლი ცხოვრება ვირივით იშრომო, დამლაშობით მკვდარივით დაეგდო, არაფრის თავი არ გქონდეს, ვერც სურვილს გრძნობდე და ვერც მის დიდებულებას? როგორი საქმეა — არ იცოდე დასვენების, სულის მოთქმის ფასი და უცებ ერთ მშვენიერ დღეს მიხვდე, რომ შენი ვადა ამოიწურა, რომ სიკვდილი უკვე გიკაკუნებს სხეულ თირკმელებში? ეს არის სამართალი? რით დავიმსახურე მაგალითად მე ზარზეიმურ დღეთა უფლება, შორეულ მოგზაურობათა უფლება ან სულაც მარსელას შიშველი სხეულის აღმგზნები და განმწმენდი ცქერის უფლება?

- მამაშენი როგორ არის?
- არც ისე კარგად.
- ავადმყოფობს?
- ბებერს დიდი ხნის სიცოცხლე არ უწერია.



თირკმელი აღარ მტკივა და მეც ბავშვივით ვმშვიდდები. ის საშინელი სიტყვები — კიბო, ნეფრიტი — სადღაც შორეთში მიიკარგნენ. თავს ვირწმუნებ, ეს სიტყვები მხოლოდ სხვათა სატანჯველად არსებობენ და არა ჩემ სატანჯველად. ჰო, ცხადია, ბებერს დიდი ხნის სიცოცხლე არ უწერია. სულ რაღაც ოთხი საათი და ოცდათხუთმეტი წუთი, ვთქვათ, ორნახევარი საათი. შეიძლება ცოტა მეტიც, იმიტომ რომ მარსელა კვლავ იწყებს სიყვარულობას თამაშს, მუა-ლერსება, ჩემს გაუხეშებულ კანს ჭკუისშემშლელ შეკითხვებს აძლევს, თანაც მშვენიერ ხელებს — თავად ნებიერთა და სხვათა გამანებივრებელთაც — ისეთი მუსდომელი და უცოდველი ინტუიცია წარმართავს, რომ სხეულის ყოველი უჯრედი ერთბაშად იძირება ჩემს მეორე პასუხში.

ქვემოთ ჭადრებია. დღეს ფოთლები არ იძვრიან. რატომღაც ვღელავთ მეც და ფოთლებიც. რამდენიმე თვის წინ სწორედ აქ, ამ ოთახში გამოვუტყდი საკუთარ თავს: არასოდეს ვყოფილვარ რამონ ბუდინიო, ყოველთვის ედმუნდო ბუდინიოს შვილი ვიყავი-მეთქი. დღეს შევძლებ კი გავხდე რამონ ბუდინიო? ყოველ შემთხვევაში, ვეცდები მაინცა. სწორედ აქ, ამ ოთახში, რამდენიმე თვის წინ ვფიქრობდი: როგორც ყველას, ისე ჩვენც, ბუდინიოებსაც, ჩვენი ისტორია გვაქვს-მეთქი. ახლა ჩანთაში რევოლვერი მიდევს, ე.ი. ახლა მხოლოდ ჩემზეა დამოკიდებული, ჩავწერ თუ არა ამ ისტორიაში ყველაზე ნათელ გვერდს. ჩავწერ კი?

— ძალიან ადრე მოხვედით, დონ რამონსიტო. დოქტორი ნახევარი საათით მაინც დაიგვიანებს.

— არა უშავს, ხავიერ. სიამოვნებით დავჯდები და დაველოდები.

— ისეთი ჰაერია, გრიგალის წინ რომ იცის და რაღაცნაირი შიში გიპყრობს კაცს, ხომ ასეა?

— დიახ, მგონი, ასეა. ოჯახში ხომ კარგადა ხართ?

— არც ისე კარგად, დონ რამონსიტო. ჩემს ცოლს ფეხები დღითი დღე უუარესდება.

— გრიგალის ბრაღია, ხავიერ.

— არა, კარგ ამინდშიც ტკივა ხოლმე. ექიმი ამბობს, ცილების ბრაღიაო, არადა, ანალიზებში ცილები არ ჩანს.

— ე.ი. ცილების ბრაღი არ ყოფილა.

— მთელი უბედურება ისაა, ტკივილის გარდა იმ, ასე, რუმბებივით უსივდება ხოლმე.

— იქნებ გახდომა ჯობდეს.

— ვისი? ჩემი?

— არა, თქვენი ცოლის.

— ნამდვილად აჯობებდა, მაგრამ ტკბილულს ვერ ელევა. ჭამა-სმის დიდი მოტრფიალეა. უმადობას არც მე ვუჩივი, მაგრამ არ ვსუქდები. წარმოგიდგენიათ, საკონდიტროში გავიცანით ერთმანეთი, კამფეტს ვყიდულობდით.

ჩავწერო? ჩავწერო? გაუგებარია, რატომ მაინცდამაინც ახლა დავსვი ეს შეკითხვა. მე ხომ დილითვე გადავწყვიტე ყველაფერი, თანაც მტკიცედ, მაშ, საიდანღა გამოტყვრა ეს ყოყმანი, ეს ორჭოფობა? მგონი, ბებერი მჯაბნის: მე ხომ უკვე ათასჯერ აეწონ-დაეწონე ყოველივე და ათასჯერვე ერთ დასკვნამდე მივედი: უნდა მოვკლა! მაგრამ დასკვნა არაფერს ნიშნავს, განაჩენს აღსრულება სჭირდება, ე.ი. უნდა მოვკლა. შევძლებ კი მოვკლას? ჯერ კიდევ დილით მტკიცედ მჯეროდა, რომ მოვკლავდი, ახლა კი საიდან გაჩნდა ეს ღელვა?



— მაპატიეთ, დონ რამონსიტო, უნდა დაგტოვოთ.

— ცოტა ხანს მოიცადეთ, ხავიერ.

— დოქტორს უნდა გავუმზადო მასალები გაზეთისათვის.

— ცოტა ხანს მოიცადეთ, ხავიერ.

იქნებ მარსელაა დამნაშავე? იქნებ მისი ბრალია ეს გამოცოცხლება? არა, მარსელა აქ არაფერ შუაშია, არამზადა კაცის მოკვლა გამოცოცხლების ერთგვარი გამოხატულებაა. საჭიროა, სიძულვილს ჩავეჭიდო... მხოლოდ ეს იძულებილს. მაგრამ ეს სიძულვილიც რომ სადღაც მიიპარება?... ვთქვათ, ბებერი ალებს კარს და... არა, კარის გაღებამდე ალბათ ლიფტის ხმას გავიგონებ. ვთქვათ, გავიგონე ლიფტის ხმა. რას ვაკეთებ? ვხსნი ჩანთას, ვიღებ რევოლვერს და ვუმიზნებ კარს... რევოლვერიც აგერ მაქვს... არა, ასე არ ივარგებს, უაზრობა გამოდის. ვთქვათ, ის ალებს კარს და მეც... არა. რა საჭიროა ამდენი ფიქრი და გეგმების დაწყობა?... ის ალებს კარს და... წამით მის თვალებს ვერჩეხები... აი, სად არის საფრთხე ჩასაფრებული. ყოველთვის „ბებრის“ თვალებით როდი შემომცქერიან, „მამის“ თვალებსაც ვაწყდები ხოლმე. „მამის“ თვალები ჯერ კიდევ არ ჩამქრალან ბოლომდე. რომც ჩამქრალიყვნენ, ბებერს არც გაუჭირდებოდა სიყვარულის გამოხატვა თავისი მსახიობური ნიჭისა და უმაღლესი ფარისევლობის წყალობით. კი მაგრამ, მე როგორღა გავარკვიო როდის არის ყალბი და როდის მართალი? ახლავე ვიცი დარწმუნებით, თუ „მამის“ თვალებით შემომხედავს, გათავდა. მე ვერ გამოვკრავ ჩახმახს და მაშინვე წყალში ჩამყვრება ყველაფერი, თანაც სამუდამოდ... სამაგიეროდ ის გამანადგურებს, არარაობად მაქცევს... ვთქვათ, ალებს კარს და ჩვეულებრივ, არამზადას თვალებით მიცქერის. ვესვრი, ნამდვილად ვესვრი. არა, ჯერ უნდა დაველაპარაკო; ხომ უნდა ავუხსნა, რატომ შეიძულა შეიღმა საკუთარი მამა. უსათუოდ ვეჭვვი: ვერ გაპატიებ, რომ დამლუპე, რაც მთავარია, ვერ გაპატიებ, რომ თვითონვე გაანადგურე ის ხატი, რომელიც მიყვარდა, ვალმერთებდი და მჭირდებოდა-მეთქი. ესღა მაკლდა, მგონი, ვტირი. მაგრამ ამდენი ახსნა-განმარტება თუ დავიწყე, ვეღარც მოვკლავ. ერთი შემომხედავს საკუთარ ძლიერებაში დარწმუნებული და გამსრესს ჩემს მონოლოგიანად და რაღა თქმა უნდა, ვერც მოვკლავ. ვთქვათ, ალებს კარს და მეც მაშინვე ვისვრი, არ ვაძლევ საშუალებას შემომხედოს, არ ვაძლევ დროს თავისი შემოხედვით გამტეხოს, მაგრამ რომც მოვკლა, ის მაინც გამარჯვებული დარჩება, რადგან მე ხომ მეცოდინება, სიმხდალის გამო ვერ დაველაპარაკე და იმიტომ ვესროლე პირდაპირ. თუ მინდა, ბებერი საბოლოოდ დავამარცხო, უნდა ვუთხრა, რატომ ვკლავ და მერე მოვკლა! თუ დღეს არ გავაკეთე ეს, მორჩა, ვერც ვერასოდეს გავაკეთებ იმიტომ, რომ ყოველთვის, როცა კი მოვკლას ჩავეიფიქრებ და დავიწყებ მსჯელობას მკვლელობის წერილმანებზე, სწორედ ეს მსჯელობა ჩამფუშავს მე. ვთქვათ... აღარავითარი „ვთქვათ“. მორჩა, გათავდა, დადგა საშინელი წამი, როცა საკუთარ თავს უნდა გამოვუტყდე... ვერ მოვკლავ. არ შემიძლია. მთელი დღე ვაზუსტებდი ჩემს( გეგმას, ვამართლებდი საკუთარ საქციელს, მთელი დღე ვცდილობდი ისეთი კვალი დამეტოვებინა, რომ ხვალ ამ ამბით გაოგნებულ ადამიანებს თავადვე წავშველებოდი, ყველაფერში გარკვეულიყვნენ, ყველაფერს მიმხვდარიყვნენ, ცოტაოდენი სინათლე მაინც შემეტანა მათ ვარაუდებში. მაგრამ კვალს იმიტომ ვტოვებდი, რომ საკუთარი თავი დამერწმუნებინა, განზრახვაზე ხელის ალება უკვე გვიანი რომ იყო. ჰერ პაუბტმანის ზღაპრისა არ იყოს, მეც ჰენზელსა და გრეტელივით ნამცეცებს ვყრიდი ყოველ ნაბიჯზე, რათა გაადვილებოდათ ჩემი განვლილი გზის პოვნა. მაგრამ უცებ მოვიხედე უკან: ჩიტებს ანუ სინდისის ქენჯნას, ანუ სიმხდალეს აეკენკათ



ჩემი ნამცეცები, ანუ კვალი, ანუ ნიშანი. მგონი, თვითონაც ვერ ვბოლოვლობ საკუთარ კვალს. ვერ მოვკლავ. ირგვლივ ყველაფერი ჩემზე ძლიერია: ბებერი, ჩემი კლასის წეს-ჩვეულებები, ცრურწმენები, „ბოლოს და ბოლოს რამონი ჩემი შვილია“. მან ეს სიტყვები სწორედ აქ წაიწოთქვა და თანაც ხავერდის თანდასწრებით და თანაც იმ დღეს, იარაღი რომ დაურიგა ყოჩაღ ბიჭებს. ახლაც მიწივის ყურებში „ბოლოს და ბოლოს“ რაღაც რაღაც რი — მამაა ჩემი. ეს საშინელებაა, მაგრამ ასეა, მამაა ჩემი. ჩემი კლასის, თაობის. ჩემი ქვეყნის ადამიანები არ კლავენ თავიანთ მამებს. ჩემი კლასის, ჩემი თაობის, ჩემი ქვეყნის ადამიანები არ ანადგურებენ თავიანთ წარსულს, იმიტომ რომ მძღ-ები არიან. პატივი ეც მამასა და დედასა შენსა. ასე მძღვრავდა დიდი ხნის წინათ ერთი ბებერი მღვდელი. ოღონდ რატომღაც არ უმატებდა — პატივი ეც მამასა და დედასა შენსა, თუკი ისინი იმსახურებენ პატივისცემასო. ეს სიტყვები არ დაუმატებია მოძღვარს, მაგრამ მე უმისოდაც მივაგებ პატივს მამაჩემს, თუმცა იგი არ იმსახურებს იმას, რომ პატივს მივაგებდე. პატივს მივაგებ იმ სიზანტის გამო, რომელმაც ხელი შემიშალა ბებრისთვის უარი შეთქვა სააგენტოსთვის მოცემულ ფულზე. სწორედ სიზანტის გამო იყო, რომ ხმა ვერ ამოვიღე, ვერ ვუთხარი, იმ დღეს გვერდით ოთახში ვიყავი-მეთქი, სიზანტის გამო არ გავიქეცი, არ დავიმარხე თავი რომელიმე შორეულ მიწიერ განსაწმენდელში, იმიტომ რომ ფულმა დამასხნეულა. იმიტომ რომ კეთროვანი ვარ, სამყაროსგან ვარ გამიჯნული კეთილდღეობით, იმიტომ რომ მთელს დედამიწაზე ყოველდღიურად შიმშილით დახოცილი რვაასი ათასი კაცი ჩემთვის უფრო ნაკლებს ნიშნავს, ვიდრე ჩემს ამბოხებულ სულზე დამჩნეული ლაქა, იმიტომ რომ... მამაჩემს პატივსა ვცემ იმიტომ, რომ პატივს არა ვცემ საკუთარ თავს.

არა, ფოთლები სულაც არ არიან უძრავად. ის კი არადა, მგონი, ჩამოცვენალი, დამტყვნარი ფოთლებიც კი ბზრიალ-ტრიალებენ იქ, ქვემოთ დანაკუწებულ გახეთქებსა და აფიშებთან ერთად. იქ, ქვემოთ, ფანჯრიდან რომ გადავიხედო — ნელა, ფრთხილად?..

რომ გადავხტე?

ა?

რომ გადავხტე?

მიწაზე დანარცხება მაგალითად აი იმ ვებერთელა ჭადარსა და იმ დაღეულ ჭადარს შორის გამომცემლობის შესასვლელიდან ნახევარ მეტრზე პოლიციელები რომ იცავენ არარსებული შეთქმულთაგან არ იქნებოდა მთლად ურიგო, ამაზე არც არასოდეს მიფიქრია ან იქნებ სულაც გამუდმებით ვფიქრობდი და სადღაც ღრმად ვმაღავდი ჩემს ილუზორულ გეგმებში

რომ გადავხტე აი ეს აზრი სახიფათოდ მითრევს თავისკენ. სახიფათოდ ალბათ იმიტომ რომ წინ ველარაფერი დაუდგება მის აღსრულებას აღარ მომიწევს ბებრის სახის დანახვა აი ასე სულ უბრალოდ სამუდამოდ წავშლი ამ სახეს ჩემს თვალთა ბადურიდან მერე ეს ბადურაც ჩაიშრიტება რათა აღარ ვიხილო საკუთარი თავი სარკეში, აღარ გავიტანჯო საკუთარი შეცდომებით აი ასე სულ უბრალოდ დავუსვამ წერტილს ჩემს მათხოვრობას ჩემს მტანჯავ ფიქრებს ბებრის გამომეტყველებულ ფულის გამო, იმის გამოც რომ ლარალდე ჩემზე გაბედული აღმოჩნდა. ბოლო მოუღება დოლორესზე ნაღველს თირკმლების ტკივილით გამოწვეულ შიშის ზარს, გულსაც აღარ ამირევს ლატაკთა მიერ მილიონერების მხარდაჭერა არჩევნებში თავსაც აღარ დავამუნათებ უძილობისას ყოყმანი გჩვევია-თქო აღარ მომიწევს უაზრო გაღიმება ტურისტთა წინაშე და



აღარც შორეული და გაუცხოებული სუსანას გვერდით წოლა აღარც ფიქრი დედაჩემის სიკვდილსა და ჩემს ლოყაში ჩაფრენილ მის ფრჩხილებზე აღარ გავიგონებ ბებრის ლანძღვას შტერი ხარო ვერც მე და ვერც სხვა ვეღარ ნახავს იმ საშინელებათა და ზიზლით აღსავსე კადრს რომელსაც დედაჩემის საწყალობელი არ შემიძლია ახლდა თან აღარ მომიწევს დამლაშობით ტირილი, აღარ მინდა შტერად მრაცხდნენ აღარ აღარ აღარ მორჩა ვათავლა იქნებ ეს იყოს ერთადერთი გამოსავალი ან უკიდურეს შემთხვევაში გზა მიწასთან გაეასწორო, მოვაშთო ის უბადრუკი გუნდა სიბინძურისა რომელსაც ჩემი სახელი და გვარი აქვს და ბოლოს და ბოლოს გადავრჩე იმ სატანჯველს რაშიც ჩავვარდი

რომ გადავხტე ეს ბრწყინვალე გამოწვევა იქნებოდა ყველასი რა მაცდური აზრია ნეტავ რა მოხდება მერე იქ ქვემოთ პოლიციელებიდან ნახევარ მეტრში რომ გადავხტე რომ გადავხტე ეჰ ეჰ ვერასოდეს ვიფიქრებდი რომ თურმე შესაძლებელია ასეთმა აზრმა ექსტაზით სპაზმივით დაგრიოს ხელი და თავისებურ ტკბობის მორევში გადაგისროლოს ეჰ დოლორეს აღარასოდეს იმად რომ ჩემი ხარ და არც ხარ ჩემი ჯანდაბას მერე რა მოხდება მერე გუსტავო საბრალლო ჩემი შვილი! ნეტავ გამიგოს რომ გადავხტე

იქ ქვემოთ ეჰ დოლორეს ჩემო სხვისო დოლორეს ნეტავ მეც შემეძლოს ლოყაში ფრჩხილებით ჩაგაფრინდე მაგრამ სადაა ლოყები არც არავინაა მხოლოდ როგორც არასდროს ისაა დოლორესია ახლა უკვე მართლა კმარა რომ ჩემი ხარ და არც ხარ ჩემი ეჰ ხომ ვთქვი კმარა ცრემლი-მეთქი კმარა ცრემლი

როგორმე უნდა გადავიხედო ეჰ ნელა ფრთხილად იქ ქვემოთ

იქ

იმ ვეებერთელა ჭადარსა და იმ დალეულ ჭადარს შორის ხომ ვთქვი კმარა ცრემლი-მეთქი

ეეჰ

ბედნიერებაა რომ ღმერთი არ არის უბედურებაა ეჰ დოლორეს ეჰ იმად რომ ჩემი ხარ და არც ხარ ჩემი ეჰ ხომ ვთქვი კმარა ცრემლი-მეთქი კმარა ცრემლი-მეთქი

კმარა

კმარა

კმარა

კმააააა...

I suicidi sono omicidi timidi!

ჩეზარე პავეზე

სულელო, სულელო. შენ ხომ უსათუოდ დამარწმუნებდი. მხოლოდ ერთხელ წარმოვთქვი სახელი „რამონ“ შენს ტუჩებში ჩაფლულმა, შენივ ენას რომ შევეებე სუნთქვაშეკრული და ბედნიერი. სულელო. საბრალლო. პატარა ბიჭივით იყავი, ნამდვილი ბავშვი. რაოდენი შიში და გაოცება გეხატა თვალებში. აი ამ ხელით გეაღერებოდი თვალებზე, გიხუჭავდი, ვიცოდი, ეს თამაში იყო და მაშინვე გაახელდი. ახლა კი აღარ გაახელ. დახუჭვითაც ვილაც სხვამ დაგიხუჭა. მე შენ აღარ მინახიხარ. უფრო სწორად, არ მინახავს ის, რაც, როგორც ამბობდნენ, შენ იყავი. რა დამავიწყებს შენს თვალებს. მათშია მთელი ჩემი მოგონება, ან

1. თავისმკვლელები მხდარი მკვლელები არიან (იტალ.).



თითქმის მთელი. ძრწოლვით შემომცქეროდა. ჩემს დარწმუნებას ლამობდა. სულელი რამონი, მოხუცი რამონი. ცხადია, მე ვარ დამნაშავე. თუმცა ვინდა არ არის დამნაშავე? მე რომ „პო“ მეთქვა... არა, მაშინ ვერ გეტყვოდი, არ შემეძლო. ახლა შემიძლია, მაგრამ ახლა აზრი არა აქვს. მხოლოდ მაშინ დაგინახე უგოს საძულველი სახე, როცა ეს ამბავი შემატყობინა. როცა უგოზე მეკითხებოდი რაღაც-რაღაცებს, მაშინ ვერ ვხედავდი მის სახეს, ჯერ კიდევ არ ვიცოდი ამ სახის არსებობა. უგო კეთილი კაცი არ არის. არც არასდროს ვილაპარაკე კეთილი, მაგრამ მე არ ვიცოდი. ახლა ვერც წარმოგიდგენია მისი სიყვარული. არც მეცოდება. ირგვლივ მახეებია დაგებული და სიბინძურე ჩაბუდებული. ბებერმა გაიმარჯვა. თუმცა — ვინ იცის! სულელი ხარ, სულელი. რაში გჭირდებოდა ბებერი? ვერ მოვასწარი შენთვის ყველაფერი შეამბნა... უგომ ეს არ იცის, ვერც ვერასოდეს გაიგებს ჩემს ნამდვილ, უცხო თვალთაგან დაფარულ ცხოვრებას... ეს ის დროა, როცა ჩვენს კვარტალში მხოლოდ ერთი სახლი იდგა და ეს სახლი ჩვენი სახლი იყო, ჩემი მშობლების სახლი. კისრისტეხით გაერბოდი ხოლმე კლდეებისკენ, ვჯდებოდი ქვაზე, გამხდარ ფეხებს ვდებდი წყალში და ისიც ისე საამოდ, ისეთი ალერსით მევლებოდა კოჭებზე, რომ რაღაცნაირი იღუმალი სიგრილე მივლიდა ზურგზე და მერე სადღაც კეფაზე ჩერდებოდა... მეწყებოდა კანკალი, მაგრამ გარეთ კი არა, სადღაც შიგნით თრთოდა რაღაც, რომელიც სიყვარულით ტკბობას უფრო ჰგავდა. შესაძლოა, სულაც ეს იყო სიყვარულის პირველი შეგრძნება ჩემს ცხოვრებაში. ვერ მოვასწარი შენთვის შეამბნა, როგორ მესტუმრა პირველი სურვილი, რა მაგრად ვხუჭავდი თვალებს, რა მაგრად ვმუშტავდი მკერდზე მიღებულ ხელებს... როგორ ვქმნიდი ჩემთვის ღამეს, მოცეკვავე მანათობელი წერტილებით დაწინწკლულ ბნელ ღამეს, როგორ დავქროდი მეტეორივით, საფეთქლებზე როგორ მიჭერდნენ რკინის მარწუხებს, გახურებულ შუბლზე როგორ მადებდა თავის რბილ, მაგრამ გამოცდილ ხელს ჩემი გალისიელი ბებია, მეც როგორ მსიამოვნებდა მისი ხელისგულის შეგრძნება თვალებზე, პირზე, ყურებზე, ხელებზე; პირველად როგორ ვნახე შიშველი მამაკაცი. ვიღაც მაწანწალა კაცი ბუნქებში იცვამდა შარვალს, როგორ ამერია გული ამ შურაცხმყოფელი და უჩვეულო სურათის დანახვისას, როგორ მიჩინებდნენ, მზის დაბნელებას უსათვალოდ არ შეხედო, მე კი მაინც შევხედე — თუმცა ცალი თვალთ — და სწორედ მას შემდეგ დამაკლდა მხედველობა; როგორ იყო ის... როგორ იყო ეს... იყო... ვერაფრის მოყოლა ვერ მოვასწარი. ძვირფასო, რა თქმა უნდა, შემიძლია ფიქრებში წარმოგიდგინო, მაგრამ რა აზრი აქვს. თუმცა მთელი ჩემი სხეული მოლოდინშია, შენ მაინც ვერ შემეხები. ვერ შემეხები იმიტომ, რომ მე ვერ დავარწმუნე საკუთარი თავი და ეს საშინელებაა. მე შემიძლია წარმოგიდგინო იმ ერთადერთი შეხვედრის წყალობით. რას სასოწარკვეთამდე ბედნიერი იყავი მაშინ. მახსოვს, სიჩუმის წუთიც გვქონდა. მხოლოდ ქვემოდან, პლაჟიდან ისმოდა ყრუ ხმები, მაგრამ მაინც სიჩუმისა ეთქმოდა იმ წუთს. გახსოვს, ისეთი წუთიც იყო, უძრავად რომ ვიწექით ერთმანეთის გვერდიგვერდ, ერთმანეთს არც ვეხებოდით... და ამ წუთს თუ აქეთ, ჩემს სიცარიელეში გადმოვიტან, იგი შესძლებს რაღაც შენეული შემიცვალოს, მაგრამ შენს ხელებს კი ვერაფერი შემიცვლის. თვალებდახუჭული დავაცოცხებ საკუთარ ხელებს თემოებზე, გვერდებზე, მუცელზე, მკერდზე, საკუთარი ხელებით ვეფერები საკუთარსავე სხეულს და ვცდილობ თავი დავარწმუნო, რომ ეს შენი ხელებია, მაგრამ ვიცი, ეს ყველაფერი დამთავრდება და ბუნჩება მხოლოდ მტანჯველი სირცხვილი, შესაბრალისი თრთოლვა და ნაღვლიანი, უაზრო მარტობა. უნდა მოვკლავ, ასე თქვი მაშინ, როცა მეძინა.



შენმა ხმამ შემოაღწია ჩემს ძილში. ძილში კი ინგროდა რაღაც ჯებირის მაგვარი, ჯებირს მიღმა იყო დამაბრმავებელი, მკაცრი ცა და მე შემეძლო სიბრაღის გარეშე მეცქირა საკუთარი თავისთვის. უნდა მოვკლათ, ამბობდი კვლავ და კვლავ და ამ სიტყვებს ხმამაღლა იმეორებდნენ რეპროდუქტორები ყოველი მხრიდან. ყურებზე ხელებს ვიფარებდი, რათა ეს სიტყვები აღარ გაჩევილიყო, მაგრამ ვხედავდი, რეპროდუქტორები ტუჩებს ამოძრავებდნენ, და ვხედავდი ისევ იმ სიტყვებს იმეორებდნენ. უნდა მოვკლათ, თქვი ერთხელ უფრო მეტ გამომეღვიძა. ჯერ კიდევ ძილბურანში მყოფმა გკითხე რა თქვი-მეთქი? არაფერიო, მიპასუხე. რა თქმა უნდა, ჩემი შეკითხვა მთლად პატიოსნური არ იყო, მაგრამ არც შენი პასუხი იყო პატიოსნური. მე დაბანგულივით ვიყავი, შენ არ მენდობოდი. ჩვენ, ორივენი, უღონო, დაჭრული არსებები ვიყავით. ვცდილობ, როგორმე თავი მოვუყარო ცალკეულ მოგონებებს, მაგრამ საუბედუროდ, აზრი არა აქვს. მე არა მჩვევია ავადმყოფური გულგატეხილობა. მე ერთი ჩვეულებრივი ქალი ვარ. თორმეტ წლამდე თოჯინასთან ერთად მეძინა, ჩემს მახინჯ, უფეხო თოჯინასთან ერთად. ფეხი ჩვენმა ძაღლმა მოაჭამა, თვალის იმან ამოაგლიჯა. დედაჩემს არაფრით არ გავატანე სახელოსნოში გასაახლებლად. ჰოდა, ამ თოჯინასთან ერთად მეძინა თორმეტ წლამდე. მერე, კარგა ხნის მერე, გამოჩნდა უგო, რომელიც რაღაცით ჰგავდა ჩემს თოჯინას, მაგრამ იმ განსხვავებით რომ მხოლოდ ერთი ღამე მეძინა მასთან ჩახვეულს. გულისგამაწვრილებლად ბუტბუტებდა ხოლმე: როგორ ცხელა, ძალიან ცხელა. მე ჩვეულებრივი ადამიანი ვარ, რაღაც ხელმოსაჭიდი მჭირდება. რა ვუყოთ თუ მერე გულაცრუება ან სიკვდილი მოვა. მე დროებით ნუგეშზეც თანახმა ვარ, სხეულის ნუგეშზეც. რატომ აქვს სხეულს ასეთი დიდი მნიშვნელობა ჩვენთვის? რატომ გრძნობს ჩემი ხელის გული მარტობასა და უღონობას, როცა შენი დახრული მხრები, შენი ძლიერი, ბანჯგვლიანი ფეხები, შენი უმწეო ბიჭური კეფა მახსენდება? კეფაზე ორი ამობურცული ხალი გქონდა. ქვემოთ თმა გქონდა რბილი და ხუჭუჭი, შეგეძლო თითები სავარცხელივით მოგეძარჯვა და ნაზად, ნელა დაგეშალა ჩახუჭუჭებული ადგილი და მერე... ჰო, მერე... რამონ, რამონ, რამონ. ახლა კი სად გავექცე ამ სასოწარკვეთას, ამ სიბინძურეს?! დაკრძალვის დღეს ბებერი იდგა როგორც უაზრო ქანდაკება, როგორც ოჯახის მკაცრი უფროსი. გამოზომილად ოხრავდა, აქაოდა, სასაფლაოს გაღაგანზე ამძვრალ მოსვირეთ თუ საფლავთან თავმოყრილ ხალხს კარგად დაენახა და ეგრძნო საქვეყნოდ ცნობილი მამის უსაზღვრო წუხილი. იქვე იდგა უგოც — უცრემლო და საზეზე სიძულვილშეყინული. ბებერს მის მხდალ, ბოროტ მხარზე დაედო თავისი გამაცამტვერებელი ხელი. რატომ არ მოკალი იგი? რა თქმა უნდა, ეს რომ ჩაგვდინა, მაშინაც ასევე გაოგნებული გკითხავდი: რატომ მოკალი-თქო? მაგრამ ეს არ იქნებოდა შეკითხვა სიცარიელეში... ჰო, ხდება ასე... დიდი უბედურება და პატარა უბედურება... ყველაფერი შედარებითია. პატარა უბედურება ნაკლებ საშინელებად იმიტომ გეჩვენება, რომ ის არ მოხდა და მოხდა დიდი. რამონ, ო, სულელო რამონ. ცხადია, აჯობებდა მცოდნოდა, რომ შენ მკვლელი ხარ, მამის-მკვლელი, ვიდრე მცოდნოდა, რომ გახდებოდი ის. კინაღამ გავიფიქრე „გვამი“-მეთქი. მაგრამ ვინ იცის, რა ხარ ახლა შენ. სული ხარ, მბორგავი სული, ან იქნებ არც არაფერი ხარ, სრულიად არაფერი. ღმერთი რომ მწამდეს, მეცოდინებოდა, რომ რაღაცა სახით განფენილი ხარ მის წიაღში, მის უსაზღვრო ძლიერებაში, მის უძველეს უბეში, რომ შენ ახლა სხვა სუნთქვით სუნთქავ, შორსა ხარ ამ სიბინძურიდან, შენთვის არც სიხარულია, არც წუხილი, უძირო ჭურჭლად, სივრცეში მოფარფატე შემთხვევად იქეცი თითქოს, რომ შენ გეკუთვნის



წარსული საუკუნეებიც და მომავალიც და თუ წარსულში მწარე სვებედი ვერ-  
გო, მომავალში ერთფეროვანი მარადიულობა გელის, ნამდვილად ასე აჯობებ-  
და შეფიქრა, მაგრამ, სამწუხაროდ, ასე არ არის. არადა, წარმოუდგენელია, რომ  
შენ ახლა არარა ხარ, არარა, არარა. გათავდა ჩემი გულგრილობა, ისე, რომ  
შეიძლება ჭკუაზეც შევიშალო? ფართოდ თვალგახელილი და ტუჩებმოკუმული  
კარგად თუ დაუკვირდები საკუთარ თავს სარკეში, და თუ შევეცდები ყურები  
პირი, ცხვირი, წამწამები როგორღაც გამოვთიშო ირგვლივ ყოველფეხსეხეჩეჩე  
შინ იქნებ შევძლო, ავიესო შინაგანი გუგუნით, რომელიც გადაფარავს მწუხა-  
რების თანაზიარობის სიტყვებს, მიცვალებულის მისამართით თქმულ შესან-  
დობარ სიტყვებს, უგოს წყველა-კრულვას, რადიოს დრიალს, საპატრულო მან-  
ქანების სირენებს; იქნებ მოვახერხო და გადავიკარგო კიდევ აქედან, ვირბი-  
ნო ქვეყნის დასასრულამდე, სადაც არც მეხსიერებაა, არც რამონი და არც რა-  
მონის აღერსით ათრთოლებული ჩემი სხეული. მაგრამ ესეც შეუძლებელია. მე  
ვერასოდეს შევიძლები ჭკუიდან, ვერასოდეს მოვიკლავ თავს. ბედმა მე მძიმე  
ხვედრი მარგუნა — ვიყო ერთი ჩვეულებრივი ადამიანი. რა გინდ დიდმა სატან-  
ჯველმა არ უნდა შემიპყროს, რავინდ ბალიშში სახეჩარგული ცრემლად არ  
უნდა ვიღვრებოდე, მაინც ძალმიძს თავს მოვერიო, ერთ კვირაში, ერთ თვეში ან  
ცოტა გვიან კარადაში კაბებს გადავქექავ, ამოვირჩევ ერთს, — რა თქმა უნდა,  
იმას არა, რამონმა რომ გამხადა, — ასევე ამოვირჩევ კაბის შესაფერის სამკაუ-  
ლებს, ფანქარს გადავისვამ ტუჩებზე — ო, რამონი რომ... რამონი რომ... — შე-  
ვამოწმებ, ჩანთაში თუ დევს გასაღები, უბის წიგნაკი და სიგარეტი, სარკეში კი-  
დე ერთხელ შევისწორებ თმას და საკუთარი გარეგნობით კმაყოფილი უგოს  
მივაკითხავ კაბინეტში. ოდნავ შევახებ ტუჩებს ლოყაზე, ის კი მეტყვის, მიხა-  
რია, უკეთ რომ ხარო. მერე მე ვკითხავ: შეიძლება მანქანა წავიყვანო? წაიყვა-  
ნო, მეტყვის და მოახლეც ხალისით გაიქცევა გარაჟის კარის გასაღებად. მეც  
ჩავჯდები მანქანაში, გადავატრიალებ გასაღებს და როცა გავიგონებ ძრავის გუ-  
გუნს, მაშინვე ჩავაგდებ პირველ სიჩქარეში, ნელ-ნელა მივუშვებ აქსელერა-  
ტორს, უცნაური ფოლადისებური შუქი მიეფინება ქუჩას, ოფორტის კედლები-  
ვით ზოლებად დასერილ ღობეებს, წვეროწამახულ უძრავად მდგარ ხეებს და  
გავუყვები რამბლას. დავუშვებ მინას, ქარი შემომაფრინდება სახეში და სწორედ  
ეს ქარი მაგრძნობინებს, რომ ვერავითარი კოსმეტიკა ვერ უშველის ჩემს სახე-  
ზე გაბნეულ ნაოჭებსა და თვალების გარშემო დაკიდულ წრეებს. მაგრამ სიმ-  
შიდეს მაინც არ დავკარგავ, გავიღიმებ კიდევ, თუმცა ეს დიმილი უადგილო  
და ყალბი იქნება. მიუხედავად ყველაფრისა უნდა ვიცხოვრო, ვიარსებო, ამი-  
ტომ მომიწევს ცხრაკლიტულში საგულდაგულოდ გამოვამწყვდიო საკუთარი  
რისხვა — თუმცა გამოშწყვდევას არ იმსახურებს — და შიშიც... დავიწყებით კი  
ვერასოდეს დავივიწყებ თუნდაც რამბლაზე მაშინდელ მგზავრობას. შიში არ  
უნდა შევიმჩნიო... იმიტომ რომ დაღუპული ქალი ვარ. კო, დაღუპული ქალი  
ვარ აი ახლაც, ამ საწოლში, ბალიშში სახეჩარგული და აზლუქუნებული, და  
იმ დღესაც დაღუპული ვიქნები თუნდაც კრემით სახეგათხიპნილი და ფორებ-  
ამოვსებული. შიში არ უნდა შევიმჩნიო, უნდა დავმალო, და რაც შეიძლება ჩქა-  
რა, იმიტომ რომ დაღუპული, მარტოსული ქალი ვარ, ნაღველი სადღაც ქვემო-  
დან წამოვა — როგორც ახლა მოდის — წამოვა და პირდაპირ თავში დამეტაკე-  
ბა. ქარიც სახეში შემომაფრინდება და, ცხადია, ნაოჭიც ბლომად მექნება, რაც  
არის ახლა და რაც კიდევ დაემატება. ამ ყველაფერს შეიძლება მეტნაკლებად  
გავუძლო. მაგრამ „ლა გოლეტასთან“ ჩავლა კი ნამდვილად გამიჭირდება, რად-  
გან „ლა გოლეტაში“ იმან წამიყვანა. შენ წამიყვანე, ო, სულელი. იქ შენ მით-



ხარი: ვიცი, ველურობაა. მაგრამ მიყვარხარო. შიში უნდა დავმალო, მაგრამ რომ ვერ დავმალო? „ლა გოლეტასთან“ ჩასვლისას რომ თავი ვერ შევიკავო, ავზღუქუნდე და აი ახლა რომ ციებიანივით ვცახცახებ, მაშინაც ავცახცახდე? ხომ შეიძლება გონებაც დავკარგო, საჭეზე თავი დამივარდეს, ხარენა ჩაირთოს და მისი ხმა დიდხანს ისმოდეს როგორც ამო ძახილი უდაბნოსა შინა?!

— ტყუილად მოიქცა ასე.

კედელს მიყრდნობილი გლორია კასელი სიგარეტს ქაჩავდა და ფართოდ თვალებგახელილი დასცქეროდა საწოლზე გაშხლართულ მამაკაცს. შარვაღ-შეხსნილ, პერანგამოჩაჩულ კაცს ფლოსტიანი ცალი ფეხი საწოლზე ედო, მეორე — შავწინდიანი საწოლიდან გადმოკიდებოდა. გლორიას ეს უწესრიგობა როდი უკვირდა, უბრალოდ, პირველად ხედავდა ამ კაცს ასე მოჩვენარულს, მწუხარებით დამძიმებულსა და სახედაღრუჯილს.

— ვიცი რატომაც მოიქცა ასე.

ედმუნდო ბუდინიომ ხელი ჩაიქნია. ამ მოძრაობაში იგრძნობოდა მორჩილებაც და დაღლილობაც. მაგრამ ხმაში კი ცრემლი არ ერია. თმააჩეჩილსა და უჭალსტუხოს ჩახსნილი პერანგიდან დანაოჭებული, მოჩვენარული მკერდი უჩანდა, თვალებში სხივი ჩაქრობოდა, ყვრიმალეებზე ნაცრისფერი მოსდებოდა. გლორიამ მხოლოდ ახლა დაინახა, რომ „ბებერი“ მართლა ბებერი ყოფილა.

— მე რომ არ მოვეკალი, იმიტომ მოიქცა ასე, მე არ მომკლა, იმიტომ მოიკლა თითონ თავი.

მხოლოდ ბებერი ლაპარაკობდა. გლორიას დიდი ხანია აწვალებს სათქმელი, რამდენჯერაც დააპირა თქმა, იმდენჯერ გადაიფიქრა. ირგვლივ ყველაფერი ყალბი და თვალთმაქცური ეჩვენებოდა. არადა, როგორ უნდა გულახდილად თქვას ყველაფერი, სიმართლე თქვას — უღმობელი, მაგრამ მაინც სიმართლე!

— ჩემს კაბინეტში იმიტომ არ მოსულა, რომ შეათე სართულიდან გადა-მხტარიყო. ჩემი ნახვა უნდოდა, იმიტომაც მოვიდა.

— შეიძლება ასეც იყო.

— ასეც უთხრა ხავიერს.

— იქნებ არც უთხრა და ხავიერმა მოიგონა.

— არა. ის ჩემს მოსაკლავად მოვიდა. ო, რა კარგი იქნებოდა...

— შენა გგონია ასე... შენ გინდა, რომ ასე იყოს.

— რევოლვერი მაგიდაზე დატოვა კარისკენ, ე. ი. ჩემკენ დამიზნებული... იარაღი არასოდეს დაჰქონდა თან... თითქოს ყველაფერს ვხედავ: ჯერ ორჭოფობდა, მერე ველარ გაუძლო და...

— არა მგონია, თავისმოკვლაზე უფრო ძნელი იყოს სხვისი მოკვლა.

— რამონისთვის ძნელი იყო, რამონი კეთილი ბიჭი იყო...

— არ ვიცი. კეთილი რომ ყოფილიყო, შენს გარდაქმნას ეცდებოდა.

— ეგ არც ისე ადვილი საქმეა. ქვის ნატეხი ვარ. ვერც შენ შეძელი ჩემი გარდაქმნა.

— მე კეთილი არა ვარ.

გლორიამ განა არ იცოდა, რომ წესით, ახლა უნდა მისულიყო კაცთან, თავზე ხელი გადაესვა ან პატარა თანაგრძნობა მაინც გამოეხატა, მაგრამ ვერ შეძლო. მის სულშიც ჩაწყდა რაღაც და ამ ჩაწყვეტამ საკუთარი თავი აპოვნინა, როგორმე უნდა დაუსხლტდეს ამ აუხსნელ მღვთმარეობას, უნდა აჩქარდეს. აქამ-



დე საკუთარ თავს ჯაბნიდა, საკუთარ გულში იკლავდა ყველაფერს — ასე ჰქონდა ნასწავლი — მაგრამ ახლა მორჩა, გათავდა... უნდა დაივიწყოს რაც ნასწავლი აქვს. მორჩა, გათავდა... რამდენიმე წლის წინ, როცა ედმუნდო ბუდინიომ საყვარლობა შესთავაზა, გლორია მ უკვე მაშინვე ჩაიკლა სირცხვილი — შიშის-  
 ილტაცება, მერე და მერე გამოკვეთილი გულაცრუებაც ჩაიკლა და საპასუხო გრძნობა რომ არ გააჩნდა, ისიც ჩაიკლა. ბუდინიოსთან სასიყვარულო ურთიერთობას პირველ ხანებში კინოფილმებში ნანახს ამსგავსებდა, მაგრამ შემდეგ მერე მიხვდა, რომ მისი საფილმო თავგადასავალი ბანალურ საიდუმლო კავშირად, დამაღობანას თამაშად, სიბინძურედ და გარყვნილებად იქცა. და რომ მიხვდა, ესეც არ გაამხილა, საკუთარ თავშივე ჩაიძარხა და ჩაიკლა, როცა მისმა ამ ერთადერთმა მამაკაცმა ნილაბი აიხსნა, ამ მამაკაცმა ასწავლა მას ყველაფერი, ტანჯვაც და სიხარულიც; ამ მამაკაცმა დაასვა ღუმლის ბეჭედი მის მელანქოლიას. ამ სასტიკი, ეგოისტის, უცხო მამაკაცისთვის გლორია მხოლოდ ტკობისა და გართობის საგანს წარმოადგენდა, ახლა კი ეს მამაკაცი ბედავს და ურცხვად აცხადებს: ვერც შენ შეძელი ჩემი გარდაქმნაო. მორჩა, გათავდა! გლორია ამჯერად აღარ ეცდება გრძნობებისა და სათქმელის ჩაკვლას, ისედაც ბევრი დაუგროვდა, შრეებდ დალაგდნენ ერთმანეთზე რაღაცნაირად ბუნდოვანნი, აუხსნელნი და ერთურთის საპირისპირონი. გლორია პირველად ხედავდა ედმუნდო ბუდინიოს — სუსტს, მიუსაფარს, დაბნეულს, პირველად ხედავდა ისეთს, როგორიც იყო სინამდვილეში: შელამაზებული სიტყვებისა და უგულო სიმკაცრის გარეშე. ამ უჩვეულო სანახაობას გლორია სათვის გული უნდა აეჩუყებინა და კაცისადმი თავისი სამუდამო ერთგულება შეეფიცა, მაგრამ... ერთი სული ჰქონდა, გაცლოდა აქაურობას, მარტო დაეტოვებინა კაცი თავის ფიქრებთან, რათა თვითონვე გადაეწყვიტა საკუთარი ბედი, თვითონვე ეშველა საკუთარი თავისთვის, თუკი საერთოდ დარჩა დრო. გლორიას გასაოცრად, დღეს ეს კაცი უჩვეულოდ მიუსაფარი და დაბნეული ჩანდა, ვერაფრით აეხსნა — მეთუ სართულიდან რატომ გადმოხტა მისი ვაჟიშვილი, ვისი სისხლიც გამომცემლობის შესასვლელთან მღვარ პოლიციელებსაც კი მიწვდა; დახეპირებულივით იმეორებდა ერთსა და იმავეს: „ტყუილად მოიქცა ასე“, და მიუხედავად ყოველივესი, სწორედ ამ კაცმა თითიც კი არ გაატოკა თავისი ბნელი საქმეებიდან ერთი პატარა საქმე მაინც რომ გამოესწორებინა, უფრო მეტიც, მთელ თავის ძალას, ენერგიას, გასაოცარ ტემპერამენტს მხოლოდ სიმდაბლის კეთებას ახმარდა და ახარჯავდა. აქამდე გლორიას არასოდეს უნანია, რომ თავისი ცხოვრება „დიდ არამზადას“ დაუკავშირა. რაც არ უნდა იყოს, მას ყველა იცნობდა, გამოჩენილი, თავისებური პიროვნება იყო, ძლიერი ამა ქვეყნისა, მაგრამ როცა ეს „დიდი არამზადა“ უცბად მოკაკულ, დაბეჩავებულ, უმწეო მოხუცად იქცა. ცხადია, გლორია ზიზღით აივსო და იმის ნაცვლად, რომ ეფიქრა, შვილის თვითმკვლელობამ რომ ააღელვა, მამასადამე, მთლად უგრძნობი წყალწაღებული ურჩხული არ ყოფილაო, — გაიფიქრა: „საზიზღარი“. გაიფიქრა: „რა სიმდაბლეა“. გლორია გრძნობდა, ახლა მას აქ არაფერი ესაქმებოდა, უნდა წავიდეს, ახლავე წავიდეს მარტო უნდა დატოვოს აი ეს საწოლზე გაშხლართული და შერეკილივით მოხუტბუტე კაცი: „ტყუილად მოიქცა ასე“.

- ტყუილად მოიქცა ასე.
- კარგი, გეყოფა. აღექი.
- ტყუილად მოიქცა ასე.
- თუ ღმერთი გწამს, გაჩუმდი, გეყოფა...



- რატომ არ მომკლა?
- ალბათ ისიც ფიქრობდა, რომ ტყუილად მოიქცეოდა ასე.
- მე კი ის მიყვარდა, გესმის? როგორ ვერ იგრძნო, როგორ ვერ მიხვდა რომ მიყვარდა?

- ძნელი მისახვედრი იყო.  
 - პატარაობაში სიბნელისა ეშინოდა და დამლამობით ყვიროდა ხოლმე. მაშინვე შევიდოდი მის ოთახში, შუქს ეანთებდი და ისიც მშვიდდებოდა.

- ყველას გვეშინია სიბნელისა, მაგრამ თავს არ ვიკლავთ.
- იმასაც ვუყვარდი, გესმის? ვუყვარდი. ვიცი, მისთვის მფარველი ვიყავი. მაგრამ ერთხელ, როცა უკვე წამოიზარდა, უცებ ვიგრძენი ალარ ვუყვარდი. და თანაც მივხვდი, რომ ეს სიძულვილი ახალი არ იყო.

- სიძულვილი არასოდეს არ არის ახალი. სიძულვილი ჩანასახიდანვე ბველია და გაცვეთილი.

კაცს შავი წინდა გაძვრა ფეხიდან. ლაპარაკისას ტუჩებს მანჭავდა, თულებს აპარპალებდა. გლორია მსაათს დახედა ეშინოდა, დრო ხელიდან არ გასხლტომოდა, ცხოვრებაში კვლავ დაბრუნების შანსს გვერდით არ ჩაექროლა მატარებელივით ან ავტობუსივით. თუ ეს შესაძლებლობა გაუშვა ხელიდან, მაშინ ველარაფერი უშველის, შერჩება ამ ენაბლუ, უმწეო ბერიკაცს, შერჩება წინანდებურად ამ ეგოისტ და გულქვა კაცს, ოღონდ წინანდებურად ძლიერს - ალარ. იფ, რა კარგია, ორმოცდაათი წლის მერე მოუნდა ცოდვების მონანიება! სამოციისა და მეტი ხნისამ უკვე უნდა იცოდე მტკიცედ, ვინ იყავი და ვინა ხარ ახლა. ყოფილმა წამხდარმა კაცმა უცებ წესიერება მოინდომა.

- დედის გამო ხომ არ მოიქცა ასე?
- დედაზე ნუ მელაპარაკები.

გლორიას ესლა აკლდა, ედმუნდო ბუდინიო თავის ცოლზე ელაპარაკოს, იმ ქალზე ელაპარაკოს, ვისაც გლორია ამჯობინა, ვინც არად ჩააგდო. როგორ არ ესმის ამ კაცს, მისი შვილი გადმოხტა მეათე სართულიდან, თორემ გლორია კი არა! გლორია ცოცხალია, ე.ი. გლორიას სიცოცხლე სწყურია და კიდევ ეცდება იცოცხლოს. ოღონდ უნდა აჩქარდეს. ღმერთი ისე როგორ გაწირავს, თავის ტოლ მამაკაცს არ შეხვდეს, არ დაივიწყოს აი ეს საწოლზე გაშხლართული კაცი, მისი მომჩვენარული სხეული, ნაცრისფერი ყვრიმალები, გამძვრალი წინდა, შეხსნილი შარვალი, გულისამრევი მოშაშვლებული მუცელი, მოკუმული ტუჩები და აკვიატებული სიტყვები.

- ტყუილად მოიქცა ასე.
- გაჩუმდი.
- არა, უნდა ველაპარაკო, თორემ გავვიყვები.
- გაჩუმდი.
- მოკვლა - მესმის, მაგრამ თვითმკვლელობა - არა.
- გაჩუმდი-მეთქი.
- დავინახე, თავი სისხლის გუბეში ედო. რედაქციაში რომ მივედი, სამი წუთის გადმომხტარი იყო.
- ეგ უკვე მითხარი.

- სისხლზე არ მითქვამს. როცა მივედი, ქვაფენილზე ნაპრალებში კიდევ მიედინებოდა მდორედ წითელი ნაკადი. სულ ახალი გადმომხტარი რომ იყო, ეტყობოდა, სისხლი კვლავ მიიკლაკნებოდა ნაპრალში, წარმოგიდგენია?

- მერე რა?



— მერე ის რომ, ათი წუთით ადრე რომ მივსულიყავი, ეს არ მოხდებოდა.

— მაგრამ არ მიხვედი და ესეც მოხდა.

— ქვაფენილზე დაგდებული რომ ვნახე, მხოლოდ მაშინ შევამჩნიე, თმა ისეთივე ფერისა ჰქონდა, როგორც ბავშვობაში, როცა დამღამობით სიბნელი-სა ეწინოდა, როცა მძინარეს საბანს ვაფარებდი. აქამდე ეს არ შემომჩნევია. ათი წლისას სწორედ გადავარცხნილი თმა უყვარდა, დედა კი...

— ნუ მელაპარაკები-მეთქი დედაზე.

— დედა ხელით ტალღებად უწყობდა თმას, ის კი ბრაზობდა. დატალღული თმა შერჩა ბოლომდე. ქვაფენილზე დაგდებული რომ ვნახე, შევამჩნიე, თმა ისეთივე ფერისა ჰქონდა... თმაზე არაფერს ისევამდა, არც ბრიოლინს, არც პომადას, არაფერს, მხოლოდ წყლით ისველებდა. წყალი რომ შეაშრებოდა, ოდნავ წითური ფერი დაჰკრავდა ხოლმე...

— ადექი.

— ამას წინათ მოვიდა და მითხრა, შენ და მოლინას ბინძური საქმეები გაქვთ წამოწყებულიო...

— მართალიც იყო.

— რა თქმა უნდა. შენ და მოლინას ბინძური საქმეები გაქვთ წამოწყებული და ერთმა ჟურნალისტმა თქვენი გამოაშკარაება გადაწყვიტაო. ეს ჟურნალისტი ღარაღდე იყო. მან მართლაც დაწერა რაღაც ამდაგვარი, მეც ავდექი და სამსახურიდან დავითხოვე. არც არაფერი მომხდარა. შენ და მოლინას ბინძური საქმეები გაქვთ წამოწყებულიო, მითხრა მან. შესაძლოა სწორედ იმ წუთს გავუშვი ხელიდან ერთადერთი შემთხვევა. იქნებ რომ დამეთმო...

— მაგრამ შენ არ დაუთმე.

— პირში მივახალე ყველაფერი. სააგენტოსთვის მიცემული ფულიც წამოვაყვედრე და ცხადია, სწორედ მაშინ მოვუკალი გული.

— გაჩუმდი.

— და მაინც ტყუილად მოიქცა ასე.

— გაჩუმდი.

— ის სხვა სამყაროზე ოცნებობდა, სხვა ყაიდის ცხოვრებაზე. ვიცი მე ეს. იხრჩობოდა, არ ვუყვარდი, არც ჩემი კლასი უყვარდა, არც ჩემი თაობა, არც ჩემი ფული. მაგრამ გამბედაობა არ ჰყოფნიდა, ზურგი ექცია ყოველივე ამისთვის. განა მე ის არ მიყვარდა? როგორ ფიქრობ, არ მიყვარდა?

— არ ვიყვარდა. ახლა ეს იოლია სათქმელად.

— ალბათ არ დამიჯერებ, მის მიმართ მთელი ჩემი წინააღმდეგობები პროვოკაცია იყო და მეტი არაფერი. მინდოდა შენახა, რას იზამდა, გახდებოდა თუ არა ის, რაც იყო სინამდვილეში. ეყოფოდა ძალა, აღესრულებინა ის, რაც სინამდვილეში სურდა. არ გჯერა, ხომ?

— არ მჯერა. პირდაპირ გეტყვი: ვერც იმაში დამაჯერებ, თითქოს სამაგალითო მამა იყავი.

— შენი ნებაა. უნდა ვადიარო, მეორე შვილი უგო ისე ძალიან არც მალეღვებს.

— ალბათ იმიტომ რომ ჯერ არ მოუკლავს თავი.

— გლორია, რა მოგდის?

კაცმა თავი წამოსწია რათა თვალებში შეეხედა ქალისათვის. გლორიამ შეამჩნია, ბუდინიო ათი წლით დაბერებულიყო, მაგრამ რამონის სიკვდილის გამო კი არა, უბრალოდ, ბოლო ათ წელიწადში ათი წლით დაბერებულიყო. ქალი წინათ ამას ვერ ამჩნევდა, ახლა შეამჩნია. ნუთუ ამ მოხუცს, ამ საზარელ



მოხუცს დაუკავშირა თავისი ცხოვრება, მოხუცს, ვისაც შვილის დაღუპვიდან სულ რამდენიმე დღის შემდეგ ჰყოფნის ცინიზმი, თავის გასამართლებლად გაითამაშოს გულისამაჩუყებელი სპექტაკლი მამობრივი სიყვარულისა, რომელიც რატომღაც ვერ გაუგეს. ეშმაკს წაუღია მაგისი თავი..



— გლორია, რა მოგდის?

— ყელში ამომივიდა...

კაცმა არც ჰკითხა, სახელდობრ, რა ამოგივიდაო, ბაბუნი ქველახუ ბალიშზე დადო, გადაღვლილ პერანგში ხელი შეაცურა და მკერდის ფხანას მოჰყვა. ქალი კამოდთან მივიდა, რათა ვენეციური შუშის საფერფლეში სიგარეტი ჩაექრო.

— იმის თქმა გინდა, რომ მიდიხარ?

— სწორედ ეგრუა.

— შენი აზრით, შენი გადაწყვეტილების აღსასრულებლად შესაფერისი დრო სწორედ ახლა მონახე, ხომ?

— სულაც არ ვაპირებ ჩემს გადაწყვეტილებაზე კამათს. მიმიფურთხებია ამისთვის, შესაფერისია თუ შეუფერებელი ეს დრო. უბრალოდ, მივდივარ.

— ასეთ დროს მიდიხარ, როცა ყველაზე მეტად მჭირდება?

— შენ არავინ გჭირდება, შენ მხოლოდ ედმუნდო ბუდინიო გჭირდება. და გყავს კიდეც მაგერ.

კაცი ახლა ორივე ხელით მოჰყვა მკერდის ფხანას, ტუჩებს ისე მანჭავდა, პირის კუთხეებში ორი ღრმა ნაოჭი დააჩნდა. გლორია მთავალი აარიდა.

— ვირთხები გარბიან გემიდან, ხომ?

გლორიას უცბად თავისი სტუდენტობის ამხანაგი ხირალდი გაახსენდა. ენაკვიმატი ბიჭი იყო, ცნობილი გამოთქმებისა და ფრაზების გადაკეთება უყვარდა. „გემები ტოვებენ ვირთხას“. წამით ოთახში სიჩუმე ჩამოვარდა. ედმუნდო ბუდინიო ქალს თვალს არ აშორებდა, თითქოს მისი ფიქრების წაკითხვა სურსო, ქალი იღიმებოდა და ბუდინიოც, რა თქმა უნდა, მიხვდა, რომ გლორია თავის ფიქრებს უღიმოდა.

— რამონის სიკვდილი დიდი უბედურება იყო ჩემთვის. არ გჯერა?

— მჯერა.

— მერე, შენთვის ეს არაფერს ნიშნავს?

— არა.

ბუდინიომ ღრმად ამოიოხრა. ფხანა შეწყვიტა. ერთი ხელი კვლავ უღონოდ ესვენა თემოს გასწვრივ, მეორე — მუცელზე. გუშინდლამდე გლორიას სჯეროდა, რომ რამონის თვითმკვლელობა მამამისისთვის მართლაც დიდი უბედურება იყო, მაგრამ დღეს დილით გაზეთი რომ გაშალა და სარედაქციო სტატია წაიკითხა, საეჭვო აღარაფერი დარჩა: ბუდინიოს სტატია კვლავ შხამითა და სიძულვილით იყო აღსავსე. დიახ, შესაძლოა, შვილის სიკვდილი დიდი უბედურება იყო მისთვის — თუმცა ვერ შეატყობდი — მაგრამ კვლავ ძველ გზას მიჰყვება, კვლავ ერთი მიზანი დაუსახავს — შიში, გახრწნა, დაშლა. სულ რაღაც ათი წუთის წინ ბუდინიო გულახდილ კაცს ჰგავდა, თუკი შეუძლია, საერთოდ, ედმუნდო ბუდინიო გულახდილი იყოს! მაგრამ გლორიასათვის ცხადზე უცხადესია: ბუდინიო ამ მძიმე მდგომარეობიდანაც კი საკუთარი სარგებლის ამოღებას ცდილობდა. სასოწარკვეთილი გამომეტყველებაც კი მოგონილი და ყალბი ჰქონდა. და საერთოდ, მთელი მისი გარეგნობა გლორიას უცნაურიც კი ეჩვენებოდა. საზიზღარია, უსინდისოა, უძლურია... შიშს აღარ გგვრის... აღარ



ვეშინია მისი. გლორია როგორც იქნა, მიხვდა: ედმუნდო ბუდინიო შიშს აღარ აწვევდა.

— ამაოა...

— რა არის ამაო? შენმა შეილმა რომ თავი მოიკლა? მე რომ გტლვებ? რა არის-მეთქი ამაო, თქვი, ბოლოს და ბოლოს.

— ყველაფერი ამაოა. დამპალ ქვეყანაში ვცხოვრობთ. ვერავინ ბედავს ჩემს მოკვლას. დაიძახსოვრე ჩემი სიტყვები. თუ როდისმე ვინმე მომკვლავს, მითხრე იმედია, ამ ქვეყანას რამე ეშველოს. დიდი იმედი არა, მაგრამ მაინც იმედი. და თუკი პირიქით მოხდა, თუკი საკუთარ საწოლში მშვიდი ძილი მომიწევს სიკვდილის მოლოდინში ჩემს გამობენტერებულ ექიმთან, ქარაფშუტა შეილთან, ლამაზმან რძლებთან, ტვინიკოს შვილიშვილთან და ჩემს მოძავალ თვალეგაბრწყინებულ მემკვიდრეებთან ერთად, თუკი მოულოდნელად მეწვევა სიკვდილი ტვინის ინსულტისა თუ გულის ინფარქტის სახით, — ეს უკვე იმის მაუწყებელი იქნება, რომ ქვეყნის საქმე ვერ არის კარგად, რომ მან სამუდამოდ დაკარგა რეაგირების უნარი.

ახლა გლორია უკვე მტკიცედა დარწმუნებული, რომ ედმუნდო ბუდინიო შიშს აღარ ჰგვრის, უფრო მეტიც, თვითონ ვეშინია, თუმცა არ ამბობს, არც არასდროს იტყვის. სიტყვათა მარაგი იგივე აქვს, რაც ყოველთვის ჰქონდა სარედაქციო სტატიებშიც და საუბრისასაც. მაგრამ წინათ მათში ძალა იგრძნობოდა, ყოვლისწამლეკი ძალა, ახლა კი ეს ძალა სადღაც გამქრალიყო, ახლა ეს სიტყვები ცარიელი რახარუხი იყო და სხვა არაფერი, საბრალო რამონი, ალბათ სიმხდალის გამო მოიკლა თავი. მეათე სართულიდან იმიტომაც გადავარდა, მაშა არ მოეკლა. მაგრამ შური მაინც იძია, ედმუნდო ბუდინიო თუმც უვნებელი დარჩა, რამონის ვერაღსრულებულმა მუქარამ სხვათა მუქარა წარმოშვა. გმადლობთ ცეცხლისათვის.

— გახსოვს ის დღე ეროვნულ სალონში? მერე „ტუპი“-ში? გახსოვს, როგორ მითხარი: „მე ისეთი ბედნიერი ვარ, პროფესორო“-ო?

გლორიას არც შეეძლო და არც სურდა ეპასუხა. არ შეეძლო და არც სურდა ამ უსირცხვილო შეკითხვების გაგონება. რა საჭიროა ეს იაფასიანი სენტიმენტალობა და შანტაჟი? როგორ არ ესმის ამ ბებერ თვალთმაქცს, რომ იმ შორეულ დღეთა გახსენებაზე გლორია ლამის სირცხვილით დაიწვას?! როგორ არ ესმის, რომ ის სიყვარული კი არა, უბრალოდ, სიახლე და სქესობრივი ლტოლვა იყო, შემდეგ — ლტოლვა და შეჩვევა, და ბოლოს კი მხოლოდ შეჩვევა?

— გახსოვს რომ გითხარი: რა ლამაზი მხრები გაქვთ, ალბათ რა სასიამოვნოა, დაღლილმა მათზე ჩამოსდო ხელები-მეთქი?

ლამაზი, სადღაა ლამაზი. ახლა კანიც უფრო დაუბერდა, ვიდრე ორმოცი წლის ქალს უნდა ჰქონდეს. ჭორფლმაც დააყარა მხრებზე, გლორია დაიღალა. ლოდინის დრო აღარა აქვს, და თუმცა მხრებზე ჭორფლმა დააყარა და კანიც უფრო დაუბერდა, ვიდრე ორმოცი წლის ქალს შეეფერება, მაინც სწყურია ვინმე მამაკაცმა — ამ მოხუცმა არა, დმერთმა დაიფაროს — ეს მხრები მხოლოდ დაღლილი ხელების ჩამოსადებად და ბრტყელ-ბრტყელი ქათინაურებისთვის კი არა, ალერსისათვის შეიყვაროს და არა მარტო მხრები, გლორიას სული და ხორციც შეიყვაროს არა როგორც საგანი და არა როგორც ავეჯი. ჰო, სხვა ვინმე მამაკაცი და არა ეს მოხუცი, რომელიც ირწმუნება, ვოცნებობ, ვინმემ მომკლასო, სინამდვილეში კი შიშით ლამის სული წაუვიდეს! გლორიას ამ მოხუცის ხელი კი არა, ერთა



წვეულებრივი მამაკაცის ხელი სწყურია, იმ მამაკაცისა, თავი რომ უცოდველად და ძლიერად არ მიაჩნია. გლორიას სწყურია მამაკაცი და არა ეს მოხუცი, რომელიც მხოლოდ ფულსა და ბიროტებს ფლობს.

— ტყუილად მოიქცა ასე. მე მიყვარდა რამონი, ნუთუ არ იცო, რომ მიყვარდა? სიბნელისა ეშინოდა და ისეთი მადლიერებით შემომცქეროდა, როცა მის ოთახში შევიდოდი... ერთხელ ათი კოლოფი კალის ჯარისკაცები ვუყიდვარა გაოცება ეხატა სახეზე! არა, ამას ვერასოდეს დავივიწყებ. იცო, რატომ არ მომკლა? იმიტომ რომ, სადღაც სულის სიდრმეში ჯერ ისევ ვუყვარდი. ვჭირდებოდი. ის ჩემი შვილი იყო... დავინახე, სისხლის გუბეში ედო თავი...

ედმუნდო ბუდინიომ გვერდი მოინაცვლა და სახე ბაღიშში ჩარგო. გლორია არ უჯერებდა საკუთარ თვალებს, კაცი მთელი სხეულით ძაგძაგებდა, მგონი, ქვითინებდა. იქნებ მართლა ქვითინებს? მივიდეს, ნახოს? გლორია ნაბიჯს არ ღვამს. თუ მართლა ქვითინებს, უკვე დაგვიანებულია სინანული. უძღური მოხუცის, საზიზღარი კაცის ქვითინია ეს ქვითინი. თუ თვალთმაქცობს, ვიღას ჭირდება მისი შეურაცხყოფელი და ზიზღისმომგვრელი თვალთმაქცობა? სულ ერთი წამით გლორიას გულსრევის შეგრძნებამ წამოუარა, რაღაცა გაეხირო ყელში, მაგრამ სწრაფად გაძოერკვა. კედლის კარადა გამოაღო და მაშინვე მიხურა: „ამ კარადიდან არაფერი მე არ მჭირდება“. გლორია ნელა გავიდა ოთახიდან...

სასტუმრო ოთახში ხელჩანთა აიღო, საკიდიდან ლაბადა ჩამოხსნა და ჩაიცვა, საძინებლისკენ ირც გაუხედავს. ჩქარა, რაც შეიძლება ჩქარა... სადარბაზო კარი გააღო, ლამის იყვიროს, მაგრამ თავს იკავებს. რაღაც წამით მამაკაცის ქვითინი შეავსებს სიჩუმეს.

მერე ხმაურით მიჯახუნდება კარი.





## ფრიტიოფის საგა

თარგმნა ედვარ კერძევაძემ



მკითხველს ვთავაზობთ მე-19 საუკუნის დიდი შვედი პოეტის მსიას ტეგნერის „ფრიტიოფის საგას“ პირველ ოთხ სიმღერას, რომლის თარგმნაც მოახწრო წვენგან ნაადრევად წასულმა პოეტმა ედვარ კერძევაძემ. „ფრიტიოფის საგას“ საფუძვლად უდევს ძველი ისლანდიური საგა, სადაც მოთხრობილია ლეგენდარული ამბები. საგა თავიდან ბოლომდე შეფერილია ვიკინგების ეპოქის კოლორიტით. აქ შესანიშნავადაა გადმოცემული ძველი სკანდინავიური სამყაროს ატმოსფერო.

### პირველი სიმღერა

#### ინგებორგი და ფრიტიოფი

იყო ჰილდინგი, — მოხუცი ბრძენი,  
ორ ყლორტს უვლიდა გამრჯე და ქველი.  
ოდეს სიცოცხლე ივსება ძალით, —  
მშვენიერებაც სწორედ ეგ არი.  
გამოჰყვა მუხის ჯიში და ძალა,  
ყმაწვილმა ტანი რა აიყარა,  
დააჯილდოვა ბუნებამ უხვად  
და სუსტი ყლორტი აქცია მუხად.  
ხოლო მეორე ყლორტისგან ძალე  
ვარდი საამოდ გაახელს თვალებს,  
რამეთუ ზამთარს გაუდის ყავლი  
და გაზაფხულის იხსნება კარი.  
გარნა მრავალჯერ დაჰბერავს ქარი,  
მუხაც შეხვდება ზვიადად მღგარი,  
მზე ნანატრს მაინც მოიყვანს ამინდს, —  
ვარდისფურცლობის მოდგება ფამი.  
ღამეს დღე შეცვლის და ავდარს — დარი,  
დადგება მათი სისავსის ფამი.  
ფრიტიოფია, — მუხას რომ ვადრით,  
ინგებორგი კი — კოკორი ვარდის.  
იტყოდით, — ოდეს ცეკვავენ ლხენით, —  
თითქოს ფრეიას დარბაზის ბჭენი  
განახვნეს, და იქ ყვავილთა ფრთებით  
შეყვარებულნი ფრენენო გზნებით.  
ან რას ნახავდა უკეთესს თვალი, —  
როს ფრიტიოფი მთვარიან ღამით  
ცეკვაავდა ტყეში სატრფოსთან ერთად, —  
თითქოსდა, წყვილი ცეკვაავდა ელფთა.  
ნიჭთა ფრიალთა მქონემ ბუნებით,

როცა ისწავლა კითხვა რუნების, —  
ყმაწვილურ გზნებით და ძალითა თმენით  
ასულს ასწავლა ღმერთების ენა.  
რარიგ უყვარდა მას ინგებორგთან  
ნავით მძვინვარე მდინარის კვეთა,  
ოდეს აფრებზე როკავდა ქარი,  
მათ აღტაცებას არ ჰქონდა ზღვარი.  
უშიში გახლდათ ჭაბუკი ფრიად,  
ბევრჯერ წასულა და მოუგვრია  
ინგებორგისთვის არწივის მართვე,  
ხოლო ვინ მოსთვლის ჩიტებს და  
ბარტყებს.  
ციცაბო იყო თუ დელე მარდი,  
გზას მიიკვლევდა ვით ლეოპარდი  
და არ უწყოდა შიში და დაღლა,  
რა ინგებორგი გვერდითა ჰყავდა!  
ხან ტყეს სტუმრობდნენ, ხან მწვანე  
ჭალაკს,  
უკრეფდა ქალწულს ყვავილებს ღამაზს,  
ხან ველურ ხილით უვსებდა კალთას,  
ხან მწიფე ხორბლის ჩუქნიდა თავთავს.  
არ გაგრძელდება ბავშვობა მარად  
და სიჭაბუკის ზარხოშმა ძალამ  
— უცებ აღავსო ყმაწვილი ელდით! —  
უკვე ქალწულსაც ევსება მკერდი.  
ჭაბუკი ძალას გრძნობს უნაპიროს,  
ტყეში დათვებზე მარტო ნადირობს,  
დადის უშუბოდ და უმახვილოდ



და სიმამაცით ყველას აკვირებს.  
სახლში ბრუნდება ნანადირევით,  
ხან დათვი მოაქვს და ხან ირემი,  
აი, შეაღო სახლის კარები, —  
როგორ უბრწყინავს ქალწულს თვალები!  
გაჩენის დღიდან ასეა მუდამ, —  
ლამაზ ქალს გვერდით მამაცი უნდა.  
ისე შვენიან ერთიმეორეს, —  
როგორც ჩაჩქანი შვენას მეომარს.  
ზამთარში, ოდეს ღამეა გრძელი,  
ცეცხლისპირ იჯდა ყმაწვილი ჩვენი  
და ვალგალაზე შეთხზულ სიმღერის  
კითხვაში ღამე იწვოდა ღებნიით.  
ფიქრობს ჭაბუკი: „ოქროს ფერი აქვს,  
ვით მწიფე ყანა, თმები ფრეიას.  
ინგებორგსაც მისებრ უბრწყინავს თმები,  
ერთმანეთს ჰგვანან, ვით ტყუპი დები.  
ლაჟვარდოვანი და მოკამკამე  
ზეცის ფერი აქვს ფრიგიას თვალებს,  
მაგრამ მე ვიცი თვალები, რომლის  
შუქზე მკრთალდება ნათელი ყოვლის.  
ვითარცა თოვლი ისე კრიალებს  
ჰერდას ლოყები შუქმოციალე,  
მისი სინათლის იქით ბნელდება, —  
ინგებორგს მაინც ვერ შეედრება.  
ქალწულის გული მე კარგად ვიცი, —  
ნანნას სინაზით ფეთქავს და იწვის,  
ბედნიერი ხარ შენ, ბაღდერ, მჯერა,  
რომ შენ და ნანნას გიმღერის ყველა!  
ო, არ მაშინებს წილხვედრი შენი,  
დაე, დამეცეს ინგებორგის ცრემლი,  
ოლონდ, ერთგული იყოს ვით ნანნა, —  
ჰელთან წკვარამში დავრჩები მარად!“  
ინგებორგი კი მას ფამსა შინა  
იჯდა და ქსოვდა, სიცოცხლე ღებინად  
უწნდა, ოცნებით ცას გასცქეროდა  
და იმას ქსოვდა, რასაც მღეროდა.  
შუბი და ფარი, შუქი დილისა  
მან ოქრომკედით ჩააგვირისტა,  
წითლად ელვარებს მზეზე ბალახი,  
ვერცხლისფრად — ცხენი და მუზარადი.  
როცა მოქსოვა გმირის სახებაც,  
შუბშემართულ გმირს როცა დახედა...  
ფრიტიოფია!.. ღმერთო მაღალო!  
შეკრთა და მორცხვად თავი დახარა.  
ფრიტიოფმა კი ჭაბუკურ კრძალვით  
ი. და ფ. ხეზე ამოჭრა ღანით,

რომ მათ სიყვარულს ღმერთი ფარავდეს,  
რომ ერთად იყვნენ აწ და მარადის.  
ოდეს აისი ხალისიანო  
მოდგება და მზე ოქრობთმანი  
სხივებს სხივებზე გადააკრნებს, —  
ერთმანეთის კენჭდევინა ხოლმე.  
„მიწავ, მოიდექე მწიფე მწიფეობა  
და გაზაფხულის დღეთა გალობა,  
ყველა ყვავილი ნაზი და წმინდა  
ფრიტიოფისთვის საჩუქრად მიხდა!“  
„ზღვაო, გახსენ და გააღიალე  
მარგალიტებით სავსე წიაღი  
და საუნჯენი მოილე შენი,  
რომ დავუმშვენო ინგებორგს ყელი“.  
„მზეო, ოდინის ტახტის აღმასო,  
მზეო, სამყაროს თვალო ღამაზო,  
ეგ შენი დისკო, კამკამა მარად,  
დაშვენდებოდა ფრიტიოფს ფარად.“  
„მთვარევ, ღამეულ ცათა მფლობელო,  
ოდინის სახლის მანათობელო,  
დაამშვენებდი ქალწულის ბინას,  
შენ კი ღრუბლების საწოლში გმინავს.“  
ყმაწვილს ეტყოდა ჰილდინგი ბრძენი:  
„ეგ არჩევანი არ მომწონს თქვენი!  
მეტი სიღინჯე და ჭკუა გმართებთ,  
სად კუნგის შვილი და აბა სად თქვენ?  
შთამომავალი ზვიადი მოდგმის,  
თვით აღფადერის სისხლი და ხორცი.  
თქვენ ბონდის შვილი ბრძანდებით  
მხოლოდ,  
დაფიქრდით, თორემ ინანებთ ბოლოს!“  
ფრიტიოფი კი სიცოცხლით ამბობს:  
„ინგებორგი ღმერთმა მხოლოდ მე მარგო  
ჩემს გვარს არაფრის არა აქვს შიში,  
შვილი ვარ ჩემი ამაყი ჯიშის.  
თავისუფლება გვიყვარდა, ოდით  
ოდენ საკუთარ თავს ვეყუდვნიოდით,  
ხელთ გვეპყრა მუდამ ჩვენივე ბედი,  
ბედნიერებას მახვილით ვჭედდით.  
და მოვიპოვეთ სახელი ბრძოლით,  
პეპერა ჩვენი — ტრუდვანგში — ტორი  
ვაეკაცს აფასებს გულით და ძალით,  
ბასრი მახვილით და არა გვარით.  
და თუ დამიშლის განზრახვას ტორიც, —  
მასაც შევასმენ, რაც ძალმიძს ბრძოლით,  
ინგებორგი კი ჩემი იქნება,  
ვაი, მას, — ვინაც წინ აღმიდგება!“



## მეორე სიმღერა

## კოაუნგი ბელე და ტორსტენ ვიკინგსონი

კონუნგი ბელე დგას დარბაზში

შუბს დაყრდნობილი,

ტორსტენ ვიკინგსონ გვერდით უდგას, —

სიყრმის ძმობილი.

როგორც რუნული წარწერები საფლავის ლოდებს, —

ნაიარევი აჩნევიათ შუბლსა და ლოყებს.

მრავალი ბრძოლა და სისხლისღვრა გარდახდათ ერთად,

ბომონებს ჰგვანან მოხუცები, გარდასულ დღეთა

ცეცხლი და ფერფლი დასტყობია მათ ლომურ ქედებს,

ზედ აწერიათ, რაც მიაგო მწერალმა ბედის.

ოხვრით თქვა ბელემ: „გული აღარ იკარებს იმედს,

გამწარდა ტკბილი, მუხარადიც, ვგრძნობ, გახდა მძიმე,

მოაკლდა შუქი და სიცოცხლის ნიშატი თვალებს,

ვალგალას შუქი ახლოვდება, — მოვკვდები მალე.

ჩვენი შვილები სადაცაა შემოვლენ ჩვენთან,

მინდა ანდერძად დაუტოვო, — დე, მუდამ ერთად

იყვნენ და ისე იმეგობრონ, ვითარცა მართებს

ჩვენს მეგობრობას, ანუ როგორც არწივთა მართვეთ!“

და შემოვიდნენ რიგ-რიგობით შვილები მათი, —

პირველი ჰელგე მოაბიჯებს კუშტი და მკაცრი,

იგი მოგვებთან დროს ატარებს მუხნარში ხშირად,

სისხლი ხელებზე შეხმობილი ამხელს მის ჯილაგს.

მერმე ჰალვდანი შემოვიდა თვალებმზიანი,

სახის ნაკეთები ნაზი აქვს და ხალისიანი,

ფარ-შუბი ჭაბუკს მიაჩნია მოცალეობად,

ქალწულს უფრო ჰგავს ტანკენარი, ვიდრე მეომარს.

შვენის სიღინჯე ფრიტიოფის სახეს და იერს,

ჭაბუკს ცისფერი მოსასხამი უხდება ძლიერ,

და ვით შუადღე დილასა და საღამოს შორის, —

შუაში ჩადგა მათი ძმობის ტოლი და სწორი.

წარმოსთქვა კუნგმა: „შვილნო ჩემნო! დღეს არა ხვალე

თქვენ უნდა მართოთ სახელმწიფო, მოვკვდები მალე.

ყური დამიგდეთ, კარგ მთქმელს კარგი გამგონე უნდა, —

თანხმობითა და სიყვარულით იცხოვრეთ მუდამ.

დე, დაიფაროს ხალხი თქვენი სიკეთის ძალამ,

რომ სიყვარული და მშვიდობა სუფევდეს მარად.

მტერს მტრულად დახვდით, ქვეყანა კი სიკეთით მართეთ,

რომ ვერასოდეს მოერიოს წკვარამი ნათელს.

უჭკუო არის, თუ კონუნგი თავის ხალხს სტანჯავს,

არაფრად ავდებს ხმას ერისას, შრომას და გარჯას.

ფესვებდაჭრილი ხის კენწერო უმალეუ ხმება,

თუ ხალხს არ უსმენს, — მმართველს მუდამ მოელის ვნება.











ანდერძი ჩემი, შვილო ჩემო, ასე იწყება:  
 ღმერთი იწამე მთელი გულით; კეთილს და ბოროტს, —  
 გახსოვდეს მუდამ, — ის მოგვაგებს მხოლოდ და მხოლოდ.  
 განწირულია კაცი, თუ ღმერთს აუხირდება,  
 წამიერ ცოდვის გამოსყიდვას წლები სჭირდება.  
 გახსოვდეს, შენთვის კონუნგია მიწაზე ღმერთი!  
 ღამე ათასი თვალით გვიმზერს, დღე — ერთადერთით!  
 ხალხის წინამძღოლს დაუჯერე, არ გაქცეს მხარი, —  
 თუნდ მჭრელი იყოს — უვადო ხმაღს არ ჰქვია ხმალი.  
 ძალას და ღონეს გვამში ღმერთი ჩაგვიდგამს ხოლმე,  
 მაგრამ უკეთურ კაცს რად უნდა ძალა და ღონე?  
 ყოველგვარ ღონეს იმორჩილებს ხერხი და ჭკუა,  
 მაშინ უხდება ვაჟკაცს ღონე, — ჭკვიანიც თუა.  
 ამპარტავნობა აკარგვინებს ვაჟკაცს გონებას, —  
 მწარე ბოლო აქვს მედიდური კაცის ცხოვრებას.  
 სიკეთე მზეა დამლაზვრავი შურის და შხამის,  
 ძირს დაცემულა ბარე ორი, — ვერმცნობი ამის.  
 დღეს ნუ შეაქებ, სანამდღე არ დადგება ღამე,  
 თაფლიც შხამია, შვილო ჩემო, ბევრი თუ ჭამე.  
 გამოიცლება, ნუ იჩქარებ, მოდგება ჟამი, —  
 განსაცდელის ჟამს მეგობარი, ბრძოლაში — ხმალი.  
 ნუ დაუჯერებ მძინარე გველს, თოვლს გაზაფხულის,  
 ნურც ცოლის აღერსს, — ღალატია ჩაბუდებული  
 დიაცის გვამში, სიბრძნე ესე ურყევად გწამდეს —  
 აღერსით ქსოვენ დიაცები ღალატის ბადეს.  
 ქონება შენი, შენს სიკვდილთან ერთად გაჰქრება,  
 მაგრამ თუ გინდა თაობებში დარჩე საქებად, —  
 უნდა სიკეთეს შეაღიო ძალა და ნიჭი,  
 უნდა აღვაო ბოროტება პირთაგან მიწის!“  
 ასე მოძღვრავდნენ მოხუცები თავიანთ ვაჟებს,  
 ხავამალაშიც ეს ამბავი წერია ასე.  
 მათი ამბები თაობათა გულში წერია,  
 მოხუცთა ანდერძს ყურღანები დღესაც მღერიან.  
 მაგრამ მოხუცებს მიუბრუნდეთ, ჯერ ყველაფერი  
 არ უთქვამთ რადგან. ერთმანეთის სწორი და ფერი  
 შეჰყარა ღმერთმა, ერთად მყოფნი ჭირსა და ღბინში  
 იყვნენ დამცველნი საკუთარი გვარის და ჯიშის.  
 „ერთად ვიბრძოდით მუდამ მახვილჩაუგებელი,  
 ბევრჯერ ვუფარეთ ნარნას ფარი, როგორც კედელი.  
 დღეს ვალგალასკენ მივიჩქართ, ღმერთმა ინება,  
 დაე, მამათა სული მარად დარჩეს შეილებთან!“  
 ფრიტიოზს ბელე ეუბნება, — მშვიდი და წყნარი, —  
 „ქვეყნად მთავარი გმირობაა და არა გვარი!“  
 ხოლო ტორსტენი აქებს ბელეს გვარსა და ჯილაგს,  
 ასებს, კონუნგთა დიდ წინაპრებს, ცაში რომ სძინავთ.  
 „იყავით ერთად სამივენი, შვილნი, მარადჟამს,  
 ერთობა უდგას ძლიერებას მუდამ დარაჯად.“



ოდენ წყალობას ღვთის ბოძებულს ნუ მიენდობით,  
 ხელისუფლებას განამტკიცებს ძალა ერთობის.“  
 ჰგავს ინგებორგი დღის სინათლეს, ვარსკვლავთა ციალს,  
 ვარდი მწყაზარი იზრდებოდა სიმშვიდის წიად.  
 „ნიადაგ თვალი მასზედ გქონდეთ არ მოაყვივით,  
 ყვავილი ნაზი არ დააზროს თოვლმა და ყინვამუნა  
 ჰელგე, ინგებორგს შენ გაბარებ, ჩემი დღე მოდის, მისე  
 ინგებორგს, შვილო, ვით საკუთარ შვილს გაუფრთხილდი!  
 ხალხს ნუ გასტანჯავთ სისასტიკით, გახსოვდეთ უნდა,—  
 სიმართლისაკენ მოთმინებას მივყავართ მუდამ.  
 ორი სამარე ამოავსეთ, მათ შუა ლალად  
 დაე, ფიორდმა იხასხასოს, ვითარცა ტალღამ.  
 ჩვენს სულს სალბუნად დაედება სიმღერა მისი  
 და გაცაქრდება საიქიოს სევდა და ნისლი.  
 ამოვა მთვარე ფერმიხდილი მშვენიერ ზეცით,  
 სამარეს ჩვენსას დაეცემა ღვთიური წვეთი,  
 ფიორდის ტალღა გამოიხმობს აჩრდილთა ჩვენთა,  
 რათა ამაყად ვესაუბროთ მომავალ დღეთა.  
 მშვიდობით, შვილნო! ჟამი მოდგა, ვიჩქარით ისე,  
 ვითარცა ორი შენაკადი იჩქარის ზღვისკენ, —  
 ჩვენც ალფადერის სამფლობელოს შევეერთოთ უნდა.  
 ფრეი და ტორი და ოდინი გფარვიდეთ მუდამ!“

მესამე სიმღერა

ფრიტიოვი ემეკვიდრობად იღვას  
 საგვარეულო მამულს

დაასაფლავეს მოხუცები ბელე და ტორსტენ  
 როგორც ენებათ: მათ საფლავებს შორის ფიორდი  
 ღაღანებს ლურჯად. ჰელდეს და ჰალვდანს

**რუსული წარწერები (რუნები)** — ძველგერმანული და სკანდინავიური მითოლოგიით საიდუმლო ანბანით ნაწერს ნიშნავს. სკანდინავიური კალბალა მოცემით ეს დამწერლობა ღმერთებმა შექმნეს. რუნებს მაგიურ ძალას მი-აწერდნენ.

**კალბალა** (სკანდ. მითოლოგიით) — ოდინის — ღმერთთაგან უხუცესის სრ-სასახლე, სადაც სულნი ნეტარნი ცხოვრობდნენ. უპირატესად იგულისხ-მება მტერთან ბრძოლაში მამაცურად დაღუპულთა სულები.

**კუნები, კონუნები** — ძველ სკანდინავიელ მეომართა წინამძღოლი, ბელადი, რომელსაც ესა თუ ის გვარი ან ტომი თავის საკრებულოში ანუ ტინგში ირჩევდა.

**სავამალა** — უფროსი ედა ჰქვია სკანდინავიურ ეპიურ სიმღერათა კრებულს. ხოლო ხავამალა ერთ-ერთი სიმღერაა, ამ სიმღერაში ღმერთთა შორის უხუცესის — ოდინის აზრებია გამოთქმული.



ხალხმა მიანდო სახელმწიფო ემართათ ერთად,  
 ფრიტიოფი კი ერთადერთი მემკვიდრე მამის  
 გახდა ფრამნესის ბატონ-პატრონი.  
 სამ მილზე არის გადაშლილი ესე მამული.  
 სამი მხრით მთები, გორები და ველები აკრავს,  
 ხოლო მეოთხით ლურჯი ზღვა აქვს შემოსარკული.  
 ტანაყრილ არყნარს დაუფარავს ირგვლივ გორები,  
 ტყისპირ ოქროსფრად ლივლივებენ ქერის ყანები,  
 კაცის სიმაღლე ჭვავის ყანებს ნიავი ვარცხნის,  
 მეფურ სიდიხით ცხენ-ირმები დადიან ტყეში  
 და ტბის ანკარა წყლით იკლავენ ჟამი-ჟამ წყურვილს,  
 ხოლო თეოზე ძოვს ნახირი, ლამის დაუსკდეთ  
 ჯიშთან ძროხებს სავსე ცურები.  
 მწვანე ველ-მინდვრებს მოსდებია ცხვრის ფარა ისე,  
 თითქოსდა ღრუბლებს დაუფარავს ზეცის ცარგვალი.  
 ორჯერ თორმეტი დარახტული და მკერდმაღალი  
 ცხენი ბაგაზე ახრამუნებს მოთიბულ ბალახს,  
 და ბრჭყვიალებენ მზის სხივებზე ცხენთა ნალები.  
 სახლი ღვას ცალკე ნაძვის ხისგან აშენებული,  
 ქეიფისათვის გამართული საგულდაჭულოდ,  
 ყოველ წელიწადს, ზამთრის ზეიმს რომ უწოდებენ,  
 თავის მეგობრებს ფრიტიოფი აქ ხვდება ხოლმე.  
 ხუთას კაცზე მეტს დაიტევდა სახლის დარბაზი,  
 მუხის მაგიდა მთელ სიგრძეზე გადაჭიმული  
 ისე პრიალებს, გეგონებათ, იყოს ფოლადის.  
 ორივე მხარეს მაგიდისა ღვას თითო სვეტი,  
 ხოლო სვეტებზე ღმერთებია გამოსახული.  
 ერთით ოდინი იმზირება მზვაობარ სახით,  
 მეორეზე კი ფრეიაა, — ნაზად მლიმარი.  
 მათ შორის, აგერ სულ ახლახანს, დათვის შავ ტყავზე  
 იჯდა ფრიტიოფი (დათვის ცეცხლისფრად დაეღო ხახა,  
 ხოლო ბრჭყალები ვერცხლისფერად ელავდნენ ავად),  
 მეგობრებს თანა მოილხენდა ჭაბუკი ფრიად.  
 ჟამი-ჟამ, ოდეს მთვარე ცაზე იწყებდა რონინს,  
 მოხუცი ერთი დაიწყებდა საოცარ ამბებს.  
 ჰყვებოდა იგი ვიკინგების მამაცურ ომზე, —  
 აღმოსავლეთის, დასავლეთის, განდვიკის ზღვებში.  
 როგორც ფუტკრები ვარდ-ყვავილებს მოფუტკრებულნი,  
 ისე უსმენდნენ ყმაწვილები მის სიტყვას ყოველს.  
 თითქოს ეწერა ეს ამბები მოხუცს ენაზე,  
 ისე ჰყვებოდა დალოცვილი გარდასულ ამბებს.  
 თითქოს წიფლის ქვეშ ბრაგე იჯდა,  
 თითქოს მიმირი  
 თავისი სიბრძნით აღავსებდა პოეტთა მეფეს, —  
 ისე ჰყვებოდა ოქროპირი საოცარ საგას  
 და ცოცხალ საგას თავად ჰგავდა  
 თეთრწვერა იგი.  
 თივა ეფინა სოხანეზე, შუა დარბაზში





ქვის კერიაზე ცეცხლი როკავდა,  
 და ვით ციური შეგობრები საკვამურიდან  
 იმზირებოდნენ ვარსკვლავები ჟამს შებინდების,  
 ხოლო ლურსმნებზე დაკიდებულ ჩაფხუტ-აბჯრებში  
 ცთომილებივით ეღვარებდნენ მახვილ-შუბები.  
 ფარ-ჯავშანს მზისა და მთვარისფრად გაუღდის ბრწყინვა  
 და ირეკლება მათ ბრწყინვაში ქალწულის სახე, <sup>სახე</sup> <sup>სახე</sup>  
 მაგიდის ირგვლივ რომ მიმოღის და ყანწებს ავსებს.  
 ოდეს ქალწული დაჟინებულს იგრძნობდა მზერას,  
 გაწითლდებოდა და უმაღვე ირეკლებოდა  
 ფარ-მუხარადში დარცხენილი მასი იერი.  
 ფრიად მდიდარი გახლდათ სახლი: თვალს ეცემოდა  
 სარდაფები და საკუჭნაო პირთამდე სავსე  
 და უთვალავი ოქრო-ვერცხლი ნაალაფარი.  
 გარნა უთვალავ, აუწონავ სიმდიდრის წიად  
 სამი რამ იყო, უფრორე რომ ფასობდა მეტად.  
 პირველი გახლდათ ამ სამიდან, — მახვილი ერთი, —  
 ანგიურვადელს უწოდებდნენ, ანუ ძმას ელვის.  
 აღმოსავლეთში გახლდათ იგი გამოჭედილი,  
 ხოლო ნაწრთობი სამჭედლოში იყო გნომების.  
 პირველად ფლობდა მას ბიორნი, — ცისფერკბილება,  
 გარნა ბიორნი (ჩვენ ვითარცა მოგვითხრობს საგა)  
 სიცოცხლესა და მახვილს ერთად გამოეთხოვა, —  
 ოდეს უმძლავრეს ვიფელესთან მოუხდა შეხლა.  
 ვიფელეს ვაჟიშვილი ჰყავდა თურმე ვიკინგი,  
 ულეროვერში იმა ხანად ცხოვრობდა ერთი  
 კონუნგი თავის მხოლოდშობილ ასულთან ერთად.  
 ერთ დღეს ტყიური გამოსულა ტყიდან დევკაცი,  
 მთლად ბანჯგვლიანი, შესაზარი, ფრიადი ძალის,  
 შემოუთვლია მოხუცისთვის: ან შემებრძოლეთ,  
 ანუ მომეცი ქალიშვილი და სამწყსო შენი.  
 გარნა დევკაცთან ვერ გაბედა ვერავინ შებმა,  
 არცარა მახვილს არ შეეძლო დაკოდვა მისი,  
 რამეთუ რკინისშუბლიანი ეგონა ყველას.  
 ოდენ ვიკინგმა გარდაწყვიტა შებმოდა დევკაცს,  
 მას ჟამსა შინა ხუთმეტი წლის გახლდათ ყმაწვილი  
 და უსამველოდ უმამაცესს იმედი ჰქონდა,  
 ანგიურვადელს მიანდობდა ბედსა და ძალას.  
 და ასეც იყო, როს დაუშვა დევკაცს მახვილი,  
 შუა გაჩეხა და გასრულდა ესე ამბავი.  
 მერმე ტორსტენმა იმემკვიდრა მისგან მახვილი,  
 ხოლო ტორსტენმა უანდერმა ფრიტიოფს იგი.  
 მახვილი გახლდათ კაშკაშა და შეუსადარი,  
 ელვას და ციალს ჩრდილოეთის ღამისას ჰგავდა,  
 ოქროს ვადიდან მთელ სიგრძეზე ვიდრე წვერამდი  
 რუნულ წარწერებს დაეფარა, ესე რუნები  
 ჩრდილოეთისთვის უცნობია მოაქჟამამდე,  
 ოდენ სამხრეთმა იცის მისი იდუმალება, —





რამეთუ აღრე იქ ცხოვრობდა ჯილაგი ჩვენი,  
 მერმე ასებმა მოიხმეს და აქ დაასახლეს.  
 იღუმალ შუქით ანათებდნენ ის წარწერები,  
 ოდეს სიმშვიდე იყო ხმელსა და ცათა შინა,  
 გარნა ხილდური მოუხმობდა ბრძოლად თუ არა,  
 აენთებოდნენ ვით ათასი ბიბილო მამლის.  
 იყო განწირულ, ვინაც მახვილს შეეხებოდა,  
 მახვილთა შორის ჩრდილოეთში უპირველესმა  
 უშქარ ბრძოლაში განიმტკიცა დიდება თვისი.  
 საგვარეულო სამაჯური გახლდათ შემდგომად  
 თაყვანისცემით უაღრესით გარემოსილი,  
 კოჭლი ველუნდის, ჩრდილოეთის საგის ვულკანის  
 გამოჭედილი, სამი მარკა ბაჯაღლო ოქრო  
 აქვს ამ სამაჯურს და უკვდავთა თორმეტი კოშკი  
 ცის სილურჯეში არის მასზედ გამოსახული.  
 თორმეტი კოშკი თორმეტი თვის არის ხატება.  
 პირველი კოშკი საბრძანისი გახლავთ ფრეიას, —  
 ახლადშობილი მზეი სუფევს მას კოშკსა შინა.  
 სიოკვაბეკი არს შემდგომად, — ოდინთან ერთად  
 ბრძანდება საგა, ხელთ უპყრიათ პირთამდე სავსე  
 თასი და თასში ოქროს ღვინო ლიცლიცებს ყვითლად.  
 თასი ზღვა არის, ოქროსფერი დილის სხივებით  
 გაბრწყინებული, ხოლო საგა—გაზაფხულია,  
 შვენის გაზაფხულს ყვავილები, — ანუ რუნები.  
 აგერ ბაღდერიც კოშკსა შინა მორჭმით მჯდომარე,  
 ულამაზესი ღმერთთა შორის, სიკეთის ღმერთი,  
 ჩაუქრობელი მზის სხივებით გაბრწყინებულა  
 სახება მისი, სიკეთე ხომ სინათლე არის,  
 ბოროტება კი წკვარამია გაუთენარი.  
 მზე მალლა იწევს, მასთან ერთად სიკეთეც ლაღობს,  
 მერმე ორივე ეშვებიან წკვარამში ჰელის, —  
 სამგლოვიარო კოცონისკენ ბაღდერი მიდის.  
 აი, გლინტერიც, მშვიდობის და სიმართლის ბურჯი,  
 ტინგის ჟამს ღმერთებს საკრებულო აქა აქვთ ხოლმე,  
 შემოდგომისას ფორსეტია ტინგის მეუფე.  
 შვენის სამაჯურს ლალ-ბადახშის თვალი ლამაზი, —  
 ისრე ვითარცა ზეცას შვენის ნათელი მზისა.  
 საგვარეულო განძი გახლდათ ეს საგანძური  
 ათა-ბაბიდან, თუმც სათავეს მემკვიდრეობის  
 დედის მხრივ კოჭლი ველუნდიდან იღებდა თურმე.  
 ყაჩაღმა სოტემ მოიტაცა ეს განძი ერთხელ,  
 სკანდინავიის წყლებში ოდეს ძარცვაჲდა მგზავრებს,  
 და სამაჯური დაკარგული ეგონათ დიდხანს,  
 სანამ ამბავი არ მოვიდა, — ყაჩაღი სოტე  
 მიადგა თურმე ბრიტანეთის ნისლიან ნაპირს.  
 სოტემ ყურღანში ამოთხარა სამარხი დიდი  
 და ამ სამარხში ჩაჰფლო თურმე ხომალდი თვისი,  
 თავადაც ცოცხლად ჩაიმარხა ხომალდთან ერთად.



გარნა სიმშვიდე ვერა ჰპოვა და იქცა იგი  
 უსაშინელეს მოჩვენებად და თავზარს სცემდა  
 იმ არემარეს. და გაიგო ტორსტენმა ოდეს,  
 ბელესთან ერთად ნავში ჩაჯდა და გაემართა,  
 საგვარეულო სამაჯური დაეხსნა რათა.  
 უზარმაზარი თაღით იყო დამშვენებული  
 სამარხი იგი, და შიგნიდან გამოდიოდა  
 ელვარე შუქი. მეომრებმა ჭუჭრუტანიდან  
 შეიხედეს და დაინახეს: ხომალდი მართლაც  
 დგას გაფისული და გემბანზე თავზარდამცემი  
 ზის მოჩვენება, მოსასხამი აცვია ცეცხლის  
 და დაღვრემილი თავის მახვილს ეჯაჯგურება,  
 რათა გაწმინდოს სისხლისაგან მახვილი თვისი,  
 ჟარნა ამოდ, — არ შორდება წვეთები მახვილს.  
 სჩანს უამრავი ნაძარცვი და ნაყაჩაღარი  
 ოქრო და ვერცხლი, სამაჯური ელავს და ბრწყინავს.  
 წყნარად თქვა ბელემ: „ორივენი ხომ არ შევიდეთ  
 და შევებრძოლოთ მოჩვენებას.“ წარსთქვა ტორსტენმა:  
 „წინაპრებს ჩემსას ერთი ერთზე სჩვეოდათ შებმა,  
 ვერც მე გადავალ ამ წესიდან.“ იმსჯელეს დიდხანს,  
 ბელემ თავისი განამზადა ფარ-მუზარადი, —  
 ცუდად ენიშნა ვაჟკაცს თვისი ბედის ვარსკვლავი,  
 ხოლო ტორსტენმა დაინახა თავისი ბედი  
 ვარსკვლავთ ციმციმში და წარმოსთქვა: „გადაწყდა უკვე.“  
 და შეანგრია საგდულები და კლიტეები,  
 შევარდა ფიცხლად, ალაპლაპდა მისი მახვილი,  
 არავინ იცის, რაც იქ მოხდა, თავად ყოველთვის  
 დუმის არჩევდა, ოდეს ვინმე ჰკითხავდა ამბავს.  
 ბელემ პირველად გაიგონა სიმღერის ჰანგი,  
 მერმე ხრჭიალი, — დამკერება რკინაზე რკინის,  
 უცებ ღრიალი შემზარავი და გამოვარდა  
 გარეთ ტორსტენი, ერთიანად სულ ცახცახებდა,  
 მოსტაცა გმირმა სამაჯური საზარელ აჩრდილს.  
 ხშირად იტყოდა იგი შემდგომ: „ძვირფასი არის  
 განძი, რამეთუ მოვიპოვე მძიმე ბრძოლაში!“  
 უფროვე გახდა სამაჯური სახელგანთქმული,  
 მთელს ჩრდილოეთში უპირველეს განძად ხმობილი.  
 საგვარეულო განძს მესამეს „ელიდა“ ჰქვია, —  
 ხომალდი გახლავთ საკვირველი და საუცხოო.  
 თურმე ბაბუა ფრიტიოფის (გვამცნობს თქმულება)  
 ხომალდით სახლში ბრუნდებოდა, ანაზდად ხედავს:  
 ვიღაც ირწყევა ზღვის ტალღებზე, თამაშობს თითქოს,  
 ტანმადალი და სახიერი, კეთილშობილი  
 ღიმილით უმზერს, გარნა მაინც მაცთუნებელი  
 არის ღიმილი უცნობისა, ისრე ვითარცა  
 ცისფერ მოსასხამს მისას შვენის ოქროს ქამარი,  
 წვერი აქვს ქაფზე უთეთრესი, თმები კი მწვანე:  
 თავისი შნეკით გაემართა ვიკინგი მისკენ,







და გათოშილი შნეკის ბანზე ამოიყვანა.  
 წამოიყვანა პაპამ სახლში სტუმარი იგი,  
 გაუმასპინძლდა უცხო სტუმარს ალალი გულით  
 და მერმე ოდეს მოსვენება უსურვა სტუმარს,  
 პირმოციხარემ უპასუხა მასპინძელს აგრე:  
 „ზურგის ქარია, როგორც ხედავ ჩემი ხომალდიც  
 საიმედოა, მზის ჩასვლამდე ასიოდ მილის  
 ძალმიძს გაცურვა. მადლობელი ვარ მასპინძლობის,  
 სამაგვიერო გულით მინდა გადაგიხადო,  
 გარნა აქ არ მაქვს, — მთელი ჩემი განძი ზღვაშია,  
 ზვალ დილით ნახავ ჩემს საჩუქარს, აქ, ზღვის ნაპირას.“  
 დილით ვიკინგი გამოვიდა სანაპიროზე  
 და დაინახა საოცრება, თვალს არ უჯერის:  
 თითქოს არწივი, ნადაკლი რომ მოაქვს ბრჭყალებით,  
 ხომალდ-დრაკონი ნაპირისკენ მოემშურება,  
 ხომალდზე ერთი სულიერიც კი არ ჭაჭანებს,  
 და საოცრება! — რაღაც ძალას მოჰყავს ხომალდი,  
 ნაპირთან ახლოს უხილაუმა აფრა დაუშვა,  
 მოდგა ხომალდი და ბრჭყალები სილაში ჩაჰფლო,  
 ვიკინგი დგას და ხომალდს უმზერს გაოცებული  
 და უეცრად ზღვის ტალღები ალაპარაკდნენ:  
 „მასპინძლობისთვის ეს ხომალდი გიძღვნა ეგირმა!“  
 დასტურ მეფური საჩუქარი გახლავთ ხომალდი, —  
 მუხის ხისაგან ნაგებია კედლები მისი,  
 ჩატმასნილია ერთმანეთში კედლები მკვიდრად.  
 დრაკონს ჰგავს იგი: წინ ზვიადად აულერია  
 თავი დრაკონის, დრაკონისვე ვეება ხახა,  
 მზეზე ელვარებს ვერცხლისფერი კუდი დრაკონის,  
 ცისფრად და ყვითლად ბრჭყვიანებენ მისი გვერდები,  
 შავ-მოწითალო ფრთებზე ცეკვავს სხივები მზისა.  
 ქარიშხალშია მისი ფრთები გამობრძმედილი,  
 ეს მოცურავე საბრძანისი ზღვათა მეფისა  
 რისხვა მტერთათვის, აულები ციხე-სიმაგრე, —  
 უპირველესი დრაკონია დრაკონთა შორის.  
 განძთა ფრიალთა ფრიტიოფი არის მემკვიდრე,  
 მთელს ჩრდილოეთში არვინაა მისებრ მდიდარი,  
 ოდენ კონუნგის შვილი არის მეტოქე მისი,  
 რამეთუ კონუნგს სიძლიერით ვერავინ სჯობნის.  
 კონუნგის სისხლი მის ძარღვებში არა სჩქეფს, თუმცა  
 კონუნგის სულით თვით კონუნგსაც ტოლს არ დაუდებს,  
 თან გულზიარი და შემწყვალე გახლავთ ფრიადი.  
 ჰყავს ათორმეტი მეგობარი, მას ჟამსა შინა  
 ყველა თავისი სიძამაციტ მეტად განთქმული,  
 ბევრმა მათგანმა ფრიტიოფის მამასთან ერთად  
 ურიცხვ ბრძოლაში ასახელა გვარი და ჯიში.  
 ვითარცა ვარდი მჭნარს ფოთლებში იმგვარად მოჩანს  
 ერთი ჭაბუკი იმათ შორის, ბიორნი ჰქვია  
 ჭაბუკს და არის ფრიტიოფის ტოლი და სწორი.



ცელქი ვით ბავშვი, ვით ნაწრთობი ფოლადი. მტკიცე,  
 ბრძენი და სათნო, ვით მოხუცი არის ბიორნი.  
 ისინი ერთად იზრდებოდნენ და ერთმანეთი  
 ძალიან უყვართ და ფიც-ვერცხლიც იმითვე ჭამებ,  
 ერთმანეთისთვის თავგანწირვა მიაჩნით ღვინად  
 გულით იღებენ მეგობრები, მღერიან სკალდნი,  
 ადგა ფრიტიოფი, დაიკავა ადგილი მამის, მამის  
 ვითარცა ტორი ვალგალაში დაჯდება ხოლმე,  
 ისე ზის იგი ფრეიასა და ოდინს შორის.

### მეოთხე სიმღერა

#### ფრიტიოფის ააჟანკლობა

მღერიან სკალდნი, გუგუნებენ დარბაზის ბჭენი,  
 გაბრწყინებულა ფრიტიოფის სასახლე ვრცელი.  
 ზის ფრიტიოფი ვრცელ ტაბლასთან, მოწყენით მზირალს,  
 ნაღველშერეულს ღვინი არღა მიაჩნის ღვინად.

გამოიცვალა დედამიწა თითქოს მთლიანად,  
 რამეთუ მოდგა გაზაფხული ხალისიანი.  
 ფრიტიოფი კი ერთ ადგილას ველარ ჩერდება,  
 სახმილი იგი დაცამლეწი გულზე ედება.

ბედნიერი და მხიარული ახლახანს გახლდათ,  
 რამეთუ დიდხანს ნაინატრი ოცნება ახდა:  
 ესტუმრნენ სახლში კონუნგ ბელეს ორივე ძენი  
 და ინგებორგი დაი მათი შვენიერ მშვენი.

გაგანთიადდა ფრიტიოფი ქალწულის ნახვით  
 და ინგებორგსაც დარად მზისა უბრწყინავს სახე.  
 დამშვენებულა ყმაწვილქალი უფრორე მეტად,  
 დასტურ, ბრალია დადიოდეს ქალწული კენტად.

მოისაკლისეს სიყმაწვილის ღამაზი დღენი,  
 პირველი ელდა, სიყვარულის პირველი ცრემლი.  
 ო, სიყმაწვილევ, პირველო თქმავ, პირველო დარდო,  
 სურნელოვანო, დაცვარულო მაისის ვარდო.

ინგებორგმა თქვა: „მომეწყინა ცხოვრება სახლში,  
 ჰელგე მკაცრია, ხოლო ჰალვდანს ქცევა აქვს ბავშვის,  
 გადაივიწყეს მამის წმინდა ნაანდერძევი,  
 ოდენ პირმოთნეთ და მაქებართ უსმენენ ძმები.

ვინ გამიქარვოს ეს ნაღველი და კაეშანი?  
 მომწყინდა ძლიერ! საარაკო სადაა უამი,  
 ოდეს ჰილდინგი თავისუფლად და ღაღად გვზრდიდა  
 და ყოველი დღის გათენება სიხარულს ვეგვრიდა.



ტრედები ჩვენი სად არიან? ბორთუმა ძერამ  
დააწიოკა, გადაჰკარგა წკვარამში ყველა,  
ორილა დამრჩა იადგარი იმ ლამაზ დღეთა  
და ერთი, ჩემო მეგობარო, მიძღვნია შენდა.



მოენატრება ოდეს მამალს დედალი ტრედი, —  
შემოუნთება ზეცის ლაჟვარდს ამაყი ფრთებით,  
წარმოატანე ტრედსა შენსა უსტარი შენი,  
რომ გამინათდეს, ლხინად შექცეს დღეები ბნელი.

ვითარცა და-ძმა საუბრობდნენ მთელი დღე ერთად,  
მოსაგონარიც ბევრი ჰქონდათ ბავშვობის დღეთა,  
ჩურჩული მათი ნიავს ჰგავდა, — ნიავი ოდეს  
ამოდ და ნაზად აშრიალებს მაისის ყლორტებს.

სახლს დაუბრუნდა ინგებორგი, გამოხდა ხანი,  
დანაღვლიანდა ფრიტიოფი, დღითა და ღამით  
ინგებორგსა სწუხს, ჩამოადნოს ნაღველმა ღამის,  
გაუდაბურდა მისი ყოფნის ყოველი წამი.

წიგნი დაწერა ფრიტიოფმა ინგებორგთანა,  
ძერძე უსტარი მის ნაჩუქარ ტრედს გაატანა  
და ელოდება მიჯნურისგან მიჯნური წერილს,  
გარნა რა უწყის, — პასუხს იგი ამაოდ ელის!

არ მოსწონს ბიორნს ფრიტიოფის ამგვარი ტანჯვა:  
„არწივის მართვეს რა მოსვლია, ეგების მართლა  
ფრთებდალწილი, ანუ მკვრდში არის დაჭრილი?  
რა სახშილი სწვავს, ანუ ადგას რა გასაჭირი?“

საჭმელ-სასმელი აქვს ურიცხვი, აუწონები,  
ვერ იამაყებს ბარე ორი მისებრ ქონებით,  
სკალდნიც უმღერუნ სასახლეში მას ყოველ დღით,  
მაშ რაღა უნდა, მართვეს სახე რად ჩამოსტირის?

ფიცხელი რაში ჭიხვინებს და სიურცეებს ნატრობს,  
შევარდენი კი სანადიროდ მოუხმობს პატრონს,  
გარნა ძმა ჩვენი დაღვრემილი ზის ახლა სახლში,  
ოდენ ოცნებით და ფიქრებით დაფრინავს ცაში.

„ელიდამ“ ღამის აიწყვიტოს, აუშვას აფრა, —  
მონატრებია ზღვათა რაინდს ქარები მძაფრი.  
„ელიდავ“, წყნარად! ვერ იქნები, რაც იყავ, იგი, —  
დაუფლებია პატრონს შენსას ცხოვრება მშვიდი!

მზადაა იგი სიკვდილს შეხვდეს ლოგინში წყნარად,  
დაეიცემ მახვილს და ჰელესთან წკვარამში წავალ, —  
რამეთუ ბედი ფრიტიოფის აგრე დაბრუნდა,  
წახდა ვაჟკაცი, დაუძღურდა და დაძაბუნდა“.



თუ მეგობარი გვერდით გახლავს, მაშინ იოლი არის ატანა მწუხარების, სიტყვამ ბიორნის გამოაფხიზლა ფრიტიოფი, „ელიდას“ აფრა აუშვა. და კუნგებისაკენ დაიძრა სწრაფად.



მამის საფლავთან გაემართათ კონუნგებს ბჭობა, მწუხარების სახელმწიფოს და ხალხის მართვა თუ როგორ უნდა მოწმენდილ ცაზე ანაზღად რომ იქუხებს ისე, ფრიტიოფის ხმამ ზავთიანმა გაჰკვეთა სივრცე:

„თქვენ, კონუნგებო! მოისმინეთ სათქმელი ესე, — არვინ მყავს ქვეყნად ინგებორგზე უძვირფასესი, და ცოცხალი რომ ყოფილიყო დღეს მამათქვენი, უეჭველია, ჯვარს დაგვეწერდა მოხუცი ბრძენი!

ჰილდინგი გვზრდიდა მამათქვენის რჩევით და ნებით მე და ინგებორგს, ვიზრდებოდით ვით ორი ნერგი, ხოლო ფრეიამ თავის ღვთიურ განკარგულებით ოქროს ზონარით გადააბა ჩვენი გულები.

არ მყავდა მამა არც კონუნგი, არცა იარლი, განთქმული არის ჯიში ჩემი შუბის ტრიალით, ამას გვამცნობენ სიმღერები, ანუ რუნებიც, არ მოვლუნულვართ, არც აროდეს მოვიღუნებით.

სამეფო ტახტის მოპოვება არ მეძნელება, გარნა უფრორე არის ჩემთვის ბედნიერება, — თქვენს გვერდით ვიდგე და დავიცვა მშობელი მხარე, თქვენთან ვიომო, თქვენთან ვიყო დღეცა და ღამეც.

ო, კონუნგებო, მამათქვენის საფლავთან ვდგავართ, ესმის მამათქვენს ჩემი თხოვნა და ახლა თავად ჩვენთან რომ იყოს, ჯვარს დაგვეწერდა მოხუცი ბრძენი, მე დავამთავრე სიტყვა ესე, თქვენს პასუხს ველი!“

წინ წარსდგა ჰელგე, დამცინავად უბრუნებს პასუხს: „შენ ბონდის შვილი კონუნგების თხოულობ ასულს? არ იცი განა, რომ ვალგალას ჯიში და გენი ღირსი მეფეთა არის ოდენ და არა შენი.

გახდი პირველი! დაამარცხე რაინდი ყველა, ქალს სიმამაცის და ვაჟკაცის გონების სჯერა. შთამომავალი ასებისა ასია ოდენ და შენ, შეილს ბონდის, — სხვა იმედი არ უნდა გქონდეს.



მე თავად ძალმძის დაცვა ჩემი მშობელი მხარის,  
რად მინდა შენი დახმარება, რაიც გითხარი,  
ის აღასრულე, და უთუოდ მიგიღებ მაშინ  
ვითარცა მსახურს და მეომარს ჩემს ამაღლაში!”



„არა, მსახური არ გავხდები, მეტადრე შენი,  
თავისუფალი მინდა ვიყო ვით მამაჩემი,  
ვაგულახ, ანდერძი დაგვიწყნია მშობელი მამის, —  
ანგიურვადელ! მოდგა შენი კაშკაშის უამი.

და ამოფრინდა ქარქაშიდან მახვილი რეალის,  
აღენტო წითლად, ვით ათასი ბიბილო მამლის.  
„ანგიურვადელ! ნაწრობი ხარ გნომების ცეცხლში,  
უპირველესი მახვილი ხარ მთელს ჩრდილოეთში!

შავო კონუნგო, გაგიჩეხდი მაგ შუბლს ახლავე,  
გარნა პატივს ვცემ წმინდა ადვილს, წმინდა საფლავებს.  
რომ უტიფარი და თავხედი არ იყო კუალად,  
გასწავლი ჭკუას, — ნახე ჩემი მახვილის ძალა!”

ხის ტოტს ეკიდა ჰელგეს ფარი მნახველი მრავლის,  
შემოუქნია ფრიტიოფმა თავისი ხრძალი,  
შუქმა იელვა მეწამულმა მახვილსა თანა,  
ისრე გაჰკვეთა, ვითა ყველი გაჰკვეთოს დანამ.

„დალოცვილი ხარ! — ფრიტიოფი ემთხვია მახვილს, —  
გარნა ბრძოლების მომლოდინე იყავი ახლის,  
ცეცხლოვან რუნებს სხვა ბრძოლათა ესმა ძახილი,  
აბა, გაუფრინდეთ სახლისაკენ, ჩემო მახვილო!”





## „სახიფათო კავშირები“ ანუ ნერილეზი<sup>1</sup>



ფრანგულიდან

თარგმნა მარინე ჭილაშვიდმა

შეკრებილია მ. ს... დე ლ-ის მიერ საზოგადოების ერთ გარკვეულ წრეში და ქვეყნდება სხვათა ყურადსაღებად.

მე დავაკვირდი ჩემი დროის ზნე-ჩვეულებებს და ეს წერილები გამოვაქვეყნე.

შან-შაკ რუსო  
„ახალი ელოზი“, შესავალი

### პირველი ნაწილი

#### გამოცემლის მიმართვა მკითხველისადმი

თავს მოვალედ ვთვლით, ამ ნაწარმოების სათაურისა და კიდევ იმის მიუხედავად, რასაც რედაქტორი აღნიშნავს ამ წიგნის თაობაზე თავის შესავალ სიტყვაში, ვაცნობთ საზოგადოებას, რომ თავდებად ვერ დავუდგებით ამ წერილების კრებულის არსებობის უტყუარობას. ეს ნაწარმოები მხოლოდ და მხოლოდ რომანია და ამის თქმის ფრიად დიდი საფუძველიც ვაგვიანია.

მეტსაც ვიტყვით, ავტორი კი ცდილობს დააჯეროს მკითხველი ამ წერილების სინამდვილეში, მაგრამ თვითვე უარყოფს ამას, რამეთუ კრებულში მომხდარ ამბებს ყოვლად შეუსაბამოდ აკუთვნებს თავის ეპოქას. მართლაც ნაწარმოების ბევრი გმირი იმდენად ცუდი ზნისა და ჩვეულების განლაგთ, შეუძლებელია მათ ჩვენს დროში ეცხოვრათ. ჩვენი საუკუნე ხომ ფილოსოფიური აზროვნებისა და საყოველთაო განათლების საუკუნეა, რომელმაც მთელი ქვეყნიერება მოიცვა და მამაკაცი თუ ქალი პატიოსანი და მაღალი ზნეობისა გახდა.

ვფიქრობთ, თუ აქ მოთხრობილი ამბები სიმართლეს შეესაბამება, მაშინ სხვა ადგილებსა და სხვა დროში უნდა მომხდარიყო. ამდენად, დიახაც ვუსაყვედურებთ ავტორს, რომ მკითხველის ინტერესის გასაცხოველებლად მან ახლანდელი საუკუნე, ხოლო მოქმედების ადგილად ჩვენი ქვეყანა შეარჩია. აქ აღწერა-

1. წინამდებარე ნაწარმოები პიერ შოდერლო დე ლაკლოს (1741–1803) ერთადერთი ლიტერატურული ქმნილებაა. იგი 1782 წელს გამოქვეყნდა და იმთავითვე მიიზიდა მკითხველი. „სახიფათო კავშირები“ ეპისტოლარული ლიტერატურის შედევრს წარმოადგენს.

მთარგმნელისაგან



ლი ზნე-ჩვევები, ჩვენი ხალხის ნირსა თუ სამოსელში გამოხვეული, სრულიად უცხოა ჩვენთვის.

იმისათვის, რომ შეძლებისდაგვარად დავიცვათ მეტიმეტად მიმნდობი მკითხველი გაცებისა და გაკვირვებისაგან, გამოვთქვამთ ჩვენს მოსაზრებას, რაიც უღაფოდ და უცილობლად მიგვაჩნია, რომ ერთი და იგივე მიზეზი უთუოდ ერთსა და იმავე შედეგს განსაზღვრავს. დღეს ჩვენში რაღაცეა, რაღაცეა დავთ სამოცდაათი ათასი ლივრის მქონე გასათხოვარ ასულებს, რომ მიდიან, ან დარღს გადაყოლილ პრეზიდენტის ნორჩსა და ლამაზ ცოლებს.

### რედაქტორის წინათქმა

ეს თხზულება, უკეთ, წერილთა კრებული, მკითხველმა შეიძლება დაიწუნოს კიდევ ერთობ დიდი მოცულობის გამო, მაგრამ აქ მოთავსებული წერილები მხოლოდ მცირე ნაწილია იმ არსებული მთლიანი მიმოწერისა, საიდანაც ისინი ამოვიღეთ. მათ, ვისაც ხელთ ჩაუვარდა ეს კორესპონდენცია, სურვილი გამოთქვას მისი გამოქვეყნებისა და ამ მიზნით მთხოვეს გამოსაცემად მომემზადებინა; ამ შრომის გასაწევად უფლება მოვითხოვეთ ის წერილები ამომედო, რომელთაც ზედმეტად მივიჩნევდი და რომლებიც ხელს არ შეუწყობდნენ შინაარსისა და მოქმედ პირთა ხასიათების გამოკვეთას. თუ ამ მარტივ საქმეს დავუმატებთ იმას, რომ წერილები გარკვეული თანამიმდევრობით დავალაგე, დავიცავი ქრონოლოგია, კიდევ რამდენიმე განმარტება დაურთო, რათა დამედგინა ზოგიერთი ციტატის წყარო ან დამესაბუთებინა, თუ რატომ მივეცი თავს უფლება რამდენიმე წერილის შეკვეცისა, ეს გახლავთ მთელი ჩემი წვლილი ამ თხზულების შედგენის საქმეში.<sup>1</sup>

მე მინდოდა მიმოწერაში შემეტანა უფრო მნიშვნელოვანი ცვლილებები იმ დაშვებული შეცდომების გამო, ენისა და სტილის სიწმინდეს რომ ეხებოდა. მსურდა შემემოკლებინა დიახაც გაჭიანურებული წერილები და ის უაზრო გადასვლები, ერთმანეთს რომ არ უკავშირდებოდა. ამის უფლება ვერ მოვიპოვე. თუმცადა ამით, რა თქმა უნდა, დიდ ღირსებას ვერ შევმატებდი ნაწარმოებს, მაგრამ ნაკლოვანებებს რამდენადმე მაინც ავაცდენდი.

შემედავნენ, უკეთესი იქნებოდა საზოგადოება სწორედ იმ პირველარსებულ წერილებს გასცნობოდა და არა იმ წერილების მიხედვით შექმნილ ნაწარმოებსო. ამ მიმოწერაში რვა თუ ათ მოქმედ პირს ერთნაირად ნატიფი ენით რომ ემეტყველათ, მიმოწერის სინამდვილე წაიშლებოდაო. როცა შევნიშნე, რომ ამ აზრს სრულიად არ ვიზიარებ, პირიქით, ამ წერილების დამწერთაგან არც ერთი მნიშვნელოვანი შეცდომების დაშვებას თავიდან ვერ აიცილებს და კრიტიკას ვერ გადაურჩება-მეთქი, მიპასუხეს, რომ ყოველი გონიერი მკითხველი, ბუნებრივია, ელის კიდევ ენობრივ შეცდომებს კერძო პირთა წერილების კრებულში, მით უმეტეს, რომ დღემდე გამოქვეყნებული სხვა სახის წერილების ავტორებიც, თუმცა საპატიო ადამიანები არიან, მათ შორის ზოგი აკადემიკოსიც კი, ამ შეცდომებს ვერ აიცილენდა. ამ დასკვნებმა ვერ დამარწმუნეს და მიმაჩნია, მათი თქმა უფრო ადვილია, ვიდრე გაზიარება. ამ შემთხვევაში მე მეტრი არ გახლ-

1. ასევე უნდა წინასწარ მოგახსენოთ, რომ ამ წერილების გმირების სახელები ზოგი ამოვიღე, ზოგი შევცვალე. და თუ ჩემ მიერ მოგონილ სახელთაგან რომელიმე ვინმეს თავისად ეცნობა, გურჩევ დასკვნას ნუ გამოიტანს, ეს მხოლოდ ჩემი უნებური შეცდომის ბრალი იქნება.



დით და ამიტომაც დავეთანხმე, ოღონდაც პროტესტის გამოთქმის და იმის განცხადების უფლება დავიტოვე, სულ საპირისპირო აზრისა ვარ-მეთქი, რაიც ჩემი წინათქმით დასტურდება.

რაც შეეხება ამ ნაწარმოების ღირსებას, იქნებ არც მეგობრის აზრის გამოთქმა, რადგან ჩემს აზრს სხვის შეხედულებებზე არ ძალუძს გავლენა იქონიოს და არც უნდა ძალუძდეს. იმ პირებს, რომელთაც წინააღმდეგობა სურვილი დაებადებათ მიახლოებით გაიგონ, რა შეიძლება გასულიყო ამ კრებულში, შეუძლიათ ჩემი წინათქმის კითხვა განაგრძონ, დანარჩენები კი უმჯობესიათვით ნაწარმოების კითხვას შეუდგნენ. მათთვის ისიც საკმარისია, რაც უკვე ვთქვი.

უპირველესად გულახდილად უნდა მოგახსენოთ, როცა სურვილი გამიჩნდა ამ წერილების გამოქვეყნებისა, წარმატების იმედი მაინც არ მქონდა. მსურს ეს გულწრფელი აღიარება რელაქტორის ყასიდ მოკრძალებად არ ჩამეთვალოს, რამეთუ ისევ გულწრფელად ვაღიარებ, რომ წერილების ეს კრებული გამოქვეყნების ღირსად რომ არ მეცნო, ამ საქმეს ხელს არ მოვკიდებდი. ვეცდები განვმარტო ეს თითქოს და წინააღმდეგობრივი აზრი.

ამა თუ იმ ნაწარმოების ღირსება ფასდება იმით, თუ რა სარგებლობა მოაქვს, ან რა სიამოვნებას გვანიჭებს, ან თუ ორივე ერთად გააჩნია. ოღონდაც წარმატება ყოველთვის როდი შეესაბამება ღირსებას. ხშირად მას შინაარსი განსაზღვრავს და არა ის, თუ როგორ არის ეს შინაარსი გადმოცემული; ხან ამ წარმატებას საგანთა ერთობლიობა განაპირობებს და არა ის, როგორ არიან ისინი ნაწარმოებში წარმოდგენილი. როგორც სათაური გვამცნობს, ეს კრებული შეიცავს არა ერთი პიროვნების წერილს, სადაც ინტერესთა ისეთი სხვადასხვაობა სუფევს, რომ ანელებს მკითხველის ყურადღებას. მეტიც, ამ წერილში გამოხატული ყოველი გრძნობა იმდენად ყალბია და მოჩვენებითი, რომ მკითხველში მხოლოდ ცნობისმოყვარეობას აღძრავს, რომელიც ნამდვილი გრძნობით გამოწვეულ ინტერესს ვერ შეედრება. ამის გამო მკითხველი აღარ არის ესოდენ მიმტვევებელი და იოლად ამჩნევს ყოველ წვრილმან შეცდომას, სამწუხაროდ, კითხვაში რომ უშლის ხელს.

ეს შეცდომები იქნებ იმ ღირსებით ქარწყლდებიან, რაიც ნაწარმოების ბუნებაში დევს. ეს სტილის მრავალფეროვნება გახლავთ. ამ ღირსებას მწერალი ძნელად თუ აღწევს, მაგრამ ის აქ თავისთავად იბადება და მკითხველს ერთფეროვნებისაგან მხსნელად ევლინება. ალბათ მრავალი მკითხველი აღმოაჩენს შიგ ცნობილ, ნაკლებად ცნობილ ან სულაც ახალ დაკვირვებებს ცხოვრებაზე, ამ წერილებში რომ არის გაბნეული. სულ ეს არის და ეს ის სიამოვნება, რასაც ეს წერილები მოგვანიჭებენ, რაგინდ დიდი შემწყნარებლობითაც არ უნდა შევაფასოთ.

ამ ნაწარმოების სიკეთე, მართალია, სადავოა, მაგრამ, ვფიქრობ, მისი დადგენა არც ისე ძნელი უნდა იყოს. ჩემი აზრით კეთილზნობას დიდ სამსახურს გაუწევს იმ საშუალებათა მხილება, რომელთა მეოხებითაც უზნეონი რყვნიან წესიერს. ეს წერილებიც ამ მიზანს ემსახურება. აქვე აღმოაჩენთ აგრეთვე ორ მივიწყებულ, მაგრამ ფრიად მნიშვნელოვან ჭეშმარიტების მაგალითს, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ცხოვრებაში მათ არც ისე ხშირად ანხორციელებენ. პირველი ის გახლავთ, რომ ქალი, ვინც უარს არ ამბობს უზნეო მამაკაცთან ურთიერთობაზე, მისივე მსხვერპლი ხდება. მეორე კი ის, რომ ყოველი დედა, ვინც არაფრად ჩაავდებს იმ ამბავს, მისი ასული მასზე მეტ ნდობას რომ უცხადებს უცხო ქალს, სიფრთხილეს მოკლებულია. ახალგაზრდა ქალ-ვაჟნი კი ამ



წიგნიდან შეიტყობენ, რომ მეგობრობა, რომელსაც უზნეო ადამიანები ასე ალღად სთავაზობენ, სახიფათო და საბედისწერო მახუა, როგორც მათი ბედნიერებისა, ასევე მათი ზნეობისათვის. თუმც იხილავს გასათვალისწინებელია, რომ სიკეთეს ისე ხშირად ახლავს ბოროტება, რომ სახიფათოდ მიმაჩნია ამ კრებულსა თუ საერთოდ მის მსგავს ნაწარმოებთა მიწოდება ახალგაზრდობისათვის.

დადგება დრო, როცა ეს წიგნი აღარ იქნება სახიფათო და სიკეთეს მოემსახურება. ყველა სწორად გაიგებს მას განურჩევლად სქესისა. ერთმა ლირსულმა დედა ქალმა, არა მარტო წინდახედულმა, არამედ გონიერმაც. ჩინებულად განსაზღვრა ეს, როცა გაეცნო ამ წერილების ხელნაწერს და მითხრა: „ჩემს შვილს ჭეშმარიტ სამსახურს გავუწევ, თუ ამ წიგნს საჩუქრად გადავცემ მისი ქორწინების დღეს“. თუ ყველა ოჯახის დედა ასე იფიქრებს, ამ კრებულის გამოქვეყნებით მუდამ ბედნიერი ვიქნები.

და მაინც ვფიქრობ, მიუხედავად ამ სანაქებო ვარაუდისა, წერილების ეს კრებული ბევრმა შეიძლება დაიწუნოს. გარყვნილ მამაკაცებსა თუ ქალებს სურვილი დაებადებათ სახელი გაუტეხონ ამ ნაწარმოებს, რამეთუ იგი მათ ზიანს მოაყენებს. ასეთ ადამიანებს მოხერხება არ აკლიათ და შესძლებენ კიდევ მოიმხრონ რიგორისტები, ისედაც აღშფოთებულნი აქ აღწერილი უზნეობის სურათებით.

ეგრეთწოდებულ თავისუფლად მოაზროვნეთ ღვთისმოსავი ქალი არავითარ თანაგრძნობას არ აღუძრავთ, სწორედ ამ ღვთისმოსაობის გამო მას უბადრუკ დედაკაცად მიიჩნევენ. მორწმუნენი კი აღშფოთდებიან — ზნეობრიობა დამარცხებულია, რელიგიის ძლევა მოსილება თავის სიმაღლეზე არ ღვასო.

მეორე მხრივ, დახვეწილი გემოვნების მკითხველთ არ მოეწონებათ წერილების უბრალო და არასწორი სტილი, ხოლო საშუალო მკითხველი, დარწმუნებული იმ ამბავში, დაბეჭდილი წიგნი მხოლოდ ნაყოფია მწერლის შრომისაო, დაიჯერებს იმას, რომ ავტორი ნაძალადევი სტილით ალაპარაკებს მათ, ნაწარმოების გმირებს ამოფარებული, რაიც ზოგიერთ წერილში მან კიდევ შეამჩნია.

დაბოლოს იქნებ საკმაოდ ერთსულოვანი აზრიც გამოითქვას, რომ ყველაფერი კარგია თავის ადგილზე, და თუ ავტორთა მეტისმეტად გაშალაშინებული სტილი თრგუნავს კერძო პირთა წერილების ბუნებრივობას, მაშინ ის დაუდევრობანი, რომლებიც ხშირადაა გაბნეული ამ წერილებში, ნამდვილ შეცდომებად წარმოგვიდგება და წიგნი ძნელად წასაკითხი ხდება.

გულახდლილად მოგახსენებთ, რომ ყველა შენიშვნა შესაძლოა მართლაც საფუძვლიანი იყოს. მჯერა ისიც, რომ შევძლებ მათ ისე ვუპასუხო, ჩემი წინათქმის ჩარჩოებს არ გავცდე. მაგრამ თუ ყველაფერზე პასუხი უნდა გავცე, ეს იმას ნიშნავს, რომ თვით ნაწარმოებმა ვერ შეძლო პასუხის გაცემა. ოღონდაც ასე რომ ვსჯიდე, მაშინ წინასიტყვაობასაც და წიგნსაც გავანადგურებდი.

## 1-ი წერილი

სესილ კოლანჯი სოფი კარნეს  
...ის ურსულინთა მონასტერში

ხომ ხედავ, ჩემო კარგო მეგობარო, სიტყვის პატრონი ვარ, მხოლოდ ქულების და პომპონების ქსოვას როდი ვუნდები, შენთვისაც ვიცლი! იმასაც გეტყვი, რომ დღევანდელ დღეს იმდენი დიდებული ჩასაცმელი და მოსართავ-მოსაკაზმი ვნახე, ოთხი წლის მანძილზე მონასტერში ჩვენი ერთად ყოფნისას რომ არ



მინახავს. ვეცდები ამპარტავანი ტანვილი<sup>1</sup> გამოვიხმო და, იმედია, ჩემს დანახვაზე უფრო გასკდება გულზე, ვიდრე ჩვენ, როცა პანსიონში in fioecchi<sup>2</sup> გამოვეცხადებოდა ხოლმე. დედა ყველაფერში რჩევას მეკითხება. პანსიონის მოსწავლედ აღარ მივაჩნივარ. ეს უკვე წარსულს ჩაბარდაო, მეუბნება. საკუთარი მოახლე მყავს, ერთი ოთახი და კაბინეტიც მე მეკუთვნის. ახლა ძალზე ლამაზ სეკრეტერთან ვზივარ და ამ წერილს ისე გწერ. მისი გასაღებიც ჩამაბარეს. შიგ, რასაც მინდა, იმას ჩავკეტავ. დედამ მითხრა, ჩემი ნახვა დალაქობით შეგიძლია, როცა ვდგებიო; კიდევ მითხრა, სადილობისთვის მხოლოდ თმა დაივარცხნო კარგად, რადგან შინ მარტონი ვიქნებითო. ისიც მითხრა, მაშინ გეტყვი, საღამოობით რა დროს ვიქნებითო ერთად. დანარჩენი დრო ჩემს ხელშია. ხან არფაზე დავუკრავ, ხან დავხატავ, ხან წავიკითხავ, როგორც მონასტერში ვიქცეოდი ხოლმე. კიდევ კარგი, დედა პერპეტუე<sup>3</sup> არ არის აქ და დამტუქსავი არავინ მყავს. ეკ, შენ რომ ჩემთან იყო, სოფი, სათქმელი არ დაგველეოდა, ვიცინებდით, მაგრამ რა გაეწყობა, ისევ საქმეს მივხედავ.

ჯერ ხუთი საათი არ შესრულებულა. დედას შვიდ საათზე უნდა შევხვდე. საკმაოდ დრო კი მაქვს, მაგრამ თავად არაფერი ვიცი და შენ რა გითხრა, ჩემო კარგო. საკუთარი თვალთ რომ არ ვხედავდე ამ სამზადისს, ჩემ ირგვლივ მოფუსფუსე მკერავ ქალებს, ვერც კი დავიჯერებდი, რომ გათხოვებას მიპირებენ. ალბათ კეთილი ჟოზეფინას მოჩამახულია ყველაფერი. თუმცა დედა ხშირად მეუბნებოდა, ქალი გათხოვებამდე მონასტერში უნდა იმყოფებოდესო. რახან დედამ მანდედან წამომიყვანა, მაშ, ჟოზეფინა მართალი ყოფილა.

ეს-ეს არის ჩვენი სახლის ჭიშკართან ეტლი შეჩურდა. დედას უბრძანებია, ახლავე ჩემთან გაჩნდესო. ვაითუ ის არის? არც ჩაცმული ვარ, ვერც ხელებს ვიმორჩილებ, გულიც ძლიერ მიცემს. ჩემს მოახლეს შევეკითხე, იქნებ იცი, ვინ ეწვია-მეთქი დედაჩემს. „ეს ალბათ ის არის, ბ-ნი კ...“ — მითხრა და გაიცინა. ღმერთო ჩემო, მგონი, ის არის, ახლავე დავბრუნდები და ყველაფერს მოგიყვები, რაც მოხდება. ისევ იმ კაცზეა ლაპარაკი. ვერ დავაგვიანებ. ერთი წუთით დაგემშვიდობები.

ჰოი, რომ იცოდე, რამდენს იცინებ შენს საწყალ სესილზე! რაც მართალია, მართალია, ძალზე შევრცხვი. შენც ჩემს დღეში ჩავარდებოდი. დედასთან შევედი. მის გვერდით ერთი შავებში ჩაცმული კაცი იდგა. რაც შეიძლება ზრდილობიანად მივესალმე და ადგილზე გავშეშდი. ხომ წარმოგიდგენია, იმ კაცს თავით ფეხებამდე როგორ შევათვალთქმებდი! „ქალბატონო, — უთხრა დედაჩემს, როგორც კი მომესალმა, — რა მშვენიერი ასული გყოლიათ, ახლა ერთი-ორად ვაფასებ თქვენს სიკეთეს“-ო. ამ გულწრფელ შექებაზე ჟრუანტელმა დამიარა, მუხლთ მომეკვეთა, დავიმორცხვე და აჭარხლებული იქვე მდგარ სავარძელში ჩავესვენე. ის იყო გონს მოვეგე, რომ ის კაცი ჩემ ფერხით გაჩნდა. იცი, როგორ დაიბნა შენი საბრალო სესილი? დედამ მითხრა, ძალზე შეშინებული სახე გქონდაო... წამოვხტი და ერთი შეკვივლე, როგორც მაშინ, გახსოვს, ცამ რომ იქუხა. დედას სიცილი წასკდა და ოთახიდან გასვლისას მითხრა: „რა მოვივიდათ, სესილ? დაჯექით და ამ კაცს ფეხი გაუშვირეთ“. ჩემო სოფი, ეს კაცი თურმე მეწაღე ყოფილა. ვერ აგიწერ, როგორ შევრცხვი. კიდევ კარგი, ამ ამბავს მხოლოდ დედაჩემი შეესწრო. როცა გავთხოვდები, ამ მეწაღეს ფეხსაც-

1. მონასტრის აღსაზრდელი.
2. გამოპრანჭული.
3. მონასტრის დარაჯი ქალი.



მელს როგორღა შევაკერინებ?! რას იტყვი, ხომ ვყოფილვართ ჭკუის კოლოფები?! მოახლემ გამაფრთხილა, ექვსი საათია და ჩაცმის დროაო! მშვიდობით, ძვირფასო სოფი! ისევ ისე მიყვარხარ, როგორც მონასტერში. თითქოს ისევ შენ გვერდით ვარ.

... არ ვიცი, წერილი ვის გამოვატანო. ისევ ეოზეფინას დაველოდები.

პარიზი, 8 აგვისტო 17 წელი

### მე-2 წერილი

#### მარკიზის მეუღლე ქ-ნ დე მერტიე ვიკონტ დე ვალმონს ...-ის კოშკში

ჩამოდით, ჩემო ძვირფასო ვიკონტ, ჩამოდით! მანდ რა დაგრჩენიათ? რას უზიხართ ბებერ მამიდას, რომელმაც უკვე გიანდერძათ მთელი თავისი ავლადიდება? დაეხსენით მანდაურობას! მჭირდებით. ერთი კარგი აზრი მომივიდა. მინდა გითხრათ და მისი აღსრულებაც თქვენ მოგანდოთ. ვფიქრობ, ნათქვამადიდ ახსნა-განმარტებას აღარ საჭიროებს, რახან პატივი დაგდეთ და ჩემი არჩევანი თქვენზე შეუარჩიო. რაღას უდგებხართ, ჩამოდით და ჩემი ბრძანებანი მუხლმოყრილმა მოისმინეთ. ბოროტად ნუ იყენებთ ჩემს კეთილგანწყობას, რაკილა უკვე აღარ გჭირდებით. აღარ ვიცი, რა ვარჩიო, დაუნდობელი ვიყო თქვენ მიმართ თუ მიმტევებელი. თქვენდა ბედად სიკეთე მძლეუხ. ამიტომაც მინდა ჩემი გეგმა გაგანდოთ, ოღონდ რაინდულად შემომფიცეთ, რომ მანამ ამ საქმეს არ დაასრულებთ, სხვა სატრფიალო ფათერაკს არ გადაეყრებით. ამ საქმეს მხოლოდ გმირი შეეფერება. თქვენ სიყვარულისა და შურისძიების გამარჯვებას გაუწევთ სამსახურს. მერე რა, თქვენს შემუარებს, რომელთა დაწერას თავადაც ვაპირებ და მინდა ერთ მშვენიერ დღეს გამოქვეყნდეს კიდეც, კიდეც ერთი ნაცულ-ლუტარი! შეემატება. ეს იქით იყოს და იმ საკითხს მივუბრუნდეთ, რის გამოც წერილს გწერთ.

ქ-ნი დე ვოლანგი თავის ქალს ათხოვებს: გაფრთხილებთ, საიდუმლოა! ეს ამბავი გუშინ გამანდო. როგორ გგონიათ, სიძედ ვინ უნდა? გრაფი ჟერკური! ვინ წარმოიდგენდა, რომ მისი ნათესავი გავხდებოდი. თავზარი დამეცა, აღკ-შფოთდი... კიდეც ვერ ხედებით, რას ვაპირებ? ღმერთო ჩემო, გონს მოდით, ვიკონტ! ნუთუ ოფიცრის ცოლს დალატს აპატიებთ? ან განა მე უფრო მეტად არ მეკუთვნის მაგ ვაჟბატონის მიმართ სამღურავეი? თავს იმით ვიწყნარებ, რომ შურისძიება მაღამოსავით დამედება გულზე. ჟერკურის ახირებულმა შეხედუ-

1. საბედნიეროდ, ამჟამად წესიერ საზოგადოებაში სიტყვებს — „ცულლუტი, ცულლუტობა“ აღარ ხმარობენ, მაშინ კი, როცა ეს წერილები იწერებოდა, ძალზე ხშირად მიმართავენ.

2. ეს აღვილი რომ უფრო გასაგები გახდეს, უნდა ვიცოდეთ, რომ გრაფმა ჟერკურმა თავის დროზე მიატოვა მარკიზ დე მერტიეს მეუღლე ოფიცრის ცოლის გამო. ოფიცრის ცოლმა კი მისი გულისთვის ვიკონტ დე ვალმონი გასწირა. ეს ორმხრივი დალატი გახდა კიდეც მარკიზის მეუღლისა და ვიკონტის დაახლოების მიზეზი. რადგან ეს შემთხვევა უფრო ადრე მოხდა, ვიდრე ამ წერილებში აღწერილი ამბები, ადრინდელი მიმოწერა მთლიანად ამოვიღეთ.



ლებებმა, ცოლის შერთვასთან დაკავშირებით, ბევრჯერ გაგვაღიზიანა თქვენც და მეც. სულელურად დაუჭინია, აუცდენელს ავიცდენო. სასაცილოა პირდაპირ, იცით, რა აქვს კიდევ აჩემებული? მონასტრულ, ჩაკეტილ აღზრდას სიკეთე მოაქვსო. იცით, კიდევ რას ამბობს? ალბათ ამაზე უფრო გაგეცინებათ, ქერა ქალები უფრო თავდაჭერილნი არიანო. მერწმუნეთ, მიუხედავად ამ სამოცდაათი-ათასი ლივრის რენტისა, პატარა ვოლანგს რომ ატანენ, ჟერკური ვერ გაბედავდა მის შერთვას, შავკვრემანი რომ ყოფილიყო, ან მონასტერში არ ჰქონოდა აღზრდა-განათლება მიღებული. ვიკონტ, მოდიოთ დაუშტკიცოთ ჟერკურს, რომ დიახაც ბრიყვი და რეგენია. ეჭვი არ არის, ამაში ერთ შშვენეირ დღეს თავადაც დარწმუნდება, მაგრამ მთავარი ის არის, რომ მაგ ვაჟბატონის ოჯახურა ცხოვრება მისი ამ რწმენის გაცრუებით დაიწყო. რას ვიცინებთ მეორე დღეს, თავმოწონედ რომ მოჰყვება ტრაბახს, არადა, უთუოდ მოჰყვება. თანაც ამ გოგოს თქვენ გაანათლებთ, და მართლაც უნიათონი ვიქნებით, თუ ჟერკურს სხვებივით პარიზის ყბაში არ ჩავაგდებთ. იცოდეთ, ამ ახალი რომანის გმირი თქვენგან დიახაც დიდ მცდელობას იმსახურებს. გოგონა მართლაც ლამაზია. თხუთმეტი წლის შესრულდა. ნამდვილი ვარდის კოკორია! მართალია, ისეთი მოუქნელია, ვერც კი წარმოიდგენთ, მაგრამ მამაკაცები ხომ ამას არაფრად აგდებთ! სამაგიეროდ, ისეთი მიბნედილი მზერა აქვს, ბევრს რომ აღვითქვამთ. თან რუ დაივიწყებთ, რომ გოგონას მე ვთავაზობთ. მადლობა მითხარით და დამემორჩილეთ.

ამ წერილს ხვალ დილით მიიღებთ; მოვითხოვ, ხვალვე, საღამოს შვიდ საათზე ჩემთან გაჩნდეთ. რვა საათამდე არავის მივიღებ, ჩემს მეუფე შევალისაც კი. ამ დიდ საქმეში იგი არ გამოდგება, ჭკუა დალატობს. ხომ ხედავთ, სიყვარული არ მამბრძავენს. რვა საათზე თავისუფალი იქნებით. ათისთვის კი ისევ მეწვევით. იმ ტურფა არსებასთან ერთად ვივახშმებთ. დედა-შვილი ჩემთან ვახშმობენ. მშვიდობით, შუალამე გადასულა; მალე თქვენთვის აღარ მეცლება.

პარიზი, 4 აგვისტო 17...

### მე-3 წერილი

#### სმსილ ვოლანგი სოფი კარნეს

ჭერაც ვერაფერი შევიტყვე, ჩემო კარგო! გუშინ დედაჩემს სტუმრები ჰყავდა ვახშმად მოწვეული. მართალია, იმათმა ცქერამ გამიტაცა, მეტადრე კაცებისა, მაინც მოვიწყინე. ყველა მე მაკვირდებოდა, კაცებიც და ქალებიც; მერე ერთმანეთში ჩურჩულებდნენ. ვგრძნობდი, ჩემზე ლაპარაკობდნენ. ამის გამო ჩემდა უნებურად ვწითლდებოდი. შევამჩნიე, სხვა ქალებსაც უცქერდნენ, მაგრამ ამას არც ერთი არ გაუწითლებია, იქნებ შეღებილი ლოყების ქვეშ იმალებოდა მათი სიწითლე? მოდი და ნუ გაწითლდები, როცა მამაკაცი ასე ჯიქურ გიცქერს.

იცო, რაზე ვწუხდი? მინდოდა გამეგო, რას ფიქრობდნენ ჩემზე. ორჯერ, სამჯერ ყურიც მოვკარი სიტყვას „ლამაზიო“; გარკვევით კი სიტყვა „მოუქნელიაო“ გავიგონე. ალბათ ასეც არის, რადგან ამ სიტყვის მოქმელი ქალბატონი სიმართლეს იტყოდა, — დედაჩემის ნათესავიც არის და მეგობარიც. ჩემ მიმართ კეთილად განეწყო და იმ საღამოს მხოლოდ ის გამომელაპარაკა. ხვალ ვახშმად ვარს მასთან მიწვეული.

ვახშმობის შემდეგ, იცი, კიდევ რა გავიგე? ერთი კაცი მეორეს ჩემზე ეუბ-



ნებოდა: „დავაცადოთ დაქალღეს და მერე, ზამთარში ვნახოთ“. იქნებ ეს კაცია ჩემი მთხოვნელი? ზამთრამდე კიდევ ოთხი თვეა დარჩენილი. ვიცოდე მაინც სიმართლე.

აი, ფოზეფინაც გამოჩნდა. ეჩქარება, მაგრამ იქნებ მოვასწრო და ჩემს სახითირო საქციელზე კიდევ ერთი ამბავი მოგიყვე. მგონი, დედაჩემის მეგობარი ქალი მართალია, რას ვერჩი?!  
ეროვნული

ვანშობის შემდეგ ბანქოს თამაში დაიწყეს. მე დედას მივუჯექვ და ვეუბნებო, რა დამემართა. თურმე მაშინვე ჩამძინებია. ხარხარმა გამომადვიდა. არ ვიცი, ჩემზე იცინოდნენ თუ არა, მგონი, რომ ჩემზე. კიდევ კარგი, დედამ უფლება მომცა წავსულიყავი, და ძალიანაც გამახარა. მეთორმეტე საათი დაწყებულა, ვვიანი ყოფილა.

მშვიდობით, ჩემო ძვირფასო სოფი, კვლავაც გიყვარდეს შენი სესილი. დამიჯერე, ეს ძალიან საზოგადოება არცთუ ისე მოსაწონი ყოფილა, როგორც გვეგონა.

პარიზი, 4 აგვისტო 17...

### მე-4 წერილი

#### ვიკონტ და ვალმონი მარკიზის მეუღლე ე-ნ და მირტიის

მომწონს თქვენი ბრძანებანი, კიდევ უფრო მზიბლავს მათი კილო. კაცს მტარვალობისკენ უბიძგებთ. მოგეხსენებათ, პირველად არ ვნანობ, თქვენს მონა-მორჩილი რომ აღარ ვარ. თუმც „ურჩხული“ მიწოდეთ, მაგრამ მუდამ სიამოვნებას მგვრის იმ დროის გახსენება, როცა მწყალობდით და ამაზე უფრო სააღერსო სიტყვებით მამკობდით. ხშირად ისიც მიფიქრია, კვლავ დამემსახურებინა თქვენგან ეს ქათინაურები და ამით საზოგადოებისათვის ერთგულების მაგალითი გვეჩვენებინა; მაგრამ ახლა უფრო დიდი მიზნები გვიხმობს! ადამიანთა სულის დაპყრობა — ჩვენი ხვედრია. დავემორჩილოთ ბედისწერას. იქნებ ცხოვრების ბოლოს კიდევ შეგვახვედროს ერთმანეთს, რადგან საწყენად არ მიიღოთ, ჩემო მშვენიერო, და ასეა თუ ისე, ამ გზაზე უკან არ ჩამომრჩებით. მას შემდეგ, რაც საზოგადოების დასამშვიდებლად ერთმანეთს დავშორდით და თითოეული ჩვენთაგანი ცალ-ცალკე ჭეშმარიტ რწმენას ვქადაგებთ, ვიცი, სიყვარულის მქადაგებლის კვალობაზე ჩემზე მეტი ხალხი მოაქციეთ. მამა ზეციერი ჩვენი საქციელის განმსჯელი რომ ყოფილიყო, ალბათ რომელიმე დიდი ქალაქის წმინდა მფარველად აღგასრულებდათ, თქვენს მეგობარს კი, პა-პა, ერთი სოფლის წმინდა კაცად შერაცხდა. ჩემი ასეთი სიტყვები ალბათ გაოცებთ კიდევ, მაგრამ ერთი კვირაა სულ ასეთ ლაპარაკს ვისმუნ და თავადაც ქადაგად ვიქეც. მიზნად, იცით, რა მაქვს? ამ წმინდა საქმეს დავუფლო, ამიტომ საკუთარ თავს უნდა ვძლიო და თქვენი აზრი არ გავიზიარო.

ნუ განმირისხდებით და მომისმინეთ, ჩემო გულის მესაიდუმლევ. მინდა ისეთი გეგმა გაგანდოთ, როგორიც არასოდეს ჩამიფიქრებია. თქვენ კი რას მთავაზობთ! შევაცდინო პატარა, უცოდველი გოგო, რომელსაც ჭერ ცხოვრებაში არაფერი უნახავს და არაფერი იცის. ის ხომ ალბათ წინააღმდეგობასაც არ გამოწევს. მამაკაცის პირველი შეხება თავბრუს დაახვევს, ცნობისმოყვრეობა უფრო აცდუნებს, ვიდრე სიყვარული, და უნებურად ჩამბარდება. ამ საქმეს სხვა მამაკაცებიც ჩემზე ნაკლებად არ მოუვლიან. ჩემი ზრახვა კი ახლა სულ სხვაა. ამ



საქმის წარმატება სახელსაც მომიხვეჭს და სიამოვნებასაც მომანიჭებს. ეს სიყვარული გვირგვინს მიმზადებს, ოღონდ ჯერ ვერ შეურჩევია, მურტისა დამადგას თუ დაფნის... ან იქნებ ორივესი ერთად მომიწნას გამარჯვების აღსანიშნავად?! აი, ნახეთ, ჩემო მშვენიერო, თუ უფრო მეტად არ დამაფასოთ და არ თქვათ — აი კაცი, მე რომ მომწონსო.

ხომ გეცნობათ პრეზიდენტის ცოლი, ქ-ნი დე ტურვედრე! მოგუხხუნიებათ, როგორი ღვთისმოშიშია, როგორი ქმრის ერთგული, მკაცრი მშენებლების მქონე. აი, ვისზე მიმაქვს იერიში, აი, ვინ არის ჩემი ღირსეული მოწინააღმდეგე. აი, მიზანი, რისკენაც ვისწრაფვი!

**და თუკი ჩემსას ვერ აღვასრულებ,  
კადნიერება პატივს მაინც მომიხვეჭს.**

მაგალითისთვის ეს უნიჭო ლექსიც შეიძლება გამოდგეს, რაკი ამ სტრიქონების ავტორი დიდი პოეტია.<sup>1</sup>

გაცნობებთ, რომ თვით პრეზიდენტი რომელიღაც ფრიად მნიშვნელოვანი სასამართლო პროცესის გამო ბურგუნდიაში იმყოფება. (ვეცდები კიდევ უფრო მნიშვნელოვანი რამ დაეაკარგვინო). უნუგეშოდ დარჩენილი მისი მეორე ნახევარი კი ქვრივივით უნდა იჯდეს მთელი ეს ხანი და როგორმე დრო გაიყვანოს. ყოველ ცისმარე დღეს ჯერ წირვა-ლოცვაზე მიდის, მერე ღარიბ-ღატაკთ ნახულობს, დილის და მწუხრის ლოცვებს აღავლენს, მერე განმარტოებით სეირნობს, მერე მოხუც მამიდაჩემს ზეციურ სამყაროზე ებაასება, ხან ბანქოს უღიმღამო თამაშით იქცევს თავს. მე კი მას ამაზე დიდ გასართობს ეპირდები. ჩემმა კეთილმა ანგელოზმა აქ იმიტომ მომიყვანა, რომ ორივე გაგვაბედნიეროს, ისიც და მეც. მე უგუნურს კი ის ოცდაოთხი საათიც შენანებოდა, თავაზიანობისთვის რომ უნდა შემეწირა. ახლა კი სასჯელი იქნება ჩემთვის პარიზისკენ პირი ვიბრუნო. კიდევ კარგი, ვისტის თამაშს ოთხი კაცი ესაჭიროება. ერთი — აქაური მღვდელია, მეც ამიტომ მაიძულებს ჩემი მათუსალა მამიდა, ჩემი ხათრით კიდევ რამდენიმე დღე დარჩიო. ალბათ მიხვდებით, რომ დავეთანხმე. ვერ წარმოიდგენთ, რა ტკბილად შექცევა მას აქეთ პრეზიდენტის ცოლი. მეტადრე ის უხარია, რომ წირვა-ლოცვაზე დავყვები. წარმოდგენა არა აქვს, იქ რომელ ხატებას ვეთაყვანები.

უკვე ოთხი დღეა, რაც ასე ძლიერ გამიტაცა გრძნობამ. კარგად მოგეხსენებათ ჩემი ბუნება: თუ სურვილი შემიპყრობს, წინ ვერაფერი გადამეღობება. თქვენ არ იცით, როგორ ახელებს თურმე სურვილს განმარტოება. მხოლოდ ერთი ფიქრი მიტრიალებს. მთელი დღე ამაზე ვფიქრობ, ღამე კი სიზმრად ვხედავ. შალე უნდა დავუფლო ამ ქალს, რომ სიყვარულმა სასაცილო არ გამხადოს. არავინ იცის, რას ჩაიდენ, თუ სურვილი გაგიმტყუნდა. პოი, ტკბილო ნეტარებავ, გვედრები, მომანიჭე ბედნიერება, მომეც მოსვენება! ბედნიერები ვართ მაკაცები, ქალებს რომ თავის დაცვა კარგად არ შეუძლიათ, თორემ ყურმოჭრილ მონებად გვაქცევდნენ. ახლა კი მადლიერი ვარ ყველა ადვილად ხელმისაწვდომი ქალისა და მზად ვარ თქვენ წინაშე მუხლი მოვიყარო. სწორედ აქ ვამთავრებ ჩემს მეტისმეტად გრძელ წერილს. მშვიდობით, ჩემო ყველაზე მშვენიერო მეგობარო. ნუ შემრისხავთ.

...ის კოშკიდან, 5 აგვისტო 17...

1. ლა ფონტენი. (მთარგნ. შენიშვილი).



## მე-5 წერილი

## მარკიზის მეუღლე ძ-ნი და მერტივი ვიკონტ და ვალმონს

იცით, რას გეტყვით, ვიკონტ? თქვენი წერილი თავხედობაა და სხვა არაფერი. გინდათ, რომ გამაბრაზოთ? მაგ ქალმა გონება დაგიბნელათ და ეს არის. განაწყენების ღირსიც კი არ ბრძანდებით. სულგრძელობა და გულსხმინებაც თქვენს წყენას მაგიწყებს და მხოლოდ იმ საშიშროებაზე ვფიქრობ, თქვენს მოგვლით. ჭკუის დარიგება არ გიყვართ, მაგრამ რაკი აუცილებელია, შევეცდები.

ეს რა მოგიფიქრებიათ? ქ-ნი და ტურველი გსურთ ხელში ჩაიგდოთ? სასაცილო აზრებია და მეტი არაფერი! კარგად გიცნობთ, მხოლოდ ის საქმე გიზიდავთ, რისი შესრულებაც მიუღწევლად მიგაჩნიათ. ბოლოს და ბოლოს რას წარმოადგენს ეს ქალბატონი? გეთანხმებით; ჩემო ბატონო, სწორი ნაკვთები აქვს, მაგრამ უეშხოა; ტანადაც თითქოს არა უშავს, მაგრამ მოქნილობა აკლია. ისე იცვამს, გაგვეცინება. მკერდი არ უჩანს, ნიადაგ ყელსახვევი უკეთია, თითქმის ნიკაპამდე სწვდება, თითქოს ტანზე პირდაპირ თავი დაუდგიათო. მეგობრულად გაფრთხილებთ, მაგ ყაიდის ერთი ქალიც კი საზოგადოების პატივისცემას დაგაკარგვინებთ.

ხომ გახსოვთ ის დღე, ეგ ქალბატონი შესაწირს რომ აგროვებდა სენ-როშეში, თქვენ მადლობაც კი მითხარით, ამ სანახაობას რომ შეგასწარით. ახლაც თვალწინ მიდგას, ხელგაყრილი რომ მოდიოდა გრძელთმიან, აწოწილ მღვდელთან ერთად. ყოველ ნაბიჯზე ლამის წაქცეულიყო, იმ თავის ოთხარშინიან კალათას წამდაუწუმ ხან ერთს წაჰკრავდა, ხან მეორეს. ყოველ სალამზე სახეზე აღმური ასდიოდა. ვინ წარმოიდგენდა, რომ ასეთი ქალი ვნებას ავიშლიდათ? ახლა თავად გმართებთ გაწითლება ამ თქვენს საქციელზე. გონს მოდით, ვიკონტ! პირობას გაძღვეთ არავისთან გაგამხელთ.

გარდა ამისა მოსალოდნელი უსიამოვნებანიც გაითვალისწინეთ! ხომ იცით, ვინ არის თქვენი მეტოქე? მოგეხსენებათ — ქმარი! ნუთუ ამ სიტყვაზე მაინც არ გრძნობთ თავს დამცირებულად? ო, რა სირცხვილს ჭამთ, თუ ჩაფლავდებით! ვერც წარმატება მოგიტანთ სახელს! მეტსაც გეტყვით: ნუ გგონიათ, რომ უკარება ქალი სიამოვნებას მოგგვრით. მაგ ყაიდის ქალები სიამოვნების დროსაც თავშეკავებულნი არიან და სრულ ნეტარებასაც არავის ანიჭებენ. მოზღვავებული სიამოვნება, თავდავიწყება, სიშმაგე — ეს ნეტარება მათთვის უცხოა. გაფრთხილებთ, ყველაზე ბედნიერ წუთებშიაც კი, როცა მაგ ქალბატონს ეგონება, რომ მთელი არსებით თქვენია, მაინც თავის ქმარს იგულისხმებს, თუმცა უფაქიზეს ცოლქმრული ურთიერთობისასაც კი სრული შერწყმა საყვარელ არსებასთან არასოდეს არ ხდება. უარესსაც გეტყვით: თქვენი უკარება ამასთან ერთად ღვთისმოშიშია სოფლის ქალივით. ამ თვისების გამო სიცოცხლის ბოლომდე ბავშვად დარჩება. იქნებ გადალახოთ კიდევ ეს დაბრკოლება, ოღონდ იმას კი ნუ ირწმუნებთ, რომ ამ დაბრკოლების მოსპობას შეძლებთ. თქვენ ღვთისადმი სიყვარულის მეტოქე გინდათ გახდეთ, მაგრამ შიშს, რომელსაც ეშმაკი დარაჯობს, ვერ ამოძირკვავთ. როცა თქვენს საყვარელს მოეხვევით და მისი გულის ძვერას გაიგონებთ, სიყვარულის გულის ძვერა ნუ გეგონებათ, ამის მიზეზი შიში იქნება. ეს ქალი რომ აღრე გაგვეცნოთ, იქნებ შევლოდა რამე, მაგრამ ახლა რაღა დროსია... ოცდაორი წლისაა და ორი წელია გათხოვილი ბრძანდება. დამიჯერეთ, ვი-



კონტ, თუ ქალს ეს გრძნობები დახშული აქვს, ამისთანა უჭმურს თავი უნდა გაანებოთ.

მაშ მიზეზთა მიზეზი ეს მომხიბლავი ქმნილება ყოფილა, მისი გულისთვის მეურჩებით, თავს იმარხავთ მამიდათქვენის აკლდამაში, უარს ამბობთ ისეთ საუცხოო სასიყვარულო თავგადასავალზე, დიდებას რომ მოგანიჭებდათ? ბელა ჰქონია ჟერკურს; სულ როგორ უნდა გაჯობოთ. ამას იმიტომ კი არ ვამბობ, თითქოს ნაწყენი ვიყო თქვენზე; თუმცა ამ წუთებში ძარბოვას ვგრძნობდი, რომ სულაც არა ხართ იმ სახელის ღირსი, რაც მოხვეჭილი გაქვთ. გული მეუბნება უნდობლობა გამოგიცხადოთ. ვერაფრით შევეგუები ჩემი გულის შესაძლებელ ქ-ნ დე ტურველის საყვარელი ბრძანებოდეს.

ცნობისათვის იცოდეთ, რომ პატარა ვოლანჟმა ერთ კაცს უკვე დაახვია თავბრუ. ყმაწვილი დანსენი მისთვის ჭკუას კარგავს. იმ დღეს ერთად იმღერეს. სესილი მონასტერშიც ყველაზე კარგად გალობდა. ახლა თუ ხშირად იმღერებენ ერთად, მგონი, მასთან ხმის შეწყობაზე გოგონა უარს არ იტყვის.

ეჰ, დანსენი ჯერ სულ პატარა ბიჭია. მხოლოდ არშიყობას გადაჰყვება და ხახამშრალი დარჩება. პატარა ვოლანჟი კი ცოტა უკარება ვინმეა. ასეა თუ ისე, ეს ამბავი ნაკლებად თავშესაქცევი იქნება, თუ თქვენ არ ჩაერიეთ. ისეთ გუნებაზე ვარ, ჩემს შევალღეს ალბათ მოსვლისთანავე წავეჩხუბები. ურჩევნია მოთმინება გამოიჩინოს, თორემ ამ წუთებში არაფრად მიღირს ზურგი შევაქციო. დარწმუნებული ვარ, ეს სასიკეთო აზრი რომ მომივიდეს და ახლავე ჯვარი დავუსვა ყველაფერს, ჩემი ვაჟბატონი სასოწარკვეთილებაში ჩავარდება. არადა, გამიჯნურებულის სასოწარკვეთილებაზე უკეთეს თავშესაქცევს რას იპოვის ადამიანი? ამ საქციელის გამო ჩემი შევალღე მეტყვის, ვერაგი ხარო. სიტყვა „სასტიკის“ შემდეგ ის ყველაზე უფრო სასიამოვნოდ ელაძუნება ქალის ყურს. მით უმეტეს, რომ მისი დამსახურება გაცილებით იოლია. ხუმრობა იქით იყოს და, ვეცდები მოვიშორო ეს ყმაწვილი. აი, ხედავთ, თქვენზე გაბრაზებული ვისზე ვიყრი ჯავრს! ესეც თქვენს სინდისზე იყოს. მშვიდობით, სთხოვეთ თქვენს ქალბატონ პრეზიდენტის მეუღლეს ჩემზეც ილოცოს.

პარიზი, 7 აგვისტო 17...

### მე-6 წერილი

#### ვიკონტ და ვალმონი მარკიზის მეუღლე ქ-ნ დე მერტიის

არ არსებობს ამქვეყნად ქალი, ბოროტად არ გამოიყენოს მიღწეული ძალაუფლება. თქვენ, თქვენც კი, ხშირად ესოდენ მიმტვევებელ მეგობრად რომ მიმაჩნდით, ამის უნარი დავიკარგავთ; მოურიდებლად მიტვევთ გამიჯნურებულ კაცს. ან როგორ მიძაგებთ ქ-ნ დე ტურველს, ჩემს ტრფობის სიგანს!... ასეთი საქციელის გამო მამაკაცს თავისი სიცოცხლით ვაზღვევინებდი, ქალისთვის კი ვეცდებოდი ჩირქი მომეცხო და თავი მომეჭრა, ვერამც და ვერამც ვერ გაუუძლებ ასეთ დაუნდობლობას. ჩვენი მეგობრობის ხათრით, ვთხოვთ, ავს ნუ იტყვით ამ ქალბატონზე; მანამდე მაინც, სანამ ჩემი არ გახდება. შემარგეთ ეს ქალი! ნუთუ არ იცით, რომ მხოლოდ ჩეტარებას ძალუმს დაბრმავებულს თვალი აუხილოს?

თუმცა რას ვამბობ, ქ-ნ დე ტურველს სულაც არ სჭირდება შელაძაზება. უშუალოა და ამიტომაც არის ასე მშვენიერი, თქვენ მას აუგად იხსენიებთ, ჩაცმა-დახურვა არ ეხერხებაო. მერედა რა, მორთვა-მოკაზმვა მის პიროვნებას სუ-



ლაც არ სჭირდება. ტანსაცმელი არ უხდებაო. მაღლობა ღმერთს, აქვთ ძალზე თხელი და სიფრიფანა, უბრალო ტილოს სამოსში მისი სავსე და მოქნილი ტანი შემოდლია დავინახო. მკერდს მხოლოდ მარმაში უფარავს... მართალია, მალულად ვუმხერ, მაგრამ ჩემმა მახვილმა თვალმა მაინც დალანდა მისი სხეულის მშვენიერი ნაკვთები... უმეტესელო სახე აქვსო, მეუბნებით, ან კი რამ უნდა გავხადოს მეტყველი, როცა მისი გული არაფერს აუძგერებია. არა, არა, ეს სულაც არა ჰგავს ჩვენი საზოგადოების კეკლუცებს, რომელთა მახეში ხშირად ვხვდებით ხოლმე მამაკაცები. არც იმათსავით მანჭვა-გრება სჩვევია, არ შეუძლია რომელიმე უაზრო ნათქვამს ყალბი დიმილით უპასუხოს. თუმცა ღამაში კბილები აქვს, მაგრამ მხოლოდ მაშინ იცინის, როცა სასაცილოს ხედავს. თუ ბანქოს თამაშობს, — უნდა ნახოთ, რა წრფელი გულით ხარობს, რა გულუბრყვილობა ეხატება ხოლმე სახეზე, ან როგორ ცდილობს მიეხმაროს უიღბლო მოთამაშეს. მისი მზერა წმინდაა და გულისხმიერი. სულ მცირე შექებაზე ან აღერსიან სიტყვაზე ციური სახე სიმორცხვისაგან უფაკლდება. ასე სხვის დასანახად კი არ იქცევა, თვითონ არის ასეთი. დიახ, უკარებაა, დიახ, ღვთისმოსიშია, თქვენ კაპის გამო გგონიათ, რომ ცივი და უსულგულოა. მე სულ სხვა აზრი მაქვს მახეზე. როგორი მგრძნობიარე უნდა იყოს ქალი, რომ სიყვარული იმ ქმრისთვის ვაიმეტოს, რომელიც მის გვერდით არასოდეს არ არის. ამაზე მეტი საბუთი რაღა გინდათ?

ჩვენი ერთად გასეირნება ისე წარვმართე, რომ ქალბატონი და მე თბრილის წინ აღმოვჩნდით; უნდა გადამხტარვიყავით. ქ-ნი დე ტურველი რამდენადაც მკვირცხლია, იმდენად მორცხვი და მოკრძალებული. მოგეხსენებათ, უკარებებს ეშინიათ თბრილზე გადახტომისა. სხვა გზა არ იყო, უნდა მომნდობოდა. მკლავებში მოვიმწყვდიე მორცხვი ქალბატონი; სიცილიად იქცა, როცა გადასახტომად მოვემზადე და მოხუცი მამიდაჩემი გადავიყვანე, მაგრამ როგორც კა თავად ხელში ავიტაცე, განზრახ უხერხული მოძრაობის წყალობით ხელები გადაგვეჭლო. მისი მკერდი ახლოს მივიზიდე და ვიგრძენი, როგორ უძგერდა გული. სიმორცხვის აღმურმა გადაჰკრა სახეზე. ამ ამბავმა აშკარად მიმახვედრა, გული შიშით კი არა, სიყვარულით უძგერდა. მამიდაჩემიც თქვენსავით ვერ მიუხვდა და მითხრა: „ბავშვს ეშინია“, მაგრამ ბავშვს მისმა უშუალობამ ტყუილი ვერ გააბედინა და გულუბრყვილოდ უთხრა: „არა, რას ბრძანებთ...“ ამ ერთი სიტყვით ყველაფერი ნათელი გახდა ჩემთვის. იმ წუთიდან მტანჯველი მღელვარების ნაცვლად ჩემში საამო იმედმა დაისადგურა. ეს ქალი ჩემი გახდება, მოვტაცებ უღირს ქმარს. იმ ღმერთსაც კი მოვტაცებდი, ასე რომ ეთაყვანება. პოი, რა სიამოვნებაა, მისი სინდისის ქენჯნის ხან მიზეზი რომ ხარ და ხან დამორგუნველი. სულაც არ ვაპირებ ის ცრურწმენები მოვუსპო, მის გულში რომ ჩაბუდებულა! პირიქით, ისინი უფრო შეუწყობენ ხელს ჩემს ბედნიერებას და განდიდებას. დე, სწამდეს კეთილზნეობისა, მაგრამ მე შემომწიროს იგი; დე, შეამჩნუნოს ცოდვის ჩადენამ, მაგრამ ამან ვერ შეაკავოს და ნიადაგ შიშში მყოფმა ჩემს მკლავებში შესძლოს მისი დაძლევა და დავიწყება; დე, ამაზეც თანახმა ვარ — მითხრას გაღმერთებო! ქალთა შორის მხოლოდ ის იქნება ამ სიტყვის წარმოთქმის ღირსი. მე მართლაც გავხდები ის ღმერთი, რომელიც ყველას და ყველაფერს ერჩივნება.

ვიყოთ გულახდილნი. ჩვენი წამიერი და გულგრილი ურთიერთობანი, რასაც ბედნიერებას ვუწოდებთ, მხოლოდ სიამოვნებაა და სხვა არაფერი. ვითხრათ სიმართლე? მეგონა, უკვე დამიჭკნა გული, რამეთუ გრძნობებს გადავყევი, სულ ნაადრევ სიბერეს ვუჩიოდი. მან დამიბრუნა ჭაბუკური ოცნებები. როცა მის



გვერდით ვარ, ბედნიერებისთვის სხვა სიახლოვე აღარ მჭირდება. ერთადერთი, რაც მაშფოთებს, ის არის, რომ დრო გადის და ეს თავგადასავალი შეიძლება ხელიდან დამისხლტეს, არადა, მეშინია, შემთხვევითობას მივანდო თავი. ამოდ ვიხსენებ ჩემს სითამამეს და ილბლიანობას, ვერ გამიბედავს ვამთხვიყენო. ჭეშმარიტად ბედნიერი მაშინ ვიქნები, როცა ქ-ნი დე ტურველი თავი/გადაწყვეტს ჩემი ვახდეს. ეს კი არც ისე იოლი საქმე იქნება.

დარწმუნებული ვარ, აღგაფრთოვანებთ ჩემი სიფრთხილე/სიტყვა „სიყვარული“ ჯერ მასთან არ დამცდენია, მაგრამ „ნღობა“ და „თანაგრძნობა“ უკვე ვახსენეთ. იმისათვის, რომ რაც შეიძლება ნაკლები მეცრუა, უფრო კი იმიტოს, რომ წინასწარ შემემზადებინა ქალბატონი იმ ჭორებისათვის, მის ყურამდე რომ შეიძლება მისულიყო, თვით მოვუყევი რაღაც-რაღაცები ჩემი ყველაზე გახმაურებული თავგადასავლებიდან და თავადვე დამნაშავედ შევრაცხე თავი. გაგაცნობათ, რომ ნახოთ, რა გულუბრყვილოდ მარიგებს ჭკუას. მარწმუნებს, „გარდაქმნა“ მინდა თქვენით, თუმცა წარმოდგენაც არა აქვს, რად დაუჯდება ეს ცდები. ვერ ხვდება, რომ როცა ექომაგება, მისივე თქმით, ჩემგან დაღუპულ იმ უბედურ ქალებს, წინასწარ დასტირის საკუთარ თავსაც. ეს აზრი გუშინ მომივიდა თავში ერთ-ერთი მისი ქადაგების დროს. ჰოდა, ვერ მოვიკელი სიამოვნება, შევაწყვეტინე და ვუთხარი, — ნამდვილი წინასწარმეტყველივით ქადაგებთ-მეთქი. მშვიდობით, ჩემო უმშვენიერესო მეგობარო, ხომ ხედავთ, ჯერ კიდევ სულ მთლად არ არის წასული ჩემი საქმე.

P.S. ჰო, მართლა, იმ საცოდავი შევალისი რა ისმის? სასოწარკვეთილს თავი ხომ არ მოუკლავს? სიმართლე რომ ითქვას, თქვენ ასჯერ უფრო უგულო ბრძანდებით და თავს დამცირებულად ვიგრძნობდი, თავმოყვარეობა რომ მქონოდა.

...-ის კოშკიდან, 9 აგვისტოს 17...

## მე-7 წერილი

### სესილ ვოლანჟი სოფი კარნეს!

თუ არაფერს გწერ ჩემი გათხოვების შესახებ, ეს იმიტომ, რომ რაც პირველ დღეს შევიტყვე, ეს არის და ეს. ვცდილობ ამაზე აღარ ვიფიქრო და ვიცხოვრო ისე, როგორც ადრე. სიმღერასა და არფაზე დაკვრას ვსწავლობ. მგონი, ეს ორივე უფრო მეტად შემეყვარდა, რაც მასწავლებელი აღარა მყავს ან, უფრო სწორად, უკეთესი შევიძინე. ეს შევალის ბატონი დანსენი გახლავთ, ხომ გახსოვს, რომ მოგწერე, ერთად ვიმღერეთ-მეთქი ქ-ნ დე მერტეისთან. ყოველდღე სიამოვნებით მოდის ჩვენთან და მთელ დროს სიმღერას ვანდომებთ. მეტი-მეტად თავაზიანია, ანგელოზივით გალობს, თანაც ლამაზ ჰანგებს თხზავს, სიტყვებსაც თვითონ წერს. აფსუს რომ, მალტელი რაინდია! როცა დაოჯახდება, მისი ცოლი უთუოდ ბედნიერი იქნება... ისეთი თბილი და სათნო ადამიანია, ქათინაურები არ უყვარს, მაგრამ ალერსიანი ლაპარაკი იცის. რაზედაც არ უნდა

1. ბოროტად რომ არ გამოვიყენოთ მკითხველის მოთმინება, ამ ყოველდღიური მიმოწერიდან ბევრი წერილი ამოვიღეთ. ვაქვეყნებთ მხოლოდ მათ, ყველაზე მეტად რომ განაპირობებენ იმ წრის ყოფას, სადაც ეს ამბები ხდება. ამავე მიზეზით ამოღებულია სოფი კარნეს ყველა წერილი და ასევე ამ თავგადასავლის სხვა მონაწილე გპირთა ბევრი სხვა წერილიც (ავტ. შენიშვ.).



მაძლევედეს შენიშვნას, მუსიკა იქნება ეს თუ სხვა რამ, ისეთი თანაგრძნობით და ხუმრობით მეუბნება, არ შეიძლება მაღლიერი არ დარჩე; ისეთი ყურება იცის, თითქოს რაღაც სასიამოვნოს გეუბნებოდ, თანაც ისეთი მომხიბლაუია! მაგალითად, გუშინ, რომელიღაც დიდ კონცერტზე იყო მიპატაჟებული, მან კი დედა ჩემთან არჩია დარჩენა. ამან ძალზე გამახარა, იცი, რატომ? როცა დახსენი აქ არ არის, არავინ შელაპარაკება და მოწყენილი ვარ, თუ ჩვენთან არის, ერთად ვმღერით და ვსაუბრობთ ხოლმე. სათქმელი არ ელევა. შევალე და ვხედავ, რომ ჩემი დე მერტივი ყველაზე სასურველი ადამიანები არიან ჩემთვის. მშვიდობით, ჩემო კარგო, შეპირებული ვარ, რომ დღეისათვის ერთ პატარა არიას ვისწავლი. ძალზე ძნელი აკომპანიმენტი აქვს. მინდა სიტყვის პატრონი ვიყო. სანამ მოვა, ვიმეცადინებ.

...კოშკიდან, 7 აგვისტო 17...

### მე-8 წერილი

#### არეზიდენტის მეუღლე ქ-ნი დე ტურველი ქ-ნ დე ვოლანჟს

ძალზე მოხარული ვარ იმ ნდობისათვის, ჩემ მიმართ რომ გამოიჩინეთ. მთელი სულით და გულით ვისურვებთ თქვენი ასულის კარგად დაბინაჯებას, მას კი ბედნიერებას, რასაც, დარწმუნებული ვარ, იმსახურებს. თქვენი წინდახედული ხასიათის იმედი მაქვს. მე არ ვიცნობ გრაფ დე ჟერკურს, მაგრამ რაკი პატივი დადეთ და აირჩიეთ, ვფიქრობ, საუკეთესო არჩევანი უნდა იყოს. ვისურვებდი, რომ ეს ქორწინება ისეთივე ბედნიერი ყოფილიყოს, როგორც ჩემი გახლავთ, სადაც ასევე თქვენი ხელი ურევია და ამ სიკეთისთვის დღითი დღე უფრო მეტი მაღლიერებით ვიმსჭვალე თქვენდამი. დე თქვენი ასულის ბედნიერება სამაგიერო ჯილდოდ იქცეს იმ ბედნიერებისათვის, რაც მე მარგუნეთ. მსურს ჩემი საუკეთესო მეგობარი ყველაზე ბედნიერი დედა იყოს!

ძალზე ვწუხვარ, რომ ამ გულწრფელ სურვილებს და თქვენდამი პატივისცემას მხოლოდ წერილობით გამცნობთ და არ შემოძლია, ჩემი სურვილის მიუხედავად, მადმუაზელ ვოლანჟი ძალე გავიცნო. თქვენ ხომ იმდენი დედობრივი სიკეთე მიწილადეთ, რომ იმედი მაქვს თქვენი ასულიც დასავით შემოყვარებს. გთხოვთ, ჩემგან გადასცეთ ეს ყოველივე, მანამ შესაძლებლობა არ შექნება თავად დაუუმეგობრდე.

ვიდრე ბატონი დე ტურველი არ ჩამოვა, ალბათ სოფელში დავრჩები. დიდებულ ქ-ნ დე როზმონდთან მასლაათით შევიქცევ თავს. იგი მაინც მომხიბლაუია, ხანი არ ეტყობა. ხალისიანია, მეხსიერება არ ღალატობს. ოთხმოცდაოთხი წელი მისი ასაკია, თორემ გონება ოცი წლის ქალისა აქვს.

ჩვენი განმარტობა გაახალისა მისმა ძმისშვილმა ვიკონტ დე ვალმონმა, რომელმაც პატივი დაგვლო და რამდენიმე დღე შემოგვწირა. ეს პიროვნება საზოგადოებაში სახელგატეხილი იყო, ამის გამო, მართალი ვითხრათ, ახლო გაცნობის სურვილი არა მქონდა, მაგრამ ახლა დავრწმუნდი, რომ სულაც არ არის ასეთი. აქ, სადაც ვიკონტ დე ვალმონი განრიდებულია ამა ქვეყნის ამოებას, ძალზე უბრალოდ და ქვეიანურად მსჯელობს. ყოველი თავისი შეცდომებისა და ცოდვების მიზეზად თავის თავს მიიჩნევს. საუბრის დროს ძალზე გულახდილია ჩემთან, მე კი ფრიად მკაცრ რჩევა-დარიგებებს ვაძლევ. თქვენ ხომ იცნობთ მას და ალბათ დამეთანხმებით, რომ თუ ჭეშმარიტებას უზიარება, დიდ გამარჯვებას



მიაღწევს. ოღონდაც ეჭვი არ მეპარება, მიუხედავად მისი დაპირებისა, საკმარისია ერთი კვირა პარიზში დაჰყოს, რომ სიტყვა გატეხოს. აქ გატარებული დღეები კი გარკვეულ კვალს მაინც დატოვებს. მისი ცხოვრების ყაიდით თუ ვიმსჯელებთ, ჩემი აზრით, სჯობს საერთოდ არაფერი მოიმოქმედოს. მან იცის, რომ წერილს გწერთ და მთხოვა დიდი პატივისცემით მოკითხვა გადმოძევა თქვენთვის. მეც მოგიკითხავთ, ჩემო კეთილო მეგობარო, და გთხოვთ, ნურასოდეს შეგეპარებათ ეჭვი ჩემს თქვენდამი გულწრფელ განწყობაში. და ა. შ.

...-ის კოშკიდან, 9 აგვისტო, 17...

**მე-9 წერილი**

**ქ-ნი და ვოლანტი პრეზიდენტის მიუღწევე ქ-ნ და ტურკელს**

ჩემო პატარა ლამაზო მეგობარო, არასოდეს შემპარვია ეჭვი თქვენს ჩემდამი მეგობრულ დამოკიდებულებაში; ვიცი, რა გულისხმიერიც ხართ ჩემ მიმართ, მაგრამ ჩემს საპასუხო წერილს ამ ურთიერთობის ნათელსაყოფად არ გიგზავნით. ვიმედოვნებ, ეს დამოკიდებულება სამუდამოდ გარკვეულია ჩვენ შორის, მაგრამ თავს მოვალედ ვთვლი გელაპარაკოთ ვიკონტ და ვალმონის თაობაზე.

გულახდილად გეტყვით, არ მოველოდი, თუ მის გვარს თქვენს წერილებში ამოვიკითხავდი. რა გაქვთ მასთან საერთო? თქვენ არ იცნობთ ამ კაცს, ან როგორ შეიძლება აღვირახსნილი კაცის სულს იცნობდეთ? მის იშვიათ გულწრფელობაზე მიყვებით. ამ საკითხში მართალი ბრძანდებით, ვალმონის გულწრფელობა მართლაც იშვიათი რამ გახლავთ. რამდენადაც თავაზიანი და მომხიბვლელია, იმდენად ყალბია და სახიფათო. ჯერ კიდევ ყმაწვილკაცობიდან მოყოლებული ნაბიჯი არ გადაუდგამს, სიტყვა არ უთქვამს, წინასწარ რომ არ ჰქონდეს გამიზნული. მისი ყოველი მიზანი კი უპატიოსნო ან დანაშაულებრივია. ჩემო მეგობარო, თქვენ ხომ მიცნობთ, ხომ იცით, იმ თვისებათა შორის, რომელთაც მე ვაფასებ, შემწყნარებლობა ყველაზე მეტად მიღირს. ვალმონი რომ თავისი ბობოქარი ვნებების მსხვერპლი ყოფილიყო, ისევე როგორც ბევრი სხვა ახალგაზრდა, ასაკობრივ ლტოლვებს ეცდუნებინა, თუმცა გავკიცხავდი მის საქციელს, მაგრამ შევიბრალებდი და მშვიდად დაველოდებოდი იმ დროს, როცა, საბედნიეროდ, მონანიება კვლავ დაუბრუნებდა პატიოსანი კაცის სახელს და ღირსებას, მაგრამ ვალმონი ასეთი არ გახლავთ. მისი საქციელი მისი რწმენის შედეგია. მას მარჯვედ აქვს გათვლილი ყველა სისამაგლე, რაც კი ადამიანმა შეიძლება ჩაიდინოს, ისე, რომ ამისათვის მის სახელს ჩირქი არ მოეცხოს. თავის ბოროტებასა და სისასტიკის გამო ხიფათს რომ არ გადაეყაროს, მსხვერპლად ქალებს ირჩევს. იმის ჩამოთვლას აღარ მოვეყვები, თუ რამდენი შეუცდენია, რამდენი ჰყავს გაუბედურებული.

მშვიდად და განმარტობით ცხოვრობთ და ამიტომ ამ სამარცხვინო ამბებს თქვენამდე არ მოუღწევია. ისეთ ამბებს მოგიყვებოდით, ცახცახი აგიტანდათ, მაგრამ თქვენი ალალი მზერა, სულის სარკეს რომ წარმოადგენს, რად უნდა დაბინძურდეს მსგავსი სურათებით. მწამს და მჯერა, რომ ვალმონი თქვენთვის არასოდეს იქნება სახიფათო და აგრე რიგად თავდაცვა არ დაგჭირდებათ. ერთი რამ მინდა ვითხრათ, იმ ქალთა შორის, რომელთაც ვალმონი სიყვარულს უმტკიცებდა და წარმატებასაც აღწევდა თუ არ აღწევდა, ერთი არ არის, რომ ბოლოს



და ბოლოს არ ენანოს ეს ამბავი. მხოლოდ მარკიზის მეუღლე ქ-ნი დე შერტეი გახლავთ ამ საყოველთაო წესიდან გამონაკლისი, რომელიც წინ აღუდგა და პოთოკა მისი უზნეობა. ქ-მა დე შერტეიმ ჩემს თვალში სწორედ ამით დაიმსახურა პატივისცემა და არა მარტო ჩემში. ყველამ შეუნდო ის რამდენიმე დაუფიქრებელი საქციელი, რამაც ახალდაქვრივებულს სახელი გაუტეხა!

ასეა თუ ისე, ჩემო ძვირფასო მეგობარო, ჩემი ასაკი, გამოცდილება, განსაკუთრებით კი თქვენდამი მეგობრობა ნებას მაძლევს გაუწყლოთ, რომ სხვაგვარადაა ვაღიბებოდა თუ ვაიგებენ, რომ ერთხანს თავის მამიდასა და თქვენთან ერთად ბრძანდებოდა, თქვენი სახელი მის ხელთ იქნება, ამაზე დიდი უბედურება კი რა უნდა დაატყდეს ქალს. გირჩევთ მაშინდამისი დაარწმუნოთ, ნუღარ დატოვებს ვალმონს თავისთან. თუკი იგი თავისას არ დაიშლის, თავად უნდა დატოვოთ მანდაურობა. ისე კი ვალმონს რა უნდა მანდ? რა დარჩენია მაგ სოფელში? თუ თვალს მიადევნებთ მის მოქმედებას, უსათუოდ მახვლებით, მანდ იმიტომ მოკალათდა, რადაც სისამაგლე აქვს ჩაფიქრებული და მიყრუებული ადგილი ხელს აძლევს. თუ უბედურების თავიდან აცდენას ვერ შევძლებთ, თავი მაინც დავიცვათ ამ საშინელებისაგან.

მშვიდობით, ჩემო მშვენიერო; ახლა კი ჩემი შვილის გათხოვების ამბავს გეტყვით, ქორწილი შეგვაგვიანდა. გრაფმა დე შერკურმა, ვის ჩამოსვლას ყოველდღე ველოდით, შემატყობინა, რომ მისი პოლკი კორსიკაში აპირებს წასვლას, ხოლო რადგან საომარი მოქმედებანი ჯერ არ დამთავრებულა, ზამთრამდე ვერ ჩამოვა. ეს ამბავი არ მომწონს, მაგრამ იმის იმედს კი მაძლევს, რომ გაგვახარებთ და ჯვრისწერას თქვენც დაესწრებით. ძალზე მეწყინებოდა ეს ამბავი უთქვენოდ მომხდარიყო. მშვიდობით, გწამდეთ ჩემი გულწრფელი ერთგულებისა!

P. S. გადაეცით ჩემი მოკითხვა და სიყვარული ქ-ნ დე როზმონდს და უთხარით, რომ იგი ღირსია ამ სიყვარულისა.

...დან, 11 აგვისტო 17..

**მე-10 წერილი**

**მარკიზის მეუღლე ქ-ნი დე შერტეი ვიკონტ დე ვალმონს**

ხომ არ მებუტებით, ვიკონტ? ცოცხალი ხართ? ან იქნებ ამ სიჩუმის მიზეზი ის არის, რომ თქვენი არსებობა მხოლოდ ქ-ნ დე ტურველს მიუძღვენით. ამ ქალმა ჭაბუკური ზმანებანი დაგიბრუნათ და მალე იმასაც მოახერხებს, რომ თავისი სასაცილო ცრურწმენებითაც მოგამარაგებთ. სად გაქრა თქვენი შემართება, აკი ბედი მუდამ გწყალობდათ? მშიშარა მონად იქეცით და შემთხვევითობასა თუ ახირებას მიანდეთ თავი. აღარ გახსოვთ, რომ სიყვარული წამალივითაა, მხოლოდ ბუნებას უნდა მიეხმაროს. ხედავთ, თქვენივე იარაღით გებრძვით, მაგრამ წაქცეულის ჩაწიხვლა არაა საკადრისი. თვითონ უნდა დამნებდესო— მეუბნებით; კო, რა თქმა უნდა, ასეც უნდა მოხდეს, ისიც ისევე დაგნებდებით, როგორც სხვა ქალები, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ეს უმარილო და უგემური წყალობა იქნება. ქალი რომ საბოლოოდ დაგნებდეთ, ყველაზე უტყუარი გზა,

1 ქ-ნ დე ვოლანუის ეს მცდარი აზრი იმას მოწმობს, რომ სხვა გარეწრებისაგან განსხვავებით ვალმონს თავის თანამზრახველთა გაცემა არ სჩვეოდა.



იცით, რა არის? შეტევაზე გადახვიდეთ და ისე დაეუფლოთ. სასაცილოა, მაგრამ კარგად ამტკიცებს სიყვარულის უაზრობას! სიყვარულს იმიტომ ვახსენებ, რომ თქვენ შეყვარებული ხართ. სხვა ყაიდაზე რომ გელაპარაკოთ, თქვენი ლაღი გამოძივა. გითხრათ, რა სენი გჭირთ? აბა თქვით, ნაზო მიჯნურსო, ნუთუ გჯერათ, რომ თქვენ მიერ ცდუნებული ქალები ყველა ძალით დაიმორჩილეთ? რაგინდ დიდი სურვილიც არ გვქონდეს დამორჩილებისა, მიზეზი მაინც გვჭირდება, არადა, იმაზე ხელსაყრელი მიზეზი რა გახლავთ? რისთვის უნდათ შევექმნათ, თითქოს ვნებამ დაგვიმორჩილა. ყველაზე მეტად უნდათ შეტევა და საქმის სწრაფი გახერხება მომწონს, როცა ყველაფერი წესით და რიგით ხდება, თუმც ნაჩქარევად. სამაგიეროდ ეს ხერხი თავიდან გვაცილებს იმ საჩოთირო ვითარებას, რომელიც ჩვენივე გამოსასწორებელია ხოლმე, იმის მაგივრად, რომ ჩვენდა სასარგებლოდ გამოვიყენოთ. უნდათ შეტევა გაუპატიურებას ჰგავს მაშინაც კი, როცა ჩვენივე ნებით ხდება და ჩვენს ორ სახუკვარ ვნებას—წინააღმდეგობით მოპოვებულ დიდებას და დამარცხებით მონიჭებულ სიამოვნებას უფრო აღვივებს. გეთანხმებით, რომ ეს უნარი და ნიჭი, იშვიათად რომ ვხვდებით ადამიანებში, ყოველთვის სიამოვნებას მკვირდა, მაშინაც კი, თუ თავად არ მაცდუნებდა. ხანდახან მხოლოდ იმიტომ დავნებებულვარ, ეს სიკეთე ჯილდოდ გამელო. ასე იყო ძველთაგანვე, ტურნირებშიაც ხომ ვაჟკაცობისა და სიმარჯვის ჯილდო მუდამ სილაძაზე გახლდათ.

სამწუხაროდ, თქვენს თავს აღარ ჰგავხართ, ისე იქცევით, თითქოს წარმატებისა გეშინიათ. როდემდე უნდა იართო კუს ნაბიჯებით ხან იქით და ხან აქეთ? ჰკარით ცხენს დეზი და დიდ გზას დაადექით, მაშინ გამარჯვება თქვენ ხელთ იქნება! თუმც გავანებოთ თავი ამ საკითხზე მსჯელობას, გუნებას მიფუჭებს, ამის გამო ვარ მოკლებული თქვენი ნახვის სიამოვნებას. რა მოხდება, რომ უფრო ხშირად მოიწეროთ და გამაგებინოთ, რა წარმატებებს აღწევთ. მოგეხსენებათ, ორ კვირაზე მეტია მაგ სასაცილო საქმეში გაყავით თავი და არავინ არაფრად აღარ მიგაჩნიათ.

რაც შეეხება გულგრილობას, იმათ მაგონებთ, ავადმყოფი მეგობრის ამბავს რომ კითხულობენ, მაგრამ, როგორც წესი, პასუხი არ ენალვლებათ. ბოლო წერილში მეკითხებით, ჩემი შევალთუ მოკვდა თუ არა. პასუხი არ მიიღეთ, მაგრამ ამან არც შეგაწუხათ. განა დაგავიწყდათ, ჩემი საყვარელი რომ თქვენი ძველი მეგობარია? დამშვიდდით, ცოცხალია. თუ რამ მოკლავდა, მხოლოდ და მხოლოდ მოზღვაებული სიხარული. საწყალი, იცით, რა აღერსიანია? სიყვარულისათვის არის გაჩენილი! ყველაფერი გულთან ახლოს მიაქვს! დამიჯერეთ, თავბრუ დამახვია! ჩემდამი სიყვარული სრულ ბედნიერებას ჰგვრის და უფრო და უფრო მახლოებს მასთან.

როგორ გავახარე სწორედ იმ დღეს, როცა გწერდით, თავის განებებას ვაპირებ-მეთქი! სწორედ იმაზე ვფიქრობდი, სასოწარკვეთამდე როგორ მიმეყვანა, როცა მისი მოსვლა მაუწყეს. არ ვიცი, მართლა ასე იყო თუ მსურდა ასე ყოფილიყო, ეს კია, შევალთუ არასოდეს ყოფილა ესოდენ მიმზიდველი. და მაინც უგუნებოდ შევხვდი. საცოდავს იმედი ჰქონდა, სანამ კარი ყველასთვის გაიღებოდა, ორ საათს ჩემთან გაატარებდა. მე კი ვუთხარი, წასვლას ვაპირებ-მეთქი. შემგვითხა, სადაო? პასუხზე უარი განუცხადე, ჩამაცივდა, იქ, სადაც თქვენ არ იქნებით-მეთქი, ვუპასუხე მკვახედ. მისდა საბედნიეროდ, გაოგნებისაგან ხმა ვერ ამოიღო. სიტყვაც რომ ეთქვა, ჩემი დასახული გეგმა აღსრულდებოდა — ჩვენს დაშორებას ხელს არაფერი შეუშლიდა. მისი სიჩუმით გაოცებულმა, მივხედე. გეფიცებით, მხოლოდ მისი უკმაყოფილო მხერა მინდოდა დამენახა. და-



მახ სახეზე ისეთი ღრმა და ნაზი სევდა ეხატებოდა, რომლითაც, დამეთანხმებოდა, მწელია არ მოიხიბლო. ერთი და იგივე მიზეზი ერთსა და იმავე შედეგს იძლევა. მეორედ გავწვილდი. იმ წუთიდან მხოლოდ იმას ვცდილობდი ჭაბუკს უნაკლო ქალად დავენახე. „საქმეზე მივდივარ, — დაუტკბი, — ეს საქმე თქვენს გეხებათ, მაგრამ ნურაფერს მკითხავთ. შინ ვივახშმებ, მობრძანდით და ყველაფერს გაიგებთ“. მაშინდა მოეგო გონს, მაგრამ სიტყვა არ ვათქმევინე. „ძალზე წქარობ, — დაუმატე — დამტოვეთ, საღამომდე“. ის ხელზე შეამბროტა და წავიდა.

შევალიე და თავიც კარგ გუნებაზე რომ დამეყენებინა, გადავწყვიტე მისთვის ჩემი პატარა სახლი მეჩვენებინა, რაზედაც არაფერი იცოდა. ჩემი ერთგული მსახური ქალი — ვიქტუარი მოვიხმე, ვითომდა თავი ამტკიცდა, და ლოგინში ჩავწექი, რაიც ყველა შინაურს ვამცნე. შემდეგ ნამდვილ მსახურთან მართოდ დარჩენილი, — მან ლაქიას ტანსაცმელი ჩაიცვა, — მოახლესავით გამოვეწყე. ვიქტუარმა დაქირავებული ეტლი ჩემი ბალის კართან მოიყვანა. მალე გზას გავუდექით. როგორც კი სიყვარულის ტაძრის კარი შევაღე, უმაღლეს ტანსაცმლის შერჩევას შევუდექი. პაემანისათვის ყველაზე მოხდენილ კაბაში გამოვეწყე. ეს საუცხოო ჩასაცმელი თავად გამოვიგონე. ამ სამოსში შიშველი არ ჩანხარ, მაგრამ ყველაფერი კი ილანდება. პირობას გაძლევთ, მის ნიშუს ქ-ნ დეტურველისთვის მოგცემთ, როგორც კი ამ კაბის ჩაცმის ღირსად მიიჩნევთ.

გამოვეწყე, სანამ ვიქტუარი რაღაც-რაღაც საქმეებით იყო გართული, ვკითხულობ ერთ თავს „სოფადან“, „ელოიზის“ ერთ წერილს და ლა ფონტენის ორ არაკს, რათა გავიხსენო ხმის სხვა და სხვა ტონალობა შევალიესთან საუბრისათვის. ის კი, როგორც სჩვევია, სწრაფად მიბრძანებულა ჩემს სადარბაზოსთან. მეკარემ არ შეუშვა იმ მიზეზით, რომ მე ავად ვარ. ეს პირველი სურათია. შემდეგ ჩემი ბარათი გადასცა. ბარათი, ცხადია, ჩემი ხელით არ იყო ნაწერი, მოგეხსენებათ, სიფრთხილეს თავი არ სტკივაო. შევალიემ გახსნა წერილი და წაიკითხა ვიქტუარის ხელით დაწერილი: „ბულვარზე, კაფეს წინ, ზუსტად ცხრა საათზე“. იქ რომ მოვიდა, ტანმორჩილი მსახური დახვდა, რომელიც ვერ შეიცნო, ყოველ შემთხვევაში, მას ასე ეგონა, თუმცაღა მსახური ისევ ის ვიქტუარი გახლდათ. მან აუწყა შევალიეს ეტლი გაეშვა და უკან გაჰყოლიდა. ამ რომანტიკულმა ამბავმა კიდევ უფრო გაუღვივა წარმოსახვა ყმაწვილს, რაიც სავნო არასოდეს არ გახლავთ. პოდა, როგორც იქნა, მოაღწია ჩემამდე. გაოცებამ და სიყვარულმა იგი საბოლოოდ მოაჯადოვა. გონს რომ შოგებოდა, ჭალაში გავისეირნეთ. მერე სახლისკენ წამოვიყვანე. იქ ჯერ ორ კაცზე გაწყობილი სუფრა დახვდა, შემდეგ გაშლილი საწოლი. მერე დიდებულად მორთულ ბუღუარში შევედით. იქ კი გრძნობაც და გონებაც მოვიძარჯვე, მოვეხვიე და მის მუხლებთან დავემხე. „ო, ჩემო კარგო, — ვუთხარი, — შენ რომ გამეოცებინე, იმიტომ შეგხვდი ცუდ გუნებაზე, მაპატიე ეს საქციელი. მოვინდომე ერთი წუთით მაინც დამეფარა ჩემი სიყვარული. ჩემს შეცდომებს სიყვარულითვე გამოვიხსიდი.“ თავად განსაჯეთ, რაც მოჰყვებოდა ამ ნაზ საუბარს. ბედნიერმა რაინდმა ხელში ამიტაცა და ჩემი პატიებაც ისევ იმ დივანზე აღიბეჭდა, სადაც ჩვენ ერთმანეთთან სამუდამო დაშორება ასე მხიარულად და უსაყვედუროდ აღვბეჭდეთ.

რახან მთელი ექვსი საათი ერთად უნდა ვყოფილიყავით, გადავწყვიტე ეს დრო ასევე ნეტარებით ამევსო, ამიტომაც შევეცადე მისი სიფიცხე შემენელებინა და სინაზე სიკეკლუცით შემეცვალა. მგონი, არასოდეს მიცდია ვინმესთვის თავი ასე მომეწონებინა და არც არასოდეს ვყოფილვარ საკუთარი თავით ესო-



დენ კმაყოფილი. ნავახშმევს რიგრიგობით ვიცვლიდი სახეს, ხან ბავშვივით ცელქი ვიყავ, ხან გონიერი და ჭკუაღამჯდარი, ხან გიჟმაჟი, ხან ნაზი, ხან აღვირახსნილიც კი. თავს ვიქცევდი, ვითომ ის ჰარამხანას სულთანი იყო, მე კი მისი ერთ-ერთი მხევალი, მხოლოდ სხვა და სხვა სახით. მართალია, მისი დაუსრულებელი აღერსი ერთი და იგივე ქალს ხვდებოდა წილად, მაგრამ ეს ქალი სულ სხვა და სხვა საყვარელს წარმოადგენდა.

ინათა, და ჩვენი გაყრის დროც დადგა. რაც არ უნდა ვთქვა, როგორც არ უნდა მოქცეულიყო. მაინც ვატყობდი, რომ წახვლა ესევე აუცილებელი იყო მისთვის, როგორც არასასურველი. გარეთ გამოვედით, გამომშვიდობებისას ამ ბედნიერი დღის აღსანიშნავად გასაღები ავიღე და ამ სიტყვებით მივაწოდე: „ეს გასაღები მხოლოდ თქვენ გვეკუთვნით. ტაძრის ბატონ-პატრონი მისი ქურუნი უნდა იყოს“. ამ ფანდით მოვახერხე ის ფიქრები გამებათილებინა, ამ პატარა სახლის არსებობაზე რომ გაუჩნდებოდა. კარგად ვიცნობ მას და მჯერა, გასაღებს მხოლოდ ჩემთან შესახვედრად გამოიყენებს; და თუ იმ ჭკუაზე დავდგები, რომ იქ უმისოდ წავალ, ამ გასაღების ბადალიც მაქვს. სულით და გულით უნდოდა შემდეგ პაემანს შევპირებოდი, მაგრამ ჯერ კიდევ ძალიან მომწონს და არ მინდა თავი მომაბეზროს. ზედმეტის უფლება იმ მამაკაცებთან უნდა მისცე თავს, რომელთა მიტოვებას ძალე აპირებ. მას ეს ამბები ჯერ კიდევ არ გაეგება, სამაგიეროდ, მისდა ბედად, მე ვერკვევი ორი კაცის წილ.

უკვე ღამის ორი საათია, თავზე დამათუნდა. რამდენიმე სიტყვის დაწერას ვაპირებდი და ერთი ტომი კი გამომივიდა. ერთგულ მეგობრობას სდევს ეს სიკეთე. მისი წყალობაა, რომ აქამდე ყველაზე მეტად მიყვარხართ, მაგრამ, მართალი ვითხრათ, მოწონებით მაინც შევალიე უფრო მომწონს.

...დან, 12 აგვისტო, 17...

## მე-11 წერილი

### პრეზიდენტის მეუღლე ქ-ნი დე ტურკელი ქ-ნი დე ვოლანჟს

თქვენი მკაცრი წერილი უთუოდ შემაშინებდა, მაგრამ, საბედნიეროდ, მივხვდი — შიშს კი არ მინერგავთ, ხიფათს ცდილობთ ამაცდინოთ. იმ მუხანათმა ბატონმა დე ვალმონმა, ქალებს რომ შიშის ზარს სცემს, როგორც ჩანს, ამ კომკში შემოსვლამდე დაყარა თავისი მომაკვდინებელი იარაღი! სულაც არ აწყობს გეგმებს, არც იმ თავაზიანი მამაკაცის შთაბეჭდილებას ტოვებს. მტრებიც რომ აღიარებენ. ონავარი ბავშვივით იქცევა. ალბათ სოფლის ჰაერმა მოახდინა ეს სასწაული. გარწმუნებთ, მიუხედავად იმისა, რომ მთელი დღე ერთად ვართ და თითქოს სიამოვნებს კიდევ ეს ამბავი, ერთხელაც არ წამოსცდენია სიყვარულზე სიტყვა, რის ნებასაც მამაკაცები ხშირად დაუფიქრებლად აძლევენ ხოლმე თავიანთ თავს. მასთან ესოდენ სიფრთხილე ქალს არ ესაჭიროება. ის სიფრთხილე, რაიც ყოველს მართებს, თუკი სახელის გატეხვას ერიდება, მის ირგვლივ მყოფმა მამაკაცებმა რომ უღირსი არაფერი ჰკადრონ. მასთან თავს ლაღად გრძნობ, მაგრამ ამ განწყობას ბოროტად როდი იყენებს. მართალია, ქათინაურები უყვარს, მაგრამ ისე თავაზიანად ამბობს, თვით მოკრძალებაც კი არ იუცხოვებს. ერთი სიტყვით, ძმა რომ მყოლოდა, ვინატრებდი ბ-ნი დე ვალმონის მსგავსი ყოფილიყო, იქნებ ბევრი ქალი ისურვებდა მისგან მეტ თავაზიანობას, მაგრამ



უნდა ვაღიარო, ძალზე მაღლიერი ვარ მისი, რომ სწორად სჯის და სხვა ქალებში არ ვეშლები.

ღიახ, ეს ვალმონი ფრიად განსხვავდება იმ ვალმონისგან, როგორსაც თქვენ მიხატავთ. ორივე სურათი შეიძლება ერთმანეთს ჰკავდეს, მიუხედავად იმასა, რომ სხვა და სხვა დროს არის დანახული. იგი თვითონვე აღიარებს თავის შეცდომებს, რომელთაგან ზოგი ბოროტმა ენებმა მიაწერეს. იშვილდა და ბევრია მამაკაცი, რომელიც წესიერი ქალების მიმართ ასეთი პატივისცემით იყოს განწყობილი, ასეთი ხალისით საუბრობდეს მათზე, თქვენ თავად აღნიშნავთ, ამ საკითხში იგი არ ცდებათ. მისი საქციელი ქ-ნ დე მერტეის მიმართ ამის დასტურია. იგი ამ ქალზე ბევრს გვესაუბრება, ყოველთვის ქებით იხსენებს და თან ისეთი წრფელი გულით, ვიდრე თქვენს წერილს მივიღებდი, მეგონა, მათი ურთიერთობა მეგობრობა კი არა, როგორც თვით ირწმუნებოდა, სიყვარულია-მეთქი. ახლა თავს დამნაშავედ ვგრძნობ ასეთი თამამი განსჯისათვის, მით უმეტეს, რომ ბ-ნი დე ვალმონი ყოველთვის ცდილობს ხოლმე ქ-ნ დე მერტეისადმი თავისი გრძნობა ჭეშმარიტი სახით წარმოადგინოს. უნდა ვაღიარო, მის ამ გულწრფელ საქციელს ვშმაკობად მივიჩნევდი. შეიძლება ვცდები, მაგრამ ასე მგონია, ვისაც შეუძლია ნამდვილი მეგობრობა გაუწიოს ასეთ პატივსაცემ ქალს, მისი აღვირახსნილობა გამოუსწორებელი არ უნდა იყოს. არ ვიცი, რატომ უნდა ჩავთვალო აქ მისი ესოდენ წესიერი საქციელი, როგორც თქვენ გგონიათ, არაგულწრფელად და ვირწმუნო, რომ ეს ყველაფერი რაღაც სხვა მიზნებს ემსახურება. ჩვენ ირგვლივ რამდენიმე სასიამოვნო ქალია, მაგრამ ბ-ნი დე ვალმონი იშვიათად გადის ხოლმე შინიდან, მხოლოდ დილაობით, როგორც თავად ამბობს, სანადიროდ. მართალია, ნანადირევი არც ისე ხშირად მოაქვს, მაგრამ გვარწმუნებს, ეს იმიტომ, უხეირო მონადირე ვარო. იმასაც ვიტყვით, რომ რასაც იგი ჩვენი კოშკის მიღმა სჩადის, ნაკლებად მადელვებს. თუ მოვისურვებდი ამის გაგებას, მხოლოდ იმიტომ, რომ დავრწმუნდე: თქვენ ბრძანდებით მართალი თუ, პირიქით, მე უნდა დაგაჯეროთ ჩემი აზრის სისწორეში.

მთავაზობთ, შევეცადო ვიკონტ დე ვალმონი აქედან გაემგზავროს; ეს უხერხული იქნება, ვერ შევხვდავ მამიდამისს, თქვენი ძმისწული აქედან წავიდეს-მეთქი, მით უმეტეს, მეტიმეტად უყვარს. მაინც გპირდებით, ძალზე მოწინებით და არა აუცილებლობის გამო, შემთხვევა გამოვიყენო და ვთხოვო ან მამიდამისს ან თვითონ მას. მე კი აქ ჩემი მეუღლის, ბატონი დე ტურველის ჩამოსვლამდე დავრჩები, ასე ვართ შეთანხმებულნი და ალბათ ძალზე გაცდება და მართალიც იქნება, თუკი უცებ გადაწყვეტილებას შევიცვლი.

ღიახ, ქალბატონო, ძალზე გრძელი ახსნა-განმარტება კი გამომივიდა, მაგრამ, სიმართლე ვითხრათ, თავს მოვალედ ვგრძნობ ვიკონტ დე ვალმონსაც წავადგე მისდა სასიკეთოდ. ჩემი აზრით, ეს მას სჭირდება თქვენ წინაშე. მაღლიერი ვარ იმ მეგობრული გრძნობის, რაიც ჩემ მიმართ რჩევა-დარიგებებს გკარნახობთ. სწორედ ეს მეგობრობა შთაგაგონებთ იმ სურვილს, თქვენი სესილის გათხოვების დაყოვნებასთან დაკავშირებით რომ მწერო. გულწრფელ მადლობას ვიხდით ყველაფრისათვის. თქვენ გვერდით ყოფნა ყოველთვის მსიამოვნებს, მაგრამ დავთმობდი იმისათვის, რომ მადემუაზელ დე ვოლანჟის ბედნიერება გამეგო, თუმცა განა სად იქნება ისე ბედნიერი, როგორც დედის კალთასთან, იმ დედის კალთასთან, ვინც იმსახურებს სინაზეს და პატივისცემას. ვიზიარებ მადემუაზელ დე ვოლანჟის ამ ორივე გრძნობას, ასე რომ მაახლოებს თქვენთან, და ირწმუნეთ ისინი. პატივი მაქვს ვიყო... და ა. შ.

...დან, 13 აგვისტო, 17...



მე-12 წერილი

სესილ ვოლანჟი მარკიზის მეუღლე ქ-ნ და მერტის

დედა შეუძლოდ გრძნობს თავს, ქალბატონო. არსად არ გადას/ ვერ დაუტოვებ. ამიტომ არ მექნება პატივი ოპერაში გამოყვეთ. გარწმუნებთ, წარმოდგენის ნახვაზე მეტად უფრო ის მაწუხებს, რომ თქვენთან ყოფნა არ მიხერხდება. მერწმუნეთ ასეა! იცით, როგორ მიყვარხართ! თუ არ გავიძინებო, გადაეცით შევალე დანსენის, რომ იმ კრებულს, რომელზეც მელაპარაკებოდა, შინ ვერსად მივაგენი. თუ შეძლებს და ხვალ თვითონ მომწოდის, ძალზე გამეხარდება. თუ დღეს შემოივლის, ალბათ ეტყვიან, რომ შინ არა ვართ, დედაჩემს არავის მიღება არ ხურს. იმედი მაქვს ხვალ უკეთესად იგრძნობს თავს.

პატივი მაქვს ვიყო... დ. ა. შ.

...დან, 13 აგვისტო 17...

მე-13 წერილი

მარკიზის მეუღლე ქ-ნ და მერტი სესილ ვოლანჟს

ძალზე ვწუხვარ, ჩემო მშვენიერო, რომ უნდა მოვაკლდე თქვენი ნახვის სიამოვნებას და ძალზე ვწუხვარ ამის მიზეზის გამოც. იმედი მაქვს, ეს შემთხვევა კვლავ მოგვეცემა. შევასრულებ თქვენს დავალებას შევალე დანსენისთან დაკავშირებით, უთუოდ ძალზე იწყენს დედათქვენის ავადმყოფობას. თუ ქალბატონი დე ვოლანჟი დამთანხმდება, ხვალ ვეახლები და ერთად შევუტევთ შევალე დე ბერლიოს<sup>1</sup> ბანკოს თამაშის დროს. ფულს მოვუგებთ; ამ სიხარულს ისიც დაემატება, რომ თქვენ და თქვენი თავაზიანი მასწავლებლის სიმღერას მოვისმენთ, ვისაც უთუოდ ვთხოვ ამას, თუ დედათქვენს და თქვენც საწინააღმდეგო არაფერი გექნებათ. ამას ჩემი ორივე შევალე სახელითაც გწერთ. მშვიდობით, ჩემო მშვენიერო. მომიკითხეთ ჩემი ძვირფასი ქალბატონი დე ვოლანჟი. მიიღეთ ჩემი ნაზი ამბორი.

...დან, 13 აგვისტო 17...

მე-14 წერილი

სესილ ვოლანჟი სოფი კარნეს

სოფი, გუშინ წერილი ვერ მოგწერე. არ გეგონოს, რომ ვერთობი და შენთვის ვერ მოვიცალე. დამიჯერე, დედაჩემი გახდა ავად და გუშინდლიდან მის საწოლს არ მოვშორებივარ. საღამოს, როცა საქმე მოვითავე, აღარაფრის თავი არ მქონდა. სასწრაფოდ შევწევი ლოჯინში, რათა დამეჯერებინა, რომ დღე, როგორც იქნა, დასრულდა. არასოდეს მომჩვენებია დღე ასე გრძელი. ამის მიზეზი ის არ გეგონოს, დედა არ მიყვარს. ვერ გამიგია, რა მემართება. ქ-ნ დე მერტისთან ერთად ოპერაში უნდა წავსულიყავი; შევალე დანსენიც იქ უნდა მოსულიყო. კარგად იცი, რომ ეს ორივე ადამიანი ყველაზე მეტად მომწონს. როცა ოპე-

<sup>1</sup> ეს ის შევალეა, ეინც მოიხსენიება ქ-ნ დე მერტის წერილებში.



რის დაწყების საათი დადგა, ჩემდა უნებურად გული შემეკუმშა, ყველაფერი შემჯავრდა, ისე ავტირდი, თავი ვერ შევიკავე. კიდევ კარგი, დედანემი იწვა და ვერ დამინახა. მგონი, შევალთ დანსენიც ძალზე შეწუხდებოდა! თუმცა სპექტაკლი და საზოგადოება გუნებას გამოუკეთებდა. ეს კი სხვა ამბავია!

კიდევ კარგი, დედა დღეს უკეთესად გრძნობს თავს და ქ-ნი დე მერტეი გვესტუმრება ერთ ვიღაც ბატონსა და შევალთ დანსენისთან ერთად. ქ-ნი დე მერტეი ყოველთვის იგვიანებს, დიდხანს მართო ყოფნა კი ძალზე მძინარეს ბეჭობს. ჯერ თერთმეტი საათიც არ არის. ისე კი არფაზე უნდა დავეუკრა, ახლა მოწესრიგებასაც ხომ სჭირდება დრო. დღეს მინდა თმა კარგად მქონდეს დავარცხნილი. დედა პერპეტუო მართალია, — კეკლუცობა საზოგადოებაში გამოსვლისთანავე იწყებაო. ეს რამდენიმე დღეა ისეთი ლამაზი მინდა ვიყო, როგორც არასდროს. მგონი, ისე მაინც ვერ გამოვიყურები, როგორც მეგონა. თანაც ლოყებშედებილი ქალების გვერდით სულ აღარ ვჩანვარ. მაგალითად, ქ-ნი დე მერტეის გვერდით ვიღაც ვახსოვარ. მამაკაცებს ჩემზე ლამაზად მიაჩნიათ, მაგრამ სულაც არ მწყინს, იმიტომ რომ ძალზე ვუყვარვარ. იცი, კიდევ რას მეუბნება ქ-ნი დე მერტეი? თურმე შევალთ დანსენის უთქვამს, თქვენზე ლამაზიაო, რა კეთილშობილი ქალია, არა, ეს რომ მითხრა. მგონი, გახარებულიც კი იყო. მისი, მართალი ვითხრა, არ მესმის. ალბათ მასაც ძალზე ვუყვარვარ და იმასაც... როგორ მიხარია; იცი, კიდევ რას ვგრძნობ, დანსენის რომ ვუმზერ, უფრო ლამაზი ვხდები. თვალს არ მოვაშორებდი, იმის შიში რომ არ მქონდეს, მის მზერას არ წავაწყდე-მეთქი. როცა ეს ხდება, სულძთლად ვიბნევი და თითქოს რაღაც მეტკინება ხოლმე გულში, თუმცა ეს არაფერია.

მშვიდობით, ჩემო ძვირფასო მეგობარო; გავიქცევი, თავს უნდა მივხედო. ისევ ისე მიყვარხარ.

პარიზი, 14 აგვისტო 17...

**მე-15 წერილი**

**ვიკონტ დე ვალმონი მარკიზის მეუღლე ქ-ნი დე მერტეის**

ჩემი სავალალო ბედის ანაბარა რომ არ მტოვებთ, ეს თქვენს კეთილშობილებაზე მეტყველებს. აქაურმა მოსაწყენმა და ერთფეროვანმა ცხოვრებამ ძალზე დამლალა. მეტისმეტი მოსვენებული ყოფით ქანცი გამიწყდა. რა წავიკითხე თქვენი წერილი, კერძოდ, იმ წარმტაცი დღის აღწერა, ერთი ორჯერ მაინც განვიზრახე რაიმე საქმე მომედო მიზეზად და თქვენთან გამოვფრენილიყავ, მუხლებში ჩავვარდნოდით და შეგხვეწნოდით გელაღატათ თქვენი შევალთესთვის, საცა სამართალია, სულაც არ იმსახურებს ასეთ ბედნიერებას. გამოგიტყდებით და მის მიმართ შურით ვივსები. რა სამუდამო განშორებაზე მელაპარაკებით? უარს ვამბობ იმ ფიცზე, ბოდვის დროს რომ წამომცდა. ღირსიც არ ვიქნებოდით იმ ფიცისა, თუ მას აღვასრულებდით. ო, ნეტავ შემეძლოს თქვენს მკლავებში მომწყვდუღულმა ერთ დღეს ჯავრი ამოვიყარო იმ უნებური შურის გამო, რომელიც შევალთეს ბედნიერებამ აღმიძრა. გამოგიტყდებით და აღშფოთება მეუფლება იმის გაფიქრებაზე, რომ ეს კაცი ყოველგვარი ტვინის ჭყლეტის გარეშე, ხელის გაუნძრევლად, მხოლოდ გულისთქმას აყოლილი აღწევს იმ ნეტარებას, ჩემთვის რომ მიუღწეველი გახლავთ. ო, კაცი არ ვიყო, თუ არ მოვეუშალე ეს ბედნიერება. ნუთუ თქვენ თვითონ არ გრძნობთ თავს დამცირებულად? ცდილობთ მოატყუოთ, თვალი აუხვიოთ, ის კი თქვენზე ბედნიერია. გგო-



ნიათ, გამოიჭირეთ? მე პირიქით მგონია! მას მშვიდად სძინავს, თქვენ კი მის სიამოვნებაზე ფიქრში ღამეს ათენებთ. მისი მხევალი მონაც კი ამაზე მეტს ვერას მოიმოქმედლა.

იცოდეთ, ტურფა მეგობარო, როს თქვენს გულს მრავალს უნაწილებთ, შურის ნატამალიც არ იბუდებს ჩემში. თქვენი საყვარლები მხოლოდ ალექსანდრე დიდის შემკვიდრეთ მაგონებენ, ძალა რომ არ ჰყოფნით. სადაც მე ერთი ვმეფობდი; მაგრამ რომ მართო ერთს მიეკუთვნებოდა, მაგრამ არასდროს ჩემებრ ბედნიერად, ამას ვერ მოვითმენ, ვერა და ვერა! ნურც გექნებათ ამის იმედი! ან მე დამიბრუნდით, ან ეინმე სხვა გაიჩინეთ. რაღაც ახირების გამო ნუ უღალატებთ იმ წმინდა მეგობრობას, ერთმანეთს რომ შევფიცეთ.

უამისოდაც საკმაო მიზეზი მაქვს ვიწუწუნო სიყვარულზე. ხომ ხედავთ, თქვენსავით დავიწყე ფიქრი და ჩემს შეცდომებს ვაღიარებ. თუ შეყვარებული ის კაცია, ვისაც სიცოცხლე არაფრად უღირს, რაკი სანუკვარი არსება მას არ ეკუთვნის, ვინც სიყვარულს სწირავს მთელ თავის სიცოცხლეს, მაშინ ის კაცი მე ვყოფილვარ. მაგრამ ამით საქმე რომ წინ ვერ მიდის? თითქმის არაფერი მაქვს სათქმელი, გარდა ერთი შემთხვევისა, რომელმაც საკმაოდ ჩამაფიქრა. ჯერჯერობით არ ვიცი, ამ შემთხვევამ შიში უნდა მომგვაროს თუ იმედი ჩამისახოს.

ხომ იცნობთ ჩემს ეგერს, ჭეშმარიტ საუნჯეს ხრიკების საქმეში. დასტურ მსახურს კომედიიდან. ალბათ ხედებით, რომ დავალებული აქვს მოახლეს გაუმიჯნურდეს და სხვა მსახურები გამოათროს. ის თაღლითი ჩემზე უფრო ბედნიერია. საქმე უკვე გაჩარხა. გაიგო, რომ ქ-მა დე ტურველმა ერთ-ერთ თავის მსახურს დაავალა მე მითვალთვალოს, დილაობით სეირნობისას უკან გამომყევს და ეს ყველაფერი ჩემს შეუმჩნეველად გაახერხოს. ნეტავ რა უნდა ამ ქალს? ნუ-თუ ყველაზე მოკრძალებული ქალიც კი ბედავს იმას, რის უფლებასაც ჩვენ თავს ძნელად მივცემდით? გეფიცებით, რომ... მაგრამ სანამ იმას მოვიფიქრებდე, როგორ ვიძიო შური ამ ქალურ უშმაკობაზე, იქნებ ვეცადოთ და გამოვნახოთ ის საშუალებები, ეს ამბავი ჩვენდა სასიკეთოდ მოეატრიალოთ. დღემდე ამ საეჭვო გასეირნებებს არავითარი მიზანი არც ჰქონია. ახლა კი ეს მიზანი უნდა გამოვუნახო, რაიც მთელ ჩემს ყურადღებას მოითხოვს. ამიტომაც გტოვებთ, რომ რაღაცა მოვიფიქრო, მშვიდობით, ჩემო ღამაზო მეგობარო.

გწერთ ისევ ...-ის კოშკიდან, 15 აგვისტო 17..

## მე-16 წერილი

### სესილ ვოლანჟი სოფი კარნეს

ჰოი, ჩემო სოფი, რა ახალი ამბები მაქვს! მინდა გიამბო. იქნებ სწორად არ ვიქცევი, მაგრამ ვიღაცას მაინც ხომ უნდა გავანდო. მეტს ვეღარ მოვითმენ. შევალთ და ნახე ნიზე მინდა გითხრა... ვერ ავიწერ, ისე ვარ აღელვებული. არ ვიცი, საიდან დავიწყე. ხომ გახსოვს, ქ-ნ დე მერტეისთან, მასთან და დედაჩემთან ერთად ის დაუვიწყარი საღამო! რომ გავატარე, იმის შემდეგ შენთვის აღარაფერი მიაძინია, არა? ეს იმიტომ, ჩემო კარგო, რომ არავისთან არ ვაპირებდი ამაზე ლაპარაკს. ფიქრი კი იმ საღამოზე სულ და სულ მეძალებოდა. მას შემდეგ დან-

1. წერილს, სადაც ლაპარაკია ამ საღამოს შესახებ, ვერ მივაგენით. უნდა ვიგულისხმოთ, რომ საქმე ეხება ქ-ნ დე მერტეის მიერ შეთავაზებული საღამოს გახსენებას ხესილ ვოლანჟთან გაგზავნილ წინა წერილში.



სენი ისეთი სევდიანი გახდა, ისეთი სევდიანი, ვიტანჯებოდი მისი შემყურე. როცა მიზეზს ვეკითხებოდი, რატომ ხართ-მეთქი ასე დაღონებული, უარობდა ხოლმე. მე ხომ ვამჩნევდი, რაღაც მიზეზი ჰქონდა. გუშინ კიდევ უფრო მეტად ჩამოსტიროდა სახე. ამ უგუნებობამ ხელი არ შეუშალა და არ დაეზარა ჩემთან ერთად ემღერა. შემომხედავდა თუ არა, გული შეკუმშებოდა. სიმღერა რომ მოვამთავრეთ, აღარ დააყოვნა, მაშინვე ჩაკეტა არფა თავის ბუდეში, მერე გასაღები მომაწოდა და მთხოვა, საღამოს, როცა მართო დავრჩებოდი, ერთხელ კიდევ დამეკრა. სულაც არ ვაპირებდი დაკვრას, მაგრამ ისე შემეხვეწა, დავეთანხმე. ამ თხოვნას თავისი მიზეზი ჰქონია. მართლაც, როცა ჩემს ოთახში შევედი და მოახლევ გარეთ გავიგულე, არფის ასაღებად გავემართე. სიმებს შუა წერილი შევამჩნიე, დაბეჭდილი კი არა, მხოლოდ მოკეცილი. ბარათი მისგან იყო, ო, რომ იცოდე, რას მწერს! რაც ეს წერილი წავიკითხე, ისეთი გახარებული ვარ, სხვა ვერაფერზე ვფიქრობ. წერილი ოთხჯერ ზედიზედ გადავიკითხე, დავიზებირე. მერე კი სეკრეტერის უჯრაში საგულდაგულოდ ჩავკეტე. ლოგინში რომ ჩავწექი, გუნებაში იმდენჯერ გავიმეორე, ძილი დამიფრთხა. როგორც კი თვალს მივლულავდი, თვალწინ დანსენი დამიდგებოდა და იმას მეუბნებოდა, რაც წერილში ეწერა. შუაღამე გადასული იყო, რომ ჩამეძინა. გამელვიძა თუ არა (ის ის იყო ინათა), ისევ ამოვიღე წერილი, რათა თავისუფლად ხელახლა გადამეკითხა. მერე წავიღე, ლოგინში შევწექი და ბარათს კოცნა დავუწყე, თითქოსდა... იქნებ წერილის კოცნა არც მმართებდა, მაგრამ თავი ვერ შევიკავე.

ახლა, ჩემო კარგო, რამდენადაც ბედნიერი ვარ, იმდენად აფორიაქებულიც. ვიცი, წერილზე პასუხი არ უნდა გავცე, მაგრამ ის რომ მემუდარება? რა ვქნა, როგორ მოვიქცე! თუ პასუხს არ მივწერ, ვიცი, ისევ დაღონებული იქნება. მეცოდება! რას მირჩევ? თუმცა შენც ჩემსავით არაფერი გაგეგება. იქნებ ქ-ნ დე მერტეის დაველაპარაკო, ძალზე ვუყვარვარ. ოღონდაც კი დანსენი დამშვიდდეს! ისიც არ მინდა ცუდად მოვიქცე. სულ იმას გვიჩინებენ — გულისხმიერები იყავითო, ხოლო როცა საქმე მამაკაცს ეხება, გვიკრძალავენ ისე მოვიქცეთ, როგორც გული გვკარნახობს. სულაც არ არის სწორი. განა მამაკაცი არ შეიძლება იყოს ისეთივე ახლობელი, როგორც ქალი, ან იქნებ უფრო ახლობელიც? აღამიანს ხომ დედაც ჰყავს, მამაც, ძმაც და დაც, და ამასთან ქმარიც. თუ სწორად არ მოვიქცევი, ბატონ დანსენისაც შეეცვლება ჩემზე აზრი! ამას მირჩევნია ისევ დაღონებული დარჩეს. ბოლოს და ბოლოს დრო კიდევ მაქვს. მან ხომ გუშინ მომწერა. აუცილებელი არ არის დღესვე გავცე პასუხი. ქ-ნი დე მერტეი ხომ უნდა მოვინახულო ამ საღამოს, ჰოდა, გამბედაობა თუ მეყო, ყველაფერს მოვუყვები. როგორც დამარიგებს, ისე მოვიქცევი. მაშინ ჩემს თავს აღარ დავემღურები. იქნებ მირჩიოს კიდევ სულ პაწაწინა პასუხი გავუგზავნო, რომ გუნებაზე მოვიდეს! ო, რომ იცოდე, რარიგ ვიტანჯები.

მშვიდობით, ჩემო კეთილო, მომწერე შენი აზრი.

...დან, 19 აგვისტო 17...

### მე-17 წერილი

#### შევალიე დანსენი სესილ ვოლანჟს

არ ვიცი, სიხარული მაწერინებს ამას თუ აუცილებლობა, ოღონდ გვედრებით მომისმინოთ, სანამ გავბედავ და გულს გადავიშლით. ვიცი, თქვენი შეწყნარება დამჭირდება. მხოლოდ ჩემი გრძნობების გამართლება რომ მდომებოდა, შეწყნარებას არც მოვითხოვდი. სხვას რას ვაპირებ, თუ არა იმას, დაგა-



ნახოთ თქვენივე სამოქმედარი. რა გითხრათ იმაზე მეტი, რაზეც ჩემმა მზერამ, საქციელმა, შეკრთობამ თუ დუმილმა არ მიგანიშნათ? ან რატომ უნდა გამირისხდეთ, თუ სიყვარულით თქვენვე ამანთეთ? ეს გრძნობა ღირსაა გამხელისა, რამეთუ მისი წყარო თქვენვე ბრძანდებით. თუ ის ჩემი გულივით მწველია, სამაგიეროდ თქვენი გულივით წმინდაა და წრფელი. განა დანაშაულად უნდა ჩამეთვალოს, რომ მოვიზიბლე თქვენი მშვენიებით, ნიჭიერებით და იმ უმწიკვლობით, თქვენს თვისებებს რომ კიდევ უფრო მწიკვლიანდეს. არა და არა. თურმე შეიძლება დაუმსახურებლად უბედური იყო და ეს ხვედრი მელის, თუ უარს მეტყვით სიყვარულზე. თქვენ პირველი ხართ, ვისაც გული შეეთავაზე. უთქვენოდ, არ ვიცი, როგორ აგიხსნათ, თუ ბედნიერება არა, სიმშვიდე მაინც მექნებოდა. გიხილეთ და მოსვენება დავკარგე. ბედნიერების იმედი არა მაქვს. ამის მერე გიკვირთ, რატომ ვარ სევდიანი და მიზღვს მეკითხებით. ზოგჯერ ისე მეგონა, გაწუხებდათ ჩემი განწყობა. ჰოი, მითხარით ერთი სიტყვა და ბედნიერს გამხდით, მაგრამ სანამ მეტყვოდეთ, დაფიქრდით: ასევე შეუძლია თქვენს ერთ სიტყვას კიდევ უფრო უბედური გამხადოს. თქვენს ხელთაა ჩემი ბედი! თქვენ მომანიჭებთ საუკუნის ბედნიერებას ან უბედურებას! ვის ხელთ მივანდო ამის გადაწყვეტა, -თუ არა თქვენსას, ჩემო ძვირფასო! წერილს ვამთავრებ იმით, რითაც დავიწყე. გემუდარებით შემიწყნაროთ! თუ მოსმენას ვითხოვდი თქვენგან, გავბედავ და ახლა პასუხს შეგვევდრებით. ამაზე უარს თუ მეტყვით, მაშასადამე, შეურაცხყოფილად იგრძენით თავი. მოწმე იმისა, რომ თქვენდამი პატივისცემა სიყვარულზე არანაკლებ ძლიერი გახლავთ, საკუთრივ ჩემი გულია.

P. S. პასუხისათვის ჩემს ხერხს მიმართეთ, ის იოლია და საიმედო.

...დან, 18 აგვისტო 17...

## მე-18 წერილი

### სესილ კოლანჟი სოფი კარნეს

რა იყო, სოფი, წინასწარ მკიცხავ იმ საქციელის გამო, რასაც ვაპირებ? ისედაც ძალზე ვწუხვარ, შენ კიდევ უფრო მაფორიაქებ! მირჩევ, არ უნდა გასცე პასუხიო. შენთვის ადვილია ამის თქმა. სიმართლე თუ გინდა, კარგად არც იცი, რა ხდება. აქ არა ხარ, რომ შენი თვალთ ნახო ყველაფერი. დარწმუნებული ვარ, ჩემს ადგილზე შენც ასე მოიქცეოდი. ზოგადად მართალია, წერილზე პასუხის გაცემა რომ არ არის საჭირო. ჩემი გუშინდელი წერილით განა ვერ მიხვდი, რომ სულაც არ ვაპირებდი პასუხის მიწერას? ნეტავ ჩემს დღეში ვინმე თუ ყოფილა.

ყველაფერთან ერთად იძულებული ვარ მარტომ გადავწყვიტო ეს საქმე. ქ-ნ დე მერტეის იმედი მქონდა, გუშინ საღამოს უნდა მენახა, მაგრამ არ მოსულა. ყველაფერი მე მედობება წინ. სწორედ ქ-მა დე მერტეიმ გამაცნო შევალიე დანსენი. თითქმის სულ მისი თანდასწრებით ვხვდებოდი და ვესაუბრებოდი. არ გეგონოს, რომ ამ ქალბატონის სამღურავს ვამბობ, მაგრამ ყველაზე დიდი გასაჭირის დროს მიმატოვა. ო, რა საცოდავი ვარ, რომ იცოდე!

წარმოგიდგენია, გუშინ დანსენი ისევ იმ დროს გამოძეცხადა. თავგზა ამებნა, ვერც კი გავბედე შეხედვა. ისიც ვერ დამელაპარაკა დედაჩემის იქ ყოფნის გამო. ვიცოდი, დანსენი ნაწყენი იქნებოდა, პასუხი რომ არ მივწერე. აღარ ვიცოდი, როგორ დამეჭირა თავი. წუთიც არ გასულა, მკითხა: გნებავთ არფა მოვიტანოთ? გული ისე მიცემდა, ჰო-მეთქი, ძლივს ვუთხარი. როცა მობრუნდა,



უფრო უხერხულად ვიგრძენი თავი. ერთი წამით თვალი მისკენ გამექცა. ის არ მიყურებდა. ისეთი სახე ჰქონდა, გეგონებოდა, ავად არისო, ძალზე შევწუხდი. მან არფის აწყობა დაიწყო, მერე გადმოძცა: „ო, მადმუაზელ...“ მხოლოდ ეს ორი სიტყვა მითხრა, მაგრამ ისეთნაირად, სულ ავირიე. ვაი იმ დაკვრას, მე რომ არფაზე დავუკარი. დედა შეგვეკითხა, არ იმღერებთო? მან ბოიბოდიშა, შეუძლოდ ეარო. მე კი რა მეთქვა, ავდექი და სიმღერა დავიწყე. ნეტავ საერთოდ ხმა არ მქონოდა. განგებ იმ არიის სიმღერა დავიწყე, რომელიც არ ვიცოდი. დარწმუნებული ვიყავი. ვერც სხვას ვიმღერებდი უკეთესად და მიმიხვდებოდნენ, ჩემს თავს რომ რაღაც ხდებოდა. საბედნიეროდ, სტუმრები გვეწვივნენ. როგორც კი ეტლის ხმა გავიგონე, სიმღერა შევწყვიტე და ვთხოვე არფა წაეღო. შევფიქრიახდი, სულ არ წასულიყო, მაგრამ მობრუნდა.

ვიდრე სტუმარი ქალი და დედაჩემი საუბრობდნენ, მინდოდა მისთვის კიდევ ერთხელ შემეველო თვალი. მის მზერას წავაწყდი და თვალი ვეღარ მოვწყვიტე. თვალთაგან ცრემლი გადმოსცვივდა და მაშინვე შებრუნდა, რომ არ შემეძინია. უცებ ვიგრძენი, თავს რომ ვერ შევიკავებდი და მეც ავტირდებოდი. ოთახიდან გავედი და მაშინვე ქალაღდის ნაგლეჯზე ფანქრით დავწერე: „ნუ ხართ ასე ნაღვლიანი, გემუდარებით. გპირდებით, პასუხს მოგწერთ“. მგონი, ამ საქციელში ცუდს ვერაფერს დაინახავ, მეტის ატანა აღარ შემეძლო. წერილი მოკეცე და არფის სიმებში ჩაუდე, ისევე, როგორც მისი გამოგზავნილი წერილი იყო. მისაღებ ოთახში დავბრუნდი. დავწყნარდი. ერთი სული მქონდა, როდის წავიდოდა სტუმარი ქალი. კიდევ კარგი, ცოტა ხნით გვესტუმრა! მისი წასვლისთანავე ვთხოვე საკრავი ისევ მოეტანა, არფაზე დაკვრა მინდა-მეთქი. სახეზე შევატყვე, ვერაფერს მიმიხვდა. დაბრუნებისას კი, ჰოი, რა კმაყოფილი იერი ჰქონდა! არფა ჩემ პირდაპირ დადგა და ისე გაჩერდა, რომ დედაჩემს ვერ დაეინახა. მერე ხელი ხელზე მომკიდა... მაგრამ ისე... სულ ერთი წამით... ვერ ავიწერ, რა სიამოვნების ჟრუანტელმა დაძიარა, თუმცა ხელი უკან წავიღე. ისე რომ, არაფერი მაქვს ჩემი თავის სასაყვედურო.

ახლა ხომ ხედავ, ჩემო კეთილო, რომ არ შეიძლება არ მივწერო, რაკი შევპირდი. გარდა ამისა, აღარ ვაპირებ კვლავ მის დატანჯვას. ამის გამო მე უფრო ვიტანჯები. ჩემს საქციელს რამე ცუდი რომ მოსდევდეს, ასე არ მოვიქცეოდი. რა საძრახისია, თუ წერილს მივწერ, მით უმეტეს, თუკი ეს ნაბიჯი ვინმეს გააბედნიერებს?! იცი, რა მაწუხებს? კარგი წერა არ მეხერხება, თუმცა მიხვდება, რომ ეს ჩემი ბრალი არ არის, თანაც მჯერა, რაკი ჩემგან იქნება, მაინც გაეხარდება.

მშვიდობით, ჩემო ძვირფასო. თუ ეცდები, პირდაპირ მითხარი. ისე კი მგონია, სწორად ვიქცევი. მოახლოვდა წერილის დაწერის დრო, არადა, ვერც წარმოიდგენ, გული ისე მიცემს. ჰო, წერილს უთუოდ დავწერ, რაზან შევპირდი. მშვიდობით.

...დან, 20 აგვისტო 17...

**მე-19 წერილი**

**სმსილ ვოლანუი შევალნიე დანსენის**

გუშინ ისეთი დაღონებული იყავით, ბატონო ჩემო, რომ ძალზე შევწუხდი. ამიტომ თავს უფლება მივეცი და შეგპირდით, თქვენს წერილზე პასუხს მოგწერდით. დღესაც იმ აზრისა ვარ, რომ სწორად არ ვიქცევი, მაგრამ რაზან პირობა მოგეცით, სიტყვა—სიტყვაა. ჩემმა საქციელმა თქვენდამი კეთილგანწყობა-



ში უნდა დაგარწმუნოთ. ახლა, როცა ყველაფერი გითხარით, ნუღარ მომთხოვთ წერილის მოწერას! მჯერა, არავის ეტყვიან ამ ბარათის შესახებ. თუ ვინმე გაიგებს, უთუოდ გამკიცხავს და ბევრ უსიამოვნებასაც შემახვედრებს. იმედი მაქვს, ჩემზე ცუდი აზრი არ შეგეკმნებათ. მერწმუნეთ, ყველაზე მეტად ეს მეწყინება. დამიჯერეთ, მხოლოდ თქვენ მიმართ ვარ ასეთი ხატრიანი; მინდა თქვენც გამოიჩინოთ შეწყნარება ჩემდამი და ნუღარ იქნებით აგრერივად დაღონებული, როგორც ამ ბოლო ხანს ხართ. სიხარული მიქრება ხოლმე, სიწყინება სვედიანს გხედავთ. ხომ ხედავთ, ბატონო ჩემო, რა გულწრფელად გელაპარაკებით? ის კი მსურს ჩვენი მეგობრობა არასოდეს შეწყდეს, მაგრამ ვემუდარებით, ნუღარ მომწერთ. პატივისცემით...

სესილ ვოლანგი,  
..დან, 20 აგვისტო 17...

### მე-20 წერილი

#### მარკიზის მეუღლე ქ-ნი და მერთვი ვიკონტი და ვალმონს

ჰოი, რა უშმაკი ხართ, იმის შიშით მელაქუცებით, რომ არ დაგცინოთ, არა?! შეგინდობთ ამას. იმდენ სისულელეს მწერთ, სხვა გზა არ არის, უნდა გაპატიოთ. არა მგონია, ჩემმა შევალემ ასეთივე შეწყნარება გამოიჩინოს. ეგ ის კაცი არ არის, მოიწონოს ჩვენი ურთიერთობის განახლება და ეს თქვენი უგზური აზრი გაიზიაროს. მაინც ბევრი ვიცინე თქვენი წერილის გამო, გული კი დამწყდა, მარტო რომ ვიცინოდი. ჩემთან რომ ყოფილიყავით, არ ვიცი, სადამდე მიმიყვანდა ეს მხიარულება. კიდევ კარგი, დაფიქრების დრო მქონდა და გონებას ვუხმე. არ გეგონოთ, სამუდამო უარს გეუბნებით, მაგრამ დაცდა კი საჭიროდ მიმაჩნია. და მართალიც ვარ. შეიძლება პატივმოყვარეობას უძალა და მეტიმეტად შორს შემეტოპა, თამაშით გატაცებულს თავბრუ დამეხვია თქვენთვის და დამევიწყებინა ის თქვენი ქალბატონი. ო, რა აურზაური ატყდებოდა, ჩემისთანა უღირს ქალს რომ კეთილზნეობის გზას აეცდინეთ! ამ საფრთხის თავიდან ასაცილებლად აი, რას გთავაზობთ:

როგორც კი მაგ ღუთისმშოსავ ქალბატონს დაეუფლებით, ჩამოდით და მე თქვენი ვარ... მაგრამ საბუთი უნდა იქონიოთ, რადგან მნიშვნელოვანი საქმეების გადასაწყვეტად ზეპირი ცნობა არ კმარა, წერილობითი საბუთია საჭირო. ამ შეთანხმების საფუძველზე ერთი მხრივ ნუგეშის ნაცვლად ჯილდოდ მოგვევლინებით, რაიც უფრო მომწონს, მეორე მხრივ კი თქვენს წარმატებას მეტი სიმძაფრე მიენიჭება, რადგან თვითვე იქნება ღალატის მიზეზი. მაშ, ჩამოდით, ჩამოდით და რაც შეიძლება სწრაფად ჩამომიტანეთ თქვენი ბრწყინვალე წარმატების საბუთი ჩვენი მამაცი რაინდების მსგავსად, თავიანთი გულის დედოფალთ ფერხით რომ უწყობდნენ საკუთარ ბრწყინვალე გამარჯვებათა მონაპოვარს. მართლაც ძალზე მაინტერესებს, რა უნდა მოგწეროთ მაგ უკარებამ იმ ამბის შემდეგ, ან რა საბურველში უნდა გაახვიოს თავისი სათქმელი, როცა ყველა საბურველს ჩამოიხსნის. თვით უნდა განსაჯოთ, მეტიმეტ ძვირ საფასურს ხომ არ ვითხოვ. გაფრთხილებთ კია — ნაკლებზე არ დაგთანხმდებით. ხოლო მანამდე, ჩემო ძვირფასო ვიკონტი, შეურიგდით იმ ამბავს, რომ ჩემი შევალის ერთგული ვრჩები. იგი ჩემს ხელში ბედნიერია და ეს ფრიად მომწონს თქვენი გულისტკენის მიუხედავად.



მე რომ ზნეობა მაკლდეს, მგონი, ჩემს შევალის სახიფათო მეტოქე გა-  
უნდებოდა და ეს მეტოქე პატარა ვოლანუი იქნებოდა. ეს ბავშვი ჭკუიდან შემ-  
ლის, ცარიელი ვნებაა. ან ვცდები, ან ამ გოგონასგან დიახაც ყველაზე თვალ-  
ში მოსახვედრი ქალი დადგება. ვამჩნევ, თანდათან როგორი მიხვედრილი ხდება  
მისი პატარა გული და ამ სანახაობით ვიხიბლები. მას გაგიჟებამდე უყვარს თა-  
ვისი დანსენი, თუმცა ეს ამბავი თავადაც არ იცის. ისიც გამიჯნურებულა, მაგრამ  
რამ ჯერ ისევე ღლაპია და სიმორცხვის გამო ვერ გაუბედავს გულისწამებას  
გაუზიაროს. ორივენი კი მე მალმერთებენ. მეტადრე გოგონას საოცრად სურს  
თავისი საიდუმლო გამანდოს; ეს რამდენავე ღლეა ამ მიზეზით განსაკუთრებით  
დათრგუნულია და დიდ სამსახურსაც გაუწევდი, თუ ცოტაოდენ ბიძგს მიეცემ-  
და, მაგრამ ვიცი, რომ ჯერ კიდევ ბაკშია და არ მინდა ამის გამო სახელი გა-  
ვატეზო! დანსენი ცოტა უფრო გარკვევით ნელაპარაკა, მაგრამ მის მოსმენას  
სულაც არ ვაპირებ, ასე მაქვს გადაწყვეტილი. რაც შეეხება პატარა ვოლანუს,  
ხშირად ცდუნება მიტანს ჩემს მოსწავლედ ვაქციო. რამეთუ შერკურს მინდა  
ამით სამსახური გაუწიო. ოქტომბრამდე ვაყბატონი კორსიკიდან ვერ ჩამობრ-  
ძანდება და დრო სამყოფი მაქვს. იმედია, ამ დროს გამოვიყენებთ და პანსიონის  
უმანკო მოსწავლის ნაცვლად დასრულებულ ქალს ჩავაბარებთ. რა თავდაჯერე-  
ბული ბრძანდება, ასე მშვიდად რომ სძინავს იმ დროს, როცა მისგან განაწყენე-  
ბულ ქალს ჯერ შური არ უძიებია. პატარა ვოლანუი ახლა რომ აქ იყოს, რას  
ადარ ვუამბობდი!

მშვიდობით, ვიკონტ, მშვიდობიან საღამოსა და დიდებულ წარმატებებს  
ვისურვებთ! ოღონდაც იჩქარეთ, თუ ღმერთი გწამთ! უკეთუ მაგ ქალს ხელში  
ვერ ჩაიგდებთ, იცოდეთ, სხვა ქალებს დიდად შერცხვებათ იმისა, რომ ოდეს-  
ღაც თქვენ გაკუთვნოდნენ.

...დან, 20 აგვისტო 17...

## 21-ე წერილი

### ვიკონტ დე ვალმონი მარკიზის მიუღლი ქ-ნ დე მირტიის

ჩემო მშვენიერო, როგორც იქნა, გადავდგი წინ ნაბიჯი და საკმაოდ დიდი  
ნაბიჯიც. ვფიქრობ, თუ ფონს არ გამიყვანს, იმას მაინც მიმახვედრებს, რომ  
სწორ გზას ვადგავარ და იმის შიშს გამიფანტავს, რომ გზა ამებნა. როგორც  
იქნა, გამოვთქვი ჩემი სიყვარული და, თუმცა ის ჯიუტად ღუმდა, მაინც მივიღე  
პასუხი, ნაკლებად ორაზროვანი და სასიამოვნო. ოღონდ ნუ გავუსწრებთ მოვ-  
ლენებს წინ და დავუბრუნდეთ ადრე ნათქვამს.

გახსოვთ, ვითხარით, ვიდაც კვალდაკვალ დამდევს და მამოწმებს-მეთქი.  
პოდა, გადაწყვიტე ეს სამარცხვინო საქციელი საყოველთაო ჭკუისსასწავლე-  
ხელ მაგალითად შექცია. აი, რა მოვიფიქრე: ერთ სანდო პირს დავავალე სოფ-  
ლის ახლომახლო ხელმოკლე ოჯახი შეერჩია, დახმარება რომ სჭირდებოდა. ეს  
დაეალება არ იყო ძნელი შესასრულებელი. გუშინ, ნაშუადღევს პასუხიც მომი-  
ტანა. თურმე ამ დილით ერთ ოჯახს ბარგი-ბარხანა გარეთ უნდა გამოუყარონ  
იმის გამო, რომ ბეგარა ვერ გადაიხადა. წინასწარ გამოვარკვიე, ისეთი გოგო  
ან ქალი ხომ არავინ ჰყავდათ, ვისი ასაკი ან გარეგნობა ჩემს საქციელს საეჭვოს  
გახდიდა. ყოველივე ზუსტად დავადგინე თუ არა, ვახშობობისას გამოვაცხადე,  
ხვალ სანადიროდ ვაპირებ-მეთქი წასვლას. აქვე უნდა მივაგო საკადრისი პრე-  
ზიდენტის მეუღლეს. ალბათ სინდისის ქენჯნამ შეაწუხა იმ განკარგულების გა-



მო, მოთვალთვალე რომ დაძინიშნა, თან ძალაც არ ეყო ცნობისმოყვარეობა შეეკავებინა, თუმცა ის კი შეიძლო ჩემს სურვილს წინ გადალობებოდა და მიიხრა, ხვალ პაპანაქება სიცხე იქნება, ავად გახდებით, ნადირობადანაც ხელცარიელი დაბრუნდებით და ამაოდ დაიღლებითო. საუბრისას მისმა მზერამ, მისდა უნებურად უფრო მეტყველმა, ვიდრე უნდოდა, მამცნო ეს რჩევა შემესმინა. ალბათ მიხვდებით, რომ მისი დარიგება არად ჩავაგდე, არადა ჩავაგდე ნადირობისა და მონადირეების წინააღმდეგ მისი გალაშქრებაც და კიდევ ის, რომ ჩემი ურჩობის გამო მთელი საღამო ქალბატონის ღვთაებრივ სახეს უგუნებობის ღრუბელი არ მოშორებია. ერთი პირობა შიშმა შემიპყრო, ვაითუ ბრძანება შეცვალოს და ამ თავისი თავაზიანობით გეგმები ჩამიშალოს-მეთქი. ქალის ცნობისმოყვარეობის ამბავი აღარ გამხსენებია და ამიტომაც შევცდი. იმავე საღამოს ჩემმა ეგერმა დამამშვიდა, ამ მხრივ საშიში არაფერიყო, და მეც კმაყოფილი დავწექი დასაძინებლად.

ინათა თუ არა, წამოვდექი და გზას გავუდექი. კოშკიდან ორმოცდაათაოდე ნაბიჯიც არ გამევლო, რომ ჩემი მოთვალთვალე შევამჩნიე, კვალდაკვალ მომდევდა. ვითომ ნადირობის ეშხში შესულმა მინდორ-მინდორ გავსწიე იმ სოფლისაკენ, სადაც უნდა მივსულიყავი. თან იმით ვერთობოდი, რომ უკან დაღვენებულ ამ უქნარას ვაიძულებდი შიგადაშიგ ჩემზე სამჯერ მეტი ეძუნძულა, რადგან პირდაპირი გზით ვერ მომყვებოდა. ამასობაში მეც ძალზე დამცბა და იძულებული გავხდი ხის ძირას შემესვენა; ის ვაჟბატონი კი ისე გამითამამდა, ჩემგან ოც ნაბიჯზე ბუჩქებს შეეფარა. ჯერ მომინდა თოფი შესროლა, მხოლოდ საფანტით რომ მქონდა დატენილი, ეს მისთვის კარგი გაკვეთილი იქნებოდა, თუ რა ხიფათს შეიძლება გადაგყაროს ცნობისმოყვარეობამ; მაგრამ, მისდა საბედნიეროდ, გამახსენდა, რომ ჩემი გეგმისთვის ის არამცთუ საჭირო, აუცილებელიც იყო, და ჩემმა ამ წინდახედულობამ გადაარჩინა.

ამასობაში სოფელში ჩამოვალწიე. რაღაც ალიაქოთი შევამჩნიე. მივუახლოვდი და ვიკითხე, რა მოხდა-მეთქი. ვითარება გამაცნეს. მოვაყვანიხე ბეგარის ამკრეფი. დიდი თანაგრძნობის ნიშნად კეთილშობილურად გადავიხადე ორმოცდათექვსმეტი ლივრი, რის გამოც ხუთ ადამიანს სასოწარკვეთა და სიდუხჭირე ელოდა. ამ მარტივი საქმის მოთავეების შემდეგ ვერ წარმოიდგენთ, რა ლოცვაკურთხევა ისმოდა ჩემ ირგვლივ, რა მადლიერების ცრემლებს ღვრიდა ოჯახის მოხუცი თავკაცი, ვისი სახეც, რამდენიმე წუთის წინ სასოწარკვეთით ღრმად დაღარული, ახლა ასე მიმზიდველი ჩანდა. ამ სურათს რომ ვაკვირდებოდი, სხვა, უფრო ახალგაზრდა გლეხს ხელჩაკიდებული მოჰყავდა ერთი ქალი და ორი ბავშვი. აჩქარებული ნაბიჯით მომიახლოვდა და მათ ასე უთხრა: „დაუჩოქოთ ამ ღვთით მოვლენილ კაცს“. იმავე წუთში ამ ოჯახის წევრები ჩემ წინ მიწას განერთხნენ და მეც მათ შუა აღმოვჩნდი. ვალიარებ ჩემს სისუსტეს, თვალები დამიცრემლიანდა და ვიგრძენი, ჩემდა უნებურად რაღაც ნეტარმა ჟრუანტელმა დამიარა. გამიკვირდა კიდევ, თურმე რა სასიამოვნო ყოფილა სიკეთის ქმნა. ლამის ვიფიქრე, არც ისე დიდი ყოფილა-მეთქი იმ ადამიანთა დამსახურება, ვისაც ჩვენში ზნეკეთილებად მიიჩნევენ, როგორც შთაგვაგონებენ. ისე რომ, ამ საცოდავი ხალხის მაგივრად ფული რომ გადავიხადე, ღირდა კიდევ იმ სიამოვნების საფასურად, რომელიც მათ ეს-ეს არის მომანიჭეს. მხოლოდ ათი ლუილა დამრჩა და ისიც მათ მივეცი. ამას კვლავ მოჰყვა მადლობის სიტყვები, მაგრამ ის აღრინდელი აღტაცება აღარ სდევდა: ნამდვილი, ძლიერი შთაბეჭდილება იმ გარდაუვალი გასაჭირიდან თავის დახსნამ აღძრა, შემდეგ კი ჩვეულებრივი მადლო-



ბის სიტყვები გახლდათ, პატივისცემას და გაცემას რომ გამოხატავდა მეტი-  
ბეტი უბეი დასაჩუქრების გამო.

ამასობაში, სანამ ეს ოჯახი გამალებულ ლოცვა-კურთხევას აღავლენდა,  
ამ დრამის გმირს დავემსგავსე, პიესის კვანძის გახსნის ბოლოს რომ გამოჩნ-  
დება ხოლმე. ისიც ინიშნეთ, რომ ამ ხალხში ჩემთვის უმთავრესი ჩემი მოთვალ-  
თვალე იყო. რაკი მიზანს მივალწიე, გავშორდი იქაურობას და კოშკში დავე-  
ბრუნდი. ყველაფერი ისე მოხდა, როგორც გავითვალისწინე, და საკუთარ თავს  
გამარჯვება მივულოცე. ეს ქალი იმსახურებს ჩემს ასეთ გარჯას, გარჯას, რო-  
მელიც დიდად გამომაღვება, როცა ერთ დღეს მას საბუთად წარვუდგენ და უფ-  
ლება შექნება მისი წყალობა ისე გამოვიყენო, სასაყვედურო არაფერი მქონდეს  
საკუთარ თავთან.

ჰო, მართლა, კინალამ დამავიწყდა თქვენთვის შეთქვა: ყველაფერი რომ ჩემ-  
და სასარგებლოდ გამოიმეყენებინა, ვთხოვე ამ კეთილ ხალხს ღმერთს შევედრე-  
ბოდნენ ჩემი გეგმების წარმატებით აღსრულებას. სულ მალე დარწმუნდებით,  
რომ მათი ლოცვა-კურთხევა ნაწილობრივ წამომეწია... ეს წუთია შემატყობინეს,  
ვახშამი გაშლილიაო. უნდა შევწყვიტო წერა და სავახშმოდ წავიდე, წერილის  
გამოგზავნა შეყოვნდება. ამიტომ გაგრძელება იხილეთ შემდეგ ნომერში. ვწუხ-  
ვარ, რადგან გაგრძელება უკეთესია. მშვიდობით, ჩემო მშვენიერო მეგობარო.  
თქვენ გამო მისი ხილვით გამოწვეული სიხარულის ერთი წუთი მაკლდება.

...დან, 20 აგვისტო 17...

## 22-ე წერილი

### კრეზიდენტის მეუღლე ქ-ნი და ტურველი ქ-ნი და ვოლანტის

აღბათ მოხარული იქნებით, ქალბატონო, როცა შეიტყობთ ბ-ნი დე ვალ-  
მონის ისეთ თვისებას, რომელიც, ჩემი აზრით, სრულიად საწინააღმდეგოა ყო-  
ველივე იმისა, როგორც იგი თქვენ დაგიხასიათეს. ძნელია, როცა ავს ფიქ-  
რობ ვინმეზე, ვინც არ უნდა იყოს იგი. უსიამოვნოა ნაკლის შემჩნევა განსაკუთ-  
რებით იმ ადამიანებში, ყველა აუცილებელი თვისება რომ გააჩნიათ თაყვანი-  
სცენ სიკეთეს! ვიცი, რაოდენ შემწყნარებელი ბრძანდებით და თქვენი უნარი სა-  
მართლიანი განსჯისა წყალობა იქნება დე ვალმონისათვის, მფარველობას გაუწ-  
ვეს მას. აი, რატომ ვფიქრობ ასე:

იმ დღით, როგორც ყოველთვის, იგი კოშკიდან გავიდა. კაცს შეიძლება  
ეფიქრა, იმ მიდამოებში რაღაც საქმე ჰქონდა მოსაგვარებელი. თქვენ ეს ეჭვი  
მართლა დაგებადათ, და მეც ნაჩქარევად გაეიზიარე, რასაც ახლა ვნანობ. მის-  
და და უფრო კი ჩვენდა საბედნიეროდ — რადგან ეს ამბავი ნათელს მოჰყენს  
მის საქციელს და სამართლიანად შეგვაძლებინებს განსჯას — ერთ-ერთი ჩემი  
მსახური იმავე გზით უნდა წასულიყო,<sup>1</sup> საითაც ბატონი დე ვალმონი გაემართა.  
ისე რომ, ჩემი სამტრახისი, თუმცა აუცილებელი ცნობისმოყვარეობა დაკმაყოფი-  
ლებული გახლავთ. მან გვამცნო, რომ ბ-ნმა დე ვალმონმა თურმე რომელიღაც  
სოფელში აღმოაჩინა ერთი ღატაკი ოჯახი, რომლისთვისაც ბეგარის გადაუხ-  
დელობის გამო მთელი ბარგი-ბარხანა აუწერიათ. ბ-ნი დე ვალმონი მათ დაუხ-  
მარა, ვალი დაუფარა და არა მარტო დაუფარა, საარსებოდ საკმაო თონხაც და-

1. როგორც ჩანს, ქ-ნი დე ტურველი ვერ ბედავს თქმას, რომ ეს მისი ბრძა-  
ნებით მოხდა.



უტოვა. ჩემი მსახური ამ კეთილშობილი საქციელის მოწმე გახლდათ. მან ისიც შეიტყო იმ გლეხებისაგან, ხან ერთმანეთს რომ ელაპარაკებოდნენ და ხან ჩემს მსახურს, თურმე ვილაც კაცს, ჩემი მსახურის აზრით, ბ-ნ დე ვალმონის მსახურს გუშინ გამოუკითხავს, სოფლის მცხოვრებთაგან ვის სჭირდებოდა ვეელაზე მეტად დახმარება. თუ ეს სიმართლეა, მაშინ მისი საქციელი შემთხვევითი თანაგრძნობა კი არ გახლავთ, არამედ გარკვეული მისწრაფება სიკეთეს, ქმნისადმი, რაიც კეთილშობილთ სჩვევიათ მხოლოდ. თუმცა შემთხვევითი საქციელი თუ დაგეგმილი, მაინც ღირსეულია და ქებას იმსახურებს. მისმა ნამოქმედარმა გადმოცემითაც კი ცრემლი მომგვარა. უფრო მეტსაც ვეტყვი საძირითლიანობის მისაგებად — როცა ამ ამბავზე ბ-ნ დე ვალმონს სიტყვა ჩამოვუგდე, ეს რა მაღლი ჩაგიდენიათ-მეთქი—რაზედაც კრინტიც არ დაუძრავს—ჯერ იუარა, მერე კი გამოტყდა და ისეთ უმნიშვნელო საქციელად მიიჩნია, რომ ამ თავმდაბლობამ ბ-ნ დე ვალმონისადმი ორჯერ მეტი პატივისცემით განმაწყო.

აბა მითხარით, ჩემო ღირსეულო მეგობარო, ნუთუ ბ-ნი დე ვალმონი გამოუსწორებელი უზნეო კაცია? თუ მართლა ასეა და შეუძლია კეთილშობილურად მოიქცეს, მაშ რაღა რჩება წესიერ კაცთა წილად? განა ბოროტთ ძალუძთ კეთილადამიანებთან ერთად ეზიარონ მაღლის ქმნის წმინდა სიხარულს? განა ღმერთი ინებებს, რომ პატიოსანმა ოჯახმა არამზადის ხელიდან მიიღოს დახმარება, რისთვისაც მერე განგებას უნდა შესწიროს მაღლობა? განა ღმერთი მიიღებს უმანკო ბაგეთაგან ლოცვა-კურთხევას უღირსის მიძარბო? არა და არა. ის პირჩვენია დავიჯერო, რომ მცდარი აზრი, რაც არ უნდა ხანგრძლივი იყოს, სამუდამო მაინც არ არის, როგორ ვირწმუნო, რომ ვინც სიკეთეს იქმს, სიკეთის მტერია? ბ-ნი დე ვალმონი კიდევ ერთი მაგალითია ადამიანთა სახიფათო კავშირებისა. საბოლოოდ ამ აზრს ვიტოვებ, ასე ფიქრი უფრო მსიამოვნებს. თუ ეს ერთი მხრით გაგიადვილებთ მის გამართლებას, მეორე მხრივ კიდევ უფრო ძვირფასს გახდის იმ ფაქიზ მეგობრულ გრძნობას, რამაც სამუდამოდ თქვენთან დამაკავშირა.

პატივი მაქვს... და ა.შ.

P. S. ქ-ნი დე როზმონდი და მე ახლა ვაპირებთ იმ პატიოსანი ღატაკ ოჯახის მონახულებას და გვსურს, მართალია, დაგვიანებით, დახმარების ხელი გაუწოდოთ და ჩვენი წილი დავუმატოთ ბ-ნ დე ვალმონის მიერ გაღებულ შემწეობას. მასაც გავიყოლიებთ. ამ პატიოსან ხალხს იმის საშუალებას მაინც მივცემთ, ერთხელ კიდევ გაიხარონ თავისი მწყობლობის ნახვით. მისი საქციელის შემდეგ მეტი რა დაგვრჩენია.

...დან, 20 აგვისტო 17...

**23-ე წერილი**

**ვიკონტი და ვალმონი მარკიზის მეუღლე ქ-ნ მერტიის**

წერილში იმ ადგილზე შევჩერდი, კომკში დავბრუნდი-მეთქი. ვაგრძელებ ჩემს თხრობას.

დრო ცოტა მქონდა. ჰაიპარად მოვწესრიგდი და სასტუმრო ოთახში შევედი. ჩემს ტურფა ქალბატონს ქარგვა წამოეწყო, სოფლის კიურე ვაზეთს უკითხავდა მოხუც მაშიდაჩემს. საქარგავის გვერდით ჩამოვჯექი. მისი თვალები აღრინდელზე მეტი სინაზით, თითქმის ალერსით მიმზერდნენ იმის დასტურად, რომ



მახურს დავალება პირნათლად შეესრულებინა. მართლაც ჩემმა სანუკვარმა მამილებელმა საიდუმლო დიდხანს ვერ შეინახა, არც კი მორიდებია წმინდა მამათვის სიტყვა გაეწვევებინა—მქადაგებელივით რომ კითხულობდა გაზეთს — და მაუწყა: „მეც ახალი ამბავი მაქვს თქვენთვის სათქმელი“, და მაშინვე დაწვრილებით მოაყოლა ჩემი თავდასაყალი, ამ ამბის მიმტანი დიახაც ქების ინსახურებს. ალბათ წარმოიდგენთ, რა თავმდაბლობას გამოვიჩენდი. მაგრამ ვის ძალუმს შეაჩეროს ქალი იმის ხოტბის შესხმისას, თავისდა შეუცნობლად რომ უყვარს? გადავწყვიტე ხელი არ შემეშალა მისთვის, გეგონებოდათ, რომელიღაც წინდანს აღიღებდა. მე კი არცთუ უიმედოდ ვაკვირდებოდი მის ანთებულ მზერას, უფრო თავისუფალ მოქმედებას, განსაკუთრებით კი ხმას, საგრძნობლად რომ შესცვლოდა და მის აფორიაქებულ განწყობას ამჟღავნებდა. ლაპარაკი დასრულებული არ ჰქონდა, რომ ქ-მა დე როზმონდმა მითხრა: „მოდით ჩემთან, მოდით, ჩემო ძმისწულო, უნდა გადაგეხვიოთ და გაკოცოთ“. მაშინვე ვიგრძენი, რომ წმინდა მქადაგებელი ვერ გადაურჩებოდა ჩემს მკლავებს. გასხლტომა მოინდომა, მაგრამ ვერ დამისხლტა, შეწინააღმდეგებაც ვერ მოახერხა, ის კი არადა, ანაღამ წაიქცა. რაც მეტად ვაკვირდები ამ ქალს, მით მეტად ვიხიბლები. იგი ყველას დასანახად სასწრაფოდ მიუბრუნდა თავის საქარგავს, მაგრამ თვალი მოკვარი, როგორ უკანკალებდა ხელები და ქარგვას ვერ ახერხებდა.

ნაშუადღევს ქალებმა იმ ღატაკთა ოჯახის მონახულება მოიხურვეს, ესოდენ კეთილშობილურად რომ დავეხმარე. მეც მათ გავყევი. თავს აღარ შეგაწყენთ ამ მეორე სურათის, კვლავ მაღლიერებისა და კვლავ ქება-დიდების აღწერით, თუმცა ნეტარი მოგონებებით ამგერებული გული კვლავ კოშკისკენ მუწეოდა. გხამი ჩემი ტურფა ქალბატონი ხმას არ იღებდა, ასეთი ჩაფიქრებული არასოდეს შენახა. ვლუმდი მეც, იმაზე ვფიქრობდი, როგორ შესარგებლა იმ დღეს მომხდარი ამბებით. მხოლოდ ქ-ნი დე როზმონდი ლაპარაკობდა. ჩვენ ხანდახან თუ გავცემდით ძუნწად პასუხს და, მგონი, თავიც მოვაბეზრეთ მამიდაჩემს. მეც ეს მინდოდა. ეტლიდან გადმოსვლისთანავე თავისი ოთახისკენ გაეშურა. ჩვენ ერთმანეთას პირისპირ დაერჩით მკრთალად განათებულ სასტუმროში. სიყვარულის გაუბედავ გრძნობას ხომ სწორედ ბინდი ანიჭებს სითამიმეს.

საუბრის წარმართვა არ გამჭირვებია ჩემთვის სასურველი მიმართულებით. ტურფა მქადაგებლის თავგამოდებამ ისეთი სამსახური გამიწია, მეც რომ ვერ როვიფიქრებდი. „თუ ადამიანს ძალა შესწევს სიკეთე მოიმოქმედოს. — მითხრა მან და სათნო მხერა მომაპყრო, — როგორღა ახერხებს ბოროტების ჩადენას?“ „არ ვიმსახურებ არც ამ ქებას და არც ამ საყვედურს, — ვუთხარი ასე. — ასეთმა ჭკვიანმა ქალმა ნუთუ ვერ გამომიცანით. ჩემმა გულახდილობამ იქნებ მავნოს კიდევ თქვენს თვალში. მაგრამ ღირსი ბრძანდებით მისი და ამაზე უარს ვერ გეტყვით. ჩემს საქციელს, სამწუხაროდ, ჩემი რბილი ხასიათი განსაზღვრავს. უზნეო ადამიანებით გარემოცულმა მათი ნაკლი შევისისხლხორცე. ცრუ პატივმოყვარეობის გამო შევეცადე მათთვის კიდევ მეჯობნა. ხოლო ახლა თქვენი სათნოებით შთაგონებულმა ვეცადე თქვენთვის მომეხმარა, თუმცაღა თქვენდენს მაინც ვერ შევძლებდო; იქნებ ის საქციელი, რის გამოც ასე მაქვებთ დღეს, თქვენს თვალში გაუფასურდეს, ნამდვილი მიზეზი რომ იცოდეთ /ხედავთ, ჩემო მეგობარო, თითქმის სიმართლე მათქმევინეთ. იმ საცოდავებმა ჩემი დახმარება რომ მიიღეს. თქვენი აზრით ეს სანაქებო საქციელი, განა თქვენ წინაშე თავის მოსაწონებლად არ ჩავიდინე? ვადიარებ, რომ მხოლოდ და მხოლოდ იმ ღვთაების ერთი უბადრუკი მსახური ვიყავ, რომელსაც ვეთაყვანები (აქ იგი შეეცადა ჩემთვის საუბარი შეეწვევებინა, მაგრამ არ დავაცადე). ახლაც ეს საიდუმლო ჩემი უსუ-



სურობით წამომცდა. თავს აღვუთქვი, რომ თქვენთვის არაფერი მეთქვა. ჩემთვის ბედნიერება იყო თქვენი მშვენიერების, თქვენი სათნოებისთვის თავიანი მეცა ისე, რომ თქვენ არაფერი გცოდნოდათ. სიცრუე არ შემძლია, როცა ჩემ წინ სათნოების ასეთი მაგალითია. არ მინდა საკუთარი თავი გავციხო სათაკილო თვალთმაქცობისთვის. ნუ ჩათვლით თავს შეურაცხყოფილად იმის გამო, რომ გავბედე და იმედი ჩავისახე. ვიცა, უბედური ვიქნები, მაგრამ ეს ტანჯვაც ძვირფასი იქნება ჩემთვის, რადგან დაამტკიცებს ჩემს უსაზღვრო სიყვარულს. მხოლოდ თქვენს ფერხთით, მხოლოდ თქვენი გულის წინაშე ვამხელ ჩემს წამებას. ეს მომცემს ძალას ახალი სატანჯველისთვის, იქ ვპოვებ თანაგრძნობასა და ნუგეშს, თუკი შემობრალდებთ. ო, რომ იცოდეთ, როგორ თავვანს გცემთ! მომისმინეთ, შემიცოდეთ, მიხსენით სატანჯველისგან!“ — ამ სიტყვებით დავემხე მის ფერხთით და ხელები ჩავჭიდე. უცებ ხელები გაითავისუფლა, თვალებზე აიფარა და სასოწარკვეთილმა წამოიყვირა: „ო, რა უბედური ვარ!“ მერე ცრემლად დაიღვარა. საბედნიეროდ, ისე განვეწყე, რომ მეც ავტირდი. ხელები ისევ დავუჭირე, ცრემლით დავუნამე. კიდევ კარგი, ასეთი წინდახედულება გამოვიჩინე, თორემ თუ არ ეს ხერხი, განცდებმა ისე მოიცვა, ჩემსას ვერც შეამჩნევდა. ახლა კი შემეძლო დავმტკბარიყავი მისი მშვენიერი სახით, ცრემლებს რომ უფრო სანდომიანი გაეხადა. თავი ისე მიხურდა, გრძნობები ისე მომძალებოდა, ლამის ცდუნებას ავყევი კაცი.

ჰოი, რაოდენ სუსტნი ვართ, რაოდენ მეუფებს ჩვენზე გარემოებათა ძალა, როცა მეც კი მთელი ჩემი ზრახვანი და ჩანაფიქრები, ხანგრძლივი ბრძოლით მოპოვებული სიამენი და მძიმე დამარცხების წვრილმანები ნაადრევი წარმატების გამო ლამის საფრთხეში ჩავაგდე. ჭაბუკური ვნებით შებყრობილ ქ-ნ დე ტურველის მძლეველს ამ მცდელობის ნაყოფად ხელში შემრჩებოდა მხოლოდ ის უბადრუკი უპირატესობა, რომ ზედმეტად კიდევ ერთ ქალს დავუფლდე. ო. უნდა დამნებდეს, მაგრამ დამნებდეს ბრძოლით, გამარჯვებისთვის არ ეყოს ძალა. დე იგრძნოს საკუთარი უმწეობა და, უნდა თუ არა, აღიაროს დამარცხება. დე უბადრუკი ბრაკონიერი ჩაუსაფრდეს და ისე გააგოროს ირემი, ნამდვილმა მონადირემ დევნით სიქა უნდა გამოაცალოს ნადირს. ხომ დიდებული გეგმა მაქვს, არა? თუმცა ახლა იქნებ მენანა კიდევ, ცდუნებას რატომ არ ავყევი-მეთქი, რომ ჩემს სიფრთხილეს შემთხვევა არ მოშველებოდა.

ხმაური შემოგვესმა. ჩვენკენ ვიღაც მოდიოდა. შეშინებული ქ-ნი დე ტურველი სასწრაფოდ წამოხტა, ერთ-ერთ შანდალს დაავლო ხელი და გავიდა. რა ძალა იყო, ქალი ნებას მიუშვი. თურმე მსახური ყოფილა. როგორც კი ამაში დავრწმუნდი, უკან დავვდევენე ქალბატონს. ის იყო რამდენიმე ნაბიჯი გადავდგი, არ ვიცა, მიმიხვდა თუ შიშმა აიტანა, მომესმა, რომ ფეხს აუჩქარა, ოთახში კი არ შევიდა, შევარდა და კარიც მიიჯახუნა. კარს მივაღექი. გასაღები შიგნიდან ეკეთა. ცხადია, არ დაუაკაკუნე, ამით იოლი შეწინააღმდეგების საშუალებას მიეცემდი. უცებ ერთმა კარგმა აზრმა გამიელვა, ჭუჭრუტანიდან შევიხედავ-მეთქი. მართლაც ვიხილე ეს მომხიბვლელი ქალი — ჩამუხლულიყო და აცრემლებული გულმხურვალედ ლოცულობდა. ნეტავ რომელ ღმერთს ევედრებოდა? შესწევს კი ღმერთს ძალა წინააღმდეგობა გაუწიოს სიყვარულს? არა, იგი ამაოდ ეძებს სხვებისგან შველას, მხოლოდ მე ვარ მისი ბედის გამგებელი.

რაკი დავრწმუნდი, რომ ერთ დღეში საკმაო საქმენი მოვაგვარე, მეც ჩემი ოთახისკენ გავეშურე და თქვენთან წერილის წერას შევუდექი. იმედი მქონდა ქ-ნ დე ტურველს ვახშმად შევხვდებოდი, მაგრამ შეგვატყობინა, თავს რომ შეუძლოდ გრძნობდა და ლოგინში ჩაწოლილიყო. ქ-ნ დე როზმონდს უნდოდა მო-



უნახულებინა, მაგრამ ამ მზაკვარმა ავადმყოფმა თავის ტკივილი მოიძიებდა და არაუის სტუმრობა არ ინდომა. ალბათ მიხვდებით, რომ ვახშობის შემდეგ მალე წამოვდექი სუფრიდან. ვითომ მეც თავი ამტკივდა და ჩემი ოთახისკენ გავსწიე. ვრძელი უსტარი გავაშანშალე, სადაც ვუჩიოდი მის სისასტიკეს, და იმ იმედით დავექე, რომ წერილს დილით გადავცემდი. ღამე ცუდად მეძინა. ალბათ მიხვდით კიდევ წერილის ბოლოს დასმული თარიღით. ადრინად წამოვდექი, წერილი გადავიკითხე. თურმე წერისას არ დავკვირვებოვარ და, უფრო მეტი მეზნებარება გამომიხატავს, ვიდრე სიყვარული, მეტი წყენა, ვიდრე სევდა. აუცალებლად გადავაკეთებ უსტარს, როცა უფრო მშვიდ განწყობაზე ვიქნები.

ინათა კიდევ. იმედია, დილის სიგრილე ძილს მომგვრის. ახლა ისევ დავწევები. როგორი მონუსხულიც არ უნდა ვიყო ამ ქალბატონისგან, გპირდებით, რომ თქვენზე ფიქრისთვისაც მოვიცლი. მშვიდობით, ჩემო ლამაზო მეგობარო.

...დან, 21 აგვისტო 17...  
დილის 4 საათი.

### 24-ე წერილი

#### ვიკონტ დე ვალმონი არეზიდენტის მეუღლე მ-ნ დე ტურველს

ო, შემიწყალეთ, ქალბატონო, შემიწყალეთ და დამიმშვიდეთ აფორიაქებული სული, მითხარით, რისი იმედი მქონდეს ან რისი მეშინოდეს, უდიდესი ბედნიერება მეწვევა თუ ავბედითობა მეღის. ეს ეჭვი მიღრღნის გულს. რატომ გავანდეთ ყველაფერი? ნუთუ ვერ გავუძელ; თქვენს ყოვლისშემძლე ხიბლს და ფიქრები გაგიზიარეთ? როცა უსიტყვოდ გეტრფოდით, ჩემი სიყვარულით მაინც ვხარობდი. ეს წმინდა, უღრუბლო გრძნობა ჩემი ბედნიერებისთვის საკმარისი მეგონა, მაგრამ ბედნიერების სათავე უიმედობად მექცა, რა წამს თქვენი ცრემლები დავინახე, რა წამს ეს საშინელი სიტყვები გავიგონე: „ოჰ, რა უბედური ვარ!“ ეს სიტყვები დიდხანს ჩამრჩება გულში. რა განგების ძალით შეუშინებოხართ ამ უნაზეს გრძნობას? რისა გეშინიათ? ალბათ არა მისი გაზიარების, რამეთუ თქვენი გული, ასე ცუდად რომ მცნობია, სიყვარულისთვის არ ძგერს. მარტოდენ ჩემს გულს, გაუთავებლივ რომ ცილსა სწამებთ, შეუძლია მისი განცდა, თქვენსას კი შებრალებაც არ ძალუძს, ასე რომ არ იყოს, უარს არ იტყოდოდ ერთ ტკბილ სიტყვაზე მაინც იმ უბედურის მიმართ, რომელმაც ტანჯული გული გადაგიშალათ. არ დაეძალებოდით იმის მზერას, ვისაც თქვენი ხილვის მეტი სხვა არაფერი ახარებს, თქვენი შეუძლოდ ყოფნის გამო მის შეშფოთებას ასე აბუჩად არ აიგდებდით, არ დაუშლიდით თქვენს ნახვასა და ამბის გაგებას. თუ ეს ღამე თქვენთვის თორმეტსაათიანი დასვენების ღამე იყო, მისთვის ეს ტანჯვის მარადიულ ღამედ იქცა.

ერთი მიოხარით, რითი დავიმსახურე ასეთი აუტანელი სისასტიკე? არ მეშინია ამის განსჯა თქვენვე მოგანდოთ. რა ჩავიდინე ასეთი? ის, რომ დავემორჩილე იმ უნებურ გრძნობას, თქვენმა სიტურფემ რომ შთამაგონა, ხოლო სათნოებამ გამიძლიერა? ჩემი გრძნობა ყოველთვის თქვენდამი პატივისცემით იყო განმსჭვალული და თუ ის გულუბრყვილოდ გავიმხილეთ, თქვენდამი ნდობამ ამომათქმევინა და არა რალაცის იმედმა. ნუთუ აპირებთ უღალატოთ ამ ნდობას რომლის უფლება თქვენვე მომანიჭეთ და მეც მთელი არსებით ვენდე. არა, ამას ვერ დავიჯერებ. თქვენი საქციელი არ იქნება მართებული. ჩემი გული ვერ შე-



ეგუება თქვენს თუნდაც ერთ ნაკლს. არა, უკან მიმაქვს ჩემი სიტყვები, მართალია, დაეწერე ისინი, რამეთუ წერის დროს სითამამე მეჭარბება, მაგრამ ასე არ ვფიქრობ. ნუ დამიშლით ვიწამო, რომ უნაკლო ხართ, ეს ერთადერთი სიხარულია დამრჩა. დაამტკიცეთ, რომ მართლაც ასეთი ხართ, და ნუ მომაკლებთ გულსხმიერებას. თქვენ უბედურებს ეხმარებოდით, მაგრამ რომელ უბედურს სჭირდება დახმარების ხელი ისე, როგორც მე? ნუ დამტკიცებთ თქვენივე მიზეზით შმაგადქცეულს ამ მდგომარეობაში. დამიბრუნეთ უფროსად, რამეთუ იგი თქვენ წარიტაცეთ. გამომასწორეთ, განძანათლეთ და ამით დაასრულეთ საქმენი თქვენი.

არა, არ მოგატყუებთ, თქვენ ვერ დათრგუნათ ჩემს სიყვარულს! მაგრამ იმას კი მიმახვედრებთ, როგორ ვმართო იგი. თქვენ იქნებით ჩემი საქციელის წარმმართველი და წინამძღოლი, მასწავლეთ, რა ვთქვა და რა არა, რომ იმ **შინელი უბედურებისაგან მიხსნათ, არასასურველ ვინმედ ვიქცე თქვენთვის.** გამიფანტეთ ეს შიში, სასოწარკვეთას რომ მიქადის. მითხარით, რომ შემინდეთ, რომ გებრალლებით; იყავით შემწყნარებელი, თუმცა მე რომ მსურს, ისეთი არც არასოდეს იქნებით. თქვენგან მხოლოდ უკიდურესად აუცილებელს ვითხოვ. ნუთუ ამაზეც უარს მეტყვიან?

მშვიდობით, ქალბატონო, მოწყალე თვალთ გადმოხედეთ ჩემს გრძნობებს, ჩემს თქვენდამი პატივისცემას ისინი იოტისოდენადაც ვერაფერს დააკლებენ.

...დან, 20 აგვისტო 17...

## 25-ე წერილი

### ვიკონტ და ვალმონი მარკიზ და მერტიის მშუღლე ქ-ს და მერტიის

აი, რას გაცნობებთ გუშინდელი დღის შესახებ. თერთმეტ საათზე ქ-ს და როზმონდთან გაეჩნდი. მისი სურვილით ორივენი ჩვენს ვითომდა ავადმყოფს ეწვიეთ. ისევ ლოგინში დაგვხვდა. თვალები ამოშავებული ჰქონდა. ალბათ ეს ღამე ჩემსავით თეთრად გაათენა. როცა ქ-ნი და როზმონდი მის საწოლს მოშორდა, დრო ვიხელთე და წერილი მივაწოდე. არ გამომართვა. მაშინ საწოლზე დავდე და მოხუცი მამიდაჩემის საგარძელი მისკენ მივდეგი, რადგან მამიდამ თავის სახუკვარ ბავშვთან ახლოს ყოფნა ირჩია. მან კი წერილი ხელში ჩაჭმუჭნა სირცხვილის ასაცილებლად. თავისდა საუბედუროდ, ავადმყოფმა თქვა, მგონი, პატარა სიცხე მაქვსო. ქ-მა და როზმონდმა დამავალა მაჯა გამესინჯა მისთვის და ჩემი სამედიცინო განათლების ქებას მოჰყვა. მშვენიერ ქალბატონს დარდი გაუორკეცდა. ერთი რომ ხელი უნდა გამოეწოდებინა ჩემთვის, მეორეც — ვაითუ მისი პატარა ტყუილი გამუღავნებულყო. მართლაც მისი ერთი ხელი ჩემსაში მოვიქციე, მეორეთი კი საამური ფუმფულა მკლავი იდაყვამდე მოვუსინჯე. იმ თვალთმაქცმა არაფერი შეიმჩნია, საწოლს მოვშორდი და ვთქვი: მაჯა არ გახლავთ-მეთქი აჩქარებულად. ვიცოდი, რა მკაცრი მხერაც ექნებოდა და სასჯელად მის მხერას თვალი ავარიდე. ცოტა ხნის შემდეგ განაცხადა, რომ წამოდგებოდა, და ჩვენც მარტო დავტოვეთ. სადილად ჩამოვიდა, მაგრამ სადილმა უგემურად ჩაიარა. სასიერნოდ წამოსვლაზე უარი თქვა, ეს კი იმას ნიშნავდა, მასთან დალაპარაკების საშუალება არ მექნებოდა. ისღა დამრჩენოდა ერთი ამომეოხრა და ნაღვლიანად შემეხედა. ქ-ნი და ტურველიც, ეტყობა, ამას



ელოდა, რადგან მთელი დღის განმავლობაში მხოლოდ მაშინდა მოვახერხე თვალი თვალში გამეყარა მისთვის. მიუხედავად მოკრძალებისა, როგორც ყველა ქალს, მასაც მოსდგამს პატარ-პატარა ეშმაკობანი. დრო ვიხელთე და შევეკითხე, ხომ არ ინებებთ მაცნობოთ, რა ბედი მელის-მეთქი. გაოცებულიც დავრჩი, როცა მისი პასუხი გავიგონე: დიახ, ბატონო, წერილი მოგწერეთ. ერთი სული მქონდა წერილი ხელში ჩამეგდო. არ ვიცი, რა მიზეზით, ისევე ხრიკი იყო, უნიათობა თუ მორცხვობა, წერილი მხოლოდ საღამოვამს გადმომცა, სანამ თავესი ოთახის ხისკენ გაეშურებოდა. ისე რომ გიგზავნით მის წერილსაც და საკუთარის შავსაც. წაიკითხეთ და თავად განსაჯეთ: რა გაუგონარი თვალთმაქცობით ამტკიცებს, რომ ჩემდამი სიყვარული არ გააჩნია, როცა, პირიქით, ეჭვი არ მეპარება, რომ ვუყვარვარ. ხოლო შემდეგში თუ მე მოვატყუებ, აღშფოთდება, მომატყუაო, თითქოს პირველმა თვითონ არ მომატყუა! ჩემო ლამაზო მეგობარო, მხოლოდ ყველაზე გაქეპილ მამაკაცს ძალუძს გაუტოლდეს მართალი გულის ქალს. მაინც მოვალე ვარ მოვაჩვენო, თითქოს ეს სისულელე დაუუჯერე და სასოწარკვეთამ შემიპყრო, რადგან ქალბატონს ნებავეს მკაცრი ქალის როლი გაითამაშოს. აბა, როგორ არ არის საზღაურის ღირსი ყველა ამ ხრიკისათვის. ო. მოთმინება მმართებს... ჯერჯერობით კი მშვიდობით. კიდევ ბევრი მაქვს დასაწერი.

იცოდეთ, ამ გულქვა ქალის წერილი უკან უნდა გამომიგზავნოთ. იქნებ შემდგომში მოეპრიანოს და მეტი ფასი დაადოს ამ წვრილმან ამბებს, ამიტომ თადარიგი უნდა დავიჭირო.

პატარა ვოლანტზე აღარაფერს გწერთ. ამ საკითხზე შეხვედრისას ვილაპარაკოთ.

...-ის კოშიდან, 22 აგვისტო 17...

26-ე წერილი

კრეზიდენტის მშუღლე ქ-ნი დე ტურველი ვიკონტ დე ვალეონს

გუშინ საღამოს ჩადენილი ჩემი სულელური საქციელის ასახსნელად იბულებული ვარ მოგწერთ, ბატონო ჩემო, ეს წერილი, თორემ დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ჩემგან წერილს ვერ მიიღებდით. დიახ, ვალიარებ, ცრემლი ვერ შევიკავე, შეიძლება ის რამდენიმე სიტყვაც წამომცდა, ასე დაჟინებით რომ მახსენებთ; არაფერი გამოგპარვიათ, არც ჩემი ნათქვამი, არც ცრემლები. ჩანს, უნდა ავიხსნათ ყველაფერი.

მე ჩვეული ვარ ადამიანებს ყოველად ღირსეული გრძნობები აღვუძრა, ისეთ სიტყვებს ვუსმინო, რომ არ გამაწითლებენ, თავს საფრთხეში არ მაგრძნობინებენ და, თავის ქებაში ნუ ჩამომართმევთ, მართლაც რომ ვიმსახურებ. თვალთმაქცობა არ მეხერხება და, თუ შთაბეჭდილებები მომერევა, ვერც მათ ვუძალიანდები. ამიტომ გამაოცა და დამაბნია კიდევ თქვენმა საქციელმა. არ ვიცი, რამ დამაშინა, იმ ამბავმა, რომ თავი ამ მდგომარეობაში არ უნდა ჩამეგდო, თუ იმ შეურაცხმყოფელმა აზრმა, მეც რომ იმ ქალებში გამრიეთ, რომელთაც თავად აბუჩად იგდებთ და, როგორც მათ, მეც ისევე შეიძლება მომექცეთ. ამ მიზეზებმა განაპირობა ჩემი ცრემლები და ის სიტყვებიც, მგონი, დიახაც მართებული, რა უბედური ვარ-მეთქი. ეს ჩემი სიტყვები მეტისმეტად მნიშვნელოვანი რომ მოგეჩვენათ, უმნიშვნელო მაშინ იქნებოდა, თუ ჩემს ცრემლებს და სიტყვებს საამისოდ სხვა მიზეზი ექნებოდა, თუ თქვენი გრძნობების გაკიცხვის ნაცვლად,



ჩემს ღირსებას ეგზომ რომ ლახავენ, შემეშინდებოდა, ვაითუ ისინი გავიზიარო-მეთქი.

არა, ჩემო ბატონო, მე ეს შიში არ განმიცდია. ასე რომ იყოს, ასი ლიეთი შორს გაგექცეოდით, გადავიკარგებოდი სადღაც უღაბნოში და იქ დავიტირებდი იმ უბედურებას, რაც თქვენმა გაცნობამ დამაწია. იქნებ უმჯობესი იქნებოდა, მიუხედავად ჩემი რწმენისა, რომ არ მიყვარხართ და არც არასოდეს არ შეგიყვარებთ, მეგობრების რჩევა გამეზიარებინა და არ გაქცეულიყავი.

მეგონა — და სწორედ ეს არის ჩემი ერთადერთი შეცდომა — რომ დააფასებდით წესიერ და პატიოსან ქალს, ვინც თქვენში მხოლოდ წესიერ და პატიოსან კაცს ხედავდა, ქალს, ვინც თქვენ დაგიცვიათ, თუმცაღა თქვენი დანაშაულებრივი სურვილებით შეურაცხყოფდით. არა, ჩემო ბატონო, თქვენ მე არ მიცნობთ, თორემ თავს უფლებას არ მისცემდით ჩემზე ეს მცდარი აზრი შეგექმნათ. დიახ, მართალია, არ უნდა მომესმინა თქვენი სიტყვები, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავდა, გაგებდათ და ეს წერილი მოგეწერათ, რომელიც არც უნდა წამუკითხა. ამის შემდეგ კადნიერდებით და მთხოვთ, — შთამაგონეთ, როგორ მოვიქცე და რა ვთქვაო! კეთილი, ჩემო ბატონო, მაშ იცოდეთ, ღუმილი და დავიწყება გმართებთ! ეს ჩემი ერთადერთი რჩევაა, ერთადერთი, რაც უნდა გაიზიაროთ, მხოლოდ ამის შემდეგ იქნებით ღირსი ჩემი შენდობისა. ამის შემდეგ გექნებათ უფლება ჩემი შეწყნარებისა და მადლიერებისაც კი... მაგრამ არა... მე არაფერს მოვთხოვ იმ ადამიანს, რომელმაც პატივი არ სცა ჩემს ღირსებას, არ ვენდობი იმას, ვინც საფრთხეში ჩამაგდო. თქვენ მაიძულებთ მეშინოდეს თქვენი, მძულდეთ კიდევ, რაიც სულაც არ მსურს. მე მინდოდა თქვენი სახით ჩემი ღირსეული მეგობრის ძმისშვილი მეცნო. მისდამი მეგობრობა მავალეებდა ხმა ამემადლებინა თქვენს დასაცავად საზოგადოების აზრის წინააღმდეგ, დამნაშავედ რომ გთვლიდათ. ყველაფერს ხაზი გადაუსვით. ჩანს, არაფრის გამოსწორებას არ აპირებთ.

ისღა დამრჩენია განვიცხადოთ, ბატონო ჩემო, თქვენი გრძნობები შეურაცხყოფს, მათი აღიარება დიახაც ლახავს ჩემს ღირსებას. იცოდეთ, არ ვაპირებ თქვენი სიყვარული გავიზიარო. თუ ამ საკითხზე კრინტს კიდევ დამრავთ, მაიძულებთ თვალთ არ დაგინახოთ; უფლება მაქვს არა მარტო იმედი მქონდეს, არამედ მოვითხოვო კიდევ თქვენგან ეს. ამ წერილს თქვენს წერილსაც დავურთავ, ვიმედოვნებ ინებებთ და ჩემსას დამიბრუნებთ. ნამდვილად მძიმე ასატანი იქნება ჩემთვის, თუ ის ამბავი, რაიც არ უნდა მომხდარიყო კვალს დატოვებს. პატივი მაქვს... დ. ა. შ.

...დან, 21 აგვისტო 17...

## 27-ე წერილი

### სესილ ვოლანჟი მარკიზის მეუღლე ქ-ნ დე მერტიის

ღმერთო ჩემო, რა კეთილი ყოფილხართ, ქალბატონო! როგორ მიმიხვდით, რომ ჩემთვის უფრო იოლი იქნებოდა მომეწერა, ვიდრე მელაპარაკა! სათქმელი მიმიძიამს, მაგრამ თქვენ ხომ ჩემი მეგობარი ხართ? მჯერა, რომ ასეა. იცით, როგორ მჭირდება თქვენი რჩევა. ძალზე შეწუხებული ვარ, ასე მეგონია, ყველა ხვდება ჩემს გასაჭირს, განსაკუთრებით მაშინ, როცა ის აქ არის. შემომხედავს თუ არა, ვწითლდები. გუშინ ალბათ შემამჩნიეთ კიდევ, რომ ვტიროდი,



სწორედ ამაზე მსურდა თქვენთან ლაპარაკი, მაგრამ არ ვიცი, რამ შემიშალა ხელი. როცა შემეკითხეთ, რა დაგემართათ, ცრემლები ჩემდა უნებურად წამომცვივდა, ხმაც ველარ ამოვიღე. კიდეც კარგი, თქვენ იქ იყავით, თორემ დედა ყველაფერს შემაჩნევდა და ამას რა მოჰყვებოდა, ვინ იცის... აი, ასეთია ჩემი ყოფა. განსაკუთრებით ეს ბოლო ოთხი დღე.

ყველაფერი სწორედ იმ დღიდან დაიწყო, როცა შევალე დანსენის მამის წინააღმდეგ დამიჯერეთ, ქალბატონო, როცა მისი ბარათი აღმოვაჩინე, წარმოდგენას არ მქონდა, რა იყო შიგ, მაგრამ, გამოგიტყდებით, წერილი სიამოვნებით წავიკითხე. დე მთელი ცხოვრება უსიამოვნებანი ვერ მოვიშორე, ოღონდ დანსენიმ ისევ მომწეროს. ვიცოდი, მისთვის ეს არ უნდა გამემხილა. დამიჯერეთ, ვუსაყვედურე კიდეც წერილის გამო. მითხრა, სხვაგვარად ვერ მოვიქცეოდიო. მჯერა მისი. გადავწყვიტე კია, რომ მის წერილზე არ მეპასუხა, მაგრამ თავი ვერ შევიკავეო, მერწმუნეთ, მხოლოდ ერთხელ მივწერე, ისიც იმიტომ, რომ მეტი აღარ მოეწერა. ის კი მაინც მწერს და მწერს. რასაკვირველია, მე არ ვპასუხობ. ამის გამო ძალზე წუხს. ამასაც განვიცდი. არ ვიცი, როგორ მოვიქცე, რა ვიღონო. ო, რა საცოდავი ვარ, რომ იცოდეთ!

მითხარით, ქალბატონო, განა ძალიან ცუდად მოვიქცევი, თუ ხანდახას ვუპასუხებ დანსენის? იმ დრომდე, სანამ თვითონ არ გადაწყვეტს, რომ აღარ უნდა მომწეროს და ყველაფერი ძველებურად დარჩეს. თუ დანსენი თავისას არ მოიშლის, არ ვიცი, რა დამემართება. იცით, მის ბოლო წერილზე ტირილი ამივარდა, ვერა და ვერ დავწყენარდი. ვიცი, თუ პასუხს დაუუგვიანებ, ორივენი დავიტანჯებით.

გამოგიგზავნით მის წერილს ან წერილის ასლს და თავად განსაჯეთ. დარწმუნდებით, ცუდი ზრახვები არა აქვს. თუ მაინც მირჩევთ პასუხი არ მივწერო, გპირდებით, თავს შევიკავებ. მჯერა დამეთანხმებით, წერილში რომ ცუდი არაფერია.

რაკი სიტყვამ მოიტანა, ნება მომეცით კიდეც ერთი კითხვა მოგცეთ: დამარწმუნეს, რომ თუ ვინმეს შევიყვარებ, კარგ საქციელად არ ჩამეთვლება. განა სწორია? შევალე დანსენი მიმტკიცებს, ამაში ცუდი არაფერიაო, თითქმის ყველას უყვარს ერთმანეთაო. თუ ეს მართლა ასეა, მაშინ თავი მართლ მე რატომ უნდა შევიკაუო? ვერ გამიგია, იქნებ ეს საქციელი ქალიშვილებისთვის არის მიუღებელი? ამას იმიტომ გეუბნებით, რომ ერთხელ თვითონ მოვისმინე, დედაჩემი რომ ამბობდა, მადმუაზელ დ...-ს უყვარს ბ-ნი მ...-ო, ჰოდა, სულაც არ მოიხსენიებდა მათ ცუდად, მაგრამ დარწმუნებული ვარ გაბრაზდება, თუ ჩემს და დანსენის მეგობრობას იეჭვებს. ისევ ბავშვი ვვინივარ და არაფერს მეუბნება. როცა მონასტრიდან გამოვყავდი, ვიცოდი, გათხოვებას მიპირებდა, მაგრამ ახლა, მგონი, ამ ამბავზე სულაც არ ფიქრობს. ამას იმიტომ კი არ გეუბნებით, რომ ეს ამბავი ძალზე ძაღელვებს, გარწმუნებთ, არა, მაგრამ, როგორც ახლო მეგობარს, დედა თუ გაგიშხელთ ვისზე მათხოვებს, იმედი მაქვს გამაგებინებთ.

წერილი გრძელი გამომივიდა, მაგრამ რახან წერის უფლება მომეცით, თქვენი ნებართვით ვისარგებლე და ყველაფერი გაგანდეთ. იმედი მაქვს მეგობრობას გამიწევთ.

პატივისცემით და ა. შ...

პარიზი, 23 აგვისტო 17...



28-ე წერილი

შევალი დანსენი სესილ ვოლანს

რაო, მადმუაზელ, ისევ და ისევ უარობთ წერილის გამოგზავნას? ვერა და ვერ მოვალბე თქვენი გული? დღე დღეს მიჰყვება და თან შიშებს ის იმედი, თვით რომ მისახავდი! თითქოს აღიარებთ ჩვენს მეგობრობას, მაგრამ ეს რა მეგობრობაა, თუ ძალა არ შეგწევთ ჩემი ტანჯვა გაიზიაროთ, თუ ისევ და ისევ მშვიდი და გულგრილი იქნებით, როცა მე ცეცხლი მწვავს და ვერ ჩამიჭრია, თუ ის არამართო ჩემდამი ნდობას, სიბრაღულსაც ვერ შთაგაგონებთ? თქვენი მეგობარი იტანჯება და არაფერს იქმნის მის საშველად? ერთ სიტყვას გთხოვთ, სხვა ხომ არაფერს, თქვენ კი ამაზეც უარს მეუბნებით. თურმე ეს სუსტი გრძნობაც უნდა ვიკმარო, რაშიც ზედმეტად დარწმუნებისაც კი გეშინიათ.

გუშინ მეუბნებოდით, უმადურობა არ მჩვევიაო. ო, მერწმუნეთ, თუ საყვარულს მეგობრობით უბასუხებთ, ეს ნიშნავს, რომ უმადურობის კი არ გეშინიათ, არამედ ფრთხილობთ ასეთად არ გამოჩნდეთ.

ამიტომაც აღარ გავბედავ იმ გრძნობაზე გელაპარაკოთ, რომლის მოსმენა არ გსიამოვნებთ, რაკი უცხოა თქვენთვის. მე გულში უნდა ჩავიმარხო სიყვარული და ვეცადო თავს ვძლიო. ვიცო, გამიჭირდება, რა დასამალია, მთელი ძალ-ღონე უნდა მოვიკრიბო. ყველანაირი ხერხი ვიხმარო. ამათგან ერთი განსაკუთრებით მატკენს გულს, რადგან ყოველდღე ჩემს თავს უნდა შთაგაგონო, რომ უგულო ხართ. იმასაც ვეცდები, იშვიათად გინახულოთ, ვეძებ კიდეც ამის გამამართლებელ მიზეზს.

მეტი რა გზაა, ყოველდღე მოსვლა უნდა მოვიშალო. ეს სინანული მარად გამყვება. სამუდამო მწუხარება გახდება ჩემი უფაქიზესი სიყვარულის საზღაური. ამის მიზეზი თქვენ იქნებით. თქვენ ასე ისურვეთ. გული მეუბნება, აღარ მეწვევა ბედნიერება, რომელსაც ვკარგავ, მარტოდენ თქვენ ხართ ჩემი გულისთვის შექმნილი, რა სიხარულით დაედებდი ფიცს, რომ მხოლოდ თქვენთვის მეცოცხლა, მაგრამ ამის მოსურნე რომ არა ხართ? თქვენი დუმილი იმის მაუწყებელია, რომ გული ჩემთვის არ გიძგერთ. ეს იმის დასტურია, რომ გულგრილი ხართ და ამას სასტიკი ხერხით მამცნობთ. მშვიდობით, მადმუაზელ, აღარც მაქვს პასუხის იმედი. რომ გვევარებოდით, პასუხს წამით არ დააყოვნებდით, მეგობრობაც გიკარნახებდათ სიხარულით მოგეწერათ წერილი; რომ გებრალებოდეთ, ხატრს მაინც გამიწევდით, მაგრამ თქვენი გული არც მოწყალეა, არც მოსიყვარულე და მან არც მეგობრობა იცის.

პარიზი, 23 აგვისტო 17..

29-ე წერილი

სესილ ვოლანსი სოფი კარნას

ხომ გეუბნებოდი, სოფი, ხანდახან შეიძლება-მეთქი წერილის მიწერა. დამიჯერე, ძალზე ვნანობ, რომ შენი რჩევა გავიზიარე, რომელმაც ორივე, მეც და შევალიე დანსენიც ცუდ დღეში ჩაგვავდო. მე რომ მართალი ვიყავი, ქ-ნი დე მერტივც ამტკიცებს, ჩვენს ამბებში დიახაც კარგად ერკვევა და ჩემსავით ფიქრობს. მე მას ყველაფერი მოვუყვი. პირველად შენსავით მსჯელობდა, მაგრამ როცა ყველაფერი აუუხსენი, დამეთანხმა, ეს სულ სხვა საქმეაო, ოღონდ მოხოს



ვარჯენო ჩემი და დანსენის წერილები, რათა დარწმუნდეს, რომ მხოლოდ იმას ვწერ, რაც საჭიროა. ახლა სავსებით დავმშვიდდი. ღმერთო ჩემო, როგორ მიყვარს ქ-ნი დე მერტეი! რა კეთილია! თანაც ყველა რა პატივს სცემს! ისე რომ, საწინააღმდეგოს ვერაფერს იტყვი.

ერთი სული მაქვს მივწერო შევალე, დანსენის, ისიც როგორი კმაყოფილი დამრჩება. არც კი იცის, რა სიხარული ელის, რადგან დღემდე მხოლოდ მეგობრობაზე ველაპარაკებოდი, იმას კი სურდა ჩემს სიყვარულზე მეტყვა რაღაც განა ერთი დღე არ არის? ძეგირდა ჩემს გრძობაზე ლაპარაკი, ის კი არა და არ მეშვებოდა, ეს ამბავი ქ-ნი დე მერტეის ვუთხარი; თქვა, სწორედ მოქცეულხარ, სიყვარული მაშინ უნდა აღიარო, როცა დაფარვა აღარ შეგეძლებაო. ეს კი ვიცი, დიდხანს თავს ველარ შევიკავებ. განა სულ ერთი არ არის, დანსენის კი ესამოვლება.

ქ-ნი დე მერტეი შემპირდა, წიგნებს გათხოვებო. წიგნებში ყოველივეს ამოვიკითხავ, ვისწავლი, სწორად როგორ უნდა მოვიქცე, როგორ ვწერო უფრო უკეთ. რახან ქ-ნი დე მერტეი ყველა ჩემს ნაკლზე მითითებს, მაშასადამე, ძალზე ვუყვარვარ. ოღონდ მირჩია, დედაშენს არაფერი უთხრა ამ წიგნებზეო, რადგან ვინმემ შეიძლება თქვას, შვილის აღზრდას ისე კარგად ვერ მიხედაო, ეს კი დედას ეწყინებაო. რა თქმა უნდა, ხმასაც არ ამოვიღებ.

მიკვირს პირდაპირ, საკუთარ დედაზე მეტად ეს უცხო ქალი რომ ზრუნავს ჩემზე. ჩემი ბედი, ეს ქალი რომ გავიცანი!

სწორედ მან სთხოვა დედაჩემს ნებართვა და ზეგ ოპერაში წამიყვანს. იქ ერთ ლოჯაში მარტონი ვიქნებით, სალაპარაკო დრო გვექნება და არც იმის შეგვეშინდება, რომ ვინმე მოგვისძენს. საუბარი არ მირჩევნია ოპერას?! ჩემს გათხოვებაზეც ვილაპარაკებთ, რადგან, მისი თქმით, მართლაც მიპირებენ გათხოვებას; ამაზე მეტი სხვა ვერაფერი შევიტყვე. ჰო, მართლა, ნუთუ გასაკვირი არ არის, რომ დედაჩემი ამ საკითხზე არაფერს მეუბნება?

მშვიდობით, ჩემო სოფი, წავედი, შევალე დანსენის წერილი უნდა მივწერო, ო, რომ იცოდე, რა ბედნიერი ვარ!

...დან, 24 აგვისტო 17...

### 30-ე წერილი

#### სენილ ვოლანში შევალე დანსენის

როგორც იქნა, გადავწყვიტე ბატონო ჩემო, წერილი მომეწერა, რათა დარწმუნოთ თქვენდამი მეგობრობასა და სიყვარულში, რაკილა უამისოდ თავს უბედურად თვლით. მეუბნებით, უგულო ხარო, გარწმუნებთ ცდებით და მჯერა, ახლა მაინც ეჭვი აღარ შეგეპარებათ. თუ იმის გამო იტანჯებოდით, რომ წერილს არ გწერდით, ნუ გგონიათ, მეც არ ვწუხდი. იცოდეთ, ცუდს არამც და არამც არ ჩავიდუნდი და ალბათ არც სიყვარულში გამოგიტყდებოდით, თავის შეკავება რომ შემძლებოდა, მაგრამ თქვენი სევდა ძალზე მთრგუნავდა, ვიმედოვნებ, დღეიდან ნალველს გადაიყრით და ორივენი ბედნიერები ვიქნებით.

იმედი მაქვს ამ სადამოს მოხვალთ და გამახარებთ, თან, მგონი, ადრეც მოახერხებთ მოსვლას. თუმცა ისე ადრე მაინც ვერ მოხვალთ, მე რომ მინდა. დედაჩემი ვახშმად შინ იქნება, ალბათ თქვენც მოგიწვევთ. ვფიქრობ, გუშინდელივით არ იქნებით მიპატიუებული იმ ვახშამზე, სადაც მიგეჩქარებოდათ, მგონი, ძალზე მხიარულად გაატარეთ დრო, თქვენ ხომ ადრე წახვედით. თუმცა კმა-



რა ამაზე ლაპარაკი. ახლა ხომ იცით, რომ მიყვარხართ, და იმედი მაქვს შეძლებისამებრ დიდხანს დარჩებით ჩვენთან. მაშინ ვარ ბედნიერი, როცა თქვენთან ერთად ვარ, ნეტავ თქვენც ჩემსავით იყოთ.

ძალზე ვწუხვარ, რომ ისევ დაღვრემილი ხართ, მაგრამ ამაში ბრალი მე არ მიმიძღვის. როგორც კი მოხვალთ, მაშინვე ვთხოვთ არფა მომიტანოთ, რომ ძალე ნახოთ ჩემი წერილი. სხვა უკეთესი ვერაფერი მოვიფიქრე.

მშვიდობით, ბატონო ჩემო, გულით და სულით მიყვარხართ. რაც უფრო ხშირ-ხშირად ვამბობ ამას, მით უფრო ბედნიერი ვარ. იმედი მაქვს ბედნიერი იქნებით.

...დან, 24 აგვისტო 17...

### 31-ე წერილი

#### შევალიმ დანსენი სესილ ვოლანსს

რა თქმა უნდა, ბედნიერები ვიქნებით! გიყვარვართ და მაშ არ ვიქნები? არც თქვენს ბედნიერებას ექნება დასასრული, თუკი იმდენსავე ხანს იარსებებს, რამდენ ხანსაც თქვენგან მონიჭებული სიყვარული. აბა როგორ! გიყვარვართ და აღარ შიშობთ ამ სიყვარულში დამარწმუნოთ! რაც უფრო ხშირად ვამბობ ამას, მით უფრო ბედნიერი ვარო! როგორც კი წავიკითხე თქვენი ხელით დაწერილი სიტყვების ეს თაიგული, მე თქვენ მიყვარხართო, თითქოს თქვენს ტურფა ბაგეთაგან მოვისმინე ეს აღიარება, თითქოს ვხედავდი, როგორ მიმხერდნენ თქვენი ლამაზი თვალები, ნაზმა გრძნობამ კიდევ უფრო რომ გააღამაზა, თქვენთვის ვიცოცხლებო, მეფიცებით, მიიღეთ ჩემი ფიცაც, რომ თავს ვანაცვალე თქვენს ბედნიერებას! ირწმუნეთ, ფიცის ერთგული ვიქნები!

ჰოი, რა ბედნიერება გვარგუნა გუშინდელმა დღემ! ქ-ნ დე მერტეის რატომ ყოველდღე არა აქვს საიდუმლო დედათქვენისთვის გასანდობი? რატომ შეერევა ხოლმე ლამაზ მოგონებას გინდა თუ არა უსიამოვნო ფიქრი იმაზე, თუ რა დაბრკოლებები გველის მომავალში. რატომ არა მაქვს უფლება მუდამ მეჭიროს თქვენი პაწაწა ხელი, მე რომ მომწერა, მიყვარხართო, დაგიკოცნოთ და ასე ვიძიო შური თქვენი უარის გამო უფრო მეტ წყალობაზე.

მითხარით, ჩემო სესილ, ნუთუ სინანული არ იგრძენით, როცა დედათქვენი დაბრუნდა, როცა იძულებული გაკხდით ერთმანეთისთვის გულგრილად გვემზირა, როცა აღარ შეგეძლოთ სიყვარულის ფიცით ჩემი დანუგეშება იმის გამო, რომ უარს იყავით ჩემთვის სიყვარული დაგემტკიცებინათ. ნუთუ თავს არ უთხარით: რომ მეკოცნა, ბედნიერებას მივანიჭებდი, მაგრამ ვაი რომ მოვაკელი ეს ბედნიერებაო? პირობა მომეცით, ჩემო კეთილო მეგობარო, როგორც კი შემთხვევა მოგეცემათ, დათმეთ სიმკაცრე. ეს დაპირება ძალას შემმატებს დავძლიო ბედის ყველა უკუღმართობა, რაიც მოგველის, და მის სისასტიკეს შეარბილებს იმის რწმენა, თქვენც რომ ასევე ნანობთ.

მშვიდობით, ჩემო მშვენიერო სესილ. დრო გასულა, თქვენკენ უნდა გამოვეშურო. სიტყვასაც ვერ დავწერდი, თქვენი ნახვის იმედი რომ არ მქონდეს. მშვიდობით, ჩემთვის ესოდენ საყვარელო, ვინც უფრო და უფრო მეტად მეყვარებით!

...დან, 25 აგვისტო 17...



## 32-ე ვერილი

## მ-ნ დე ვოლანში პრეზიდენტის მეუღლე მ-ნ დე ტურველს

როგორც ჩანს, გინდათ ბ-ნი დე ვალმონის პატიოსნება და კეთილშობილად ვირწმუნო? გამოვიტყდებით, ვერ დავიჯერებ და ძალზე გამიჭირდება წესიერ კაცად ჩავთვალო მხოლოდ და მხოლოდ იმ ერთი საქციელის გამო, რომლის შესახებაც მიაჩნებოდა; ისევე როგორც ძნელია მანკიერად მიიჩნო ადამიანი, ცხოვრებაში მხოლოდ ერთი შეცდომა რომ დაუშვა. ადამიანთა მოდგმას სიკეთეშიც და ბოროტებაშიც სრულყოფილება აკლია. არამზადას გააჩნია თავისი ღირსებები, ისევე როგორც პატიოსან კაცს — თავისი ნაკლი. მგონი, ამ ჭეშმარიტების ცოდნა იმდენად არის საჭირო, რამდენადაც სწორედ აქედან გამომდინარეობს შეწყნარების აუცილებლობა როგორც ბოროტის, ისე კეთილის მიმართ. ეს ჭეშმარიტება იცავს ადამიანებს, ზოგს ქედმაღლობის, ზოგს კი სასოწარკვეთისაგან. ალბათ ფიქრობთ, რომ ამ შემთხვევაში მაინცდამაინც შემწყნარებელი არ გამოვდივარ, თუმცა კი ვქადაგებ ამას. რად გვარგებს მისი სიკეთე, თუკი გვასწავლის, რომ ერთნაირად მიუუდგეთ მანკიერსაც და კეთილშობილსაც.

თავს უფლებას არ მივცემ ბ-ნი დე ვალმონის საქციელის მიზეზები ვიკვლიო. მინდა ვირწმუნო, რომ ის ისეთივე სახაქებოა, როგორც თვით საქციელი. მაგრამ განა ბ-ნი დე ვალმონი არ ბრძანდებოდა, ვისი წყალობითაც მრავალი ოჯახი შეურაცხყოფის, სირცხვილის და შფოთვის მსხვერპლი გამხდარა? რახან ასე გსურთ, ისმინეთ იმ უბედური კაცის ხმა, ვისაც ის დაეხმარა, მაგრამ ამან არ უნდა ჩაახშოს თქვენთვის იმ ასობით მსხვერპლის ღალადი, რომლებიც მან შეიწირა. თუკი, როგორც თქვენ ამბობთ, იგი მხოლოდ მაგალითია იმისა, რაოდენ სახიფათოა ხოლმე კავშირები, განა ეს მიზეზები არ კმარა იმისთვის, რომ თავად არ წარმოადგენდეს სახიფათო კავშირს? თქვენ გგონიათ, ბ-ნ დე ვალმონს ძალუძს სასიკეთოდ შემოტრიალდეს? კი ბატონო, დაუშვათ, რომ ეს სასწაული მოხდა, მაგრამ განა მის მიმართ, საზოგადოება აზრს შეიცვლის? განა ეს არ კმარა იმისთვის, რომ გონს მოეგოთ? მხოლოდ ღმერთს ძალუძს შეუნდოს კაცს მონანიების ყაბს. მხოლოდ მას შესწევს ძალა მიუხვდეს ჩვენს გულს. ადამიანები კი ზრახვებს მხოლოდ საქციელის მიხედვით სჯიან. და არც არავის აქვს უფლება სხვათა პატივისცემის დაკარგვის შემდეგ დაიჩივლოს კანონიერ უნდობლობაზე, რადგან ძნელია დაკარგული პატივისცემის კვლავ მოპოვება. აბა დააკვირდით, ჩემო პატარა მეგობარო. ხანდახან, როცა პატივისცემას ვკარგავთ, ამის მიზეზად საკმარისი ხდება ისე მოვიქცეთ, თითქოს მას ნაკლებ ვაფასებთ; უსამართლოდ ნუ ჩათვლით ასეთ მკაცრ დასკვნას, რადგანაც ერთი მხრივ არსებობს საფუძველი ვიფიქროთ, რომ ადამიანი უარს არ იტყვის ასეთ ფასეულ სიკეთეზე, თუკი უფლება აქვს მისი მოხვეჭისა, მეორე მხრივ კი, ვისაც ცდუნების წინაშე ძლიერი ლაგამა არ თოკავს, იგი მართლაც უფრო ახლოა ბოროტებასთან. საზოგადოებაში თქვენზეც შეიქმნებოდა ასეთი აზრი, ბ-ნ დე ვალმონის ახლო მეგობარი რომ გამხდარიყავით, როგორი წმინდაც არ ყოფილიყო ეს მეგობრობა.

ისე გულმხურვალედ ექომაგებით ბ-ნ დე ვალმონს, ვშიშობ და ამიტომაც ვჩქარობ წინასწარ ავირიდო, რაზედაც შემესიტყვებით. თქვენ მისახელებთ ქ-ნ დე მერტეის, ვისაც შეუნდეს ეს კავშირი. ალბათ იმასაც შემეკითხებით, რატომ ვიღებ ბ-ნ დე ვალმონს საკუთარ სახლში, მეტყვით, რომ სულაც არ არის განკიცხული თავის წრეში, პირიქით, წარმატებაც აქვს რჩეულ საზოგადოებაში. შევეცდები ყველაფერს პასუხი გაეცე.



უპირველესად მინდა გითხრათ, რომ ქ-ნი დე მერტიე მართლაც პატივსაცემი ქალია და მხოლოდ ის ნაკლი აქვს, რომ მეტიმეტად სწამს საკუთარი ძალებისა. ის მოხერხებული მეეტლეა, სიამოვნებას ჰგვრის თავისი ეტლი კლდეებსა თუ უფსკრულთა შორის ატაროს, რასაც მხოლოდ წარმატება ამართლებს. სანაქებოა ასეთი ქალი, ოღონდ მისი საქციელის გამეორება სხვას ხიფათს გადაყრის. იგი თვითონ აღიარებს ამას და კიცხავს თავის თავს. მაგრამ ცხოვრების გამოცდილებამ თანდათან უფრო მკაცრი გახდა: იმეორებია ამის თქმა, რადგან ამ შემთხვევაში იგი უთუოდ დამეთანხმებოდა.

საკუთარ თავს უფრო მეტად არ გავამართლებ, ვიდრე სხვებს. ცხადია, მეც ვიღებ ბ-ნ დე ვალმონს ჩემს სახლში, მას ყველა იღებს. კიდევ ერთი უსამართლო საქციელი ემატება იმ ათას სხვას, საზოგადოებას რომ მართავს. ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ, რომ ყველა ამჩნევს ამ უმართებულობას, წუხან, მაგრამ დინებას ემორჩილებიან. ბ-ნი დე ვალმონი ცნობილი გვარისა გახლავთ, მდიდარი, ბევრი კარგი თვისება აქვს. იგი ადრევე მიხვდა, თუ გსურს საზოგადოების სადავე ხელში გეჭიროს, მისი მართვაც უნდა იცოდე. ერთნაირად უნდა გეხერხებოდეს ქებაც და გაქილიკებაც. არავინ არის მასავით ამ ორნაირი ნიჭით ასე უხვად დაჯილდოებული. ის ერთით აცდუნებს, მეორეთი კი შიშსა ჰგვრის. მას პატივს არ სცემენ, მაგრამ ეპირფერებიან. საზოგადოება სიფრთხილეს უფრო იჩენს, ვიდრე გაბედულებას, შეგუება უფრო ურჩევნია, ვიდრე ბრძოლა და ჭიდილი.

ვერც ქ-ნი დე მერტიე და ვერც სხვა ქალი ვერ გაბედავდა ამ ყაიდის მამაკაცთან ჩაკეტილიყო სადღაც სოფელში, თითქმის მარტოდმარტო, არადა, ყველაზე მოკრძალებულ, პატიოსან ქალს ხვდა წილად ასეთი უღარდებლობის მაგალითი გამხდარიყო! მაბატიეთ, ეს სიტყვები თქვენდამი მეგობრობამ მათქმევინა, ჩემო კეთილ მოგობარო, თქვენმა პატიოსნებამ შიშის გრძნობა გაგიქროთ და ამან გაცდინათ. აბა დაფიქრდით, ვინ იქნება თქვენი მსაჯული? ერთი მხრივ ფუქსავატი ადამიანები, რომელთაც არ სწამთ პატიოსნება, რადგან მათ წრეში არავინ არის ასეთი ბუნების, მეორე მხრივ კი ბოროტები, რომლებიც ისე მოიქცევიან, ვითომ არ სჯერათ მისი, რა რომ შური იძიონ თქვენზე, ვისაც ეს გაგაჩნიათ. თავად განსაჯეთ, რასაც ახლა სჩადით, ასეთ საქციელს მამაკაცებიც ვერ გაბედავდნენ. იმ ახალგაზრდებს შორის, ვისთვისაც ბ-ნი დე ვალმონი უდავო ორაკულად ითვლება, უფრო გონიერნი შორს დაიჭერენ მისგან თავს. თქვენ კი, თქვენ არ გეშინიათ! დაბრუნდით, დაბრუნდით მალე, გევედრებით... თუ ამ დასკვნებს საკმარისად არ ჩათვლით თქვენს შესაგონებლად, ჩემს მეგობრულ გრძნობას მაინც ენდეთ... სწორედ ეს გრძნობა მკარნახობს კვლავ შეგვედროთ, მან უნდა განსაჯოს ჩემი საქციელი. იქნებ ჩემი მოთხოვნა მეტიმეტად მკაცრი გეჩვენოთ, მაგრამ მირჩევნია მეტიმეტი მზრუნველობით შეგაწუხოთ, ვიდრე მეგობრისადმი უსულგულობა გამოვიჩინო.

...დან, 24 აგვისტო 17...

### 33-ე წერილი

#### მარკიზის მეუღლე ქ-ნი დე მერტიე ვიკონტ და ვალმონს

ვიდრე წარმატება გაფრთხობთ, ძვირფასო ვიკონტ, ვიდრე თქვენს მოწინააღმდეგეს თქვენვე აიარალებთ და არც გამარჯვების სურვილი გეუფლებათ, აბა რა გითხრათ? თქვენი საქციელი ესოდენ ფრთხილი რომ არ იყოს, მეტის-



მეტ სიბრყველ ჩაითვლებოდა. მართალი გითხრათ, ასე მგონია, თავს იტყუებთ.

ვისაყვედურებთ არა იმას, რომ ხელსაყრელი წამი ხელიდან გაუშვით, ერთი მხრივ ეს წუთი, მგონი, არც იყო დამდგარი, მეორე მხრივ, რაც არ უნდა თქვან ამის თაობაზე, ხელიდან გაშვებული შემთხვევა შეიძლება კვლავ მოგვეცეს, მაგრამ წინდაუხედავი ნაბიჯი ძნელად გამოსწორდება. თქვენი მთავარი შეცდომა ის არის, რომ მიწერ-მოწერა გააჩაღეთ. არა მგონია, გათვალისწინებული გქონდეთ, სად მიგიყვანთ ეს ნაბიჯი. იქნებ ფიქრობთ, რომ ამ წერილებით ჩააგონებთ, დამნებდითო? ცარიელმა სიტყვებმა კი არა, გრძნობამ უნდა შთაუწერგოს ამის სურვილი. თუ გსურთ, საწადელს მიაღწიოთ, მტკიცებას კი არ უნდა მოჰყვეთ, გული უნდა აუჩუყოთ. წერილებით გულის აჩუყებას რა აზრი აქვს, თუ მის გვერდით არ იქნებით და შემთხვევას არ გამოიყენებთ? გინდაც რომ თქვენი მჭევრმეტყველური წერილებით ქალს თავბრუ დაახვიოთ, იმის იმედი ნუ გექნებათ, ეს დიდხანს გასტანს და ქალბატონი გონს არ მოეგება. აბა დაფიქრდით, რამდენი დროა საჭირო ვერ წერილის დასაწერად, მერე რამდენი დრო გაივლის, ვიდრე გადასცემენ. ისიც გაითვალისწინეთ, რომ იმ ყაიდის ქალს, როგორც თქვენი ღვთისმშობლისა ქალბატონია, განა დიდხანს შერჩება ამის სურვილი, რაიც არც სურს ოდესმე ჰქონდეს? ეს ხერხი პატარა გოგობთან თუ გამოდგება; როცა ისინი წერენ, „მე თქვენ მიყვარხართ“, არც იციან, რომ „გნებდებით“-ო გულისხმობენ. ქ-ნ დე ტურველს შესწევს გონიერება კარგად გაერკვეს სიტყვების მნიშვნელობაში; მიუხედავად იმ უპირატესობისა, მასთან საუბარში რომ მოიპოვეთ, მაინც გაგვიცხათ თავის წერილში. მერე კი, იცით, რა მოხდება? როცა კაცი კამათს დაიწყებს, შემდეგ უჭირს უკან დახევა. თუ ვეცდებით სწორი დასკვნების გამოტანას, ამას ვახერხებთ კიდეც. მერე კი, გინდა არ გინდა, მაინც ეყრდნობი ადამიანი იმ დასკვნებს, რათა საკუთარ შეხედულებებს არ უღალატო.

მეტსაც გეტყვით — მიკვირს, თუად რომ ვერ შეამჩნიეთ — სატრფიალო წერილებში ყველაზე ძნელია იმის დაწერა, რასაც არ განიცდი. მე ვგულისხმობ ისე დაწერას, მართალს ემსგავსოს. აკი იგივე სიტყვებს ხმარობთ, ოღონდ ისინი სხვანაირად, უფრო კარგად უნდა დააწყოთ, სხვა არაფერი. აბა გადაიკითხეთ თქვენი წერილი, იმდენად დალაგებული წყობაა, ყოველი წინადადებით თავს ამქლავნებთ. მწამს, რომ თქვენი ქალბატონი საკმაოდ გამოუცდელია და ამას ვერ შეამჩნევს, მაგრამ ეს ხომ არ არის მთავარი? წერილი ვერ მოახდენს თავისთავად დიდ გავლენას, რომანებსაც ხომ ეს ნაკლი აქვთ. ავტორი თავს არ ზოგავს, რომ მკითხველი ჩაითრიოს, ის კი გულგრილი რჩება; ელოიზი ერთადერთი გამონაკლისია და მიუხედავად მწერლის ნიჭიერებისა სწორედ ეს დაკვირვება მაფიქრებინებს, რომ ელოიზი ნამდვილი ამბის მიხედვითაა შექმნილი. ლაპარაკის დროს სულ სხვაა. თუ კაცს ხმა ისე აქვს დაყენებული, რომ მგრძნობიარედ აფლეროს, უნარი აქვს ცრემლები იოლად ღვაროს, მზერა ენებით აივსოს და თან სინახეც ჩააქსოვოს, მერე არეულად ილაპარაკოს მღელვარების, დაბნეულობის გამოსახატავად, სწორედ მაშინ არის ის სიყვარულში ენაწყლიანი. მეტადრე რომ ტრფიალის საგანი უშლის ხელს აზრის მოკრებაში და უჩვენს სურვილს დამარცხებისა.

მერწმუნეთ, ვიკონტ! რაკი გთხოვს, ნუღარ მისწერთ წერილს. დამიჯერეთ და გამოასწორეთ შეცდომა. შეეცადეთ მასთან ლაპარაკი მოახერხოთ. იცით, მაგ ქალს უფრო მეტი ძალა ჰქონია, ვიდრე მეგონა. კარგად იცავს თავს. წერილი ისეთი გრძელი რომ არ ყოფილიყო, არც გასცემდა თავს; მხოლოდ მად-



ლიერების გამომხატველი წინადადება გაძლევთ მიზეზს ყველაფერი თავიდან დაიწყეთ.

ვფიქრობ, შეგიძლიათ ირწმუნოთ გამარჯვება. იგი ერთბაშად იმდენ სიტყვას და ძალას ხარჯავს, წინასწარ ვიცო, რომ თავდაცვისათვის ძალე სიტყვაც და ძალაც გამოელევა.

უკან გიგზავნით ორივე წერილს. თუ ფრთხილად აქწნებთ, წინანატრი დღე გეწვევით და წერილებსაც აღარ დაელოდებით. გვინათ რომ სხვას, პატარა ვოლანეზე მოგიყვებოდით. იგი დიდ წარმატებებს აღწევს. მეც კმაყოფილი ვარ მისით. ვფიქრობ, ჩემს ჩანაფიქრს უფრო ადრე უწერია აღსრულება, ვიდრე თქვენსას. იხარეთ, ვიკონტ! დღეისთვის კმარა, გემშვიდობებით.

...დან, 24 აგვისტო 17...

### 34-ე წერილი

#### ვიკონტ და ვალკონი მარკიზის მეუღლე მ-ს და მერთის

ჰოი, რა ენამოქარგული ბრძანდებით, ჩემო ტურფა მეგობარო, მაგრამ რად იდლით თავს იმ მტკიცებით, რაც ყველასათვის აშკარაა? სიყვარულში წარმატება რომ გვქონდეს, წერას ლაპარაკი სჯობიაო, ამბობთ. სულ ეს არის თქვენი წერილის შინაარსი. ვინ არ იცის, რომ ლაპარაკიც და წერაც ცდუნების ხელოვნების ანაბანაა. ამ წესის მიმართ ერთ გამონაკლისს უშვებთ, სინამდვილეში კი ორი არსებობს. გოგონები წერილების წერას მორცხვობის გამო ამჯობინებენ და გამოუცდელობის გამო ნებდებიან. მაგრამ ნუ დავივიწყებთ იმათაც, ჭკვიანებად რომ მოაქვთ თავი, თავმოყვარეობის გამო ირჩევენ ამ გზას და პატივმოყვარეობის წყალობით მანქში ებმებიან. მწამს, მაგალითად, რომ გრაფ ბ-ს მეუღლემ პირველსავე წერილზე უყოყმანოდ იმიტომ კი არ მიპასუხა, ჩემი სიყვარული ჰკლავდა, ისევე როგორც მე არ მკლავდა მისი, არამედ უნდოდა სიყვარულზე რაც შეიძლება ენამჭევრლად ელაპარაკა.

ასეა თუ ისე, ნებისმიერი ვექილი გეტყვით, რომ ზოგადი კანონი ყოველ კერძო შემთხვევაზე არ ვრცელდება. გგონიათ, არჩევანის წინაშე ვდგავარ, წერილი მიეწერო თუ ველაპარაკო? ასეთი არჩევანი არ გამაჩნია. ამ ამბის შემდეგ, რაც 19-ში მოხდა, ჩემი უგულო ქალბატონი თავდაცვით პოლიტიკას ეწევა, გაურბის შეხვედრებს და ამ ამბავში მოხერხებით მჯობნის. ასე თუ გაგრძელდა, მაშინ მაიძულებს სხვა გზებს მივმართო უპირატესობის მოსაპოვებლად. არ მსურს თავი დამარცხებულად ვიგრძნო. ჩემი წერილებიც კი საბაბს წარმოადგენს ჩვენ შორის არსებული პატარა ომისა. არათუ პასუხს არ მიგზავნის, წერილების მიღებაზეც უარზეა. თითოეული წერილისათვის საგანგებო ხრიკი უნდა მოვიგონო, თან არც ვიცო, გამიმართლებს თუ არა.

ხომ გახსოვთ, რა უბრალოდ გადავეცი პირველი წერილი, არც მეორე წერილის გადაცემა გამჭირვებია. მთხოვა მისი წერილი დამებრუნებინა. მის მაგივრად ჩემი წერილი მივეცი, ისე რომ, ეჭვიც არ შეჰპარვია. ჩემზე განაწყენებული ბრძანდება ამ ხრიკის გამო. შესაძლოა ჭირვეულობს, ან სულაც მისი კეთილზნეობაა მიზეზი, რაიც ლამის არის დავიჯერო; მესამე წერილი არაფრის დიდებით არ აიღო, მაგრამ ამ უარის გამო ისეთ უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა, ალბათ ჭკუას ისწავლის.

მართალი ვითხრათ, სულაც არ გამკვირვებია ეს უარი; რომ აუღო, ვიფიქ-



რებდი, საქმე უკვე აუწყო-მეთქი, არადა, მისგან ხანგრძლივ თავდაცვას მოველოდი. ის ხრიკი სულ შემთხვევით მომივიდა თავში და შემდეგი წერილი უკვე სხვა კონვერტში ჩაედო. დრო ვიხელთე, როცა ქალბატონი თავს ილაშქრებდა, მამიდა და მოახლე ქალიც მასთან იყვნენ და სწორედ მაშინ შევუგზავნე წერილი ჩემი ეგერის ხელით. თან დავაბარე ეთქვა: ეს ის ქალაქია, მე რომ მთხოვა. ვიცოდი, მოერიდებოდა უხერხულ ახსნა-განმარტებებს უარის გამო, ~~ქართულად~~ გამოართვა წერილი. ჩემმა ეგერმა, ამასთან ერთად რომ დაევალებოდა ~~მეც~~ მეტყველებასაც დაკვირვებოდა, შეამჩნია, ქალს სახეზე აღმურმა რომ გადაპკრა. ამის მიზეზი უფრო შეცბუნება იყო, ვიდრე მრისხანება.

თავს გამარჯვებულად ვთვლიდი: ქ-ნი დე ტურველი ან შეინახავდა ამ წერილს ან დამიბრუნებდა. ორივე შემთხვევაში განმარტობით პირისპირ შეხვედრა მელოდა მასთან. ეს კი საშუალებას მომცემდა დავლაპარაკებოდი. დაახლოებით ერთი საათის მერე მისი მსახურთაგანი შემოვიდა ჩემთან და თავისი პატრონისაგან გამოტანებული კონვერტი გადმომცა. სასურველი ხელწერა ვიცანი, სწრაფად გავხსენი და... ხელში ჩემი წერილი შემჩნა, გაუხსნელი და ორად მოკეცილი. ეს მხაკვრობა ალბათ შიშმა მოაფიქრებინა, ვაითუ მასზე ნაკლები სიფრთხილე გამომეჩინა და გახმაურებას არ მოვრიდებოდი.

ვიცი, კარგად მიცნობთ, და ამიტომ არ ავიწერთ ჩემს გააფთრებას. რას ვიზამდი? ისევ გონებას მოვუხმე და ახალი გზების ძიებას შევუდექი. აი, რა მოვიფიქრე.

ამ კოშკიდან ყოველ დღით ფოსტიდან წერილების ამოსატანად მიდიან ხოლმე. ფოსტა სამი ძილით არის დაშორებული. საამისოდ საკეტიან ყუთს იყენებენ, მოწყალების შესაგროვებელ საეკლესიო ყულაბას რომ ჰგავს. ამ ყუთის ერთი გასაღები ფოსტის უფროსს აქვს, მეორე კი ქ-ნ დე როზმონდს. დღის განმავლობაში ოჯახის წევრები თავიანთ წერილებს ამ ყუთში აგდებენ, საღამოს კი ფოსტის გზას გაუყენებენ ხოლმე. დღით ისევ იქიდან ამოაქვთ კოშკის მისამართზე გამოგზავნილი წერილები. ამ საქმიანობას რიგრიგობით ყველა მსახური ეწევა. ამჯერად ჩემი მსახურის რიგი არ იყო, მაგრამ თავად ივალდებულა, მაინც ჩემს საქმეზე იქით ვარ წასასვლელი.

ამასობაში წერილი გავამზადე. კონვერტზე შეცვლილი ხელით დავაწერე მისამართი და საფოსტო შტემპელიც დიჟონისას მივამსგავსე. მსიამოვნებდა, მისი ქმრის უფლებებით რომ ესარგებლობდი; იგი ამ ქალაქში იმყოფებოდა. ჩემი ქალბატონი მთელი დღე დიჟონიდან წერილის მიღებას ნატრობდა. საჭიროდ ჩავთვალე მისთვის ეს სიამოვნება მიმენიჭებინა.

რაკი სიფრთხილის თადარიგი უკვე დაჭერილი მქონდა, ეს წერილი სხვა წერილებს შევურაე. ამგვარად შემემლო თვალი მედევნებინა, რა მოუვიდოდა ბარათის დანახვაზე. აქ წესად აქვთ საუზმის დროს მოიტანონ ფოსტა, სანამ დაიშლებიან. როგორც იქნა, მოიტანეს წერილები.

ქ-მა დე როზმონდმა ყუთი გახსნა. „დიჟონიდან არის“, — თქვა და ქ-ნ დე ტურველს ბარათი მიაწოდა. ეს ჩემი მეუღლის ხელწერა არ არისო, წარმოთქვა ქალმა შემოთვალისწინებული ხმით და კონვერტი სწრაფად გახსნა. პირველივე სტრიქონმა ყველაფერი ამცნო. ისე აფორიაქდა, მამიდაჩემმა კიდევ ჰკითხა: „რა დავგმართათ?“ მეც მივუახლოვდი და ვუთხარი: „რაო, საშინელება ხომ არაფერია მაქ წერილში?“ საბრალო მხევალი ღვთისა თვალვებდახრილი იდგა, ხმას არ იღებდა. შეცბუნება რომ დაემდია, ვითომ წერილს კითხულობდა, თუმცა წაკითხვის თავი არ ჰქონდა. მისი ფორიაქი გულს მიხარებდა და მის გასაღიზიანებლად დავსძინე: „მგონი, დამშვიდდით კიდევ, იმედი მაქვს, წერილმა უფრო



გაგაოცათ, ეიდრე გული გატკინათ“. მაშინ სიბრაზემ სიფრთხილეზე უკეთესი სამსახური გაუწია. „ეს წერილი შეურაცხყოფას მაყენებს. მიკვირს, როგორ გამიბედეს“. — „კი მაგრამ, ვინ მოგწერათ?“ — სიტყვა შეაწყვეტინა ქ-მა დე როზმონდმა. „ხელს არავენ აწერს, — უბასუხა განრისხებულმა ლამაზმანმა, — წერილიც და დამწერიც ერთნაირად მგვრის ზიზღს, აღარ ღირს ამაზე ლაპარაკი“. მერე ეს თავხედური უსტარი გადახია, ჯიბეში ჩაიდო და გავიდა.

მართალია, ქალბატონი გაგვიბრაზდა, მაგრამ წერილი — ხშირ მისთან დარჩა. იმედი მაქვს ცნობისმოყვარეობა დასძლევს და ბარათს ბოლომდე ჩაიკითხავს.

დღის განმავლობაში რაც მოხდა, ყველაფერი რომ მოგწეროთ, წერილს ვერ დავასრულებ. მონაყოლს ჩემი ორი წერილის შავად ნაწერს დაუერთავ და თქვენც გეცოდინებათ ყველაფერი. თუ გსურთ შეიტყით ამ მიმოწერის ამბავი, ჩემი ბატისფეხური ხელწერის გარჩევაც უნდა იხსავლოთ, რამეთუ მის კიდევ ერთხელ გადათეთრებაზე გულს არამც და არამც არ გავიწყალებ. მშვიდობით, ჩემო კარგო მეგობარო.

...დან, 25 აგვისტო 17...

### 35-ე წერილი

ვიკონტ და ვალმონი პრეზიდენტის მიუღწევე ქ-ნ და ტურკელს

რა გაეწყობა, უნდა დაგემორჩილოთ, უნდა დაგიმტკიცოთ, რომ მიუხედავად იმ არასწორი შეხედულებებისა, ჩემზე რომ გაქვთ, მაინც მყოფნის მოთმინება თავს უფლება მივცე გისაყვედუროთ და საკმაო ვაჟკაცობაც უფრო მეტი მსხვერპლი გავიღო. მიბრძანებთ, დავდუმდე და დაგივიწყოთ! კეთილი! შევეცდები ჩავიკლა ჩემი სიყვარული და, თუ შევძელ, დაგივიწყო ის სისასტიკე, რითაც ჩემს სიყვარულს პასუხობდით. ცხადია, მხოლოდ სურვილი — ყოველმხრივ შეამებინა თქვენთვის — როდი გახლდათ საკმარისი. ვაღიარებ, თქვენგან შეწყნარების დამსახურება, ასე რომ მჭირდება, როდი ნიშნავს იძულებით მის მოპოვებას. თუ ჩემმა სიყვარულმა შეურაცხყოთ, თუ ის ცოდვად მიგაჩნიათ, არ დაივიწყოთ, რომ ამ ცოდვის მიზეზიც და გამართლებაც თვითვე ხართ. არც ის დაივიწყოთ, რომ უკვე მივეჩვიე თქვენთან გულის გადაშლას, თუმცა ეს ნდობა სიკეთეს არ მიქადდა — ოღონდ ველარ შევძელი გრძნობების დაოკება. ჩემს გულახდილობას თქვენ თავხედობას უწოდებთ. ამ ფაქტში, წრფელი და სათნო სიყვარულის ჯილდოდ — თავიდან მიშორებთ. სიძულვილზეც მქლაპარაკებით... ასეთ მოპყრობაზე ვინ არ დაიჩივლებდა? მაგრამ მე გემორჩილებით, მე უდრტვინველად ვიტან ყველაფერს. ლახვარს ლახვარზე არ იშურებთ ჩემთვის, მე კი მაინც გეთაყვანებით, მაინც გემორჩილებით, იმიტომ რომ ჩემი გრძნობების მეუფე ხართ. თუ ჩემი სიყვარული ყველაფერს უძლებს, თუ არ შეგწევთ ძალა მისი მოშთობისა, ეს იმიტომ, რომ ის თქვენი ქმნილება გახლავთ და არა ჩემი.

ნუ გგონიათ ჩემკენ მობრუნებას გთხოვდეთ, ამის იმედი არასოდეს მქონია. არც სიბრაღულს ველი თქვენგან, თუმცა შემეძლოთ მოლოდინი მქონოდა, თუ გავიხსენებთ იმ გულისხმიერებას, ზოგჯერ რომ იჩენდით ჩემდამი, მაგრამ ამის უფლება კი, მგონი, მაქვს — გთხოვოთ იყოთ სამართლიანი!

თქვენგან შევიტყვე, რომ ვილაც-ვილაცებმა ჩემზე ცუდი წარმოდგენა შევიქმნეს და რომ გავეზიარებინათ თქვენი მეგობრების რჩევა, ახლოსაც არ გამიკარებდით. ეს თქვენივე სიტყვებია. კი მაგრამ, არ შეტყვით, ვინ არიან ეს







თო სწორედ მაშინ, როცა ჩემი ერთადერთი მიზანია დაგარწმუნოთ ჩემს სიწრფელეში. მაიძულებთ თავი დავიცვა და ამიტომაც უნდა მომიტყევოთ ის ხერხა, რასაც მივმართე. ჩემი წმინდა გრძნობანი რომ აღიაროთ, უკეთ უნდა გაეცნოთ მათ. სწორედ იმიტომ მოვიქეცი ასე. იმედი მაქვს, მაპატიებთ და არ გაიკვირებთ, რომ სიყვარული უფრო გამბედავია, ვიდრე გულგრილობა, ამ გრძნობას ვზას რომ უღობავს.

ამიტომ ნება მიბოძეთ გული სრულიად გადავიშალს ჩემს თქვენს გეგმუნით და უნდა იცნობდეთ მას.

ქ-ნ დე როზმონდთან ჩამოსვლისას წინასწარ არც მიფიქრია, თუ რა ბედი შელოდა აქ. არ ვიცოდი, თუ მისი სტუმარი ბრძანდებოდა. ჩვეული გულწრფელობით დავსძენ, რომც მცოდნოდა, ეს ამბავი სულს არ ამიფორიაქებდა. არ გეგონოთ, თქვენს სილამაზეს არ ვაფასებ, ეს შეუძლებელია, მაგრამ რაკი მუდამ ჩვეული ვიყავ სურვილების მოძალებისას მხოლოდ იმათ ავეყოლოდი, იმედი რომ ფრთას ასხამდა, ჭეშმარიტი სიყვარულის სატანჯველი არასოდეს არ ჭანმიცდია.

თავად ხართ მოწმე, ქ-ნი როზმონდი რა დაბეჯითებით მთხოვდა რამდენიმე ხანს დავრჩენილიყავ. ერთი დღე კიდევ დავყავი თქვენთან და ღირსეული ნათესავის ხათრით, ბუნებრივია, დავთანხმდი დარჩენაზე. აქაური ცხოვრების ნირი ფრიად განსხვავდებოდა იმ ცხოვრების წესისაგან, რომელსაც ჩვეული ვიყავ. უნდა ითქვას, ახალთან შეგუება არ გამჭირვებია. ამის მიზეზი არც მიძებნია, ყველაფერს ჩემი რბილი ზასიათით ვხსნიდი, რის თაობაზეც უკვე მოგახსენეთ.

სამწუხაროდ (თუმც რატომ სამწუხაროდ!), უფრო ახლოს გაცნობის შემდეგ მალე მივხვდი, თქვენი მოძნობლობა, დანახვისთანავე რომ განმაცვიფრა, თქვენი ღირსების სულ მცირედი ნაწილი ყოფილა. თქვენმა ანგელოზურმა ბუნებამ გამაოცა და დამიძონა. მოვიხიბლე თქვენი მშვენიერებით, აღმაფრთოვანა სათნოებამ, სული ჩემი არ ისწრაფეოდა თქვენს დასაუფლებლად. იგი ცდილობდა მისი ღირსი გამხდარიყო. მსურდა ჩემი წარსულის შემწყნარებელი ყოფილიყავით, ვოცნებობდი თქვენს თანაგრძნობაზე. ამ თანაგრძნობას თქვენს სიტყვებში, თქვენს მზერაში ვეძიებდი, მზერაში, საწამლავს რომ აფრქვევდა და მით უფრო დამღუბველი იყო, რადგან არც თქვენ უწყოდით ამაზე და არც მე მიღვიძებდა ეჭვს.

მაშინ შევიგრძენ სიყვარული, მისგან მონიჭებულ უსიამოვნებათაგან კი ჯერ შორს ვიყავი. რაკი სამუდამო ღუმილი ვირჩიე ამ გრძნობის წილ, უშიშრად, თამამად მივეც თავი ამ ნეტარ გრძნობას, არადა, დღითი დღე მეუფლებოდა სიყვარული. მალე თქვენი ნახვა მოთხოვნილებად მექცა. როგორც კი თეალს მოეფარებოდა, გული მეკუმშებოდა, თქვენი ფეხის ხმა გულს მიჩქროლებდა, თქვენით და თქვენთვის ვარსებობდი. მაგრამ მოწმედ უნდა დამიდგეთ — მხიარულებასა თუ მნიშვნელოვან ამბებზე საუბრების დროს განა ერთხელ მაინც წამობცდენია სიტყვა ჩემი გულის საიდუმლოზე?

ბოლოს დადგა დღე, რომელმაც ბედი ჩემი უკულმა დაატრიალა. რაღაც აუხსნელი განგების ნებით ამ უბედურების სათავე დიდსულოვანი საქციელი გახდა. დიახ. ქალბატონო, ლატაკთა მიმართ გაღებულმა ჩემმა წყალობამ კითილშობილი გრძნობა გაგიღვიძათ, რამაც კიდევ უფრო დაგამშვენათ და სათნოებით აგავსოთ. მაშინ საბოლოოდ ამიფორიაქეთ გული, ისედაც დაუოკებელი სიყვარულით სავსე. იქნებ გაიხსენოთ, რარიგ შეწუხებული ვიყავ დაბრუნებისას. ამოდ ვუძალიანდებოდი ლტოლვას, რომლის მოთოკვაც აღარ ძალმიძდა.



ამ უთანასწორო ბრძოლით ძალაგამოცლილი გაუთვალისწინებელმა შემთხვევამ თქვენთან პირისპირ დამტოვა. მაშინ კი — გამოგიტყდებით და — თავი ვეღარ შევიკავე, ჩემმა გულმა ვეღარ დაიტია სათქმელი თუ ცრემლი, მაგრამ მითხარით, განა ეს დანაშაულია? თუ ეს მართლაც ასეა, განა საკმარისად არ დაეისაჯე სასტიკი განცდებით?

უიმედო სიყვარულით გაწამებული შებრალებას გთხოვთ მხოლოდ, თქვენ კი სიძულვილის მეტს არას იმეტებთ. ჩემი ბედნიერება თქვენი ხილვად თქვენცა და შიშით თვალს ვერ გისწორებთ. ო, რა სატანჯველში ჩამაგდეთ! დღე ვცდილობ ჩემი ტანჯვა არ გავამჟღავნო, მთელი ღამე კი ვეწამები. ხოლო თქვენ, მშვიდს და უშფოთველს, ჩემი ტანჯვა იმდენად გაინტერესებთ, რამდენადაც ამის მაზეზს წარმოადგენთ და გახარებთ ჩემი ამ დღეში ყოფნა. არადა, ისევ თქვენ ჩავით, მე კი თავი უნდა ვიმართლო.

აი, ქალბატონო, თუ გნებავთ მთელი სიმართლე, თქვენ რომ ცოდვად მითვლით, თუმცა აჯობებდა უბედურება გეწოდებინათ. წმინდა, წრფელი სიყვარული, თქვენდამი ჭეშმარიტი პატივისცემა, სრული მორჩილება — აი, რა გრძნობები შთამაგონეთ! არ შემეშინდებოდა ეს გრძნობები ღვთაებისთვისაც მიმეძღვნა. თქვენ, მისო საუკეთესო ქმნილება, იყავით მასავეით მოწყალე! იფიქრეთ ჩემს ტანჯვა-წამებაზე, იმაზე, რომ თქვენი წყალობით ხან სასოწარკვეთილი ვარ, ხან ნეტარებით აღსავსე, რომ თქვენი ერთი სიტყვა სამარადისოდ გადაწყვეტს ჩემს ბედს.

...დან, 23 აგვისტო 17...

### 37-ე წერილი

#### პრეზიდენტის მიუღწევე ძ-ნი დე ტურველი ძ-ნი დე ვოლანჟს

ვემორჩილები, ქალბატონო, თქვენს რჩევებს, რადგან ვიცი, ჩემდამი მეგობრობა გრჯით ასე. ჩვეული ვარ თქვენი აზრის გაზიარებას, რამეთუ იგი მუდამ ჭეშმარიტებას ემსახურება. მზადა ვარ ისიც ვაღიარო, რომ ბ-ნი დე ვალმონი მართლაცდა ძალზე სახიფათო კაცი ყოფილა, თუკი შეუძლია ასეთივალთმაქცოს, ერთდროულად იყოს ისეთიც, როგორიც აქ ჩანს, და ისეთიც, როგორადაც ახასიათებთ. რაც უნდა იყოს, რახან ასე ითხოვთ, თავიდან მოვიშორებ, ყოველ შემთხვევაში, ძალზე შევეცდები; თუმცა მეტწილად, რაც სათქმელად ადვილია, მისი შესრულება ჭირს ხოლმე მუდამ.

ახლაც შეუძლებლად მიმაჩნია ამის თაობაზე მამიდამისს მივმართო თხოვნით. ასეთ თხოვნას ორივე საწყენად მიიჩნევს ჩემგან. არც მე ვფიქრობ გამგზავრებას. ჯერ ერთი ჩემი მეუღლის, ბ-ნი დე ტურველის გამო, რაზედაც ადრე მოგახსენეთ; მეორეც — ჩემმა გამგზავრებამ შესაძლოა გააბრაზოს ბ-ნი დე ვალმონი და რა შეუშლის ხელს პარიზში გამოძევებს! განა მისი ქალაქში დაბრუნება არ იქნება უცნაური? განა მე არ ვიქნები ამის მიზეზი, ანუ ასეთად არ გამოვჩნდები საზოგადოების თვალში? ამას ხომ ისევ სოფლად შეხვედრა სჯობს. ხომ ყველამ იცის, რომ ქ-ნი დე როზმონდი მისი ნათესავია და თან ჩემი მეგობარიც.

უკეთესია თავად ვაიძულო აქედან წასვლა. ვიცი, ამის თქმა არ იქნება ადვილი. აკი სულ ცდილობს დამიმტკიცოს, რომ უფრო წესიერი კაცია, ვიდრე სხვებს ჰგონიათ, მაგრამ იქნებ მივალწიო კიდევ საწადელს. ვეცდები ასე მოვიქცე და ამით დავრწმუნდე, მართალს ამბობს თუ არა. წესიერ ქალებს არასო-



დეს პქონიათ და არც ექნებათ საბაბი ჩემზე ჩივილისო. თუ ბ-ნი დე ვალმონი აქაურობას დატოვებს და თხოვნას შემისრულებს, ამით ჩემდამი პატივისცემას დაამტკიცებს. რამდენადაც ვიცი, თითქმის მთელი შემოდგომა აპირებდა თავის მამიდასთან დარჩენას. თუ ჩემს თხოვნას არ შეასრულებს, აღარ დავაყოლებ, მე თავად გავემგზავრები. გპირდებით, ასეც მოვიქცევი.

აი, ის, რასაც თქვენდამი მეგობრობა მაგალებს. ვჩქარობ, აღვასრულო თქვენი საწადელი და დაგიმტკიცოთ, თუმცა ბ-ნი დე ვალმონი შეგნებდა თაუგამოდებით ვიცავდი, მაინც მზადა ვარ მოვისმინო თქვენი რჩევანი და გავიზიარო კიდევაც.

პატივი მაქვს და ა. შ.

...დან, 25 აგვისტო 17..

### 38-ე წერილი

#### მარკიზ დე მერტიის მკუდლე ძ-ნი დე მერტიი ვიკონტ დე ვალმონს

ეს-ეს არის მივიღე თქვენი დასტა წერილებისა, ძვირფასო ვიკონტ. თუ ძარილი ზუსტია, მაშინ ერთი დღით ადრე უნდა მიმეღო. ასეა თუ ისე, დროს კი გამოვნახავ მის წასაკითხად, მაგრამ პასუხის გაცემას ველარ მოვასწრებ. ამიტომ სჯობს მხოლოდ გამცნოთ, მივიღე-მეთქი, და სხვა საკითხზე გაგესაუბროთ. თუმცა რა მაქვს სათქმელი? შემოდგომობით პარიზი ცარიელია. ერთ მოსაწონ მამაკაცს ველარ შეხედები. ისე რომ, უკვე ერთი თვეა ფრიად წესიერად ვიქცევი. ჩემი შევალის აღგიღზე ყველა გაბეზრდებოდა ასეთი ერთგულებით. რაკი საქმე არაფერი მაქვს, გადავწყვიტე პატარა ვოლანჟით შევიქციო თავი. სწორედ მასზე მსურს მოგწეროთ.

ვერც წარმოიდგენთ, ვიკონტ, რა გაუშვით ზელიდან; რა მოხდებოდა, გამოგეჩინათ ამ ბაღლისადმი მეტი ყურადღება! გოგონა მართლაცდა საოცარი! ჯერ არც ხასიათი გააჩნია და არც ცხოვრებისა გაეგება რა. ხომ ხედავთ, რა იოლი და საამოა მასთან ურთიერთობა. არა მგონია, გრძნობებმა ოდესმე თავდავიწყებამდე მიიყვანოს, მაგრამ, ჩანს, განცდებს არის მოწყურებული. არც ჭკუა აქვს და არც ეშმაკობა, მაგრამ შინაგანად, როგორც იტყვიან, ისეთი ცრუა, რითაც ხანდახან მეც კი მაკვირვებს და რაიც წარმატების საწინდარია; თუმცა ერთი შეხედვით მიაბიტი და უმანკოა, ბუნებით ალერსიანი, ეს მისი თვისება ხანდახან ძალზე მიტაცებს, რადგან არაფერი გაეგება იმისა, რის გასაგებად ასე ისწრაფვის. ზოგჯერ ისეთი მოუთმენელი ხდება, გაგეცინებათ. ხან ტირის, ხან იცინის, ხან ბრაზობს; მეც კი ვიხიბლები, ისეთი გულუბრყვილობით მეკედრება, რომ გავანათლო. მართალი ვითხრათ, მშურს კიდევ იმის, ვისაც წილად ერგება ეს სიამოვნება.

არ ვიცი, გამცნეთ თუ არა, უკვე ოთხი თუ ხუთი დღეა, პატივი მაქვს ვიყო მისი მესაიდუმლე. ალბათ მიმიხვდებით, რომ ჯერ ერთობ მკაცრი იერი მივიღე, მაგრამ როგორც კი შევატყვე, პქონია-მეთქი, რომ დამარწმუნა თავისი სულელური დასკვნებით, ისე მოეჩვენე თავი, თითქოსდა მართლა მოეუწონე, მას მთელი არსებით სჯერა, რომ ამ წარმატებას თავის მჭევრმეტყველებას უნდა უმადლოდეს. ეს სიფრთხილე იმიტომ გამოვიჩინე, სახელი არ შემლახოდა. წერილის დაწერის უფლებაც მივეცი, იმისი ნებაც დაერთე, წერილში სიტყვა „პიყვარხარ“ ეხმარა და იმავე დღეს, ისე რომ ეჭვიც არ შეჰპარვია, დანსენის-



თან პირისპირ შეხვედრა მოვუხერხე. წარმოიდგინეთ, დანსენი იმდენად ბრიყვა, ერთი კოცნაც კი ვერ გამოსტყუა. ლექსებს კი, გაგიხარია, ისეთებს წერს! ღმერთო ჩემო, რატომ არიან ჭკვიანი მამაკაცები ესდენ ღოყლაპიები! დანსენი კი ისეთი უჭკუოა, დაბნეული ვარ, აღარ ვიცი, რა მოვუხერხო.

სწორედ ახლა ძალზე გამომაღგებოდა თქვენი თავი. საკმაოდ ახლოს ხართ დანსენისთან და შეგიძლიათ მესაიდუმლედ გაუხდეთ. და თუ ნდობას გმართავთ, ჩვენს საქმეს წყალი არ გაუვა. რაღას აყოვნებთ, მოუხერხეთ რამე მკვთვეს ქალბატონს, სულაც არ მინდა ფერკური უბედურებას გადაურჩეს. სხვათა შორის გუშინ მასზე ველაპარაკე ამ გოგონას და ისე კარგად დავესურათე, ათი წელი ცოლიც რომ ყოფილიყო, ასე არ შეძულდებოდა. ესეც კია, ამავ დროს ქადაგად გადავიქცევი ცოლქმრულ ერთგულებაზე ლაპარაკით. ამ საკითხში დიდზე დიდი სიმკაცრე გამოვიჩინე. ამით, ერთი მხრივ, მის თვალში ზნეკეთილი ადამიანის სახელს დავიმსახურებ, ვისაც მეტიმეტი შემწყნარებლობა არ ეპატიება, მეორე მხრივ კი სიძულვილს გავუღვივებ მომავალ მეუღლისადმი, ვისაც ამ გოგონას საჩუქრად ვუმზადებ. დაბოლოს იმედი მაქვს, თუ დაეარწმუნე მინებდეს სიყვარულს, ვინაიდან სულ მცირე დროლა დარჩა ქალწულად ყოფნისა, მით მეტად ეცდება ეს დრო არ დაკარგოს.

მშვიდობით, ვიკონტ, ვიწყებ ჩემი თავის მოკაზმვას, მერე კი თქვენი ერთი ტომეულის კითხვას შევუდგები.

...დან, 27 აგვისტო, 17...

### 39-ე წერილი

#### სახილ ვოლანჟი სოფი კარნეს

ჩემო ძვირფასო სოფი, სევლა მომერია, ადგილს ველარ ვპოულობ. თითქმის მთელი ღამე ტირილში გაუატარე. არა, ვერ ვიტყვი, ბედნიერი არა ვარ-მეთქი, მაგრამ გული მიგრძნობს, რომ ეს დიდხანს არ გასტანს.

გუშინ ქ-ნ დე მერტეისთან ერთად ოპერაში ვიყავი. ბევრი ვისაუბრეთ. ჩემს გათხოვებაზე, მაგრამ სასიკეთო ვერაფერი შევიტყვე. მგონი, ოქტომბრის თვეში გრაფ დე შერკურზე მიპირებენ გათხოვებას. ის თურმე მდიდარი, წარჩინებული გვარის კაცია, რომელიღაც პოლკის პოლკოვნიკი. ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ ჯერ ერთი თურმე ბებერია, წარმოგიდგენია, სულ ცოტა ოცდათექვსმეტი წლისა! გარდა ამისა ქ-ნ დე მერტეიმ მითხრა, ხასიათით უფმური და მკაცრი, შიშობს კიდევ, ვაითუ მის ხელში ბედნიერი არ იყო; ისიც შევატყვე, ქ-ნი დე მერტეი ამაში დარწმუნებულიცაა, მაგრამ პირდაპირ არ მეუბნება, არ უნდა გული მატკინოს. მთელი საღამო სულ ცოლის მოვალეობაზე მელაპარაკებოდა. ქ-ნი დე მერტეი არ მაღავეს, რომ ბ-ნი დე შერკური ვერაფერი სასიამოვნო კაცია, მაგრამ მაინც მარწმუნებს, უნდა გიყვარდესო. კიდევ ის მითხრა, როცა გათხოვდები, მერე დანსენის სიყვარულზე უარი უნდა თქვაო, ეს ხომ შეუძლებელია! მერწმუნე, სოფი, დანსენი მუდამ მეყვარება. იცი, რას გეტყვი, მგონი, სჯობს სულაც არ გავთხოვდე. ბ-მა დე შერკურმა, როგორც უნდა, ისე მიხედოს თავის საქმეებს, მე ხომ არ მომიხლომებია მასზე გათხოვება! ახლა კორსიკაშია, აქედან საკმაოდ შორს. ნეტამც იქ დარჩენილა კიდევ ათი წელი! მონასტერში დაბრუნების შიში რომ არ მქონდეს, დედაჩემს კარგადაც მოვახსენებდი, რომ არ მინდა ასეთი ქმარი, მაგრამ იქნებ გაჩუმება სჯობს ისევე, უარესი არ გამო-



ვიდეს. აღარ ვიცი, რა ვქნა. ვგრძნობ, ბ-ნი დანსენი ისე არასოდეს მეყვარებია, როგორც ახლა. როცა მახსენდება, რომ ერთი თვეა დამრჩენია ძველებურად ვიცხოვრო, თვალზე ცრემლი მადგება. მხოლოდ ქ-ნი დე მერტეია ჩემი ერთადერთი ნუგეში. ისეთი კეთილია! ჩემს დარდსა და ნალველს იხიარებს, ისეთი თბილი ადამიანია, მის გვერდით დარდი თითქმის მიქრება. ისიც უნდა ვითხრა, რომ სასარგებლო რჩევებსაც მაძლევს; თუკი რამ შევიტყვე, მისგან დამსახურებაა. ისეთი კარგი ადამიანია, რასაც ვფიქრობ, ყველაფერს ვუთხრობ, არ მერიდება. თუ ნათქვამს არ მომიწონებს, დამტუქსავს ხოლმე, მაგრამ ისე ალერსიანად, მთელი სულით და გულით ვკოცნი მერე, რომ შემოვირიგო. მის სიყვარულს ხომ აღარავინ დამიშლის? კოდა, ძალიანაც მიხარია. შევპირდი, როცა ხალხში ვიქნებით, აგრე რიგად არ გამოვხატო მისდამი სიყვარული. მეტადრე დედაჩემის თანდასწრებით, რათა შევალე დანსენის მიმართ ეჭვი არ აღეძრას. დამიჯერე, ჩემი ცხოვრება სულ რომ დღევანდელს ჰგავდეს, ჩემზე ბედნიერი არავინ იქნებოდა. მხოლოდ ეს აუტანელი ბ-ნი ჟერკური მიწყალებს გულს. აღარ მინდა მაგ კაცზე ლაპარაკი, თორემ ისევ სევდა შემომაწეება. სჯობს შევალე დანსენის მივწერო წერილი. მხოლოდ ჩემს სიყვარულზე ვუამბობ, დარდს არ ვაუზიარებ, გული არ ვატკინო.

მშვიდობით, ჩემო კეთილო. ხომ ხედავ, არაფერი გაქვს სასაყვედურო. მიუხედავად იმისა, რომ ვითომ ვერ ვიცლი, როგორც შენ გგონია, მაინც ვახერხებ მიყვარდე და წერილი მოგწერო.<sup>1</sup>

...დან, 24 აგვისტო 17...

### მე-40 წერილი

#### ვიკონტი და ვალეონი მარკიზის მეუღლე ქ-ნი დე მერტეის

ის არ მაკმარა ჩემმა გულქვა ქალბატონმა, პასუხს რომ არ მცემს წერილებზე და მათ მიღებაზე უარს მეუბნება, ახლა უნდა თავისი ხილვის საშუალებაც მომისპოს და აქაურობა დამატოეებინოს. კიდევ უფრო ის გაგაკვირვებთ, რომ ვემორჩილება ამ სისასტიკეს. ვიცი, ვამკიცხავთ ამისათვის... მაგრამ ასე მგონია, ქ-ნი დე ტურველს უფლება უნდა მივცე მიბრძანოს რამე, რამეთუ ბრძანება მიბრძანებელსაც უბორკავს ხელ-ფეხს, თანაც ის მოჩვენებითი ძალაუფლება, რასაც ვითომდა ვანიჭებთ ქალებს, მახე ვახლავთ, რომელშიც იოლადა ებმებიან. ამასთან ქ-ნი ისე კოხტად ახერხებს აიცდინოს ჩემთან მარტო დარჩენის შემთხვევა, რომ სახიფათო მდგომარეობა შემექმნა, საიდანაც, რადაც არ უნდა დამიჯდეს, თავი უნდა დავიძვრინო, რადგან მასთან ხშირად ყოფნისას ერთხელაც ვერ შევძელი სიყვარულზე მელაპარაკა, არადა, საშიშროება მომელის, ვაითუ ჩემს დანახვაზე გული აღარ აუჩქროლდეს. თავად შოგეხსენებათ, რა ძნელია მერე ასეთი განწყობის შეცვლა.

თუმცა მიხვდებით ალბათ, რომ ჩემი მორჩილება რადაც პირობასაც გულისხმობს. ვიზრუნე იმაზე, რომ იმ პირობათა შორის ერთი ისეთი ყოფილიყო, რომელსაც ვერ შეასრულებდა. ეს ფანდი ხელს შემიწყობდა ჩემს ნებაზე შემოქმედა, ან სიტყვის პატრონი აღმოჩენილიყავ ან დამერღვია იგი. კიდევ იმისთვისაც

1. კვლავ გამოვტოვეთ სხილ ვოლანგისა და შევალე დანსენის ის წერილები, რომლებიც ნაკლებად საინტერესო და არა არსებითია.



რომ წერილობითი კამათი გამება მასთან, როცა ჩემი ტურფა ქალბატონი კმა-  
ყოფილი იქნებოდა ჩემი საქციელით, ან იმ დროს, როცა მოისურვებდა მეც კმა-  
ყოფილი ვყოფილიყავი მისით. იმაზე აღარაფერს ვიტყვი, რომ დიახაც უნდათო  
ვინმე ვიქნებოდი, თუ ქ-ნს უარის შემთხვევაში ერთ ჯილდოს მაინც არ დაუტ-  
ყუებდი, როგორი ძნელიც არ ყოფილიყო ეს პირობა.

რაკი გაგაცანით ამ ვრცელ შესავალში ჩემი დასკვნები, ბოლომდე ჩემი  
ამბებსაც მიმოვიხილავ. დამამტკიცებელ საბუთად ჩემი ქალბატონის წერილი  
ჩემს პასუხსაც დავურთავ. განა მონახეთ კი სადმე ისეთ ზუსტ ქამთაღმწერელს,  
როგორიც მე ვარ?

ხომ გახსოვთ, რა შთაბეჭდილება მოახდინა დიქონიდან გამოგზავნილმა ჩე-  
მმა გუშინწინდელმა წერილმა. იმ საღამომ საკმაოდ მღელვარედ ჩაიარა. მშვე-  
ნიერი უკარება მხოლოდ სადილზე გამოგვეცხადა და გვაუწყა — შაკიკმა შემო-  
მიტიაო. ამ მიზეზში ის დიდი გაღიზიანება იმალებოდა, როგორიც მხოლოდ ქალს  
შეიძლება ჰქონდეს. სახე შესცვლოდა, თვინიერი გამოხედვა, თქვენც რომ კარგად  
მოგეხსენებათ, ჭირვეულ მზერად შესცვლოდა და სულ სხვანაირად დაემშვენე-  
ბინა. შემდგომ უთუოდ გამოვიყენებ ამ აღმოჩენას და ნახ საყვარელს ჭირვეულით  
შევიცვლი. ვგრძნობდი, საღამომდე დრო უხალისოდ ჩაივლიდა; მოვიმიზეზე, წე-  
რილები მაქვს დასაწერი-მეთქი, და ჩემს ოთახს მივაშურე. სასტუმრო ოთახში  
ექვს საათზე ჩამოვედი. ქ-მა დე როზმონდმა გასეირნება შემოგვთავაზა და ჩვენც  
დავეთანხმეთ, მაგრამ ეტლში ასვლისას ჩემმა ვითომდა აკადემიოფმა ქ-მა გაუგო-  
ნარი ქვეშქვეშობით ისევ შაკიკი მოიმიზეზა, ალბათ სამაგიერო გადამიხადა, მე  
რომ მთელი დღე არ გამოვჩნდი, არ შემიცოდა და მოხუც მამიდაჩემს შემატოვა.  
არ ვიცი, მიუვიდა თუ არა ჩემი წყველა-კრულვა ამ ავსულ ქალს, მაგრამ დაბ-  
რუნებისას უკვე დაწოლილი დაგვიხვდა.

მეორე დღეს საუზმეზე სულ სხვა ქალი გამოგვეცხადა. ჩვეული სინაზე და-  
ბრუნებოდა; მომეჩვენა, რომ შემინდო კიდევ. საუზმე დავამთავრეთ თუ არა, ეს  
ნაზი არსება მშვიდად წამოდგა და პარკისკენ გასწია. მეც, რა თქმა უნდა, უკან  
გავყვივი. „რაო, სეირნობა მოგსურვებიათ?“ ვკითხე და მიუუახლოვდი. „ამ დი-  
ლით დიდხანს ვწერე, — მიპასუხა მან, — და გადავიღალე“. „ჩემდა საბედნიეროდ  
მე ხომ არა ვარ მაგ დაღლილობის მიზეზი?“ — არ დავაყოვნე კითხვა. „დიახ,  
თქვენ მოგწერეთ, — კვლავ მიპასუხა მან, — მაგრამ ვერ ვბედავ წერილის გად-  
მოცემას. წერილში ერთი სათხოვარი მაქვს, თუმცა თქვენი ამბავი რომ ვიცი,  
იბედი არა მაქვს შემისრულოთ.“ — „ო, გეფიცებით, თუკი შევიძელ...“ — „ეს  
ძალზე იოლია, — სიტყვა შემაწყვეტინა, — თუმცა სწორად თუ განვსჯით, მე  
მაინც თქვენს თანხმობას წყალობად ჩავთვლი“, — მოთხრა და წერილი გადმომცა.  
გამოვართვი და თან ხელი მოვკიდე. შეცბა, მაგრამ არ გაბრაზებულა, ისე გამო-  
მაცალა ხელი. „არ მეგონა, თუ ასე ჩამოცხებოდა, — თქვა მან, — შინ უნდა დავ-  
ბრუნდე“, და კოშკისკენ მიმავალ გზას დაადგა. ამაოდ ვცაადე მისი დარწმუნება,  
სეირნობა განვაგრძოთ-მეთქი, მაგრამ იმის შიშით, არავის შევემჩნიეთ, მხოლოდ  
მჭევრმეტყველებით შემოვისაზღვრე. შინ ისე შევიდა, სიტყვა არ დაუძრავს. მი-  
ვხვდი, გასეირნება მხოლოდ წერილის გადმოსაცემად მოიმიზეზა. კოშკში მის-  
ვლისთანავე თავის ოთახში ავიდა, მე კი ჩემს სამყოფელისკენ გავსწიე წერილის  
წასაკითხად. ვიდრე თხრობას გავაგრძელებდე, ჯერ მისი წერილის წაკითხვა მო-  
გიწევთ, მერე ჩემი პასუხისა...



41-ე წერილი

პრეზიდენტის მეუღლე ქ-ნ და ტურველი ვიკონტ და პალეონს



თქვენი საქციელით თუ ვიმსჯელებთ, ბატონო ჩემო, მხოლოდ და მხოლოდ იმას ცდილობთ, რაც შეიძლება მეტი საბაბი მოძცეთ გულმსყრთმობის. დაჟინებით მთხოვთ სიყვარულზე ლაპარაკი არ დაგიშალოთ, თუმცა მოსმენა მისი არც მსურს და არც უფლება მაქვს. წერილების გადმოსაცემად ჩემი ნდობით და მორიდებით ბოროტად ისარგებლეთ. გულახდილად რომ ვითხრათ, საკმაოდ კადნიერად მომაწოდეთ ბოლო წერილიც. არ იფრთხილეთ იმის გამოც კი, რომ თქვენი თავხედობით სახტად დარჩენილი თავს გავამყლავნებდი, რაც უთუოდ ჩრდილს მომაყენებდა. ამ ამბის გამო მაშინვე იმსახურებდით ჩემგან საკადრის უკმეზ საყვედურს, მაგრამ წყენის გახსენებას სჯობს ერთი უბრალო და მართებული თხოვნით მოგმართოთ. თუ შემპირდებით აღსრულებას, მზად ვარ ყოველივე დავივიწყო.

თავად მითხარით, ჩემგან უარის შიში ნუ გექნებათო. და მაინც თქვენი უპირო ხასიათის გამო სიტყვა გატეხეთ და უარი მითხარით იმ ერთადერთ თხოვნაზე, რისი შესრულებაც შეგეძლოთ. და მაინც მჯერა, სიტყვის პატრონი რომ იქნებით, რაიც რამდენიმე დღის წინ დიდი ამბით აღმითქვით.

ისე რომ, გთხოვთ მოიღოთ სიკეთე და გამერიდოთ, დატოვოთ აქაურობა, რადგან თქვენი აქ დარჩენით იმ ხალხის საჭორაოს გამხდით, მუდამ რომ მზად არიან ცუდი თქვან სხვაზე. თქვენ ხომ ისინი დიახაც მიაჩვიეთ იმ ბანოვანთ უთვალთვალონ, ვისაც თქვენ გვერდით დაინახავენ.

ჩემი მეგობრები თავიდანვე მიმითითებდნენ ამ საფრთხეზე, მაგრამ მე ეს ყურად არ ვიღე, უარუყავი კიდევ მათი აზრები, სანამ თქვენი საქციელი იმედს მაძლევდა, ქალთა იმ ბრბოს არ მიმაკუთვნებდით, საფუძველი რომ ჰქონდათ თქვენზე ჩივილის და საყვედურების. დღეს, როცა ისევე მექცევით, როგორც მათ — ეს კი ჩემთვის ნათელი გახდა — მოვალე ვარ როგორც საზოგადოებრივი აზრის, ისე საკუთარი თავის წინაშე მივიღო ეს აუცილებელი გადაწყვეტილება. იმასაც დაუმატებ, რომ ვერაფერს მოიგებთ, თუკი თხოვნას არ შემისრულებთ. თუ თქვენსას არ მოიშლით და აქ დარჩებით, მაშინ მე თვითონ გავემგზავრები აქედან. სულაც არ ვაპირებ არაფრად ჩავაგდო თქვენი სიკეთე, თხოვნას თუ შემისრულებთ. ისიც მინდა იცოდეთ, თუ მაიძულებთ აქედან წასვლას, მთელ გეგმებს ჩამიშლით. დამიმტკიცეთ, ბატონო ჩემო, ჩემთვის მრავალგზის ნათქვამი სიტყვები: წესიერ ქალებს ჩემთვის არაფერი აქვთო სასაყვედურო. დაამტკიცეთ, რომ თუ მათ წინაშე მაინც მიგიძღვით დანაშაული, ძალაც შეგწევთ იგი გამოისყიდოთ.

ჩემი ეს თხოვნა თქვენი ცხოვრების ნორმა განაპირობა, ამაზე ამჯერადაც თქვენ მაიძულეთ. ნულარ გავიხსენებთ იმ შემთხვევებს, რომელთა დავიწყებას ვლამობ. და რომლებიც მაიძულებდნენ სასტიკად განმესაჯეთ; ამის მაგიერად საშუალებას გაძლევთ დაიმსახუროთ ჩემი მაღლიერება. მშვიდობით, ბატონო ჩემო, თქვენი საქციელი განსაზღვრავს, თუ რა გრძნობებით უნდა ვიყო თქვენდამი. ღრმა პატივისცემით...

... დან 25 აგვისტო 17...

1. იხ. 35-ე წერილი.



## 42-ე წერილი

## ვიკონტ დე ვალმონი პრეზიდენტის მეუღლე მ-ს დე ტურველს

რარიგ არ უნდა გამიძნელდეს თქვენგან შემოთავაზებული პირობების შესრულება, ქალბატონო, უარს მაინც ვერ გეტყვით. ძალა არ შემწევს თქვენს რომელიმე სურვილს წინ აღვუდგე. რაკი ეს საკითხი გარკვეულია, ვიმედოვნებ ჩემს ორიოდ თხოვნასაც მოისმენთ. მათი შესრულება უფრო იოლია. და მაინც თქვენდამი მორჩილს მსურს ეს წყალობა დავიმსახურო.

ერთი თხოვნა — ვფიქრობ, მართებული — ის გახლავთ, რომ უნდა დამისახელოთ ადამიანები, მე რომ ბრალს მდებენ. ისინი საკმაოდ ბოროტ სამსახურს მიწევენ და ამიტომ უფლება მაქვს ვიცოდე მათი ვინაობა. მეორე თხოვნის აღსრულებისთვის კი თქვენი მოწყალე გულის იმედი მაქვს. ნება მომეცით ზოგჯერ მაინც შეგახსენოთ, რომ მიყვარხართ, რამეთუ ჩემი გრძნობა ახლა უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე თქვენს თანაგრძნობას იმსახურებს.

აბა დაფიქრდით, ქალბატონო, მე მაშინაც კი მზად გახლავართ დაგემორჩილოთ, თუნდაც ამას ჩემი ბედნიერება შეეწიროს. მეტსაც გეტყვით, დარწმუნებული ვარ, იმიტომაც გსურთ აქაურობას მოვშორდე, რომ უსიამოვნებას არ გადაგყაროთ, დიახ, არ გადაგყაროთ იმ კაცმა, ვისდამიც ასე უსამართლო ბრძანდებით.

დამეთანხმეთ, რომ იმდენად არ გამინებთ იმ კაცის გვერდით ყოფნა, ვინც მეტიმეტად პატივსა გცემთ და ამიტომ ავად ვერც მოგიხსენიებთ, რამდენადაც ვიმპიძით იმისი აქ ყოფნა, ვისი დასჯაც განსჯაზე უფრო გეადვილებათ. ისე მიმორებთ თვალთაგან თქვენთა, როგორც იმორებენ გატანჯულ ადამიანს, ვისაც დახმარების ხელი არ უნდათ გაუწოდონ.

მაგრამ თქვენგან შორს მყოფს ტკივილი რომ გამოიკვცდეს, დარდი ვისლა გავუზიარო? ვინ დამიგდებს ყურს, ვინ მანუგეშებს თუ არა თქვენ? განა შეგიძლიათ უარი მითხრათ, როცა მხოლოდ თქვენა ხართ ჩემი ტანჯვის მიზეზი?

არ გაიკვიროთ, თუ გამგზავრებამდე მთელი გულით მსურს თქვენ მიერვე შთაგონებული გრძნობა წარმოვაჩინო, არც ის, რომ გასამგზავრებლად საჭირო ძალას თქვენი ბაგეთგან წარმოთქმული ბრძანება მომცემს.

ეს ორი მიზეზი ნებას მრთავს გთხოვოთ: — გაიღეთ ერთი წუთი ჩემთან საუბრისათვის. ლაპარაკს მიმოწერა ვერ შეცვლის. წერილების მთელი დასტაც ვერ გამოხატავს იმას, რაც მცირე ხნის საუბარში ნათელი ხდება. თქვენთვის ძნელი არ იქნება დრო შემირჩიოთ, ვინაიდან რაც არ უნდა დავაჩქარო გამგზავრება, მამიდაჩემმა იცის, რომ თითქმის მთელი შემოდგომა აქ ვაპირებდი დარჩენას. ამიტომ ერთი წერილი მაინც იქნება საჭირო მიზეზად იმისა, რათა დაეტოვო აქაურობა.

მშვიდობით, ქალბატონო; არასოდეს გამჭირვებია ამ სიტყვის თქმა ისე, როგორც ახლა, რამეთუ ეს სიტყვა ჩვენს განშორებას გულისხმობს. რომ იცოდეთ, რა სატანჯველია ჩემთვის აქედან წასვლა, რადგან მჯეროდა, ჩემს მორჩილებას უფრო მეტად დააფასებდით.

და მაინც შეიწყნარეთ ჩემი უნაზესი და პატრივისცემით აღსავსე სიყვარული.

... დან, 26 აგვისტო 17...



მე-40 წერილის გაგრძელება

ვიკონტ და ვალმონი მარკიზის მეუღლე ქ-ნ და მერთეის

ახლა კი მოდიტ ვიმსჯელოთ, ჩემო ტურფა მეგობარო. ალბათ/თქვენც მიხვდით, რომ მეტისმეტად წესიერი და პატიოსანი ქ-ნი და ტურველი ვერ შემისრულებს პირველ თხოვნას და თავისი მეგობრების ნდობას არ უკლავტებს, არამც და არამც არ დამისახელებს ჩემს ბრალმდებლებს. ასე და ამგვარად, ამ პირობით ქალბატონს ყველა სურვილის შესრულებას აღუთქვამ, მაგრამ თავს არ ვივალდებულებ, რადგან მისი ეს უარი ყველა დანარჩენი ჩემი თხოვნის შესრულებას განაპირობებს. პოდა, როცა გავემგზავრები, მაშინ ქ-ნ და ტურველის სრული თანხმობით მიმოწერას გავაჩაღებ, რადგან პაემანი, რომელსაც ვითხოვ, ჩემთვის არაფერს ნიშნავს. ამ თხოვნის მიზანი მხოლოდ ის გახლავთ, ქალბატონი წინასწარ შევაგუო სხვა შეხვედრებს და უარი არ მითხრას, როცა ამის დრო მართლა მოვა.

ჩემს წასვლამდე ერთადერთი, რაც მინდა მოვასწრო და გავიგო, ის ამბავია, ნეტა ვინ მიმღერვს წყალს. მგონი, მისი ბაიყუში ქმარი უნდა იყოს. მეც ეს მწადია. მეუღლის სიმკაცრე მხოლოდ უფრო შემაგულიანებს და დარწმუნებული ვარ, თუკი დავითანხმებ ჩემს ტურფას წერილი მალერსოს, მით მისი ქმრის შიში აღარ მექნება, რადგან იგი ერთხელ უკვე მოტყუებული ეყოლება.

მაგრამ თუ მას ერთგული მეგობარი ქალი ჰყავს და ის მოქმედებს ჩემ წინააღმდეგ, ჩანს, ერთმანეთს უნდა წავკიდო. იმედი მაქვს, მიზანს მივალწევ. მანამდე კი საქმის ვითარებაში უნდა გავერკვე.

გუშინ უკვე მეგონა, სულ მალე ყველაფერს შევიტყობ-მეთქი, მაგრამ იგი სხვა ქალებივით როდი იქცევა. მის ოთახში ვიყავით, როცა გვამცნეს — სადილი მზად გახლავთო. ის კი ისევ თავს იწესრიგებდა და ბოდიშებს იხდიდა; სწორედ ამ დროს შევამჩნიე, რომ სიჩქარეში სეკრეტერის გასაღები შიგ ჩარჩენოდა. ვიცოდი, თავისი ოთახის გასაღები თან არასოდეს მოჰქონდა. სადილობისას სულ ეს ამბავი მიტრიალებდა თავში. უცებ ფეხის ხმა მომესმა. მისი მოახლე კიბეზე ჩამოდიოდა. მაშინაც მოვიძიზეზე, ცხვირიდან სისხლი წამსკდა-მეთქი, და გავვიდი. მყის მისი სეკრეტერისკენ გავფრინდი. ყველა უჯრა ღია ჰქონდა, მაგრამ წერილის ნაგლეჯსაც ვერ წავაწყდი. სად წაიღო ჩემი წერილები? არადა, ხომ ხშირ-ხშირად იღებდა. ყველგან მოვაგლე თვალი, ყველაფერი ღია იყო. ვეძებე, ვეძებე, ვერაფერს მივაგენი. ბოლოს მივხვდი, რომ განძი ესე ჯიბეში ექნებოდა.

ოდონდ როგორ ჩავიგდო ხელში? გუშინდლიდან თავს ვიმტვრევ, მაგრამ ვერაფერს გავხდი. როგორ ვნახობ, რომ ქურდობის ნიჭი არ დამყვა. როცა ადამიანს აღზრდა-განათლებას აძლევ, განა ეს ხელობაც არ უნდა ასწავლო? მით უმეტეს, თუ კაცი ხრიკების ხლართვით იქცევს თავს. მეტოქის წერილის თუ სურათის მოპარვა, ან ამ უკარებასათვის ჯიბიდან იმის ამოცლა, მის ამბებს რომ გაამხელდა, ამაზე მეტი თავშესაქცევი რა იქნებოდა? მაგრამ ჩვენს მშობლებს ეს არც მოფიქრებიათ. თუმც მე თუ ვფიქრობ, რა? ვრწმუნდები მხოლოდ, რა უნდა იათო ვარ, საქმეს ვერაფერს ვშველი.

რა უნდა მექნა? სუფრასთან უგუნებოდ მივბრუნდი. ტურფა ქალბატონმა ცოტათი დამამშვიდა, თანავრძნობით გამომკითხა ამ ჩემს ყასიდ ავადმყოფობაზე. მეც არ დავაყოვნე და ვუთხარი: ამ ბოლო დროს ხშირად ვლელავ ხოლმე და ჯანმრთელობა შემერყა-მეთქი. კარგად მოეხსენება, ამის მიზეზი რომ თავად ბრძანდება. მაშ არ უნდა ეცადა ამ მიზეზის გაქარვება? თუმცა ღვთისმოშიშია, მაგრამ



არცთუ ისეთი მოწყალე გულის, რაკი უარზეა სასიყვარულო მოწყალეობა გაიღოს, ჰოდა, ეს საკმარისი მიზეზია, რომ მოვიპარო წერილი. არც გამემტყუნება. მშვიდობით. თქვენთან კი ვსაუბრობ, მაგრამ სულ იმ წვეულ წერილებისაკენ გამიბრბის ფიქრი.

... დან, 27 აგვისტო 17...

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

### 43-ე წერილი

#### პრეზიდენტის მეუღლე ქ-ნი დე ტურკელი ვიკონტ დე ვალმონს

რატომ ცდილობთ, ბატონო ჩემო, თქვენდამი მაღლიერების გრძნობა გამიქროთ? ვითომდა მემორჩილებით და თითქოს შევაჭრებით კიდევ ღირსეული საქციელისთვის? განა თქვენთვის არ კმარა, რომ ვიცი მისი ფასი? თქვენ ბევრს კი არა, შეუძლებელს მოხვით.

თუ მეგობრებმა მართლაც მითხრეს თქვენზე რალაც-რალაცები, ჩემდა სასიკეთოდ მოიქცნენ ასე. თუნდაც სცდებოდნენ, მათი საქციელი მაინც გასამართლებელია. თქვენ კი რას მთავაზობთ? მაღლობის მაგივრად გავცე ისინი? თავიდანვე შევცდი, როცა ამის შესახებ ვითხარით. ახლა ვნანობ. ის, რაც სხვებთან გულწრფელობად ჩამეთვლებოდა, თქვენთან დაუფიქრებელი საქციელი გამოდის ხოლმე, შეიძლება უმსგავსობაც ჩამადენინოთ, თუ ყურად ვიღე თქვენი თხოვნა. მოგმართავთ თქვენც და თქვენს კეთილშობილებასაც! ნუთუ გგონიათ, რომ ამ საქციელის ჩამდენი ვიყავ? ან კი როგორ შემომთავაზეთ? არა და არა! მწამს, თუ დაფიქრდებით, ამ თხოვნას აღარ გაიმეორებთ!

იმასაც მოხვით ნება მოგცეთ, რომ წერილი მომწერით ხოლმე. ამაზე იოლად ვერ დაგთანხმდებით. თუ გსურთ სიმართლე იცოდეთ, ამ უარის მიზეზი თქვენვე ბრძანდებით. სულაც არ მინდა შეურაცხყოფა მოგაყენოთ, მაგრამ თვით უწყით, რა სახელიც გაქვთ და თქვენივე თქმით ნაწილობრივ დამსახურებულიც. ჰოდა, რომელ ქალს ენდობება თქვენთან მიმოწერა გააბას? იკისრებს კია პატიოსანი ქალი იმას, რასაც მშვენივრად იცის, ვერსად გაამხელს.

დარწმუნებული რომ ვიყო თქვენი წერილები არ მაიძულებენ ვისაყვედუროთ და არც სინდისი შემაწუხებს მათი მიღების გამო, იქნებ სურვილმა, რომ დაგარწმუნოთ, — ამას თქვენი სიძულვილი კი არა, გონება მკარნახობს, — შემიცვალოს თქვენ მიმართ ფრიად საფუძვლიანი მოსაზრებანი და დაგთანხმდეთ ხანდახან წერილის მიღებაზე. ჰოდა, თუკი ამის ასეთი დიდი სურვილი გაქვთ, როგორც თვით ამბობთ, მაშინ სიამოვნებით დამორჩილდებით იმ ერთადერთ პირობას, რაიც თანხმობას მათქმევიწებს; ხოლო თუ რალაც მაღლიერების გრძნობა მაინც აღგეძრათ იმის გამო, რასაც თქვენთვის ვიქმ, გამგზავრებას არ დააყოვნებთ.

ნება მიბოძეთ აღვნიშნო, რომ თქვენ არ გამოიყენეთ ამ დილით მიღებული ჩემი წერილი და, როგორც შემპირდით, არ აუწყეთ ქ-ნი დე როზმონდს თქვენი გამგზავრების ამბავი. იმედი მაქვს ახლა აღარაფერი შეგიშლით ხელს სიტყვა აღასრულოთ. იმასაც ვიმედოვნებ, რომ ჩემთან ლაპარაკს აღარ დაუცდით, თუძცა კი მოხვდით, პირადად მოგესმინათ ჩემგან თქვენი გამგზავრების ბრძანება. ამისათვის ჩემი ხელმეორე თხოვნა იკმარეთ. მშვიდობით, ბატონო ჩემო.

... დან, 27 აგვისტო 17...



პიკონტი და ვალმონი მარკიზის მეუღლე ქ-ს და მერთის

გაიზიარეთ ჩემი სიხარული, ჩემო ტურფა მეგობარო. თურმე ვუყვარვარ! ეს ურჩი გულიც დავიმორჩილე. ქალბატონი ამაოდ ცდილობდა ამის დამალვას. არ დავიშურე ძალისხმევა თუ მოხერხება და შევეძელი მისი სიხარულის ამოხსნა. ახლა უკვე ვიცი, რისი გაგებაც მეწადა. გუშინდელი ბუნდისძვრა ღამის შემდეგ კვლავ ვპოვე ჩემი თავი, კვლავ მიხარია სიცოცხლე. ორმაგ საიდუმლოს აუხადე ფარდა — სიყვარულისას და სულმდაბლობისას. პირველი ნეტარებას მომანიჭებს, მეორეს კი სამაგიეროს მივაგებ. სიამოვნება ფრთებს შემასხამს. რომ დავფიქრდები, ისეთი სიხარული მეუფლება, სიფრთხილე თითქმის აღარც მახსოვს. იმასაც ვერ ვახერხებ, აზრები დავაწყო და ამბავი დალაგებულად მოგიტყვოთ, თუმც შევეცდები.

გუშინვე, წერილს რომ გწერდით, ღვთაებრივი უკარებასგან ბარათი მივიღე. ვიგზავნით ამ წერილს. იქიდან გაიგებთ, რომ იგი უფლებას მაძლევს მისთვის ყველაზე მოხერხებული გზით წერილი მივწერო. სამაგიეროდ გამგზავრებას მაჩქარებს. მგონი, დიდი ხნით აღარც გადავღებ, თუ ჩემი თავისთვის სიკეთე მინდა.

ფიქრი კი მტანჯავდა: ვის შეეძლო ჩემ წინააღმდეგ განეწყო იგი. აღარ ვიცოდი, რა მეღონა. ვცადე მოახლე მომესყიდა ქალბატონის ჯიბეების გასაჩხრეკად. ღამით უფრო იოლი იქნებოდა ამ საქმის ვახერხება. დილით კი წერილებს თავისივე ადგილს მიუჩენდა ისე, რომ ვჭკვს არავინ აიღებდა. ამ უბრალო სამსახურისთვის ათი ლუი შევთავაზე. მოახლე ზედმეტად წესიერი ან იქნებ ზედმეტად მხდალი ვომბიო აღმოჩნდა. ვერც ჩემმა ენაწყლიანობამ და ვერც ფულმა ვერ გასჭრა. ჯერ კიდევ ეჩინებოდა, როცა ვახშობის ზარმა შემოაჭრა, და მეც თავი მივანებე. შემპირდა კი, არ გამოთქვამდა, თუმც არც ამის იმედი მქონდა.

არასოდეს ვყოფილვარ ასეთ ცუდ გუნებაზე. ვგრძნობდი, თვითონვე გავაფუჭე საქმე და მთელი საღამო ვნანობდი ჩემს წინდაუხედავ საქციელს.

ჩემს ოთახში აფორიაქებული დავბრუნდი. ეგერს დაველაპარაკე. ამ მოახლის ბედნიერ საყვარელს გავლენაც უნდა ჰქონოდა მასზე. ვუთხარი, იმ ვოგომ ან შეასრულოს, რასაც ვთხოვ, ან ხმა გაიკმინდოს-მეთქი. ჩემი ეგერი, ყველაფერს რომ იოლად აგვარებს, ახლა ცოტა შეეჭვდა. ისეთი რამ მიპასუხა, გავოცდი, რა ჭკუის კოლოფი ყოფილა-მეთქი.

„ბატონს ჩემზე უკეთ მოეხსენება, რომ ქალს შეიძლება ის გააკეთებინო; რაც თავად უნდა, ხოლო რაც შენ გინდა, ხშირად არ გამოგივა.“

ამ ცუდლუტ კაცის საზრისობა ზოგჯერ შიშსა მგვრის.<sup>1</sup> „ამ ვოგოს იმედი კიდევ იმიტომ არა მაქვს, — დასძინა ესეც, — რომ, მგონი, სხვა საყვარელიც ჰყავს. ჩემთან საქმე მხოლოდ იმიტომ დაიჭირა, სოფელში უსაქმურობით გაბეზრდა. თქვენი სამსახურის სურვილი, თორემ მაგას სულაც არ გავეკარებოდი. (ეს ბიჭი დასტურ განძია!) რაც შეეხება საიდუმლოს შენახვას, — განაგრძო მან, — რა აზრი აქვს თხოვნას, თუკი სულ ადვილად შეუძლია მოგვატყუოს? ამ თხოვნის გამეორება კი მიახვედრებს, სახუმარო საქმე არ არისო, და მოინდომებს მეტი ხალისით უერთგულოს თავის ქალბატონს.“

რამდენადაც სწორი იყო ეს მოსაზრებანი, მით მეტად მაცბუნებდა. ჩემს ბე-

1. პირონი, „მეტრომანია“.



დად, ეს უსაქმურა ლაქლაქის გუნებაზე დადგა და, რახან მისი სამსახური მჭირ-  
დებოდა, მეც მივუშვი ნებას. თავის სასიყვარულო ამბავს რომ მიყვებოდა, სხვათა  
შორის თქვა, თურმე მოახლის სამყოფი ქალბატონის ოთახისაგან ისეთი თხელი  
ტიხარით ყოფილა გამოყოფილი, უბრალო შარიშურიც კი ისმოდა. ამიტომაც ამ  
უსაქმურას ბინაში ხვდებოდნენ ყოველდამ ერთმანეთს. მაშინვე შევადგინე ჩემი  
გეგმა, გავაცანი მას და წარმატებითაც დავაგვირგვინეთ.

შუალამის ორ საათს დაველოდე. როგორც შევთანხმდით, ლუქლაქის ხელში  
პაემანის ოთახისკენ გავეშურე იმ საბაბით, ვითომდა რამდენჯერმე დავუმახე  
ჩემს ეგერს, მაგრამ ვერ გავაგონე. ჩემმა თანამზრახველმა შესანიშნავად შეასრუ-  
ლა თავისი როლი. ჯერ გაიკვირვა, სასოწარკვეთა გამოხატა, მოჰყვა ბოდიშებს;  
მაგრამ მყისვე შევაწყვეტინე და ჩემთვის თბილი წყლის მოსატანად გავაგზავნე.  
შეტისმეტად წესიერმა მოახლემ კი დაირცხვინა. ხოლო იმ ცუდლუტს ჩემი სიც-  
რუისთვის ისიც მიუმატებია, რომ მოახლე სეზონის შესაბამისად გამოუწყვია,  
თუმცა რამე თუ ეცვა, მაინცდამაინც ვერ შეატყობდით.

ისე კი რაც უფრო დამცირებული იქნებოდა ეს გომბიო, მით იოლად და-  
ვიყოლიებდი. ეგერს ვუბრძანე ჩემს ოთახში დამლოდებოდა, მერე აწეწილ სა-  
წოლზე მივუჯექი და სალაპარაკოდ მოვემზადე. ჩემი მდგომარეობით უნდა მე-  
სარგებლა, ამიტომ, ვით სციფიონმა, გულგრილობა გამოვიჩინე, არაფერი არ შე-  
ვბედე, რისი იმედიც შეიძლება ჰქონოდა თავისი ყმაწვილქალობის გამო. პირ-  
დაპირ საქმეზე დაუწყვე ლაპარაკი ისე მშვიდად, თითქოს ვინმე მოხელეს ვესა-  
უბრებოდი.

პირობა მივეცი, რომ საიდუმლოს პატიოსნად შევუნახავდი, თუ მეორე დღეს,  
დაახლოებით ამ დროს თავისი ქალბატონის ჯიბეებს დააცარიელებდა და ყვე-  
ლაფერს მე ჩამაბარებდა. „ხომ გახსოვთ, გუშინ ათი ლუი შემოვთავაზეთ, გპი-  
რდებით სიტყვას არ გადავთქვამ და არც ბოროტად გამოვიყენებ თქვენს მდგო-  
მარეობას“. წარმოიდგინეთ, ყველაფერი მშვენიურად მოგვარდა. მერე დავტოვე  
იქაურობა და საშუალება მივეცი ბედნიერ წყვილს დაკარგული დრო აენახლაუ-  
რებინათ.

ჩემი დარჩენილი დრო კი ძიღს მივუძღვენი. გავიღვიძე თუ არა, მიზეზი რომ  
მქონოდა პასუხი არ გამეცა ჩემი ტურფა ქალბატონის წერილზე, სანამ მის წე-  
რილებს არ გადავხედავდი, რასაც მხოლოდ მეორე დღეს თუ შევძლებდი, გა-  
დავწყვიტე სანადიროდ წასვლა. იქ მთელი დღე დავყავი.

დაბრუნებისას საკმაოდ ცივად შემხვდა. ალბათ გამინაწყენდა, რომ დარჩე-  
ნილი დრო არ გამოვიყენე. ასე იმიტომ მგონია, როცა ქ-მა დე როზმონდმა მი-  
საყუედურა, — ასე დიდხანს სად დაგვეკარგეო, ჩემმა ტურფამ ცოტა არ იყოს  
გესლიანად თქვა: „ნუ ვუსაყუედურებთ ბ-ნ დე ვალმონს, ძლივს რაღაცით შე-  
იქცია თავი“. ვითომ შევწუხდი ამ უსამართლო ნათქვამზე და ვცადე დამერწმუ-  
ნებინა ქალბატონები, რომ პირიქით, მათთან ყოფნა ძალზე მომწონს და ამის  
გამო ფრთად საჭირო წერილის დაწერაც გადავდე. ისიც დავუმატე, ეს რამდე-  
ნიმე დამეა უძილობა შემომეჩვია და ვიფიქრე, იქნებ დაღლილს უფრო დამე-  
ძინოს-მეთქი. ჩემი მზერა აშკარად მეტყველებდა, რის ჩაწერას ვაპირებდი წე-  
რილში ან რა იყო ჩემი უძილობის მიზეზი. მთელი საღამო ვცდილობდი სევდი-  
ანი ვყოფილიყავი და მოუთმენლობაც დამემალა. მანამ იმ საიდუმლოს შევიტ-  
ყობდი, ასე გულდაგულ რომ მიძალავდნენ. ბოლოს დავიშალენით, ყველანი სა-  
კუთარ ოთახებისკენ გავეშურეთ. არ გასულა დიდი ხანი, რომ ქალბატონის ერ-  
თგული მოახლე მობრძანდა და სიტყვის შენახვის საფასურად დანაპირები მო-  
მიტანა.



როგორც კი ამ განძის პატრონი გავხდი, თქვენთვის ცნობილი სიფრთხილით წერილების კითხვას შევუდექი, რადგან ისეთივე თანამიმდევრობით უნდა დამეწყოს, როგორც იყო. ჯერ ქმრის ორ გულისამრევ წერილს წავაწყდი, ცოლქმრულ სიყვარულსა და სასამართლო პროცესის წერილმანებზე რომ იწერებოდა. მოთმინება მეყო და ისინი მთლიანად წავიკითხე. ჩემზე სიტყვა არ ეწერა. ნაწყენმა გადაუდე ისინი. გუნება გამომიკეთდა, როცა ერთმანეთი დიდი ხანიდან გამოგზავნილი იმ ცნობილი ჩემი წერილის სათუთად შეკრული ნაწილები მომხვდა ხელში. კიდევ კარგი, თვალი გადავაკვლე. ო, როგორ გავიხარე, როცა წერილზე სრულიად ნათლად ჩემი ტურფა უკარებას ცრემლების კვალი შევამჩნიე. ყმაწვილურმა უინმა შემიპყრო და წერილი ისეთი ვნებით დავკოცნე, როგორც აღარც კი მეგონა, თუ კიდევ მქონდა. მერე ერთობ წარმატებით დაწყებულ საქმიანობას მივყევი. თარიღების მიხედვით დაწყობილი ჩემი ყველა წერილი აღმოვაჩინე. მეტადრე იმ წერილის ნახვამ გამაოცა და გამახარა, სულ პირველად რომ მივწერე და, როგორც მეგონა, უმაღურმა ქ-მა თავის დროზე დამიბრუნა. წერილი საკუთარი, თანაც ისეთი მორთოლვარე ხელით გადაეწერა, ეტყობა, ფრიად სასიამოვნო გრძნობებმა აუჩქროლა გული.

აქამდე კაცი ერთიანად სიყვარულით ვიყავ აღსავსე, მაგრამ მალე რისხვამ შემიპყრო. როგორ გგონიათ, ვის სურს ჩემი სათაყვანებელი ქალის წინაშე თავი მომჭრას და დამღუპოს? ვინ არის ის ბოროტი კუდიანი? ვინ ჩაიფიქრა ასეთი სისაძაგლე? თქვენ იცნობთ მას. ის თქვენი მეგობარი ქალი ბრძანდება, თქვენი ნათესავი, ქ-ნი დე ვოლანჟი. ვერც წარმოიდგენთ, რა სისაძაგლეებს სწერს ჩემზე ეგ ჯოჯოხეთის მამხალა. სწორედ ეგ ქალბატონი ბრძანდება, ვინც სული აუმღვრია ამ ანგელოზს. თუ დღეს იძულებული ვარ აქაურობა დავტოვო, მაგ ქალის რჩევა-დარიგებას უნდა ვუმაღლოდე. სულ ეგ აგულიანებს თურმე. მაგ დედაკაცს შევეწირე! არა, სხვა გზა არა მაქვს, უნდა შევაცდინო, უნდა პატივი ავხადო მის ასულს, ოღონდ ეს არ კმარა, თავად უნდა გავანადგურო! თუ თავისა ასაკის გამო ჩემგან საფრთხე არ მოელის, ვინც უყვარს, მას ჩაეცემ ლახვარს. ვნახოთ, რა გუნებაზე დადგება.

მაშ ნებავს, რომ პარიზში დავბრუნდე! მაშ მაიძულებს, არა?! კეთილი, დავბრუნდები, დავბრუნდები და სატირლად გავუხდი საქმეს. სამწუხაროა, რომ ამ ამბის გმირი დანსენი იქნება. ის ძალზე წესიერი ვინმეა და ეს შეგვიშლის ხელს. მგონი, შეყვარებულია, ხშირად ვხვდებით ერთმანეთს. იქნებ გამოვიყენო კიდევ ამ საქმეში. ეჰ, ბრაზი ისე მომეურია, აზრი გამიწყდა. არადა, ხომ უნდა მოგიყვეთ დღევანდელი ამბები.

ამ დილით ისევ ვნახე ჩემი ნაზი უკარება, არასოდეს მჩვენებია ესოდენ ლამაზი. ასეც უნდა იყოს. ქალი იმ წუთებშია ყველაზე მშვენიერი, როცა მამაკაცს გრძნობით ათრობს, რაზედაც ამდენს ლაპარაკობენ, მაგრამ იშვიათად განიცდიან. როცა ურწმუნდებით, რომ ქალს უყვარვართ, მაინც არ ვიცით, იქნება კია იგი მოწყალე? ეს შემთხვევა სწორედ ჩემზეა ზედგამოჭრილი. იქნებ ჩემს თვალში კიდევ იმან გაამშვენიერა, რომ მის ნახვას ვეღარ ველირსები. როგორც იქნა, ფოსტა მოიტანეს. გადმომცეს 27-ში გამოგზავნილი თქვენი უსტარი. ვიდრე მას ვკითხვლობდი, კიდევ ვყოყმანობდი გამგზავრების თაობაზე, არ ვიცოდი, ვიქნებოდი თუ არა სიტყვის პატრონი. მაგრამ ჩემი ტურფა ქალბატონის მზერა რომ დავიჭირე, მივხვდი, უარს ვერამც და ვერამც ვერ ვეტყვოდი.

ისე რომ, ჩემი გამგზავრების ამბავი გამოვაცხადე. ქ-მა დე როზმონდმა მაშინვე დავგტოვა პირისპირ. უკარებასაგან ჯერ ისევ ოთხი ნაბიჯის დაშორებით ვიყავ, რომ შეშინებული წამოხტა და ჩურჩულით მითხრა: „არ მომეკაროთ, არ



მომეკაროთ, ბატონო ჩემო, ღვთის გულისათვის არ მომეკაროთ!“ ამ მუდარამ, მისი აფორიაქების დასტურმა, უფრო მეტად აღმაგზნო. მის გვერდით გაუჩნდი, ხელებზე მოვკიდე ხელი, გულდაგულ რომ ჰქონდა გადაჭდობილი. ის იყო ალერსიანი საყვედურების თქმა დაუპირე, რომ რაღაც ბოროტმა სულმა ქ-ნი დე როზმონდი ისევ ჩვენთან შემოაბრუნა. მორცხემა უკარებამ, ვისაც ახლა მართლად უნდა შეშინებოდა, დრო იხელთა და წასვლა დააპირა.

მე მაინც შევთავაზე ხელი. მან არ იუარა. ასეთი სათნოება დიდი ხანია არ გამოუჩენია და ეს სიკეთის მომასწავებლად მივიჩნიე. კვლავ მოვეყვი სიყვარულზე წუწუნს და შევეცადე კიდევ მისი ხელი დამეჭირა. მან წარომევა სცადა. მე მივეძაღე და ისიც დამმორჩილდა, თუმცა არ მითანაგრძნო არც საქციელითა და არც სიტყვებით. მისი ოთახის კართან მივედი, გამგზავრების წინ მინდოდა ხელზე მეკოცნა. ჯერ არიდება სცადა, მაგრამ ისე ალერსით უუთხარი: „რა დაგემართათ, მე ხომ მივემგზავრები“, რომ ამ სიტყვების გაგონებაზე ველარაფერი მოახერხა. როგორც კი ვეამბორე, ხელი გამომტაცა და თავის ოთახში შევიდა; იქ მოახლე ელოდა. ვამთავრებ ჩემს ამბავს.

მგონი, ხვალ მარშალ დე...-ს მეუღლესთან აპირებთ წასვლას... იქ ნუ მომეღლით, რადგან შეხვედრისას სალაპარაკო ბევრი გვექნება, უპირველეს ყოვლისა პატარა ვოლანჟზე — მას არ ვივიწყებ. — ამიტომაც გადავწყვიტე, შეხვედრამდე ეს წერილი მომეწერა. რა ვუყოთ, ვრცელი გამოძივიდა, მაგრამ ფოსტაში წაღებამდე მაინც არ დავბეჭდავ. ჩემს მდგომარეობაში ყველაფერი ბედნიერ შემთხვევაზეა დამოკიდებული. გავეშურები მის შესახვედრად. ამიტომაც გტოვებთ.

P.S.

სალამოს რვა საათია. ახალი არაფერი მომხდარა. ჩემს ტურფას წუთით არა აქვს მოცლა. ცდილობს კიდევ არ მოიცალოს, დაღონება ზედმეტად არ გამოხატოს. მეორე ახალი ამბავიც მაქვს, არანაკლებ მნიშვნელოვანი. ქ-მა დე როზმონდმა დამავალა ქ-ნი დე ვოლანჟი სულ რამდენიმე ხნით მასთან სოფელში მოვიბატო.

მშვიდობით, ჩემო მშვენიერო. ხვალამდე ან არაუგვიანეს ზეგისა.

...დან, 28 აგვისტო 17...

45-ე წერილი

პრეზიდენტის მეუღლე მ-ნი ტურველი ქ-ნ დე ვოლანჟს

ბატონი დე ვალმონი ამ დღით გაემგზავრა, ვფიქრობ, ისე ძალიან გეწადათ მისი აქედან წასვლა, რომ თავი მოეალე ჩავთვალე შემცნო ეს ამბავი. ქ-ნ დე როზმონდს ძალზე დასწყდა გული თავისი ძმისწულის გამგზავრებაზე. მეც ვეთანხმები, ბ-ნი დე ვალმონის გვერდით ყოფნა ფრიად სასიამოვნოა. მთელი დილა მესაუბრა მასზე. მოგეხსენებათ, რა გულითადი საუბარი იცის. თავი მოვალე ჩავთვალე ბოლომდე თავაზიანად მესმინა და არ შევსიტყვებოდი, თუმცა უნდა გამოვტყდე, ბევრ საკითხში ვიზიარებდი მის შეხედულებას, მეტადრე, ვგრძნობდი ჩემს დანაშაულს, — მათი დაცვილება ხომ ჩემი მიზეზით მოხდა. არა მგონია, რითიმე აკუნაზღაუროს ის სიხარული მაშიდამისს, მევე რომ წავართვი. მოგეხსენებათ, ბუნებით მხიარული ქალი არა ვარ და არც აქაური ყოფა განაწყობთ ამ გუნებაზე.



თქვენს რჩევა-დარიგებებს რომ არ დავეყოლოდი, შეიძლება ჩემი საქციელი დაუფიქრებელიც მომჩვენებოდა, ისე ვარ შეწუხებული უფროსი მეგობრის დარდით და მის შემყურეს ისე ამიჩვილდა გული, ლამის მეც მასავით ავტირდე.

ახლა იმ იმედით ვართ, რომ დაეთანხმებით ქალბატონ დე როზმონდის მოპატიუებას და სოფელში ჩამობრძანდებით. ამ ამბავს მისი ძმისწული, ბ-ნი დე ვალმონი გამცნობთ. იმედია, ეჭვი არ გეპარებათ, როგორც კი შეწყობილი იქნება ნახვა. საცა სამართალია, მოვალეც ხართ დაგვიბრუნოთ ~~ვარცა~~ ~~გუნება~~-განწყობა. ძალზე მოხარული ვიქნები, თუ უფრო ახლოს გავიცნობ თქვენს ასულს, პატარა ვოლანუს. ირწმუნეთ ჩემი თქვენდამი დიდი პატივისცემა.

...დან, 29 აგვისტო 17...

## 46-ე ვერილი

### შევალი და ნსენი სესილ ვოლანუს

რა დაგემართათ, ჩემო ღვთაებრივო სესილ? რამ შეგცვალათ ასე, რად გახდით ესდენ სასტიკი? სად არის თქვენი ფიცი, არასოდეს შევიცვლებიო? გუშინაც კი ამ სიტყვებს სიხარულით მიმეორებდით! დღეს რამ დაგავიწყათ ეს ყველაფერი? ამაოდ ვეძებ მიზეზს ჩემს თავში, ო, როგორ მიმძიმს იგი თქვენში ებიო. ო, ეჭვი არ არის, თავქარიანად ან ძაბუნარად ვერ მივიჩნევთ. ამ სასოწარკვეთილების ჟამსაც კი შეურაცხყოფელ ეჭვს არ გავიკარებ. რა განგებამ შეგცვალათ ასე? სისასტიკე არ გიხდებათ! თქვენ რომ ისევ ის ნახი და ღვთაებრივი სესილი იყოთ, ვინც სულ მეფიცებოდა, ჩემს მზერას არ გაექცოდით. იმ ბედნიერი შემთხვევით ისარგებლებდით, ჩემ გვერდით რომ აღმოჩნდით. მე ვერ ვხვდები თქვენი სასტიკი საქციელის მიზეზს, მითხარით მაინც!

ო, თქვენ არ იცით, ვერც ვერასოდეს გაიგებთ, სესილ, როგორ დამტანჯეთ დღეს და ჯერაც არ გამხლებია ეს განცდა. რად მინდა სიცოცხლე, თუ აღარ გვევარებით? როცა გთხოვეთ, ერთი სიტყვა მაინც, მხოლოდ ერთი სიტყვა გაგმეტებინათ ჩემი ეჭვების გასაფანტად, პასუხის ნაცვლად ისე მოიქეცით, თითქოს გეშინოდათ ნათქვამი სხვას არ გაეგონა. ეს დაბრკოლება თავად შექმნით, როცა სტუმართა შორის ჩადექით. იძულებული გავხდი დამეტოვებინათ თქვენი სახლი. წასულისას რომ გკითხვით, ხვალ რომელ საათზე მოვიდე-მეთქი, ვითომ ვერ მიმიხვდით კითხვას და ისევ დელათქვენმა დამინიშნა მეცადინეობის საათი. ისე რომ, ის ნანატრი წუთები, თქვენთან რომ მაახლოებდა, ხვალიდან მხოლოდ ამაფორიაქებს. თუ აქამდე თქვენი ნახვა გულს უხაროდა, ახლა შიში მექნება. თავი ხომ არ შეგაწყინეთ.

ვეგრძნობ, ეს შიში ხელ-ფეხს მიბორკავს და ჩემს სიყვარულზე ვედარაფერს გეუბნებით. სიტყვები — მე თქვენ მიყვარხართ, ერთი სული რომ მქონდა დაუსრულებლად მემეორებინა და თქვენგანაც მესმინა, ეს ნეტარი სიტყვები კმაროდა ჩემი გაბედნიერებისათვის. ახლა კი, რახან ზურგი მაქციეთ, რას მიქადის ბედი. თუ არ სამუდამო სასოწარკვეთას. და მაინც არ მჯერა, რომ სიყვარულის თილისმამ დაკარგა ძალა და ვცდილობ ამ ძალას ხელი ჩავჭიდო.<sup>1</sup> ჰო, ჩემო კარგო

1. ვისაც არ ჰქონია შემთხვევა ერთხელ მაინც ეგრძნო სასიყვარულო სიტყვის ან გამოთქმის ნეტარება, ამ წინადადების გაგება გაუჭირდება.



სესილ, მე თქვენ მიყვარხართ. მაშ, გაიმეორეთ ეს სიტყვები ჩემთან ერთად და მომანიჭეთ ბედნიერება. იცოდეთ, ჩემო სესილ, რომ ამ სიტყვების გავონებას თქვენ მიმაჩვიეთ, თუ ამ სიამოვნებას მომაკლებთ, ისეთ სატანჯველში ჩამაგდებთ, ჩემს სიცოცხლესთან ერთად რომ დამთავრდება.

...დან 29 აგვისტო 17...



47-ე წერილი

ვიკონტ დე ვალმონი მარკიზის მეუღლე მ-ს დე მერთეის

დღეს ვერ გინახულვით, ჩემო მშვენიერო. აი ის მიზეზებიც, რომელთა გამო მიტყვევას გთხოვთ.

იმის მაგივრად, გუშინ პირდაპირ პარიზს ჩამოვსულიყავ, გრაფ დე...-ს მეუღლესთან შევეჩერდი. მისი კოშკი ზედ გზაზეა, მასთან სადილად დავრჩი. პარიზში საღამოს შვიდ საათზე ჩამოვედი. ოპერაში შემოვიარე, რაკი იქ მეგულებოდით.

სპექტაკლი რომ დამთავრდა, ფოიეში ახლო მეგობრები მოვინახულე. იქ ჩემს ძველ მეგობარ ქალ ემილის შევხვდი, რომელიც გარს შემოხვეულ მამაკაცებს და ქალებს ვახშმად ეპატიჟებოდა პ...ში. როგორც კი ამ ჯგუფს შევეჩერდი, ერთხმად მთხოვეს, ვახშამზე წამოდიო. ერთმა ჩასუქებულმა კაცმაც დამტვრეული პოლანდიური ფრანგულით მიმიპატიჟა. მივხვდი, სწორედ ეს კაცი ბრძანდებოდა ამ ზეიმის მიზეზი. მეც დავეთანხმე.

გზაში შევიტყვე, რომ ეს სახლი ამ უხიაგ კაცს ემილისათვის საჩუქრად მიუერთმევია მისგან წყალობის მიღების იმედით და ეს ვახშამიც დასტურ საქორწილო ზეიმი იყო. იგი სიხარულისაგან შემოღივსა ჰგავდა ნეტარების მოლოდინში და თან ისეთი ბედნიერი ჩანდა, მისთვის ამ ნეტარების ჩამწარება მომესურვილა. ასეც მოვიქეცი.

ერთადერთი სიძნელე ის იყო, ემილი დამეყოლიებინა ბურგომისტრის სიმდიდრის ეშხით მეტისმეტ პატიოსნებაზე არ დაედო თავი. ჯერ გაიპრანჭა, მერე კი დამთანხმდა, რომ ეს ლუდის ტიკტორა ისე გამოგვეთრო, მთელი ღამე არაფრის თავი არა ჰქონოდა.

რატომღაც მეგონა, პოლანდიელი ბევრს დალევდა, ამიტომ მის დასათრობად ყველა ცნობილ ხერხს მივმართეთ და წარმატებასაც მივალწიეთ. დესერტზე კაცს უკვე ჭიქა ხელიდან უვარდებოდა. ჩემი გულისხმიერი ემილი და მე ვუსხამდით და ვუსხამდით, ვიდრე მაგიდის ქვეშ არ გაგორდა. ისე დათვრა, ერთი კვირა მაინც დაჭირდებოდა გონზე მოსასვლელად. მაშინ გადავწყვიტეთ ისევ პარიზში გაგვეშვა. რახან ეტლი არ უცდიდა, ჩემი დავუთმე, თავად კი მის ადგილზე დავრჩი. მოქეიფეები გამარჯვებას მილოცავდნენ, ისინი მალე დაიშალხენ და ბრძოლის ველზე მარტო მე დავრჩი. ეს მხიარული ამბავი გახდა მიზეზი თუ ის, რომ ქალს მთელი ეს დრო არ ვაკვარებივარ, ემილი იმდენად მიმზიდველი მეჩვენა, შევპირდი — სანამ ის პოლანდიელი მკვდრეთით არ აღსდგებოდა, მასთან ვიქნებოდი.

ეს სიკეთე იმის ჯილდოდ გავილე, რა სიკეთეც ემილიმ მიყო. იგი დამთანხმდა საწერ მაგიდად გამომეყენებინა, რაზედაც ჩემს ტურფა უკარებას წერილს მივწერდი. სასეირო სურათი იყო, როცა წერილს იმ კახპუნას მკლავებში მომწვდევდი ვწერდი. წერას შიგადაშიგ ვწყაეტდი, რომ სრული ღაღატი გამომ-



სვლოდა, და თან ჩემი მდგომარეობისა და საქციელის ანგარიში მომეხსენებინა. როცა ემილიმ წერილი წაიკითხა, გიჟური კისკისი აუტყდა. იმედია, თქვენც ფრიად ისიამოვნებთ ამ წერილის კითხვით.

რადგან წერილს პარიზის ბეჭედი სჭირდება, მას თქვენ ვაგზავნით ღია კონვერტით. ცხადია, შევიძლიათ წაიკითხოთ, მერე ბეჭედი დაასვით და ფოსტაში ჩააგდოთ. გახსოვდეთ, საკუთარი ბეჭედი არ იხმაროთ! სწორედ წასიყვარულო სიმბოლო დაასვით ზედ, უბრალო მარკა დააწებეთ ადამიანის თავის გამოსახულებით. მშვიდობით, ჩემო მშვენიერო.

P. S. წერილს ვხსნი და ვაგრძელებ. ემილი დავარწმუნე იტალიელთა თეატრში წასულიყო... ამ დროს თქვენ სანახავად გამოვიყენებ. არა უგვიანეს ექვსი საათისა თქვენთან ვიქნები. შეიდი საათისთვის კი, თუ ეს დრო ხელს გაძლევთ, ქ-ნ დე ვოლანეს ვეწვიოთ. უხერხულია ქ-ნ დე როზმონდის მიპატიჟების შეტყობინება დავაგვიანო. თან მოხარული ვიქნები, თუ პატარა ვოლანესაც ვნახავ.

მშვიდობით, ჩემო მშვენიერზე მშვენიერო! ისეთი სიამოვნებით გადაგკოცნიდით, თქვენს შევალეც ეჭვი დაახრჩობდა.

პ...დან, 30 აგვისტო 17...

#### 48-ე წერილი

### ვიკონტ და ვალმონი პრეზიდენტის მეუღლე ქ-ნ დე ტურველს

(პარიზის ბეჭდით)

ამ წერილს იმ ქარიშხლიანი ღამის შემდეგ გწერთ, როცა თვალის მოხუჭვაც ვერ მოვახერხე, როცა ხან შმაგი ვნებებით ვენტობოდი და ხან სულიერი სიცარიელე მეუფლებოდა; ჩემთვის ესოდენ საჭირო სიმშვიდის მოსაპოვებლად გადავწყვიტე თქვენთვის მომემართა, ჩემო ქალბატონო, თუმც ამ სიმშვიდის მოპოვების იმედი ჯერაც არა მაქვს. მართლაცდა ის ყოფა, რა ყოფაშიც ახლა გახლავართ ამ წერილის წერისას, ისე როგორც არასდროს, მარწმუნებს სიყვარულის მძლეთამძლეობაში. მიჭირს გონებას მოვუხმო, აზრი დაკალაგო. წინასწარ ვიცი, მანამ წერილს დავასრულებ, ალბათ მომიწევს მისი შეწყვეტა. როგორ, ნუთუ იმის იმედი არ უნდა მქონდეს, რომ დადგება დღე, როს ჩემს მღელვარებას გაიზიარებთ? თქვენთვის ეს განცდა ნაცნობი რომ იყოს, გულგრილი არ დარჩებოდით. მერწმუნეთ, რაღა გულგრილობა, სული მძინარე და რაღა სიკვდილი. არც ერთი ბედნიერებას არ გვაზიარებს. მხოლოდ და მხოლოდ ცოცხალი ვნებებია მისი წინამძღოლი. მართალია, ვიტანჯები, მაგრამ გარწმუნებთ, ამ წუთებში თქვენზე ბედნიერი ვარ. ამოდ მაწვალეობთ დაუნდობელი სისასტიკით. სიყვარულის ნეტარებას მაინც მთელი არსებით მივეცემი და დავივიწყებ თქვენით ნაბოძებ სასოწარკვეთას, რახან გამრიყეთ, ასე ვიძიებ შურს. არასოდეს არ მიცემდა გული ესდენ ტკბილად. არასოდეს ყოფილვარ ესდენ ნეტარი და ანთებული, როგორც ახლა. ირგვლივ ჰაერი სავსეა ჟინით. მაგიდაც კი, რაზედაც ვწერ — საკურთხეველი ჩემი სიყვარულისა — პირველად მიწევს ასეთ სამსახურს. რაოდენ ძვირფასია იგი ჩემთვის, რამეთუ მასზე გამომყავს თქვენღამი სიყვარულის ფიცის სიტყვები! გემუდარებით, მაპატიოთ, ჩემი აწეწილი გრძნობები. იქნებ აღტაცებას ასე არ უნდა მივცემოდი, რახან არ იზიარებთ მას.



ერთხანს უნდა შევწყვიტო წერა, რათა გავიქარვო ვნებათა ღელვა, ყოველ წამს რომ მიძლიერდება და ვერ მოვრევივარ.

ისევ გიბრუნდებით, ჩემო ბატონო, ცხადია, ისევ იმ გზებით, თუმცა ბედნიერების აღქმის უნარი დამეკარგა; მისი ადგილი სიცარიელეს დავტოვე. ღირს კი გელაპარაკოთ ჩემს გრძნობებზე, თუკი ამაოდ ვცდილობ დაგარწმუნოთ მათ არსებობაში? ამდენი მცდელობით ძალაც გამოძელია და იმედდურად ვარულის ზმანებანი კვლავ მეწვევიან, სინანულს ვიგრძნობ, რომ ისინი არასოდეს ამიხდებიან. ჩემი ერთადერთი იმედი თქვენი შემწყნარებლობაა. ვგრძნობ, როგორ მჭირდება მისი მოპოვება, იმედი რომ სულ არ გამიქრეს. იცოდეთ, ასე კრძალვით და მოწინებით არაფერს ვეკარებო, ყველაზე მკაცრი ზნეობაც კი ღირსეულად მიიჩნევდა მას. ამიერიდან კი აღარ მსურს ჩემი სატანჯველით შეგაწუხოთ, როცა იცი, ვინ გაწამებს და შენს წამებას არ იზიარებს, მისი სიკეთე ბოროტად არ უნდა გამოიყენო. ხომ ასე იქნებოდა, მე რომ ჩემი ყოფის აღწერა კვლავაც განმეგრძო. მხოლოდ იმდენ დროს წაგართმევთ, რაიც თქვენდამი ვედრებას დაჭირდება, რათა ირწმუნოთ ჩემი გრძნობების ჭეშმარიტება.

დაწერილია პ...-ში, დათარიღებულია პარიზის ბუქლით,

30 აგვისტო. 17...

#### 49-ე წერილი

#### სამსილ ვოლანჟი შივალიე დანსენის

ბატონო ჩემო, არც თავიარიანი ვარ და არც მატყუარა, მაგრამ როგორც კი გამარკვიეს ჩემს გრძნობაში, მივხვდი, უნდა განვდგომოდი მას. ღმერთს აღვუთქვი, რომ თქვენდამი სიყვარულს მას მივუძღვნიდი. იგი ხომ თქვენი რელიგიური რწმენის გამო ისედაც დიდი დანაშაულია. ვიცი, რა მტანჯველი იქნება ეს ჩემთვის. არ დაგიმაღავთ, გუშინწინდლიდან მოყოლებული, როგორც კი თქვენზე ვიფიქრებ, ვტირი და ვტირი. იმედი მაქვს ღმერთი მოწყალეა და სამისო ძალას მომცემს, ყველაფერი დავივიწყო. ამას ვეზუდარები დილას თუ საღამოს. იმედი მაქვს თქვენი მეგობრობისა და პატიოსნების, რომ არ შემირყვეთ იმ გადაწყვეტილებას, რაიც ჩამაგონეს და ვცდილობ შევასრულო. აქედან გამომდინარე გთხოვთ სიკეთე გამოიჩინოთ და აღარ მომწეროთ, მით უმეტეს, რომ არ გიპასუხებთ, ნუ მაიძულებთ დედაჩემს ვუთხრა ეს ამბავი. მაშინ კი თქვენი ნახვის იმედიც დამეკარგება.

რაც არ უნდა მოხდეს, თქვენდამი სიყვარულს მარად შემოვიინახავ, გავუფრთხილდები. მთელი სულით და გულით გისურვებთ ბედნიერებას. ვიცი, კარგად ვიცი, უწინდელივით რომ არ გეყვარებით. იქნებ ჩემზე მეტად სხვაც შეიყვაროთ. ეს კი მეტისმეტი ღვთის წყრომა იქნება იმ დანაშაულის გამო ღვთისა და ჩემი ქმრის წინაშე, რომ ჩემი გული თქვენ მოგიძღვნიოთ. თუმცა ღმერთი მოწყალეა და შემინდობს, მაპატიებს ჩემს სისუტეს და გამომიგზავნის ისეთ სატანჯველს, რომლის ატანაც შეეძლება.

მშვიდობით, ბატონო ჩემო. მერწმუნეთ, თუკი ვისიმე შეყვარების უფლება მექნებოდა, მხოლოდ თქვენ მეყვარებოდი. აი ყველაფერი, რისი თქმაც შემიძლია; ვინ იცის, იქნებ მეტიც გითხარიო.

...დან, 31 აგვისტო 17...



პრეზიდენტის მეუღლე ქ-ს და ტურქული  
ვიკონტი და ვალკონს



მაშ ასე ასრულებთ პირობას, ბატონო ჩემო? ხომ დაეძინეთ, მხოლოდ ხან-დახან გამომიგზავნიდით წერილს. ან როგორ არ გისჯავდნენო? ქროცა წერილში სულ იმ გრძნობაზე ლაპარაკობთ, რომლის მინდობა მაშინაც კი შემეშინდებოდა, ამის უფლება რომც მქონოდა? მაგრამ თუ კიდევ ახალი მიზეზები დამჭირდება, თქვენდამი შიში არ გამინელდეს, ვფიქრობ, თქვენს ბოლო წერილში ამ მიზეზებს ადვილად აღმოვაჩენდი. მართლაც რას სჩადიხართ? ვითომდა სიყვარულს ხოტბას ასხამთ, მაგრამ დაუნდობელ და დაუოკებელ გრძნობად კი წარმოადგენთ. ვის მოესურვება გონიერებას მოკლებული ბედნიერება, რომლის ხანმოკლე სიხარულს სინდისის ქენჯნა მოსდევს, თუ სინანული არა? ვნებებს უფრთხილდით, ბატონო ჩემო, დამლუპველი შედეგები არ მოგიტანოთ.

განა თავად არ აღიარებთ, რომ სიშმაგე, რომელიც ჩვევად გადაგქცევიათ, ჩშირად გიმონებთ? განა თავად პირველი არ უჩივით იმ უსიამოვნო მღელვარებას. ეს გრძნობა რომ იწვევს? მაშ რა ქარტუხილს დაატრიალებს იგი გამოუცდელსა და მგრძნობიერ გულში, უფრო დიდ საშინელებად რომ იქცევა იმ მსხვერპლის წყალობით, რომელსაც იგი გაიღებს?

თქვენ გჯერათ, ან ისე იქცევით, ვითომდა გჯერათ, რომ სიყვარული ბედნიერებას გვაზიარებს. მე კი ღრმად მწამს, რომ იგი უბედურებას მიქადის და ამიტომაც არ მინდა მისი სახელის გაგონებაც კი, მასზე ლაპარაკიც მირღვევს სიმშვიდეს. მოვალეობის გრძნობა და შინაგანი ხმა მკარნახობს გთხოვოთ, რომ აღარაფერი მითხრათ ამაზე.

ვფიქრობ, ახლა აღარ გაგიძნელდებათ ამ თხოვნის აღსრულება. პარიზში დაბრუნებისას მრავალი შემთხვევა და საბაბი მოგეცემათ გადაივიწყოთ ეს გრძნობა, რომელიც ჩვევამ აღვიძრათ, ხოლო სოფლად ყოფნამ კიდევ უფრო გაგიძლიერათ. განა ახლა იქ არ იმყოფებით, სადაც აქამდე სრულიად გულგრილად მიმზვრდით ხოლმე? განა მანდ ნაბიჯის გადადგმა არ არის საკმარისი, რომ შეხვდეთ თქვენებრ ცვალებადი ბუნების მქონეთ? განა მანდ ჩემზე უფრო მოსაწონი ქალები არ გახვევიათ? განა ისინი უფრო არ იმსახურებენ თქვენს ყურადღებას? ჩემთვის უცხოა პატივმოყვარეობა, რაშიაც ქალთა მოდგმას ბრალი ედებოდა, არც ის ყალბი სიმორცხვე მჭირს, მხოლოდ და მხოლოდ დახვეწილ ამპარტავნობას რომ წარმოადგენს. გულწრფელად გეტყვით, ძალზე ცოტა მაქვს სხვისთვის მოსაწონი თვისებები. თუმცა უხვადაც რომ გამაჩნდეს, ისინი მაინც არ იქნებოდა საკმარისი, თქვენმა გრძნობამ რომ დიდხანს გასტანოს. გთხოვოთ, თავი რომ დამანებოთ, ეს ნიშნავს, გთხოვოთ ისე მოიქცეთ, როგორც მრავალგზის მოქცეულხართ და ალბათ მრავალგზის მოიქცევით, სრულიად საპირისპიროც რომ მოვითხოვო.

ეს სიმართლეა და ამ სიმართლეს ვერსად წაუვალთ. ის საკმარისი მიზეზია, რომ აღარ ვისმინოთ. სხვა მიზეზებიც კიდევ ბევრია, მაგრამ თქვენთან გაუთავებელ დავას არ ვაპირებ. მხოლოდ იმას გთხოვოთ, რაიც ათასგზის მითხოვნია, სიყვარულზე აღარ მელაპარაკოთ, არ მოგისმენთ, არამცთუ პასუხს მოგწერთ.

...დან, 1 სექტემბერი 17...

(გაგრძელება შემდეგ ნომერში).





თარგმნა სტეფანე მხარგრძედა

### აოუტის სიკვდილი

მოკლეს პოეტი! — მსხვერპლი ღირსების,  
ცილისწამება სდევდა წყეული,  
დასცეს აღვსილი შურისძიებით  
და უდრეკ თავით ზეაწეული.  
ვერ შეეგუა მგოსნის ბუნება  
შურაცხყოფას, შურ-ღვარძლით სავსეს,  
ქვეყნის სიცრუეს და დაწყლულებას  
აღუდგა მარტო... და იგი დასცეს!  
მოკლეს! — რას გვარგებს მოთქმა-გოდება  
და ფუჭი ხოტბის ამაო ხორო  
ან გამართლების მჭლე მოწოდება?  
მსჯავრი ბედისა აღსრულდა მხოლოდ!  
თქვენ არა სდევნეთ ნიჭი უკვდავი,  
როგორც სჩვევიათ ნამდვილ ყაჩაღებს  
და სიძულვილის ცეცხლი მბჟუტავი  
ხანძრად აქციეთ და გააჩაღეთ?  
ილხინეთ... გული თქვენგან სტკენია,  
ვერ აიტანა თქვენი სისინი,  
რა სხივოსანი ჩაქრა გენია,  
რა დიდებული დაჭკნა გვირგვინი!

მკვლელმა ფულურთ გულის კარნახით  
ესროლა მუხთლად... არსაით მხსნელი...  
არც აღელვების მცირე ნასახი  
და არც ცახცახი ბინძური ხელის.  
გიკვირთ?... ბევრია გზააბნეული,  
გადამთიელი — ბილწი, თახსირი,  
ბედის საძებნად გადმორეული  
და განდიდების ფინით აღვსილი.  
არ მოერიდა ურცხვი და ბნელი  
ჩვენი ენის და ზნის დამცირებას,  
აღარ დაინდო ჩვენი დიდება  
და მოსისხარი ვერც კი მიხვდება,  
ვისზე აღმართა წუნკალი ხელი!..



და მოკლეს — გახდა მიწისმიერი,  
 ვით მომღერალი სათაყვანო, უცნობ იერის,  
 რომ შეეწირა შურსა და ჭორებს,  
 ვისაც უძღვრა გასაოცრად ჰანგი ხმიერი,  
 თვით განიგძირა მასავით სწორედ.  
 რად მიატოვა მეგობრები ალერსიანი,  
 ჰპოვა სამყარო კარდახშული და გესლიანი,  
 იქ ვის სჭიროდა გული წმინდა, კეთილმყოფელი,  
 რად ჩაეჭიდა, ვინც მისდევდა ცილისწამებას,  
 ცრუ მესიტიყვითა, ლირფთა ქსელში რისთვის გაება  
 სიყრმის წლებიდან კარგისა და ავის მცნობელი?..



ძველი გვირგვინი მოხადეს და მისი ბადალი  
 თავზე ეკლისა ჩამოაცვეს, მორთეს დაფნებით,  
 ეკლებმა ჩუმად და გამძაფრებით  
 მას დაუკაწრეს შუბლი მაღალი.  
 ხვდა ბოლო წუთი მოწამლული და დაბურვილი  
 ბრყვითა, მქირდავთა ჩურჩულით და მზაკვრული ენით,  
 და მოკვდა იგი შურისგების შმაგი წყურვილით,  
 გატრუებული იმედებით, ჯავრით და წყენით.  
 ტკბილ ხმათა მფლობელს მარადის სძინავს,  
 აღარ გაისმის სიმღერა ღალი,  
 დაღვრემილია პოეტის ბინა,  
 ბაგეს ატყვია სიკვდილის დაღი.

თქვენ კი, ყოყონა შთამომავალნო  
 ბილწ წინაპართა, ვის სიმუხთლევ მარად დაშთების,  
 მონური ქუსლით რომ ჩაქოლეთ იმ სავალალო  
 ბედის თამაშით დამცირებულ გვამთა ნაშთები!  
 დახარბებულ ბრბოდ დამდგარხართ ტახტთან,  
 ჯალათნო ნიჭის, დიდების და თავისუფლების!  
 კანონი თქვენი საფარი გახდა,  
 დადუმებულა სამართალი თქვენ წინ სრულებით!..  
 მაგრამ არსებობს, ო, არსებობს სამსჯავრო ღმერთის!  
 გელით მრისხანე განმკითხველი, მას ჩაბარდებით,  
 ოქროს ჩხრიალი ვერაფერს შეცვლის,  
 განჭვრეტილია თქვენი ცოდვა, თქვენი ფანდები.  
 ავსიტიყვაობა, ბოროტება თქვენ ველარ გიხსნით,  
 თავის დასაძვრენს ვერ ჰპოვებთ ალაგს  
 და ვერ წარხოცავთ, მთელი თქვენი შავბნელი სისხლით  
 სისხლს პოეტისას, წმინდას და ალაღს!



ქვეყნიერებამ არ მსურს იცოდეს  
ჩემი ცხოვრების იდუმალება,  
როგორ მიყვარდა, რისთვის ვიწვოდი, —  
განსჯა სინდისს და ღმერთს ევალება!..



გული კი გასცემს პასუხს განცდილით,  
მათგანვე ელის ის შენაწებას,  
და დაე, მისგან ვიყო დასჯილი,  
ვინც მოიგონა ჩემი წამება.

და უმეტარი კაცის ყვედრებამ  
სულში წუხილი ვერ მიიტანოს,  
ვით ზღვათა ღელვა, ტალღის ხეთქება  
ვერას დააკლებს ქარაფს პიტალოს.

მას შუბლს უფარავს ღრუბლების ფარდა,  
ორი სტიქიის შუა ბინადრობს, —  
ქარიშხლისა და ქუხილის გარდა  
თავის საფიქრალს არვის მიახლობს.

### ს ა მ უ რ ბ ლ ი

მიყვარს მამული, მაგრამ მიყვარს სხვა სიყვარულით,  
ჩემი გონება მას ვერ ახსნის და ვერ მისწვდება,  
მას ვერ გადასძლევს ნასისხლარი არცა დიდება,  
არც უშფოთველი მყუდროება და გარინდება,  
შორი წარსულის არც ლეგენდა და არც თქმულება,  
მასზე ძვირფასი საოცნებო არ შეგულება.

და რისთვის მიყვარს, — თვით არ ვიცი, გითხრათ  
მართალი, —

ესოდენ ცივი მდუმარება მინდორ-ველების,  
უსაზღვროება და შრიალი უღრან ტყეების,  
მდინარეები წყალმჩქეფარე, ზღვათა ბადალი...  
გაშლილ შარაზე მიმქროლავი მიყვარს ფორანი,  
ბინდში სინათლე რომ მოსჭვივის კაცის იმედად,  
ღამისთევაზე მეოცნებეს ღელვა-თრთოლვანი  
და ბნელ სოფელში მკრთალი სხივის აციმციმება.

მიყვარს, კვამლი რომ ასდის ნაყანევს,  
ველზე ალალი ღამისმთევლებით,  
ყვითელ ყანაში ბორცვი მაზარებს,  
დაწვილებული არყის ხეები.  
გამოუცნობი, მწველი განცდებით



თვალი უხვ კალოს დახარბებია,  
ჩალიან ქოხმახს გადავაწყდები  
მოჩუქურთმებულ დარაბებიანს.  
მოდის სალამო მთვარის კაშკაშით,  
გვიან ღამემღე შუქი არ ქრება,  
მხიბლავს, მატყვევებს ცეკვა-თამაში  
და შემთვრალ გლეხთა გადაძახება.



### მ ა დ ლ ო ბ ა

ო, ყველაფრისთვის, ყველაფრისთვის მაღლობა დიდი:  
მისთვის, რომ მერგო ჩუმი ტანჯვის კერძი და წილი,  
ცრემლებს რომ ვლერიდი და ამბორის საწამლავს ვმკიდი,  
მტრებმა რომ მიმტრეს, მეგობრებმა დამწამეს ცილი,  
მისთვის, რომ ქარებს გავატანე გზნება ძლიერი,  
რომ მომატყუეს და არავინ ცდილა დანდობას...  
ეინძლო იმდენი მაინც შესძლო, რომ ამიერთ  
აღარ გიხდიდე ასე დიდხანს ამგვარ მაღლობას.

### ვარ მოწყენილიც, ნაღვლიანიც...

ვარ მოწყენილიც, ნაღვლიანიც! — ვის მივცე ხელი,  
როს ქარიშხალმა სული არბია...  
ნატვრა... რას გვარგებს მუდამ ნატვრა, სურვილი მწველი,  
წლები ყრმობისა თუკი გარბიან?

და ვინ მიყვარდეს? — წამიერი არა ღირს გარჯა,  
მუდმივ სიყვარულს ვერც იტყვის ენა...  
ჩემს სულს ჩავხედო? — ნატამალი წარსულის არ ჩანს,  
იქ არარაობს ტანჯვაც და ღხენაც.

რა არის ვნება? — ტკბილი სენი, ადრე თუ გვიან  
რომელიც ქრება გონიერ სიტყვით,  
ცივი გონებით თუ განჭვრეტავ, ცხოვრებას ჰქვია  
მხოლოდ ხუმრობა ფუჭი და ბრიყვი!

დაუშორდით, მაგრამ მაქვს შენახული  
შენი სურათი ამ ჩემს უბეში,  
ვით მკრთალი ღანდი ტკბილი წარსულის,  
სულის სილაღე, სულის ნუგეში.

და თუმც სხვა გზნება გულში დავძარი,  
მას ვერ ვივიწყებ, დამყვება გვერდით;  
მიგდებულ ტაძარს ჰქვია ტაძარი,  
დამხობილ კერპსაც — ისევე ღმერთი!







ფრანკულიძე

თარგმნა დანი იაშვილმა

— 1954 წლის დამდეგს თვრამეტი წლის ქალიშვილმა, მადმუაზელ კუარემ, რომელმაც ფრანსუაზ საგანის ფსევდონიმი აირჩია, ჟუიარდის გამომცემლობაში მიიტანა პატარა რომანის, „სალამი სუდავ“, ხელნაწერი. წიგნი ყოვლად უხმაუროდ, სხვა მრავალ წიგნთან ერთად მაისის თვეში გამოვიდა. ერთი წლის შემდეგ კი ტირაჟმა საფრანგეთში მილიონ ეგზემპლარს გადააჭარბა, და ფრანსუაზ საგანი სახელგანთქმული შეიქნა მთელს მსოფლიოში; სახელგანთქმული, მაგრამ ალბათ არც თუ კარგად ცნობილი. მისი წიგნი ოცდახუთ ენაზე ითარგმნა. რამდენიმე წლის შემდეგ, ხანამედროვე სახელოვან პიროვნებათა საანკეტო გამოკვლევისას გამოკითხულ პირთა უმრავლესობამ უპასუხა: „ფრანსუაზ საგანი? ა, დიახ, კინოვარსკვლავია“.

— აჰ, ეს არ მახსოვდა.

— დიახ, მაშინვე თქვენ შესახებ გაჩნდა ლეგენდა: ფული, ვისკი, ღამის ბარები, სპორტული მანქანები... ცველაფერი ის, რასაც უფრო კინოვარსკვლავს მიაწერენ ხოლმე და არა მწერალს. დაწერეთ წიგნი და კინოვარსკვლავი კი შეიქენით. როგორი ასატანია ყოველივე ეს ოცი წლის ასაკში?

— ჩემს ლეგენდას პირბადესავით ვატარებდი. ეს მომხიბლავი, ცოტათი პრიმიტიული ნიღაბი ემთხვეოდა ჩემს აშკარა მიდრეკილებებს: სისწრაფის, ზღვის, შუალამის სიყვარულს; ყველაფერი იმის სიყვარულს. რაც კაშკაშაა, რაც გვეკარგება და პოვნის შესაძლებლობას ვიტოვებს. რადგან ვერავინ გადამარწმუნებს, რომ მხოლოდ საკუთარ უკიდურესობებთან, წინააღმდეგობებთან, მიდრეკილებებთან, ზიზღთან, მძვინვარებასთან ჭიდილით შეიძლება სულ ცოტათი მაინც შეიქნოს, დიახ, სულ ცოტათი მაინც, რა არის სიცოცხლე. ყოველ შემთხვევაში ჩემი.

— მხიარულებისადმი, ექსცესებისადმი თქვენი მიდრეკილება, საკმაოდ უცნაურად მოჩანს თქვენი მკაცრი გარეგნული თავდაჭერილობის ფონზე. გაზეთებმა ბევრი ილაპარაკეს თქვენს შავ კაბასა და მარგალიტის მძივზე, რომელსაც დიდხანს უნიფორმასავით ატარებდით.

— ზეიმი იდუმალი, წმინდა და მკრეხელური რამეა. დღესასწაული არ მიიღწევა ღამის სამიკიტნოს ქვეშაგებში, იგი სიბნელეში ვინმესთან ერთად მიიღწევა ხოლმე. შავი კაბა — შორეული ამბავია. ახლა მიყვარს ჩაცმა და მარგალიტის მძივიც კარგა ხანია დაუკარგე.



— არავისთვისაა საიდუმლო, რომ მთელი ცხოვრების მანძილზე ალკოჰოლი იყო თქვენი თითქმის მუდმივი კომპანიონი. რას პოულობთ მასში?

— ალკოჰოლი ყოველთვის იყო ჩემი კარგი თანამზრახველი. მასში თანაზიარობის ელემენტია, როგორც პურ-მარილში. ცხოვრების დასაზიფქვებლად არასოდეს დამიღევია, პირიქით, ვაჩქარებდი მას, და როდესაც ძალიან აჩქარდები, მოსახვევში გზას აცდები... (დაღლილობა, ნერვები და სხვა.) მოკლედ სმის მიტოვება შეუძლებელია. ყოველ წუთს შეიძლება ხელახლა დავიწყო.

— მაშ, 1954-ში?

— 1954-ში ორი შემოთავაზებული როლიდან ერთ-ერთი უნდა ამერიკის სკანდალური მწერალი, ან ბურჟუა ქალიშვილი. მე კი არც ერთი ვიყავი და არც მეორე.

— რა იყავით?

— უფრო სკანდალური ქალიშვილი და ბურჟუა მწერალი ვიყავი. ჩემთვის ერთადერთი გამოსავალი იმის კეთება იყო, რაც მინდოდა... უფრო შორს შეტოპვა. ყოველთვის მიყვარდა ექსცესები, უფრო ღრმად შეჭრა, და ჩემი საქმე. არასოდეს ვაკეთებდი იმას, რისი კეთებაც არ მსიაამოვნებდა; ყოველთვის მქონდა შესაძლებლობა, ის არ მეკეთებინა, რისი გაკეთებაც არ მსურდა.

— მაგრამ წარუმატებლობაც ხომ არსებობს და ხანდახან ხომ ვერ აიცილებთ თავიდან?

— დიახ, არის რაღაც-რაღაცები, რასაც სიამოვნებით ავიცილებდი, უპირველესად, რა თქმა უნდა, ავტოკატასტროფას, ბევრ სხვა რამესაც, რაც ჩემი წინდაუხედაობით, ახალგაზრდობით, ან ახალგაზრდობისათვის ჩვეული უღმობელობით ჩაუიღინე... მაგრამ არასოდეს აღმოჩენილვარ ისეთ სიტუაციაში, როდესაც ჩემი ნამოქმედარით ნამდვილად უხერხულად მეგრძნო თავი. როგორც ყველა გოგო, ბიჭებს მეც ოინებს ვუწყობდი, მაგრამ არასოდეს ჩამიღენია სიმდაბლე, რასაც ჩემი შერცხვენა შეეძლო. მგონი, უმჯობესია ვინმე გატყუებდეს, ვიდრე გენდობოდეს. დარწმუნებული ვარ, არსებობის ერთადერთი მორალური წესია — იყო, შეძლებისდაგვარად, კარგი და გულდია, და არაფერი შეაგდო სასწორზე.

— ქალიშვილი რომ გყავდეთ, ამასვე ურჩევდით?

— ერთ ტელეგადაცემაში მკითხეს: გამეხარდებოდა თუ არა, ჩემს ქალიშვილს ცხოვრების იგივე, ან მსგავსი გამოცდილება რომ ჰქონოდა, როგორიც მე... ასე მგონია, ქალიშვილი რომ მყოლოდა, ვუსურვებდი თვრამეტი წლისა შეხვედროდა კაცს, რომელსაც ეყვარებოდა, რომელიც შეუყვარდებოდა და ოთხმოცი წლისანი ხელიხელ ჩაკიდებულნი გარდაცვლილიყვნენ. უკეთესად იტყოდნენ რომანტიკოსები? მაგრამ უბედურება ისაა, რომ ცხოვრება, როგორც წესი, ნაკლებ რომანტიულია, ძალზე იშვიათად ხდება ასეთი რამ... უფრო ხშირად, ცხოვრება სულაც არაა ის, რაც უნდა იყოს. ადამიანები იმსხვრევიან, ან რაღაც იმსხვრევა მათში. არ ვიცი, შეიძლება ეს ასაკის, დაღლილობის, ცხოვრების წესის თუ ხასიათის ბრალია. არის პერიოდები, როცა რაღაცები გროვდება და არც კი იცი, რატომ, ამ დაგროვებას შეურაცხყოფად განიცდი.

— თქვენს ცხოვრებაში ასე ხშირად ხდება?

— აღმოვაჩინე, რომ ცხოვრება უხამსი ხუმრობაა. ოდნავ მაინც მეგრძნობიარე თუ ხარ, ტყავი გაგპკრება ყველგან და ყოველთვის. ის აღარაა სათვალავში ჩასაგდები, რომ ყოველ წუთს შეიძლება ანერვიულდე და გაღიზიანდე. ტელევი-



ზია, ბრიყული სტატია, პოლიციელის, ან შვეიცარიის დაეჭვებული შემოხედვა... არის რაღაც, რაც შენში ბორგავს, რაღაც ცხოველური, მშიშარა, თავის ბორბალში ჩაჭედვითი პატარა ციყვი, მაშინ იღებ ჭიქას ისე, როგორც ბინტს ან ბამბას აიღებდი, ან როგორც სხვები იღებენ დამაწყნარებლებს, ტკივილი რომ გაუყურდეთ. გასამხნეებლად ყოველთვის რაღაც გჭირდება. ეს საშინელებაა.

— ვერაფერს გახდება?

— მგონი საუკეთესო შესაძლებელი ანტიდოტი იუმორია. ვიდრე „ახალი რომანის“ სულიერი მდგომარეობისათვის თავის მიცემა. ერთ დღეს, გასართობად, ჟან შევრიესთან ერთად დავიწყე „თანამედროვე“ პიესის წერა. მხოლოდ ორი პერსონაჟია: დელფინა სერიოზი და მიშელ ბუკე. ისინი მთლად ნაცრისფერნი არიან, უფერულნი. ნაცრისფერი ფარდა ირწევა ნაცრისფერ ოთახში. კაცი: „მე ახლავე მიგატოვებ.“ უსაზღვრო სიჩუმე. ქალი: „ახლავე მიგატოვებ?“ კაცი: „ღიახ, ახლავე მიგატოვებ“. ქალი: „შენ არა გაქვს ჩემი მისატოვებელი ბილეთი.“ კაცი: „მართალია, მე არა მაქვს შენი მისატოვებელი ბილეთი, მე არ მაქვს ავტობუსში ასასვლელი ბილეთი. არც არასოდეს მქონია არავითარი ბილეთი.“ და ა. შ. ამას ერქვა „განშორება.“ იუმორის ნაკლებობა ჭკუანაკლულობაა და ეს არ მიყვარს. არც ისეთი ხალხი მიყვარს, რომელიც თავის თავს სერიოზულად აღიქვამს, ეს ძალიან მაღიზიანებს და იმ პოლიციელს მახსენებს, რომელმაც ერთ დღეს სენ-კლუს გვირაბში გამაჩერა და ღვარძლიანად მითხრა: „იფ, რა კარგი რამა ხართ თქვენი თავმოხდილი მანქანით!“ უცებ გავცოფდი: „და თქვენ... თქვენ! თქვენც კარგი ვინმე ბრძანდებით თქვენი კეპით! — რაო? რა ბრძანეთ? გაიმეორე! მაშ კარგი, გაიმეორებთ ჩემი კოლეგას თანდასწრებით.“ მოდის მისი კოლეგა. მე თავაზიანად ვიმეორებ ჩემს ნათქვამს. პოლიციელის შეურაცხყოფა! პროცესი. პროცესი, რომელიც მოვიგე. ტრიბუნალმა გადაწყვიტა, რომ არ შეიძლებოდა ვინმე იმისთვის დაესაჯათ, რომ პოლიციელს უთხრა რა კარგი სახე გაქვთო.

— ეს წამახალისებელია?

— ხუმრობისადმი მიდრეკილება დაიკარგა. დაიკარგა კარგი ხასიათი.

— თქვენ კარგი ხასიათი გაქვთ?

— ეს ჩემი ბუნებაა. მინდა ყოველთვის მჯეროდეს, რომ ყველაფერი მოგვარდება. როდესაც ფილმს ვუყურებ ჟანა დ'არკზე, ყოველთვის ვამბობ: ის თავს დაიხსნის. ეს იდიოტობაა... ეს შეუძლებელია. „რომეო და ჯულიეტაზეც“ იგივე მომდის. ყოველთვის ვფიქრობ, რომ ბედისწერა გადაივლის და ყველაფერი მოგვარდება, როდესაც „ტრაუიატას“ ვუსმენ, იმედი მუსიკასთან ერთად მავსებს და გიჟურად მჯერა, რომ არმანი დროზე მოვა... მხოლოდ ასე შეიძლება ცხოვრების ატანა, როგორც უკვე ნათამაშევი კომიკური ოპერისა, რომლის დასასრულიც ცნობილია.

უსაფუძვლო იმედი გაქვს, არა იმისა, რომ სიკვდილს გადაურჩები, ან ხიფათს თავს დაადწევ, ან იმის გაკეთების უფლება გექნება, რისი გაკეთებაც გსურს, არამედ იმისა, შენს წარმოსახვას რომ გამოიყენებ. რადგან წარმოსახვაა აღქმის საწყისი. ცოტაოდენი წარმოსახვით გაიგებთ, თუ რატომ მოჰკლა ქუჩის არამხადამ ასტამის დარტყმით თავისი შვილიშვილი. თქვენ მას არ გაამართლებთ, მაგრამ გაუგებთ. ცოტაოდენი წარმოსახვით შეგიძლიათ თავი სხვის ადგილზე წარმოიდგინოთ და იფიქროთ: „მოიცა, ამ საღამოს მას უცნაური იერი ჰქონდა, ხომ არ დავურეკო?“

— თუ არა აქვთ წარმოსახვა, თუ არ დაურეკავენ?



— შეიძლება ისე მოხდეს, რომ ზუსტად იმ საღამოს ის ადამიანი დიდი დოზით ძილის წამლის მიღებას აპირებდეს და თქვენმა ხარმა შეანეროს. ისიც შესაძლებელია, რომ ძალიან კარგ ხასიათზე იყოს და თქვენმა დარეკვამ შეამფოთოს. ამ შემთხვევაში სასაცილო მდგომარეობაში აღმოჩნდებით, მაგრამ პირადად მე გულიანად დავცინი ხოლმე საჩოთირო მდგომარეობაში ზავარდნილ საკუთარ თავს. აღარ ვარ თოთხმეტი წლისა. წარმოსახვა სძლევს მოჩვენებით მორცხვობას. წარმოსახვა დიდი სათნოებაა, რადგან იგი ყველაფერს ამოდრავებს: თავს, გულს, ჭკუა-გონებას. უწარმოსახვოდ ყველაფერი დაღუპულია. სათნოება გაიშვიათდა. განსაკუთრებით მისი ნამდვილი ფორმა — უანგარობა, მხიარული, გიჟური უანგარობა.

— ...ახე გადის დრო. უკვე ოცი წელია, რაც „საღამო სევდავ“ გამოვიდა. რა არის თქვენთვის ეს ოცი წელი?

— აბეზარი წვრილმანი. ამ წლებს ვერ ვგრძნობ, შეიძლება ვცდები. არ მგონია, რომ უკვე ოცი წელი გავიდა. ხან ათი მგონია გასული, ხან ორმოცი.

— მაგრამ თურამეტი წელი, რომელიც მას უსწრებდა? ცოტა ხომ არ ვისაუბროთ ახალგაზრდა პიროვნებაზე, რომელსაც უკვე ერქვა ფრანსუაზ, უკვე იყო მდიდარი, მაგრამ ჯერ არ იყო სახელგანთქმული და არც საგანის ფსევდონიმი ჰქონდა?

— დაეიბადე 1935 წლის 21 ივნისს, კაორსა და ფიჟეასს შორის, ლოტარინგიაში, კაჟარში. ბებიანებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ოჯახის ყველა წევრი ერთსა და იმავე საწოლში დაბადებულიყო. დედაჩემი, ჩემი ძმა, ჩემი და და თვით მეც ერთსა და იმავე საწოლში, ერთსა და იმავე ოთახში დავიბადეთ.

— ვინ არიან თქვენი მშობლები?

— დედაჩემის მხრიდან ეს ის ხალხია, ვისაც თავის დღეში არასოდეს არაფერი უკეთებია. მდიდრები არ იყვნენ, მაგრამ ჰქონდათ წისქვილები, იჯარით გაცემული ფერმები და ა. შ. ისინი პროვინციელი, წვრილი აზნაურები იყვნენ და თავისი მიწის შემოსავლით ცხოვრობდნენ; ხელმომჭირნედ, რადგან ლოტარინგია ძალიან ღარიბი მხარეა. ბაბუაჩემს ყოველთვის ჰქონდა თეთრი ალკაგას კოსტიუმი, ცხენის დროვს დაატარებდა და არასოდეს, თავის სიცოცხლეში, შრომის იარაღისთვის ხელი არ უხლია. ამაზე სიტყვასაც კი ვერაფერს შეხედავდა.

მამაჩემის წინაპრები ჩრდილოელი მრეწველები იყვნენ, ჰქონდათ ქარხნები, რომლებიც ყველა ომის დროს ნადგურდებოდა.

— ცხოვრების პირველი წლები კაჟარში გაატარეთ?

— არა. მე იქ დაეიბადე 1935-ში და 1935-დან 1939-მდე აქეთ-იქით დამატარებდნენ. მშობლები უკვე კარგახანია პარიზში, მალერბის ბულვარზე მდებარე სახლში ცხოვრობდნენ. ჩვენც მათთან ეცხოვრობდით და მხოლოდ ერთ თვეს ვატარებდით ბებიასთან, სანამ მშობლები ტორპედოთი დოვილში უსაქმურობდნენ. მამაც მრეწველი იყო, დიდი კომპანიის რომელიღაცა ტრესტში მუშაობდა, ბევრ ფულს შოულობდა. მე რომ დაეიბადე, დედა უფრო ახალგაზრდა იყო, ვიდრე მე ახლა ვარ. ორივეს მხიარული, სადღესასწაულო განწყობა ჰქონდათ. დიდი სისწრაფით დაჰქროდნენ გზებზე.

— ხედავთ! ხედავთ!

— ოჰ, დიახ...

— მოდით, თქვენზე ვილაპარაკოთ.



— საკუთარ თავზე ლაპარაკი ძნელია, მაგრამ მოვახერხებთ როგორმე... თავი ბუნდოვნად მახსოვს. ბავშვობა შექმნილი ხატია. ბავშვობა, რომელიც მე მახსენდება, სოფლის სახლია ვეკორში, ომის დროს. ეს მაკის\* დრო იყო, ფერბებს წვაუდნენ. ჩვენ ლიონში ვცხოვრობდით, მამას ქარხანა ჰქონდა დოფინეში. ძალიან სუსტი ვიყავი და ამიტომ მეტწილად სოფელში ვცხოვრობდით. ვიყავი მორიდებული, ენის ბორძიკით მოლაპარაკე პატარა გოგო; უბრალოდ ჩემს საც კი მეშინოდა, მასწავლებლის დანახვაზე ვქვავდებოდი და ვეშინებოდი, ყოველივე ამან მოგვიანებით იჩინა თავი: კოლეგებს ვერ ვეგუებოდი.

— რაიმე კონკრეტული ამბავი თუ გავიხსენებთ?

— დოფინეში ტერასაზე, პარკში, გუბურაზე, მინდორზე გატარებული ბავშვობის დროინდელი ღვთიური საღამოების მოგონებები დამჩნია.

— თქვენი ბავშვობა პარიზში? რას მოიგონებდით პირველად?

— დერეფანს. ჩემი მშობლების ბინაში არის დაახლოებით ოცდაორი მეტრის რიანი, დერეფანი. უცნაური ბინაა, „ბუსარდელის ოჯახის“ ტიპისა, სადაც აძინებლები საკმაოდ ცუდია, მისაღები კი ძალიან დიდი. ბორბლებიანი ვირი მქონდა და ამ დერეფანში ყოველთვის მსურდა სისწრაფის მსოფლიო რეკორდები მომეხსნა!

— აი, თურმე რა ყოფილა.. და უკვე გქონდათ საგზაო შემთხვევები?

— დიახ, სრულიად პატარას... ბევრჯერ დავცემულვარ.. სულელურად ვეცემოდი, სულ თავს ვისახინებდი.

— ბავშვობაში მდიდარი იყავით, ბედნიერიც?

— მახსოვს, რომ ვიყავი ძალიან ბედნიერი, ძალიან განებივრებული და, ამავე დროს, ძალიან მარტოსული. უფროსების გარემოში ვიზრდებოდი: მშობლები და უფროსი და-ძმა. ვცხოვრობდი ჩაკეტილი ცხოვრებით ოჯახში, რომელსაც თაყვანს ვცემდი. უცნაური შეგრძნება დამჩნია, რომელიც ყოველთვის თან მდევს: ვითომ თავიდანვე დიდი ვიყავი, თითქოს ვიზრდებოდი და მაინც ბავშვად ვრჩებოდი. ამიტომ მგონია, რომ არის ზრდასრული ადამიანებისათვის ზოგიერთი დირებულება, რომელსაც ვერ ვუგებ და, უეჭველია, ვერც ვერასოდეს გავუგებ. არასოდეს მიგრძნია ზღვარი ბავშვობასა და ზრდასრულ ცხოვრებას შორის და, ეს ყოველთვის მაწუხებდა.

— მართლა მხოლოდ ნათელი მოგონებები გაქვთ ბავშვობაზე, ახალგაზრდობაზე, ოჯახზე?

— რასაკვირველია, მაგონდება წვიმიანი დღეებიც, საათობით ვიდექი ფანჯარაზე ცხვირშიჭეჭყილი; ვგრძნობდი, რომ დიდი, შეუცნობი გული მაქვს. ომის შემზარავი მოგონებებიც შემომჩნია. მაგრამ არ მახსენდება მოწყენილი, ცივი, უწარმოსახვო გარემოცვა და ესაა უმთავრესი.

— ომის წლები, როცა ფერებს წვაუდნენ?

— დიდი შიშინანობა იყო 1939 წლის ივნისში, როცა ოთხი წლის გავხდი. ჩვენ ბებიასთან დაგვაბინავეს, ლოტარინგიაში. მშობლები კი იმ საშინელ არეულობაში, ხალხის დინების საწინააღმდეგოდ, პარიზში დაბრუნდნენ, რადგან დედას ყველა შლიაპა იქ დარჩა, ომის უშლიაპოდ გატარება კი ვერ წარმოედგინა — სიგიჟეა, არა? მამა ომში წავიდა. ის ლეიტენანტი, თუ კაპიტანი იყო, აღარ მაგონდება.

მაკი — კორსიკეს გაუვალი ტყე, სადაც წინააღმდეგობის მოძრაობის წევრები აფარებდნენ თავს.



მახსოვს, სახლიდან გასვლისას მამა მომეხვია; კაფარში ვიყავით. ჩემი ძმა ტიროდა, დაც ტიროდა, დედაც ტიროდა. რა იცოდნენ, თუ ასე მალე დამთავრდებოდა ყველაფერი. ომზე საკმაოდ უცნაური მოგონებები მაქვს! მამას მთელი დღე გერმანელების ყურება არ სურდა, ჩემს უფროს და-ძმასაც უნდა ესწავლათ და ამიტომ თავისუფალ ზონაში, ლიონში დავბინავდით; მამამ ქარხანა აიღო დოფინეში, ვერკორის გულში, სენ-მარსელინში, გრენობლესკუ დე-ფელანსს შუა. ვერ წარმოიდგენთ, რა მოუსვენარი ადგილი იყო. მამამ უცქერდა გააკეთა, რომ შეიღებისათვის ომის საშინელება აერიდებინა, მაგრამ სულ ამაოდ. იქ წელიწადში ოთხ ან ხუთ თვეს ბაზრის ზემოთ, დიდ სახლში ვატარებდით, რომელსაც ხალხი „დასახვრეტ სახლს“ ეძახდა. იქ 1870 წელს ხალხი დახვრიტეს.

— რა ხდებოდა იქ 1940-ში?

— ყოველთვის გულგაწყალებულები ვიყავით, მაგრამ განსაკუთრებით ბოლოს აიშვეს თივი გერმანელებმა. თვალწინ მიდგას კედელზე აკრული ზურგა და ჰაერში აწეული ხელები. ეს წინააღმდეგობის მოძრაობას მიტმასნილი კაცის გამო მოხდა... ერთ დღეს, როცა მამა შინ არ იყო, ის კაცი მოვიდა და დედას უთხრა: „გერმანელები შემოვიდნენ, თუ შეიძლება, ჩემს პატარა სატვირთო მანქანას თქვენთან დავტოვებ? — რა თქმა უნდა, დაეთანხმა დედა მზიარულად. მერე ეს ამბავი გადაგვაკვიწყდა. მამა დაბრუნდა და რაღაცებზე ვსაუბრობდით. სადილობისას დედამ თქვა: „იცი, ვიღაც ბიჭი იყო და სატვირთო ჩვენთან დატოვა.“ მამაჩემი მანქანის სანახავად ჩავიდა. სატვირთო იარაღით აღმოჩნდა დატენილი, და თუ იპოვიდნენ, ყველას დაგვხვრეტდნენ.

მამამ წაიყვანა მანქანა ერთ მიყრუებულ მინდორში და უკან ფეხით დაბრუნდა. ბრაზისაგან გაცოფებული, ლომივით ბრდღვინავდა. გერმანელები მოვიდნენ — მათი სამი ოფიცერი ის-ის იყო გზაზე მოეკლათ — გაჩხრიკეს სახლი, გარაჟი, ყველაფერი გადაქექეს. ჩვენ კედელზე ზურგაკრულები ვიდექით, ისევე, როგორც მთელი სენ-მარსელინის მოსახლეობა და შიშისაგან ვცახცახებდით. შემდეგ ის კაცი მოვიდა და ცივად, დაჟინებით მოითხოვა თავისი საბარგო მანქანა. მამა შეეჩეხა, მაშინ ორმოციოდე წლის იყო და საკადრისი პასუხიც გასცა. ასეთი მოგონებები სამუდამოდ გამახსოვრდება, რადგან ძალმომრეობა ბავშვისთვის ყოველთვის საკვირველი, გაუგებარი და უხამსია.

ყოველდღე რაღაც ხდებოდა. ვესტერნი იყო, აბა რა! მაგონდება, ლიონში, ჩვენს ბინაში რამდენიმე ხნით ხალხი დავმალეთ. ერთ დღეს გერმანელ ჯარის კაცს სართული შევშალა და ჩვენთან შემოვიდა: მახსოვს დედა, რომელიც მას ხაზგასმული თავაზიანობით პასუხობდა; მისი წასვლის შემდეგ კი გული წაუვიდა.

შემდეგ იყო დაბომბვები. ჩვენ არასოდეს ჩავდიოდით თავშესაფარში. დედა ამბობდა, ეს არაა საჭიროო; მაგრამ ერთხელ ისეთი ბათქა-ბუთქი ატყდა, რომ აღიარა: „მგონი ბავშვებისთვის ჩასვლა უმჯობესიაო.“ შემდეგ თმები დაიხვია. ჩვენ ჩავდიოდით სარდაფში, კედლები კი ზანზარებდა: „ბუმ, ბუუმ, ბუმ...“ ბათქაში ცვიოდა. ყველა ქვითინებდა; დედა კი მშვიდად იყო და ჩვენც კარტის თამაში გავაჩაღეთ. კარგად გავერთეთ. მოკლედ, სულაც არ შეგვშინებია. რომელსაც ზემოთ ამოვბრუნდით, სამზარეულოში თავი დავგვხვდა, დედას გული წაუვიდა. ძალიან ეშინოდა თავგების.

— საკვების ნაკლებობა თუ იყო? თუ გიშიმშილიათ?

— კი, მაგრამ არც ისე ხშირად. როცა დედა რაღაც სასწაულით, ან უფრო ზუსტად, შავ ბაზარზე ერთ პარკ ლობიოს იშოვიდა ხოლმე, და საღამოს დიდ



საოჯახო მაგიდასთან ვატარებდით, ლოტოს თამაშებით იყო. ვამბობდით: „ლობიო, ბოგანო... ლობიო ბოგანო..“ და ორი საათის განმავლობაში ვარჩევდით.

— ხვდებოდით, რაც ხდებოდა?

— ყველა ფრანგით ჩვენც კედელზე მიკრულ რუკაზე პატარა დროშებით მივყვებოდით მოვლენებს. 1941 წლის 21 ივნისს, ჩემი დაბადების ექვსი წლის თავზე, გერმანელები რუსეთში შეიჭრნენ. არასოდეს არავინ ასე კმაყოფილი ყოფილა ჩემს დაბადების დღეს. ყველა ამბობდა: „უფ. გადავრჩითო!“ მამა სულაც არ იყო დიდი სტრატეგი, მაგრამ მიხვდა, რომ ბოლოს და ბოლოს გერმანელებს გააჩერებდნენ.

— თავიდან რომელ სკოლაში შეხვედით?

— ლიონში იყო სამონასტრო სკოლა, რომელსაც პიტრას კურსებს ეძახდნენ. ჩინებული რამ იყო: განგაში წამლაუწუმ ცხადდებოდა და ჩვენც შინ ვბრუნდებოდით. ცოტას ვმუშაობდით. სხვებივით, ჩვენც ვძღვროდით: „მარშალო, აი, ჩვენც შენ წინაშე ვდგავართ, საფრანგეთის მხსნელო!“ ამისაგან თავს ვერ დაიძვრენდი. გვირიგებდნენ ვიტამინებიან ბისკვიტებს და ვარდისფერ შოკოლადს. დანარჩენ დროს სოფელში ვატარებდი, რადგან სისხლნაკლული ვიყავი. უნდა მეჭამა ბიფშტექსი, როგორც სხვათა შორის ყველა ფრანგს. ამასთან დაკავშირებით ერთი არაჩვეულებრივად კომიკური ამბავი მაგონდება. მამამ, სოფელში ხეტიალისას, თავისი ძვირფასი შვილიკოებისთვის ერთ ფერმაში ციცარი იშოვა. ჩვენ ყველანი, დედა, მსახური ქალი, ბავშვები კარის წინ ჩამწკრივებულნი ველიდით გმირის დაბრუნებას. მამამ სახეიმო შესტით ახადა მანქანას საბარგული და გამარჯვებულმა გამოგვიცხადა: „აი, ნახეთ რა ვიპოვე!“ და ციცარი, რომელსაც, მართალია, ფეხები შებორკილი ჰქონდა, აფრინდა და ლიონის ცაში გაუჩინარდა. მამამ დახურა საბარგული და ყველანი უსიტყვოდ შევბრუნდით შინ. ამ ამბავზე ოცი წელი ვიციინოდით.

— მოკლედ რომ ვთქვათ, მძიმე განცდები არ გადაგიტანიათ.

— გულწრფელად რომ ვითხრათ, მე ძალიან ნორჩი ვიყავი და ბედიც მწყალობდა: ჩვენი მშობლები მფარველებიც იყვნენ და იუმორით სავსენიც. ასე რომ, ყველაფერი მშვენივრად მიდიოდა. ახლა კი ვხვდები რამდენს ზრუნავდნენ, ჩვენ რომ უდარდელად გვეგრძნო თავი. დედას საოცარი ნიჭი ჰქონდა, შეეძლო უმძიმეს წუთებშიც კი გავეციხებინეთ. მახსოვს, სენ-მარსელინში იყო გუბურა, რომელშიც ხშირად ვბანაობდით ხოლმე. 1944-ში, ამერიკელები რომ ჩამოვიდნენ და გერმანელები მობრუნდნენ რეგიონის დასაბოძბად, ერთმა თვითმფრინავმა ჩვენზე ნადირობა დაიწყო, ჩვენ გუბურას პირას მინდორზე ვშრებოდით. წამოვცვივდით და ხეებისაკენ გავიქეცით. კურდღლებივით გავრბოდით. ვხედავდი ჩემ გარშემო მოხტუნავე ბალახს. დედამ ვერაფერი მოიფიქრა და ჩემს დას დაუყვირა: „სუზან, გეხვეწები ჩაიცვი; გეხვეწები ჩაიცვი, ასე გახდილი ხომ არ ისეირნებ!“ მას ჰქონდა რეჟანსის თვისება, რომელიც ძალიან ამშვიდებს გონებას.

— და ეს იყო ამ პერიოდის ყველაზე უფრო საშინელი მოვონება?

— არა, ის მერე იყო. 1945-ში შემთხვევით ვნახე ფილმი საკონცენტრაციო ბანაკებზე. ესაა ჩემი ყველაზე მძიმე მოვონება ომზე. უნდა მენახა ფილმი ზოროზე, თუ რაღაც ამის მსგავსი და ქრონიკაში ეს გაუშუეს. დედას ვკითხე: „ეს მართალია-მეთქი? — დიახ, სამწუხაროდ ეს მართალიაო. — მიპასუხა მან. მე კომმარებს ვხედავდი. ყველგან იყო გამოკრული საკონცენტრაციო ბანაკების ფოტოები. ამასთანავე ყველაზე შემადრწუნებლებს უფრო ხშირად ფენდნენ ხოლ-



მე. მაშინ გადავწყვიტე, რა თქმა უნდა, გაუცნობიერებლად, რომ აღარასოდეს ცუდს არ ვიტყვოდი ებრაელებზე, და დაჩაგრულებზე.

— სად იყავით 1944-ში?

— მაშ ასე. ისევ დოფინეში. ერთ მშვენიერ დღეს ქერა, მთლად გარუჯული ჯენტლმენები გადმოსხდნენ ჩვენთან ტანკებით. კარგი ფრანგული საუცხოო იყო ეს ტანკებიც თავისი ბიჭებით; საერთო ბედნიერებაც კიდევ მაგონდება ქალი, რომელსაც თავი გადაპარსეს. სენ-მარსელინი პატარა სოფელია, მაგრამ მაინც საჭირო გახდა ვინმესთვის თავი გადაეხოტრათ. ყველა ბავშვივით მეც ვერ ვერკეოდი ნიუანსებში: თავიდანვე გერმანელები იყვნენ ბოროტები, — ინგლისელები, ამერიკელები, წინააღმდეგობის მოძრაობის წევრები კი — კეთილები. და როდესაც ამერიკელებმა იმ ქალს თმები გადაპარსეს და ქუჩა-ქუჩა ჩამოატარეს, ანერვიულებულმა დედამ უყვირა: „რას სჩადით?! ეს სამარცხვინოა, თქვენ გერმანელებივით იქცევით, თქვენც იგივე მეთოდები გაქვთ!“ და მე გავიფიქრე: „უყურე შენ! ყველაფერი არც ისე მარტივად ყოფილა.“ და პირველად ჩემს ცხოვრებაში სიკეთე ბევრად უფრო ორაზროვანი მეჩვენა, ვიდრე წარმომედგინა.

— შემდეგ რა მოხდა?

— დედაჩემის გასახარად პარიზს დავბრუნდით. ძალიან მოიწყინა ლიონში. მშვიდობის დროსაც არაა ლიონი გასართობი ქალაქი. დაიწყო ადრინდელი ცხოვრება. ჩემი ძმა იეზუიტებთან წავიდა. დამ, რომელიც ლიონში ხელოვნებას სწავლობდა, განაგრძო ხატვის შესწავლა. მე კი ისევ სკოლაში დავდიოდი. ჩვენი სახლის პირდაპირ იყო და ლუიზ-დე-ბეტინის კურსები ერქვა.

მერვეში თუ მეცხრეში უნდა შევსულიყავი და ოთხი წელი, მეხუთემდე, იქ უნდა მესწავლა. როგორც წესი იმ სკოლაში ძალიან თავაზიანი, ხნიერი პედაგოგები ასწავლიდნენ. ლექციების დაწყებამდე ვლოცულობდით, ამას ვერ აიცილენდი, მერე კი ვცელქობდით: თუ ლექცია საინტერესო იყო, ვუსმენდი, თუ არადა, არ ვუსმენდი. ვუსმენდი ფრანგულის ლექციებს, როცა მასწავლებელი კარგად მომზადებული იყო, ხანდახან ისტორიისასაც და კიდევ... ხო, სულ ეს იყო. ვუსმენდი, როცა ეს მართობდა. იცით, არიან ძალზე კარგი პროფესორები, რომლებიც მათემატიკის კურსს ძალიან საინტერესოდ კითხულობენ; არიან ცუდი პროფესორები, რომლებიც ფილოსოფიას შეგაძულებენ.

მახსოვს ფეხით ვბრუნდებოდი სახლში და თოკის სახელურიან ჩანთას მოვაკონწიალებდი. დედას სურდა, დაბალყელიანი წინდა მცმოდა, მაგრამ, ალბათ იცით, გოგონები რა სნობებიც არიან; ვიხდიდი ამ წინდებს სახლის გასასვლელში, ვიცვამდი ქალის წინდებს და გაურბოდი სკოლაში. დაბრუნებისას ისევ ვიცვლიდი წინდებს, რომ არავის გამოვეჭირე. ექსტერნი ვიყავი, ქუჩას გადავკვეთდი და უკვე სკოლაში ამოვყოფდი თავს. საკმაოდ აუტანელი ბავშვი ვიყავი. ბოლოს სკოლიდანაც კი გამომავდეს: მოლიერის ბიუსტს თოკი გამოვაბი და კარებზე ჩამოვკიდე, რაკი საშინელი, მოსაწყენი ლექცია გვქონდა მასზე. გარდა ამისა, თამაშის დროს ვიდაცას სილა გავაწანი, მეტი არაფერი მომხდარა. აი, ექსტრავაგანტური გოგონას საოცარი თავგადასავლის დასასრული. თორმეტი, ცამეტი წლისა ვიქნებოდი ეს ამბავი რომ მოხდა. დედას ვერ გაუუმხილე, ჩემი მოკლე ჭკუით გადავავადე სკოლაში დაბრუნება. ეს არდადეგებამდე სამი თვით ადრე მოხდა და ამ ხნის განმავლობაში უცვეთი პარიზის ქუჩებს, ყველგან ცხვირს ვყოფდი. ძალიან შორსაც არ მივდიოდი, რადგან, ცოტა არ იყოს მე-



შინოდა. ყოველდღე, დილის რვა საათზე, აქტიური სახით ვღებოდი, ვიღებდი ჩანთას და...

— კურსებიდან არ გამოაკზავნეს ნიშნების ფურცელი?

— ჰო, ტრიმესტრი იყო. მშობლები გაოცდნენ, ნიშნის ფურცელი რომ არ მიიღეს, მე მიაშიტად განვუცხადე: „არ ვიცი რა ხდება-მეთქი.“ უკვე ბარჯს ვაღაგებდით. „გასული წლისა ხომ მიღებული გაქვს? — კი, რა თქმა უნდა, უნდა მიღებული მაქვს.“ არ მინდოდა არდადეგების უგემურად გატარება. არდადეგებიდან რომ დავბრუნდი: „მზად ხარ? — მკითხა დედამ — სკოლაში წასვლის დროა“ და მეც წავიდი. ერთ წელზე მეტ ხანს ეს ამბავი ვერ გაგრძელდებოდა. წავიდი, ვითომც აქ არაფერი იყო, ფოთოლივით კი ვცახცახებდი. ზუსტად ისე მიმიღეს, როგორც შემეფერებოდა.

„რაო! აქ რას აკეთებთ? უკვე სამი თვეა გარიცხული ხართო.“ მაშინ შინ დავბრუნდი და მამას ვუთხარი: „იცი, მგონი გამომრიცხეს-მეთქი.“ მამამ დარეკა და საშინელი ამბავი დააწია; ასე გამოეძვერი. მშვენიერი კი იყო. გაზაფხული იდგა, როგორც გითხარით, თორმეტის ან ცამეტის ვიქნებოდი. ფეხით ვსეირნობდი. ავტობუსს კონკორდამდე მივყვებოდი. სანაპიროზე საათობით ვკითხულობდი და იალქნიან კანჯოზე მყოფ ხალხს ვესაუბრებოდი.

— რას კითხულობდით ბავშვობაში? ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც გვითხარით.

— რა ვიცი, რაც ხელში მომხუდებოდა. ძალიან შემძრა ცხენის ამბავმა, რომელიც პატრონის საფლავს დააკვდა. იმ დროს, ძირითადად, მელოდრამატულ ისტორიებს ვკითხულობდი. უცნაურად მახსენდება მორის საშის „შაბათის“ წაკითხვა. სასაცილოა, არა?

— მაშინ რამდენი წლის იყავით?

— ცამეტის ან თოთხმეტის. იცით, საკმაოდ გონებაგახსნილი ბავშვი ვიყავი. უკვე ბევრი მქონდა წაკითხული. კითხვა თორმეტისამ დავიწყე.

— მშობლები თუ ადევნებდნენ თვალყურს, რას კითხულობდით?

— ო, არა. ამით თავს რა იტკივებდნენ. სამი-ოთხი წლისა ვიღებდი წიგნებს და სკამზე დამჯდარს საათობით უკულმა მეჭირა, და ყოველთვის, როდესაც დედას თავაზიანად შევეკითხებოდი, იყო თუ არა ეს წიგნი საჩემო, ის მპასუხობდა: „კი, კი შეგიძლია წაიკითხო.“

იმ ზაფხულს, სხვათა შორის წავიკითხე „შაბათი“; და შემდეგ მთელი კოკტო, სარტრი, კამიუ. ყველაფერი, რაც კი ხელში ჩამივარდა. აღარ ვჩერდებოდი, სახლთან ახლოს ბიბლიოთეკაში ჩავეწერე და საცოდავი ბიბლიოთეკარი ქალი მეუბნებოდა: „კი, მაგრამ, ავად გახდებით!“ ვჯდებოდი ჩემს ავტობუსში, კონკორდამდე ორი ბილეთი უნდოდა. ყოველთვის ერთსა და იმავე ადგილას ვჯდებოდი და ვკითხულობდი; ისევ ავტობუსით ვბრუნდებოდი, ჭკვიანად, ხელში ჩანთით... მარეშიც დავდიოდი სასეირნოდ. იმ გაზაფხულზე ძალიან ბევრი ვიარე ფეხით პარიზში.

— ეს უაზოს მონასტრის შემდეგ იყო?

— იქ სამი თვე დავრჩი, გამომრიცხეს „მაღალი სულიერების“ ნაკლებობის გამო. საშინლად მომბეზრდა და უკვე ასე თუ ისე ათეისტი ვიყავი. წაკითხული მქონდა კამიუ და ა. შ., განსაკუთრებით პრევერი მიყვარდა. მაშინ ხმამაღლა ვკითხულობდი პრევერს: „ღმერთი დიდი კურდღელია“, „მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა, იყავ მანდ და ჩვენ, ჩვენ კი მიწაზე დავრჩებით, რომელიც ასე ღამაზია...“ მონასტერში ასეთ რამეებს ძალიან ცუდი თვალთ უყურებდნენ. ყო-



ველ პარასკევს, როცა შვიდ საათზე დილის მესაზე მივდიოდი, ვხვდებოდი ღამისთევის მოყვარულებს, ბერის და პონტიეს ქუჩის სანაგვე ყუთებთან მიმსხდართ შამპანურის ბოთლებითა და მოსაწევით, სკოტ ფიცჯერალდისებურად, მეტ-ნაკლებად კარგად მოწყობილ ყველა დარდიმანდს და ვფიქრობდი: „ღმერთო ჩემო, ესენი ჩემზე უკეთ ერთობიან.“ ისინი ხარხარებდნენ, ღაპარაკობდნენ იმაზე, თუ რის გაკეთებას აპირებდნენ იმ დღეს, დოღზე, რის ვინც ვინც რაზე; და მე, მე კი ოთხი საათი რელიგიის ლექცია უნდა მესმინა „ეს უსასტიკო ბოთლია-ნეთქი“, ვამბობდი ჩემთვის.

– „უაზოს“ შემდეგ სად განაგრძეთ სწავლა?

– „უაზოდან“ ჩემი გამორიცხვის შემდეგ მშობლები ცოტა ანერვიულდნენ და პატემერის კურსებზე ჩამწერეს, ორი თუ სამი მონასტერი მოვირბინე: საკრე-კერის, გრენობლის. პატემერის კურსები ნამდვილი სამოთხე იყო. სამეცადინო თითქმის არ მქონდა. ძალიან ღამაში გზა იყო: მალეზერბის ბულვარი, ვილიურის ავენიუ, კონსტანტინოპოლის ქუჩა, რკინიგზის ხაზი, ლონდონის ქუჩა. ვსაუზმობდი იქ, სადაც ჩვენი ბანდის ყველა გოგო-ბიჭი იკრიბებოდა: ბიარდში, თვითმომსახურებაში, ბისტროში. შემდეგ მხიარულად ებრუნებოდი შინ.

– ბაკალავრის ხარისხის გამოცდამ მაინც კარგად ჩაიარა, არა?

– არა, ეს ნამდვილად გადაჭარბებაა. ორი წერა, ფრანგულის წყალობით, ადვილად ჩავაბარე. ზეპირები კი ნაკლები წარმატებით. ყოველ ივლისში ვიჭრებოდი. წარმოდგენა არ მქონდა ვარის ინდუსტრიაზე; სიტყვა არ ვიცოდი ინგლისურად და ერთხელ, ჩემივე უსუსურობით გამწარებულმა, გამომცდელის წინაშე პანტომიმა გავეითაძაშე. მისთვის მაკბეტი რომ წარმომედგინა: მუშტი მოვუღერე, კათედრის გარშემო ავისმომასწავლებელი სახით დავდიოდი, ვხტოდი, თავს ვისულელებდი; მის თვალწინ ყელი გამოვლადრე უცოდველ ბავშვებს... მოკლედ ყველაფერი გაეკეთე. ქალი გაოგნებული, შეშინებული შემომცქეროდა და სამიანი დამიწერა! ჩემმა გატანჯულმა მშობლებმა ჯერ ერთი თვით არდადეგებზე ბასკების მხარეს გამგზავნეს და შემდეგ – მენტენონის ინსტიტუტის ლიცეუმში, თვე-ნახევრით, ოქტომბრის სესიებამდე.

მე იქ სისუსტის სიძლიერე აღმოვაჩინე. ვერ ვიტანდი მოლიტოს ზამთრის აუზში სიარულს, რომელიც სულ ახლოს იყო, მაგრამ სავსე იყო ჟაველის წყლით. გამოვაცხადე – ჟაველის წყალი მწყენს-მეთქი და ყოველ ჯერზე გულის წასვლას ვთამაშობდი. გვერდით ყოველთვის აღმოჩნდებოდა ხოლმე გოგონა, რომელიც დაიყვირებდა: „მადმუაზელ, მადმუაზელ, კუარეს გული წაუვიდა! ოჰ, ეს ჟაველის წყალი, ვერ იტანს მას! – ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო! – ამბობდა შეწუხებული მასწავლებელი – გარეთ გაიყვანეთ!“ და პოპლა! გარეთ ვიყავი, თავისუფალი – ცურვა ერთ საათს გრძელდებოდა – შევდიოდი მეზობელ კაფეში და ესვამდი მარტინის ისე, თითქოს ძლიერი საწამლაკი ყოფილიყოს!

– ესეც ბაკალავრის ხარისხი; როგორი იყო სტუდენტი ფრანსუაზ საგანი?

– სორბონაში ნამდვილი ქაოსი იყო, აუდიტორიები ისე იყო გაჭედილი, ლექციაზე ვერ შეხვიდოდი. იმდენი ხალხი იყო, კონსპექტს ვერ ჩაიწერდი, მოკლედ, ვერაფერს გააკეთებდი. დროს ბიჭ-ბუჭებთან და გოგოებთან ერთად გატარებდი, ხან აქ, ხან იქ; სენ-მიშელის ბულვარზე, ვლაპარაკობდით ღმერთზე, პოლიტიკაზე და ა. შ. მაგრამ გვიხურდა თავები: მხოლოდ პოლიტიკასა და მეტაფიზიკაზე ვსაუბრობდით.

– ხშირად გამოდიოდით სახლიდან მარტო?

– ასე, დაახლოებით თხუთმეტ-თექვსმეტი წლისამ დავიწყე სენ-ჟერმენ-



დე-პრეს ზოგიერთ სარდაფში სიარული. ხუთშაბათს, შაბათსა და კვირას, ნაშუადღევს ხუთიდან შვიდ საათამდე, ჩვიდმეტ-ოცდაერთი წლის მამლაყინწებთან ერთად საცეკვაოდ დავდიოდი. მახსოვს რევეილოტი ვიე-კოლომბიერის კლუბში. ზღაპრული იყო. შემდეგ სწრაფად, ქოშინით გამოვრბოდი, ავტობუსისთვის რომ მიმესწრო და ჩემი გვიან მოსვლა არავის შეემჩნია. რვა საათზე ექვსის ნაცვლად/

— ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა?

— არა. მშობლების არ მეშინოდა, ისინი ძალიან თავშეკავებულნი იყვნენ და ვიცოდი, ყოველ შემთხვევაში ეს ტრაგედია არ იქნებოდა. მაგრამ ყოველი ახალი ცეკვისათვის მოპარული დრო კიდევ ერთ საყვედურს ნიშნავდა და სცენებს ვერიდებოდი.

— რა ზომამდე სცემდნენ პატივს თქვენი მშობლები თქვენს თავისუფალ მოქმედებას? ძალიან ადრე ხომ არ გახდით „თავისუფალი ქალიშვილი“? რა ასაკში მოხდა ეს?

— თექვსმეტი წლისა შინ ვბრუნდებოდი ღამის თორმეტ, ან პირველ საათზე, ვამბობდი სად, ან ვისთან ერთად მივდიოდი და ეს საკმარისი იყო. მყავდა მეგობრები, რომლებიც მომწონდა; არასოდეს ვყოფილვარ „თავისუფალი ქალიშვილი“ ამ გაგებით. არასოდეს ხარ თავისუფალი თუ სიყვარული გაზიარებულია, თუ არაა, მაშინ ჩვიდმეტი წლისა თავს უბედურად გრძნობ.

— რა ასაკში აღმოაჩინეთ სიამოვნება?

— რომელი?

— ჩინებული პასუხია ბრიყვულ შეკითხვაზე, „კომერციული“, როგორც იტყვიან ხოლმე. თუ წერდით უკვე იმ დროს, რომელზეც ვსაუბრობთ?

— ვწერდი პიესებს, რომელთა წაკითხვა არ შეიძლებოდა, უფრო უარეს პოემებს, და ნოველებს. დავრბოდი რედაქციებში, ექსტრავაგანტური ამბებით დატენილი ნოველებით ხელში! ჯიუტად მეუბნებოდნენ უარს და მართალნიც იყვნენ! ვხედავდი უამრავ კარისკაცს, ისინი ყოველთვის თავაზიანები იყვნენ ჩემ მიმართ, კარისკაცები...

და შემდეგ იყო ეს წიგნი „სალამი სევდავ“. ჟუიარდმა მიიღო და, აი, ასე დაიწყო ყველაფერი. თვრამეტი წლის ვიყავი, ბაკალავრის ხარისხის ორი გამოცდა ჩავაბარე და ის-ის იყო ჩავიჭერი პრობლემატიკაში.

— ბევრი ახალგაზრდა მწერალი უჩივის გამომცემელთან თავის პირველ ურთიერთობას. თქვენთვისაც ძნელი იყო?

— ქალიშვილების მთავარი დამახასიათებელი ნიშანი მატყუარობა თუ არა, მითომანობა მაინცაა; მე ჯერ დავარწმუნე ჩემი მეგობრები, რომ რომანი დავწერე, და მერე ამ ტყუილის გამოისობით მართლა დავწერე. ჩავდე უჯრის ერთ კუთხეში — ვიცოდი, რომ არ ვარგოდა. ზაფხული იყო, სოფელში ვიყავი და ოჯახი დამცინოდა, პრობლემატიკაში რომ ჩავიჭერი. ხოდა, დავბრუნდი პარიზში, მამა იქ იყო დარჩენილი. ჩემი მეგობრის დახმარებით გადავბეჭდე ხელნაწერი და ჟუიარდსა და პლონს გავუგზავნე. ტელეფონი გაფუჭებული გვქონდა და ჟუიარდმა დეპეშა გამომიგზავნა; ჩვეულებრივი დეპეშა, როგორსაც ასეთ შემთხვევებში აგზავნიან ხოლმე: „გთხოვთ, სასწრაფოდ მობრძანდეთ ჟუიარდის გამომცემლობაში“. შესახვედრად ნაშუადღევის ორ საათზე მივედი. მან მითხრა, რომ ჩემი წიგნის გამოცემა სურდა, ამან შოკში ჩამაგდო და, მახსოვს, დიდი ჭიქა კონიაკი გამოვცალე. ხუთ საათზე ისევ შევხვდით ერთმანეთს. მომხიბლავი იყო, მითხრა, რომ ძალიან მოეწონა ჩემი წიგნი და იმედოვნებდა, რომ ეს ჩემი ავტობიოგრაფია არ იყო; ეჭვი იმიტომ შეეპარა, რომ ჯერ არაფერი მქონ-







— „სალამი სევდავ“ რომ გამოვიდა, ძალიან დიდი წარმატება მოჰყვა: ფოტოები, ინტერვიუები...

— „სალამი სევდავ“ რომ გამოვიდა თერამეტი წლის ვიყავი. შიშის ზარს მცემდნენ ფოტოგრაფები და ჟურნალისტებისაგან დასმული შეკითხვები. დატრუნებით მოხოვდნენ ანეკდოტებს; ანეკდოტებს?! ასე უეცრად ხომ ვერ გაიხსენებ, ამხანაგებთან სალამოს, კიდევ ჰო. მაშინ ვპასუხობდი: „ანეკდოტი? არა, არა, არა, არც ერთი არ ვიცი“. და მერე სიტყვას არ ვძრავდი, თითქოს დაგმუნჯდნენ და შეთხზეს მითი, რომ სევდიანი გოგო ვიყავი. ეს სიყალბე იყო, მაგრამ აბა რა უნდა მექნა?

— როგორ გგონიათ, რა იყო თქვენი ფანტასტიური წარმატების მთავარი მიზეზი? საფრანგეთში ხომ ძალიან ცოტა წიგნია გაყიდული მილიონ ეგზემპლარად?

— კრიტიკოსთა პრიზმა გამოიწვია ეს ყველაფერი. პრიზის მიკუთვნების მომენტიდანვე ნამდვილი კორიდა გაიმართა. ეს პრიზი დიდ როლს თამაშობდა, მას მართლაც მოდამი შემოჰქონდა წიგნი. ჟურნალისტებისა და ფოტოგრაფების ნამდვილი კოკტეილი იყო: ჩემი ასაკი აოცებდათ და ფოტოსა და სტატიის კარგ მასალად ეჩვენებოდათ. ვფიქრობ, ლიტერატურული პრიზები, საერთოდ, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ლატარიასავითაა; მაგრამ ისინი იმათთვისაა საინტერესო, ვინც მათ იღებს. მწერლებს საშუალება ეძლევათ, ერთი ან ორი წლის მანძილზე მატერიალურად უზრუნველყოფილებმა იმუშაონ. მაგრამ სხვა მხრივ, არა მგონია, ეს დიდ რამეს წარმოადგენდეს. ამ დროს სტატია გამოჩნდა „ფიგაროში“, სადაც მორიაკმა „მომხიბლავი, პატარა მონსტრი“ მიწოდა, კარგად მახსოვს! ოღონდაც, არც მონსტრი ვიყავი, არც მომხიბლავი და არც პატარა... სხვა მრავალთა მსგავსი ახალგაზრდა ვიყავი, მიყვარდა სიცოცხლე, სიცილი, ცეკვა, ამხანაგებთან ყოფნა, მუსიკის მოსმენა, კითხვა. ეს ყველაფერი ჩვეულებრივი იყო.

— მაგრამ, როგორ ახსნით თქვენს წარმატებას? ის ფაქტიურად უპრეცედენტო იყო.

— ყველაფერი ერთბაშად მოვარდნილ ტალღასავით მოხდა. სხვებზე უმაღლეს მე გამაოცა წარმატებამ; ვფიქრობ, საზოგადოებრივმა აზრმა დიდი როლი ითამაშა და კიდევ იმან, ჩემი წიგნი ადვილი საკითხავი რომ იყო, მკითხველს კი შემწყნარებლობის გრძნობა ჰქონდა. მაგრამ სანამდვილეში სერიოზული ახსნა არ მაქვს. რასაკვირველია, საზოგადოებრივი აზრი ყველაფერს არ ხსნის; მე რომ უკვე არ ვყოფილიყავი მიღებული ბურჟუაზიულ წრეში... მაშინ? მაშინ რა მოხდებოდა? რა ვიცი, რაღაც სხვა ხდებოდა... ო, არა, არ ვიცი.

— ამბობენ, რომ გახმაურებამ შეუწყო ხელი წიგნის გასაღებას, რომ რამდენიმე წლის შემდეგ წიგნი შეუმჩნეველი დარჩებოდა.

— ცხადია, დღეს „სალამი სევდავ“ სკანდალს აღარ გამოიწვევდა. იმ დროს ეს იყო ქალიშვილის ძალიან უბრალო ამბავი, რომელსაც ვნებიანი სასიყვარულო ურთიერთობა ჰქონდა ბიჭთან. მისთვის მორალს დიდი მნიშვნელობა არ ენიჭებოდა. დღეს ხმაურს სქესობრივი აქტის დაწვრილებული აღწერა გამოიწვევდა. მაშინ პირიქით იყო: დღეს ეს წიგნი მთლად მოდიდან იქნებოდა გამოსული.

— წიგნი, რომელიც კარგად იყიდება, ის წიგნია, რომელიც რაღაცას შეეხება. 1954 წელს ძალიან ბევრი მკითხველი სარტრს, კამიუს ეტანებოდა (ეს ეპოქის ნიშანი იყო). „სალამი სევდავ“ გამოცემის კარგა ხნის შემდეგ ერთმა



კრიტიკოსმა, ჟან-პიერ ფეიემ თქვა: „აბსურდისა და ეგზისტენციის რომანი გაუულგარულდა საგანისეული ვარიანტით.“

— არც სარტრს, არც კამიუს, (არც მე) არ გვიცდია, რომ არსებობის აბსურდი რომანში მოგვეხვედრებინა. კრეტინებიც არ უცდიდნენ ჩვენს საუკუნეს, ამ სტილის განმარტებები რომ ეწერათ.

— მაშინ უკვე მართლა გქონდათ გაცნობიერებული, რომ მწერალი გახდით? რას ფიქრობდით, რას აკეთებდით?

— ყოველთვის მინდოდა მწერალი გავმხდარიყავი. მაგრამ წარმატების, ამ ათასფერად აელვარებული, დამაფრთხობელი თოვლის გუნდის წინაშე ვერაფერს ვხდებოდი. აღარაფერი დამრჩენოდა იმის გარდა, რომ მოვკუნტულიყავი და დავლოდებოდი, როდის გადაივლიდა ეს აურზაური... პირველად ძალიან განვიცდიდი, რადგან ყოველთვის გამაღიზიანებელია, ნიუთონით თითოთ საჩვენებელი რომ ხარ; ადამიანს თავისი თავი ყველას ურჩევნია: მე ნავს მიჯაჭვული ააგო ვიყავი. ჩემთვის ყველაზე არასასიამოვნო იყო არა კრიტიკული წერილი, ან გამოხმაურება, არამედ ის, რომ ჩემზე ისე ლაპარაკობდნენ, თითქოს ნიუთონი ვყოფილიყავი. პრიზი მივიღე და (ყველა ჩემზე მოწებებულ ადამიანთა, ფოტოგრაფთა და გადარეული სიტუაციის მიუხედავად) ჩემთვის ვთქვი: „ჰეი, ეს სწორედ ისაა, რასაც დიდებას ეძახიან.“ ერთი წამით გაგრძელდა ის, რასაც „დიდების მზეს“ ეძახიან. შემდეგ, მხოლოდ დამრეცი ბილიკები იყო; მაგრამ ერთი წამით კი დავიჯერე, რომ ეს დიდება იყო. დიდად სასიამოვნო არაფერი. ბალევე მივხვდი: დიდება იყო კითხვები და პასუხები და სიმართლის გარშემო მიხვეულ-მოხვეული გზით სიარულის გარკვეული მანერა. ამას ძალიან ადრე შევეჩვიე. 18 წლის და 188 გვერდის მფლობელი... თითქმის დანაშაულის გრძნობა მქონდა, თავს მთლად უპასუხისმგებლოდ ვგრძნობდი. ეს დიდება მომწამლავი გაზის შესუნთქვას ჰგავდა.

— და იშვა ლეგენდა...

— მე გასაყიდი საქონელი, ნიუთონი შევიქენი: ფენომენი — საგანი, მითი — საგანი... და ჩემივე თავის მრცხვენოდა. რესტორანში თავჩაქინდრული შევდიოდი, გული მისკვებოდა, როცა მცნობდნენ. ყველა ადამიანს სურს, ნორმალურად ელაპარაკონ, ნორმალურ ადამიანად აღიქვამდნენ და განუწყვეტლივ არ ეკითხებოდნენ, უყვარს თუ არა ატრია, ან, რა ვიცი, რაღაც ამგვარი ბანალობები. ეს უფრო დამთრგუნველია, ვიდრე უინტერესო ისტორიის სიუჟეტი. მე გამოგონილი პერსონაჟის ტუსალი გავხდი. ამას ვერაფრით ვაღწევდი თავს. მთელი სიცოცხლე მისჯილი მქონდა, პაწაწუნა, უმნიშვნელო სასიყვარულო ანტირეგები ალკოჰოლით გაჟღენთილ, ულაზათო სუბიექტებთან, რომლებიც ინგლისურ სიტყვებს ბუტბუტებდნენ, გრძელ-გრძელ აფორიზმებს ისროდნენ და ლაბორატორიის ქათმებივით ტვინი აშკარად ამოცლილი ჰქონდათ. ყველას სურდა ჩემში მულტფილმების გმირი დაენახა, რომელსაც სახელად საგანი ერქვა. მელაპარაკებოდნენ მხოლოდ ფულზე, მანქანებზე და ვისკიზე; კვირაში სამ ან ოთხ საღამომდე წერილს მიგზავნიდნენ. უამრავ იარლიყს მაწებებდნენ: ზოგიერთისთვის მე სკანდალური და გაფუჭებული ქალიშვილი ვიყავი, რომელიც ყოველდღე, უფრო მეტად კი ყოველდღამე პარიზში საძაგლობებს ჩადიოდა. ისეთებიც იყვნენ, ვისთვისაც პატარა თავბრუდახვეული არსება ვიყავი, რომელსაც არაფერი გაეგებოდა იმისა, რაც ემართებოდა. ზოგისთვის უსარცხვილო ვიყავი, თავისი წიგნი სხვას რომ დააწერიან, და ზოგისთვის კიდევ გიჟი — საგანის ვცდილობდი, ამას ყველაფერს შევბრძოლებოდი, ვყოფილიყავი წყნარი, მორ-







ლები. მე უბრალოდ მინდოდა, ჩემი ტოლი გოგოს ცხოვრებით მეცხოვრა... მემ-  
ხიარულა, მეცინა.

ავტოკატასტროფამდე თავი უვნებელი მეგონა. არ ვფიქრობდი, თუ ასეთი  
რამ მომივიდოდა, ან ავად თუ გავხდებოდი. და უეცრად: კატასტროფა.

— ეს 1956—1957 წლები იყო არა? რა მოხდა სინამდვილეში?

— მანქანა ხრეშზე მოცურდა და თავდაღმართზე დაეშვა, მერე თავზე დამე-  
ცა, მაგრამ მეგობრებმა დროულად ამომათრიეს. თავის ქალა გახლეჩილი მქონ-  
და, თერთმეტი ნეკნი ჩამტვრეული, ბეჭი, ორივე მაჯა და ორი ძალა დაზიანე-  
ბული, მოკლედ, კრეილში მომაკვდავად ჩამთვალეს და ჩემმა ძმამ, რომელსაც  
ჩემი სიკვდილი ვერ წარმოედგინა, პარიზში წამიყვანა ორმოცოციკლეთიანი  
საველე ამბულატორიით. რა თქმა უნდა, არაფერი მახსოვს, ავარიის მეორე  
დღეც არ მახსოვს. მეორედ მოვხვდი საავადმყოფოში და ვიფიქრე, რომ ხელ-  
ახლა მიპირებდნენ ბრმანაწლავის ამოკვეთას. ნამდვილი ტანჯვა სამი კვირის  
მერე დაიწყო. გამიკეთეს გულისგამაწვრილებელ ოპერაციათა მთელი წყება,  
შემდეგ წამომაყენეს, ცალი ფეხი გაშეშებული მქონდა, ჩემს სხეულს არ ემორ-  
ჩილებოდა. მაშინ კი ვიფიქრე, ხეიბარი ვრჩები-მეთქი და ძალიან, ძალიან შე-  
მეშინდა. სამი თვე დამჭირდა გამოსაჯანმრთელებლად. ავადმყოფობა საშინელი  
რამეა; ამას ავარიამდე ვერც კი წარმოვიდგენდი. ვერავინ გშველის. მთელი  
წლის მანძილზე განუწყვეტელი ტკივილი მეტისმეტად ძნელი ასატანია. შამ-  
ფორი ამბობდა: „ღმერთო ჩემო, ამაცილე ფიზიკური ტკივილი, მორალურს კი  
მე ვიტვირთებო.“ ეს სიტყვები ლამის ჩემი დევიზიც გახდა.

— იყო ავარია, რა მოხდა ავარიის შემდეგ...

— ფეხის საქმე მოგვარდა, მაგრამ დამრჩა მარშის კლინიკის მწარე გამოც-  
დილება. საავადმყოფოში ისე დამტენეს ახალი ტკივილგამაყუჩებლებით, რომ  
იქიდან ერთიანად ინტოქსირებული გამოვედი: იმ პირუტყვივით ურეაქციო ვი-  
ყავი, რომელსაც ზოგიერთი ნერვი გადაუჭრეს. იქამდე მივედი, რომ უმიზეზოდ  
ვტიროდი: ეს პირველად ხდებოდა ჩემს ცხოვრებაში. დეზინტოქსიკაციისთვის  
კლინიკაში უნდა დავწოლილიყავი; მერე გადაწყვიტეს, რომ თვითონ უნდა მიმე-  
ხედა ჩემი თავისთვის; საჭირო იყო დოზების შემცირება. ხანგრძლივმა, დამქანც-  
ველმა, გულისამრევმა ბრძოლამ ჩემი თავისადმი პატივისცემა გამიღვიძა — ეს  
არასოდეს მიგრძვნია. თავი საკმაოდ მამაცად მიმაჩნდა... აღმოვაჩინე, რომ უფ-  
რო ძლიერი ვიყავი, ვიდრე მეგონა. კლინიკის მერე უარესი იყო, გამაყუჩებ-  
ლებს აღარ ვიღებდი და საშინლად ვიტანჯებოდი. ყველაფერი იმით დამთავრ-  
და, რომ ძალდატანებით ცხელ აბაზანებს ვიღებდი, დავდიოდი, და „B“ ვიტა-  
მინს ვსვამდი. ისე შემინოდა ხეიბრობისა, ეს საქმე რომ არ მოგვარებულყო,  
თავს მოვიკლავდი.

— იზამდით კი ამას?

— მგონი ეიზამდა. საკმაოდ ძლიერი ვარ ყოველგვარი შესაძლებელი და  
წარმოსადგენი რეჟიმის გადასატანად, მაგრამ ვერასოდეს ვიქნები ისე ძლიერი,  
რომ ბორბლებიანი სკამით ვიცხოვრო. გამოჯანმრთელებისთანავე სრულიად ბუ-  
ნებრივია ქუჩებში სირბილი. მაგრამ, როცა არა ხარ დარწმუნებული, რომ ისევ  
ისეთი იქნები, როგორიც იყავი, შიშისაგან გიყდები. ავადმყოფობა თავისუფ-  
ლების დაკარგვაა, ყველაფერი შეუძლებელი ხდება, ეს დიდი დანაკლისია.

ყველაფრის მუხედავად, მირჩევნია ცხოვრების ბედუკუღმართობა გამოვ-  
ცადო, წყნარი, კმაყოფილი ცხოვრებისთვის არ ვარ გაჩენილი. უკვე ვთქვი, ჩე-  
მი ცხოვრება ავბედითი ხუმრობაა-მეთქი, ოპტიმისტი რომ არ ვიყო, ეს უნებ-  
ლიე ნათქვამად ჩამეთვლებოდა. ავბედითი იმიტომ, რომ დრამაა, და ხუმრობა კი



იმით, რომ სასაცილოა. სასაცილო დრამაა ცხოვრება, არა? მე არსებობის აბსურდულობას მხიარული გონებამახვილობა დაუპირისპირე.

— ფული? მოგვიყევით ფულზე.

— ცხოვრებაში მართლაც რომ ვყოფილიყავი, არავითარი და არანაირი განქარტყვებით თავს არ შევიწუხებდი... ძალზე ბევრი ინტერვიუ მივეცი და ყველა დაბეჭდილ სტატიაში მხოლოდ ფულზეა ლაპარაკი. ამა თუ იმ გახეთქის სხვათა გვარის დანახვა უკვე შიშის ზარს მცემს. რად უნდა ეს მკითხველს... რაც უნდა ვთქვა და გავაკეთო, მაინც რომელიმე პერსონაჟში მკეტავენ... "საქმე იმით თავდება, რომ იმას ვემსგავსები, ვინც მათ სურთ. — ამბობს ჩემი რომანის „ვალენტინი იასამნისფერ კაბაში“ გმირი. მე ხომ, მათი აზრით, ის ქალი ვარ, ვინც ასობით მილიონს ფლანგავს, ვინც იაგუარით სრესს მოხუც ქალს, ცინიკურ გართობებს იგონებს ხალხის შოკში ჩასაგდებად და მთელ ცხოვრებას ღამის ბარებში ატარებს. არა, ბატონებო, ასეთი ქალი არ არსებობს. ვერ მივმხვდარვარ, რატომ არ უწყვენ ანგარიშს ჩემი წიგნების ფურცლებს, რომლებიც უარყოფენ იმ აზრს, ჩემზე რომ შექმნეს.

— თუ არც არავის უნდა ამ ფურცლების წაკითხვა?

— თვრამეტი წლისა ცნობილი და მდიდარი ვიყავი: ეს ვერ მაპატიეს. სხვათა წარმატება ზოგისთვის ძნელად მოსანელებელია. ლიტერატურაში კი არა, კომერციაში მიმიჩინეს ადგილი. გამომცემლობაში ნამდვილად დავიჭირე ადგილი, მაგრამ ლიტერატურაში? — არ ვიცი, არა მგონია.

— მეორე, მესამე რომანის შემდეგ „ცოტაოდენ ღიმილში“, „ერთ თვეში, ერთ წელიწადში“ 1957 წელს, არ მოგვარდა ეს პრობლემა?

— ო, არა. იცით, ეს რომანებიც ძალიან კარგად გაიყიდა. ყოველი გამოცემა ხარკის აკრეფას ჰგავდა. ყოველთვის მორცხვად ვიმედოვნებდი, ლიტერატურაზე დამელაპარაკებიან-მეთქი, მაგრამ, თქვენც არ მომიკვდეთ. ლაპარაკი მხოლოდ ჩემს საბანკო ანგარიშს შეეხებოდა... არ ვიცი, რას უფრო მსაყვედურობენ, — ბევრი ფულის შოვნას, თუ ხარჯვას. ისეთი შთაბეჭდილება მექმნება, რესტორან-სასაუზმეების მთელი ქსელი რომ მეყიდა და ჩემი სიბერის დღეები უზრუნველმეყო, ხალხი ნაკლებად აღშფოთდებოდა. სხვებშიც მძულს, თავს რომ უსაფრთხოდ, მშვიდად გრძნობენ. ფიზიკური და ინტელექტუალური ექსცესები მატყდება ხოლმე თავს, ყველაფერი მიზიდავს. რაც მოუსვენარია. — არ ვეძებ უსაფრთხოებას, არ ვიცი მიყვარს თუ არა მშვიდი ცხოვრება. ფულის ქონა არ მიყვარს და არც მომჭირნობა.

— მაშ, რას წარმოადგენს ის თქვენთვის?

— დღევანდელ საზოგადოებაში ფული თავდაცვისა და თავისუფლების საშუალებას წარმოადგენს. ის შესაძლებლობას გაძლევს, წვიმაში ავტობუსს არ ელოდო, თვითმფრინავით გაფრინდე და რამდენიმე დღე მზეზე გაატარო. მე მქონდა რეალური ბედნიერება, დამსახურებულად თუ დაუმსახურებლად, ჩემი წიგნებით მეშოვა ფული. ეს პრივილეგიაა. მე ძალიან განვიცდი სხვათა სიღარიბეს. ყველას ვუსურვებდი ასეთი პრივილეგია მქონოდათ, მაგრამ სურვილი სურვილია და მეტი არაფერი.

— მაშ რა არის ფული?

— მე მჩქეფარე ცხოვრებას ვეძებდი, მაგრამ ესეც არ იყო. საკმარისი. აუცილებელი პირობებია საჭირო სიამოვნების გასახანგრძლივებლად და ერთ-ერთი ამ პირობათაგანია, რომ სიღარიბეში არ იცხოვრო. ფულის სიმძიმე ხელს უშლის მწვერვალის დაპყრობას. ის კარგი მსახური და ცუდი ბატონია. მას



ერთნაირი ძალაუფლება აქვს მქონეზეც და უქონელზეც. ცხადია, ფული არც მძულს და არც მიყვარს. მასზეა დამოკიდებული ჩვენი თავისუფლების შესაძლებლობა.

– უანგარობაც?

– უანგარობა, საუბედუროდ, გაქრა ჩვენი ჩვევებიდან. უფრო და უფრო იშვიათად შეხვდები ადამიანს, რომელიც მზადაა „არაფრისთვის“ კომოქმედოს, ჩაიდინოს რაიმე ქმედება დაუინტერესებლად; წმინდა ქმედება – ერთ-ერთი იმ ქმედებათაგანი, რომელსაც უზარმაზარი ძალა აქვს. საფრანგეთი საშინელ, ვულგარულ, ლუიფილიპიარდულ\* პერიოდშია. ფულით ყველა გაიხრწნა. აღარაა მორალური დახვეწილობა. წრეში, სადაც ხანდახან მიხდება ყოფნა, მხოლოდ სამი სასაუბრო თემაა: უპირველესად, პირადა ცხოვრება (ანუ ვინ ვისთან წევს), დიდი პოლიტიკა პატარა ინტერესების კუთხით (პრეზიდენტის უკანასკნელმა სიტყვამ დააქვეითა ჩვენი საქმეები) და ტრაბახი (ამასწინათ გავამასხარავე ესა თუ ეს ტიპი). მოკლედ უხამსობაა. მაგრამ, საბედნიეროდ, ეს არაა ჩემი გარემო. ეს არც ტრადიციული ბურჟუაზიული გარემოა: მე მსგავსი არაფერი მომიხმენია ჩემს მშობლებთან.

სხვა მხრივ ისე ჩანს, რომ ადამიანები მშვიდად არიან შეჩერებული, ერთგვაროვანი ცხოვრებით. შედეგი ისაა, რომ გასაქანი არა აქვს მათ შესაძლებლობებს და დადგენილ საზღვრებში ცხოვრობენ. მე კი, პირიქით, როგორც კი მექმნება შთაბეჭდილება, რომ ჩემში რაღაც გაქვავებული, სტაბილური და გაჩერებულია, პანიკაში ვვარდები. უძრაობა გადაულახავი ზღვარია ჩემსა და მეორე მხარეს შორის. არ მიყვარს ჩვეულებები, უკვე ცხოვრებაგამოვლილი კადრები. ხშირად ვიცვლი ბინას – ეს მანიაა – მატერიალური ცხოვრება იმდენად რაბუზრებს თავს, რომ მანიაკობამდე მივყავარ. როცა მეკითხებიან, რა გექნება სადილადო, უსაზღვროდ მათოვნებს და მანაღვლიანებს. ფულის გამოყენების სასიამოვნო ხერხებს კი ვპოულობ, მაგრამ აუტანლად მეჩვენება საბუღალტრო პრობლემები – როგორც ყველა მატერიალური პრობლემები.

– როგორ ცხოვრობთ დღეს, 1974 წელს?

– ახლა, ჩემი გამომცემლის ანრი ფლამარიონის წყალობითა და ჩემი კალძით ვცხოვრობ. ის მშველის, სესხს მაძლევს და, როცა წიგნი გამოდის, ვალებს ვისტუმრებს; საბანკო წიგნაკი ჩამომართვეს, რადგან მთელ დროს ფულის განაწილებაში ვატარებდი. ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ „ფულის ნაკლებობას“ განვიცდი. მიმანდვეს პირს, რომელიც ჩემს მაგივრად უხდის პოლიციას, ძანქანისა და სახლის დაზღვევას. როცა ავეყფდები, ჯიბის ფულს – ათას ფრანკს – მიგზავნიან. აქ წყდება ჩემი ურთიერთობა ყოველდღიურობასთან.

– მაშ, თქვენ პატივს არ სცემთ ფულს?

– ფულის პატივისცემა არა მაქვს. მძულს არა ის, რასაც ფული უზრუნველყოფს, არამედ ის ურთიერთდამოკიდებულება, რასაც ფული წარმოშობს ადამიანთა შორის და ფრანგთა უმრავლესობა ხელმოკლე ცხოვრებით ისჯება. მათ აღარა აქვთ დრო, ყოველმხრივ შევიწროებულნი არიან: ფულის პრობლემა, ხელობა, ოჯახი, ტრანსპორტი. პრობლემებით თავი აქვთ გასიებული, მეტროში

\* ლუი-ფილიპე (1773–1850) საფრანგეთის მეფე, 1830–1848 წ.წ. მას „ბანკირების მეფეს“ უწოდებდნენ, რადგან ფინანსური ოლიგარქიის მეშვეობით დაიკავა საფრანგეთის ტახტი.



უმზერენ დაქანცულ უცნობებს, ბრუნდებიან შინ ბავშვებისა და ტელევიზორის სანახავად, თავის ვიწრო და საბრალო სამყაროში.

— რა არის ფუფუნება?

— დღეს ყველაზე დიდი ფუფუნება დროის გამოყენებაა. საზოგადოება დროს პარავს ადამიანს.

— შეგცვალათ ფულმა?

— რა თქმა უნდა. ჩემი რომანებით ნაშოვნმა ფულმა შეცვალა ჩემი არსებობის წესი. მაგრამ არ შეცვლილა ჩემი დამოკიდებულება საკუთარ თავისადმი, ჩემი ნაწარმოებებისადმი, მეგობრებისადმი.

— არ გიტაცებთ სიმდიდრე?

— სიმდიდრეს კი არ ვეძებ საგანგებოდ, არამედ წარმატებას. თვრამეტი წლისა ლეგენდაში ჩავიძირე. ამას ჩემთან არაფერი ჰქონდა საერთო: სპორტული მანქანები, ეპი-კლუბი, სენ-ტროპეზი და ჭიქა შოტლანდიური ვისკი (სკოტჩი)... აუტანელი იარღიყია! მე „დღესასწაული“ ამოვიჩიე, რადგან ამის ძლიერი სურვილი მქონდა. ამ წლებს, რომელიც ჭიქაში ყინულის წკარუნით, დაჭმუჭნული თუნუქით, საწერი მანქანის რახუნით, ქორწინებებისა და განქორწინებების მითქმა-მოთქმით და ა. შ., გადის, პუბლიკა „ხელოვანის ცხოვრებას“ უწოდებს. კარგა ხანს ეს მოხერხებული ნილაბი იყო, და ცოტათი მართალი იყო: მიყვარდა ფერარი და ალკოჰოლი. „გულის გუშაგში“ კარგად გავერთე, დავცინე იმ სახეს, რომელიც ჟურნალისტებმა შემიქმნეს. აღვწერე ვისკი, ფული, თამაში, მანქანები, ფუფუნება — მაგრამ თხუთმეტჯერ გადამეტებული.

— თუ იცით, რამდენი იშოვეთ და დახარჯეთ?

— ჩემმა პირველმა რომანებმა გიჟური თანხა მომიტანა. მთელი ფული ვუიარდთან იყო და, როცა დამჭირდებოდა, ვურეკავდი. ის მიგზავნიდა ჩეკს. მაგრამ მხოლოდ ოცი წლისამ, როცა მშობლები დავტოვე, აღმოვაჩინე, რომ უამრავი ფული მქონდა. ვიყიდე ბინა გრენელის. ქუჩაზე, სადაც ძმასთან ერთად ვცხოვრობდი. იქ უამრავი ხალხი ტრიალებდა, რომელთა რჩენაც სიხარულით, მთელი გულითა და სულით შემეძლო. შემეძლო თვითმფრინავით წავსულიყავით სენ-ტროპეზში საღამოს გასატარებლად, ვყიდულობდი მანქანებს, გემებს, ვსეირნობდი და მრავალრიცხოვანი მეგობრები, უაღრესად თავაზიანი მანერით, ცხოვრობდნენ ჩემს ხარჯზე. ეს მშვენიერი იყო. ყველაფერი ეს იყო, მქონდა ჩეკების წიგნაკი, ფული მოდიოდა: რა იყო უფრო მოსახერხებელი? ოცი წლის ვიყავი და თვით ეს ფული ცოტა გიჟურად მეჩვენებოდა. არასოდეს ვითვლიდი, სრულიად უცნობისთვის გამიგზავნია ხოლმე, რომელიც მწერდა: „მჭირდება ფული სარეცხი მანქანის საყიდლად.“ ვუგზავნიდი გაჭირვებული ოჯახის დედებს; გამოვწერდი ჩეკს, ეს ძალიან პრაქტიკული იყო, ბავშური. დღესაც არ ვიცი ფულის ყადრი, თვრამეტი წლისა კი მთლად გულგრილი ვიყავი მის მიმართ; მით უფრო, რომ ის არასოდეს მაკლდა. უბედური ბავშვობა რომ მქონოდა, ალბათ, ფულს ჩავებლაუჭებოდი. ან ყაირათიანად მაინც დავხარჯავდი, მაგრამ ძალიან ბედნიერი ბავშვობა მხედა წილად და ფულზე სრულიად ყალბი წარმოდგენა შემექმნა. ჩემი მშობლებიც ყოველთვის ხელგაშლილები იყვნენ. ამასთანავე, ნუ იფიქრებთ, რომ მართლა გიჟურ ცხოვრებას ვეწეოდი. სენ-ტროპეზში ეპიურ მოთხრობებს ჰყვებიან ამ ეპოქაზე, მაგრამ ეს, უბრალოდ, მხიარულება იყო. ვადიმი, კრისტიან მარკანდი, ანაბელა, მე და კიდევ მთელი ბანდა, ფიფი და კომპანია, ვიყავით; ვირუჯებოდით მხეზე. ახალგაზრდები და უდარდელეები ვიყავით.



-- მაინც რამდენი დახარჯეთ?

-- ასიოდე მილიონი, ძველი ფულით, დავანიავე. როგორ მოვახერხებ? არ იცი. ცხოვრება... არაფერი შემიძენია, საკუთრების გრძნობა არ გამაჩნია. ძთელი ჩემი კაპიტალდაბანდება გადასარევი იყო. ვემები დაცურაულენ და გა-  
ნუწყვეტლად უნდა გვეცვალა კედელზე გასაკრავი ნაჭრები.

-- თქვენ თამაშობდით კიდევ...

-- კი, ბევრს ვთამაშობდი. ერთ მომენტში ბინაც კი დავაგირავე და ბანკში ერთი ფრანკიც კი აღარ გამაჩნდა. ეს საშინელება იყო, თან შვილი მყავდა — დენისი. დიდი მორალური კრიზისი განვიცადე და დავიფიცე, რომ ხუთი წელი სათამაშო სახლში აღარ შევიდოდი... და ლონდონში წავედი სათამაშოდ, ეს ჩემთვის აკრძალული არ იყო.

-- რა არის თამაში?

-- თამაში აუხსნელი რამეა, ვნებაა, დაღუპვის საშუალებაა და გარკვეულ-  
წილად ცხოვრების წესია. მე მართლა ვერთობი თამაშით, ცხოვრებით...

-- ყველაფერი ამისაგან რა დაგრჩათ დღეს?

-- ყველაფერი მაქვს, რაზეც ადამიანს შეუძლია იოცნებოს, — წარმავალს, დროებითს ვგულისხმობ. მეურვეების საბჭოს მსგავსი რაღაც დამინიშნეს. ეს უკეთესიცაა.

-- თქვენ არაფერზე ნანობთ?

-- არ ვნანობ იმას, რასაც ჩემს უყაირათობას ეძახიან. ერთადერთი რამ, რისთვისაც ფულის შენახვა, დადება, ეკონომია ღირდა, საჯინიბო იყო, თუნ-  
დაც ერთი ცხენით. არაფერია საკუთარ დაუდგრომელსახიან კვიცზე კარგი სა-  
ნახავი ტყეში განთიადისას, ანდა დოლის შემდეგ, თავნება იერთი მომავალი ცხენის ნახვას რა სჯობს. სამწუხაროდ, ეს საყიდი ფუფუნებაა და ამდენად შე-  
უძლებელიც, ვოცნებობ ცხენზე.

-- რა მოხდებოდა, თქვენი წიგნები რომ არ გაყიდულიყო და თქვენი ახ-  
ლობლების საქმეებიც კარგად არ აწყობილიყო?

-- სიცოცხლის ბოლომდე დავწერდი, წერას იმ შემთხვევაშიც განვაგრძობ-  
დი, ჩემი წიგნები რომ არ გასაღებულიყო. არაფერს ვნანობ. წლების მანძილზე კარგად გავერთე; მოცალეობისა და მხიარულების წლები კი მშვენიერია. რაც არ უნდა მოხდეს ეს ჩემი ცხოვრების ნაწილია, რომელზეც მოგვიანებით არ ვი-  
ნანებ, დარწმუნებული ვარ.

-- მაგრამ თქვენ ძველებურად ხომ აღარ ცხოვრობთ?

-- მე ისევ მიყვარს სისწრაფე, მაგრამ თავს ნებას აღარ ვაძლევ ძველებუ-  
რად ვიქროლო. ახლა ვფიქრობ შვილზე და სხვების შვილებზეც. სხვათა არსე-  
ბობამ ჩემთვის მნიშვნელობა შეიძინა, რაც თვრამეტი წლისას არც კი მომელან-  
დებოდა. 1960 წელს პარიზის ქუჩებში კიდევ შემეძლო დიდი სიჩქარით ქროლ-  
ვა, დღეს, ეს რომ გააკეთო, მაზოხისტი უნდა იყო. ცისფერი, შამპანურების პა-  
რიზი, კოკა-კოლასა და ნეონის პარიზად გადაიქცა. ღამის ცხოვრებაც დამძიმდა. ადამიანები ძალზე განერვიულებულები არიან ყოველდღიური ცხოვრებით და გაბედულად ვაეკაცურად ვეღარ აღწევენ დილაძდე.

-- წერა ხომ ისევ გიყვართ?

-- წერა სიტყვების გამოყენებაა; როდესაც „სალამი სევდავ“ წამოვიწყე, ერ-  
თადერთი სურვილი მქონდა, გამომეყენებინა სიტყვები. მიყვარს სიტყვები, სი-  
ტყვების ცხრა-მეათედი მიყვარს. მათ შორის არიან მომხიბლავნი, მაგალითად, „აივანი“, აგრეთვე „დარაბა“, „მელანქოლია“.



— როგორ წერთ?

— როცა რომანს ვიწყებ, პირველ თავისუფალ მონახაზს ვაკეთებ. გეგმას არა, ყველაზე მეტად იმპროვიზირება მიყვარს; ისეთი გრძნობა მაქვს, რომ ხელთ ნიპყრია თხრობის ძაფები და მათ ჩემს გემოზე ვამოძრავებ. შემდეგ ვმუშაობ ტექსტზე: ვაწონასწორებ ფრაზებს, ვიღებ ზმნიზედებს, ვამოწმებ რიტმს. ხალმე მარცვალი ხომ არ აკლია, ფრაზა ხომ არ მოიკოჭლებს. წერა ხელნაწილად მაშინ უფრო მარტივია. რომანის ფრაზებში არაა ფიქსირებული „ფეხები“ რაოდენობა, მაგრამ ბეჭდვისას, ან ხმამაღლა წარმოთქმისას, ძალიან კარგად იგრძნობა თუ ფრაზა კოჭლია. მიყვარს ფრანგული ენა, მაგრამ ენის ცდუნება არ ამიტაცებს ხოლმე, უბრალოდ, ვცდილობ, კარგად ვწერო... წიგნის სათაური მნიშვნელოვნად მეჩვენება. ეს ცოტა არ იყოს, ჩაცმის მანერასავეითაა. ყოველთვის ჩემთვის მოსაწონ სათაურს ვარჩევ და თითქმის ყოველთვის წერის დაბთავრების შემდეგ ვპოულობ ხოლმე.

— აღვილად წერთ?

— ხანდახან. ისეც ხდება, რომ ერთ-ორ საათში ათ გვერდს ვწერ.

— ყოველთვის მანქანაზე ბეჭდავთ?

— დიახ, არასოდეს ვწერ ხელით. მანქანით უფრო სუფთაა, წამახალისებელია.

— დიდი მწერლები, მაგალითად, ფლობერი, ძალიან ძნელად მუშაობდა, თითო სიტყვაზე იქანცებოდა. კიდევ ხდება ასეთი რამ?

— დიახ. ეს მე ძალიან კარგად მესმის. მართალნიც არიან. მაგრამ ჩემთვის სიტყვები აზრის გამოხატვის შესაძლებლობაა. არაა საჭირო ზედმეტად წელლებზე ფეხის დადგმა. ოქრომჭედლის ხელოვნება ოქრომჭედელსვე უბრუნდება.

— ყოველდღე მუშაობთ?

— ძალდატანებით არა. ხდება ხოლმე, რომ რომანს ათ-თხუთმეტ დღიანი პერიოდებით ვწერ. შუალედებში ვფიქრობ ამბავზე, ვოცნებობ და ვლაპარაკობ. ვგრძნობ, რომ ვიღუბები. სხვებს ვთხოვ რჩევას. მიხარია, როცა მოსწონთ.

— თუ არ მოსწონთ?

— ეს კატასტროფაა. ვგრძნობ, რომ ბევრს ვერაფერს შეეცვლი და მანქანას ხელს აღარ ვახლებ ხოლმე...

— რა არის თქვენთვის წერა?

— წერა ორმაგი სიამოვნებაა: ამბავს ყვები და შენს თავსაც აღწერ. წერის სიამოვნება აუხსნელია: უეცრად პოულობ ზედსართავს და არსებითს, რომლებიც ერთმანეთს გასაოცრად უხდება, კაცმა არ იცის, რატომ; ორი ჩინებული სიტყვა, აზრი მთლად იმის საწინააღმდეგო გამოვლის, რისი დაწერაც გსურდა, მაგრამ ძალიან კარგი კია. ეს უცხო, მომხიბლავ ქვეყანაში მოგზაურობასავე ითვალისწინებ, მომავადობელია, მაგრამ ხანდახან შეურაცხყოფელიც, როდესაც ვერ შეძლებ იმის დაწერას, რაც გსურდა. ეს ცოტა არ იყოს სიკვდილივითაა: შენი თავის გრცხვენია, იმისიც გრცხვენია, რაც დაწერე, საცოდავი ხარ. მაგრამ, როცა „გამოდის“, მაშინ ის კარგად დაზეთილი და კარგად მომუშავე მანქანასავითაა. ეს ისაა, ათ წამში ასი მეტრის გარბენას რომ უყურო. ხედავ ფრაზათა დაგროვილ საოცრებას და ტეინი თითქმის თავისთავად მოქმედებს. შენივე თავის გაყურებელი ხდება.

— „გულთამყრობელის“ ხელახლა წაკითხვისას ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ თქვენ ხალხის გაცინება ვიყვართ.

— დიახ, ძალიან მიყვარს და უპირველესად მე თვითონ მიყვარს სიცილი.



– როცა დიალოგებს წერთ, საგანგებოდ ცდილობთ, რომ ხასიაცილო გამოვიდეს?

– ვილაც-ვილაცებისთვის კი. მგონი ვუკვებთ ერთმანეთს?

– ადამიანთან შეხვედრისას რას აქცევთ ყურადღებას?

– უცნობთან შეხვედრისას?

– ან ნაცნობთან...

– უცნობებთან შეხვედრისას მათ გარეგნობას ვაქცევ ყურადღებას, მათ შესტებს, მოძრაობის მანერას, თავდაჭერილობას. ნაცნობებს კი ვაკვირდები, კარგად გამოიყურებიან თუ არა, აქვთ თუ არა კმაყოფილი გამომეტყველება, ხომ კარგად მიდის მათი საქმეები.

– არ აკვირდებით საგნებს, რომლებიც შემდეგში გამოგადგებათ?

– მე სულაც არ ვარ დამკვირვებელი.

– წვრილმანი დეტალების აღწერისას ხადმე ნანახს იხსენებთ, თუ თავის-თავად წერთ?

– მგონი ასეთი დეტალები შედარებით ცოტა მაქვს.

– სცენები?

– სცენები წარმოსახვითია, ყოველთვის გამოგონილია, დიახ, მთლიანად გამოგონილი.

– „გიყვართ ბრამსში“ ძალიან ლამაზი სცენაა, როცა პოლისა და სიმონას თმები ერთმანეთში იხლართება თავლია მანქანაში, როცა ისინი პირველად კონნიან ერთმანეთს; ეს არაა მოგონება?

– არა, ეს ისე მომივიდა თავში. საქმე სცენაში არაა, რადგან ღამე ყოველთვის ქრის ქარი, რომელსაც სრულიად არაპარიზული სურნელი აქვს... ზამთრის ქარი... ძალიან მიყვარს. ღამეა ჩემი უსაყვარლესი, ამიტომ მას აქტიურ როლს ვაძლევ ხოლმე.

– თქვენში „კარგად“ წერის სიაშაყე იგრძნობა.

– კარგად წერა ყველასთვის არაა ხელმისაწვდომი. ადამიანებს არა აქვთ სიტყვების სიყვარული; ამიტომ, რასაც წერენ, ხშირად აშკარად გულისგამაწყალებელი, ცუდი და უფერულია. ო, ფრანგული მომხიბლავი და მუდამ ახალი ენაა! ყოველთვის ადვილია, ახალი რომანის პრეტენზიისა არ იყოს, მკითხველს იმ ნიჭის დანახვა მოთხოვო, მწერალს რომ არ გააჩნია. ნამდვილი ლიტერატურა მაინც ავტორის ნიჭის ნაყოფია! მკითხველი დაპყრობილი, მოჯადოებული და ატაცებული უნდა იყოს იმისგან, ვისაც აქვს ძალა და პატივი სიტყვებით დატყვევებისა, რომლებიც ყველასია, მაგრამ რომლებსაც მწერალი სხვებივით არ იყენებს.

– კმაყოფილი ხართ იმით, რაც დაწერეთ?

– წერა ჩემთვის შემადრწუნებელი თავმდაბლობის მცდელობად რჩება. კარგი იქნებოდა, დარწმუნებული ვიყო, რომ კარგი წიგნი დავწერე, ან აღვწერე, მაგრამ არ ვარ. წერა ისეთი რამეა, რომლითაც ხუმრობის უფლებაც არ გვაქვს. არაფერი ისე არ მამბრახებს, როგორც ყალბი აზრი, რომელიც ჩემზე შექმნეს ამ სფეროში. ვიცნობ კარგ წიგნებს, დიდებულ წიგნებს და, რას არ მივცემდი, რომ ერთი მათგანის დამწერი მეც ვყოფილიყავი. მჯერა ღირსებისა! ღირსება ჩემთვის სწორედ გარკვეული ფასეული იდეის პატივისცემაა. ლიტერატურა არის ფასეულობა, რომლის პატივისცემის შენარჩუნებასაც ვცდილობ.

– კრიტიკოსების აზრი გაინტერესებთ?

– კრიტიკოსების აზრი კი, თუ ისინი ჩემს წიგნებზე საუბრობენ და არ



აინტერესებთ საგანის პირადი ცხოვრება. საქმით მართლაც ძალიან ცოტათი ზაინტერესებენ. ოცი წლის ასაკიდან ისეთი გრძნობა მაქვს, რომ თავს მოსიყვარულე და ბუზლუნა ოჯახი მახვევია, რომელიც ყოველთვის ერთსა და იმავე რეფრენს მღერის: „შენ საკმარისად არ მუშაობ, ბევრს სვამ, აუტანელ ხალხს ხვდები, ძალიან ჩქარა დადიხარ მანქანით.“ ეს უფრო საოჯახო რიგის საყვედურებია, ვიდრე ლიტერატურულია. გაოცდით, რომ ოცდათვრამეტი წლისა თავს ისევ მოზარდად ვგრძნობ? ერთადერთი, ვინც მართლა ჩემს წიგნებზე მესაუბრება, ჩემი მკითხველია: იგი მულაპარაკება ამბებზე და ამ ამბების გმირებზე.

— რას გეუბნებათ თქვენი მკითხველი? ვინ არიან ისინი?

— ოჰ! ეს ყოველთვის ექსტრავაგანტური ხალხია: ახალგაზრდა ვაჟები და მოხუცი ქალები. ძალიან გრძელი წერილები მომდის. ხანდახან შეურაცხყოფასაც მაყენებენ. ან ფულს მოხოვენ: სამ ფრანკს, ან ათი ათას ფრანკს, მაგრამ ხალხი ძირითადად თავის ამბავს ყვება, ყოველთვის ცოტა ყალბი მანერით: იგრძნობა ტყუილი ან მანერულობა. ეს წერილები ჩემი წიგნების გმირებთან გაიგივების მცდელობებია. „მზის ნამცვრევი ცივ წყალში“ გამოსვლის შემდეგ, ქალები მწერდნენ: „მეც მიყვარს ახალგაზრდა ვაჟი, სოფელში ვცხოვრობდი მასთან ერთად, წამოყვები პარიზში და აქ, მან ძველი ფეხსაცმელივით გადამაგდო.“ „ცისფერ სულში“ გამოსვლის შემდეგ უფრო განსხვავებული წერილები მოდიოდა, უფრო ინტიმური, გულის გადაშლის მსგავსი, ამარყებელი წერილები; ზოგიერთი საკმაოდ მშვენიერიც იყო, ისინი სიცოცხლეზე, სიკვდილზე, მეტაფიზიკაზე მესაუბრებოდნენ.

ზოგჯერ მეკითხებიან, რა მინდოდა მეოქვა, ან გამეკეთებინა; რატომ აქვს ამა თუ იმ პერსონაჟს ამგვარი თუ იმგვარი ხასიათი; ანდა მეუბნებიან: თქვენს წიგნში ამიხსენით ესა და ეს პრობლემაო. საგონებელში ვვარდები, მე ხომ არასოდეს მიფიქრია ამ პრობლემაზე.

— პასუხობთ?

— ხანდახან, იცით, უამრავი წერილი მომდის; უმეტესად არაფერია ზოლმე საპასუხო. როცა მკითხველი გეუბნება: 27-ე გვერდზე ჩემი თავი ვიპოვეო, ეს ნამდვილად მე ვარო და ა. შ. გულისამარყებელია, მაგრამ მწერლისთვის სრულიად უსარგებლოა.

— ქუჩაში თუ გცნობენ?

— ახლა იშვიათად. როცა თვრამეტი წლისა ვიყავი, ეს აუტანელი იყო: ყველგან მცნობდნენ. საბედნიეროდ დღეს მდგომარეობა შეიცვალა. არის დღეები, როცა ჩემს თავს ვგავარ, თუ შეიძლება ასე ითქვას, ვგავარ ჩემს ფოტოსურათებს. სხვა დროს კი ეს დამოკიდებულია წინა ღამის მდგომარეობისაგან, ან დაღლილობისაგან. მაშინ მთლად ანონიმური ვარ, ხომ უნდა მქონდეს თავშესაფარი? ჩქარა დაუდივარ, ვერ მხედავენ, ეს მოხერხების საქმეა: სულ პირდაპირ უნდა იარო და ხალხს თვალებში არ შეხედო. თუ არა და, ისინი თავს გიკრავენ და ყველაფერი დალუბულია; შენც პასუხობ, ვიახლოვდებიან, სრული უხერხულობაა: „ადარ მახსოვს სად შეგხვედრავართ, შემახსენეთ თქვენი სახელი — არა ბატონო, თქვენ არ მიცნობთ, მაგრამ ძალიან შემეფვარდა თქვენი „გიყვართ ბრამსი“... ეს ნამდვილი კატასტროფაა. ანდა სისტემატურად ყველას ვესალმები, ეს ცოტა კომპლექსებისგანაა, ისე მეგობრულად, ისეთ ხალხს გადავაწყდები ხოლმე, რომლებიც აბსოლუტურად არ მიცნობენ, და დაკვირვებით მაცქერდებიან, როგორც გიჟს. ეს ქმნის კომიკურ სიტუაციებს, რაღაც აკროფონისტულ გადაადგილებას.



— ეჭვი თუ შეგპარვიათ საკუთარ თავში?

— არსებობს კი ადამიანი, რომელიც არასოდეს დაეჭვებულა თავის თავში? ყოველთვის მეპარება ეჭვი საკუთარ თავში. ვთქვათ, მაგალითად, განვაგრძო წერა თუ არა. ჭკუა მოქანავე სიგიჟის სახეობაა ორ პოლუსს, ორ შეხამებლობას შორის. ერთადერთი ქმედება მწერლის გადასარჩენად ისაა, რომ მთელი სისწრაფით გაქროლდეს იმ გზაზე, სიტყვიერ, რომანტიულ, ლირიულ, კიდეთაგან ყველაზე მეტად მომაჯადოებლად რომ ერვენება. ამ შემთხვევაში ძალაუხერბურად თავს იტყუებენ, მაგრამ, გულწრფელად ვეტყვი, ყველა მართალია და არავინაა მართალი. ვისაც არ შეუძლია რომ შეცდეს, ისაა, ვინც, მაღარმეს თქმისა არ იყოს, მარტოა: „ცარიელი ქალაქის წინაშე, რომელსაც თავისი სითეთრე იცავს“; თავის გამართლება არ უნდა დაგჭირდეს იმაზე, რაც გააკეთე და ასახსნელი არ უნდა იყოს, რატომ, როგორ და ვისთვის გააკეთე. გააკეთე და მორჩა. ყოველდღე თავს ვეკითხები: „საიდან ვარ? რა უნდა ვიფიქრო? — აღარაფერი გაძებება. ვიმეორებ, წერის აქტი შეიძლება მხოლოდ თავის მოტყუებაა, მაგრამ სინდისიერად თავის მოტყუება.“

— გსაყვედურობენ, რომ სულ ერთი და იგივე თემებს ეხებით.

— მართალია, ორი თემა ჭარბობს ჩემს ნაწარმოებებში: სიყვარული და მარტობა; უფრო სწორად, მარტობა და სიყვარული, რადგან ჩემი მთავარი თემა მარტობაა. სიყვარული მხირულების ხელის შეშლაა; უმთავრესი ადამიანის მარტობა და მისგან თავის დაღწევის გზები მგონია.

— ამბობენ: საგანის რომანებში დიდი არაფერი ხდებაო...

— ცოტა დრამაა ჩემს წიგნებში, რადგან, თუ დაფიქრდებით, ყველაფერი დრამატულია: დრამატულია ვინმესთან შეხვედრა, შეყვარება, იმასთან ცხოვრება, ვინც შენთვის ყველაფერი ხდება, სამი წლის თავზე კი დაცარიელებულნი შორდებით ერთმანეთს. მიყვარს მარტობა, მაგრამ ძალიან ვარ მიჯაჭვული ადამიანებს და მაინტერესებს ისინი, ვინც მიყვარს. მაშ ასე, ვფიქრობ პატარა ცხოვრებისეული დრამებისაგან დაცინვით უნდა უშველო თავს, დიდი იუმორი უნდა გქონდეს და იუმორის პირველი ნაბიჯი საკუთარი თავის გამასხარავება უნდა იყოს.

— თქვენი გმირები ფიზიკურ ტკივილს არასოდეს განიცდიან, მხოლოდ სიამოვნებენ. შოკი, რომელსაც განიცდიან, ყოველთვის გრძნობისშიერია. რატომ მფარველობთ მათ?

— ალბათ იმიტომ, რომ მე თვითონ დავიმსხვერი ოც ნაწილად ავტოკატასტროფაში. და ტკივილი, ისევე როგორც სიამოვნება, ყოველ შემთხვევაში ჩემთვის, აუხსნელია.

— რომელს აირჩევდით თქვენი წიგნებიდან და რატომ?

— ეს დღეებზეა დამოკიდებული.

— სხვა პოემები თუ გაქვთ დაწერილი იმის გარდა, რაც „სალამი სევდამდებს“ დაწერამდე დაწერეთ?

— კილომეტრობით. არც თუ კარგები და „არც თუ კარგი“ — პოეზიაში დაუშვებელია.

— ახლა რას დაწერთ?

— სიამოვნებით დავწერ რომანს, სადაც იქნებოდა უფრო და უფრო ნაკლები დრამატული გარემოებები, უფრო და უფრო მეტი კი ყოველდღიური ცხოვრება, ყოველდღიური პატარ-პატარა კინკლაობები. ეს ერთადერთი გზაა, რომელსაც მინდა გავყვე. რადგან დრამა სწორედ აქაა. გარეგანი ამბები ყოველთვის შემ-



თხვევითია. დრამა ყოველდღიური ცხოვრებაა. დრო და დრო ამას შეიცნობენ, მაგრამ ეს იშვიათად ხდება ხოლმე.

— თქვენ პესიმიზმს გსაყვედურობენ.

— ხანდახან მსაყვედურობენ, რომ ცხოვრების უიმედო სახეს ვანუხეზავთ. რა ვქნა? ადამიანთა ურთიერთობები რთულია. რატომ ჩავაწო ჩემი კალამი მტკნარ წყალში? ვიცი არსებობს დიდი, მშვენიერი, მშვიდი და ბედნიერი სიყვარული, მაგრამ იგი რომანის საგანი ვერ გახდება. დიდი რომანები სულაც ვერ ვწვდებით კარგად.

— წერილს რამის შეცვლას არ ცდილობთ?

— საგნებს ისე ვიღებ, როგორც არიან. მე მათ შეცვლას კი არა, აღწერას მიველტვი. აღწერილობითი ლიტერატურა მხიბლავს და მაჯადოებს: მორალური, ესთეტიკური და ა. შ. თვალსაზრისით, სიმართლე და ცხოვრება უფრო რთული, მრავალმხრივი და მასაზრდოებელი მგონია, ვიდრე ნებისმიერი ფანტასმი. ფანტასტიკური, ან უტოპიური ლიტერატურა არ მხიბლავს. რა თქმა უნდა, როგორც ყველა, მეც თაყვანს ვცემდი ბრეტონს და ძალიან მიყვარს კრეველი, მაგრამ კრეველს სურეალისტის, ან იდეალისტის არაფერი სცხია. ყოველდღიური ცხოვრება უფრო შემადრწუნებლად, მძაფრად მიმაჩნია. ხმაური და მძვინვარება ჩვენი ეპოქის ადამიანის ყოველდღიურობაა. წუხილი, მძვინვარება, ხმაური, შიში, მოთმინებიდან გამოსვლა, მოწყენილობა — ყოველივე ეს ყოველდღიურობაა, ყოველივე ეს ოდნავ მგრძნობიარე ადამიანის ცხოვრებაა. ვიმეორებ, მაინტერესებს ადამიანთა დამოკიდებულება მარტოობასთან და სიყვარულთან. ვიცი, რომ ესაა ადამიანთა არსებობის საძირკველი; ვილაცის ცხოვრების საფუძველი იმის ცოდნა კი არაა, თუ ვინ არის კოსმონავტი, ან ტანმოვარჯიშე, არამედ იმისა, თუ ვინაა მისი ქმარი, საყვარელი. მომაჯადოებელია, რომ ჩემ ძიერ აღწერილი ფსიქოლოგიური დამოკიდებულებები ყველა წრეს კარგად ესადაგება. ეჭვიანობა საერთოა პარიზელი ინტელექტუალისა და ფირონდელი მიწათმოქმედისთვის.

— გრძნობები ყველგან ერთნაირია?

— გრძნობები ყველგან ერთნაირია. ყველა წრისთვის ერთნაირია. თავის თავში ჩაღრმავებული ადამიანი უკეთ შეიცნობს ამას, ვიდრე ის, ვინც განუსწვეტლად დარბის მის აღმოსაჩენად. ამიტომაც, რომ მოგზაურობას არავისთვის არაფერი მოუტანია ტურისტული რანგის ხაფანგების ძლევის გარდა. მე არ ჩაქვს ლიტერატურული რეფლექსი უცნობი პეიზაჟის დანახვისას, ან ახალი ტრადიციების აღმოჩენისას.

— დეკორის ქანახვისას?

— გარეგანი მხარე ცოტას ნიშნავს. სიყვარულის სცენის აღსაწერად მაღაროს გვირაბი არაა საჭირო. გმირები, რომლებსაც თაყვანს ვცემ, არ გამოირჩევიან სოციალური ღირსებებით. თუ ჩემი გმირები ყოველთვის ერთსა და იმავე წრეს ეკუთვნიან, ეს უფრო სიმართლის გამოა. არასოდეს გამომიცდია სიღარიბე, არც მძიმე მატერიალური პრობლემები და არ მესმის, უხეშად რომ ვთქვა, რატომ უნდა „ვნახო სარგებელი“ სოციალურ პრობლემებზე ლაპარაკით, რომლებიც არც მესმის და არც არასოდეს შემიგრძნვია... საერთოდ, ჩემი პერსონაჟების დამოკიდებულება სამუშაოსთან თხრობისას უმთავრეს რამედ არ მეჩვენება.

— მაგრამ, ჩვეულებრივ ხალხი მუშაობს.

— ზოლასთან და ბალზაკთან ადამიანის მუშაობა მიმზიდველია, მაგრამ მე სულაც არ მაინტერესებს ის ჩემს საკუთარ ნაწარმოებებში. ვერ გავბედავ იმ



გარემოს აღწერას, რომელსაც არ ვიცნობ. მე, ვთქვით, ვინმე ძალიან ღარიბის, გაჭირვებულის ცხოვრება აღწერე და ამით ბევრი ფული ვიშოვე, მერე იმ ფულს რაღა ვუყო? საცურაო აუზი ვიყიდო? ეს ერთობ არაესთეტურად მიმაჩნია. სულაც არ განვიცდი უხერხულობას, რომ ჩემი გმირები გარკვეულ წრის წარმომადგენლები არიან: მე არავის ვკიცხავ, არც წრეს და არც იმას, ვინც ამ წრეს განსჯის. ალბათ ყველაზე მართალი და ყველაზე უმეტივე ვიყავი დღეს ჩემშია, განსჯის შეუძლებლობაა. ადამიანი არსებობს, ის ტყვეობაშია და ძალიან დიდი სურვილი მაქვს მას გაუგო და არა განესაჯო. ხშირად მსაყვედურობენ, რომ ისეთ პერსონაჟებს აღვწერ, რომლებსაც თითქოს არ ეხებათ მსოფლიო პრობლემები: ისინი მე მეხებიან უმუალოდ, მაგრამ მე მათზე საუბარი არ მსურს; ვერ ვხვდები, რა გაკეთდება, თუ ერთი ჩემი გმირ ქალთაგანი გამოთქვამს თავის აზრს ვიეტნამის ომზე? განა ეს რამეს შეცვლის? ყველაფერი, რაც მსოფლიოში ხდება, მალეღვებს, მაგრამ კიდევ ერთხელ ვამბობ, არა მგონია ამ მასალის სასიყვარულო ისტორიის მარღვად გამოყენების უფლება მქონდეს, ესეც „უხეშობად“ მეჩვენება.

— და სხვა განცდები: ამპარტავნება, სიძუნწე?

— ეს ის განცდებია, მე რომ ნაკლებ მაინტერესებს. ჩემს ნაცნობებშიც და ჩემშიც ყველაზე მეტად მარადიული მართობა მათთვის, რომელიც არც უწყინარი და არც პატარა თემაა. საკუთარი მეს ურყეობის შეგნება, საკმაოდ შემატყუარებელიცაა და ძნელად გადმოსაცემიც. საბოლოო ჯამში თითქმის ბიოლოგიურია. ცნობილია, რომ ცოტა თუ ბევრად ყველა იტანჯება ამით და სწორედ ესაა პირველი პოსტულატი: ადამიანი მართო იბადება და მართო კვდება. როცა ადამიანები უარს ამბობენ სიყვარულზე, რა თქმა უნდა, მათ შეუძლიათ თავი შეაფარონ ამპარტავნებას, სიძუნწეს, ან ტრადიციას; მაგრამ თუ უარს არ ამბობენ, მაშინ მშვენივრად ებლაუჭებიან სხვებს.

— ფიქრობთ, რომ ადამიანი სიყვარულშიც მართოსულია?

— დიახ, მაგრამ ეს საკითხის მეორე მხარეა. პირველადი რეფლექსი ასეთია: მართო ვარ, მაღე ორნი ვიქნებით. შემდეგ ვგებულობთ, რომ ეს არაა მართალი. სხვათა შორის, ჩემს რომანებში პერსონაჟები ყოველთვის მართო არიან სიყვარულში.

— მოგწონთ თქვენი გმირები?

— ზოგი ძალიან მომწონს; მაგალითად, ჟოლიე, „ერთ წელიწადში, ერთ თვეში“. ის საკმაოდ წმინდა ადამიანია: მანქანას დააქროლებს; ფეხითაც ჩქარი სიარული უყვარს, არასოდეს ცრუობს თამაშში. საერთოდ, ჩემი რომანების გმირები საინტერესო ადამიანები არიან. ზოგიერთი კრიტიკოსი მათ სულიერ სიცარიელეს აბრალებს; მე ისინი ამოვირჩიე და სულაც არ მიმაჩნიათ ცარიელებად, არარაობებად. შემეძლო გასართობად სურათების გაღერებაში რამდენიმე კარიკატურა მომეთავსებინა. ჩემი პერსონაჟები არ არიან ცარიელები, პირიქით. მათ ძირითადად ჩემნაირი ყოფაქცევა აქვთ; ქცევა, რომელიც უმეტესობისათვის არაა მისაღები. მე ცოტად დენი სიმსუბუქე უფრო სასიამოვნოდ და ესთეტურად მიმაჩნია. სიცარიელე უინტერესო რაღაცების კეთებაა, მე ასეთი გემოვნება არა მაქვს. სიცარიელე თავისთავად საშინელი რამეა. უზრუნველობა სხვაა, ის ცხოვრების ფორმად მიმაჩნია. ამასთანავე ყოველთვის უსიტყვო გმირები მყავს: მე ბევრ დროს არ ვაძლევ მათ სალაპარაკოდ, მაგრამ ისინი სულაც არ ფიქრობენ ცოტას. არ მიყვარს მათი გარეგნობის აღწერაც: მკითხველმა თვითონ უნდა წარმოიდგინოს ისინი.



— თუ უნდა გეძებოთ თქვენს გმირებში?

— „სალამი სევდადან“ მოყოლებული სისტემატურად მამრალევენ, რომ ჩემს საკუთარ პორტრეტს ვწერ. „გიყვართ ბრამსში“ ჩემი გმირი ქალი 42 წლისაა, მე ოცდაოთხის ვიყავი და მაინც მცნობდნენ. რა ვქნა, ვარ გმირი! რა ხაოცარია შეხების წერტილები. სხვაგვარად არც შეიძლება იყოს, როცა ერთი ქალი მეორეზე ლაპარაკობს. მგონია, რომ მათთან ერთად განვიცდი ცხოვრების საკვირველებას. და კიდევ, ქალებს უყვართ თავიანთი ცხოვრების წარმოსახვა სხვის ცხოვრებასთან შედარებისას. არიან ქალები, რომლებსაც თავის თავზე ძალიან ზუსტი წარმოდგენა აქვთ. ისინი თავის თავზე გულახდილად, ცოტა უხეშად, სიამოვნებით ლაპარაკობენ და ა. შ. ჩემი გმირები კი არა: ისინი ზღვარს ჩხოლოდ სხვაზე ლაპარაკისას გადადიან.

— თქვენც ზუსტად ასე იქცევით, არა?

— მართალი რომ ვთქვა, არ შემიძლია სხვადასხვანაირი არ ვიყო, ვიზუალები იმიტომ, რასაც ვწერ. თეთრ ფურცელთან ჭიდილისას ვხედავ ჩემი შესაძლებლობების ზღვარს. მაგრამ ამ სიტუაციის გარდა მე ჩემს თავს მხოლოდ სხვასთან მიმართებაში „ვხედავ“. ამასთანავე რომანის წერა ქოსატყუილობაა. მაგალითად „დაკარგული დროის ძიებაში“, რომელიც ძალიან მიყვარს, მთლად მატყუარას დაწერილია. ყველაფერი შეცვლილი და გადასხვაფერებულია. ეს უმშვენიერესი და ყველაზე მართალი ნაშრომია სწორედ იმიტომ, რომ პრუსტმა სავსებით მარადიულ ტყუილს მიაღწია. თუ დადგება დღე, როცა წონასწორობა დამყარდება არსებულ რეალობასა და ნათქვამს შორის, — მწერალი აღარ დაწერს. მწერალი გაშმაგებული მატყუარაა, წარმოსახვის უნარის მქონე მითომანია, ვიჟია; არ არსებობს გაწონასწორებული მწერალი.

— გაქვთ ლიტერატურის განსაზღვრება?

— ჩემთვის ლიტერატურა პერსონაჟების შეთხზვის სიგიჟეა, რომლებსაც საკუთარ მშობლებზე უკეთ იცნობ და რომლებიც შენი მეგობრები არიან. ყველაფერი, რაც იმისთვისაა დაწერილი, რომ „თანამედროვე“ იყოს, გულს მიწყალებს.

— რას იტყვით წერის სახალ ტექნიკაზე...

— მე არ მჯერა ტექნიკისა, არც რომანის განახლებისა. ყველა ადამიანის სული გადაჩხრეკილია. ეს შეშის მჭრელის ამბავს ჰგავს. ხე ძალზე დიდია და ცდუნებაც, რომ ნაჯახი მასზე არ გამოსცადო.

ლიტერატურა — ბალზაკია, თავის ხალათითა და ფინჯანი ყავით, რომელიც წერდა: „და უეცრად კაცმა ქალი დაინახა და სიგიჟემდე შეუყვარდა, და ქალი ტირილით კვდებოდა მის ფერხით, უკანასკნელი ცრემლები მოგორავდნენ მის დაწვებზე.“ რაღა თქმა უნდა, პრუსტია და დოსტოევსკი, თავადი მიშკინის ეპილეფსიური კრიზის აღმწერი... ყველა მწერალს სურს პრუსტი იყოს. ამას თვალნათლად ვხედავ, მაგრამ მხოლოდ ის ერთია გენიოსი.

— თქვენ?

— არა მგონია. ნიჭი კი მაქვს, გენია — არა.

— ბევრს კითხულობთ?

— თხუთმეტი წლის რომ ვიყავი, ყველაფერს ვკითხულობდი, რაც კი იყო გამოცემული, ეს რეფლექსი იყო. და სარტრისა არ იყოს, იყო სიტყვები, სიტყვები, სიტყვები. ოთხი წელი გრენობლის ახლოს სოფლურ შვეიცარულ სახლში გავატარე. ავად ვიყავი, გადაღლილი, ანემიური. სწორედ მაშინ ბევრი წავიკითხე: ნიცშე, ჟიდი, სარტრი, დოსტოევსკი, საერთოდ ყველა რუსი, უამრავი პო-



ემა, შექსპირი, ბენჟამენ კონსტანი. ვერკორში მაკის ეპოქა იყო. ლიტერატურული თვალსაზრისით ჩემთვის უმთავრესი პრუსტიისა და სარტრის აღმოჩენა იყო. შემდეგ იყო დოსტოევსკი, სტენდალი, უტყუარი ფოლკნერი. ამ ხუფროში მე საოცრად კლასიკური ვარ. თანამედროვე მწერალთა შორის ბუერის ნიჭს ვცემ თავვანს: მიყვარს სიმონა დე ბოუვარი, განსაკუთრებით „სტუმარი“, მარგრიტ დურას ნაშრომი, ნატალი საროტის პირველი წიგნები, ფრანსუაზა მალე-ჟორის ზოგიერთი რამ, ივ ნავარი, მაღრო. მაგრამ მათ შორის არის ერთადერთი, ვინც არ მომატყუა — სარტრი. მისი პერსონაჟები ისეთები არიან, როგორებიც არიან. ისინი თავიანთ ძეგლს თავისი ცხოვრებით იქმნიან. შეიძლება ძეგლი ქვიშისაა, მაგრამ ამას არა აქვს დიდი მნიშვნელობა. მთავარი მისი შექმნაა.

— რა გაოცებთ მწერალში უპირველესად?

— ხმა. ზოგიერთ მწერალს აქვს ხმა, რომელიც პირველი სტრიქონებიდანვე გესმის ისე, თითქოს ვინმეს ესაუბრები. ამას ჩემთვის დიდი მნიშვნელობა აქვს: ხმას, ან ტონს, როგორც გენებოთ.

— რას კითხულობთ ხოლმე უფრო ხშირად?

— ხშირად ვკითხულობ პრუსტს. მახსენდება, ინდოეთში ყოფნისას ვკითხულობდი და ჩემს გონებაში ცოტა აირია განგის წყალი და ქალბატონ ვერდერენის სალონი. კურიოზულია, არა? ხშირად ვკითხულობ შექსპირს და რასინს, რომელიც როგორც ყველა მწერალი, ლიცეუმში მოსაბეზრებლად მეჩვენებოდა. როგორც კი შემეყვარდა ფრანგული ენა, რასინმა მომაჯადოვა: უამრავი ლექსი ვიცოდი ზეპირად. შემეძლია აპოლინერისა და ელუარის კილომეტრები წავიკითხოთ ზეპირად.

— „სალამი სევდავ“ თუ გადავიკითხავთ?

— არა, არასდროს. ო, კი გადავფურცლე, კარგა ხნის წინ. დავინახე გულუბრყვილობა და ეშმაკობა ერთდროულად, რაც ადრე არ შემინიშნავს.

— როდის, რატომ და როგორ ამოინჩიეთ თეატრი?

— პირველად თეატრალური პიესის დაწერის აზრი 1954 წელს დამებადა. ჩვენ, — მე, ფლორენ მაღრო, და ბერნარ ფრანკი, — წავედით ბუგეიში, მონტაპლანში, ფრანსუა მიშელთან. ბნელი, ფართო, მრავალსართულიანი სახლი განცალკევებით, მაღლობზე იდგა. ბუნკერს ჰგავდა. ერთ საღამოს ბერნარ ფრანკი ახალგაზრდა, ტრაბახა კაცის ამბავს მოგვიყვა, რომელიც რაღაც სიტუაციაში ჩავარდნილი, მშიშარა, მოტრფილედ მიჯნურად გადაიქცა. ამან დამაინტერესა. ამ პიესის პირველი ვერსია მხოლოდ 1957-ში დაწერე. ის-ის იყო დავამთავრე „ერთ წელიწადში, ერთ თვეში“, ამხანაგებთან ერთად მილი-ლაფორეს მახლობლად წისქვილში ვიყავი. ციოდა, გრძელი, ჩემთვის ცოტა მოსაწყენი საღამოები იყო. წინა საუკუნის კომპის პატრონივით ვცხოვრობდი: თავის გასართობად ჩამწვედულების მხიარულ ამბავს ვწერდი. ჯერ არ მეგონა, თუ პიესა გამოვიდოდა; არც ის ვიცოდი, სათაური თუ ექნებოდა... ცოტა ხნის შემდეგ ვაკ ბრენერმა მთხოვა ტექსტი თავისი „სეზონის რვეულებისთვის“. მე მას კომედიის ესკიზი შეუთავაზე „ციხესიმაგრე შეუდეთში“. ანდრე ბარსაკმა წაიკითხა, იგი ძალიან სიტყვაუხვი არ იყო, მაგრამ მითხრა, რომ ნაწარმოების ტონი მოეწონა. და ხელახლა გადაამუშავება მთხოვა. პიესა ძალიან დიდი არ იყო, შეკვრა აკლდა, ჩანაფიქრი მთლად არ იყო გამოკვეთილი. იუმორი რამპას არ სცილდებოდა... თეატრისთვის კვანძი უნდა შეკრა, მერე უნდა გახსნა. ბარსაკი ძალიან დამეხმარა, ერთი თვის განმავლობაში, თითქმის ყოველ სამ დღეში ერთხელ ვხვდებოდით, სანამ პიესამ დასრულებული სახე არ მიიღო... ამგვარად, ჩემი



დებიუტი თეატრში შემთხვევითობების სერიას უნდა უმაღლოდეს. მოტივი, რომელმაც მიბიძგა ამ გზას გავყოლოდი, იქნებ ნაკლებ მისაღები, მაგრამ ძალიან ძლიერი იყო. რეპეტიციები სიგიჟემდე მართობდა. ხარ პარიზში, დახეტილობ თეატრში; ეს ყველაფერი უზარმაზარი ოჯახის შეკრებასავითაა. ასევე თეატრის სუნი, ცარიელი თეატრის სუნი, სადაც ყველა მუშაობას იწყებს, ძალიან გითრევს, განსაკუთრებით თავიდან, როცა გესმის იმის ჟღერა, რაც დაწერილია — ეს საოცრებად მიმაჩნია, რადგან ერთდროულად ისიც არის რაც დაწერილია. მთლად ის არის. თითქოს ვერც კი პოულობ მსგავსებას. უეცრად ყველაფერი მოძრაობას იწყებს, მსახიობი ამბობს ფრაზას ისე, როგორც შენ გინდა, შენს პერსონაჟებს უეცრად აქვთ სახე. მიყვარს კულისები, რეპეტიციების დრო, ყველა თამაში, რასაც ის გულისხმობს; აქტიორების გადაჭარბებული სერიოზულობა, როცა გეკითხებიან: „კარის გაღებისას რას ვფიქრობო? სიმართლის პოვნის სხვა ხერხები, რომლებიც მათ აქვთ და რაზეც წერისას არც კი ვიფიქრია.“

პიესის დადგმა თამაშივითაა. მიყვარს რეპეტიციების ატმოსფერო, ხალხთან ერთიერთობა. მსახიობთა, შემანქანეთა, დამდგმელი რეჟისორის ალიაქოთი... თვენახევარს ატარებ ათეულობით ადამიანთან, რომლებსაც შემდეგ არ შეხვდები, რადგან პრემიერის მეორე დღესვე დატოვებ თეატრს და იქ აღარ დაბრუნდები. პრემიერის დღე კი ნამდვილად ექსტრაორდინალურია! ყველა შიშით კბილს კბილზე აცემინებს; თან კომიკური, თან დაძაბული გარემოა... ზღაპრულია გენერალური რეპეტიციების საღამოთა მელოდრამატულობა. აცრემლებული სუფლიორი ქალი გეხვევა! უეცრად ამ აურზაურში ყველასათვის მნიშვნელობა უნიჭება მოქმედების რეალიზებას, ყველას თავბრუ ეხვევა. მე ყოველთვის კრძალვით ვუყურებ მსახიობს, როცა მას მკვდარივით ფერმკრთალს ვხედავ: უპირველესად მინდა, რომ სპექტაკლმა კარგად ჩაიაროს, მსახიობებმა კარგად ითამაშონ არა ალტრუიზმის გამო, არამედ იმიტომ, რომ მათ ჩემზე უფრო გადარეულებს ვხედავ. როცა პიესა არც თუ ისე კარგად მიდის, როგორც მაგალითად „ხანდახან ვიოლინოები“, გულწრფელად ვწუხვარ, ისეთი გრძნობა მეუფლება, რომ მათ დავაკარგვინე დრო, ტალახტი...

— თუ წერთ საგანგებოდ რომელიმე მსახიობისთვის?

— დიახ, ერთხელ მარი ბელისთვის დავწერე. კარგად ვიცოდი მისი ქცევა, ლაპარაკის მანერა, ლომის იერი და ძალიან გამართო იმან, რომ მას ის რეპლიკები ვათქმევინე, რომლებსაც ცხოვრებაშიც იტყოდა.

— თქვენც სხვა დრამატურგებზე ვიცოფებთ კრიტიკა?

— ჩემს ბევრ თანამოძმეთაგან განსხვავებით, თეატრალური კრიტიკა არ მაღელვებს. თავიდანვე, პიესის დადგმის აქტი არის უნებლიე ბანქო, მე კი ისეთი ვინმე ვარ, ვინც ადვილად აგებს. უფრო მეტიც, კრიტიკოსის ხელობა, — თუ ის გულწრფელია, და თითქმის ყველა კრიტიკოსი გულწრფელია, — ნამდვილად შემაძრწუნებელია, და კიდევ — ეს ხომ თამაშის ნაწილია; მე საშუალოდ ორიდან ერთი წარმატება მაქვს და ჩემი მომავალი პიესის აბსოლუტური უიღბლობა უფრო გამაღიზიანებლად მეჩვენება, ვიდრე სხვა რამ.

— რა განსხვავებაა თქვენს პიესებსა და რომანებს შორის?

— ხანდახან შენიშნავდნენ, რომ არის ხარვეზი ჩემს რომანებსა და პიესებს შორის, ეს უკანასკნელნი ძალზე ტრადიციულნი არიან. ეს ჩემდაუნებურადაა, მიყვარს ეს მოდიდან გასული სფერო... დიახ, თეატრი უნებლიეთ მოდიდან გავიდა და ყველა თეორია ახალ თეატრზე უსაფუძვლოდ მეჩვენება. თეატრი აბსოლუტურად ბურჟუაზიული ხელოვნებაა; თეატრში ადვილი სულ მცირე 20 ფრან-



კი ღირს. და წითელი, შავი, ოქრო, დეკორაციები, მიზანსცენა, ყველაფერი პატარა მარიონეტების ფაბრიკასავით მუშაობს. საზარელ სნობიზმად მიმაჩნია კულტურის სახლები, საცოდავ, ქანცდალულ, სამუშაოდან გამოსულ ადამიანებს ბრეხტისა და პირანდელოს ყურებას რომ აიძულებენ იმ საბაბით, რომ მხოლოდ 5 ფრანკს ახდევინებენ ადგილში. სამუშაოს, მეტროს, მატარებლის შემდეგ მათ ატენიან პიესებს, რათა ფიქრი აღუძრან, „აღზარდონ“. გეგმობენ ხალხის აღზრდის რა უფლება აქვთ? როცა თვითონ არ არიან აღზრდელნი როგორც კი საქმე გალატაკებულ და დაღლილ ხალხს შეეხება, იგი მათია; მაგრამ ვინ არიან ისინი, ხალხს რომ თავისკენ ბადით ექაჩებიან? ეს უხამსობაა! თუ გინდა ისინი გაართო და დაასვენო, ფეილო უნდა აჩვენო, როგორც მდიდარ ბურჟუებს, 60 ფრანკს რომ იხდიან ბარილეს, გრედის, ან ჩემი პიესების სანახავად. ხელოვნების განვითარების ერთადერთი საშუალება იმის დაშვებაა, რომ თითოეულმა ჯერ თავისთვის შექმნას ის, რასაც გრძნობს: თითოეული ხალხისთვის უნდა მისდევდეს თავის მისწრაფებას, მაგრამ ეს ყოველთვის ოქროს წესად არ უნდა მიიღოს. მე მგონი, თეატრი უპირველესად გართობაა. თუ თეატრი პოლიტიკურია, რომელიმე პარტიის მხარდამჭერი, ის მაინც არსებითად გასართობია; მით უფრო, რომ პოლიტიკური ზემოქმედება, რომელიც მსახიობს და თეატრს შეიძლება ჰქონდეს, ძალზე სათუოდ მეჩვენება. და ის მანერა, რომლითაც კულტურის სახლები „ხალხს“ ესაუბრებიან, შეურაცხყოფს. არ არსებობს ხალხი, არის მრავალი ადამიანი, რომელსაც ასაკი, ჯანმრთელობა, სექსუალობა, სიცოცხლისუნარიანობა აერთიანებს თეატრში მომუშავე ხალხთან; ისინი მეტად თუ ნაკლებად „გალატაკებულნი“ არიან, სულ ესაა და ეს. მაგრამ არ არსებობს „ხალხი“. შეიძლება შესანიშნავად დადგან ბრეხტი, პირანდელი ან სარტრი, მაგრამ არის აგრეთვე ლაბიში, ფეილო, ანუი. პირადად მე მიმაჩნია, რომ არ ვქმნი ბულვარულ თეატრს. მაგალითად, ჩემს პიესებში არაა დიდი ეფექტები, მაშინაც კი, როცა ბულვარებზე ვთამაშობ; მე არ ვწერ ბულვარულ პიესებს, დაჟინებით ვიმეორებ: თეატრი ბერძნებიდან მოყოლებული ადამიანების გასართობადაა მოგონილი.

— თქვენ თეატრის რეჟისორობაც სცადეთ...

— ცნობისმოყვარეობის გამო, და ცოტათი პროფესიონალების გამოსაწვევად სცენას შევები: „გამარჯობა, იმპერი და პასი“, დროზე შევატყვე, რომ ამ ხელობისადმი არავითარი მიდრეკილება არ გამაჩნდა. ეს კატასტროფა იყო. უნდა იცოდე ხელობა და განსაკუთრებით ავტორიტეტი უნდა გქონდეს, უნდა იცოდე შუქის გამოყენება, ხალხის ტარება. ჩემი პირადი სიამოვნებისთვის მხოლოდ რეგობრები მივიღე — ტრენტინიანი, ფულიეტ გრეკო, მიშელ დე რე — ყველა მეუბნებოდა: „გეყო მუშაობა, წავიდეთ თითო ჭიქა დავლიოთო“ და მივდიოდით. ჩემი ნამდვილი როლი იმით ისახლდებოდა, რომ რეპუტაციების განმავლობაში მენიშვნებს ვიწერდი და დაბდგმულ რეჟისორს ვაჩვენებდი ხოლმე.

— კინო?

— კინოსთანაც მქონდა საქმე. მომბეზრდა ყურება. ჯერ „გიგვართ ბრამსი“ გადაიღეს. ჩემი წიგნები ეკრანზე აბდაუბდა გამოდის; ყველაზე შემადრწუნებლად „ცოტაოდენი ღიმილი“ გაიგეს, მაშინ გადავწყვიტე კაპიტულაცია. „შამადის“ ტექსტის ადაპტაციაზე უნდა მემუშავა. ძმებს ჰაკიმებს სურდათ ფილმის გადაღება ბარდოსა და ბელმონდოს მონაწილეობით. ვიცოდი, ბარდო მოწადინებული იყო როლი მიეღო, მაგრამ ის არ შეესაბამებოდა ჩემს პერსონაჟს, და ამასთან კიდევ თუ ძმები ჰაკიმები იყიდდნენ ფილმის უფლებას, მაშინ ფილმს კონტროლს ვეღარ გავუწევდი, ამიტომ აღენ კავალიესთან მუშაობა ვარჩიე. მას კარ-



ჯად არ ვიცნობდი, მაგრამ წიგნსა და პერსონაჟებზე ერთნაირი აზრები გვქონდა. მისი ფილმები ნანახი მქონდა და მომწონდა. ამასთანავე ძალიან თავშესაქცევია უკვე ცოტა მივიწყებული პერსონაჟების ხელახლა დამუშავება და აღაპარაკება. ფილმი თითქმის სიტყვასიტყვით მიჰყვებოდა წიგნს. ალენმა კარგად გაართვა თავი, კლოდ შაბროლთან ერთად გავაკეთე „ლანდრე“. ძალიან მიყვარს შაბროლი. მის ერთ-ერთ ფილმზე კარგი კრიტიკული სტატია დაეწერე იმ დროს, როცა „ექსპრესში“ კინოს შესახებ ვწერდი: ბორეგარდმა მოხოვა მასთან ერთად ფილმი გამეკეთებინა; რვა დღეში, — ძალიან ჩქარა გავაკეთეთ დიალოგები. ვიფურად ვერთობოდით! მაგრამ ჩემთვის კინო ძალიან მეორეხარისხოვანია. მოწოდებით რომანისტი ვარ, გასართობად კი თეატრის მწერალი.

— თეატრში რა არის გასართობი?

— თეატრი სიგიჟესავითაა. წერ პიესას, მუშაობ თვეების განმავლობაში; რეჟისორები და ერთ საღამოს, ორ საათში არის ჭეშმარიტებისთვის ბრძოლა. ზიხარ ბენუარის ლოჟაში, ავანსცენაზე, რამდენიმე მეგობართან ერთად, როგორც გულშემატკივრებით გარშემორტყმული მოკრივე, მეგობრები მხარში გიდგანან, მაგრამ უძლურნი არიან შენი ნაშრომის სიკვდილსა თუ გამარჯვებაში. შემდეგ ეს აღარაა მიმზიდველი. პიესა თამაშია, რომლის ბატონ-პატრონიც ძალიან მალე აღარ ხარ. ის ხელიდან გისხლტება, როგორც წიგნის პერსონაჟები. თეატრალური პიესის წერა მეტისმეტად თავშესაქცევია. ჩქარა იწერება. გონების ვარჯიშია, პინგ-პონგის პარტია. თავში სასეირო აზრი მოგდის, შემთხვევითი დრამატული ზამბარა, მას ხელს ჭიდებ და ფიქრობ პერსონაჟებზე; შემდეგ კი სწრაფად წერ. ტექსტის მოდიფიკაციას მხოლოდ რეჟისორების დროს ვახდენ, ეს აქტიორებზეა დამოკიდებული. როცა მსახიობი ცუდად ამბობს ფრაზას, ის უნდა შეუცვალო; ზოგჯერ რეპლიკის დამატება ხდება საჭირო, რათა მსახიობს კულისებში ტანსაცმლის გამოცვლის დრო ჰქონდეს, ტექნიკური მიზეზია.

— თუ განსხვავება თეატრალური პიესისა და რომანის წერას შორის?

— უზარმაზარი განსხვავებაა. თეატრი ბევრად უფრო ადვილია, რადგან ის სავსებით ექსტრავერტულია, რომანში კი ავტორი შეზღუდულია; თეატრში დრო და დრო რაღაც უნდა ახსნა, დაავიროგვინო... რომანში შეიძლება მინიმუმით დაკმაყოფილდე. თეატრში ბევრად უფრო ნაკლები თავისუფლებაა, რადგან დროსა და სივრცეში ხარ შეზღუდული; პერსონაჟები ერთმანეთს უნდა ელაპარაკებოდნენ; მაშინ, როცა რომანში განუსაზღვრელი თავისუფლება გაქვს, და რამდენ გვერდზედაც გსურს, იმდენზე აღწერს მდინარეს, ან ზარის დილაკს. პარადოქსულია, მაგრამ თეატრისთვის წერა უფრო ადვილია, რადგან არის შეზღუდვები — რელსები. გამოჭედილი ხარ, იცი საით უნდა წახვიდე; ეს აადვილებს დრამატული ავტორის სამუშაოს, რადგან პიესაში მთავარი ლოგიკური განვითარებაა. მუდმივი დრამატული წინსვლით დასასრულისაკენ მიდიხარ, არის სავალდებულო გზა, რომელსაც უნდა გაჰყვე. ეს იმ თამაშივითაა, კედელს ბურთს რომ ესერიან და, სულ ერთია, — მარჯვნივ ისერიან, თუ მარცხნივ, — ბურთი მაინც ყოველთვის ცენტრში ბრუნდება. რომანში ბურთი უმიზნოდ თუ ისროლე, ფანჯარაში გავარდება და აღარასოდეს დაბრუნდება. რომანის თავისუფლება ძალიან მაწუხებს. რა თქმა უნდა, როცა წერას ეიწყებ, მაქვს თემა, მთავარი იდეა, მაგრამ არა მაქვს მყარი გეგმა. ერთი დეტალიდან მეორისაკენ მივდივარ და ყოველთვის ერთსა და იმავე თემას ვუბრუნდები. თეატრში ეს შეუძლებელია. რომანში მაქსიმუმ ორი ან სამი პერსონაჟი მჭირდება, მათში ვიძირები. ვქოშინებ, რადგან ვერ გამოვხატავ იმას, რაც მსურს, თავს ვიტყუებ, ვიბნევი. პიესა კი ძალიან



კარგად, ჩქარა მიდის, ვუსტვენ; ეს ღურჯლის სამუშაოა: აწყობ ფიცრებს და კოჭებს, ჩემი სურვილის მიხედვით შემომყავს და გამყავს პერსონაჟები.

— ესე იგი, თქვენ რომანისტი ბრძანდებით და პიესებს გასართობად წერთ.

— თეატრი მართობს, თაყვანს ეცემ რეპეტიციებს, თეატრის ატმოსფეროს, მსახიობებს, მიყვარს მათთან საუბარი. ლიტერატურა მიყვარს, წერიხას მარტო ყოფნა არის ლიტერატურისადმი ჩემი სიყვარულის საძირკველი.

— თქვენ ბრძანეთ, არ შემიძლია ვინმეს განსჯაო...

— ადამიანი მაინც ნერვებისგან, ძვლებისგან, სისხლისგანაა შექმნილი. ეს ექსტრაორდინალური რამეა. მაშინაც კი, თუ ის რამე საძაგლობას ჩადის, არის გამართლება — სისუსტე, რომელმაც მას ხელი შეუშალა სხვაგვარად ემოქმედა: მე მართლაც არ მაქვს მისთვის პირველი ქვის სროლის უფლება, არ მაქვს უფლება მისი დადანაშაულებისა. ძალიან მიყვარს ადამიანები და თავს ვერ დავაძალებ, მათ რამე ვაწყენინო. მათი განსჯა კი უკვე მათი წყენინებაა.

— ვინც გიყვართ, იმათაც არ განსჯით?

— სიყვარული მარტო „კარგად სიყვარული“ არაა, ის უპირველეს ყოვლისა ვაგებაა, ვაგება კი მეტია, ვიდრე სიყვარული... ნუ ვილაპარაკებთ ამაზე.

— რა არის ცხოვრება, ადამიანის ცხოვრება?

— რა გინდათ ამით თქვათ — ცხოვრება, ადამიანის ცხოვრება? სულ ერთი და იგივე ლაპარაკია... ცხოვრება მგონი ინსტინქტების, სურვილის, საჭიროების მარადიულობაა. გამოუსწორებელი რამაა. ადამიანებს სიმშვიდე, უსაფრთხოება, საჭიროებათ, სითბოში ყოფნა, სხვებისაგან გაღებული სიყვარული. და მე ამაში ყოველდღე ვრწმუნდები, ყოველდღე ვხედავ, რომ ადამიანებს სჭირდებათ დასაწოლი ადგილი, ვიღაც, ვინც ხმას გასცემს და ვისაც უყვარს; ადამიანებს არ სურთ შეიცნონ მარტოობა, შიში, არ უნდათ სიმწრის ოფლით შუბლდანამულთ ეღვიძებოდეთ. ადამიანებს ეშინიათ ცხოვრების, ეშინიათ ყველაფრის დაკარგვის, მართლა ეშინიათ. ყველა ადამის შვილშია რაღაც ჩინებული, შეუძლებელია მთლად გონჯი დაიბადო, მაგრამ ზოგჯერ ამას ვერ შენიშნავენ ხოლმე იმიტომ, რომ არც არავინ ეძებს, და ცხოვრება სულელურად მთავრდება: ციხეში ჯდობით.

ამასთანავე ყველა ადამიანს აქვს სამმაგი სახე, რაც შემაშფოთებელია. მე განუხრელად მიზიდავს ყველაფერი, რაც ამაღელვებელია, ყველაფერი, რაც ცხოვრებას წარმართავს. როგორც კი ვინმე შეიძლება დაეცეს, ან რაიმე ივნოს, ჩემი იმწამსვე მისდამი ინტერესით ვიმსჯევალები.

— თქვენს თავს სხვებში ხომ არ ეძებთ?

— მე არ მჭირდება სარკე. როცა ვინმეს შევცქერო, მის დასანახად ვუყურებ და არა მის თვალებში ჩემი ანარეკლის დასანახად.

— ბედნიერებზე რას იტყვით?

— გაზეთებს თუ დავუჯერებთ. ბედნიერებას, რომელსაც ადამიანები ეძებენ, საფუძვლად უდევს ტელევიზია, დასვენების დღეები და ავტოშემთხვევები. ეს ცოტა ზედაპირული მსჯელობაა, რადგან ადამიანები უფრო რაფინირებულნი, ნგრძნობიარენი და მარტოსულნი არიან, ვიდრე გაზეთებს სურთ ამის წარმოჩენა. სარეცხი მანქანა არასოდეს გააბედნიერებს ქალს. არც „ჟურ დე ფრანსში“ დაბეჭდილი, ბალის შემდეგ გადაღებული ფოტო.

— თქვენც გგონიათ, რომ ადამიანები დღეს ხევდიანად ცხოვრობენ?

— დღეს ყველაშია საშინელი შინაგანი სევდა. კორესპონდენციებში, რომლებიც ჩემი წიგნების გამოსვლის შემდეგ მომდის ხოლმე, ყოველთვის მწერენ:



„მეც განვიცადე ეს, ვნახე, ვიცი, ვიტანჯები და ა. შ.“ დღესაც აქვთ სევდა, ისევე როგორც აქვთ კბილები, თმები, აბა სხვაგვარად როგორ იქნებიან? ადამიანებს უგემური ცხოვრება აქვთ, ისინი ცხოვრებით ისჯებიან. მე მართლაც კრიციოლიგებულ ვარ, რადგან იმას ვაკეთებ, რაც მომწონს. ვცხოვრობ მარტო, თუ ამის სურვილი მაქვს. მაგრამ უმრავლესობის ცხოვრება შემადრწუნებელია. ცხოვრება მათ აღრჩობს, აიძულებს დილიდან საღამომდე იმუშაონ; მათ უკეთესი ტელევიზორი, ისინი არასოდეს არ არიან მარტო, ყოველთვის სხვებთან ერთად შემდეგ მოძავლებისგან, აქვთ მახე დაკეპული. მათ არა აქვთ წუთი ისეთი, რასაც „კარგ დროს“ უწოდებენ, კარგი, ძველი, განვლილი სასიამოვნო წამები. უმრავლესობა არ იცნობს ცხოვრებას, დროს, მხოლოდ ბრმა და გაგიჟებულ ცირკს იცნობენ.

— გულის ხილრმეში ძალიან გყვარებით (ადამიანები).

— მართალია, ძალიან მიყვარს ადამიანები. ვგრძნობ, რომ მათი მოქმედება, თუ ბუნება მე მეხება. მე მეხება, როცა ვინმე გაუთლელად იქცევა და ისიც, თუ ვინმე კარგი და ინტელიგენტია. ეს ძალიან მნიშვნელოვნად მეჩვენება. ასევე, თუ ვიცი, რომ ესა და ეს პიროვნება ძალიან ხელგაშლილია, მე კი სიძუნწეზე წავასწარი, მის ხელგაშლილობას ველარ დავიჯერებ. ვენდობი ადამიანებს, ყველაზე საძაგლის საძაგლობასაც ვივიწყებ, თუ ერთი კარგი თვისება მაინც აღმოაჩნდება. მაგრამ არ ვიცი, მე დავბერდი თუ ისინი? — მეჩვენება, რომ უფრო ნაკლებ მხიარულნი არიან და ამავე დროს ნაკლებ დაშინებულნი. მახსოვს, როცა მე და ჩემი ძმა ერთად ვცხოვრობდით, ვამბობდით ხოლმე: „ო, ვიცინოთ, ვაცინოთ და ვაკეთოთ სისულელეები; ატომური ბომბი ძალე თავში დაგვეცემა!“ ახლა ადამიანებს აღარც სიკვდილის სჯერათ და აღარც სიცოცხლის, სჯერათ მხოლოდ მევახშეობის. მართალნიც არიან, მაგრამ ეს ნაკლებად რომინტიულია და არ აღნიშნავს სურვილს აუჩქარდე.

— როგორი ადამიანები გიყვართ?

— შეიძლება ძალიან მარტივი მოგეჩვენოთ, მაგრამ ბუნებრივი ადამიანები მიყვარს, რომლებიც არ ცდილობენ თავი სხვად მოგაჩვენონ. ამას თან უნდა ეროვოდეს ინტელექტი, შინაგანი ბედნიერებისა და სიკეთის უტყუარი ფორმა. ძალიან, ძალიან მიყვარს თავაზიანი ადამიანები.

ასევე პატივს ვცემ ინვალიდის სავარძლებსა და საწოლებზე მიჯაჭვულ, წმინდ, მარტოსულ, არსებობით კმაყოფილ ადამიანებს. მიყვარს ბურჟუების თავაზიანობა. ვაფასებ იმ ადამიანს, ვინც სხვებს ეხმარება, თუნდაც ეს „სხვები“ მას დასცინოდნენ.

— როგორი ხალხი გძულთ?

— მძულს შეუწყნარებელი, უღარდელი ადამიანები; ისინი, ვისაც ჰგონიათ, რომ ჭეშმარიტებას ფლობენ, ვინც მყვირალა და კმაყოფილია. ტუტუცი ადამიანები თავს მამბებენ. ვერ ვიტან გონებაშეზღუდულობასთან შერეულ თვითდაჯერების ამ ფორმას. ეს მანადგურებს. არც ცრუ წამებულები მიყვარს, არც ცრუ ინტელექტუალები, არც ყბედები. მაცოფებს ფულისადმი მონობა, პირმოთნეობა, შაბლონური აზროვნება, ბურჟუაზიის კეთილგონიერება; კეთილგონიერება შეუცვლელია, მაგრამ საქვეყნოდ გამოფენილი კეთილგონიერება მზარავს.

— არის ადამიანი, ვინც თქვენ გაშინებთ?

— კი, ვინც ცხოვრებას უშიშრად შესცქერის. მშურს თავდაჯერებული ადამიანებისა. მე არასდროს მაქვს ჩემი თავის იმედი.

— მდიდარი ადამიანები თუ გიყვართ?



— მდიდრები საერთოდ თავს მამულებს, რადგან სიმდიდრეს მათ ფულის შენახვით მიაღწიეს, ეს კი იმას გულისხმობს, რომ დღეში ათჯერ მაინც უთხრეს „არა“ სხვას. ისიც საგულისხმოა, რომ მდიდარი ადამიანები ყოველთვის ლაპარაკობენ ფულზე. მათ აქვთ რაღაც, რაც სხვებისგან განასხვავებთ. ისინი სამშვიდობოს არიან გასულნი — სამშვიდობოს გასვლა — უსაფრთხოდ ყოფნა, სხვადასხვა რეფლექსებს წარმოშობს. შეიძლება ისინი სხვებისთვის ინტელიგენტები, ნიჭიერები და მგრძობიარენი იყვნენ. ისინი ცალკე-ცალკე წარმოადგენენ. ბოლოს და ბოლოს ჩემმა მეგობრებმა, რომლებიც ძალიან მიყვარს, შესძლეს ბუნებრივი გულახდილობის შენარჩუნება, ისინი არ არიან მდიდრები და არასოდეს ლაპარაკობენ ფულზე. მეგობრები... ეს სიტყვა ჩემთვის ძვირფასია. ესაა ადამიანები, რომლებიც მიყვარს, მათ ჩემი იმედი აქვთ. მე მათთან უკეთ ვგრძნობ თავს, მათ ვუყვარვარ მე და არა ჩემი მდგომარეობა ან სახელი, ისინი ცოტანი არიან.

— ვინ არიან ისინი?

— ვისთანაც ვცხოვრობ, ვინც გარს მახვევია, ვისაც ვესაუბრები, ვისთანაც წრავალრიცხოვანი, ხანგრძლივი და მუდმივი ურთიერთობები მაქვს; ვლაპარაკობ, ვლაპარაკობ ყველაფერზე, ვერასოდეს მოვრჩებით ლაპარაკს.

— ნუთუ სულ ერთსა და იმავე წრეში ტრიალებთ? ნუთუ არასოდეს შეგხვედრიათ მიმზიდველი სანტექნიკოსი, ან მომხიბლავი ეგერი?

— კი, როგორ არა!

— მაგრამ თქვენ მათზე არ საუბრობთ, არც თქვენს რომანებში ჩანან ისინი. ო, თუმცა თქვენ თქვით, რომ არ შეგიძლიათ იმაზე ლაპარაკი, რაც არ იცით. „საგანის კლანი“ — რა არის ეს?

— ლაპარაკობენ ჩემს „კლანზე“, მაგრამ მე არ მაქვს კლანი, არც არასოდეს მქონია. მხოლოდ მეგობრები მყავს. ზოგს ოცი წელია ვიცნობ, ზოგს უფრო მეტი ხანია. ოხ, არა, ეს სულაც არაა სასახლის ამაღლა... ისინი ყოველთვის კარგად არ მექცევიან: „ჰეი, შენ, კიდევ წერ რომანუკას“? — აი, ასეთ რამეებს მე უბნებიათ. ხანდახან მიფიქრია, უმჯობესია მლიქვნელების ამაღლა მყავდეს-მეთქი, ყვავილებით მაინც ამავესებდნენ... ეს მე შემცვლიდა.

— რა თვისებებს მოითხოვთ მათგან?

— ორ ძირითად თვისებას ვითხოვ ჩემი მეგობრებისაგან. ეს არის იუმორის გრძნობა და უანგარობა. მეგობრობისათვის აუცილებელია ეს ორი დიდი თვისება, იუმორი ნიშნავს ჭკუაშახვილობასა და უპრეტენზიობას. უანგარობა კი ხელგამწილობა და გულკეთილობაა. ადრე ჩემს გარშემომყოფთ უფრო ადვილად ვტკენდი გულს, ახლა ყურადღებიანი გაუხდი მათ მიმართ, ვისაც ვუყვარვარ; ვერ ვიტყვი თითქოს გულს აღარავის ვტკენდე, ეს კია, ბევრს ვფიქრობ მათზე, ისინიც ყოველთვის მეხმარებიან, მაგალითად, სიყვარულისგან მიფარავენ. დიახ, როცა ძალიან დიდხანს გიყვარს ერთი და იგივე კაცი, მისგან განთავისუფლების სურვილი ვიჩნდება...

— მართალია, რასაც ხალხი ლაპარაკობს, რომ თქვენი მეგობრები ძალიან სარგებლობენ თქვენით?

— ყველა ამბობს, რომ მე „დატენილი“ ვარ ფულით. ეს ტყუილია და იცით, ჩემთვის სულ ერთია, რას ამბობენ ჩემზე. ბუნებით ზარმაცი ვარ, სხვისი სიზარმაცე კი მაღიზიანებს. იცით, ზედმეტი ბანკის ბილეთი წმინდა მარტინის მოსახამივითაა. კარგი ისაა, რაც ორად იყოფა; ფული იმისთვისაა, რომ დახარჯო, რომ სხვას მისცე. ვერ ვიტან მორალურ „დატუმბვას“. ძნელია სხვებთან ლაპარაკი და



მოსმენა, თითქოს ხსნის არმია ხარ. არის დღეები, როცა ამით გულანვილებული ვარ, მაგრამ არის ისეთი დღეებიც, როცა სხვისი მოსმენა და დარდის გაზიარება მბეზრდება. მართალია, გზააბნეული ხალხი მიყვარს, ვინც ვერ გარკვეულა საკუთარ თავში; მგონია, რომ მათ დასახმარებლად მზად ვარ. მოსმენა მათთვის უმთავრესი დახმარებაა. მაგრამ ყოველთვის პასუხისმგებელი ვარ იმ შეგობრებზე, რომლებიც ჩემს მხარზე თავჩამოდებულნი სლუკუნებენ. ცუდები არ არიან, ჩემში შეგობრები და შორეული ნაცნობებიც მოდიან, დასხდებიან, ჰყვებიან, უბედურების ამბავს. ერთი ფსიქიატრი შეგობარი მეუბნება: „კიდევ კარგი, კაბინეტი რომ არ გაქვს, თორემ პაციენტებს წამართმევდიო. აღმაფრთოვანებს, თუ სიცოცხლისმოყვარე, მხნე და მხიარულ ადამიანს შევხვდები; ვიხიბლები, როცა წაცინებენ. სწორედ ამიტომ მიყვარს ბერნარ ფრანკი და სხვებიც... ის გაწონასწორებულიც, კარგიც, საიმედოც და ამავე დროს, სასაცილო ადამიანია... მან იცის, ადამიანებს შეიძლება იმითაც ავნო, რომ სურვილი გაქვს, გაუგო ან არ გაუგო მათ. ჩემი შეგობრები, ის ადამიანები, რომლებიც მიყვარს, მგრძნობიარენი და დიდსულოვანნი არიან. უანგარო ქმედებისკენ მიდრეკილი ადამიანები, ისეთი ქმედებისკენ, რომელიც მათ არც მატერიალურ და არც მორალურ საზღაურს არ მოუტანს, ჩემს თვალში ipso facto ჩემი ღვიძლი და-ძმანი ხდება.“

— ასეთი ხალხი რომ მრავლადაა?

— ყველგან მყავს ასეთი ღვიძლი და-ძმები. ყველამ იცის, რომ მიყვარს ლაპარაკი ღამისმთევლებზე, მოქეიფებზე, მატყუარებზე, მსმელებზე. დიახ, მიყვარს მათზე ლაპარაკი, რადგან მხოლოდ მათ აქვთ ფანტაზია. ბევრ საოცარ ღამეულ ჩიტს ვიცნობ. ვფიქრობ მანუშზე, რა იღუმალი და მიმზიდველი პიროვნებაა.

— მოკლედ თქვენთვის არ არსებობენ „ცუდი“ ადამიანები; არც თქვენს წიგნებში არიან ისინი?

— ჩემს წიგნებში არ არიან კარგები და ცუდები; იქ მხოლოდ კარგები არიან. ჩემთვის ყველა ადამის შვილი სათუთი და სუსტია.

და ღამის ხალხი, ღამისმთევლები ბოლოს და ბოლოს აუცილებლად იწყებენ ლაპარაკს, თუ შეიძლება ასე ითქვას, ჭრიალს. იწყება მაგიდიდან მაგიდაზე გადალაპარაკება, რაც მაგიდების შეერთებით მთავრდება; თაუი არ უნდა შეიწუხო კითხვების დასმით, ისინი თვით იწყებენ ლაპარაკს: ჰყვებიან თავის თავგადასავალს, სურთ რაღაცის ახსნა, მოყოლა, ხანდახან, უბრალოდ, მხიარულება. ღამე დასახლებულია უცნობებით, რომლებიც შესაუბრებიან და არ იციან ვინ ვარ. ეს ხან ჩინებულია, ხან მტანჯველი, მაგრამ ყოველთვის მომაჯადოებელია.

— თქვენ ისე ლაპარაკობთ კაცებზე, როგორც ბავშვებზე ლაპარაკობენ ხოლმე...

— ბავშვები და კაცები ძალიან ჰგვანან ერთმანეთს... კაცები გულნატკენები არიან; სურთ ითამაშონ კოე-ბოი და თან ეშინიათ, რომ მათი ვესტერნი კარგად არ დამთავრდება. მებრალებიან ისინი. მათ ქალებზე მეტი პრობლემები აქვთ, რადგან დღეს, პირველ რიგში, ისინი უნდა შეეჯიბრონ ქალებს. შინდა ვთქვა, რომ დღეს ქალს უფლება აქვს აკეთოს ყველაფერი, რასაც კაცი აკეთებს და თან ქალიც იყოს. მაშინ როცა, კაცმა ისიც უნდა აკეთოს, რაც აქამდე უკეთებია და თავისი კაცობაც უნდა დაამტკიცოს. ქალებმა გადაწყვიტეს ძლიერი გახდნენ, და კაცებმა უფრო სუსტად იგრძნეს თავი. ვფიქრობ, თანამედროვე საზოგადოება ორივესთვის აუტანელია. თუმცა, ჩემი აზრით, ცხოვრებით უფრო კაცები იტანჯებიან. ისინი სამუშაოს, თავისი პოლიტიკური უმწეობის, თავისი ცხოვრების



დინების შეცვლის უუნარო მონები არიან. ქალებს კი შეუძლიათ მათი დახმარება, მაგრამ არ ეხმარებიან, პირიქით, კაცები მსაჯულებს გადააწყდებიან ხოლმე. ეს ცოტა აბსურდულია, ზოგი ქალი სავსეა წინააღმდეგობებით. მათ ერთდროულად უნდათ კარგი ქმარი და შესანიშნავი საყვარელი და კიდევ ბევრი რამ: სურთ რატერიალური თვალსაზრისით უზრუნველყოფილნი იყვნენ და გრძობისმიერით კი აღვზნებულნი. მაგრამ ქალები ასეთები არიან თავისი ატყუარებისმიერობის მდგომარეობის გარდამავალ პერიოდში. ეს ყველაფერს მოწესრიგდება.

— ეს ნორმალურია, არა? ხომ არაფერს გვეტყოდით იდეალურ კაცზე?

— იდეალური კაცი არ არსებობს. იდეალურია კაცი, რომელიც მოცემულ დომენტში გიყვარს. ის შეიძლება ინფანტილური იყოს, შეიძლება ორმოცდაათი წლის იყოს, ზოგადი წესი არ არსებობს. შეიძლება კნუტი იყოს, ან ბაბუა. შეიძლება მფარველი იყოს, ან შენგან ჭირდებოდეს მფარველობა. სისულელეა საერთო ფორმულის ძიება, როცა იდეალურ მამაკაცზე ლაპარაკობ... მე ასეთ კაცს არ ვიცნობ, კაცებს კი კარგად ვიცნობ. თავიდან, როცა ძალიან ახალგაზრდა ხარ, ცოტა გეშინია. შემდეგ, თექვსმეტ-ჩვიდმეტი წლისა, მათთან კარგად ერთობი, შენს ჭკუაზე ატარებ. შემდეგ ნამდვილი გამოცდილება გაქვს და იწყებ კაცის სიყვარულს. ჩვეულებრივად იქცევი: ან თავს იცავ, ან შეტევაზე გადადიხარ, იმისდა მიხედვით, თუ როგორა ხარ დათუთქული. ყველაფერი კი იმით მთავრდება, რომ კაცებზე გექმნება წარმოდგენა, რომელიც ყველა ასაკში გეცვლება.

— ნუთუ მაინც არ არიან ერთგული ქალები?

— რა თქმა უნდა, თუ სექსუალურ მხარეზე არ ვილაპარაკებთ, არის კაცი, რომელიც ყველა ასაკში სხვას გირჩევნია: კაცი, ვისაც უყვარს ქალების საზოგადოება. ასეთი კაცი იშვიათია. ბევრ კაცს მხოლოდ თავისი ძმაკაცები და საქმეები უყვარს, მაგრამ ასეთებსაც მოსწონთ ქალთა საზოგადოება.

— ახალგაზრდა კაცები? თქვენს რომანებში, როგორც წესი, მათ დადებითად არ წარმოაჩენთ ხოლმე. ისინი ხშირად წყალწაღებულები არიან.

— ახალგაზრდა კაცები მოსაწყენი ხალხია, რადგან ახალგაზრდობაში, ცოტა არ იყოს, ცუდად ართმევენ თავს მძიმე სიტუაციებს და ყოველთვის სცვივათ ბუმბული. ისე უმჯობესია, ადრე დასცვივდეთ, ვიდრე გვიან.

— ფიზიკური სილამაზე არაფერია?

— არიან ქალები, რომლებიც ვიპასუხებდნენ: „ლამაზი კაცი? ფეხებზე მკიდია. უმთავრესია პიროვნება.“ შეხედეთ ერთი პლაჟზე თმაგამეჩხერებულ, ღიპიან პიროვნებას... თქვენი მზერა უფრო სიამოვნებით შეჩერდება მოლად გარუჯულ, ლამაზ ცურვის მასწავლებელზე. მშვენიერება რეალობაა. როცა ქალი ძალიან ლამაზია — ეს არაა ყველაფერი, მაგრამ სილამაზე ბატონობს და გავლენას ახდენს მის ცხოვრებაზე.

— კაცებს, თქვენი აზრით, ჰყავთ რჩეული ქალის ზოგადი ტიპი?

— ჩემი აზრით, კაცების უმრავლესობას მერლინ მონროსნაირი ქალები უყვარს. თავს იმართლებენ, ამბებს ჰყვებიან... და იცით ამის არაფერი გამეგება. ყოველი მათგანი ეძებს იმ სახეს, რომელიც მის ნაოცნებარს შეესაბამება. ეს ადვილი არაა: სუსტი, რომელსაც თავი ძლიერი ჰგონია, სუსტს ეძებს სამფარველოდ, ჰოდა ორი სუსტი გამოდის... ან ბედნიერები, ან დაღუპულები. ყოველი მათგანი ხარკს უხდის ნაოცნებარს. ძლიერთაც ძვირად უჯდებათ... მე საწუწუნო არაფერი მჭირს, ფინანსურად უზრუნველი ვარ, მაგრამ ყველა ფრანგივით, მეც არასასიამოვნოდ მიმაჩნია, როცა ჩემს გულს ბალისტიკური რაკეტის, ან პატარა ატომური ბომბის გასაკეთებლად იღებენ. თანახმა ვარ, გადასახადები გადავიხა-







ცოცხლე საფრთხეში ჩავაგდო იმათთვის, ვინც მიყვარს და ვიბრძოლო ნებსმიერი ორგანიზებული უსამართლობის წინააღმდეგ.

– ეს იდეალის დასაწყისია. ფიქრობთ, რომ გაქვთ იდეალი?

– მგონია, რომ იდეალი გარემოებებთან ერთად ჩნდება, ~~ჯანყდები~~ რალაციის წინააღმდეგ და ეს ხდება იდეალი.

– რომელია თქვენთვის ყველაზე დიდ უსამართლობა?

– ყველაზე დიდ უსამართლობად სოციალური უთანასწორობა მეჩვენება.

– ეს ნამდვილად პრობლემაა?

– ნამდვილი პრობლემები ძალზე მარტივია და მათ ყველა იცნობს: სიკვდილი, ავადმყოფობა, სიღარიბე, დაღლილობა, ნაღველი, მოწყვნილობა, მარტოობა...

– ყველა ადამიანი ერთმანეთის მსგავსია?

– ყველა განსხვავებულია და ამას ღრმა პროტესტისას შეიცნობს ხოლმე, მაგრამ იმ ადამიანთა ნახევარსაც, რომლებსაც გრძნობისა და გაგების უნარი აქვთ, თავი რომ შეეწუხებიანთ და აქეთ-იქით მიმოეხედათ, შეიძლება ამას რაიმე შეეცვალა.

– რას გმობთ საზოგადოებაში?

– საზოგადოება დროს იპარავს, ერთადერთს, რასაც თითოეული ადამიანი ფლობს, რათა, რაც სურს, ის აკეთოს. საზოგადოება დასცინის ინდივიდს, მისი პატივისცემა არა აქვს. ყველაფერი ისე მიდის, თითქოს ყოველმა მათგანმა მსხვერპლად მიიტანა თავისი ცხოვრების ათი-თხუთმეტი წელი ეკონომიკის საკურთხეველთან, აღარას ვამბობ მეტად თუ ნაკლებად ანგარებიანი სიძუნწის წლებზე. ეს, ალბათ, უზნეობაა.

შეხედეთ ტელევიზორს: ნამდვილი უბედურებაა. ის ურთიერთობის, ოჯახური ცხოვრების ილუზიას უქმნის ადამიანებს, რადგან ოთხნი ერთად სხედან და ერთსა და იმავეს ერთ ეკრანზე ერთდროულად უყურებენ. ეს აბსურდია. გამოკითხეთ ოთხი კათოლიკე, რაზე ფიქრობდნენ ისინი მესის დროს: ოთხივე მესისათვის უცხო და ერთმანეთისაგანაც სრულიად განსხვავებულ რამეზე ფიქრობდნენ. სულისშემბუთველია ინტიმურობის ის შეგრძნება, რომელსაც ტელევიზორთან მიმჯდარი ოთხი ადამიანი ქმნის, რადგან ტელევიზორის ყურება მათ ერთმანეთთან დაულაპარაკებლობის შესაძლებლობას უქმნით, მაშინ, როცა მაგიდასთან მსხდარი ადამიანები, თუ ტელევიზორი არაა, ერთმანეთთან ურთიერთობას ცდილობენ. ათას რამეზე ლაპარაკობენ: მეზობელზე, ბაღზე, ამინდზე... ტელევიზორი სპობს აზრთა გაცვლა-გამოცვლას, უფრო მეტიც, ის შემადრწუნებელი საშუალებაა. ყველაფერში ბიუჯეტის სიღარიბე და წამოსახვის უქონლობა იგრძნობა. ოჰ! „ინტერვილის“ ლაზღანდარობა! ანდა პირიქით, ინტელექტუალური თვითკმაყოფილება! ადამიანები ცხოვრობენ დაქანცულობასა და მარტოობაში. ერთხელ რადიოთი სრული უაზრობა მოვისმინე. რადიოსაც იშვიათად ვუსმენ, მაგრამ იმჯერად იყო გადაცემა, რომელიც ხალხს „აქორწინებდა“. ქორწინების კანდიდატ კაცებს ყველა თვისება ჰქონდათ, რომ არავის მოსწონებოდათ. აი, მან უკვე ერთი წელია დაკარგა მეუღლე, მის მეტი არავინ ჰყვარებია, ყოველდღე მას დასტირის, სამოცი წლისაა, არაა ლამაზი, მაგრამ მამაკაცურია, ჰყავს შვიდი შვილი, ცხოვრობს ბრიუსელთან ახლოს პატარა ბაღიან პავილიონში. მას არ უნდა დიასახლისი, ეს პრინციპის საკითხია... ამას ყველაფერს კანდიდატი ამბობდა. მოკლედ ნამდვილი ჯოჯობეთი აღწერა. მაინც ბევრი ქალი გამოეხმაურა, ერთ-ერთს მან უპასუხა: „ეწევიო? ო, მაშინ არა...“

– ეს მართლაც კარგია.



— ყველაფერზე, ყველაფერზე თანახმანი არიან, თღონდ მარტო არ დარჩენ.

— ამ ამბოხებით, ამ უსამართლობის შეგრძნებით რაიმე პოლიტიკური პრწამსი თუ გავიხნდათ?

— მახსოვს, 1956-ში მარსელ ოკლერი წერდა: „ფრანსუაზ საგონი არაა კომუნისტი, ის ანარქისტია, ნიჰილისტია. ის ისურვის ქაღალდის ბომბებს, რათა უფრო გაამძაფროს ჩვენი საზოგადოების დაცემა...“ კარგა ხნის განმეფლებამდე მას მხოლოდ სამყაროს ტკაცუნი ესმოდა.. რომელიც ახლავე ჩამოინგრევა. ცდილობენ, დაივიწყონ ატომური ბომბი, მაგრამ ის არსებობს. ადამიანთა ცხოვრებაც... წუთიერია.

— ახალგაზრდებზე რას გვეტყვი?

— ახალგაზრდებია? რა მიზანი აქვთ? რა გნებავთ... ისინი უმეტეს დროს უთმობენ იმ საქმეს, რომელიც უყვართ. მხოლოდ კომუნისტებს აქვთ იმედი.

— სრსებითად თქვენ უფრო პოლიტიკური ინსტიქტები გაქვთ, ვიდრე პრწამსი.

— მე არა მაქვს ცხოვრების ისტორიული გავების კულტურა, ჩემი შეხედულებები შემადრწუნებელ მოვლენებთან: ძალადობასთან, სიღარიბესთან, პირმოთნეობასთან შეჯახებისას წარმოშობილი რეფლექსებია.

— რას აკეთებთ თქვენი პოზიციის დასაცავად?

— მე არც ერთ პოლიტიკურ პარტიას არ ვეკუთვნი, მაგრამ მარცხნივ კი ვარ გადახრილი — მძულს კაცისკვლა, ომი რომ იყოს, თავს გაუარილებდი. სად? არ ვიცი... მაგრამ, თუ ფაშისტები შემოგვესეოდნენ, შევებრძოლებოდი. უღირსი საქმის წინააღმდეგ ვიბრძოლებდი.

— იმედით ხუ უიმედოდ?

— რწმენა საჭიროა, მაგრამ თავი არ უნდა მოიტყუო. იცით დოსტოევსკის ფრაზა: „დიდი დროა საჭირო, რომ შექმნილი რწმენა ჩვენი სისხლი და ხორცი გახდესო...“ მოკვდავთა უმრავლესობა მძიმე ეკონომიკური მდგომარეობიდან იძვრენს თავს; ეკონომიკა წარმართავს მსოფლიოს. ყველას აქვს თავისი მოსავლელი პატარა ბაღი: ინტელექტუალებს — მოუსვენრობა და სიღარბაისლე, კომერსანტებს — გადასახადი, მუშებს კი არც პატარა სახლი აქვთ და არც პატარა ბაღი.

— რამდენიმე წელია ხმა მიეცით დე გოლს.

— 1965-ში ხმა მივეცი დე გოლს, რადგან მიმაჩნდა, რომ ის ერთადერთი კაცი იყო, ვინც მემარცხენე პოლიტიკას ატარებდა, ზოგიერთი კარიკატურული ასპექტის მიუხედავად. მანდესი რომ ყოფილიყო წარდგენილი, უყოყმანოდ, მთელი გულითა და სულით მივცემდი ხმას. ის, რაც დე გოლმა გააკეთა, ჩემს იდეებს თანხვდებოდა: დეკოლონიზაცია, აღმოსავლეთისაკენ სვლა, მაგალითად „121“. მე ყოველთვის დე გოლის წინააღმდეგი ვიყავი, მაგრამ 1965 წელს დე გოლის მემარცხენეობას უფრო მეტად ვენდობოდი, ვიდრე მიტერანისას.

— წელს კი, 1974-ში, ხმა მიტერანს მიეცით.

— ვარემოებები შეიცვალა: ის დღეს მემარცხენეებს წარმოადგენს. მაგრამ 1965-ში, აპათია, საყოველთაო უნდობლობა სუფევედა და მხოლოდ დე გოლი იყო მზად, რაიმე აფეთქება (თუნდ სახუმარო, თუნდ სერიოზული) მოეხდინა მემარცხენეთა იდეების დასაცავად, რომელიც ბევრს უცნაურად ეჩვენებოდა. ვამატებ, გენერალ დე გოლის „ბედი“ მე გაქცევას მაიძულებდა. კომედიის წილი დე გოლთან უზარმაზარი იყო და ეს მას სხვებზე უკეთ უნდა სცოდნოდა, მაგრამ ეს კარგად დადგმული კომედია იყო: ყველა ამოძრავდა! „ბედისწერა“ მაღროს სიტყ-



ეა. არ მიყვარს ბედისწერა. სარტრი სწორედ იმიტომ მხიბლავს, რომ ბედისწერა არ სწამს; თან გადაყოლილი არაა საკუთარ პიროვნებას, საკუთარ გარეგნობას, საკუთარი ცხოვრების დახლართულ გზებს, იმ კვალს, რომელსაც ისტორიაში დატოვებს. არა, მისი ცხოვრება სავსეა მოულოდნელობებით, ნახტომებით, მდიდარია, აულაგმავია, არაა წინასწარ განსაზღვრული. ვეტროფი სარტრს.

– **სარტრის დიდი იდეებია მწერლის პასუხისმგებლობა, მთავარია...**

– მწერლის პასუხისმგებლობა. რა პასუხისმგებლობაზეა ლაპარაკი? პასუხისმგებლობა არაა, რადგან განუწყვეტელი გულისწყრომით ვცხოვრობ, რადგან არ შემიძლია ვიყო ჩათრეული ჟოან ბეიზის ან ჯეინ ფონდას მსგავსად. მაგრამ მათ სხვა პრობლემები აქვთ. ისინი იმ ქვეყანაში ცხოვრობენ, სადაც რასობრივა პრობლემა სერიოზულად დგას, სადაც ვიეტნამის ომი ჯერ კიდევ ყოველდღიური რეალობაა. ალჟირის ომის დროს, როცა ბონ-ნუველის ბულვარზე ვხედავდი ავტომატით შეიარაღებულ დამსჯელ ექსპედიციებს, პოლიციელთა რაზმებს უიარაღო ალჟირელები რომ ჩამოჰყავდათ საბარგოებიდან, ვფიქრობდი, რომ საჭირო იყო ამის შეჩერება და ავტომატული ვიკისრე პასუხისმგებლობა ჯამილა ბუპამასალოვისა. მე აგრეთვე გამომწვრთნა ალჟირის განთავისუფლების ორგანიზაციამ და საკმაოდ აქტიურიც ვიყავი. რაო...

– **თქვენ სარტრით ფიქრობთ, რომ მწერალი პოლიტიკაში უნდა ჩაერთოს?**

– მწერალი პოლიტიკით ან უნდა დაინტერესდეს, ან არა. იგი თავისუფალია. თუ იგი გრძნობს, რომ ესა თუ ის პრობლემა მას ეხება, მას ლოგიკურად გადაწყვეტს. თუ მხოლოდ ესთეტიკის საკითხებითაა დაკავებული, მაშინ ამას არ გააკეთებს. ესაა სულ. მწერალი თავის თავში ჩაკეტილი გარეული ცხოველია. ის ხან იხედება თავისი გალიიდან, ხან არა. ეს მოცალეობაზეა დამოკიდებული.

– **არ გსურთ თანამედროვე საზოგადოების შეცვლა?**

– თანამედროვე საზოგადოება საკმაოდ აულაგმავ, მტანჯველ ქაოსად მჩვენება იმათთვის, ვინც იქაა ჩაძირული, პირადად მე უკან ვიხევ... ცხოვრების ის ფორმა მიყვარს, რომელიც სულ არ ჰგავს დღევანდელს. ვფიქრობ, რომ ყოველთვის ერთსა და იმავე ხალხს აქვს ძალაუფლება, ყოველთვის ერთსა და იმავე ჭკუასუსტებს, რომლებიც ბომბავენ ვიეტნამს, ან სხვა ადგილებს. ეს აღმაშფოთებელი, გარდაუვალი და შემადრწუნებელია, მაგრამ ეს არაა ინკვიზიციაზე ან დრაგუნობაზე\* უარესი.

– **აწყო არაა წარსულზე უარესი; მომავალი?**

– ხალხი ან გააფრთხელებს სისულელეებზე მივა, ან ატომური ბომბით გამოწვეული კატასტროფა იქნება, ან კიდევ რაიმე ამდაგვარი... მაგრამ რა, ეს ვერ წარმომიდგენია. დიდი ბედნიერებაა, თუ კაცობრიობის მომავლის გვერა, – მაგრამ იქნება კი ეს მომავალი ბედნიერი?

– **თქვენს ჩვეულ პესიმიზმს ვუბრუნდებით?**

– მე პესიმიტი ვარ ცივილიზაციის წინაშე, როგორც ისაა გაგებული და უმეტეს შემთხვევაში განხორციელებული. ადამიანებს არა აქვთ ურთიერთშეცნობის, ურთიერთგაგების დრო, მათ დრო არ ჰყოფნით. სულ დროის ნაკლებობას განიცდიან; დარწმუნებული ვარ პარიზში საღამოობით უმეტესობა არაა დაკავებული სიყვარულით. ყველა უეჭველად ძალიან დაღლილია.

\* ლუდოვიკო XVI-მ პროტესტანტებთან ჩაახახლა ჯარი, დრაგუნები, რომლებიც აწამებდნენ მოსახლეობას.



1968 წლის მაისზე ვფიქრობ: შესანიშნავი იყო ეს ჯერ განუცდელი თავისუფლება. დრამა ისაა, რომ მუშებმა და ყველაზე უფრო ღარიბებმა, მეტი მსხვერპლი გაიღეს. სტუდენტებმა არა, მაგრამ სწორედ ისინი განასახიერებდნენ თავისუფლებას. სიგიჟეა!



— 68 წლის შაისი გამოსავალი იყო?

— ეს აფეთქება პოლიტიკურ გაუგებრობებზე ერთადერთი პასუხი იყო. მაგრამ ღარიბებისათვის ძალიან მძიმე შედეგები მოჰყვა, ამას არ ჰქონდა მნიშვნელობა იმათთვის, ვისაც სულ უფრო და უფრო ემატებოდათ გადასახადები, მათ გადახდის თავიც ჰქონდათ. აფეთქებების სერია არ იყო გამოსავალი, საჭირო იყო უზარმაზარი რადიკალური აფეთქება.

— პირადად თქვენ ვის წააქეზებდით?

— არ ვარ დარწმუნებული, რომ საზოგადოების გარდაქმნაზე ზეგავლენა შემიძლია. მოდით, ისევ სარტრს მიუბრუნდეთ. მას აქვს ფიზიკური და ინტელექტუალური პოტენციალი, რომელიც რომანების წერისა და მოვლენებში მონაწილეობის ნებას აძლევს. მე არა მაქვს. არის რაღაცები, რაც მძულს: გაზეთები და ხალხი, რომელთა წაკითხვა და დანახვა არ შემიძლია და ვერც ვერასოდეს შევძლებ. მაგრამ ეს უმთავრესად ნეგატიური დამოკიდებულებაა. ბევრი ადამიანი ფიქრობს, რომ ეს არაა საკმარისი. არ ვიცი, ვინაა მართალი. მორალურად ეს არ მაწუხებს. ანუ ისევე მაწუხებს, როგორც ის, რომ ფრენა არ შემიძლია, თუმცა მირჩევნია რომ ვფრინავდე. კი მაწუხებს, რადგან გულგრილი ვერ ვიქნები აშკარა საშინელებების მიმართ. მაგრამ გადამწყვეტ სიტუაციებში, ანდა მე რომ გადამწყვეტად მეჩვენება, არ ვმერყეობ და არც ვიმერყევებ.

— ქალთა თავისუფლების მოძრაობაზე რას იტყვიან?

— აქაც იგივეა. ამ ორგანიზაციის მიერ დასმული პრობლემები უშუალოდ მე არ მეხება, რადგან პრივილეგირებული მდგომარეობა მაქვს. ცხადია, მართალია არიან, ყურადღებას რომ აქცევენ, ქალი კაცზე მეტს რომ მუშაობს, რადგან სამუშაო დღის მერე ქალი შინ ბრუნდება და უვლის ბავშვებს, სახლს და ა. შ. ეს პირუტყვიანი ცხოვრებაა.

— აბორტზე რა აზრის ხართ?

— აბორტი? კლასობრივი საკითხია. თუ ფული გაქვს, ყველაფერი ძალიან კარგად ჩაივლის, წახვალ შვეიცარიაში ან სადმე სხვაგან და უვნებელი დაბრუნდები. თუ ფული არ გაქვს და გყავს ხუთი შვილი, თანაც გაუფრთხილებელი ქმარი, მიდიხარ მურძვევსთან, ვიღაც სანიტარს რომ იცნობს, რომელმაც იცის ეს საქმე... და იგი გასახიჩრებს: ვერ ინარჩუნებ ბავშვს მაშინაც კი, როცა ეს ძალიან გინდა. სამარცხვინოდ მიმჩნია შვილის გაჩენა, თუ მისთვის ბედნიერების მინიჭება არ შეგიძლია. ცხადია, მთლად ვერ იქნები დარწმუნებული, რომ შვილს ბედნიერს გახდი, მაგრამ ის მაინც უნდა იცოდეს, რომ თავს არ დაზოგავ ამისთვის. ზოგი ფეხმძიმე ქალი გამოუვალ მდგომარეობაშია.

— სხვათა შორის თქვენ მანიფესტსაც მოაწერეთ ხელი...

— ხელი მოვაწერე მანიფესტს აბორტის თაობაზე. ეს აუცილებელი იყო. რაც შეეხება იმას, რომ საჭიროა კაცებისაგან განთავისუფლება და ა. შ. — ბოლოს და ბოლოს ყოველთვის მოიძებნებიან ქალებზე ძლიერი მამაკაცები, რომლებიც მათ უმოწყალოდ ექცევიან; არიან ისეთი ქალებიც, თავის ჭკუაზე, ძაღლებით რომ ატარებენ კაცებს და ჭია-ლუასავით ეპყრობიან. ამ ორგანიზაციის მიერ წამოჭრილი პრობლემა ამ სახით, რეალობასთან შედარებით გადაჭარბებული მეჩვენება. ხალხს აუტანელი, ძალიან მძიმე ცხოვრება აქვს, და ისინი კი ცდილობენ



აფიქრებიონონ, რომ, თუ სალამოს, შინ დაბრუნებულნი, სიყვარულს არ მიეცემიან და ტელევიზორს უცქერენ, ეს სექსუალური მოსაზრებების საფუძველზეა... არაა ეს მართალი, ისინი დაღლილები არიან და მეტი არაფერი.

— მაგრამ ორგანიზაციის სხვა მიზნები უფრო სერიოზულად მიგანჩნიათ არა?

— რა თქმა უნდა, მას აქვს აბსოლუტურად მისაღები ამოცანები, ესაა ხელფასის გათანაბრება, ალიმენტის მიღება, როცა ბავშვი ჰყავფერულა, კანონი კაცებს უფრო მფარველობს, მაგრამ მან უკვე შეიცვალა ხანა, მსუბუქად კიდევ არაა სრულყოფილი. მე უეჭველად, ცოტა ჩამორჩენილი, სრულიად ლათინური შეხედულება მაქვს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ კაცების წინააღმდეგ გაერთიანებული ქალები ვერაფერს მიაღწევენ; შეიძლება კანონის ფარგლებში მიადწიონ რამეს, მაგრამ კანონი ზომ ყველაფერი არაა.

— მაშ როგორ მოვექცეთ კაცებს?

— კაცებს უნდა დაეღაპარაკო, უნდა გააგებინო. ჩემთვის ქალსა და კაცს შორის ზღვარის წაშლა პასეისტური კონცეფციაა. შიმშიხედეთ თქვენს გარშემო, ახალგაზრდა ოცი-ოცდახუთი წლის წყვილი: ერთი რეცხავს ჭურჭელს, მეორე ალიაგებს. ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, ბევრად უფრო ნაკლები პრობლემებია.

სინამდვილეში რეჟიმია შესაცვლელი, ეკონომიკური პრობლემებია აუცილებლად გადასაჭრელი.

— ირკვევა, რომ მთავარია თავისუფლება, მაგრამ ვისი, მხოლოდ თქვენი თუ სხვებისაც?

— ძალიან მინდა პატივს სცემდნენ ჩემს თავისუფლებას და ამიტომ პატივს ცემ სხვებისასაც. არ უნდა ეძიო და არც უნდა გსურდეს ის, რაც არა გაქვს; არც ქონებას უნდა ნანობდე და არც უქონლობას. მოწყალე თვალთ შეხედე და შეეგუე ცხოვრებას. აი, ასე შეინარჩუნებ წონასწორობას.

— ბოლოს და ბოლოს წონასწორობა...

— ო! ვიცო: ჩემს წონასწორობაზე ლაპარაკი ბევრს გააცინებს ან ალაშფოთებს. ბევრისათვის წონასწორობა ნიშნავს ზომიერად მოქმედებას, შინაგანად კი გაუწონასწორებელ ყოფნას. ძალიან კარგია სისულელეების კეთება და თევზი-კუთ დინების საწინააღმდეგოდ ცურვა. წონასწორობა ჩემთვის სალამოს ჩემს საწოლში წოლა და უშიშრად ყოფნა, დილით კი უდარდელად გაღვიძებაა; ეს თანხმობაა ჩემს წარმოსახვასა და ჩემს ცხოვრებას შორის, იმ მდგომარეობის შენარჩუნებაა, რომელიც არასოდეს მომჩვენებია შემადრწუნებლად.

— განზე გამდგარ ადამიანად თუ გიგრძნობიათ თავი?

— წერას ბევრი რამ სდევს თან. სავალდებულო მარტოობა და განუწყვეტელი ცვლილებებისათვის საჭირო დარტყმები. ზოგჯერ ეს ადამიანს თვალს უხვევს, მაგრამ ჯერ იქამდე არ მივსულვარ, რომ წარმოვიდგინო, თითქოს რაღაც განსაკუთრებული ადგილი მიკავია... ვიაზრებ ჩემს ადგილს იმ გაგებით, თუ რამდენი კვადრატული მეტრი მიჭირავს, რომ ამა და ამ წელს დავიბადე. მე შევიცნობ ჩემს ადგილს დროსა და სივრცეში და არა საზოგადოებაში. მეგობრული დაძოვილებულელებაც მაქვს საკუთარ თავთან და შორეულიც: არ ვარ საკუთარ არსებაზე შეყვარებული. ჩემს თავს ველაპარაკები ხოლმე: „ჰეი, შეხვედრა მაქვს ამა და ამ საათზე,“ ან „ჩემო საცოდავო მეგობარო, რა ცუდად გამოიყურები!“, ან „ჰეი, ჩემო ძვირფასო, იქნებ დაფიქრდე ამაზე!“ ესაა სულ.

— ისეთი შთაბეჭდილება შექმნება, თითქოს არასოდეს არაფერი მოგხვლიათ,



თითქოს მომხდარი ამბები თქვენთვის თავშესაქცევია. განხილვით ვალერის სიტყვები: „შემთხვევები საგანთა ქაფიაო“, რომ თქვა?

— გარეგანი შემთხვევები ყოველთვის უბედური შემთხვევებია. დრამა ყოველდღიური ცხოვრებაა... ადგომა, დაწოლა, ამასობაში აღელვება და ფეხის მოცურება... დრო და დრო გონზე მოვდივარ, მაგრამ ძალიან იშვიათად: საღამოს, ჩემს/ლოჯინში, როცა მარტო ვარ და როცა მოწყენილი ვარ.

— რა არის თქვენთვის კარგად ყოფნა?

— კარგად ყოფნა მთლად ჩემს ჭკუაზე ყოფნა და კარგ გუნებაზე გაღვიძებაა. მე ყველაფერს სერიოზულად აღვიქვამ. უპირველესად ადამიანებს ვცემ პატივს და შემდეგ ლიტერატურას. ყველაფერს ჩემ გარდა.

— ამ ოც წელიწადში თუ შეიცვალეთ?

— ოცი წლისას შემეძლო მთლიანად შევცვლილიყავი ვინმეს გავლენით, შემეძლო სხვაშიც აღმომეჩინა რაიმე, ახლა არა მგონია ამის უნარი შემწევდეს. შემიძლია შევცვალო ცხოვრება, ბედნიერი, ან უბედური ვიყო, მაგრამ აღარ შემიძლია ჩემი რეფლექსების თანამიმდევრობის შეცვლა. შეიძლება სახე ვიცვალო, მაგრამ მაინც მე ვიქნები.

— მაგრამ სევდისა და სიხარულის შეგრძნება ხომ არ დაგიკარგავთ?

— ჩემი სევდა? ხანდახან დილის რვა საათზე მეღვიძება და თავს ეკითხები: რატომ ვარ ამ ქვეყნად და რატომ უნდა მოვკვდე? ჩემი სიხარული? — ვინმესთან ერთად ჭიქის აწევაა, კამათი და გულში ჩაკვრაა. სიხარულისა და წუხილის გამოხატვის ბევრნაირი ფორმა არსებობს. ისეც ხდება ხოლმე, რომ ყველაფერი ერთმანეთში ირევა და გუშინდელი სევდა ხვალინდელ სიხარულად იქცევა.

— მოთმინებიდან თუ გამოდიხართ ხოლმე?

— მოთმინებას მაკარგვინებს პრეტენზიულობა, თვითკმაყოფილება და ინტელექტუალობისა და საუბრის ყალბი ფორმა, რომელიც დღესაა დამკვიდრებული. ლამისაა კედლებზე გავიდე!

— მიჯაჭვული თუ ხართ საგნებზე, ადგილებზე?

— მძულს საგნები, მირჩევნია არაფერი მქონდეს, მათი მოხმარების დრო არ მაქვს. ძალიან მიყვარს წიგნის კითხვა, მაგრამ, როგორც კი წავიკითხავ, სხვას ვაძლევ. თუმცა ყოველთვის, ბინის შეცვლისას, თან გადამაქვს ერთი და იგივე საგნები: ძველი პიანინო, ძველი, ცოტა დაწეული დივანი; მაგრამ ვცვლი კადრს: ახალი ფანჯრებია, ახალი ხედები, არაფერს ვაკეთებ. გადაბარგებისთანავე ვქრები და, როცა ვბრუნდები, მეუბნებიან: „აი, ესაა თქვენი ოთახი“ და აღტაცებული მივდივარ დასაძინებლად. მომთაბარე ვარ. ვაღმერთებ სასტუმროში ცხოვრებას, მაგრამ ბავშვთან ერთად ეს შეუძლებელია.

— მოდაზე რას გვეტყვით?

— არ მიყვარს მოდა. მას მთელი არსებით გავურბივარ, ყველა დონეზე. ერთ დღეს ქალთა გაზეთის რედაქტორს სპეციალური ნომრის გამოშვება შევთავაზე იმის საწინააღმდეგოდ, რაც ყოველთვის იბეჭდება: როგორ ვიყოთ უქნარები, როგორ დავებრდეთ, გავსუქდეთ, დავმახინჯდეთ და მოსაწყენები გავხდეთ თხუტმეტ დღეში. მგონია, ჩემი იუმორი კარგად ვერ გაიგეს. მაძრწუნებენ მოდას აყოლილი ქალები, რომლებიც ერთნაირად იცვამენ და ქალთა პრესის „კარგი ჩვევების“ გავლენას განიცდიან. ქალიშვილებს უნდა ვუთხრათ, რომ არ დაუჯერონ ამგვარ სისულელებს: „იყავით მშვენიერნი, გაწონასწორებულნი, თავისუფალნი, ბედნიერნი...“



— თქვენ მგონი სიძულვილი უფრო შეგძლებიათ, ვიდრე სიყვარული...

— ვაღიარებ, რომ სიყვარულში უფრო მოკრძალებული ვარ, ვიდრე სიძულვილში. მძულს ჩამტკბარი სუნამოები, პლასტიკატები, ტელევიზია-ტელევიზიას ვერ ვიტან. მძულს სიძუნწე, შურიანობა და შეუწყნარებლობა. ვერ ვიტან, როცა სულ მთლად ცუდად აღზრდილები არიან, როცა ვინმეს ჩემ წინაშე ამცირებენ, მძულს ნებისმიერი ფორმით გამოხატული რასიზმი, მძულს წარმოსახვის უქონლობა და კომფორმიზმი. სხვისი განსჯის უფლებებზე ვალეზე მაყენებს; ამპარტავნება და თვითკმაყოფილება გონსაკლული შიშის სახეობაა, როცა ერთი ცდილობს მეორე დაწიხლოს, რადგან ის არიელია, ან ებრაელი, ღარიბია ან მდიდარი. თუ მზაკვარი ხარ, ყველაფერი მისაღებია. მძულს თვითკმაყოფილება, უმეცრება.

— ყველაფერი ეს საკმარისია საღილობისას თქვენი საუბრის გამოსაცოცხლებლად?

— ყველაფერი ეს კმარა საღილობისას საუბრის გამოსაცოცხლებლად, მაგრამ მე მხოლოდ იმითთან ვსაღილობ, ვისაც ძალიან კარგად ვიცნობ და ვინც თავის თავს სულ ეკითხება, სწორად იქცევა თუ არა და ვინც იცის რა არის ეჭვი. მე შინაგანად მუდმივ მერყეობას განვიცდი, იგივედარწმუნებული ადამიანები კი — არა! არ შემეძლია! მკლავს ყველაფერი, რაც ნეიტრალური და ცივია. მაგრამ ყველაზე უცნაური ისაა, რომ ვისაც სინაზის, ერთგულების და გაგების უნარი აქვს, ასეთები კი ბლომად არიან, როგორც წესი, რცხვენიათ თავისი გრძნობების გამოაშკარაებისა, მათ ჰგონიათ, ამით დაკნინდებიან საკუთარსა და სხვათა თვალში. ყველა ნაზი და სათუთი არსება, ყველა „გულდია“ საბოლოოდ გამარჯვებულია. როცა იარაღს ჰყრი, უვნებელი ხდება. ეს კარგა ხანია ვიცი.

— თუ ბრაზდებით ხოლმე?

— წელიწადში ერთხელ, ან ორჯერ მიწევს ვაბრაზება. მეტჯერ არა... იმის თქმა მინდა რომ თავს ველარ ვიკავებ და ესეც მძულს. მაგრამ არის რაღაც რაღაცები რასაც ვერ ვიტან: რასისტებთან და შემარჯვენებთან ბრიყვული ლაპარაკი, მსჯელობის ზოგიერთი ფორმა-სოფიზმი-მანერვიულებს. და კიდევ პირადი რაღაცები. ეს საზარელია. მეშინია იმის, რაც ახლა უნდა ვთქვა: ადამიანებს გამალებით ვყრი გარეთ და მერე ცუდად ვხდები: სისხლს ვუშვებ ლუდოვიკო XIV-საუით. დილას ფანჯარასთან ვაჭარებ. ეს მამშვიდებს და ვსუნთქავ. სხვაგვარად ვიდრჩობი. ადრე ყოველთვის თავაზიანად მივაბრძანებდი ხალხს გარეთ; სიბრაზე მაღრჩობს, ეს შემადრწუნებელია, და როცა ვფიქრობ, რომ ბაბუაჩემი ბრაზისაგან მოკვდა ტაქსში, რადგან მძღოლს ვზა შეეშალა...

— თქვენ ყოველთვის ექსცესებზე ლაპარაკობთ და კაციშვილს არა აქვს თქვენსავით მშვიდი და წყნარი იერი...

— მშვიდი იერი მაქვს, მაგრამ, თუ მოვიწყენ, ვიცი, მხოლოდ ექსცესი დამამშვიდებს. ვისვენებ დაღლილობის უკიდურეს ზღვარზე ყოფნისას. მშვიდი ვარ უკიდურესი ნერვიულობისას; წიგნის წერას მხოლოდ ღრმა სასოწარკვეთისას ვიწყებ. მაგიჟებს აზრი, რომ ერთ დღეს გავჩერდები ერთადერთი იდეით, რომ აღარ შემეძლია შეგუება, გაგება, თვითდამკვიდრება და ეს აღარ გამაძინებს, რადგან კატასტროფებზე მეცინება ხოლმე. ჯერ კიდევ ხარხარით ვიხსენებ იმ დღეს, როცა კარანაჰს ვუთხარი, რომ ბუნჯნერის ნაწარმოებებიდან ყველას „კალმახი“ მირჩევნია — მეთქი.

— ეს კატასტროფა იყო?



— ამ სადილზე კი, ეს კატასტროფა იყო.

— რა აზრის ხართ საკუთარ თავზე?

— თავი უფრო უდარდელ ადამიანად წარმომიდგენია, ვიდრე უშინაარსად, და სხვათა შორის, მირჩევნია ვიღაც-ვიღაცებმა არარაობად ჩამთვალონ, ვიდრე ჭკუადამჯდარ ინტელექტუალად.

— თავისუფალი ქალი ბრძანდებით?

— გულს მიწყალებს დღეში შეიდი საათი თავის პატარა ბიჭობში გეგმავს წვედგული, ყველაფერზე პასუხისმგებელი, თავისუფალი ქალების ენის ტარტარი. მიყვარს ოცნება, უსაქმურობა, დაკვირვება, თუ როგორ გადის დრო. არასოდეს მაქვს ის შეგრძნება, რომ ფუჭი და მოსაწყენი ვარ: აი ესაა თავისუფლება. არ შემიძლია, თავს იმის კეთება დავაძალო, რაც გულს მიწყალებს. ცხოვრებას ისე ვიღებ, როგორც მოდის, მარჯვნივ და მარცხნივ ვიხედები და არა წინ ან უკან.

— შეიძლება ითქვას, რომ ბედნიერი ხართ...

— ...რაც არ უნდა ითქვას, არ ვარ უცილობლად ბედნიერი.

— როგორც ამბობენ, ზარმაციც ხართ?

— ძალიან ძნელია, ზარმაცი იყო, რადგან ეს საკმაო წარმოსახვას მოითხოვს, შენი თავისა უნდა გჯეროდეს, უსაქმურობით გამოწვეული სინდისის ქეჯნა არ უნდა გაწუხებდეს, და, ბოლოს ცხოვრების გემო უნდა იცოდეს, რადგან ყოველი ჩაველილი წუთი თავისთავად საკმარისია, რათა მოვალე გახდე თავს ანგარიში ჩააბარო: მე დღეს ეს, ან ის გავაკეთო. უსაქმურობა ძლიერ ნერვებსაც გულისხმობს. სხვა ადამიანთა შეხედულებები შენზე, ან საკუთარი თავისათვის იმის მტკიცება, რომ რამის გამკეთებელი და შემძლე ხარ, ფარატინა ქალაღია.

— თქვენ გიყვართ მუშაობა?

— კი, ზარმაციც ვარ და მუშაობაც მიყვარს. სურვილი ძლევს ხოლმე სიზარმაცეს და მე დრო და დრო ვმუშაობ. მამაციც ვარ, ეს ჩემი საუკეთესო თვისებაა.

— თქვენ არ ხართ ზრდასრული ადამიანი, — ეს თქვენი სიტყვებია, — მაგრამ ხართ თუ არა მოხუცი?

— როცა ძალიან ახალგაზრდა ხარ, ცხოვრებით ვერ ძლები. შემდეგ, თუ ცოტა იოლად კმაყოფილდები, მაინც ანგარიშს უწევ იმას, რომ იბადები, კვდები და დროის ამ შუალედში ცოცხლობ... სიბერისას ნაკლები სიხარულია, მაგრამ მეტი ინტერესი. სიბერე კი არ მაშინებს — მაფრთხობს; ვიცი, რომ ყოველი ჩემი სახლიდან გასვლა აღარ იქნება ავანტიურებით სავსე, თუნდაც ურთიერთგაღიშებაზე შეჩერებული ავანტიურით. ჩემთვის სიბერეს უშუალო კავშირი აქვს ხორციელ სიყვარულთან. საშინელებაა, როცა ე. წ. სურვილის გამოწვევა აღარ შეგიძლია. ორმოცდაათი წლის ასაკში სიკვდილი ან სხვა რაღაცებით ცხოვრება ცოტათი მოსაწყენია. სამწუხაროა, რომ აღარ შეგიძლია შეხვდე „უცნობს“. და მაინც, არსად ისე კარგად არ საუბრობენ, როგორც გვერდი-გვერდ საწოლში მწოლნი. ძნელია შენი ცხოვრებიდან ავანტიურების ამოგდება. მაგრამ, რასაკვირველია, შეიძლება ასე თუ ისე იტვირთო შენი ასაკი. როცა ორმოცდაათის ვიქნები, ჩემი ვაჟი 25-ის იქნება და შეიძლება პატარა ღლაპებიც მეყოლოს, რომლებიც ფეხებზე ამომაბობდებიან.

— კმაყოფილი იქნებით, ბებია რომ გახდეთ?

— არ ვიცი, ვიქნები ან აღფრთოვანებული, ან გაწამებული, როცა ცხოვრებას აღარ ექნება ახალ-ახალი მომხიბვლელობა, კარგ წიგნს დავწერ.



— ესაა ბედნიერი სიბერე. როგორია თქვენთვის მოსაწყენი სიბერე?

— ყველაზე უარესი, რაც კი შეიძლება წარმოვიდგინო, ესაა ჩემი ყოფნა კონკურების აკადემიაში ან ფეშინაში მარგარეტ დიურასის, ფრანსუაზ მალე-ჟორისის და ჟენევიე დორმანის გვერდით, როცა ოთხივენი ერთმანეთს თავაზიანად დაუთმობთ ადგილს... ეს აპოკალიპსი იქნებოდა, თუ არა, რომ ბოსხი, ოთხივესათვის საზარელი მოვლენა.

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

— თქვენ სახელისთვის არ იღწვით?

— ოცე წლისას მქონდა სახელი და ოცე წლისა ვულგარილი ვიყავი მის მიმართ. გამოფხაზლების დიდი შანსი მაქვს. სახელი და პატივი სხვადასხვა ადამიანისთვის სხვადასხვაა. ეს კონცეფციაზეა დამოკიდებული. ზოგისთვის ეს შეიძლება რამდენიმე ფურცელი იყოს „ლაიფ“-ში, ან კიდევ საპატიო ლეგიონისა თუ ხელოვნებისა და ლიტერატურის რაინდის წოდება... ბრრრ... დამსახურებული მიწათმოქმედი, დიახ, ეს კიდევ შეიძლება ხუმრობით, ან კიდევ ეშმაკობებისა და ხუმრობების კონგრესის პრეზიდენტი! რას ვაკეთებთ დედამიწაზე? სად მივდივართ? ერთ მშვენიერ დღეს ფრანსუაზ საგანი ფრიი და გაფრინდება...

— ჯერჯერობით როგორია თქვენი საყვარელი დროსტარება?

— ჩემი საყვარელი დროსტარება დროის გაყვანაა, დროის ქონა, აუნქარებლობა, დროის დაკარგვა, უდროო დროს ცხოვრება ყველაფერი მძულს, რაც დროს ზღუდავს, ამიტომ მიყვარს ღამე. დღე მონსტრია, შეხვედრებია. ღამე კი უსაზღვრო ზღვაა. ის არ თავდება. დამინებადღე მზის ამოსვლის ყურება მიყვარს.

— თქვენ მაინცდამაინც კარგი დამოკიდებულება არა გაქვთ დროსთან.

— დრო მაწვალებს. ადამიანებს არა აქვთ დრო, რომ დროის წარმავლობა დაიგემონონ. თითოეული წუთი, რომელიც შეიძლება საჩუქარი ყოფილიყო, მხოლოდ ორ სხვა წუთს შორის ჩაჭედული წუთია. მაშინ როცა თითოეული წუთი-და ეს პრინციპია-უნდა იყოს სავსე, სულ ერთია რით: ბედნიერებით, მზით, სიმშვიდით, ნამდვილი გრძნობით. ადამიანებს აღარ რჩებათ დრო ნამდვილი გრძნობებისათვის.

— თქვენ? თქვენ კი გაქვთ დრო?

— კი დრო მაქვს და ისიც კარგად ვიცი, რამხელა პრივილეგიაა ეს... და გატაცებები. ... ყოველ შემთხვევაში, რაც მიუწვდომელია, ის აღარც პრივილეგიაა.

— როგორ კარგავთ დროს?

— ვფიქრობ, არ შეიძლება დროის დაკარგვა, თუ მის მოგებას არ ფიქრობ. ეს იმ იდიოტური თამაშივითაა, ბაზრობებზე რომ მართავენ ხოლმე; უნდა შეეცადო იმ ბილიკზე სიარულს და წინსვლას, რომელიც შენი მოძრაობის საპირისპიროდ მიცოცავს. რა წუთიდანაც იწყებ დროის საწინააღმდეგოდ ხიზბილს მის მოსაგებად, ბორძიკობ, რამძას ეპოტინები და ბოლოს კიდევ ეცემი. ერთადერთი რასაც ვნანობ, ისაა, რომ ვერ წავიკითხე ყველა წიგნი, რომელთა წაკითხვა მინდოდა. მაგრამ, როცა მიმავალ ღრუბლებს გავცქერო, ან სისულელეებს ჩავდივარ, რომლებიც ჩემთვის სულაც არაა სისულელეები, მე დროს არ ვკარგავ, რადგან მის წარმავლობას შევიგრძნობ.

მთავარია, დრო გასროლილი ისარივით კი არა, მარადიული საჩუქარივით აღიქვა.

— დრო, მარტოობა....

— დღეს მეორე დიდი ფუფუნება მარტოობაა. არასოდეს არიან მარტონი: სამ-



სახური-სახლი-სახლი-სამსახური... ცოლიანი, გათხოვილი მეგობრები მყავს, რომლებმაც მითხრეს: „გზის გადაკეტვა, პიკის საათისას? შენ ვერ წარმოიდგენ, რა მშვიდად ხარ ამ დროს. ეს ერთადერთი მომენტია ცხოვრებაში, როცა მარტო ხარ“. ამ დროს არავის შეხვდები, ბოლოს და ბოლოს მარტო რჩები, ბოლოს და ბოლოს თავისუფალი ხარ ერთი საათით (ამორტიზატორი ამორტიზატორის წინააღმდეგ).

ეროვნული  
ბიზნისი

— ეს მამაკაცების მარტოობა, ქალებისა?

— არიან მარტოობაზე მოწუწუნე ქალები... ისინი, ვისაც თავში არაფერი უყრია. მე პირადად ვისწავლე და შევაფასე მარტოობა. ეს შენი ურყეობის შეგნებაა, ერთდროულად არაკომუნიკაბელური და უგზოუკვლოდ დაკარგული, საბოლოო ჯამში კი თითქმის ბიოლოგიური. ხწორედ მეგობრებით გარშემორტყმული ვგრძნობ ნამდვილ მარტოობას. მე ეს მარტოობაც მიყვარს. ხანდახან არ არსებობს დამის ბარზე უფრო განმარტოებული ადგილი. ხანდახან ასეც მემართება — უეცრად მარტო, დამოუკიდებლად, ავტონომიურად ცხოვრების სურვილი მიჩნდება, რათა დრო გაშოვნახო და „ჩემი თავი ხელში ავიყვანო“, უცნობებს, შევხვდე, რომ ბელგიის მოსაწყენ, პატარა ქალაქში, ან ინდოეთში ან ტიბეტში ან რუსეთში წავიდე, რომ მოვცილდე ძალიან შეჩვეულ ცხოვრებას.

— თქვენ ამის გაკეთება შეგიძლიათ...

— დროდადრო მარტოობა აუცილებელია, მაგრამ არ ვივიწყებ სტენდლის ნათქვამს: „მარტოობას ყველაფერი მოაქვს ხასიათის გარდა“. და მე ნამდვილ მარტოობაში არ ვურევ მარტო გატარებულ ნაშუადღევს ჩაის ჭიქითა და მუსიკით იმ მარტოობაში, რომელიც ყველას განუცდია, რომელსაც ვერავინ გაექცევა და რომელიც არაა ფუფუნება. მარტო იბადები და მარტო კვდები. დროის ამ შუალედში კი ცდილობ, მთლად მარტო არ იყო. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ყველა გრძნობს მარტოობას და ყველა ძალიან უბედურია ამ ფაქტით.

— ნუთუ ყველა ფიქრობს ამაზე?

— ცდილობენ, რაც შეიძლება ნაკლები იფიქრონ ამაზე და პირთამდე აავსონ ეს სიმარტოვე უპირველესად მხიარულების ხელის შემშლელი სიყვარულით! იმ გრძნობათაგან, რომლებიც ყველაზე სასურველად მიმაჩნია: სიყვარული, პატივისცემა, თაყვანისცემა-სიყვარულს ყველაზე მეტად ვაფასებ.

— რა არის სიყვარული?

— საერთოდ სიყვარული არის ეგოისტური, ზღვარგადასული გრძნობა, ერთი ადამიანისაგან მეორის მილიანად ფლობის სურვილი. მაგრამ ის სხვა რამეცაა, მუდმივი სინაზე, ალერსიანობა და დაუკმაყოფილებლობის გრძნობაცაა.

შეიძლება ვინმე ძალიან გიყვარდეს და მერე ეს მეგობრობაში გადაიზარდოს, შემდეგ კი მეგობრობა სიყვარულში გაგრძელდეს.

— თქვენი აზრით სიყვარული უწყინარი გრძნობაა?

— არა. უფრო ხშირად სიყვარული ომია; ბრძოლაა, როცა ერთი მეორის დაპყრობას ცდილობს არის ეჭვიანობის, ფლობის, კუთვნილების ფაქტები გარეგნულად ყველაზე დიდსულოვან ქცევებში. როგორც ყველა ბრძოლაში, აქაცაა მსხვერპლი, ყოველთვის ერთს უფრო უყვარს, ვიდრე მეორეს; ერთი იტანჯება და მეორე იმით იტანჯება, რომ პირველს ტანჯავს. საბედნიეროდ, ყოველთვის ერთნი და იგივენი არ იტანჯებიან. ურთიერთობები იცვლება ხოლმე. მაგრამ არის ისეთი ალერსი, რომელსაც მეორესთან შერიგებისაკენ მიჰყავხარ, რომელიც ერთდროულად ნდობაცაა და ელეგანტურობაც. უბედურება ისაა,



რომ ადამიანი ცდილობს ერთ სიყვარულში ის მოიგოს, რაც სხვაში დაკარგა. ძალიან ცოტაა კმაყოფილი თავის მდგომარეობითა და მატერიალური ცხოვრებით. ისინი ამის ანაზღაურებას სასიყვარულო ურთიერთობების ხარჯზე ცდილობენ, რადგან სურთ ერთ სფეროში მაინც მოიგონ რამე. ფაქტიურად კი არაფერია მოსაგები. ყოველთვის მაშინ ხარ მოგებულნი, როცა გასცემ. როცა მოვლენებს თავის ნებაზე მიუშვებ. ზოგნი სასიყვარულო ურთიერთობებში „ტრიუკებს“ იყენებენ: პარტნიორს გარეგნულ თავისუფლებას აძლევენ იმ მიზნით, რომ პასუხი მოსთხოვონ, თუ მართლა უყვართ. მე ეს არ მომწონს. არსებობს გონების ბუნებრივი მდგომარეობა, რომელიც შეიცავს შეხედულებას, რომ, თუ ვინმე შენთან ცხოვრობს, თუ შენთან სძინავს და, განსაკუთრებით, თუ შენთან ერთად იცინის, ე. ი. უყვარხარ; მაშ რატომ უნდა იფიქრო, რომ მალე სხვასთან გაგაქცევა? არაა ლოგიკური?

— ადამიანთა ურთიერთობებში არის ლოგიკა?

— ვინმესთან ადამიანური ურთიერთობა ესაა მასთან თანასწორუფლებიანობა, სიყვარულის გარდა მასთან ნდობით საუბარი, ის, რასაც მეგობრობასაც უწოდებენ ხოლმე: საზარელია სიყვარული მეგობრობის გარეშე. თუ გიყვარს ის ხატი, რომელსაც მეორე ადამიანი გთავაზობს, ყველაფერი გაყალბებულია. ვინმეს სიყვარული მისი ბედნიერების სურვილიცაა. როცა კაცი გიყვარს, რომელსაც უყვარხარ, ამას ვაღიარებდიც მოჰყვება და უფლებებიც: მაგრამ, პირველ ყოვლისა, ვაღიარებდი. რაც საჭიროა, ის უნდა აკეთო, რომ ის, ვისაც უყვარხარ, ბედნიერი იყოს.

— თქვენ ყოველთვის ასეთი აზრი გქონდათ სიყვარულზე?

— სიყვარულის ჩემეული კონცეფცია არ იყო ასე განვითარებული. ყოველთვის ვფიქრობდი, რომ სიყვარული ძალიან მნიშვნელოვანია ადამიანთა ცხოვრებაში. მაგრამ თურმე არსებობდა სხვისი პატივისცემის, თაყვანისცემის რაღაც ცნება, ადამიანთა საყოველთაო გულნატკენობა, რომელსაც მოგვიანებით ჩავწვდი. არ ვიცოდი, თუ ადამიანი სიყვარულით შეიძლებოდა ავად გამხდარიყო. არ ვიცოდი, თუ ერთს მეორის გამო შეიძლებოდა ასე ძლიერ ეტანჯა, თუ შეიძლებოდა ასე უბედური, ასე სასოწარკვეთილი, ასე გამწარებული ყოფილიყო.

— ამას გვიან მიხვდით?

— ასაკს თუ გულისხმობთ, ცოტა გვიან მივხვდი. გავიგე, რომ არსებობდა აბსოლუტური ფორმები, რომლებიც აღრე შემზარავად მეჩვენებოდა, სინამდვილეში კი ცხოვრების საკმაოდ კარგი მანერა ყოფილა. სინაზეს — ამ სიტბოსა და მორჩილების ნარევს — გულის სიდრმეში უარყოფდი. სხვისი შეთვისება სულაც არაა ღირსება, ეს ინსტინქტია. ადამიანები, რომლებიც არ არიან მგრძობიარენი ისეთ რამეს გთხოვენ, რისი მიცემაც არ შეგიძლია. სინაზე, როგორც წესი, შინაგან ძალასთანაა დაკავშირებული. სიყვარული გაგებაა, ხანდახან ამას „ტრფიალსაც“ ეძახიან ხოლმე.

— სიყვარულში რა ადვილს ანიჭებთ სექსუალობას?

— მთლიანს და არავითარს. მეტად საჭიროს, მაგრამ არა ყოვლისმომცველს. როგორ ვაიანმა თქვა: „სიყვარული ისაა, რაც ორ შეყვარებულ პიროვნებას შორის ხდებათ“... დღეს ძალიან ბევრს ლაპარაკობენ სექსუალობაზე — რა მძიმე სიტყვაა კლინიკური, ფარმაცევტული, არა? სექსუალობა და სიყვარული მგონი სხვადასხვა რამე უნდა იყოს.

— თქვენი აზრით, არ უნდა ვილაპარაკოთ სექსუალობაზე?



— აღარ მახსოვს, ვინ თქვა: „ხშირად ვეძლევი სიყვარულს, მაგრამ მასზე არ ვლაპარაკობო.“ ეს მშვენიერი ფორმულაა. სექსუალობა, ეროტიულობა არაა საქვეყნოდ გამოსაფენი. ის ღამეული საიდუმლო ცერემონიაა, შავი და წითელი მესა; რაღაც უფრო წითელი, შავი და ოქროსფერი, რაღაც ღირსული. არის გრძნობები, საიდუმლოდ რომ უნდა დარჩეს: თავდავიწყება, მარცხი, მთლად გაშვილებული სახე, რომლითაც არ შეიძლება სიამოვნების დაძვრება... ძალიან მიყვარდა ადრინდელი მესები, ძალიან კარგი იყო, მაგრამ ფილმის შემდეგ ფილმად რომ გადაეღოთ, ეს უხერხულობაში ჩამაგდებდა.

— არ გიყვართ, როცა, თქვენი სურვილის მიუხედავად, ეროტიული სცენის მაყურებლად იქცევით ხოლმე?

— არა. ეს ის სფეროა ან ის შეთანხმებაა, სადაც არაა სინამდვილე; მინდა ვთქვა, რომ თეატრში, კინოში ძალიან უხერხულად ვარ ხოლმე.

— საინტერესოა. რატომ?

— რადგან ყველაფერი ყალბია: ცრემლები, დარდი, სიყვარული, ყველაფერი, სიამოვნების გარდა.

— არიან ქალები, რომლებიც საკმაოდ კარგად თვალთმაქცობენ. ამაზე კოლექტს ამაღელვებელი ფურცლები აქვს დაწერილი „ამ სიტკბოებაში“.

— ნამდვილი ფიზიკური სიამოვნება არაა ყალბი, მაგრამ, როცა მის წარმოდგენას ცდილობენ, წაბილწვის, მოურიდელობის სამარცხვინო გრძნობა მუუფლება ხოლმე. შეიძლება ეს იდიოტობაა, მაგრამ ასეა.

ახლაზან კერძო ჩვენებაზე ვნახე Sunday, Bleody Sunday, „ჩვეულებრივი კვირადღე“; და იმ ეროტიულ ფილმთა გვერდით, რომლებიც სტერეოტიპულად და მოსაბეზრებლად მეჩვენება, ახალგაზრდა კაცის ისტორია, რომელიც არც ქალია და არც კაცი, ბევრად უფრო გაბედულად, ბევრად უფრო ამაღელვებლად მეჩვენება, ვიდრე ყველა ფილმი, რომელიც იატაკზე მგორავ, გაპირუტყვებულ ხალხს გვაჩვენებს. და ამ, ასე რთულ, სიუჟეტში, საუცხოოდ მეჩვენა, რომ არ იყო ზიზღის გამომჟღავნების არავითარი კვალი არც რეჟისორის და არც მსახიობების მხრიდან.

— სცენა, სადაც მამაკაცი და ახალგაზრდა ვაჟი ერთმანეთს ტუჩებში კოცნიან, თქვენ არ გაცბუნებთ?

— არა. ეს არ მაწუხებს. ეს ბიჭი ორსქესოვანია. ის არც თავს იტყუებს და არც სხვებს ატყუებს. მას არა აქვს სირცხვილის საძაგელი გრძნობა.

— თქვენ, გულახდილობის მომხრე ხართ და ექსიბიციონიზმის წინააღმდეგი. მაგრამ თქვენ წერთ და არ არსებობს წერაზე უარესი ექსიბიციონიზმი...

— არაფერიც. არაფერია საერთო წერასა და იმ ფილმებს შორის, სადაც ლამისაა საბრალო, ქალზე გაწოლილი ბიჭის ხალები დათვალონ. წერა საგანთა ჭკრეტა და მათი გადმოცემაა. ამას სულაც არ მოჰყვება ხოლმე თავის თავზე ლაპარაკი. ეს ჭკუჭრუტანაა, გამადიდებელი შუშაა, მიკროსკოპია, თუ გნებავთ. მაგრამ, როცა რომელიმე სალონში ჩემი თანდასწრებით ორი პიროვნება არსიყობს და ერთმანეთს ტუჩებში კოცნიან, მე გული მიწვრილდება და სურვილი მიჩნდება მათ შინ დაბრუნება ვურჩიო, თავს ზედმეტად ვგრძნობ, ეს მათი მხრიდან მეტიმეტია, კინოშიც იგივეა. საუბედუროდ ფილმებში არ კვეცავენ არც ეროტიზმს, არც სისხლს და არც ძალადობას.

— იმას რასაც კინოში უარყოფთ, წიგნში დასაშვებად მიგაჩნიათ და, მგონი, გხიბლავთ კიდევ: „ო-ს ისტორია“... ყოველ შემთხვევაში. „ო-ს ისტორიის“ შემდეგ ძალაზიებში იმდენი სხვა წიგნი გამოჩნდა, რომლებიც არაა შედეგები



და ყველა ეს ფილმიც, რომელზეც ვისაუბრეთ. როგორ გვინათ ამ ბუნდოვან-  
მა ეროტიზმმა, როგორც უწოდებენ ხოლმე, გარდაქმნა ხალხი?

— ამან მათი ბუნება კი არა მათი პოზა შეცვალა. ისინი თავს ვალდებულად  
გრძნობენ, იყვნენ „სექსობები“, ისევე როგორც ვალდებულნი არიან იყვნენ  
გამხდრები, მზეზე გარუჯულები, ბედნიერი იერის მქონენი, ეს საშინელი და  
კომიკურია. როცა ვახშმის შემდეგ წყვილები თითო-თითოდ, გაფრთხილებიან ხო-  
ლმე, ვიცი, რომ ქმარი კაცს ითამაშებს (რა თქმა უნდა, თუ ქალი აქვს სა-  
ცოდავს, რადგან პარიზში ცხოვრება შშიშეა). და ცოლი ქალს, იკვილებს ხოლმე:  
ისინი სიამოვნებას, ურთიერთფლობას, ბატონობას, გარყვნილებას ითამაშებენ:  
ქალ-მონას და კაც-ტირანს, ან ღმერთმა უწყის, რას... ან დაიძინებენ. და  
ყოველთვის თავს ვეკითხები, ვინ ითამაშებს ადამიანს? არა მგონია, მათ სხე-  
ულებს ჰქონდეთ საურთიერთო ენა, შეეჭვება. ეს ექსიზიზიონიზმის და ფროი-  
დის თეორიის სულელურად გაუხეშებული და ცუდად ათვისებული ნარევი ქმნის  
სიყვარულით დაკავების ვალდებულებას, ან ამ კავშირის აფიშირებას, თუმცა  
შინაგანად ეს შეიძლება სულაც არ იყოს სასიამოვნო. დარწმუნებული ვარ, რომ  
ადამიანები ამ დროს საშინლად ატყუებენ ერთმანეთს. თუ საყვარელი არ გყავს  
ისე გიყურებენ, როგორც იმედგაცრუებულ ქალს ან როგორც საბრალო ტიპს.

— სიყვარული ან სიყვარულის აქტი, სავალდებულო...

— სიყვარულის აქტი სიამოვნების აქტია. ვინმე გინდა, ან არ გინდა. სექს-  
სუალობა გემოვნებაა. ეს არაა ვალდებულება. ვინმე ან გიყვარს ან არ გიყვარს.  
თუ საყვარელი არსება, ის, ვინც მოგწონს, შენთანაა, ეს კარგია. და თუ არაინ  
მოგწონს, რას იზამ? მარტო დაიძინებ. სხვათა შორის, საკმარისია სიამოვნე-  
ბის ძიება, რათა ის ვერ იპოვოს. და შეუძლებელია ფიზიკური და უფრო ხში-  
რად გონებრივი თანხმობის გარეშე ცხოვრება: ორ ადამიანს მოსწონს ერთად  
ყოფნა, გვიანობამდე საუბარი, ერთმანეთის სიტბოს შეგრძნება.

შიშის ხარს მცემს უსახლკრო ეროტიზმი, მბურძგლავს. ყველაფერი ჩაგო-  
ნებაშია და არა გამოწვევაში, რა მოწყენილობაა! რა ტვინმეზღუდულობა! თუ  
მართლა ეროტიზმი გვინდა სადს ან მაზოხს უნდა დავუბრუნდეთ. უნდა მიაბა  
ადამიანი კუთხეში: სცემო და ჭრილობებში მარილი ჩააყარო. მაგრამ აუტანე-  
ლია ყველგან სიყვარულის აქტში გართული შიშველი ხალხის ჩვენება: შუქით  
ან უშუქოდ, ღამის პერანგით ან უპერანგოდ, პიჟამოთი ან უპიჟამოდ, ლაპარა-  
კით, ყვირილით, მღუშარედ და ა. შ. რა უნდა მოგვიტანოს ამან? სექსუალობის  
ეს აფიშირება სიყვარულს მთელ მშვენიერებას უკარგავს. ადრე შეიძლებოდა რა-  
ღაც დაუნახათ ორ პიროვნებას შორის, რომლებიც ჯერ არ იყვნენ მიჩნეულნი  
საყვარლებად: რაღაც, რაც აფიქრებინებდათ: „უყურე შენ, მათ ერთმანეთი უყ-  
ვართ, მათ ერთმანეთი ხურთ“ და ეს ჩინებული იყო, ეს შეხედვა. ახლა კობა  
ადამიანები ერთმანეთისაკენ მიიჩქარიან, კოცნიან, თითქოს ყოველთვის საჭი-  
როა დაადასტურონ, თავის თავს დაუმტკიცონ...

— თქვენ რომანტიზმის ნოსტალგია გაქვთ?

— დღეს რომანტიზმი ლაგამამოდებული და დასჯილია და ეს სამწუხაროა,  
რადგან ყოველ ადამიანს აქვს სიყვარული და ყველა სიყვარულს რომანტიზმი  
თან სდევს, რომანტიზმი ხომ გულით ნაკარნახევი წარმოსახვაა.

— ფილემონი და ბორისი არსებობენ?

— ვფიქრობ, რომ არსებობენ, როგორც გამოჩაკლისები... განახლებულები.

— თქვენ რას ახლებთ ხოლმე?

— ბევრი სიყვარული არ მქონია ცხოვრებაში, ორი-სამი კი მაინც მქონდა.



სიყვარული წარმტაცია, მაგრამ ყოველთვის არა. ძალიან კარგად შემიძლია განვიცადო მძაფრი სიყვარული კრეტინიზადში, რომელიც ზევ ბრაზილიაში წამიყვანს. სავსებით შესაძლებელია, მაგრამ ფუი, ფუი, თვალი არ მცაქ. ჩემი ცხოვრების ყაიდიდან გამომდინარე კრეტინს შანსი აქვს ჩემი ბრაზილიაში წაყვანისა, მაგრამ ასეა თუ ისე, სისულელის ნიავე ერთ რომელიმე დღეს წამოუქროლებს ხოლმე ჩემს ცხოვრებას. ბრაზილიაში წასვლაზე უფრო დიდი სისულელის გაკეთება შეიძლება ამ სფეროში. ამგვარად, შეხედეთ, იქონიეთ მოთმინება ალკოჰოლის მიმართ და გარწმუნებთ, რომ ბრაზილიაზე უფრო შორეული მოგზაურობა გექნებათ. ოთახიდან გაუსვლელად შეიძლება ათჯერ შემოიარო მსოფლიო.

— თქვენი გამოცდილების მიხედვით, სიყვარული რამდენ ხანს გრძელდება?

— არასოდეს მქონია შეიდ წელზე მეტ ხანს გაგრძელებული სიყვარული: ამბობენ, რომ სხეული ყოველ შეიდ წელიწადში განახლდება ხოლმე. მშვენიერია დასაწყისში, შუაში კიდევ უფრო უკეთესია და ბოლოში... ეს იმაზეა დამოკიდებული, ვინ უფრო ადრე დაიღლება. ყველანაირად, ეს მოსაწყენია. არავინ მყვარებია ისე, რომ განშორების შემდეგაც არ მყვარებოდა. „შემდეგ“ ერთგვარი თავის მიბმაა უკვე არარსებულ სხეულთან. მხოლოდ თავიღა დადის... მაგრამ რჩება რაღაც, თარახავით. სიტყვის სევდიანი მნიშვნელობით არა. საპატის იარაა. ყველაზე ლამაზი მორთულობა.

— თქვენ ძალიან მორთული ხართ?

— აჰ, ალბათ ხუთი-ექვსი იარა-მორთულობა მაქვს...

— რას ფიქრობთ, ერთგულება აუცილებელია მიჯნურობისას, ან რას გვეტყვით ეჭვიანობაზე?

— თუ ერთგულება სიყვარულში შესაძლებლად და ცოტა არ იყოს ძნელად მიმაჩნია, ეჭვიანობა ის გრძნობაა, რომელიც შიშის ზარს მცემს. მე ვიცნობდი ეჭვიან ადამიანებს და ეს მათთვის საშინელებად, გამანადგურებლად მიმაჩნდა. ისინი იტანჯებიან, სხვებს ტანჯავენ და ყველაფერი მახინჯდება. ვფიქრობ, შეთვისებული და მამაცობად მიჩნეული ეჭვიანობა საშინელ დაავადებად იქცევა ხოლმე.

— თქვენ არ ხართ მესაკუთრე?

— არა, რადგან, რაც ადამის მოღმისათვის ყველაზე დიდ საშინელებად მეჩვენება, სიყვარულში იქნება ეს თუ ცხოვრებაში, სწორედ, ფლობის სურვილია. ყველაფრის თავის განკარგულებაში მოქცევა სურთ: ფულის, მდგომარეობის, ხელობის, და ავიწყდებათ სხვებისათვის უმცირესი თავისუფლების დატოვება. ავიწყდებათ სხვათა ბედნიერება. ისინი ძალიან არიან დაკავებული თავისი თავით, თავისი კარგად დაწყობილი საგნებით: ჯიბის ფულის უჯრით, გასართობი უჯრით, სიამოვნების უჯრით და ა. შ. საჭიროა, ყველაფერი ეს ერთხელ და სამუდამოდ მოწესრიგებული. ეს ფლობის სურვილით გამოკვეთილი უსაფრთხოებისაკენ მიხრაა.

— ეს არაა სიყვარული?

— სიყვარული ნდობაა. ეჭვიანობაზე დამყარებული სიყვარული უვარგისი სიყვარულია, რადგან ომში, ბრძოლაში ებმებიან. ცოტა დამატრობელია იმის შემჩნევა, რომ ეჭვიანი ბატონი შენით ინტერესდება, ეს მართლაც სიყვარულის გამოხატულებაა, მაგრამ ნამდვილად უვარგისი ხერხია. სავალალოდ მიმაჩნია ეჭვიანობის პატარ-პატარა თამაშები. მე სიყვარული-ნდობის მოძხრე



ვარ მთლიანად და კიდევ, თუ მოტყუებული ხართ, მით უარესი. ეს მატყუარებს უფრო ძვირად უღირთ, ვიდრე მოტყუებულს. ისეც ხდება, რომ ბევრი ადამიანი სიყვარულში პაროქსიზმას ეძებს და ეჭვიანობას იყენებს მის მისაღწევად. მათი პარტნიორები მოხიბლულნი არიან მძვინვარებით. ეს ადამიანური ურთიერთობანი კი არა ბატონისა და მსახურის, ჯალათისა და მონის ურთიერთობებია.

— თქვენ არ სთხოვთ თქვენ საყვარელ კაცს, რომ თქვენი ბატონ-პატრონი იყოს?

— მართალია, თუ ქალი თავისი საყვარელი მამაკაცისაგან დაფასებასა და მფარველობას არ გრძნობს, ის ძალიან უბედურია. სინამდვილეში ეჭვიანობა მზიარული უნდა იყოს, კაცმა თავშესაქცევი სცენები უნდა მოგიწყოს. მაშინ იგრძნობ, რომ ეს ცოტა არ იყოს სერიოზულია, რომ მან შეამჩნია, რომ ცოტა უცხოთაგანით უყურებენ, მაგრამ არაა აუცილებელი ყოველთვის ვერაგული სცენების მოწყობა.

— თქვენ დაფარული ეჭვიანობის მომხრე ხართ... და თუ მან იფეთქა?

— ეჭვიანობა უნდა ძალის თავისი ეჭვიანობა, თორემ გაქცევა, წასვლა მოუწევს. გაქცევა სასარგებლოა ეჭვიანისათვის; ის ზედმეტი ტვირთისაგან თავისუფლდება, რადგან ეჭვიანობა თვალწინ ყოფნით იკვებება. თუ საყვარელი არსება შენ გვერდითაა, მას ეძებ ქალაქში, ყველგან, ეს რეფლექსია. თუ ის ჯანდაბალია გადაკარგული, აღარაფრის გაკეთება შეგიძლია, წარმოსახვა გიშრება... და გადარჩენილი ხარ!

— თქვენ ეჭვიანი ხართ?

— ეჭვიანი არ ვარ. მაგრამ იძულებული გამხადეს მეეჭვიანა, რადგან აშკარად დამანახეს ლალატი. მე თვითონ არ მიძებნია შემთხვევა, ერთ დღეს შევხვდი ჩემ შეყვარებულ კაცს ქალთან ერთად, რომელიც პროვინციულ მეგობრად გამაცნო, მეც დაუუჯერე, ყველა მატყუარასავით მეც მიაბიტი ვარ. ჩემს მეგობრებს სამგლოვიარო იერი ჰქონდათ.

— და თქვენ იეჭვიანეთ?

— სინამდვილეში ტკივილი, რომელიც განვიცადე, სულაც არ იყო ეჭვიანობა. უფრო გულგატეხილი ვიყავი, ვიდრე მოტყუებული. ვფიქრობდი: „სისულელე ჩაიდინა! რატომ, რატომ ჩაიდინა ეს? რატომ არ გამომიტყდა?“

— განა ეს არაა ეჭვიანობა?

— ალბათ, ეს ის გრძნობაა, მე რომ არ მიყვარს და ყოველთვის ვცდილობ, ჩემს თვალში გადავაკეთო, შევცვალო გულგატეხილობად, ან წყენად; მაგრამ სინამდვილეში საკმაოდ ეჭვიანი ვიყავი.

— ამას ძალაუფლით...

— ყოველთვის უნდა დამალო რაღაც, ეს თავაზიანობის უმცირესი გამოხატულებაა: ასეთ დროს მე ყოველთვის ზიზღს ვგრძნობდი, რაც კი არ აცხოველებს ჩემს ვნებას, არამედ კლავს.

— ტყუილებს თუ ჰყოფთ ხარისხებად?

— თუ კაცი გატყუებს, ამას სხვებს უყვება და ამაზე შენს ზურგს უკან იცინის, ე. ი. ის მართლა გატყუებს. თუ ეს პიროვნება შენი მეგობრების წრიდანაა და იქ ასე თუ ისე მტრული განწყობილება სუფევს, ამას, ჩემი აზრით, ვერავის აბატიებ. თუ კაცი ქალთან ერთ საათს გაატარებს, თუ მას არ იცნობს, თუ იგი არ აინტერესებს, რა მოხდა მერე? ეს დიდი არაფერია. გასაბრაზებელი ისაა, როცა შენი საყვარელი კაცი სხვა ქალითაა „დაინტერესებული“. ბოლოს და ბოლოს მე შემეძლო ორი ან სამი დღე არ დამეძინა, ბალიშში ცხვირჩარჭობილს



შექვითინა ეჭვიანობისაგან, მაგრამ, ასევე, შემქმლო მთელი კვირა არ დამეძინა, თუ ბედნიერი ვიყავი.

— ესაა ბედნიერება?

— დიახ, ესაა ბედნიერება; ჭამა არ გჭირდება და ძილი. მთელი ღამე ჩიტების ვით ფხიზლობთ. ეს ფაქტიური, არსებული მდგომარეობაა. ეს უთვალავი წუთების მოულოდნელი წყალობაა. კარგია ბედნიერებით აღსავსე სახეებზე დასწრედ დეს უყვარდე (მათ აქვთ რაღაც შორეული, მზერა-არ ვიცი-ნოსტიკალიზმის ზუსტი ერთდროულად).

— შეგიძლიათ ბედნიერების უფრო ზუსტი აღწერა?

— ბედნიერება ისაა, როცა არ გრცხვენია იმის, რასაც აკეთებ, როცა არც ამაყი ხარ და არც მორცხვი, როცა შენს ტყავში ეტევი, როცა ერთობი და საუბრობ საყვარელ ადამიანებთან. და როცა არის ზღვა, მზე და ბალახი...

— თქვენ ბედნიერებაში კარგად გრძნობთ თავს, მაგრამ, რაც გინდათ, ის თქვით, და არის ხალხი, რომელიც უბედურებას უკეთესად ეგუება და ამით იკვებება.

— მე თავს უკეთ ვგრძნობ ბედნიერი, ვიდრე უბედური. კი, არსებობენ ადამიანები, ვისაც თავისი უბედურება უყვართ. მე მძულს უბედურება. მგონია, რომ უფრო ინტელიგენტი, უფრო ადამიანური და უკეთესი ხდები, როცა ბედნიერი ხარ. უბედურება გაავადმყოფებს, წელში გტეხავს.

— ბედნიერების ბევრი ფორმები არსებობს?

— ბედნიერების ორი ფორმა ბედნიერება-შემთხვევა, კენჭით თავში რომ დაგეცემა — სიყვარული; რაო ჰო, გაზვიადებული სიყვარული. არის ბედნიერების სხვა ფორმაც-ცხოვრების სიყვარული, სიცოცხლის პატივისცემა. როგორც წესი, თუ პატივს სცემ ცხოვრებას, ისიც ამით გიპასუხებს.

— სწორედ თქვენი შემთხვევაა, არა?

— ძალიან მიყვარს სიცოცხლე. ჩვენ ძალიან დიდი ხნის ფლირტი გვაქვს.

— და ქორწინება? შეესაბამება იგი სიყვარულს?

— ვფიქრობ, ქორწინება კარგი რამეა. ერთად ცხოვრება, როცა ერთმანეთი გიყვარს, იდეალურად მეჩვენება. მაგრამ თანაცხოვრება საშინელი რამეა. არსებითად ქორწინება ძალიან მარტივ პრობლემას სვამს: ან ურჩევნიათ ვინმესთან ცხოვრება და დათმობებზე მიდიან, ან ერთად ყოფნის მოწყენილობა აჭარბებს გვერდი-გვერდ ყოფნის სიამოვნებას.

— თუ ვინმესთან ცხოვრებას ირჩევენ რაღაცის დათმობის ხარჯზე, რატომ არაა ეს შესაძლებელი მთელი ცხოვრების მანძილზე?

— სიყვარული მთელი ცხოვრების მანძილზე შესაძლებელი უნდა იყოს. ყველაფერი შესაძლებელია.

— ფილემონი და ბორისი? რა პირობებში არსებობენ ისინი, თქვენი აზრით?

— არ არსებობს რეცეპტი ხანგრძლივი და ბედნიერი სიყვარულისა.

— ასეა თუ ისე, თქვენ ბევრი ქმარი გყავდათ. როგორი ურთიერთობები გაქვთ ახლა მათთან?

— მე ჩემი ქმრების მეგობრად ვრჩები. ყოველთვის ერთი და იგივე მეგობრები მყავს. კაცებისთვის რაღაც საბავშვო ბაღის მსგავსი უნდა გააკეთოს ადამიანმა... ბოლოს და ბოლოს... შეიძლება ძალიან გამრავლდნენ.

— თქვენი აზრით, რა მომენტში ხვდებიან, რომ ურთიერთობა დამთავრებულია?

— იმ წამიდან, როცა მობეზრდებით, როცა მოწყენილობისგან აცახცახ-



ხებთ, როცა სცივათ, როცა თავს კარგად ველარ გრძნობენ, საჭიროა ურთიერთობის გაწყვეტა. თუ ერთად რჩებიან, შინაგანად ნადგურდებიან და პარტნიორს ტკივილს აყენებენ, რადგან მან არ შეიძლება არ დაინახოს და არ იგრძნოს ეს. ანდა ეჩვევიან თავისი თავის ან სხვის ტანჯვას, რაც ხელაღ არაა კარგი.

— მობეზრება სერიოზული მომენტია?

— მობეზრება მიკრობივითაა. თუ ქალი მეტყვის: „მეწიფეფლდ: ვარ ქმარი თავს მაბეზრებს, ბავშვები მაღიზიანებენ“. მე ვუპასუხებ: „მეწიფეფლდ: ვარ ქალი თავს მაბეზრებს, ბავშვები მაღიზიანებენ“. მე ვუპასუხებ: „მეწიფეფლდ: ვარ ქალი თავს მაბეზრებს, ბავშვები მაღიზიანებენ“. მე ვუპასუხებ: „მეწიფეფლდ: ვარ ქალი თავს მაბეზრებს, ბავშვები მაღიზიანებენ“. მე ვუპასუხებ: „მეწიფეფლდ: ვარ ქალი თავს მაბეზრებს, ბავშვები მაღიზიანებენ“.

— ეს თქვენ თითქმის გარდაუვალად გეჩვენებათ?

— დიახ. რაღაც დიდი და მნიშვნელოვანი მოტივი უნდა არსებობდეს, რომ ხუთი, ექვსი, შვიდი წლის თავზე ადამის შვილი გრძნობებისაგან არ დაცარიელდეს უწარმოსახვოდ არ დარჩეს. მშვიდი ხასიათი კარგია იმ მომენტამდე, სახამ სურთ, რომ რამე ხდებოდეს. სხეულის უჯრედები ყოველ შეიქმნეწადში იცვლება, რატომ უნდა დარჩნენ უცვლელნი გულის უჯრედები?

— მაშ, ვერაფერს გავხდებით?

— ერთი გამოსავალი მაინც არსებობს: ქმარი საყვარლად უნდა აქციოს. ამისათვის ჯერ გაშორებაა საჭირო (უკეთესი გამოსავალი დაუქორწინებლობაა). მე ორჯერ ვიქორწინე მერიაში. პირველად მჯეროდა ქორწინებისა. მჯეროდა საყვარელ კაცთან ცხოვრების აუცილებლობა, მეგონა, რომ ეს დიდხანს გაგრძელდებოდა. მეორედ ეს საყვარელის და ჩემი ვაჟიშვილის მიმართ პასუხისმგებლობის გრძნობის გამო გავაკეთე. ბავშვს ველოდი. ბობი ჭკუაზე აღარ იყო სიხარულით, დედაჩემი კი სასოწარკვეთილი იყო, რომ მისი ქალიშვილი დედა გახდებოდა.

— ეს ალბათ არ იყო იდეალური ქორწინება?...

— რატომაც არა? მე ბობი სხვებს მერჩია. იდეალურია, როცა ყოველ დღით და ყოველ საღამოს ის კაცი გირჩევნია სხვებს, ვისთანაც ცხოვრობ. ერთმანეთის საკმაოდ ცხოველი სურვილი უნდა გქონდეთ. ამას რომ მიაღწიოთ. არის საღამოები, როცა გეძინება, როცა მხოლოდ შენი თავი გიყვარს, შენი ჩამინებული თავი. ჩვეულების ძალით იცი, რომ ვიღაცასთან ერთად უნდა დაიძინო, რომელიც ან მოძრაობს, ან არა, რომელიც ან ძილში ლაპარაკობს, ან მკვდარივით სძინავს. ეს ერთმანეთის შეცნობის საშუალებაა. ხორციელი საყვარული შენს ქმართან ერთად უკეთ გაძინებს, თუნდაც მას უკვე ხუთი წელი იცნობდეს, ვიდრე გარი კუპერთან. ღმერთო ჩემო! საცოდავი... გარდაიცვალა... ან არ ვიცი, კერკ ღუგლასთან ერთად.

— ესაა კარგი ქმარი?

— არსებითად კარგი ქმარი კარგი საყვარელია. შეიძლება ასეც ვთქვათ. ქმარი კარგი საყვარელია, ვისთანაც ლეგალურად ხარ დაკავშირებული. მე ვერ ვხედავ არსებით სხვაობას ქმარსა და საყვარელს შორის. როცა ქალები თავს ვერ ირჩენდნენ, ქმარი საჭირო იყო ცხოვრებისათვის. მაგრამ ახლა, ქმარი ან რეგულარული საყვარელი ერთი და იგივეა.

— მაგრამ უნდა აირჩიო, ვინ უკეთესია: კარგი ქმარი თუ კარგი საყვარელი?

— ცინიკოსი რამ ვიყო, გიპასუხებდით: უნდა გვაფდეს კარგი ქმარიც და კარგი საყვარელიც, მაგრამ რადგან ცინიკოსი არა ვარ, გეტყვით, რომ უნდა



გყავდეს კარგი ქმარი-საყვარელი, კარგი მხიარული მეგობარი. ან კარგი საყვარელი-ქმარი, ან უფრო მეტიც, მაგალითად სამივე!

ერთ მოვლენას უნდა გაეხვას ზაზი: ქალები, როგორც წესი, ქმრებს უფრო დიდხანს ინარჩუნებენ, ვიდრე საყვარლებს. ეს უეჭველად იმის საწინააღმდეგოა, რაც ჰგონიათ. საყვარელი უფრო კოპებშივეყრილია უფრო ეჭვიანი და ჩვეულებების უფრო მკაცრი დამცველია. გაგიტაცებს თავაზიანი, ალერსიანი ან სება და აღმოაჩენ აუტანელ ჯალათს. ის კია, რომ საყვარელს ქმარს უფრო სუსტი და ხეჭვო მდგომარეობაში მყოფია. ქმარს შეუძლია საწოლში გადაბრუნდეს და ცოლს ზურგი შეაქციოს; ის თავის სახლშია. არაფრის ეშინი; დარწმუნებულია, რომ თავისი საწოლი ისევ დახვდება დასაძინებლად, და კაცებმაც ქალებით იციან შეჩვევა. აქაა, სხვათა შორის, შეუსაბამობა! ქმარი, რომელიც თავს მთელი ცხოვრება დაქორწინებულად გრძნობს, რომელიც შენში დარწმუნებულია, ალბათ შენზე ადრე დაიძინებს... კარგი ქმარი უნდა აეჭვიანოს — ისევე როგორც სულ ერთია ვინ, ნაზად უნდა აეჭვიანოს, მაგრამ მაინც უნდა აეჭვიანოს. მხოლოდ სულ უნდა ფიქრობდე და გწამდეს, რომ მასთან ერთად გალევ ცხოვრებას...

კაცებს უფრო თავისი ჩვევები, მაგრამ არა დარწმუნებულობა. რაც შემეხება მე, ბედნიერების ძალიან დიდი სურვილი მაქვს. არარეალურ სურვილებს არ დავდე. ვფიქრობ თავისუფლება გასართობად და ასაღელვებლად თავის თავისუფლად მიშვებაა. როგორც ფოლკნერი წერდა: „უკეთესი არა არის რა, ვიდრე იცხოვრო შენთვის ნაწყალობებ დროში, ისუნთქო, ცოცხალი იყო და ეს იცოდე.“ რადგან ბედნიერების ძიება ყოველთვის აქ მყოფ სიკვდილის იდეასთან ერთად ცხოვრებაა. ეს იდეა, სხვათა შორის, სულაც არ მგერის ზიზღს. იგი ყველა ადამიანური ქმედების საუკეთესო სახეობია. უიშისოდ, რომელიც ყველაფერს აჩერებს, ადამიანებს მოთხოვნილებები არ ექნებოდათ. და კიდევ იგი მასტიმულირებელი იდეაა.

— ჩანს, საკმაოდ კარგად შეეგუეთ სიკვდილის იდეას?

— მაგრამ სიკვდილი ყველაზე უარესი რამაა. საზარელი. იცით რა მომდის ზოლზე? — დამე მელვიძება და ვამბობ — ეს იდიოტობაა—არ ვიცი რატომ: „ჩემო პატარავ, ერთ დღეს შენ აქ აღარ იქნები.“ ოჰ! ეს საშინელია! ვერავინ შეძლებს დამით, თუ სულ ერთია რა მომენტში, ფიქრისას ამ საშინელი, ყოველდღიური სიკვდილის გზის შეგუებას.

— და არავის თქვენთან ვინმეს ყოფნა არ გახდის მას თქვენთვის ნაკლებ შემზარავს?

— ცოტათი შეიძლება ვინმემ გაიზიაროს; შეიძლება ერთი წუთით ვიღაცის მხარზე დააყრდნოს თავი...

— გახსენდებათ „ოქროს თავი?“ ხელესტის სიკვდილის მომენტი? მათ უსაზღვროდ უყვართ ერთმანეთი (და მაინც კარგად სჩანს, რომ ერთი კვდება და მეორე არა. ვერაფერს გახდება: ისინი მარტონი არიან. მომაკვდავს მერისადმი სიძულვილი გაუჩნდა და ეუბნება: შენ ჩემთვის არაფერს აკეთებო.

— რემბოსაც ასე დაუმართა, როცა იგი მარსელის საავადმყოფოში კვდებოდა, დას უთხრა: მე მალე მოვკვდები, შენ... შენ კი ივლი მზის ქვეშ, ცოფისაგან გაგიფებულო.

— და თქვენ?

— ხანდახან საწოლზე გამოტილი ვფიქრობ, რომ ახლავე მოვკვდები, რომ ჩემს გარშემო მყოფი ადამიანებიც მოკვდებიან. ეს სურვილს მიჩენს, ათასი რამე წამოვიწყო. ხშირად, როცა ჩემთან მოსაუბრეებს ვუსმენ, უეცრად გავი-



ფიქრებ ზოლმე, რომ ისინი მალე მოკვდებიან, და მაშინ განსაკუთრებული გულსყურით ვუსმენ ზოლმე. მე მათ უფრო შეზღუდულებს ვხედავ, ვიდრე არიან, ვიდრე ჩვენ ყველანი ვართ. და სურვილი მიჩნდება თავიდან ავაშორო მათ ეს კომედია; ვკითხო, რატომ დელავენ, რატომ აღიქვამენ თავს თავს ასე სერიოზულად, რატომ აქვთ თვითკმაყოფილი იერი? მინდა ვუთხრა ის, რაც მათთვის უმთავრესი. მინდა, დალიონ. მიყვარს მოუხელთებელი და ცფემერული მომენტები, როცა რამდენიმე ჭიქის შემდეგ ადამიანები ტარტუფლები ტრალაცებზე თავს დებენ, როცა თავისი ტანსაცმლისაგან, თავისი თეატრისაგან თავისუფლდებიან: ყველა ნილაბი ჩამოხსნილია და ბოლოს და ბოლოს ისინი სიძარტლეს ამბობენ. შეიძლება მეტაფიზიკაზე ილაპარაკონ. განუწყვეტლივ პროვოცირებულები არიან მეტაფიზიკით.

— და ღმერთით?

— ღმერთი ალბათ გამოსავალია, მაგრამ არა ჩემთვის. მორიაკი ამბობდა, რომ მე ბევრად უფრო ახლო ვარ მადლთან, ვიდრე ზოგიერთი მორწმუნე — ძალიან მიყვარს მორიაკი, მას არაჩვეულებრივად მკვირცხლი გონება აქვს. ჩემში, ჩემს ცხოვრებაში ის მომწონს, რომ დაუკმაყოფილებელი ვარ, სულ რაღაც მეძახის.

— არახოდეს ყოფილხართ მორწმუნე?

— რა თქმა უნდა, მე მწამდა ღმერთი, ჩემი ახალგაზრდობა მონასტერში გავატარე. შემდეგ დავიწყე სარტრის, კამიუს კითხვა და, როცა ლურდში წამიყვანეს, ამით დამთავრდა ჩემი მორწმუნეობა. ცამეტ-თოთხმეტი წლისამ უარვყავი ღმერთი, აშკარად, ხმამაღლა, როგორც ამ ასაკს შეეფერება.

— მას შემდეგ ღმერთი პრასდროს დაგკლებიათ?

— რწმენა ზოგჯერ საშინლად აძარტივებს ცხოვრებას, ზოგჯერ კი ერთულებს. მე არაფერი მაქვს ქრისტიანთა საწინააღმდეგო. ყველა ადამიანი, რომელსაც სიყვარულის გრძნობა გააჩნია, პატივისცემის ღირსია, მაგრამ მე დღეს ათეისტი ვარ. მე უფრო ფოლკნერივით ვფიქრობ, რომ „უჭმად ყოფნა შობს ყველა სათნოებას, ჩვენს ყველაზე უფრო ასატან თვისებებს: ჭერეტას, ზომიერ ხასიათს, სიზარმაცეს, ადამიანთა მშვიდად ყოფნას, გონებრივი და ფიზიკური საკვების კარგ მონელებას...“

— საკმაოდ საინტერესოა თქვენი ლეგენდა და ქალაქელი ქალის ლეგენდა: დამე აღკოპოლი და ა. შ. თქვენ კი საუბრობთ ბედნიერებაზე, ბუნებაზე ისე, როგორც ბუნების წიაღში, სოფელში მცხოვრები ილაპარაკებდა. სადაა თქვენი ფესვები?

— თაყვანს ვცემ სოფელს, მე იქა ვარ გაზრდილი. თხუთმეტ წლამდე აქ ვიზრდებოდი და შემდეგ ძალიან ხშირად ჩავდიოდი და ახლაც ჩავდივარ. მიყვარს ცხენზე ჯდომა, კილომეტრებზე სეირნობა კაციშვილის უნახავად. მიყვარს მდინარეები, მიწის სუნი. მე მიწიდან მოვდივარ.

— სად გირჩენიათ ცხოვრება?

— ყოველთვის დიდი სურვილი მქონდა სოფელში დიდი, მრავალთახიანი საკუთარი სახლი მქონოდა ...საიმედო ადგილი, ნავთსაყუდელი, სადაც ლუზას ჩავუშვებდი. სიკვდილის არ მეშინია, მაგრამ როგორც კი სურდო მეძარტება ვსევდიანდები... მხოლოდ ძველი სახლები მიყვარს.

— ნორმანდიაში კიდევ გაქვთ ის სახლი?

— ჩემი ეკემორვილის სახლი ერთადერთია, რისი შენარჩუნებაც შევძელი. საგნები მისხლტებიან, ხელიდან მივარდებიან. ეს სახლი თავის მოგიფიანების ერთ დღეს შევიძინე და ყოველთვის ვინახავდი. ქარი გასდი-გამოსდის, ნახევ-



რად დანგრეულია, მაგრამ ლამაზია, სასიამოვნო და განცალკევებული. XIX საუკუნის სახლია, ძალიან გრძელი, სავსე სათავსოებითა და ოთახებით. ის ლუსიენ ვიტრის ეკუთვნოდა; იგი ხშირად იგონებს მას, ალფონს ალესიცი იხსენებს ამ სახლს თავის წიგნებში. ძალიან მიყვარს ცხოველები. ყოველთვის მყავდა ძაღლები, კატები. აჰ! ძაღლები. მათთან ერთად კოცონთან ვერ ვაიბებო. ისინი საუკეთესო ადგილებს იკავებენ. ერთ საღამოს მონპარნასზე ვიყავი ღამის ბარში, მეგობრებთან ერთად; მახსენდება, განსწავლული ძაღლები მონპარნაში იყო. ჩემი იუკი (გაურკვეველი ჯიშის ძაღლი, რომელიც, ცხოველთა დაცვის საზოგადოებაში ამოვირჩიე და რომელიც მიყვარდა და შემდეგ დამეკარგა), რომელიც ბარში საგანგებო პროტექციით შემოვაშვებინე, თავიდან ჭკვიანად იჯდა და ჩემს მუხლებზე თავდადებულს ეძინა, უეცრად შეხტა, გაიღვიძა, სცენაზე ავარდა და თავის განსწავლულ კოლეგებს გამოეკიდა. შესანიშნავი იყო.

— მხოლოდ ძაღლები და კატები გყავთ?

— ერთ დღეს, დიდი ხნის წინათ, ცხენი მომცეს: პინპინი. აბანოს ჭია ჰყავდა. მისი მეინახვობის გასაწევად ვირი ვიყიდე, მაგრამ პინპინი მოკვდა და ვირმა მოიწყინა, მაშინ ცხენი ვიყიდე, რომელიც, თავის მხრივ როცა ვირი მოკვდა, მისი დაკარგვით დახეუდიანდა. მერე სხვა ვირი ვიყიდე... (დღეს ეს ორი ერთმანეთს ისე უგებს, როგორც დორელი და ჰარდი.

— თქვენი გემოვნების სიის დასასრულებლად ცოტა მუსიკაზე და მხატვრობაზეც ვისაუბროთ...

— ძალიან მიყვარს მუსიკა. მე იმ ადამიანებს ვეკუთვნი, ვისაც ყური უფრო განვითარებული აქვთ, ვიდრე თვალი. ცხოვრებისათვის საჭიროა სონორული სიღრმე და რაა უფრო მშვენიერი პიკ-აფის ინვენტიაზე; მუსიკა უშუალოდ ხელმისაწვდომია, შეგიძლია მთელი დღე გაძღე. მხატვრობით გაძღომა კი მუზეუმების დათვალიერებას ნიშნავს, გადაადგილებას, ხალხის მასაში არევას, ზედამხედველის შორიდებას, თუ სიგარეტს ეწევი...

ჩემი სიზარმაცე მიცავს. თავში წარმოსახვითი მუზეუმი მაქვს, წარმოსახვითი ფერები. წერილს ჩემს საკუთარ ტილოებს ვქმნი. მაგრამ მუსიკა როგორ შევქმნა ხელახლა ჩემს თავში? ჩემში არ ხშიანდება სიმფონია დაძინებისას. თვალების დახუჭვისთანავე კი არც მეტი არც ნაკლები, მზეს ვხედავ.

— როგორი მუსიკა გირჩევნიათ?

— მიტაცებს მოცარტი, მაქვს პერიოდული გატაცებები: მალერი, ოპერა. როცა „ტრავიატა“ ვნახე ნიუ-იორკში, ჩემში მზის ჩასვლა მოხდა; იცით, ერთი ტილო მაქვს, რომელსაც „საღამო ოპერაში“ ვქვია, ის მაცინებს. არაა ცნობილი მხატვრის, როგორც, სხვათა შორის, ის ტილოებიც, რომელიც მე მაქვს. ერთი ჩემთვის ძალიან საყვარელი ნახატი მაქვს: ზედ პოლანდიელების პურობაა გამოსახული. სტუმრებს მასზე თვალი უჭირავთ ...ნამდვილი გიჟები არიან. ყოველ შემთხვევაში მთლად გააფრინეს. სპილენძის ფირფიტაზე ამოვატვიფრინე წარწერა, როგორც მუზეუმებშია ხოლმე: „პურობა ვან ზეენზენტთან“, აღმოჩნდა ხალხი, რომელიც მისი ნახვისას გულშიჩამწვდომი იერთ მეუბნება: „აჰ, თქვენ გაქვთ ვან ზინ-ზინი?“ ხო, მართლა მხიარული ისტორიაა?

— კი. თქვენ მხიარულობაზე საინტერესოდ საუბრობთ, მე მეჩვენება, რომ იშვიათად ლაპარაკობთ ძალიან მნიშვნელოვან თემაზე-თქვენს ფაუნზე. თქვენ ხომ გყავთ შვილი.

— მე ვიცი, რა არის — იყო ახალტოტაყრილი ხე: ესაა შვილის ყოლა.

— გინდოდათ შვილი?

— შეილზე ვოცნებობდი. სხვადასხვა სასურველ სურათებს წარმოვიდგენ-



დი ხოლმე: ვხედავდი პლიაჟს და ჩემს თავს პლიაჟზე (პატარა ბიჭუნასთან ერთად. ეს ეპინალური ხატი იყო. და ეს მე ვიყავი, უფრო მეტი იყო ვიდრე კაცია, ვიდრე ბავშვია.

— შეშდევ ეს რეალობა გახდა?

— როცა დაიბადა და როცა ხელში მომცეს, პირველ წუთებში, რაღაც წმინდად ფიზიოლოგიური მოხდა, რაც ექიმებმა იციან და კრეტიციტელები, ვერ შეიცნობენ. მქონდა ექსტრაუვაგანტურეიფორული შეგრძნებებ [შეგრძნებები] კამგვარი გრძნობა მშობიარობისას უფრო უნდა მქონოდა, ვიდრე ბავშვის დანახვისას; მაგრამ ერთი საათის განმავლობაში ძალიან ბედნიერი ვიყავი. შეშდევ დამეძინა და თხუთმეტი დღე დებრესირებული ვიყავი. ექიმები ამასაც ხსნიან: ეს ფიზიკური გადაღლილობის ამბავია და არა ფსიქიკურისა. ყველა ქალი განიცდის ამას.

— ყველას ერთი და იგივე მოსაზრება არა აქვს (ბავშვის ყოლაზე. თქვენი მოსაზრებები როგორი იყო.

— ბავშვის ყოლა ძალიან ძველი, პრიმიტიული და ველური ინსტიქტია, რაც იმაში მდგომარეობს, რომ სურთ თავისი შექმნილი ადამიანის დანახვა.

— გგონიათ, რომ ყველა ქალს უნდა ჰყავდეს შვილი?

— ვფიქრობ, რომ თუმცა ბავშვი ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ ქალს თუ შვილი არ ჰყავს, ის შაინც ქალია. ის ქალია, თუ ვინმეს უყვარს. არის ხალხი, რომელიც ძალიან კარგად ცხოვრობს სრულადად მარტო, მუხლებზე გაწოლილი, ატრიების ჭამით გართული ბებერი კატით, მოხუცი, ეგოისტი ქალი თავისი ბებერი, მასთან ათასი კავშირებითა და ჩვეულებებით მიჯაჭვული კატით, და ქალი, რომელიც სულ შვილების ყოლაზე ოცნებობს.

— დედობრივი გრძნობა ან აქვთ, ან არა. თქვენ როგორ ფიქრობთ, გაქვთ?

— თუ დედობრივი გრძნობა მოიცავს შვილის სიყვარულს, მაშინ მაქვს. თუ ეს გრძნობა შვილს, როგორც საკუთრებას განიხილავს, მაშინ არ მაქვს.

— როგორი ქედა ხართ?

— ვკანკალებ, როცა ის ავადაა; ხშირად ვფიქრობ მასზე, როცა ჩემთანაა, აღფრთოვანებული ვარ, თუ ჩემთან არაა. ვწუხვარ, მაგრამ მე არა ვარ დედაკრუხი. მან ჩემი ცხოვრება შეცვალა-ყურადღება უნდა მივაქციო რაღაც-რაღაცებს, რაც ადრე ჩემთვის სულ ერთი იყო. როცა თვითმფრინავში ვჯდები, ავიაკატასტროფაზე ვფიქრობ, თავს ვიზღვევ; მაგრამ ცხოვრებაში პირველად, დენისის მიმართ მაქვს გრძნობა, რომ ისეთი ვინმეს წინაშე ვარ, ვისაც ჩემი განსჯის უფლება აქვს. ჩემთვის ეს საკმაოდ ექსტრაორდინალური გრძნობაა. შენს ცხოვრებაში ჩნდება თვალი, რომელიც ზუსტად ისე გხედავს, როგორადაც გინდა რომ გხედავდნენ. დენისი ყურადღებით, მოლოდინით და სიმპათიით მიცქერის.

ეს მზერა მაგრძნობინებს, რომ აღარ მაქვს სიკვდილის თავისუფლება, რომ ძალიან ბევრი რამეა, რაში დახმარებასაც, რის გაგებასაც და ჩემით დაწყებასაც მოითხოვს იგი.

— თქვენ ეს ბედნიერს გხდით?...

— ყოველივე ამის შედეგი ისაა, რაც არ უნდა პარადოქსული იყოს, რომ ერთდროულად პასუხისმგებლობასაც ვგრძნობ და უფრო ბედნიერიც ვარ. უფრო მზიარული, უფრო უზრუნველი. უნდა ვთქვა, რომ დენისის დაბადებამდე ბევრს ვწუხდი უმნიშვნელო საგნებზე. ახლა როცა ის აქაა, მე ერთადერთი მნიშვნელოვანი საზრუნავი მაქვს და ეს ყველაფერს ამარტივებს.



— როგორ ზრდით?

— საჭიროა ბავშვს სოლიდური საყრდენი წერტილი ჰქონდეს: თავისი ოთახი, სათამაშოები, სკოლა. ჰყავდეს ხალხი, ვისთანაც ცხოვრობს. ამხანაგები, ვისთანაც თამაშობს. ის არ უნდა იყოს მშობლების პირადი ცხოვრების მოწყვეტილი, ამ შემთხვევაში ჩემი ცხოვრებისა. დრო და დრო თითებზე წარტყმაც საჭიროა, ყურის აწევაც, თუ ცუდი ნიშნები აქვს... (მაგრამ ყველაზე მეტად სიყვარულია საჭირო, ბავშვი სითბოში უნდა იზრდებოდეს: სითბოშია ყველაზე სწრაფი სრივი).

— თქვენი სახელგანთქმულობა არ ქმნის პრობლემებს?

— მე მომხრე ვარ, რომ მისი ფოტო არ გამოჩნდეს გაზეთებში, როცა ჩემს გარშემო ანცობს. მას თავისი პირადი ღირსების შეგრძნება აქვს. არ მესმის რატომ უნდა დავაკარგო. ჩემი ვაჟი არაა ცნობილი ქალის ვაჟიშვილი.

— ჩუთუ ეს თქვენი ყველაზე ძვირფასი სიყვარულია? ნუთუ ის ყველაფერს ცვლის?

— ჩემი შვილისადმი სიყვარული ჩემთვის ყველაზე ძვირფასია, მაგრამ ბოლოს და ბოლოს შეიძლება კატასტროფაში მოვყვე, ჩემი შვილი ვერ ამაცილებს თავიდან იმას, ქვასავით უგრძნობი და უბედური ვიყო. თუ ვინმე მიყვარს და მას კი არ ვუყვარვარ, თუ ჩემი მეგობარი ქალი კვდება, ჩემი შვილის არსებობა ტირილში ხელს ვერ შემიშლის. მონსტრი უნდა იყო, რომ მხოლოდ დედობრივი სიყვარულით შემოიფარგლო. მე არა ვარ მონსტრი. ის ხელს არ მიშლის, გულღია ვიყო დანარჩენთა მიმართ.

— მარტოობაში ხომ არ გიშლით ხელს?

— ჩემმა ავტოკატასტროფამ უკვე მასწავლა, რომ საბოლოოდ მარტო ხარ, ყოველთვის მარტო ხარ. ადამიანებს, რომელთაც ყველაზე ძალიან უყვარხარ, არაფრის გაკეთება არ შეუძლიათ. ამ ავტოკატასტროფამ ისიც მასწავლა, რომ საჭიროა ყურადღებიანი იყო; უკეთესია კარგი ჯანმრთელობა გქონდეს, ვიდრე ფიზიკური მექანიზმის იმედად დარჩე. ეს სულელური, მარტივი ამბებია. დენისი ხელს არ მიშლის მარტოობაში და არც მე ვუშლი ხელს; მაგრამ ყველაფერს გადაკეთებთ ერთმანეთისათვის, ყურადღებიანები ვიქნებით.

— თქვენ ყოველთვის ავარიების შემდეგ ხდებით ყურადღებიანი? ისე ლაპარაკობთ, თითქოს არაფერი შეგმთხვეოდეთ. არც ისე დიდი ხანია, თქვენ შესახებ ახალი ამბები რომ გამოაქვეყნა ზოგიერთმა ჟურნალმა, არც თუ სასიამოვნო. თქვენ კლინიკაში იყავით, ლაპარაკობდნენ სერიოზულ დეპრესიაზე. რა მოხდა?

— კრიზი მქონდა. თითქოს ამ ქვეყნად აღარც ვიყავი. ცოტა შორს შევტოპე. აქედან თავი კიდევ ერთხელ მარტოკას უნდა გამომეხსნა, მართალია, სხვების დახმარებით. ახლა მე ხელახლა ვხედავ, მესმას, მოვრჩი უდაბნოს გადაკვეთას. და აი, კვლავ წყლის მსმელი ვარ.

— რატომ წყლის მსმელი?

— რადგან დროებით აღკოპოლი ამიკრძალებს. ეს სამწუხაროა, მაგრამ ახლა ნაკლებად მაწუხებს. ცოტა ხანში ყველაფერს თავიდან დავიწყებ, მაგრამ უფრო დარბაისლურად მოვიქცევი.

— ფრანსუაზ საგან, გაქვთ საიდუმლო?

— არა მაქვს. მგონია, უფრო უნდა გაუგონ მწერალს, თუ ხედავენ მის ნოსტალგიას და არა საიდუმლოებებს. საიდუმლოს ძალდაუტანებლად მალავენ ხოლმე, ნოსტალგიის დამალვა კი შეუძლებელია. რადგან წიგნი მისი უკუფენაა.



— ყოველ შემთხვევაში, თქვენ ფასეულობათა ძალიან დაწყობილი სისტემა გაქვთ.

— ჩემი პრინციპი მარტივია: სხვათა პატივისცემა, სიყვარული; ადამიანებისადმი კეთილგანწყობილება. გატაცებული ვარ ლიტერატურით, მუსიკით, ბავშვებით, ადამიანებით, ცხოველებით, სოფლით, სულ ესაა.

— ნაბიჯ-ნაბიჯ ჩვენ ძალიან დავშორდით ლევენდას, რომელზეც ეს-ესა ვისაუბრეთ. ამგვარად წარმოჩენილი ფრანსუაზ საბანი ბევრისთვის აღმოჩენა იქნება. დასკვნისათვის: თრმოცი წლის განმავლობაში ათი რომანი, რვა პიესა, შვილი; ხომ სარ ამბობთ ხოლმე: „არა, არაფერი გამოკეთებია, ჯერ ყველაფერი გასაკეთებელი მაქვს“?

— ოპ, დიახ.

— რა დარჩა, მთიგეთ თუ წააგეთ წლების დინებაში?

— უფრო მოვიგე და მოვიხვეჭე რაღაც, ყოველ შემთხვევაში წლები მაინც.

— არაფერი დაგიკარგავთ?

— დიახ, დავკარგე მოხარდის ზომიერად სწრაფი რეფლექსი და რამდენიმე ნაოჭი შევიძინე, დავკარგე უნაოჭო სახის კანი. რაღაცას კარგავ, რაღაცას იძენ.

— ფიქრობთ, რომ უკეთესი მწერალი ხართ, ვიდრე ოცისა იყავით?

— წერის სფეროში ჩემი შესაძლებლობების გარკვეული ზღვარი შევიცანი. მოქნილობას მივაღწიე. ნაკლებად ვნერვიულობ, როცა ვერ ვწერ. შეიძლება ხანდახან ცოტათი ეჭვი შეპარება, რომ გაგრძელებას შევძლებ. ზღვარი ისაა, რომ არ ხარ პრუსტი, ან დოსტოევსკი. შენი ზღვარის შეცნობა — ეს არ არის სიტყვების თამაში, გაურკვეველი ფრაზებით, გაუგებარი თეორიებით შთაბეჭდილების მოხდენის მცდელობა. ეს არც სხვების და არც შენი თავის გაბრიყვება და მოტყუებაა.

— თქვენი აზრით, რა რჩება თქვენი წიგნების წაკითხვის შემდეგ?

— ვფიქრობ, ისიც კარგია, თუ ჩემი წიგნების ხუთი ან ექვსი მკითხველი მაინც პოულობს იოლ გამოსავალს იმ ხმის შეცნობისას, რომელსაც მათი პრობლემის მეტად თუ ნაკლებად დამამშვიდებელი, ნაზი, ან ღირიული გადაწყვეტილება მოაქვს. ესეც დიდი რამეა.

— არსებითად თქვენ მორალისტი ხართ.

— ყოველთვის დგება მომენტი, როცა მორალისტი ხდები. ეს ცხოვრების დასამუხრუჭებლად ან ასაჩქარებლად ხდება ხოლმე. გეჩვენება, რომ ცხოვრება ნაკლებად ჩქარა, ან პირიქით ისე მიდის, რომ გაკონტროლება არ შეგიძლია. მაშინ, მორალისტი ხდები... სხვათა შორის მე ყოველთვის მქონდა მიდრეკილება სევდის, შიშის, მარტოობის წვდომის ახსნა-განმარტებისადმი.

— ბოლო ფრაზა, სურვილი?

— მინდა ათი წლის ვიყო, არ მინდა დიდი ვიყო. სულ ესაა.

